კ. კაუცკი

უძველესი სოციალიზმის ფილოსოფოსებელნი

სახელგამი
1927

კ. კაუცკი

უახლესი სოციალიზმის ფინამორგელნი

თარგმანი

სახელმწიფო გამოცემლობა
1927
ტფილისი

პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3.

მთავლიტი № 1809. შეკვ. № 7394. ტირაჟი 2000.

ავტორის წინასიტყვაობა.

ამ წიგნის მეორე გამოცემა ახალ სამოსელში გამოდის. ის შეადგენს ეხლა არა პირველ ნაწილს კოლექტიურ შრომისას, არამედ დამოუკიდებელ ნაწარმოებს. ამან არ შემაცელეეინა რაიმე შინაარსში, რომელიც არსებითად იგივე დარჩა. შეეცვალე მხოლოდ სათაური. „Die Yorläufer des neueren Socialismus“ მაგიერ წიგნს ეხლა ჰქვია პირდაპირ „Yorläufer des neueren Socialismus“.

თუმცა ეს ცვლილება არც იმდენად მნიშვნელოვანია, მე ის მაინც საჭიროდ ჩავთვალე იმიტომ, რომ პირველ გამოცემაში წიგნის სათაური მის შინაარსს არ შეეფერებოდა. სათაურის და შინაარსის შეუსატყვისობა იმით იყო გამოწვეული, რომ წიგნი, როდესაც მე თემა ავირჩიე და მის დამუშავებას შეეუდექი იმ გამოცემისათვის არ იყო დანიშნული, რომელშიაც ის გამოვიდა, სახელდობრ, სოციალიზმის ზოგადი ისტორიისათვის, რომლის შესავალს წარმოადგენდა ის პირველ გამოცემაში.

დიდი ხნით ადრე, სანამ გამომუშავდებოდა გეგმა „სოციალიზმის ისტორიისა მონოგრაფიებად“, მე უკვე ვმუშაობდი წინამდებარე წიგნზე და მოვამზადე კიდეც მისი მთავარი ნაწილები. თითქმის მეოთხედი საუკუნეა მას აქეთ, რაც წინასწარი მუშაობა დავიწყე ამ წიგნისათვის. იმ დროს მე დავრწმუნდი, რომ მარქსიზმის დიადი ღვაწლი პროლეტარიატის კლასსობრივ ბრძოლის საქმეში იმაში მდგომარეობს, რომ მან უტოპიური სოციალიზმი მუშათა მოძრაობას დაუკავშირა, რასაც ენგელსი ჯერ კიდევ 1845 წელს მოითხოვდა თავის წიგნში „მუშათა კლასსის მდგომარეობა ინგლისში“. ეს აზრი მე გინვავითარე ჩემს წერილთა სერიაში „ფილოსოფიის სიღატაკისა“ და „კაპიტალის“ შესახებ „Neue Zeit“-ში 1886 წელს. უტოპიურ სოციალიზმის—ოუენიდან ვეიტლინგამდის—და მუშათა მოძრაობის წინააღმდეგობა იმ დროს სრულიად მკაფიოდ სჩანდა. მე მიზიდავდა ამოცანა,—შეიძლება თუ არა ამ წინააღმდეგობის აღმოჩენა წინანდელ საუკუნეებშიაც და იმის გამორკვევა, თუ რა ფორმებს იღებდა იგი მაშინ. განსაკუთრებით ხელსაყრელ შესწავლის ობიექტად ამ მხრით მე მიმაჩნდა რეფორმაციის ეპოქა, როდესაც სრული სიცხადით და უშუალოდ იჩინა თავი მრავალმა წინააღმდეგობამ, რომელიც შემ-

დგომი დროის აბსოლიუტიზმმა წაშალა და რომელიც კვლავ გამოჩენილავნდა დიდ პოლიტიკურ ბრძოლაში, — ინგლისში, — მხოლოდ მე-XVII საუკუნის შუა წლებში, საფრანგეთში უფრო გვიანაც, მე-XVIII საუკუნის დამლევში, და გერმანიაში — მე-XIX საუკუნეში. მე ვფიქრობდი, რომ ტომას მიუნცერი და ტომას მორი ყველაზე უფრო ნათლად გამოხატავდენ ამ წინააღმდეგობას რეფორმაციის ხანაში.

და მართლაც, როგორც აღმოჩნდა, მე არ შემცდარვარ ამის შესახებ; მაგრამ ძლიერ მოვტყუვდი იმედში, რომ სულ რამოდენიმე ფურცელზე შევძლებდი ამ პირთა მთელი თავისებურებისა და სოციალიზმის ისტორიისათვის მათი მნიშვნელობის გადმოცემას. ჩემი შრომა სწრაფად გაიზარდა.

ყველაზე უფრო ადვილი დასაძლევი იყო ტომას მორი, რომლის შესახებ მე მონოგრაფია გამოვეცი 1887 წელს. მორი ლიტერატურულად განათლებული კაცი იყო, მან მრავალი შრომა დასტოვა, რომელიც მშვენივრად ახასიათებს მის ბუნებას. მორს დიდათ პატივს სცემდენ იმ დროის ლიტერატურაში მონაწილე პირნი, ეს პირნი ხშირად და კმაყოფილებით სწერდენ მორზე და მის შრომებზე. მორი მოღვაწეობდა, როგორც დიდი პოლიტიკოსი, და მოკვდა, როგორც კათოლიკურ ეკლესიის წამებული. ამის გამო მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ბევრჯერ და ნაზი თანაგრძნობით აწერილა. ბოლოს, მისი ლიტერატურული მისწრაფებანი, როგორც აგრეთვე მისი პოლიტიკური მოღვაწეობა, იმ მაღალ სფეროებს ეკუთვნის, რომელიც თავის თავად ყურადღებას იპყრობს და რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ.

გაცილებით მეტ დაბრკოლებას შევხვედი, როდესაც მიუნცერს მივმართე. ამ ადამიანმა, რომელსაც ღვთისმეტყველებითი განათლება მიუღია და არა ჰუმანისტური, დასტოვა სულ რამოდენიმე სახელდახელოთ დაწერილი ფურცელი, რომლის რეალურ გულს მისტიციზმის სქელი გარსი ახვევია. მისი მეგობრები და მიმდევრები მეტ წილად უსწავლელი პროლეტარები იყვნენ. ის განათლებული პირნი კი, ვინც მის შესახებ სწერდენ, გააფთრებული მტრები იყვნენ მიუნცერის. მოძრაობა, რომელთან ერთად დაიღუპა მიუნცერი, საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჩვენამდე მოსული ცნობები მიუნცერის მოღვაწეობისა და მიზნების შესახებ არა თუ სიძულვილით არის გამსჭვალული მის მიმართ, არამედ ძლიერ ბუნდოვანიცაა.

მით უფრო საჭირო იყო, რომ არ დაენდობოდით მხოლოდ წყაროებს და მიუნცერის მისწრაფებათა ნათელსაყოფად გვეცადა კა-

ნონზომიერების აღმოჩენა იმ მოძრაობაში, რომელშიაც ის მოქმედობდა,—გამოგვეყენებია ეს ხერხი გაცილებით უფრო სრულად, ვიდრე ამას თავისთავად მოითხოვს ჩემ მიერ ხმარებული მატერიალისტური მეთოდი.

ვინაიდან ბევრს არ ესმის ჩემი ისტორიული გამოკვლევების მეთოდი და რადგან ჩემი კრიტიკოსები ხშირად მისაყვედურებენ, რომ მე „კონსტრუქტიულად" ვქმნი ისტორიას არაფრისაგან, საჭიროდ მიმაჩნია მოკლეთ დავახასიათო ეს მეთოდი.

ისტორიის გამოსავალი პუნქტი ყოველთვის ინდივიდთა ისტორიაა. ის, რასაც ჩვენ საზოგადოებას უწოდებთ, არის მხოლოდ ცალკე ადამიანების ურთიერთ დამოკიდებულებათა შენაერთი,—ადამიანების, რომელთა ცხოვრების პირობები მოითხოვს მათ საერთო მოქმედებას ერთმანეთის სასარგებლოთ ან ერთმანეთის წინააღმდეგ. ისტორია თავდება იქ, სადაც თავდება ცნობები ცალკე პირთა მოქმედების შესახებ. მატერიალისტური გაგება ისტორიისა იმით კი არ განსხვავდება ტრადიციულ შეხედულებებისაგან ისტორიაზე, რომ იგი ისტორიას პიროვნებისაგან განაყენებს, არამედ იმით, რომ ის არ ჩერდება ცალკე გამოჩენილ პიროვნებებზე, რომელნიც მხოლოდღა ცხოვრობენ ისტორიულ გადმოცემაში და რომელნიც ისტორიულ პროცესის ერთად ერთ მამოძრავებლად სჩანან. ნამდვილად კი, ისტორიული პროცესი ყ ვ ე ლ ა მასში მონაწილე პიროვნებათა ნაყოფია, და თვით უძლიერეს ინდივიდუუმსაც არ ძალუძს ისეთი დიდი გავლენის მოხდენა, როგორსაც მასსა ახდენს მთლიანად. ისტორიულ განვითარების გასაგებად, ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა გავიგოთ, თუ რა ამოძრავებს ამ მასსას.

მაგრამ მწერლები, რომელნიც ჩვენთვის წყაროს წარმოადგენენ და ისტორიულ მასალას გვაძლევენ, ნაკლებად ფიქრობენ მასსაზე. უდიდეს ყურადღებას ისინი აქცევენ ცალკე ინდივიდუუმებს, რომელთაც განსაკუთრებული გავლენა მოუხდენიათ მასსაზე. ამიტომ ჩვენც, ისტორიკოს-მატერიალისტები, ვიკვლევთ რა წარსულს, ხშირად იძულებული ვართ დიდი პიროვნებანი მივიღოთ გამოსავალ წერტილად, —ვიზედაც არ უნდა იყოს ლაპარაკი—ლესსინგზე თუ ფრიდრიხ მე-II-ზე, რევოლიუციის მოღვაწეებზე თუ რეფორმაციის ეპოქის სოციალისტებზე. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ცალკე ინდივიდუუმი ჩვენთვის მხოლოდ გამოკვლევის გამოსავალი პუნქტია. ჩვენ არ შეგვიძლია შევხედოთ მასსას, როგორც ნულების წყებას, რომელსაც მხოლოდ მის წინ დასმული ერთეულები აქცევენ რიცხვად,—ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ მასსის მოქმედება მისი წინაშძღოლ ინდივიდის

მოქმედებისაგან. წინამძღოლი მხოლოდ ერთერთია, და ისიც არა უმთავრესი, იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც მასსას ამოძრავებენ და მასსის მოქმედების ხასიათს ქმნიან; და თვით წინამძღოლიც უმთავრესად მასსისაგან იღებს ძალას და ამოცანებს, და მასსის გარეშე გაუგებარი რჩება.

ამგვარად, თუ ჩვენს წინაშე დგას ისტორიული პიროვნება და ჩვენ ის უნდა ავწეროთ და გავიგოთ, უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვარკვიოთ,—რა თვისებები აქვს მას საერთო მისი დროის და ერის საზოგადოებრივ მოვლენებთან, და რა თვისებები აქვს ამ პიროვნებას ორიგინალური.

იმის შემდეგ, რაც ეს გამორკვეული იქნება, საჭიროა გამოვიკვლიოთ, თუ რამდენათ არის პიროვნების ეს ორიგინალური ელემენტი გარე-სამყაროს და ამ პიროვნებისავე ცხოვრების თავისებურობით გამოწვეული. როდესაც ესეც გამოირკვევა, მაშინ ინდივიდუუმისაგან დაგვრჩება ის ნაშთი, რომელიც მისი პირადი, თანდაყოლილი ნიჭით უნდა აიხსნას. აქ ისტორიკოსი უნდა შეჩერდეს. სწორედ ამ ნაშთთან არის დაკავშირებული ის პრობლემები, რომელიც ბუნებისმეტყველებას და ხელოვნებას აინტერესებს განსაკუთრებით, მაგრამ ამ პრობლემებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ისტორიულ განვითარების კანონზომიერების გასაგებად.

მაგრამ როდესაც ყოველივე ამას შევასრულებთ, ჩვენი ამოცანა ჯერ მთლად დაძლეული როდი იქნება. პირიქით, მხოლოდ ამის შემდეგ იწყება მისი უძნელესი ნაწილი.

განვსაზღვრეთ რა ისტორიულ პიროვნებაში ინდივიდუალური საზოგადოებრივისაგან, ჩვენ გადავდივართ ამ უკანასკნელ ელემენტის გამორკვევაზე. საზოგადოებრივ მოძრაობაში, რომელშიაც პიროვნებამ ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა, როგორც მისმა წარმომადგენელმა და მოწინავე მებრძოლმა, ჩვენ აგრეთვე უნდა ვცადოთ განსაკუთრებულ თვისებების ზოგად თვისებებისაგან გამოყოფა. მოძრაობა, რომელსაც ვიკვლევთ, ჩვენ უნდა შევადაროთ მრავალ სხვა მონათესავე მოძრაობას და ამგვარად გამოვარკვიოთ, თუ რა ანსხვავებს მას დანარჩენ მოძრაობისაგან და რა აქვს ყველას მათ საერთო.

ამის შემდეგ დაგვრჩება კიდევ ერთი უდიდესი და უძნელესი ამოცანა. თვითეული ამ ცალკე მოძრაობათაგანი ჩვენ უნდა დავაკავშიროთ მოცემულ დროის და მოცემული ერის მთლიან ისტორიულ პროცესსთან, უკანასკნელი კი, საბოლოოთ, ეკონომიურ განვითარებაზეა დამოკიდებული. ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ, ერთის მხრით,—რამდენად აიხსნება ცალკე მოძრაობის ისტორიული თავისებურობა.

შოცემულ ეპოქის საზოგადოებისა და ეკონომიკის თავისებურობით, ხოლო, მეორეს მხრით,—რამდენად დამოკიდებულია ცალკე მოძრაობათა საერთო თვისებები სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმებისა და სხვადასხვა წარმოების წესების საერთო თვისებებზე.

თუ ჩვენ ეს მოვახერხეთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ავიღეთ რა გამოსავალ წერტილად ისტორიული პიროვნება, ჩვენ შევსძელით ისტორიულ განვითარების კანონების გაშუქება. ამ კანონების საშუალებით ჩვენ შემდეგ შევსძლებთ ცალკე პიროვნებათა და მოძრაობათა ისტორიაში ბევრი ისეთი რამ გავაშუქოთ, რაც დღეს დღეობით ბუნდოვანია.

ჩვენი საისტორიო წყაროები საკმარისი არაა იმისთვის, რომ წარსულის გაგებისათვის ყველა მნიშვნელოვან ამბებს გავეცნოთ. მრავალი ცნობა დაკარგულია, მრავალიც სხვისგან განაგონს მოგვითხრობს, ამის გამო ისინი ან ყალბი ან ნაკლოვანია. ბევრ რამეზე წყაროები სრულიად არაფერს გვეუბნებიან, რადგან ამას უმნიშვნელოდ სთვლიდენ: მხოლოდ უგვიანეს ხანაში გამოირკვა, რომ ეს უმნიშვნელო რამ კოლოსსალურად მნიშვნელოვან მოვლენის ჩანასახი იყო. მეორეს მხრით წყაროები ბევრ ისეთ რამეს არ გადმოგვცემენ, რაც იმ დროს თავის თავად ცხადათ ითვლებოდა. მაგრამ სწორეთ ეს ჩვენთვის ეხლა უცხო და გაუგებარია.

წყაროების ზედმიწევნით ბეჯითს და მკვეთრ კრიტიკას მხოლოდ იმის გამორკვევა შეუძლია, რის შესახებ წყაროები გვაწვდიან საკმაო ცნობას: კრიტიკას არ შეუძლია ნაკლის შევსება მასალებში. ყოველ ისტორიკოსს ხვდება ასეთი ცარიელი ადგილები, და ისტორიკოსის ამოცანაა მათი შევსება საკუთარი გაგებით. მაგრამ მკვიდრ ნიადაგს ფეხქვეშ ის მხოლოდ მაშინ იგრძნობს, თუ ისტორიულ კანონთა ცოდნას დაემყარება. როგორც პალეონტოლოგიას ნაწილ-ნაწილად შენახულ ძვლების მიხედვით შეუძლია აღადგინოს ოდესღაც არსებულ ცხოველის მთელი სხეული, ისე ისტორიასაც შეუძლია იმის მიღწევა, რომ აქა-იქ გაკვრით გამოთქმულ აზრებისა და შენიშვნების მიხედვით აღადგინოს მთელი საზოგადოებრივი ინსტიტუტები. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს კონსტრუქცია იქნება, მაგრამ არ იქნება „კონსტრუქცია არაფრისაგან". მართალია, შეცდომებიც შესაძლებელია; მაგრამ ეს ერთად ერთი გზაა მთლიან ისტორიულ პროცესსის აღსადგენად, რომლის შესახებ წყაროები მხოლოდ ნაწყვეტ ცნობებს გვაძლევენ.

თანაც აღნიშნული მეთოდი გაცილებით უფრო სარწმუნო შედეგებს გვაძლევს, ვიდრე ძველებური ისტორიოგრაფია. მასაც უხდება აღდგენა, მაგრამ ის ცდილობს აღადგინოს არა საზოგადოებ-

რივი დაწესებულებანი, არამედ პიროვნებათა სულიერი ცხოვრება: საქმე, რომელიც არავითარ პირობებში არ იძლევა სანდო შედეგს არაფერი არაა ისეთი მერყეევი, წარმავალი, რთული და შემთხვევითი, როგორც ადამიანის სულიერი ცხოვრება. არც ერთმა ადამიანმა არ იცის კარგათ თავისი თავი,—მით უფრო ნაკლებათ იცნობს მას სხვა; ამ დროს კი სურთ წარმოგვიდგინონ სულიერი ცხოვრება ინდივიდუუმისა, რომელიც არასდროს არ უნახავთ, რომელიც შორეულ წარსულს წარმოუშვია სრულიად განსხვავებული სულის კვეთებით და რომლის შესახებ შენახულია პარტიულ სიძულვილით ან პარტიულ თაყვანისცემით დამახინჯებული ცნობები! თუ სადმე არსებობს ფანტასტიური კონსტრუქციები, ეს სწორეთ ამგვარ, დიდ პიროვნებათა აღწერილობათა დარგშია. რა თქმა უნდა, ისტორიულ მოთხრობაში ჩვენ იძულებული ვართ გამოსავალ პუნქტად გამოჩენილი პიროვნებანი ავიღოთ. მაგრამ ისტორიოგრაფია, რომელიც არ ცდილობს მკვიდრი საზოგადოებრივი ფუნდამენტი ჩაუყაროს ისტორიულ თქმულებით გადმონაცემ ორპოფ დახასიათებებს,—ასეთი ისტორიოგრაფია არა თუ არაფერს მოგვცემს ისტორიულ კანონზომიერების ნათელსაყოფად, არამედ საზოგადოთ ფრიად საეჭვო სისწორის პროდუქტებს მოგვაწოდებს.

რა საკვირველია, ყოველივე ამის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ ისტორიკოსისათვის, რომელიც ადამიანთა მოქმედების კანონზომიერებას სცნობს. მაგრამ ვისაც წმინდად სწამს ადამიანთა ნებისყოფის თავისუფლება, მან თავიდანვე უნდა უარყოს ასეთი ისტორიული მეთოდი, თუმცა, მან საზოგადოთ უნდა უარყოს ისტორია, როგორც მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა. ისტორია მისთვის ბევრად თუ ნაკლებად ამამაღლებელი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა იქნება, ხოლო ს ი ს წ ო რ ე ს უფრო ნაკლები მნიშვნელობა ექნება, ვიდრე ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ზ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს და წრთვნას.

აქ დახასიათებულ მატერიალისტური მეთოდით შევუდექი მე მიუნცერის მოღვაწეობის შესწავლას, მაგრამ მალე იძულებული გავხდი შორს გავსცილებოდი მიუნცერს. საჭირო გახდა ერთის მხრით, გარდამნათლელებზე გადასვლა, ხოლო მეორეს მხრით საშუალო საუკუნეების კომუნისტურ სექტებისადმი მიმართვა და თვით პირვანდელ-ქრისტიანულ კომუნიზმისაკენ დაბრუნება იმ მიზნით, რომ გამომერკვია, თუ რა შეადგენდა მიუნცერის სპეციფიურ თავისებურობას და რა ქონდა მიუნცერს საერთო მისი დროის მთელ კომუნისტურ მოძრაობასთან, გამომერკვია აგრეთვე ისიც, თუ რა შეადგენდა ამ მოძრაობის სპეციფიურ თავისებურობას და რაში ემზგავსებოდა იგი

სხვა მონათესავე მოძრაობებს; დასასრულ, გამოსარკვევი იყო ის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, რომელშიაც წარმოიშვა ეს მოძრაობა. შრომის ცენტრში დარჩა მიუხცერი, მაგრამ შრომის ფარგლები ძლიერ დაშორდა მიუნცერს.

მე უკვე ვათავებდი შრომას, როდესაც ჩემმა გამომცემელმა და მეგობარმა დიცმა შეადგინა გეგმა „სოციალიზმის ისტორიისა მონოგრადიებად" და წინადადება მომცა წამემძღვარა ჩემი წიგნი ამ კოლლექტიურ შრომისათვის პირველ ტომად. მე კმაყოფილებით დავთანხმდი, რადგან ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა ხელის შეწყობა ამ ფრიად საჭირო საქმისათვის. როგორც შესავალს დანარჩენ ტომებისათვის, რომელშიაც უახლესი სოციალიზმის ისტორია უნდა მოთავსებულიყო, მე დავარქვი ჩემს წიგნს „Die Vorläufer des neueren Socialiasmus".

მაგრამ შინაარსი არ შეეფერებოდა საესებით ამ სათაურს. ზოგიერთმა კრიტიკოსმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ჩემი წიგნი არ შეიცავს უახლეს სოციალიზმის ყველა წინამორბედთა დახასიათებას და რომ ის არა თანასწორ ყურადღებას აქცევს მასში განხილულ მოვლენებს; პირველი საფეხურები დახასიათებულია გაკვრით, ხოლო მოთხრობა მიუნცერისა და გარდამნათელელთა შესახებ, პირიქით, ძალიან დაწვრილებითია.

სამწუხაროდ ვერ მოხერხდა ზემოხსენებულ კოლექტიურ შრომის დამთავრება. ამიტომ ამ შრომის მეორე გამოცემა დამოუკიდებელ წიგნად გამოდის, და მე, ვსარგებლობ რა ამ შემთხვევით, ვცვლი სათაურს შინაარსთან შესაფარდებლად. მე არ მსურდა მეტის მეტად დავშორებოდი პირველ გამოცემის სათაურს, თორემ წიგნს დავარქმევდი „გერმანულ რეფორმაციის კომუნისტები და მათი წინამორბედნი".

შეუძლებელი იქნებოდა წიგნის გამოცემა იმ სათაურით რომელიც ჩემს პირვანდელ გეგმას შეეფერებოდა, — „ტომას მორისა და ტომას მიუნცერის წინააღმდეგობა" (Thomas Münzer als Gegensatz zum Thomas More). ჩემი კვლევის მსვლელობაში ტომას მიუნცერი მეტის მეტად დაიჩრდილა და უბრალო ეპიზოდათ გადაიქცა. მაგრამ არც სხვა რომელიმე კერძო მოვლენა წამოწეულა წინ ჩემს წიგნში იმდენად, რომ მხოლოდ მას შეექმნა წიგნის საერთო ხასიათი.

მაგრამ წიგნს აქვს თავისი კულმინაციონური პუნქტი; ეს არის გ ა რ დ ა მ ნ ა თ ვ ლ ე ლ თ ა ბ რ ძ ო ლ ა მ ი უ ნ ს ტ ე რ შ ი. აქ მე ვიძლევი მეტს, ვიდრე წიგნის სხვა ნაწილებში. გლეხთა ომში სამთომადნო მუშათა როლის გამოკლებით, ყველა კერძო მოვლენები, რაც

წიგნის წინა ნაწილებშია აწერილი,—თითქმის სავსებით ფართოდ ცნობილია. ახალია მხოლოდ ის, რომ ყველა ეს მოვლენები განხილული მაქვს არა ცალ-ცალკე, არამედ როგორც პროლეტარულ კლასსობრივ მოძრაობის საერთო პროცესსის ნაწილები.

პირიქით, მე იძულებული გავხდი სრულიად ახლად, წყაროებით შემესწავლა გარდამნათვლელთა ბრძოლა მიუნსტერში. ამ ბრძოლის აღწერილობანი, რაც აქამდის არსებობდა ან სრულიად უაზროა ან პირდაპირ განზრახ დამახინჯებულია. მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ მ ა გარდამნათვლელებმა უკვე იპოვეს თავისი ადვოკატები ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა შორის; მაგრამ სხვა საქმეა—მ ე ო მ ა რ ი მ ებ რ ძ ო ლ ი გ ა რ დ ა მ ნ ა თ ე ლ ე ლ ნ ი. ბურჟუაზიული ისტორიკოსები ძლიერ გართული არიან იმით, რომ გაათეთრონ რომელიმე ტიბერიუსი ან ლუკრეცია ბორჯია; მაგრამ ამავე დროს სრულიად უკრიტიკოთ ითვისებენ სულელულ ჭორებს მიუნსტერის გარდამნათვლელებზე და კვლავ და კვლავ უდიდესი ზნეობრივი პათოსით ავრცელებენ ქვეყნიერებაში ამ ცილის მწამებელ არაკებს მათ შესახებ. ბატონ ისტორიკოსებს ალბათ ჰგონიათ, რომ ყოველი წიხლი, რომელსაც ისინი 1534 და 1535 წლების შეუპოვარ გმირებს ჰკრავენ, თანამედროვე პროლეტარულ კლასსობრივი ბრძოლის მოწინავე მებრძოლებსაც ხვდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი საქციელი გაუგებარი იქნებოდა.

ეს თავისებური ილიუსტრაციაა ფრაზისა მიუდგომელ მეცნიერების შესახებ.

მე ჯერ არ მინახავს იმის გაბათილება, რაც ამ წიგნებში მაქვს ნათქვამი გარდამნათვლელთა შესახებ. არც აქ, არც ამის წინა ნაწილებში რაიმე არსებითი ცვლილების შეტანისათვის საფუძველი არ მქონია.

სამაგიეროთ ძლიერ სასურველად მიმაჩნდა შრომის გაფართოება. მაგრამ ამისთვის დრო არ მქონდა; მხოლოდ პირვანდელ-ქრისტიანულ კომუნიზმის მიმოხილვა გავაფართოვე და გამოვეცი ცალკე წიგნად „Ursprung des Christentums". მიუხედავად იმისა, რომ ეს შრომა ცალკე წიგნად გამოვიდა, მას ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს წინამდებარე შრომასთან. საზოგადოებრივი განვითარების იგივე კანონები, რაც უკანასკნელ შრომაშია გარკვეული, გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად მქონდა პირველ შრომაშიაც. ორივე შრომა ერთმანეთს ემყარება. ვისაც სურს ერთი მათგანი გააკრიტიკოს, ის მეორეზედაც უნდა შეჩერდეს.

მე იძულებული ვიყავი უარი მეთქვა წინამდებარე წიგნის დანარჩენ ნაწილთა გაფართოებაზე. ახალი გამოცემა დიდი ხანია საჭი-

რო იყო და იგი მეტის მეტად დაგვიანდებოდა რომ მეცადა იმისთვის, თუ როდის დამრჩებოდა დრო რომ ზოკიერთი ნაწილი უფრო დაწვრილებით გადმომეცა და ახალი მასალა გამომეყენებია.

რა რიგ საჭირო და სასარგებლო არ უნდა იყოს პროლეტარულ კლასსობრივ ბრძოლის წარსულის შესწავლა, ამან არ უნდა დააბრკოლოს თანამედროვე კლასსობრივ ბრძოლაში მონაწილეობა. თეორია ჩვენთვის მკვდარ ტვირთად არ უნდა დარჩეს, მან ჩვენი პრაქტიკა უდა გაანაყოფიეროს. მეცნიერება ჩვენთვის თვითმიზანი კი არ არის, არამედ მიზნის მისაღწევი საშუალება: რა თქმა უნდა,—საშუალება არა პ ა რ ტ ი ი ს და არც ე რ ი ს მიზნებისათვის, არამედ მთელი კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს განვითარებისთვის. ყოველი მეცნიერება ამ დიად პრაქტიკულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. ის, როგორც სთქვა მარქსმა, კი არ უნდა „ხსნიდეს მხოლოდ მსოფლიოს, არამედ სცელიდეს მას კიდეც“,—სცვლიდეს „ახალ, ა დ ა მ ი ა ნ უ რ საზოგადოებისა და განსაზოგადოებულ კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს“ მიმართულებით.

ამ მნიშვნელობით მარქსისტებსაც შეიძლება ეწოდოს ჰ უ მ ა ნ ი ს ტ ე ბ ი.

კ ა რ ლ კ ა უ ც კ ი.

ბერლინი, 1922 წლის აპრილი.

კომუნიზმის საფუძვლები საშუალო საუკუნოებში და რეფორმაციის ხანაში.

თავი პირველი.

პლატონის და პირვანდელი ქრისტიანული კომუნიზმი.

I. პლატონი და მისი დრო.

ბუნების მეტყველებისა და მანქანების გამოყენებაზე დამყარებულ თანამედროვე წარმოების წესის და, მასთან ერთად, თანამედროვე საზოგადოების ერთ ერთ თვალსაჩინო თვისებას წარმოადგენს დაუდგრომელი მისწრაფება ახალ-ახალ გამოგონებათა და აღმოჩენებისაკენ. ჯამუდმებულ გადატრიალებათა პროცესით გადატაცებულს დღეს მიღწეული მას ხვალ უკვე მოძველებულათ მიაჩნია, ყოველივე ძველი —უვარგისათ და ხელის შემშლელათ: მისთვის მისაღებია სულ უახლესი, ისიც დიდი ხნით კი არა, არამედ მხოლოდ მანამდე, სანამ ხვალ-ზეგ უკეთესი აღმოჩნდებოდეს.

სხვა მდგომარეობაში იყო წინანდელი წარმოების წესები. ძალიან ნელა ვითარდებოდენ ისინი, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა—ეს საძირკველი ძველი ეკონომიკის: საუკუნოებით და ზოგჯერ ათასეულ წლობით სოფლის მეურნეობა ერთი და იმავე მეთოდებით სარგებლობდა. ძველი ხერხი იმ ხანაში წარმოადგენდა ნაცადს, საქმით გამართლებულს, პატივსაცემ საშუალებას. ახალი კი—ეჭვების ამშლელს და განუსჯელ გამბედაობას.

რა თქმა უნდა, ასე ეკიდებოდენ პირველად ყოვლისა წარმოებას და, განსაკუთრებით, მიწათმოქმედებას. მაგრამ იგივე შეხედულებები მეფობდა მთელს საზოგადოებაში—მისი ხელოვნებით, მეცნიერებით და პოლიტიკით.

ჩვენს დროში, თუ რომელიმე მხატვრულ ნაწარმოებზე, თეორიაზე ან პარტიულ ჯგუფზე ითქმის, რომ ისინი სრულიად ახალ, ჯერ უცნობ გზაზე შესდგენ, ეს მათთვის განსაკუთრებულ ქებათ ჩაითვლება. წინათ კი, პირიქით, წარსულში ეძიებდენ თავის ზრახვათა მატა-

რებელ პირებს, რომ მათი მაგალითი დაემოწმებიათ თავის სასარგებ-ლოთ. მაშინაც კი, როდესაც ესა თუ ის მოქმედება გამოწვეული იყო სრულიად ახალი, განსაკუთრებული პირობებით—სულ ერთია, ამ ახალ პირობების აღნიშვნაზე უფრო დამარწმუნებლად ითვლებოდა ძველი დროის რომელიმე ცნობილი ავტორიტეტის მაგალითზე დაყრდნობა.

ყოველივე ეს შეეხება აგრეთვე გარდამნათვლელებს და რეფორ-მაციის ეპოქის სხვა სოციალისტებს. იმათ ახალი იდეების მღაღადებ-ლად კი არ მოჰქონდათ თავი, თავის მოწოდებათ მათ მიაჩნდათ იმ ძველი პირვანდელი-ქრისტიანობის აღდგენა, რომელსაც მრავალ საუკუნის ისტორია აქვს და რომელიც ცნობილია მოციქულ-თა მოღვაწეობიდან. გარდა ამისა ზოგიერთ შემთხვევაში ისინი იმო-წმებდენ კიდევ უფრო ძველს პლატონის ავტორიტეტს.

ეს მათთვის მით უფრო ადვილი იყო, რომ მათი დროის წარ-მოების წესი არც თუ ისე დიდათ განსხვავდებოდა იმ წარმოების წე-სისაგან, რომელსაც ელლინურ—რომაულმა ქვეყნიერებამ მიაღწია თა-ვისი აყვავების ხანაში. ორივე ეპოქის მიწათმოქმედებას, ხელოსნო-ბას, ვაჭრობას ბევრი რამ საერთო ჰქონდა. იმ სიმაღლიდან, რომელ-საც ძველმა მსოფლიომ მიაღწია პლატონისა და ქრისტიანობის ჩასა-ხვის შუა ხანაში, მან დაცემა იწყო და ხალხთა გადასახლების ხანაში თითქმის სავსებით ბარბაროსობაში ჩავარდა. ამ უკანასკნელ მდგომა-რეობიდან ის ძლიერ ნელის ნაბიჯით გამოდიოდა და მხოლოდ რე-ფორმაციის ეპოქაში ამაღლდა წინანდელ დონემდე და გამოიჩინა უნარი შემდგომი განვითარებისა.

რა თქმა უნდა საქმე ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, თით-ქოს მეთუთხმეტე და მეთექვსმეტე საუკუნის საზოგადოებრივი ურთი-ერთობანი უბრალო განმეორებას წარმოადგენდა იმ ურთიერთობები-სა, რომელიც პერიკლეს დროის ათინაში და რომის იმპერიაში არ-სებობდა. ამ ორ ეპოქას შორის პირველად ყოვლისა ის ღრმა განსხ-ვავება იყო, რომ ძველს დროში არსებობდა მონობა, რომელიც ხალხ-თა გადასახლების ხანიდან მოყოლებული თანდათან ისპობოდა ევრო-აპში. მონობა კი ყველგან აფერხებს საწარმოო ძალთა განვითარე-ბას და შეჰყავს საზოგადოება ისეთ ჩიხში, საიდანაც მისი გამობრუ-ნება შეუძლებელი ხდება. ამიტომაც იყო რომ ძველმა ქვეყნიერებამ თავისი არსებობა საყოველთაო გაღატაკებით და მეცნიერება-ხელოვ-ნების დაცემით დაასრულა. რეფორმაციის ეპოქა კი, წინააღმდეგ ამისა, მძლავრი ეკონომიური ამაღლების ხანა იყო, როდესაც საძირ-კველი ეყრებოდა თანამედროვე გიგანტურ კაპიტალიზმს.

მაგრამ მე-XV და მე-XVI საუკუნოებში ეს განვითარება მხო-

ლოდ ისახებოდა. ძველი დროის დიდი კულტურის ხალხები ჯერ კიდევ მასწავლებლებს წარმოადგენდენ ახალი დროისათვის ხელოვნების, მეცნიერების, პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში. ჯერ კიდევ ურყევი იყო ქრისტიანობის გავლენა, რომელიც გაცილებით უფრო მძლავრად ბატონობდა გონებრივ სფეროში, ვიდრე ფილოსოფოსნი და პოეტნი საბერძნეთსა და რომში. როდესაც იმ ხანის კომუნისტები ძველი დროის ქრისტიანულ და წარმართულ თხზულებებში ეძიებდენ ავტორიტეტებს, რათა იმათზე დაემყარებინათ თავის მოთხოვნილებათა დასაბუთება, ისინი ამით საყოველთაოთ გავრცელებულ ჩვეულებას მისდევდენ. არც პლატონს, არც პირველდელ ქრისტიანობას არ წარმოუშვიათ საშუალო საუკუნეებისა და რეფორმაციის ხანის ეს მოთხოვნილებები.

უკანასკნელნი თავისი დროის სოციალურ პირობებისაგან გამომდინარეობდა. მაგრამ საშუალ-საუკუნეთა კომუნისტები — პირველდელ ქრისტიანობაში და რეფორმაციის ხანის კომუნისტები — გარდა ქრისტიანობისა კიდევ პლატონში იპოვეს მტკიცე დასაყრდენი, რომელიც აძლიერებდა მათ რწმენას და მრავალ შემთხვევაში უადვილებდა მათ თავის მოთხოვნილებათა დასაბუთებას და ჩამოყალიბებას.

მაშასადამე, საშუალ საუკუნეთა და რეფორმაციის ეპოქეს კომუნისტურ სექტების შესაცნობად საჭიროა ჯერ პლატონისა და ქრისტიანულ კომუნიზმს მივმართოთ.

აქ ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს მხოლოდ ეს ორი სახე ძველი დროის კომუნიზმისა, რადგან მხოლოდ მათ იქონიეს ლიტერატურული გავლენა რეფორმაციის ხანის კომუნისტებზე. მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ კომუნიზმის მხოლოდ ამ ფორმას ქონდა ადგილი ძველს დროში.

არ არის იმაზე უფრო შემცდარი აზრი, თითქოს კომუნიზმი ადამიანის არსებას, ადამიანურ ბუნებას ეწინააღმდეგება. პირიქით, ადამიანი — საზოგადოებრივი არსებაა და ის ადვილათ ითვისებს კომუნიზმს, თუ ეს უკანასკნელი რამოდენიმეთ მაინც შესაძლებელი ხდება არსებულ საწარმოვო ურთიერთობაში. საეჭვოა, იყო თუ არა ისეთი ეპოქა, რომელშიაც არ არსებულიყო კომუნიზმის ესა თუ ის ფორმა ან მისწრაფება მაინც კომუნიზმისადმი. კომუნიზმი კაცობრიობის აკვანთან იდგა და თვით უკანასკნელ ხანამდე დარჩა ის საზოგადოებრივ ბურჯად დედამიწის ხალხთა უმრავლესობისათვის.

არსებობისათვის ბრძოლის კანონს კომუნიზმი არათუ მხოლოდ ეგუებოდა, არამედ უმნიშვნელოვანეს იარაღსაც წარმოადგენდა კაცობრიობისათვის ამ ბრძოლაში. ისტორიის წინა ხანის უიარაღო,

შიშველ ადამიანებს მხოლოდ იმის წყალობით შეეძლოთ წარმატებით ებრძოლათ თავის საშინელ მტრების წინააღმდეგ პირველყოფილ ბუნების პირობებში, რომ მჭიდროთ ერთიანდებოდენ მრავალრიცხოვან საზოგადოებებში. პირველყოფილი ადამიანი ცხოვრობდა მხოლოდ საზოგადოებაში და საზოგადოების წყალობით, მას ჯერ არ გაეწყვეტა საზოგადოებასთან დამაკავშირებელი ძაფები. თანაზიარად შოულობდენ პირველყოფილი ადამიანები თავის საარსებო საგნებს; თანაზიარად ნადირობდენ და თევზაობდენ. თემში მიმდინარეობდა მათი ცხოვრება; ერთად იცავდენ საერთო თავშესაფარს და საერთო მიწაწყალს.

მაგრამ წარმოების პროგრესთან ერთად ყველაფერი ეს შეიცვალა. საერთო საკუთრების გვერდით წარმოიშვა კერძო საკუთრება.

უკანასკნელი თავდაპირველად გავრცელდა მხოლოდ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობის ზოგიერთ საგანზე, უმთავრესად პირადათ მოსახმარ საგნებზე, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში იგივე პირი აწზადებდა, ვინც ხმარობდა. ასეთი იყო იარაღი, სამკაული და სხვა ნივთი, რომელიც პირველყოფილ ადამიანთა წარმოდგენით, იმდენათ შეზრდილი იყო ადამიანთან, რომ ხშირათ პატრონთან ერთად მარხავდენ საფლავში მისი სიკვდილის შემდეგ.

მაგრამ კერძო საკუთრების სფერო და მნიშვნელობა ფართოვდებოდა.

ს ა კ უ თ ა რ ი მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს საგანთა წარმოების გვერდით ვითარდებოდა პროდუქტების გ ა ც ვ ლ ა-გ ა მ ო ც ვ ლ ა,— ჯერ სხვადასხვა საგნების მწარმოებელ ცალკე ტომებს შორის, შემდეგ კი ცალკე პირთა შორისაც. ამგვარად აღმოცენდა ს ა ქ ო ნ ლ ი ს წ ა რ მ ო ე მ ა ე. ი. წარმოება გ ა ყ ი დ ვ ი ს მ ი ზ ნ ი თ. მართალია, დიდი ხნის განმავლობაში ეს წარმოება ისეთი ფორმით არსებობდა, რომ ყოველი მეურნეობა ამზადებდა პროდუქტებს პირველ ყოვლისა საკუთარ მოხმარებისათვის და მხოლოდ ნაჭარბს ჰყიდიდა. საგლეხო მეურნეობაში დღესაც ასეთი მდგომარეობაა. საქონლის წარმოება იმას გულისხმობს, რომ მწარმოებელი თავისუფლად სარგებლობს საკუთარი საწარმოო იარაღებით და თავის შრომის პროდუქტით, და ეს მის კერძო საკუთრებას შეადგენს. საქონლის წარმოება ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კერძო საკუთრებას უკვე გარკვეულ დონემდის მიეღწევია. მეორეს მხრით, საქონლის წარმოების განვითარებას ის მოსდევს, რომ წარმოების საშუალებანი და პროდუქტები სულ უფრო მეტად იქცევიან კერძო საკუთრებათ. ბოლოს და ბოლოს კერძო საკუთრების სფეროში მოექცა უმთავრესი წარმოების

საშუალება, არსებობის საფუძველი — მიწა, რომელიც ყველაზე მეტი ხანი დარჩა სათემო მფლობელობაში.

ქალაქის მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება თავიდანვე გულისხმობს კერძო საკუთრების უფლებას საწარმოო საშუალებებზე და პროდუქტებზე.

მაგრამ კერძო საკუთრება არათუ აფართრებს თავის სფეროს, არამედ იმავე დროს თავიდან იცილებს მისი გამოყენების ყოველგვარ განმსაზღვრელ პირობებს: ეს პირობები სულ უფრო სამძიმო ხდება მისთვის, რაც უფრო ვითარდება საქონლის გაცვლა-გამოცვლა და წარმოების ახალი წესი, რომელიც კერძო საკუთრებას მოითხოვს.

თუ წინეთ საკუთრება ერთ გარკვეულ პიროვნებასთან იყო დაკავშირებული და ამიტომ პატრონის სიკვდილის შემდეგ ან ისპობოდა და გადადიოდა მთელი საზოგადოების განკარგულებაში, ეხლა ის მემკვიდრეობითად გადადის ერთი პირისაგან მეორეზე.

პირველყოფილი თანასწორობა ჰქრება, კერძო საკუთრება საზოგადოებრივ ძალათ იქცევა, საზოგადოება გაბატონებულ მესაკუთრეებათ და მათზე დამოკიდებულ, ქონებას მოკლებულ ღარიბებათ; კერძო საკუთრების მოხვეჭა საზოგადოებრივ აუცილებლობად იქცევა. ბოლოს, ფულის გაჩენამ უსაზღვროთ გაამეფა შემძენელობის მისწრაფება.

მოხმარების საგანთა მოთხოვნილება ყოველთვის განსაზღვრულია. სანამ სიმდიდრე მხოლოდ უშუალოდ მოსახმარ საგნებისაგან შესდგება, არავინ არ მოითხოვს მას იმაზე მეტს, რაც საჭიროა ნებიერი და კომფორტიანი ცხოვრებისათვის. წინააღმდეგ ამისა, ფულის არავითარი რაოდენობა არ მიაჩნია ადამიანს საკმარისად, რადგან ფული საქონელია, რომელიც არ ფუჭდება და რომლის გამოყენება ყოველთვის არის შესაძლებელი. განძის შეკრეფა, დიდი ქონების დაგროვება პირად მოთხოვნილების ფარგლებს გარეშე, მესაკუთრის ცხოვრების მიზანს შეადგენს. ამიერიდან წინააღმდეგობა სიმდიდრისა და სიღარიბის შორის შეიძლება გასცდეს ყოველგვარ საზღვარს და, მართლაც ეს წინააღმდეგობა უზომოა ყველგან, სადაც არსებობს ამის პირობები.

ამასთან ერთად იცვლება ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულება. მთელი მათი ყოფა-ცხოვრება და აზროვნება. თემის ერთგულება და მისთვის თავგამოდება ოდესღაც კაცობრიობის უმთავრეს ღირსებათ ითვლებოდა. ეხლა კი ეს ჰქრება. ყოველი კაცი თავის მოყვასს მხოლოდ თავის თავში ხედავს. საზოგადოება დაიყო ერთმანეთთად

გააფთრებით მებრძოლ კლასსებათ, კლასსები ნაწილდებიან ინდივიდუ-
უმებათ, რომელთაგან ყოველი თავის პირად სარგოს მისდევს და
ცდილობს რაც შეიძლება მეტი მიიღოს საზოგადოებისაგან და რაც
შეიძლება ნაკლები შესძინოს მას. სულ უფრო სუსტი ხდება თემის და
პიროვნების შემაკავშირებელი ძაფები. თემი იშლება ან რჩება ისეთ ხალ-
ხში ,რომელიც ჩამორჩა განვითარებას,მაგრამ შეინარჩუნა კომუნისტური
თვისებები და კომუნისტური ძალა. ასეთია ძველი დროის ყველა
ერთა და სახელმწიფოთა ისტორია. შეიძლება ეს პროცესი ყველაზე
უფრო სწრაფი და თვალსაჩინო ათინაში იყო. სპარსეთთან
ომების დასასრულიდან ფილიპე მაკედონელის მიერ საბერძნეთის
დაპყრობამდე ძლივს ერთ-ნახევარმა საუკუნემ გაიარა (479—338წ.წ.
ქრ. შობამდე). ამ პერიოდის დასაწყისში კლასობრივი სხვადასხვაობა
და კლასობრივი წინააღმდეგობა შედარებით სუსტი იყო (თუ არ ჩავ-
თვლით მონებს, ესენი ხომ თემს არ ეკუთვნოდენ). რა თქმა უნდა
ჯერ მაშინაც არსებობდენ პრივილეგიებით აღჭურვილი არისტოკრა-
ტები და უფლება აყრილი ხალხის ფენები, მდიდრები და ღარიბნი;
მაგრამ ეს წინააღმდეგობა ჯერ არ გამხდარიყო იმდენად ინტენსიუ-
რი, რომ მოსახლეობის თავისუფალ ნაწილში ზოგად—სახელმწიფოე-
ბრივი ინტერესები ჩაექრო. ხსენებულ პერიოდის უკანასკნელ მესამედ-
ში კი მონათა მასსის გვერდით ატტიკაში მხოლოდ მდიდრები და
ბოგანონი არსებობდენ. „წინანდელ დროში,—ამბობდა ერთ
ოავის სასამართლო სიტყვაში იმ დროს მცხოვრები ორატორი
დემოსფენი,—ყველაფერი სხვანაირი იყო, ვიდრე დღეს. წინათ ყვე-
ლაფერი, რაც სახელმწიფოს ეკუთვნოდა, სიმდიდრით და ფუფუნებით
ბრწყინავდა, მოქალაქეთა შორის გარეგნულათ არავინ განირჩეოდა
დანარჩენთაგან. ყოველ ჩვენგანს დღესაც შეუძლია საკუთარის თვა-
ლით დაინახოს, რომ თემისტოკლეს, მილტიადეს და სხვა წარსულის
დიად მოქალაქეთა ბინები არაფრით არ იყო მათ თანამოქალაქეთა
ბინებზე უკეთესი და უფრო შესანიშნავი. ამავე დროს მაშინდელი
საზოგადოებრივი შენობები და ძეგლები თავის სიდიადით და მშვენე-
ბით სამუდამოდ დარჩება მიუხწეველ ნიმუშებათ; მხდველობაში
მაქვს პროპილეები, არსენალები, კოლონადები, ნავთსადგურ პირეის
ნაგებობანი და ჩვენი ქალაქის სხვა საზოგადოებრივი შენობები. ეხ-
და კი იშვიათი არ არიან სახელმწიფო მოღვაწენი, უფრო მდიდრულ
სახლებში მცხოვრებნი, ვიდრე თვით საზოგადოებრივი შენობებია;
მათ შესყიდული აქვთ საკუთრებათ იმდენი მიწა, რომ ყველა თქვენი,

აქ შეკრებილ მოსამართლეთა [1]), მინდვრები რომ შეეაერთოთ, მაშინაც ვერ მივიღებთ ამ ვეებერთელა მამულთა სიდიდეს. ხოლო რაც შეეხება იმ საზოგადოებრივ შენობებს, ჩვენს დროში რომ აგებენ, ისინი იმდენათ უმნიშვნელონი არიან და ისე საცოდავათ გამოიყურებიან, რომ მათზე ლაპარაკიც სირცხვილია.

ამ მოვლენებს ადგილი ქონდა მთელს საბერძნეთში, მაგრამ არსად არ სჩანდა ისე მკაფიოთ, როგორც ათინაში. სპარსულ ომების წყალობით, ათინა უძლიერესი სახელმწიფო გახდა საბერძნეთში; ათინამ იხსნა საბერძნეთის თავისუფლება სპარსთა უღლისაგან მხოლოდ იმისთვის, რომ თვით შეედგა ბერძნებზე საკუთარი უღელი. ეგეის ზღვის თითქმის ყველა სანაპიროების და კუნძულების მოსახლეობა (და აგრეთვე მრავალი სანაპირო ქალაქი და კუნძული ეგეის ზღვის გარეშეც) ათინისაგან იყო დამოკიდებული და მას ხარკს უხდიდა. მონათა შრომის და ფართოთ განვითარებულ ვაჭრობის გარდა, ათინის მოსახლეობის მუდმივ შემოსავალს სამხედრო ნადავლი და მორჩილ სახელმწიფოთა ხარკი შეადგენდა. მდიდრები ამით უფრო გამდიდრდენ, ხოლო დანარჩენი თავისუფალი მოსახლეობა, რომელსაც აგრეთვე ქონდა გამოსარჩენი აუარებელი სახელმწიფო შემოსავლიდან, შრომას გადაეჩვია, გადაგვარდა, დაძაბუნდა და ლუმპენ—პროლეტარიატის დონემდის დაქვეითდა. მაგრამ იგივე მიზეზები ჰბადებდა მთელი დანარჩენი საბერძნეთის სიძულვილს ათინისადმი.

ბოლოს და ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა ერთის მხრივ ათინას, რომელიც სულ უფრო აფართოებდა თავისი ბატონობის სფეროს, და მეორეს მხრით ჯერ დაუპყრობელ პელოპონესის სახელმწიფოთა შორის, სპარ—რომელთაც სპარტა მეთაურობდა.

ეს იყო ომი არა მარტო ათინის ჰეგემონიის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე არისტოკრატიის ომი ღემოკრატიის წინააღმდეგ. ათინა იყო საბერძნეთის ყველაზე უფრო დემოკრატიული სახელმწიფო, სპარტა კი-ყველაზე უფრო არისტოკრატიული. მთავარი სიმძიმე იმ გადასახადების, რომლითაც დაბეგრილი იყო ათინის მიერ დამორჩილებული სახელმწიფოები, არისტოკრატებს აწვებოდა. თვით ათინაშიაც დემოსმა სახელმწიფო გამოსაღების მთელი სიმძიმე რამდენათაც შეიძლებოდა არისტოკრატებსა და მდიდრებს დააკისრა.

[1]) ათინაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები იყო (დისკატერიები); ყოველ საქმეს არჩევდა ხუთასი მოსამართლე (ჰელიასტები).

ამიტომაც იყო, რომ მდიდრები და არისტოკრატები განსაკუთრებულ სიძულვილს გრძნობდენ ათინისადმი. თვით ათინაში საზოგადოების დაქსაქსვა და წინააღმდეგობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის იქამდე მივიდა, რომ ათინელი მდიდრები და არისტოკრატები თავის ეროვნულ მტერს, სპარტას ეარშიყებოდენ და მასთან კონსპირაციასაც ეწეოდენ. სპარტის გამარჯვება მათ მიაჩნდათ დემოკრატიისაგან ხსნის საუკეთესო საშუალებათ.

გადამწყვეტი ომი ათინასა და სპარტას შორის,—ე. წ. პელოპონესის ომი,—თითქმის 30 წელი (431—404 წ. წ. ქრ. შობამდის) გაგრძელდა და ათინის ძლიერების სრული განადგურებით დასრულდა. ათინის ხელის უფლება განსაზღვრულ იქნა ატტიკის საზღვრებით, პოლიტიკურათ კი ის სპარტას დაექვემდებარა. დემოკრატიის ადგილი სპარტის მორჩილ კრეატურების მთავრობამ დაიჭირა.

ეს მდგომარეობა მოითხოვდა გულდასმით შესწავლას, და სახელმწიფოთა აყვავება—დაცემის მიზეზთა გამოკვლევას. და, აი ყველამ მიმართა საკითხს საუკეთესო სახელმწიფო წესწყობილების შესახებ.

სწორეთ ამ ისტორიულ პირობებში აღიზარდა პლატონი.

ის დაიბადა ძველი არისტოკრატიული გვარის ოჯახში ათინაში პელოპონესის ომის დასაწყისში 429 და 427 წლებს შუა ქრისტეს შობამდის. ის სამუდამოდ ერთგული დარჩა თავისი არისტოკრატიული შთამომავლობისა და ბოლომდე შეინარჩუნა უარყოფითი აზრი დემოკრატიაზე. ნივთიერად საესებით უზრუნველყოფილმა, მან მთელი თავისი დრო გონების განვითარების საქმეს შესწირა და ჭაბუკობის ხანაშივე მეცადინეობა დაიწყო პოეზიასა და ფილოსოფიაში. გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მასზე სოკრატესთან ნაცნობობამ, რომელიც ალბათ პლატონის სიცოცხლის მე-20 წელიწადზე დაიწყო. ამ ხნიდან ის საესებით ფილოსოფიას ეწირება და სოკრატეს ყველაზე უფრო შესანიშნავი მოწაფე ხდება. მაგრამ იმ იდეების წრეს, რომელშიაც სოკრატე ტრიალებდა, პლატონი აფართოებს დამოუკიდებელი მეცადინეობით და—თავისი მასწავლებლისა და მეგობრის სიკვდილის შემდეგ—ხშირი მოგზაურობით, რითაც მან გაიცნო ეგვიპტე, კირენა, სამხრეთი იტალია და სიცილია.

ათინაში დაბრუნების შემდეგ საჯაროთ გამოდის როგორც ფილოსოფოსი და მასწავლებელი. მაგრამ შემდეგაც ის ორჯერ სწყვეტს ამ მოღვაწეობას და ხანგრძლივათ მოგზაურობს სიცილიაში.

ამ მოგზაურობათა მიზანი ფრიად საყურადღებოა, როგორც დამახასიათებელი ნიშანი პლატონის დროის დაქვეითებული პოლიტიკური ყოფა-ცხოვრებისა. პლატონმა გამოიმუშავა ორიგინალური

პოლიტიკურ პრინციპების მთელი სისტემა, რომლის შესახებ ჩვენ ლაპარაკი შემდეგ გვექნება, მაგრამ მას აზრათაც არ მოსვლია ეცადა თავის შეხედულებათა და რწმენის განხორციელება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პირდაპირი მონაწილეობით.

ეს, რასაკვირველია, იმას სრულიად არ ნიშნავს რომ თვითონ პლატონს არ სწამდა თავისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი იდეების პრაქტიკული მნიშვნელობა და რომ ისინი მას უბრალო ფანტაზიად მიაჩნდა.

368 წელს გარდაიცვალა დიონისო უფროსი,—სირაკუზის ტირანი. მის ვაჟს, დიონისო უმცროსს, თავის დროს რამოდენიმე ალლიური მოუხდენია ფილოსოფიის დარგში და რეფორმების მეგობრათ გაეთქვა სახელი,—საზოგადოთ ხომ ყოველი მემკვიდრე პრინცი რეფორმების მეგობრათ ითვლება. დიონეს, პლატონის მეგობარს და დიონისოს სიძეს –იმედი ჰქონდა, რომ ტირანის ვაჟს პლატონის იდეებისაკენ მოიმხრობდა. თვითონ პლატონიც, ამით დაიმედებული, სირაკუზაში გაემგზავრა, რათა ტირანის ხელით გაეკეთებინა ის, რისთვისაც მას თითიც არ დაუნძრევია ათინის დემოკრატიაში: გაემგზავრა თავისი პოლიტიკური იდეალების განსახორციელებლად.

თავის-თავად ცხადია, მისი იმედი გაცრუვდა. დიონისოს ძალიან მოსწონდა, რომ ფილოსოფოსები მისკენ მიისწრაფოდენ და ხელს უწყობდენ მისი სასახლის ბრწყინვალებას. მაგრამ ამას არ უნდა დაეშალა ის ნეტარება, რომელსაც მას „ღვინო, ქალები და სიმღერა“ აძლევდა, და თუ ვინმე ხელს შეუშლიდა, „გვირგვინოსანი ფილოსოფოსი“ მას ერთ წიხლს კრავდა და გადაასახლებდა.

როდესაც მიუხედავად ამისა პლატონი რამოდენიმე წლის შემდეგ ხელმეორედ ეწვია სირაკუზის სასახლეს, ის ძლივს გადაურჩა ტირანის საშინელ რისხვას და კმაყოფილი დარჩა, რომ სიცოცხლე გადაირჩინა და ხიფათს თავი შედარებით ადვილად დააღწია.

ასე გათავდა ჩვენი ფილოსოფოსის პოლიტიკური მოღვაწეობა. მაგრამ თავის მოძღვრობას ის განაგრძობდა სიკვდილამდე, რომელმაც 81 წლის ჰასაკში მოუსწრო.

II. წიგნი სახელმწიფოს შესახებ.

პლატონის თხზულებებიდან ჩვენ აქ გვაინტერესებს მხოლოდ „პოლიტეია“, წ ი გ ნ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს შ ე ს ა ხ ე ბ, პ ი რ ვ ე ლ ი ჩ ვ ე ნ ა მ დ ი ს მ ო ღ წ ე უ ლ ი კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ტ ი უ რ ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა.

წიგნს, როგორც პლატონის სხვა თხზულებებსაც, დიალოგის ფორმა აქვს, რომელშიაც პლატონის იდეებს იცავს უმთავრესად სოკრატე.

წიგნის არსებითს შინაარსს შეადგენს შემდეგი საკითხის გამოკვლევა: როგორია სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წყობილების საუკეთესო ფორმა?

რომ სახელმწიფოს და საზოგადოების არსებული ფორმები ცუდია—ეს, პლატონის აზრით, არავითარ ეჭვს არ იწვევს.

„კერძო საკუთრებას და წინააღმდეგობას მდიდართა და ღარიბთა შორის,—ამბობს ის,—დაღუპვისაკენ მიჰყავს სახელმწიფოები. განა სიმდიდრე და სიქველე ისეთნაირად არ არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, თითქოს სასწორის ორ თვალზე მდებარეობენ და როდესაც ერთი თვალი აიწევს, მეორე უნდა დაიწიოს?.. ამგვარად, თუ რომელიმე სახელმწიფოში პატივს სცემენ სიმდიდრეს და მდიდართ, სიქველე და კეთილის მყოფელნი ნაკლების პატივით უნდა სარგებლობდენ... მაგრამ ამგვარ შემთხვევაში სახელმწიფო ერთი კი არ არის, არამედ ორი: ერთს შეადგენენ ღარიბნი, მეორეს მდიდრები; ორივე ერთმანეთის გვერდით არსებობენ და ერთი მეორეს მტრობენ[1])... ბოლოს და ბოლოს მათ (გაბატონებულ მდიდრებს) ომის წარმართვაც არ შეუძლიათ, რადგან ამისთვის მასსა უნდა დაიხმარონ, ხოლო შეიარაღებული მასსა მათთვის მტერზე უფრო საშიშარია. თუ მისი დახმარებით არ ისარგებლებენ, იძულებული ხდებიან მხოლოდ საკუთარ, უმნიშვნელო საომარ ძალას მიენდონ; ესეც რომ არ იყოს, მათ არ სურთ გამოსაღების გადახდა, რადგან ძლიერ ეყვართ ფული“.

ღარიბთ, პროლეტარებს პლატონი მონავრებს ადარებს—ეს შედარებით მკაფიოთ გამოხატავს განსხვავებას ანტიურსა და თანამედროვე პროლეტარიატს შორის. საკუთრებას მოკლებული თავისუფალი ხალხი ძველს დროში უმთავრესად ლუმპენ-პროლეტარიატს შეადგენდა. ეხლა საზოგადოება პროლეტარების შრომით არსებობს, მაშინ კი, პირიქით, პროლეტარები ცხოვრობდნენ საზოგადოების ხარჯზე, სახელმწიფოს და მდიდართა ექსპლოატაციით, ამ უკანასკნელთა შემოსავლის წყაროს კი შეადგენდა მონათა შრომა და დაპყრობილ-დამორჩილებული ქვეყნები.

„მაგრამ,—ამბობს შემდეგ პლატონი,—ორფეხი მონავრები იმით

[1]) როგორც ვხედავთ, დიზრაელი არ იყო, რომ პირველად მოიხსენია ორი ერი ერთ სახელმწიფოში; ეს სიტყვა პირველად ორი ათასი წლის წინათ წარმოითქვა.

განირჩევიან ფრთოსნებისაგან, რომ ყველანი როდი არიან საწერ-ტელს მოკლებულნი. ვისაც საწერტელი არა აქვს, მათხოვრობენ მთელი თავისი სიცოცხლე, ვისაც კი აქვს... ვერაგობენ, ქურდობენ, ჯიბგირობენ, ძარცვავენ ტაძრებს და მრავალ სხვა საზიზღარ ბოროტებას სჩადიან" (მე-8 წიგნი, 6 და 7 თავები).

სახელმწიფო, რომლის შიგნით მუდამ ერთმანეთს ებრძვის ორი ასეთი სახელმწიფო, აუცილებლად უნდა გაიხრწნას, ვინც არ უნდა იყოს იქ ხელის უფალი—მდიდარნი (ოლიგარხია) თუ ღარიბნი (დემოკრატია).

მაშ როგორი სახელმწიფო წყობილება უნდა არსებობდეს პლატონის აზრით ამ ორ „ცუდ წყობილებათა" ნაცვლად?

პლატონი ფიქრობს, რომ მხოლოდ კომუნიზმს შეუძლია დაიცვას სახელმწიფო დაშლისაგან.

მაგრამ პლატონი მეტის-მეტად არისტოკრატი იყო, რომ მონდომებოდა კლასობრივ სხვადასხვაობის მოსპობა. კომუნიზმი დამცველი, კონსერვატიული ელემენტი უნდა გამხდარიყო და მხოლოდ გაბატონებულ კლასზე უნდა გავრცელებულიყო. „კერძო საკუთრება რომ მოვსპოთ გაბატონებულ კლასში,—ამბობს პლატონი,—მას აღარ ექნება საფუძველი მშრომელი ხალხის ჩაგვრისათვის, გაბატონებული კლასი მაშინ მგელს კი არ ემზგავსება, არამედ ერთგულ და ფხიზელ ძაღლს, რომლის ერთად-ერთი მიზანი ხალხის მტრისგან დაცვა და მისი კეთილდღეობა იქნება".

მშრომელ კლასსებს,—გლეხებს და ხელოსნებს, აგრეთვე წვრილ მედუქნეებსა და მსხვილ ვაჭრებს პლატონი უტოვებს კერძო საკუთრებას. ეს გასაგებიც არის: კერძო საკუთრების მოსპობა მოსახლეობის ამ წრეებში ეწინააღმდეგებოდა მაშინდელ საწარმოვო წესწყობილების მოთხოვნილებებს. წარმოებას საფუძვლად ედო წვრილი მიწათმოქმედება და ხელოსნობა. ესენი კი ბუნებრივი აუცილებლობით მოითხოვენ კერძო საკუთრების უფლებას შრომის იარაღებზე. მართალია, ძველმა მსოფლიომ უფრო მსხვილი წარმოებაც იცოდა, მაგრამ უკანასკნელი მონათა შრომაზე იყო დამყარებული. მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში ტეხნიკა ჯერ იმდენათ განვითარებული არ იყო, რომ საზოგადოებრივი წარმოება შესაძლებელი ყოფილიყო. იქ სადაც მუშებს გარეგანი იძულება არ ბოქავდა, სადაც ისინი თავისუფალი იყვნენ, ყოველი მათგანი თავისთვის მუშაობდა. თავისუფალ მუშათა საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების მოსპობა პლატონის დროს აბსურდი იქნებოდა. ამიტომ მისი სოციალიზმი ძირიანად განსხვავდებოდა თანამედროვე სოციალიზმისაგან.

პლატონის იდეალურ სახელმწიფოში, მებატონე კლასსი არ მონაწილეობს წარმოებაში, ის მომუშავე კლასთა შრომით ცხოვრობს. მისი კომუნიზმი საწარმოო საშუალებათა კომუნიზმი კი არ არის, არამედ მოსახმარ საშუალებათა კომუნიზმია, ანუ მოხმარების კომუნიზმი,—ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით.

„გაბატონებული კლასსის წევრები სახელმწიფოს მცველებია. მათ ირჩევენ განსაკუთრებული მზრუნველობით საუკეთესო და ყველაზე სანდო მოქალაქეთა წრიდან. მცველთა შვილებს ყველაზე მეტი შანსები აქვთ რჩეულთა კლასის წევრობისათვის, რადგან საზოგადოდ ნაყოფი ხომ ხესთან ახლო ვარდება. მაგრამ უკეთუ აღმოჩნდა, რომ მცველთა რომელიმე შთამომავალი არ დგას თავისი მოწოდების სიმაღლეზე, ის შეუწყნარებლად უნდა გამოირიცხოს იმ კლასსიდან, რომელსაც წარმოშობით ეკუთვნის, და, პირიქით, ხელოსანთა და მიწის მუშათა შვილებს,—თუ გამოიჩენენ კეთილშობილ თვისებებს, უნდა ეღირსოს მაღალი პატივი ბატონთა წრეში ჩარიცხვის“.

ამგვარად, პლატონის სახელმწიფოში, არისტოკრატია მემკვიდრეობითი არ არის.

მცველთა კლასსის ბავშვები ექვემდებარებიან განსაკუთრებულს, ზედმიწევნით შემუშავებულ აღმზრდელობის სისტემას. პლატონს ძალიან დაწვრილებით აქვს აწერილი ეს სისტემა, მაგრამ ჩვენ ამაზე შეჩერება არ შეგვიძლია.

„მაგრამ მარტო აღზრდა არ არის საკმარისი,—განაგრძობს პლატონი, ან—უფრო სწორათ—სოკრატე.—ბრძენი იტყოდა, რომ საჭიროა გარდა ამისა ისე მოეწყოს მათი სახლები და სხვა ქონება, რომ მცხოვრებლებს არ ექნეთ საბაბი თავისი სიქველის დაკარგვისა ან სხვა მოქალაქეთა მიმართ ბოროტმოქმედებისათვის“.

„სრული სიმართლეა,“ ამბობს ის (გლავკონი).

„მაშ შეხედე,—განვაგრძობდი მე (სოკრატე)—თუ საჭიროა რომ მათ შერჩესთ მათი თვისებები, განა ასე არ უნდა მოეწყოს მათი ცხოვრება და გარეშე პირობები: პირველად ყოვლისა არავის არ უნდა ექნეს პირადი საკუთრება, თუ ამის აცდენა როგორმე შესაძლებელი იქნება; არ უნდა არსებობდეს არც კერძო სახლები, არც ცალკე საწყობები, რომლებშიაც ყოველ მსურველს არ შეეძლოს შესვლა. ყველაფერი რაც მხნე და ზომიერი მეომრებისათვის საჭიროა მათ დანარჩენ მოქალაქეებისაგან უნდა ეძლეოდეს თადარიგით, როგორც გასამრჯელო სახელმწიფოს დაცვისათვის, უნდა ეძლეოდეს იმდენი, რომ არც ერთს არ უჭირდეს, მაგრამ არც რჩებოდეს რამე შემდეგი

წლისათვის. ერთად უნდა ცხოვრობდენ, როგორც მხედრები ლაშქარში, და საერთო ტრაპეზით (სისსიტით) უნდა სარგებლობდენ. მათ უნდა ჩაეგონოს რომ, არ საჭიროებენ ადამიანთა ოქროსა და ვერცხლს, რადგან თავის სულში ატარებენ ოქრო-ვერცხლს ღვთაებრივს. არ უნდა იყოს ნებადართული ამ ღვთაებრივი ოქროს წაბილწვა მიწიერ ოქროსთან მიკარებით, რადგან ბევრი ბოროტება მოაქვს ამ მოარულ ფულს, მაშინ როდესაც მათი ოქრო ყოველთვის სპეტაკია. მთელს სახელმწიფოში მხოლოდ მათ უნდა ჰქონდეთ აკრძალული რაიმე დამოკიდებულება ოქრო და ვერცხლთან. ოქრო არ უნდა არსებობდეს მათ სახლებში არც სამკაულათ არც სასმელ ჭურჭლებზე. მათ რომ საკუთარი მიწა, ბინები და ოქრო ექნესთ, მაშინ ისინი მხოლოდ სახლისა და სოფლის მეურნენი იქნებოდენ და არა მცველნი, სასტიკი ხელის უფალნი და დანარჩენ მოქალაქეთა ამხანაგები. სხვისი მოძულვარე და მზაკვარნი და ამასთან ერთად სხვისი სიძულვილით და მზაკვრობით გარემოცულნი ისინი მთელს სიცოცხლეს უფრო შინაურ მტრის შიშში გაატარებდენ, ვიდრე გარეშესი, სწრაფად მოიახლოვებდენ საკუთარსა და, მასთან ერთად, მთელი ქალაქის დაღუპვას". (წიგნი 3, თავი 22).

მაგრამ პლატონი არა მარტო ქონებათა საზიარობას მოითხოვს თავისი „მცველებისათვის". განდევნილი უნდა იქნეს ყოველივე, რასაც მათ შორის კერძო ინტერესების გაღვიძება, შუღლისა და უთანხმოების დათესვა შეუძლია. ამიტომ ის მონოგამიური ოჯახის მოსპობას, ცოლებისა და შვილების საზიარობას მოითხოვს.

ჩვენი თანამედროვე სოციალისტ-ჭამიები გვარწმუნებენ, რომ ოჯახისა და ქორწინების მოსპობის მოთხოვნა არის სოციალ-დემოკრატების პირუტყეულ გათახსირების დამამტკიცებელი საბუთი. მაგრამ ეს მოთხოვნა მათ შეეძლოთ იმ ანტიურ ფილოსოფოსისაგან გაეგონათ, რომელსაც თანამედროვე კეთილი ზნეობის ოფიციალური მკრძალველნი განსაკუთრებულ პატივსა სცემენ მისი „თითქმის ქრისტიანული" ეთიკის გულისთვის.

„ყოველივე ზემოთ თქმულთან,—ამბობს სოკრატე,—განუყრელად დაკავშირებულია, ჩემის აზრით, კიდევ ერთი დაწესებულება". „რა?"

„ცოლები ყველა ქმრებს თანაზიარად უნდა ეკუთვნოდენ; არც ერთი ცოლი არ უნდა ცხოვრობდეს ვინმესთან ცალკე. ბავშვებიც საერთონი უნდა იყვნენ, ისე რომ არც ერთი მამა არ უნდა იცნობდეს თავის შვილს, და არც შვილი თავის მამას." (წიგნი 5, თავი 7).

მაგრამ პლატონს სრულიად უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობა როდი აქვს მხედველობაში. მას სურს მხოლოდ ერთს პრინციპს დაუმორჩილოს ის: გეგმა—შეზომილ სქესობრივ შერჩევის პრინციპს. ქალებმა უნდა „ჰბადონ ბავშვები სახელმწიფოსათვის“ მხოლოდ 20—40 წლის ჰასაკში, მამაკაცებმა კი „აკეთონ სახელმწიფოსათვის“ 30—50 წლის ჰასაკში. ვინც ბავშვს ჰშობს დანიშნულ ჰასაკზე ადრე ან გვიან—ბოროტმოქმედებას ჩადის. უწესოდ ჩასახული ბავში უნდა მოისპოს ნაყოფის ხელოვნურად განდევნის ან მუცლის მოშლის საშუალებით. არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღიზარდონ ისინი. წესიერ ჰასაკში მყოფმა პირებმა შთამომავლობა უნდა ამრავლონ, რამდენადაც შეიძლება, უმაღლეს თანამდებობის პირთა ხელმძღვანელობით, ისე რომ „ძლიერნი კავშირდებოდნენ ძლიერებთან და სუსტნი სუსტებთან; პირველთა შვილები უნდა აღიზარდონ, უკანასკნელთა კი—არა, თუ სურთ შეინახონ უნაკლო ჯიში. ყოველივე ეს (ე. ი. ჩასახვათა მოწესრიგება) საიდუმლოთ უნდა დარჩეს ყველასათვის გარდა უფროსებისა, რათა მცველთა მასსას, უთანხმოების საბაბი არ გაუჩნდეს“.

დაწესებულ ჰასაკს გადაცილებულ პირებს თავისუფლად შეუძლიათ სქესობრივი კავშირი დაიჭირონ თავისი ჰასაკის ჯგუფის ფარგლებში საკუთარი გრძნობისა და მოსაზრების თანახმად.

„ახლად დაბადებულ ბავშვებს წაიღებენ სპეციალურად დანიშნული თანამდებობის პირნი, რომელთა შორის მამაკაცებიც იქნებიან და დედაკაცებიც, რადგან საზოგადოებრივი თანამდებობანი აქ ორივე სქესისათვის ერთნაირად მისაწვდომი იქნება“.

„ეს კარგია“.

„ძლიერი და ჯანსაღი მშობლების შვილებს, მე ვფიქრობ, ზედამხედველ ქალებს ჩააბარებენ აღსაზრდელ სახლში, ქალაქის განსაკუთრებულ ნაწილში, ხოლო სუსტი მშობლების ბავშვებს ან დაბადებით მახინჯებს, დამარხავენ როგორც წესია სადმე მიუწვდომელ ადგილას“.

„რა თქმა უნდა, ასეა საჭირო,—მითხრა მან,—თუ იზრუნებენ მცველთა კეთილშობილ მოდგმის დაცვაზე“.

„ეს თანამდებობის პირნი იზრუნებენ ძუძუ-მწოვარა ბავშთა კვებაზე; მოიყვანენ აღსაზრდელ სახლში დედებს, რომელთაც რძე აქვთ, მაგრამ ეს უნდა ქნან შეძლების დაგვარათ ისე, რომ დედებმა არ იცნონ თავისი ბავშები; ისინივე მოიწვევენ სხვა ძიძებს, თუ დედების რიცხვი საკმარისი არ იქნა“. (წიგნი 5, თავი 9).

ჩვენზე ყოველივ ეს უჩვეულო, თითქმის საზიზღარ შთაბეჭდილ-

ლებას ახდენს. მაგრამ პლატონის დროის ბერძნები საქმეს სხვანაირად უყურებდნენ. რა თქმა უნდა, მათ შორისაც არსებობდა მონოგამია, მაგრამ ამას, როგორც თვითონ აშკარათ აღიარებდნენ, მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა: კანონიერი შთამომავლობის მიღება, მემკვიდრეობის უფლების დაცვა.

შეუღლება შეყვარებულთა გულში კი არ ხდებოდა, არამედ ოჯახის მესვეურთა თავში და თან მხედველობაში დაინტერესებულ პირთა სურვილები კი არ მიიღებოდა, არამედ ქონებრივი ურთიერთ დამოკიდებულება. ჩვეულებრივ ვაჟს არც შეეძლო კარგი ოჯახის ქალი დაენახა, სანამ ნიშნობა არ მოხდებოდა.

როგორც ვხედავთ კაპიტალისტურ წესწყობილებას უსამართლოთ სდებენ ბრალს, რომ მან ქორწინება ფულად გარიგებათ გადაქცია. კანონით დაცული მონოგამია წინეთაც არსებობდა. ის კერძო საკუთრების და მემკვიდრეობის უფლების შვილია. კაპიტალისტური წარმოების წესმა, პირიქით, ისეთი პირობები შექმნა, რომლებშიაც საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტორად სქესობრივი სიყვარულია აღიარებული ე. ი. ამა თუ იმ პირის ლტოლვა მეორე სქესის მხოლოდ ერთი რომელიმე პირისადმი. ამიტომ თანამედროვე საზოგადოების მორალი უზნეოთ აღიარებს ისეთ შეუღლებას, რომელიც უბრალო ფულად გარიგებას წარმოადგენს. მაგრამ ვინაიდგან კაპიტალისტური წარმოების წესმა შეინარჩუნა და განამტკიცა კიდეც ქორწინება – გარიგების ეკონომიური ფესვი, მიუხედავად მორალურ შეხედულებათა, ქორწინება ეხლაც ფულად გარიგებას წარმოადგენს; წარმოიშვა მხოლოდ თანამედროვე ქორწინების ნამდვილი ხასიათის დაფარვის საჭიროება: მექორწინენი ვალდებულნი არიან მოგვაჩვენონ, რომ მათი ლტოლვა ერთმანეთისადმი—ნამდვილი სიყვარულია. წარმართულ გულახდილობის ადგილი ქრისტიანულმა თვალთმაქცობამ დაიჭირა. რა თქმა უნდა ეს უმთავრესათ შეძლებულთა ქორწინებას შეეხება.

ქონების მომრავლებისა და მამის გვარში მისი დატოვების ზრუნვასთან ერთად, გადამწყვეტ როლს ქორწინებაში თამაშობდა აგრეთვე ძლიერი და საღი შთამომავლობის შექმნის სურვილი. სპარტაში, სადაც მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა არა ქონებრივ დამოკიდებულებას, არამედ სპარტიატების სამხედრო თვისებებს, სქესობრივი შერჩევის თვალსაზრისი უდიდეს როლს თამაშობდა, ქორწინების საქმეში. ამ თვალსაზრისის გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ზოგჯერ ქმარი სხვას უთმობდა მეუღლის უფლებებს, თუ უკანასკნელი უფრო ჯანსაღი იყო და მაგარ შთამომავლობის შექმნის იმედს

იძლეოდა. ტყუილად კი არ ადარებდა პლუტარხი სპარტანულ ქორწინებას ცხენთა სამომშენებლოს, რომელშიაც მხოლოდ კეთილშობილი ჯიშის მიღებაზე ზრუნავენ.

ამგვარად პლატონის დროს სრულიად არ სთვლიდენ უაზროდ და საზიზღრად უფროსთა მიერ ქორწინებათა მოწესრიგებას სქესობრივი შერჩევის ყველა საჭირო წესების თანახმად.

ოჯახის მოსპობა, სქესობრივი კომუნიზმი მოხმარების კომუნიზმის ლოგიური შედეგია. მართლაც, თუ ყოველგვარი მოთხოვნილება თანაზიარად იქნება დაკმაყოფილებული, სრულიად შეუსაბამო იქნებოდა ისეთი მძლავრი მოთხოვნილების გამორიცხვა ამ სფეროდან, როგორიც არის სქესობრივი ცხოვრება.

მაგრამ, თავის თავად ცხადია, სქესობრივ კომუნიზმს არავითარი ლოგიური კავშირი არ აქვს საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების იმ მოთხოვნასთან, რომელსაც თანამედროვე სოციალიზმი აყენებს,—წინააღმდეგ შემთხვევაში დედაკაცი წარმოების საშუალებებში უნდა ჩავრიცხოთ. ამასვე ამბობს „კომუნისტური მანიფესტიც“: „ბურჟუა დედაკაცში წარმოების უბრალო იარაღს ხედავს. მას გაუგონია, რომ წარმოების იარაღები საზოგადოებრივათ უნდა იქნეს გამოყენებული და, რა თქმა უნდა, საქმე ისე წარმოუდგენია, რომ საზიარობის ხვედრი დედაკაცსაც უნდა ერგოს“.

წინააღმდეგ ამისა, პლატონის საზოგადოებრივ იდეალების მეორე მხარე ენათესავება თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის მოთხოვნილებებს. სოციალ-დემოკრატიის მზგავსად პლატონი მოითხოვს მამაკაცისა და დედაკაცის მდგომარეობის გათანასწორებას და უკანასკნელთა დაშვებას ყველა საზოგადოებრივ თანამდებობაზე (თუმცა ყოველივე ეს მცველთა კლასს შეეხება). დედაკაცები ომშიაც მონაწილეობენ და ამიტომ სწორედ ისეთივე აღზრდა უნდა მიიღონ, როგორც მამაკაც-მცველებმა.

„ყველა სახის მოქმედებაში, რომელზედაც დამყარებულია სახელმწიფო, არ არის არც ერთი, რომელიც დედაკაცს ეკუთვნოდეს, როგორც მხოლოდ დედაკაცს, ან მამაკაცს, როგორც მხოლოდ მას; სხვადასხვა ბუნებრივი ნიჭი თანაბრად არის გინაწილებული ორ სქესს შორის; დედაკაცს ბუნებით ისევე შესწევს ყოველგვარი საქმიანობა, როგორც მამაკაცს; მხოლოდ დედაკაცი ყველაფერში მამაკაცზე რამოდენიმედ უფრო სუსტია. დე, ჩვენმა მცველთა ქალებმაც ტანთ გაიხადონ (მამაკაცებსავით რომ შესძლონ ფიზიკური ვარჯიშობა) და უფრო ქველობით შეიმოსონ, ვიდრე ტანთსაცმელით. დე, მიიღონ მონაწილეობა ომში, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში—და

ნუ აკეთებენ რასმე სხვას. მაგრამ ყოველივე ამიდან ჩვენ მათ მივანდობთ უფრო მსუბუქ საქმეებს მაგალ სქესის სისუსტის გამო". (წიგნი 5. თავები 5, და 6).

მამაკაც-დედაკაცთა პოლიტიკურ და სოციალურ გათანასწორებას საფუძვლად უდევს დედაკაცთა განთავისუფლება შინაურ სამუშაოსაგან. პლატონის სახელმწიფოში ეს ისე ხდება, რომ შინაური სამუშევრები მშრომელ კლასსებს ევალება. სანამ, შეუძლებელია თუნდაც ზოგიერთი უმძიმესი სამუშევრების შესრულება მანქანების საშუალებით, არავითარი სხვა გზით არ შეიძლება ქალთა ემანსიპაციის მიღწევა.

რა რიგ თამამი არ უნდა იყოს პლატონის ეს იდეები, ისინი მაინც ჰაერში არ არიან გამოკიდებული. ამ იდეებს სრულიად რეალური ნიადაგი აქვს. ჩვენ უკვე დავინახეთ ის ნიადაგი, რომელზეც მისი ყველაზე უფრო თამამი იდეა წარმოიშვა,—სქესთა ურთიერთ დამოკიდებულებაში გეგმიან-სქესობრივი შერჩევის იდეა. იმ ნიმუშმა, რომლითაც ის აქ ხელმძღვანელობდა, გავლენა მოახდინა მთელს მის აზრთა მსვლელობაზე. ეს ნიმუში იყო სპარტა, საბერძნეთის ყველაზე უფრო არისტოკრატიული, და ამიტომ ათინის არისტოკრატიისათვის განსაკუთრებით სიმპატიური სახელმწიფო. ეს სიმპატიები იმდენად ძლიერი იყო, რომ ერთერთ თვალსაჩინო მიზეზად უნდა ჩაითვალოს სპარტის მიერ ათინის დაპყრობისა პელოპონესის ომის დროს. ეს თანაგრძნობა გამომჟღავნდა შეთქმულებებში, გამცემლობაში, გამოჩენილ დემოკრატთა და სარდალთა მოღალატურ მკვლელობებში.

პლატონი, ჯერ როგორც არისტოკრატი თანაუგრძნობდა სპარტას, მაგრამ მისი სიმპატიები უფრო გაძლიერდა სოკრატეს ანტიდემოკრატიული ტენდენციების გავლენით.

სოკრატეს გამოჩენილ და ცნობილ მოწაფეთა შორის ბევრნი იყვნენ სპარტასთან მეგობრულად განწყობილნი. სპარტის მეფე აგეზილაეს მესაიდუმლეს, ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ე ს არა ერთხელ ულაშქრია სპარტის მხარეზე. კორონეოსთან ბრძოლაში (394 წ. ქრ. შობამდე) ის სპარტანელი სარდლის ამალაში იბრძოდა მოურიდებლად თავის თანამოქალაქე—ათინელთა წინააღმდეგ. საკვირველიც არ არის, რომ ის განდევნეს მისი სამშობლო ქალაქიდან. ა ლ კ ი ვ ი ა დ ე კიდევ უკეთ მოიქცა პელოპონესის ომში. ათინელთა სარდლათ დანიშნული ის სპარტანელებს მიემხრო, თანამედროვე ენით რომ ეთქვა, გენერალური შტაბის თავმჯდომარე გახდა, მტერს ათინის ყველა ნაკ

სტი მხარეები გაუმჟღავნა და ამით ათინელთა რამოდენიმე ისეთი საშინელი დამარცხება გამოიწვია, რომ ომის ბედი ბაშინ გადაწყდა, თუმცა ამის შემდეგაც ის მაინც საკმაოთ დიდი ხანი გაგრძელდა. საბოლოოო დამარცხების შემდეგ ათინა „ოცდა ათი ტირანის“ მსხვერპლი გახდა, არამზადა—არისტოკრატთა ხროვის, რომელიც ძლევამოსილმა სპარტამ ათინას მმართველებათ თავს მოახვია. ამ ხროვას, უსაზღვრო ტერორით გამდიდრებულს და დაპყრობილ ათინის გამანადგურებელს, სათავეში უდგა კ რ ი ტ ო ს ი—ისიც სოკრატეს მოწაფე.

საჭიროა ეს მხედველობაში ვიქონიოთ, რომ სწორათ შევაფასოთ სოკრატეს პროცესი.

ამ გარემოებაში საკვირველი არ არის, რომ სპარტის სახელმწიფო ის საძირკველი იყო, რომელზედაც, პლატონი თავისი იდეალური სახელმწიფოს შენობას აგებდა. ჩვენ შეგვიძლია ეს ბუხლობრივ დავამტკიცოთ, მაგრამ ჩვენს ამოცანაში ეს არ შედის.

მაგრამ ჩვენ არც იმის თქმა გვსურს, რომ პლატონმა პირდაპირ გადმოსწერა სპარტის წყობილება. ის ფილოსოფოსი იყო საკმაოდ და ძალიან კარგად ხედავდა ყველა იმ ნაკლს, რაც იმ დროის სპარტას ახასიათებდა. პელოპონესის ომის დროს და მის შემდეგ მოპოებული ძალა-უფლება და სიმდიდრე ისევე გამხრწნელად მოქმედობდა სპარტაზე, როგორც სპარსულ ომებში მოპოებული გამარჯვება და მისი შედეგები—ათინაზე. პირველყოფილი კომუნიზმისაგან დარჩენილ ნაშთებს სპარტაში ისევე არ შეეძლო სპარტის დაცვა დაცემისაგან, როგორც რაინდულ ციხის ნანგრევებს არ შეუძლია გაუძლოს თანამედროვე არტილერიას. ამ კომუნიზმისაგან მხოლოდ უშინაარსო ფორმები დარჩა.

ამ ნაშთთა უდიდესი მნიშვნელობა პლატონის ხანაში იმაში თუ მდგომარეობდა მხოლოდ, რომ მათი გავლენით იყო რომ მკვლევარმა და მოაზროვნემ კომუნისტური წყობილების შესაძლებლობა და სასურველობა აღიარა და საშუალება მიიღო ამ ნაშთებთან დაკავშირებულ ნაწყვეტ იდეებისაგან ყოველმხრივ მოფიქრებული, და თუნდაც მხოლოდ იდეაში წარმოსადგენი, კომუნისტური სისტემა აეგო.

რასაკვირველია—მხოლოდ იდეაში იყო ეს სისტემა შესაძლებელი. პლატონი არისტოკრატი იყო, მაგრამ მისი არისტოკრატიზმი მდაბიო ხალხისადმი ზიზღში გამოიხატებოდა და არა მისი წოდების წევრებისადმი ნდობაში. ერთიც და მეორენიც პლატონში ეკვს ჰბადებდენ. სპარტის უხეში მილიტარიზმი და სპარტანული მკაცრი, ეკსპლოატატორული მეურნეობა იმდენადვე ხიბლავდა მას, რამდენადაც ათინის დემოკრატია.

ამიტომ თავის იდეალურ სახელმწიფოში მან მცველთა კლასი ორ ნაწილად გაჰყო: მხედრებათ და მმართველებათ. მხოლოდ უკანასკნელნი განაგებდენ სახელმწიფოს, მაგრამ ისინი ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ნ ი. უნდა ყოფილიყვნენ. სამხედრო არისტოკრატიის სახელმწიფო იმდენადვე დაღუპული იყო იმის თვალში, როგორც ხალხის ბატონობა, ხალხის, რომელიც იმ დროს თითქმის საესებით პარატაზიტულ პროლეტარიატათ იყო დაქცეული. მხოლოდ ფილოსოფოსთა ბატონობას შეუძლია უზრუნველჰყოს სახელმწიფოს გონიერი მართვა-გამგეობა. „სანამ ფილოსოფოსთა მოდგმა სახელმწიფოს ბატონი არ გახდება, მანამ არ დაილევა როგორც მთელი სახელმწიფოს ისე ცალკე მოქალაქეთა გაჟირვებანი, არ განხორციელდება ის სახელმწიფოებრივი წესწყობილება, რომელიც ჩვენ აქ გამოვიმუშავეთ" (წიგნი 6, თავი 13. შეადარეთ წიგნი 5, თავი 18).

მაგრამ როგორ შეუძლიათ ფილოსოფოსებს ბატონობის მოპოება სახელმწიფოში?—არა ხალხის პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობით, არამედ მხოლოდ რომელიმე ავტოკრატიული და კეთილგანწყობილი ხელმწიფის შემწეობით. (წიგნი 6, თავი 14)[1]

[1]) თავსბრუდამსხმელი აღმოჩენა მოახდინა პლატონის კომუნიზმის უახლესმა მკვლევარმა ბ. პროფესორმა რ ო ბ ე რ ტ პ ი ო ლ მ ა ნ მ ა. მან განაცხადა, რომ პლატონის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიური აბსოლიუტიზმი უკვე განხორციელებულა გერმანიის იმპერიის სახით.

„განა ეს მოთხოვნილება პირდაპირ წინასწარმეტყველური მითითება არ არის იმ ჰეშმარიტ—სახელმწიფოებრივ მონარქიაზე, რომელიც უწინარეს ყოვლისა გ ე რ მ ა ნ უ ლ მ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ განახორციელა?" მაგრამ ვინ არიან ეს სახელმწიფო ფილოსოფოსნი შესაკუთრეთა და არა მქონებელთა კლასობრივ ინტერესებზე მაღლა მდგომნი? ეს ყოფილა—„ჩვენი სახელმწიფოს და კომუნალურ დაწესებულებათა მოხელენი, სასულიერო პირნი, მასწავლებლები, ოფიცრები და სხვა, მეტ წილად ისინი, ვისაც საკუთრება ან მსხვილი საკუთრება არ გაჩნიათ და უმაღლესი განათლება მიუღიათ" და სხვ. „სწორეთ ამაში, ამგვარ მდგომარეობაში მყოფ და ამნაირად განწყობილ საზოგადოებრივი ფენის შექმნაში, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოში არსებობს და რომელსაც მაშინდელი სახელმწიფო, მოკლებული იყო, დაინახა შორსმჰვრეტელმა პლატონმა ყოველივე პოლიტიკის მთავარი და ძირითადი საკითხი" (Geschichte des antiken Kommunismus und Socialismus, I, S. 427 St.) ის შეხედულება, რომ მსოფლიო ისტორიულ განვითარებას საშუალო საუკუნეებიდან მოყოლებული მარტო ის ჰქონდა მიზნათ, რომ ჰოგენცოლლერნთა დინასტიის და მათი სახელმწიფოს დიდების სხივებით, მოეფინა მთელი მსოფლიო. ეს შეხედულება სრულიად ეკვმიუტანელ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ყოველი გერმანელი ისტორიკოსისათვის. მაგრამ ბატონ პიოლმანამდე არავის არ მიუმართავს წყვდიადით მოცული ანტიური დროისათვის და არავის არ უდიდებია პლატონი, როგორც მოწინავე მებრძოლი პრუსსიის იუნკერთა და ბიუროკრატიის ბატონობისათვის.

დამახასიათებელია გერმანიის თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებისა და აუდიტორიისათვის, რომ გერმანელი მეცნიერი პრუსსიული კასკით აგვირგვინებს საბერძნეთის ფილოსოფოსს დიდი ზეიმით და ამ მეცნიერს მასხრათ არავინ არ იგდებს.

ჩვენ უკვე ვიცით რით გათავდა პლატონის ცდა თავის იდეებს ეზიარებინა საბერძნეთის ერთერთი თვითმპყრობელი.

პლატონის ბედი საზოგადოთ ყველა უტოპისტების ბედია, ვინც მის შემდეგაც ცხოვრობდა, ბედი იმ ადამიანების, რომელნიც სახელმწიფოს ან საზოგადოების რეფორმაზე ოცნებობენ, მაგრამ ამისთვის საჭირო ფაქტორებს თვით სახელმწიფოში და საზოგადოებაში ვერ პოულობენ; თავისი ანგარიში უტოპისტებმა ძალაუნებურად რომელიმე პოლიტიკური ან ფინანსიური თვით-მპყრობელის, ფილოსოფოს—მეფის ან ფილოსოფოს—მილიონერის გულ-მოწყალეობის აქტზე უნდა დაამყარონ.

პლატონის დროის სახელმწიფოებში ჯერ არ არსებობდა ხალხის ის ფენა, რომლისაგან მოსალოდნელი ყოფილიყო სახელმწიფოებრივი ყოფა-ცხოვრების განახლება. ხალხის ყველა ნაწილებს ერთნაირად აჩნდა გახრწნისა და დაქვეითების ნიშნები; ბოლოს და ბოლოს რესპუბლიკანელებიც შეეჩვიენ იმ აზრს, რომ სახელმწიფოს ერთად ერთი შველა თვითმპყრობელობაშია. ქსენოფონტემ, იმავე ფილოსოფიური სკოლის მიმდევარმა, რომლის წარმომადგენელი პლატონი იყო, დასწერა რომანი „კიროპედია," რომელშიაც სიქველით შემკული მონარქის კეთილ ბატონობას ადიდებდა.

მალე პლატონის შემდეგ ფილოსოფოსებმა თვითმპყრობელობას შეხედეს უკვე არა როგორც სახელმწიფო ხელის უფლების მოპოების საშუალებას, არამედ მხოლოდ როგორც სახელმწიფო საქმეებზე ჭირვეული ზრუნვისაგან თავის ხსნის საშუალებას.

სახელმწიფოს დაცემა საზოგადო შეკნებაშიაც ჰპოულობს თავის ანარეკლს. ამიერიდან ფილოსოფოსებს აინტერესებს არა საზოგადოებრივი ცხოვრება, არამედ საკუთარი ძვირფასი „მე". საუკეთესო სახელმწიფოებრივ წესწყობილებას კი არ ეძებენ ეხლა ისინი, არამედ საუკეთესო საშუალებას პირადი ბედნიერების მისაღწევად.

თანდათან დგება ის ატმოსფერა, რომელმაც ქრისტიანობა წარმოშვა.

III. პირვანდელ ქრისტიანული კომუნიზმის ფესვები.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ამ წიგნის პირველ თავში აღწერილი და ათინის მაგალითით დასურათებული განვითარება ძველი დროის ყველა სახელმწიფოს და ერის ხვედრს წარმოადგენდა.

იგივე ბედი, რაც ათინას, რომსაც ეწვია, რომელმაც ძველი მსოფლიოს ყველა ხალხები დაიპყრო. როდესაც რომმა თავისი გა-

რეშე ძალის ზენიტს მიაღწია, შინაგანი მისი დაშლა უკვე შორს იყო წასული. მისი სამეფო, რომელიც ყველა ქვეყნებს შეიცავდა ხმელთა შუა ზღვის გარშემო, ერთ ტიპზე განვითარებულ სახელმწიფოთა ნარევს წარმოადგენდა. მათ შორის ზოგიერთმა, ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე სახელმწიფოებმა წინ გაუსწრეს რომს თავის განვითარებაში, სხვები კი—დასავლეთით და ჩრდილოეთით—ცოტათ თუ ბევრათ ჩამორჩენ მას. მაგრამ ჩამორჩენილი პროვინციები სწრაფი ტემპით ეწეოდენ დედაქალაქს და ბოლოს იმათაც რომთან ერთად ის დასასრული მოიახლოვეს, რომლის წინაშე უკვე იდგა საბერძნეთი და მისი აღმოსავლეთი ქვეყნები: სრული სოციალური დაშლა.

ჩვენ ვხედავდით, როგორ ირღვეოდა ათინის დემოკრატია და რესპუბლიკა მწიფდებოდა ერთმპყრობელობაზე გადასასვლელად. ასევე ვითარდებოდენ სხვა დემოკრატიებიც და მათ შორის რომის. ქრისტეს დაბადებას რომ სთვლიან იმ დროს იწყება რომის რესპუბლიკის უკანასკნელი კონვულსიები და ცეზარიზმის პირველი ნაბიჯები.

არისტოკრატიაც და დემოკრატიაც იმ ეპოქაში ერთნაირად უნიათო აღმოჩნდენ. თავისუფალი გლეხობა, რომის იმპერიის გული, დაძაბუნდა, ბევრ ადგილას სრულიად გაქრა და ალაგ-ალაგ მსხვილ მიწათმფლობელთა არენდატორების მდგომარეობაში ჩავარდა. გლეხობის ნანგრევებზე იზრდებოდა რომის დიდება და სახელგანთქმულობა. მუდმივმა ომებმა, რომელიც გლეხთა მილიციის საშუალებით წარმოებდა, დასცეს გლეხთა მეურნეობა: მსხვილი მიწათმფლობელის მეურნეობა კი, რომელსაც მონები ემსახურებოდნენ, სრულიადაც არ დაზარალებულა ომებისაგან. პირიქით სწორეთ ომები აწვდიდა მას არაჩვეულებრივათ იაფ მონებს. საკვირველი არ არის, რომ მონური მეურნეობა იმარჯვებდა და თავისუფალ გლეხთა მეურნეობის ადგილს იჭერდა. თავისუფალი ძლიერი გლეხობა დნებოდა, როგორც თოვლი მზის სხივების ქვეშ; ნაწილობრივ ის მხოლოდ სუსტდებოდა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში გლეხები ქალაქის პროლეტარების, მეკურტნეების, დამტარებლების, შინაურ მოსამსახურეთა და მათხოვრების მდგომარეობაში ვარდებოდენ. საკუთრებას მოკლებული გლეხები ქალაქებისაკენ მიეშურებოდენ და განთავისუფლებულ მონებთან ერთად თავისუფალ მოსახლეობის მდაბიო ფენას შეადგენდენ-

მაგრამ სანამ დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობდა, მასსების სიღარიბე არ ნიშნავდა აუცილებლათ მასსიურ ბოგანოებას. თუმცა მასსები მოკლებული იყვნენ ყოველივე საკუთრებას, პოლიტიკური ძალა ჯერ ხომ მათ ხელში იყო; და ამ ძალაზე დაყრდნობით ისინი

გვარიანათ ცხოვრობდნენ, იყენებდენ რა მას ათასგვარი საშვალებით რომაელ მდიდართა და დაპყრობილ მოხარკე ქვეყნების საძარცვავად.

პოლიტიკური ძალა-უფლება მათ აძლევდა არა მარტო პურს და სანახაობას, არამედ ზოგჯერ საწარმოო საშუალებებს, მიწის საკუთრებასაც.

რომის რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ საუკუნეებში მრავალი ცდა მოხდა ახალი გლეხობის შესაქმნელად საგლეხო მიწის ნაკვეთების პროლეტარებზე გაცემით. მაგრამ ყოველგვარი ცდა ეკონომიურ განვითარების ჩარხის შებრუნებისა უნაყოფო აღმოჩნდა, რადგან მსხვილი მიწათმფლობელთა პოლიტიკური და ეკონომიური ძალა მეტი აღმოჩნდა. მიწათმფლობელნი, სადაც შეეძლოთ, ხელს უშლიდენ ამ ცდების განხორციელებას, ხოლო იქ, სადაც მაინც ნოხერხდა თავისუფალ გლეხობის შექმნა, ავიწროვებდნენ ამ გლეხებს და მათ მიწებს იძენდენ. მაგრამ ამ ცდების დამარცხების მიზეზი ისიც იყო, რომ პარაზიტ—პროლეტარებს მუშაობა არ სურდათ; დიდ ქალაქში დროს ტარება ურჩევნოდათ შრომით და ზრუნვით სავსე სოფლის წვრილი გლეხის ცხოვრებას. პროლეტარები ხშირათ თვითონ არარათ აქცევდენ სოციალურ რეფორმებს, რომლებსაც მათივე ინტერესები უნდა დაეკმაყოფილა, მიღებულ მიწის ნაკვეთებს სწრაფად ანიავებდენ. ხშირად სხვა საშუალებითაც უწევდნენ წინააღმდეგობას სოციალურ რეფორმებს: მიჰყიდიდნენ თავის პოლიტიკურ ძალას მსხვილ მიწათმფლობელებს და ესენი კი ამ ძალას რეფორმების წინააღმდეგ გამოიყენებდენ.

სოციალური რეფორმის ყველაზე გრანდიოზული ცდა გრაკხების ხელმძღვანელობით მოხდა, ციბერი სემპრონი გრაკხისა (დაიბადა 163 წ., მოკლულ იქნა არისტოკრატების მიერ 133 წ. ქრ. შ-დე) და მისი უმცროსი ძმის გაი სემპრონი გრაკხისა. უკანასკნელი უფრო გაბედულად და ფართოდ განაგრძობდა უფროსი ძმის საქმეს, მაგრამ, ლატიფუნდიების მფლობელთა მძაფრი სიძულვილის მსხვერპლი გახდა თავის ძმასავით. ორივე გრაკხს ხანდისხან კომუნისტებს უწოდებენ, მაგრამ ეს ყოველი მხრით შემცდარი აზრია. ისინი კერძო საკუთრების მოსპობისკენ კი არ მიისწრაფოდნენ, არამედ ცდილობდნენ კერძო მესაკუთრენი შეექმნათ, ძლიერი გლეხობა აეღორძინებიათ—ეს უმტკიცესი საძირკველი კერძო საკუთრებისა.

გრაკხების რეფორმის პროგრამა და მათი მოქმედება სავსებით შეეფერებოდა იმ დროის ეკონომიურ ურთიერთობას. თუმცა იმ ხანაში არა მარტო წვრილი მიწათმფლობელობა იდევნებოდა მსხვილის

მიერ, არამედ ხშირად წვრილი წარმოებაც—მსხვილის მიერ, მაგრამ ეს იყო შედეგი არა მსხვილი წარმოების ტეხნიკური და ეკონომიური უპირატესობისა, არამედ მონათა არაჩვეულებრივი სიაფისა, ე. ი. იმ მუშა ხელის სიაფისა, რომელზედაც მსხვილი წარმოება იყო დამყარებული. დაუსრულებელი ომები აურაცხელ მონად ქცეულ ტყვეებს აძლევდა ბაზარს. რომაელთა ზოგიერთი ომი გამოწვეული იყო მხოლოდ მსხვილი მიწათმფლობელთა მრთხოვნილებით ჰყოლოდათ იაფი მონები, ეს ომები უბრალო ნადირობას წარმოადგენდა მონებზე.

მონები მოჰყავდათ აუარებელი მასსებით და საკვირველი არ არის რომ მათი ფასი არაჩვეულებრივად დაეცა. ჯერ ათინაშიაც—იმავე მიზეზით როგორც რომში—მონათა რაოდენობა ძალიან დიდი იყო. ძველი რომის მსოფლიო სამეფოში მონობის ბოროტება კიდევ უფრო გამძვინდა. რომაელი სარდალი ლუკულლი (პირველი საუკუნის მეორე ნახევარში ქრ. შ-მდე) მ ა ნ ე თ - ნ ა ხ ე ვ რ ა დ ასაღებდა (ჩვენი ფულის ანგარიშით) თითო ტყვეს მონად!

ხელსაყრელი გახდა შემთხვევით შეესყიდათ მონათა მთელი ჯარი—მდიდარ რომაელებს ათასობით ჰყავდათ მონები—და საერთო სამუშევრებზე დაეყენებიათ ისინი. მაგრამ ასეთი მსხვილი წარმოება ტეხნიკურად არაფრით სჯობდა წვრილ წარმოებას. მონათა შრომა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, უკიდურესად უხეში და უზოგველი იყო; თითო მონა მსხვილ წარმოებაში გაცილებით ნაკლებ პროდუკტს ამზადებდა, ვიდრე თავისუფალი მუშა წვრილ წარმოებაში.

მარკსი თავისი „კაპიტალ"-ის ერთ შენიშვნაში მონური შრომის შესახებ ამბობს: „მუშაკი აქ (მონურ შრომაზე დამყარებულ წარმოებაში), ძველების მოხდენილი სიტყვით, მხოლოდ როგორც instrumentum vocale (იარაღი, რომელსაც შეუძლია სიტყვებით გამოსთქვას თავისი გრძნობები) განირჩევა პირუტყვისაგან, როგორც instrumentum semivocale-საგან (იარაღი, რომელსაც ძლივს შეუძლია თავისი განცდის გამომჟღავნება) და უსულო შრომის იარაღისაგან, როგორც intsrumentum mutum-ისაგან (მუნჯი იარაღი). მაგრამ სამაგიეროთ ის თვითონ ცდილობს აგრძნობინოს პირუტყვსაც და შრომის იარაღსაც, რომ ის მათი მზგავსი არსება კი არ არის, არამედ ადამიანია. ცუდი მოპყრობით და იარაღის გაფუჭების ცდით, ის თითქოს მათგან თავის განსხვავებას ამტკიცებს და ამით ერთგვარათ საკუთარი ღირსების გრძნობას იკმაყოფილებს. ამიტომ ამგვარ წარმოების წესში ეკონომიურ პრინციპად იქცევა ყველაზე ტლანქი, ყველაზე მოუქნელი შრომის იარაღების გამოყენება, რადგან სწორეთ

ასეთი იარაღები უფრო გაუძლებენ თავისი მოუქნელობით გაფუჭებას და განადგურებას".

ამ შენიშვნას შეგვიძლია შემდეგი ადგილი შევადაროთ სისმონდის „Etude sur l'économie politique"-იდან (პარიზი 1837 წ.) მას ვრცელი ამონაწერი მოჰყავს შ. კონტის თხზულებიდან მონობის შესახებ და შემდეგ სხვათა შორის ამბობს: „ჩვენს დროში მონებს არავითარი ისეთი სამუშაოები არ ეხერხებათ, რომელიც გონებრივ განვითარებას, გემოვნებას და ყურადღებას მოითხოვს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ძველ რომშიაც მხატვრულ სამუშაოებს ის პირნი ასრულებდნენ, ვინც ჯერ თავისუფლად ყოფნისას დახელოვნდენ წარმოებაში და მხოლოდ ომის შემდეგ ჩავარდენ მონობაში. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მას შემდეგ, რაც რომაელებმა ყველა სამრეწველო ერები დაიმონეს და მონების შოვნა მხოლოდ ბარბაროსებისაგან შეეძლოთ, ხელოვნება და მრეწველობის ყველა დარგები სწრაფად მოისპო და თვით რომაელებიც გაბარბაროსდენ.

მაგრამ მონობა არა მარტო დამონებულთ რყვნის, არამედ თავისუფლებსაც: სამრეწველო შრომისადმი ის სიძულვილს ჰბადებს და ულარიბეს თავისუფალ მოქალაქეებს ხელს მასზე აღებინებს. პროლეტარების მდგომარეობა რომის რესპუბლიკაში, რომელნიც ყოველგვარ შრომას მოწყვეტილი იყვნენ ნაწილობრივ შრომის შეძულებისა გამო და, ნაწილობრივ, მონების კონკურენციის მიზეზით,—ეს მდგომარეობა შესანიშნავი და შემაძრწუნებელი მაგალითია სიღატაკისა და დეგრადაციის, რომელშიაც მონობამ ჩააგდო ხალხის ის ნაწილი, რომელიც არც ბატონებს არ ეკუთვნოდა და არც მსახურებს". (I, გვ. 382—393).

და თუ მიუხედავათ ამისა მონა მსხვილ წარმოებაში უფრო იაფ პროდუქტს ამზადებდა, ეს მხოლოთ იმ მიზეზით ხდებოდა, რომ მონა თითქმის არაფრათ ღირდა და, მონების სიაფისა და მასსიური მოწოდების გამო საჭირო აღარ იყო მათი დაზოგვა, რიგიანი კვება და ჩაცმა-დახურვა. რამდენიც არ უნდა დახოცილიყვნენ, მათი შენაცვლება სულ ადვილი იყო.

ამიდან სჩანს, რომ წვრილი წარმოების განდევნა მსხვილის მიერ რომში სხვა მიზეზებით იყო გამოწვეული, ვიდრე იგივე მოვლენა ჩვენს დროში. არც მიწათმოქმედებაში და არც ხელოსნობაში არ იყო აუცილებელი პირობები წვრილ წარმოებაზე უფრო მაღალი წარმოების წესის არსებობისათვის, არ იყო ნიადაგი კოლექტიური წარმოებისთვის. მაშასადამე თუ გრაკხები პროლეტარიატის ინტერესებს წარმოადგენდენ, მაგრამ ამავე დროს კომუნისტები სრულია-

დაც არ იყვნენ,—ეს სავსებით შეეფერება იმ ეკონომიურ პირობებს, რომელშიაც ისინი ცხოვრობდენ.

იგივე, რაც გრაკხებზე ვთქვით, შეიძლება კატილინაზე დაც ითქვას (დაიბადა 108 წ. ქრ. შ-დე),—მიწათმფლობელთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულების მეთაურზე. როდესაც მისი პარტიის ყოველი ცდა პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისა მარცხით გათავდა, კატილინამ ამხანაგებთან ერთად ძალას მიმართა და აჯანყება მოაწყო, მაგრამ მოწინააღმდეგე ძალთა სიმრავლემ იგი დასძლია და კატილინა დაიღუპა გმირულ ბრძოლაში (62 წ. ქრ. შ-დე). მასაც კომუნისტი უწოდეს, მოუზენმა კი—„ანარქისტიც“, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ. როგორც გრაკხებს, ისე მასაც არ ჰქონია მიზნად კერძო საკუთრების მოსპობა და კომუნისტური საზოგადოებრივი წესწყობილების დამყარება. მას სურდა ღარიბი ხალხის დახმარებით ხელში ჩაეგდო პოლიტიკური ძალა-უფლება და ეს ხალხი მესაკუთრეებად გადაექცია.

როცა პოლიტიკური ცხოვრება მიჰქრა და უქონებო ხალხი ისევე დაკნინდა პოლიტიკურად და მორალურად, როგორც მესაკუთრენი, მაშინ პროლეტარების და მათი მეგობრების აზრი სხვა მიმართულებით ამუშავდა. დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას ნიადაგი გამოეცალა, როგორც არისტოკრატიულს; შეიქმნა ხელსაყრელი პირობები კეისრის, თვითმპყრობელის, იმპერატორის, დაქირავებული ლაშქრის რომელიმე უფროსის ამაღლებისათვის და ბიუროკრატიის წარმოშობისათვის.

პოლიტიკურ ძალასთან ერთად ანტიურმა პროლეტარიატმა თავისი შემოსავლის ერთად ერთი წყაროც დაჰკარგა. ამიერიდან ღარიბათ ყოფნა მათხოვრად ყოფნას ნიშნავდა. მასსების პროლეტარიზაციამ ეხლა რომის საზოგადოებაში ისეთი ბნელი მოვლენები წარმოშვა, რომლის მზგავსი წინანდელმა ხანამ არ იცოდა. პაუპერიზმი, მასსიური სიღატაკე, მასსების ბოგანოება უდიდეს სოციალურ საკითხად გადაიქცა. ის სულ უფრო მკაცრად მოითხოვდა თავის გადაწყვეტას:

საზოგადოებრივი განვითარება ისევ ძველი მიმართულებით მიდიოდა, საშუალო ფენები სულ უფრო კოტრდებოდნენ, მდიდრები უფრო მდიდრდებოდნენ, პროლეტარების რიცხვი იზრდებოდა.

მაგრამ ამ სოციალური საკითხის გარდა სხვა საკითხებიც აღეღვებდა რომის იმპერიის საზოგადოებას. თავისუფალ გლეხთა გატიალება, რამაც ნიადაგი მოამზადა კეისრულ აბსოლიუტიზმზე გადასვლისათვის, მთელი საზოგადოების ეკონომიური დაშლას მოასწავებდა.

რომის სამხედრო დაუძლურება უფრო ადრე მოხდა, ვიდრე რომაელი საზოგადოების პოლიტიკური გაკოტრება. გლეხობასთან ერთად რომის მილიციის საძირკველიც გაჭქრა. მისი ადგილი დაქირავებულმა ჯარმა, დესპოტიზმის საუკეთესო ბურჯმა დაიჭირა. მაგრამ ამ ჯარს, შინაგან შეტაკებებში უძლეველს, მალე დაუდგა ძალიან ძნელი ამოცანა: მოგერიება გარეშე მტრის, განსაკუთრებით, გერმანელების, რომელნიც სულ უფრო მძლავრად უტევდენ იმპერიას იმ დროს, როდესაც რომის სამხედრო სისტემა აშკარათ ირღვეოდა.

ამან მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიური შედეგები გამოიწვია. დაპყრობითი ომები იშვიათი გახდა. დაუსრულებელი ომი საზღვრებზე სულ უფრო წმინდა მოგერიებითი ომის ხასიათს იღებდა; სამხედრო ტყვეების რიცხვი მცირდებოდა, ჯარი კი ილეოდა.

მცირდებოდა თანდათან მონების მოწოდებაც, მაგრამ მონებათა მასსების მომწოდებელ წყაროს დაშრობა ნიშნავდა იმ საძირკვლის დანგრევას, რომელზედაც მაშინდელი მსხვილი წარმოება იდგა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. მართალია, მონობა ჯერ სავსებით არ გამქრალა, მაგრამ მონა სულ უფრო ფუფუნების საგნად იქცეოდა.

მაგრამ ეს ცვლილება სრულიადაც არ ნიშნავდა თავისუფალ გლეხობისა და თავისუფალ ხელოსნობის აღორძინებას. მონათა შოვნის გაძნელებასთან ერთად თავისუფალი და ძლიერი ხელოსნობის ზრდა კი არ ხდებოდა, არამედ მრეწველობის დაშლა და დაცემა. მონურმა მეურნეობამ დააქცია და სრული დაღუპვის კარზე მიიყვანა გლეხობა. რომის იმპერიის იმ ნაწილებში, სადაც ეს მოხდა, გლეხურ მეურნეობას წელის გამართვა აღარ შეეძლო. საქმე იმაშია, რომ თუმცა მ ო ნ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა თანდათან სულ ნაკლებ შემოსავლიანი ხდებოდა, მსხვილი მიწათმფლობელობა მაინც დარჩა და უფრო სწრაფადაც ფართოვდებოდა: როგორც წინეთ, მსხვილ მიწათმფლობელს მეტის წარმატებით შეეძლო წვრილთან შედარებით წინააღმდეგობა გაეწია საიმპერიო მოხელეთა მტაცებლობისათვის და იმ აოხრების წინააღმდეგ ებრძოლა, რომელსაც უბედური ომები იწვევდა.

მაგრამ მონობაზე დამყარებული სოფლის მეურნეობა ბოლოს და ბოლოს მაინც ვერ ხეირობდა. მისი სფერო სულ უფრო ვიწროვდებოდა. მისი გვერდით ვითარდებოდა ახალი სისტემა: მსხვილი მამულები სავსებით ან ნაწილობრივ წვრილ ნაკვეთებად იქრებოდა, რომლებიც შემდეგ იჯარად იცემოდა განსაზღვრული გამოსაღების

და ნამუშევრის წილის ფასად. ამგვარ მოიჯარადრეებს კ ო ლ ო ნ ე-ბ ი ეწოდებოდა. შემდეგ საუკუნეებში მიწათმფლობელნი ცდილობ-დნენ რაც შეიძლება უფრო მკვიდრათ დაემაგრებინათ კოლონები მიწებზე. ეს კოლონები საშუალო საუკუნეების ნახევრად თავისუფალ გლეხების წინამორბედნი იყვნენ.

კოლონების მიწაზე მიმაგრების მიზეზი იყო საყოველთაო გა-ღატაკებიდან გამომდინარე / მ უ შ ა-ხ ე ლ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა რომის იმპერიაში. ხალხის კლებას ხელს უწყობდა მრავალი უბედური ომი. მოსახლეობა თვალსაჩინოდ კლებულობდა.

კოლონებისა და ჯარისკაცების შოვნის მიზნით, გაბატონებულ კლასსებს მრავლად უნდა მოეზიდნათ რომში უცხო ტომის ხალხი, ბარბაროსები. ბოლოს და ბოლოს სამხედრო და მწარმოებელი წოდე-ბები შემოსახლებული უცხოელებით და მათი შთამომავლობით გაიესო.

მაგრამ ეს მაინც არ კმაროდა მოსახლეობის დანაკლისის შე-საავსებად და ამიტომ აუცილებელი შეიქნა სულ უფრო ტლანქისა და მდაბიო-კულტუროსან ელემენტების შემოსახლება.

რომის კულტურას მხოლოდ იმით შეეძლო ამაღლებულიყო მიღ-წეულ დონემდე, რომ მას ჰარბი მუშა-ხელი გააჩნდა და დაუზოგვე-ლად ხარჯავდა შრომას. გაჰქრა თუ არა მუშა-ხელის სიჭარბე, გაჰ-ქრა პროდუქტების ნაჭარბიც, დაიწყო მიწათმოქმედებისა და მრე-წველობის რეგრესსი, პირველობა დაიჭირა შრომის უხეშმა და ბარ-ბაროსულმა წესებმა. შრომის ნაყოფიერების რეგრესს კი მეცნიე-რებისა და ხელოვნების რეგრესსიც მოსდევდა.

რომის საზოგადოების დაშლა დიდიხანი გაგრძელდა, მრავალმა საუკუნემ გაიარა, სანამ რომის იმპერია იმ დიადი სიმაღლიდან დაე-ცემოდა, რომელზედაც ის ავგუსტისა და მისი უახლოესი მემკვიდ-რეების ხანაში იდგა, და იმ საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რომელშიაც მას ხალხთა დიდმა გადასახლებამ მოუსწრო. მაგრამ ჩვენი ერის უკვე პირველ საუკუნეში მისი დაცემის მიმართულება საკმარისად მკაფიოდ გამოხატული და უეჭველი იყო. რომის დაშ-ლის პროცესში გაიზარდა ის ახალი საზოგადოებრივი ძალა, რომელ-მაც საყოველთაო გახრწნილებიდან გადაარჩინა ის, რისი გადარჩე-ნაც კი შეიძლებოდა, და შემდეგ რომის კულტურის ნაშთი გადასცა გერმანელებს; გერმანელებთან კი იგი, რომის კულტურის ნაშთი, ახალი და უფრო მაღალი კულტურის საფუძველი შეიქნა. ეს ძალა იყო ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა.

IV. პირველნდელ ქრისტიანული კომუნიზმის ბუნება.

როგორც საბერძნეთში მისი დაშლის ხანაში, ისე რომშიაც იმპერატორთა პერიოდში ყოველ მოაზროვნე კაცს, ვისაც კი გული შესტკივოდა თავისი ტანჯული ძმებისათვის, აფიქრებდა ამ საშინელ მდგომარეობიდან თავის დაღწევის საკითხი.

ამ საკითხზე ყველა სხვადასხვანაირ პასუხს იძლეოდა. აღორძინდა პლატონის იდეალებიც, მაგრამ ეხლა მათ ნაკლები გავლენის მოხდენა შეეძლო, ვიდრე მათი წარმოშობის ხანაში. თუმცა უმაღლესი წოდებები და თვით იმპერატორი გალლიენი და იმპერატორის მეუღლე სალონინა ისეთ წყალობას უჩენდნენ ნეო-პლატონიკოსს პ ლ ო ტ ი ნ ს (მესამე საუკუნეში ქრ. შ. შემდეგ), რომ მას მათი შემწეობით პლატონის სახელმწიფოს მზგავსი ქალაქის მოწყობაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ ამ მოდაში შესულ ფილოსოფოსის სადარბაზო კომუნიზმი მხოლოდ ერთი გასართობთაგანი იყო, რომლითაც დროს ჰკლავდა მაღალ კლასსების უსაქმო ხალხი. ცდაც არ მომხდარა გეგმის განსახორციელებლად, თუ ცდათ არ ჩავთვლით სახელის გამოგონებას კოლონიისათვის: Platonopolis, — პლატონის ქალაქი.

სახელმწიფოს ხელის უფლება ყველგან უნდობლობას და გულგრილობას ხვდებოდა. საზოგადოების შინაგანი გახრწნა იქამდის მივიდა, რომ არც ერთი მოკვდავისაგან, თუნდაც ეს უძლიერესი კეისარი ყოფილიყო არ მოელოდენ, რომ ის ახალი სიცოცხლის შთაბერვას შესძლებდა საზოგადოებისათვის. ეს მხოლოდ ზეადამიანურ ძალას, მხოლოდ სასწაულს თუ შეეძლო მოემოქმედნა.

ვისაც არ სჯეროდა სასწაული, რომელსაც რომის საზოგადოება უნდა ეხსნა, უიმედო პესიმიზმს ეძლეოდა და თავდავიწყებას ეძებდა უაზრო გასართობებში. მაგრამ იმ ფიცხელ ენტუზიასტთა შორის, ვისთვისაც ერთიც და მეორეც შეუძლებელი იყო მრავალმა სასწაული იწამა.

განსაკუთრებით ეს ხალხის ქვედა ფენის ენტუზიასტებს შეეხება. იმათ ყველაზე მეტად ტანჯავდა რომის საზოგადოების გახრწნილება. მათ არ გააჩნდათ სახსარი, რომ მხიარულებაში ეპოვნათ თავდავიწყება, და ამიტომ ვერ განიცდიდნენ იმ მონანების გრძნობას, რომელიც ჩვეულებრივ უაზრო განცხრომას მოსდევს და რომელიც პესსიმიზმსა და სასოწარკვეთილებას ადვილად ჰბადებს. ჩვეულებრივ მათ რიგებში ფესვს იდგამდა ის იდეა, რომ უახლოეს მომავალში ქვეყნიერებას ციდან მხსნელი მოეელინება და ამ ქვეყნად დიად სამეფოს შეჰქმნის, სადაც არ იქნება არც სიღარიბე, არც ომები და

სადაც სიხარული, სათნოება, კმაყოფილება და უსაზღვრო ნეტარება გამეფდება. ეს მხსნელი ღვთისგან ცხებული, ქრისტე [1]) იქნება.

რაკი ყოველგვარი სასწაული შესაძლებელი სჩანდა, ოცნებამ ყოველივე საზღვარი გადალახა და ყოველ მორწმუნეს შეეძლო წარმოედგინა მომავალი სამეფო სრულიად ფანტასტიური ფერებით. ამ მომავალში არა მარტო საზოგადოება შეიცვლება, არამედ მთელი ბუნებაც; იქ ყველაფერი გაჰქრება, რაც ადამიანისათვის მავნეა, ხოლო რაც სანეტაროა—უსაზღვროდ გადიდდება. [2])

ცნობილია საქრისტიანო თხზულება, რომელშიაც ასეთი მოლოდინი გამოიხატა. ეს არის ეგრედ წოდებული „გამოცხადება იოანე მახარობლისა", აპოკალიპსი, დაწერილი, ალბათ, მალე ნერონის სიკვდილის შემდეგ. ის წინასწარმეტყველებს, რომ სულ ახლო მომავალში საშინელი ბრძოლა გაიმართება დაბრუნებულ ნერონს, ანტიქრისტესა და ქრისტეს შორის, რომელიც კვლავ მოვა და რომ ამ ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებს მთელი ბუნება. ამ ბრძოლაში ქრისტე გაიმარჯვებს და ათასწლოვან სამეფოს შეჰქმნის; მართალნი, სიკვდილისაგან უძლეველნი, წარმართავენ ამ სამეფოს ქრისტესთან ერთად. ეს არ კმარა: ამ სამეფოს დასასრულის ჟამს გაჩნდება ახალი ცა და ახალი მიწა და ამ მიწაზე--ახალი იერუსალიმი, ნეტარების სასუფეველი.

ათასწლოვანი სამეფო--ეს მომავლის სახელმწიფოა პირვანდელი ქრისტიანობისათვის. ამასთან დაკავშირებით ქრისტიანულ სექტებში აღმოცენებულ მხურვალე მოლოდინს და ახალი მომავალი საზოგადოების მოიმედეობას ხილიაზმი [3]) ეწოდება.

„აპოკალიპსის" მზგავსათ ქრისტიანობის მრავალი მოძღვარი გამოსთქვამდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში თავის ხილიასტურ მოლოდინს და, ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად ირინეუსი (II საუკუნეში) და ლაქტანციუსი (დაახლოებით 320 წ.), ძალიან დაწვრილებით და გრძნობიერ ფერებით აღწერდენ ხოლმე ამ მომავლის მიწიერ სამოთხეს. [4])

---

[1]) ქრისტე - ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს „ცხებულს".

[2]) კორროდიმ თავისი „Kritische geschichte des Chiliasmus" (Frankfurt 1781) დაწვრილებით აღწერა და გაარჩია ეს ფანტაზიით შექმნილი საკვირველი ოცნებანი.

[3]) Chilis ბერძნულად ნიშნავს ათასს.

[4]) დიდ როლს თამაშობდა მომავალ ქრისტიანულ სამეფოში ღვინო და სიყვარული. ირინეუსი სწერდა: „მოვა დრო როდესაც აღმოცენდება ყურძენი, რომლის ყოველი ბუჩქი ათი ათასს ვაზს აისხამს, თითო ვაზი—ათი ათასს პატარა შტოს, თითო შტო—ათი ათასს მტევანს, თითო მტევანი—ათი ათასს მარცვალს

მაგრამ დროთა მსვლელობაში, როდესაც ქრისტიანობა უბედურთა და ჩაგრულთა, პროლეტარებისა და მონების რწმენიდან ძლიერთა და მდიდართა რელიგიად გადაიქცა, ხილიაზმი სულ უფრო მეტ უკმაყოფილებას იწვევდა ოფიციალურ ეკლესიაში: მართლაც ხილიაზმს ხომ ერთგვარი რევოლიუციონური იერი გადაჰკრავდა, ის არსებული საზოგადოების გადატრიალებას წინასწარმეტყველებდა.

ხილიასტური ოცნებები ერთ ერთი დამახასიათებელი თვისება იყო პირველდელ ქრისტიანობის სულიერი ცხოვრების. მაგრამ არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო მისი ტენდენციები პრაქტიკულ კომუნიზმისადმი.

სოციალ-დემოკრატიის მზგავსათ, პირველდელი ქრისტიანობა დაუძლეველი შეიქნა იმ დროის ხელის უფალთათვის, რადგან ის ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი გახდა მოსახლეობის მასსებისათვის. გამარჯვება მას მისმა პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ მ ა მ ო ღ ვ ა წ ე ო ბ ა მ მოუპოვა და არა ს ა თ ნ ო ო ც ნ ე ბ ე ბ მ ა.

ჩვენც ამ პრაქტიკული მოღვაწეობის განხილვაზე გადავალთ.

პაუპერიზმი, როგორც დავინახეთ, უდიდეს სოციალურ საკითხად გადაიქცა რომის საიმპერატორო ხანაში. სახელმწიფოს ყოველი ცდა მისი წინააღმდეგ ბრძოლისა უნაყოფო აღმოჩნდა. ზოგიერთმა იმპერატორმა და კერძო პირმა სცადეს რამე გაეწყოთ საქველმოქმედო დაწესებულებათა დაარსებით. მაგრამ დაარსებულ დაწესებულებათა რიცხვი სრულიად უმნიშვნელო იყო; ეს რამოდენიმე წვეთი წყალი იყო გახურებულ ქვაზე დასხურებული. თანაც რომის ხარბი ბიუროკრატია სრულებით არ გამოდგებოდა საქველმოქმედო დაწესებულებათა ხელმძღვანელად.

პესიმისტები და ისინი, ვინც განცხრომას ეძლეოდა, ისევე ექცეოდენ პაუპერიზმს, როგორც საზოგადოების და სახელმწიფოს დანარჩენ სატკივრებს, ე. ი. არაფერს არ აკეთებდნენ. ამბობდნენ: ფრიად სამწუხარო მოვლენაა, რომ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა; მაგრამ მისი დაძლევა შეუძლებელია და ფილოსოფოსებს არ ძალუძთ იმას ებრძოლონ, რაც გარდუვალია.

სულ სხვა პოზიცია დაიჭირეს სანგვინიკ-ენტუზიასტებმა და

და თითო მარცვლიდან ოცი კოკა ღვინო გამოიწურება". უნდა ვიფიქროთ რომ ამ ათასწლოვან სამეფოში წყურვილიც შესაფერი პროპორციით გაიზრდება. მაგრამ ორინეუსი უფრო ნაზ ნეტარებასაც ბატავს: „ახალგაზრდა ქალები ყმაწვილ კაცთა საზოგადოებაში გაერთობიან; მოხუცნი იმავე უფლებებით ისარგებლებენ და განცხრომაში გაიჭარვებენ თავის დარდებს". უკანასკნელი პერსპექტივა განსაკუთრებით მიმზიდველი უნდა ყოფილიყო რომის საზოგადოების fin de siecle-ს ხნიერ და ახალგაზრდა მოხუცებისათვის.

პროლეტარებმა, რომელთაც სიღატაკის სიმძიმე აწვა. მათ არ შეეძლოთ გულდამშვიდებით ეცქერათ სიღატაკისათვის, მათ უ ნ დ ა ეღონათ მისი ბოლოს მოღება. მაგრამ ჩაგრულებს ვერ უშველიდა მხოლოდ ოცნება იმ ნეტარებაზე, რომელიც ციდან მოვლენილ მესსიას უნდა მოეტანა. და, აი, სწორეთ იმ წრეებში, სადაც ხილიასტური ოცნებები იფურჩქნებოდა, გაჩნდა პრაქტიკული ცდაც არსებულ სიღატაკესთან ბრძოლისა.

ეს ცდა სულ სხვა ხასიათის იყო, ვიდრე გრაკხების საქმიანობა. გრაკხები სახელმწიფოს მიმართავდენ: სურდათ, რომ პროლეტარიატს ჩაეგდო ხელში პოლიტიკური ძალა-უფლება და თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებია იგი. იმპერატორთა ხანაში შეწყდა ყოველივე პოლიტიკური მოძრაობა და სახელმწიფო ხელის უფლება ყოველ მხრიდან მხოლოდ უნდობლობას ხვდებოდა. ამიტომ, გასაგებია, რომ ახალმა სოციალურმა რეფორმატორებმა საზოგადოების გარდაქმნა მოიწადინეს არა სახელმწიფოს საშუალებით, არამედ სახელმწიფოს ზურგს უკან და მისგან სრულიად დამოუკიდებელ განსაკუთრებული ორგანიზაციების საშუალებით.

მეტი მნიშვნელობა აქვს მეორე განსხვავებას. გრაკხების დროს მოძრაობა ნახევრად სოფლური იყო; ის ემყარებოდა არა მარტო ქალაქის პროლეტარებს, არამედ აგრეთვე გაღატაკებულ გლეხებს. მოძრაობის მიზანი იყო პროლეტარებიც გაეგლეხებინა. ქალაქის პროლეტარებსაც მთლად არ ჰქონდათ გაწყვეტილი კავშირი გლეხურ იდეალებთან.

იმპერატორთა პერიოდში ქალაქი უკვე სავსებით განკერძოებული იყო სოფლისაგან. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ორ ნაციას წარმოადგენდა, რომელთაც ერთი მეორის არა გაეგებოდათ რა. ქრისტიანული მოძრაობა თავის დასაწყისში მხოლოდ და მხოლოდ დიდ ქალაქების მოძრაობა იყო. „სოფლის მოსახლე“ და „არა ქრისტიანი“ ერთსა და იმავეს ნიშნავდა. უფრო მოგვიანო ქრისტიანები სიტყვას paganus (რაც ნიშნავს „სოფლის მცხოვრებს“) წარმართთა სახელწოდებად ხმარობდენ. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამ ცვლილებასთან იყო მჭიდროთ დაკავშირებული განსხვავება ერთის მხრით გრაკხების დროს მომხდარ სოციალურ რეფორმების ცდებსა და მეორეს მხრით საიმპერატორო პერიოდის ცდებს შორის. გრაკხებს სურდათ პლანტატორულ და ხაძოვრულ მეურნეობის ნაცვლად გლეხური მეურნეობა შეექმნათ; ისინი (გრაკხები) საკუთრების არსებულ განაწილებას შეეხენ, რადგან ცდილობდნენ საწარმოო წესების რეფორმისაკენ გაეკაფათ გზა. მაგრამ, როგორც დავინახეთ, სწორეთ

ამ მიზეზით გახდენ ისინი იძულებულნი ეცნოთ კერძო საკუთრება (წარმოების საშუალებებზე).

წინააღმდეგ ამისა, პირვანდელ ქრისტიანობის ხასიათი იმ კლასისის გავლენით გამომუშავდა, რომელსაც დიდი ქალაქების ლუმპენ-პროლეტარები შეადგენდენ, მეტ წილად უკვე მუშაობას გადაჩვეულნი. წარმოება ამ ელემენტებს არაფრად არ მიაჩნდათ. ჰგავდენ მინდვრის შროშანს, რომელიც არც სთესავს, არც რთავს და, მიუხედავად ამისა, ჰყვავის. და თუ საკუთრების განაწილებაში ცვლილების შეტანა სურდათ, მხედველობაში ჰქონდათ არა საწარმოო საშუალებათა საკუთრება, არამედ მოხმარების საგანთა საკუთრება. იმ დროის დიდი ქალაქების ლუმპენ-პროლეტარებისათვის მოხმარების კომუნიზმი სრულიადაც არ იყო უცხო რამ. რესპუბლიკის უკანასკნელ პერიოდში დრო-გამოშვებით, რეგულიარულად იმართებოდა საზოგადო ტრაპეზები აუარებელ მასსებისათვის, ურიგდებოდა მათ აგრეთვე სხვა საარსებო საშუალებანიც და ეს შემდეგ იმპერატორთა ხანაშიაც მეორდებოდა. რა უნდა ყოფილიყო უფრო ბუნებრივი პარაზიტ-პროლეტარებისათვის, თუ არა ამ ტრაპეზებისა და საჩუქრების გადაქცევა სისტემათ, მუდმივ კომუნიზმათ მოხმარების საშუალებათა არსებულ მარაგის მიმართ,—ნაწილობრივ თანასწორ განაწილებისა და ნაწილობრივ საერთო მოხმარების სახით.

ასე აღმოცენდა კომუნისტური იდეები და შემდეგ კომუნისტური სამრევლოები—ამ იდეების განსახორციელებლად. პირველად ასეთი სამრევლოები დაარსდა აღმოსავლეთში, რომელიც ეკონომიურად დასავლეთს წინ უსწრებდა. აპოკალიპსის იდეები ფართოდ გავრცელდა იუდეებს შორის ჯერ კიდევ ჩვენი ერის დამდეგში; მათთანვე—ქრისტეს შობამდე 100 წლით ადრე—ჩვენ ეხვდებით კომუნისტურ კავშირს, ე. წ. ესსეიების კავშირს.

„სიმდიდრე მათ არარაობად მიაჩნდათ, —გვეიამბობს ამ კავშირზე იოსები—პირიქით, პატიეს სცემენ ქონებათა საზიარობას და მათ შორის არავინ არ იყო სხვაზე მდიდარი. მათ აქვთ კანონი, რომლის ძალით, ყოველმა ორდენში შემავალმა მთელი თავისი დოვლათი უნდა გასცეს საერთოთ მოსახმარად. ამიტომაც მათ არც გაჰირვება იციან, არც სიჭარბე, ყოველივე საერთო აქვთ, როგორც ძმებს... ყველანი ერთ ქალაქში ცხოვრობენ, მაგრამ ყოველ ქალაქში საგანგებო სახლები აქვთ და საიდანაც არ უნდა მოვიდნენ იქ მათი ორდენის წევრები, ქონების წილს მიიღებენ, ასე რომ მოსულნი სარგებლობენ ქონებით როგორც საკუთარით. ისინი ერთმანეთს ადვილად უახლოვდებიან და თუგინდ არასდროს ერთმანეთი არ ენახათ,

ისე იქცევიან თითქოს მთელი სიცოცხლე მეგობრები ყოფილიყვნენ. როდესაც მოგზაურობენ, თან დააქვთ მხოლოდ იარაღი ავაზაკებისაგან თავის დასაცავად. ყოველ ქალაქში ჰყავთ კაცი, რომელიც სტუმრებზე ზრუნავს; ის ურიგებს შორიდან მოსულთ ტანთსაცმელსა და საჭმელ-სასმელს... ერთმანეთში ისინი არ ვაჭრობენ, მაგრამ თუ ერთი აძლევს რამეს მეორეს, უკანასკნელისაგან მიიღებს იმას, რაც თვით სჭირია. და თუ მას არა აქვს რა, რითაც დააჯილდოვოს მომცემი, მაინც თამამად შეუძლია მოსთხოვოს ვისაც სურს და რაც სურს".[1])

პირველად ქრისტიანებსაც სურდათ სრული კომუნიზმის განხორციელება. მათეს სახარებაში (19, 21) იესო ეუბნება მდიდარ მოწაფეს: „თუ გსურს იყო უნაკლო, წადი, გაჰყიდე ქონება შენი და მიეც გლახაკთ"[2]) „მოციქულთა მოღვაწეობაში"-ც იერუსალიმის პირველი სამრეველო (4, 32, 34) შემდეგ ნაირად არის აღწერილი: „და არავინ არ უწოდებდა ქონებას თავისს, არამედ ყოველივე ჰქონდათ საერთო... არავინ იყო მათ შორის გაჭირვებული, რადგან ყველა, ვისაც მიწა ან სახლი გააჩნდა, ჰყიდიდა და გაყიდულის ფასს მოიტანდა და მოციქულთა ფეხრთით დასდებდა; და ყველას ეძლეოდა ის, რაც სჭიროდა." ანანია და საპფირი, რომლებმაც გადამალეს სამრეველოსაგან თავისი ფულის ნაწილი, როგორც ცნობილია, სიკვდილით იქნენ ღვთისგან დასჯილნი.

პრაქტიკულად კომუნიზმის ამ სახეს ის ახასიათებდა, რომ წარმოების საშუალებებს მოსახმარ საგნებზე სცვლიდენ და უკანასკნელებს ღარიბებს ურიგებდენ. მაგრამ ეს პროგრამა რომ სავსებით და საყოველთაოთ განხორციელებულიყო, ყოველივე წარმოება სრულიად უნდა მოსპობილიყო. რა რიგ გულგრილი არ უნდა ყოფილიყვნენ წარმოებისადმი პირველი ქრისტიანენი,--ეს სიღატაკის ნამდვილი ფილოსოფოსნი, მათ მაინც არ შეეძლოთ არ გაეგოთ ის, რომ ამგვარ საძირკველზე შეუძლებელია ცოტა თუ ბევრად ფართო საზოგადოების აშენება და მისი ხანგრძლივი არსებობა.

წარმოების მაშინდელი მდგომარეობა მოითხოვდა კერძო საკუთრებას საწარმოო საშუალებებზე და ქრისტიანები ამ მხრით ვერაფერს გააწყობდენ. მაშასადამე უნდა ეცადათ კერძო საკუთრებისა და კომუნიზმის შერიგება. მაგრამ მათ არ შეეძლოთ პლატონის მზგავსათ კომუნიზმი არისტოკრატიის პრივილეგიათ გაეხადათ, ხოლო

---

[1]) Josephus, Geschichte des judischen Krieges, 2 Buch, 8, 3, 4.

[2]) შეადარეთ აგრეთვე სახარება მარკოზის, 10, 21 და ლუკასი, 12, 33, 18, 21.

ხალხის მასსისათვის კერძო საკუთრება დაეტოვებინათ, რადგან ეხლა კომუნიზმს სწორეთ ეს ხალხის მასსა მოითხოვდა.

კერძო საკუთრების და კომუნიზმის შეერთება ამგვარად მოხდა: სამრევლოს ყოველი წევრის განკარგულებაში დატოვეს მისი საკუთრება, სახელდობრ, საკუთრება წარმოების საშუალებათა, და შემოიღეს მხოლოდ მოხმარების კომუნიზმი, ე. ი. კომუნიზმი საარსებო საშუალებათა მოხმარებაში.

მართალია თეორიაში ასეთი განსხვავება არ იყო: მაშინ ეკონომიურ კატეგორიებს ასე მკაფიოთ არ საზღვრავდნენ ერთმანეთისაგან. მაგრამ პრაქტიკა სულ უფრო ამ მიმართულებით ეწყობოდა.

მესაკუთრეებს ნება ეძლეოდათ შეენახათ და ეხმარათ მათი კუთვნილი საწარმოო საშუალებანი, პირველ ყოვლისა, მიწის საკუთრება. მაგრამ ყველა მოხმარების საშუალებანი,—საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი, ბინები და აგრეთვე ფული, რომლითაც მოსახმარ საგნების ყიდვა შეიძლებოდა,—ყოველივე ეს, რაც მესაკუთრეს ეკუთვნოდა და მისი შენაძენი იყო, ქრისტიანულ სამრევლოს განკარგულებაში უნდა განწესებულიყო. „მაშასადამე ქონებათა საზიარობა მოხმარების საზიარობას წარმოადგენდა. ყოველ ქრისტიანეს, ძმური ურთიერთობის თანახმად ჰქონდა უფლება სამრევლოს ყველა წევრთა ქონებაზე და საჭიროების შემთხვევაში შეეძლო მოეთხოვა, რომ შეძლებულ წევრებს მიეცათ მისთვის თავისი მონაგარიდან იმდენი, რამდენიც მას ესაჭიროება. ყოველ ქრისტიანეს შეეძლო ესარგებლა თავისი ძმათა ქონებით და იმ ქრისტიანეს, ვისაც რაიმე საკუთრება გააჩნდა, არ შეეძლო უარი ეთქვა ხელმოკლე ძმის მიერ მისი ქონების სარგებლობაზე. მაგალითად, სახლს მოკლებულ ქრისტიანეს შეეძლო მეორე ქრისტიანესაგან მოეთხოვა თავისთვის ბინა, თუ უკანასკნელს ორი ან სამი სახლი ქონდა. მაგრამ მიუხედავათ ამისა მესაკუთრე ისევ თავისი სახლების მესაკუთრეთ რჩებოდა. მოხმარების საზიარობის გამო მას მხოლოდ ბინა უნდა დაეთმო სხვის სასარგებლოთ“.[1]) ადვილად გადსატანი საარსებო საშუალებანი, აგრეთვე ფული, უნდა შემოტანილიყო სამრევლოში, რომელიც ხოლმე საგანგებო პირს ირჩევდა ამ დოვლათთა განსაწესრიგებლად.

კერძო საკუთრების ცნობამ, თუმცა ნაწილობრივმა, შეანგრია იმ სრული კომუნიზმის კედელი, რომლისკენ მიისწრაფოდა ქრისტია-

---

[1]) I. L. Vogel, Altertümer der ersten und aeltesten Christen, Hamburg, 1760, გვ. 47.

ნობა თავისი წარმოშობის პირველ ხანაში. მაგრამ შემდეგ ეს კომუნიზმი სხვა მხრივაც შესუსტდა.

მოხმარების კომუნიზმი, როგორც ეს ჩვენ პლატონის სახელმწიფოს გაცნობისას დავინახეთ, უმჭიდროესად არის დაკავშირებული ოჯახისა და მონოგამიურ ქორწინების გაუქმებასთან.

ამ პირობის შესრულება ორნაირად არის შესაძლებელი: ცოლშვილის საზიარობის შემოღებით ან სქესობრივი კავშირის სრული უარყოფით, ე. ი. ცელიბატის საშუალებით. პლატონმა პირველი გზა აირჩია, ესსეებმა—მეორე: ესენი სრულ უქორწინობას მოითხოვდენ. თავისი აღმოცენების რადიკალურ—კომუნისტურ პერიოდში ქრისტიანობასაც ქონდა მიზნად ოჯახისა და ქორწინების მოსპობა, ამასთანავე ის ასკეტიზმის გზაზე იდგა, რაიც სავსებით შეეფერებოდა იმ დროის მონანიების სულისკვეთებას. მაგრამ ისეთი ქრისტიანული ქტებიც იყო,—მაგალითად, ადამიტების, გნოსტიკოსების (მეორე აუკუნეში),—რომელნიც ქადაგებდენ და ასრულებდენ კიდეც ოჯახისა და ქორწინების მოსპობის უფრო ცხოველმყოფელ ფორმას.

მათეს სახარებაში ქრისტე ამბობს (19, 29): „ყოველი, ვინც დასტოვებს სახლში თავის ძმას, ან დას, ან მამას, ან დედას, ან ცოლს ან მიწა-წყალს და ამათ ჩემს სახელს ანაცვალებს, ას წილად მეტს მიიღებს და მარადიულ სიცოცხლეს დაიმკვიდრებს". ლუკას სახარებაში ქრისტე ამბობს: „თუ ვინმე მოვა ჩემთან და არ შეიძულებს თავის მამას, დედას, ცოლს, შვილებს, ძმებს და დებს და თვით სიცოცხლეს თვისას, ის ვერ გახდება ჩემი მოწაფე" (14, 26)[1].

ყველა პირველდელ საქრისტიანო სამრეველოს ახასიათებს მისწრაფება თუნდაც ნაწილობრივ საოჯახო ცხოვრების გაუქმებისადმი. ყველას დაწესებული ქონდა საერთო ყოველდღიური ტრაპეზები (შეადარე „მოციქულთა მოღვაწეობა" 2,46). ასეთი სერობანი, აღაპები შეეფერება საერთო ტრაპეზებს, სისსიტებს—სპარტაში და პლატონის სახელმწიფოში.[2]) ყოველივე ეს იყო აუცილებელი შედეგი მოხმარების საშუალებათა კომუნიზმისა.

ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ქრისტიანობას არ შეეძლო დაეძლია არც წერილი წარმოება და არც კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე. მაგრამ წარმოების და საკუთრების ამ

[1]) შეადარეთ აგრეთვე მათეს სახარება 10, 37; 12, 46 და შემდეგი; მარკოზის 31, 3 და შემდეგი; 10, 29; ლუკასი 8, 20; 18, 29.

[2]) თუმცა, თუ დაუჯერებთ დაუმერს („Die geheimnisse des christlichen Altertums", Hamburg 1847). ეს ტრაპეზები უფრო კაცისჭამიობის ტრაპეზებს წარმოადგენდა, ვიდრე სიყვარულისას.

ფორმებთან აუცილებლად არის დაკავშირებული მონოგამიური ოჯახი,—არა მხოლოდ როგორც დედაკაც-მამაკაცისა, მშობლებისა და შვილების საერთო ცხოვრების ფორმა, არამედ როგორც სამეურნეო ერთეულიც. ქრისტიანობას არ შეეძლო წარმოების ახალი წესი შეექმნა: ამიტომ ის ოჯახის ტრადიციულ ფორმასაც უნდა შეჰგუებოდა, თუმცა უკანასკნელი მოხმარების კომუნიზმს ეწინააღმდეგებოდა. საზოგადოების ხასიათს აყალიბებს, საბოლოო ანგარიშში, არა მოხმარების არამედ წარმოების ორგანიზაცია. პრინციპიალურად ოჯახისა და ქორწინების უარყოფა იმდენადვე არ ეგუება ქრისტიანობის გავრცელებას საზოგადოებაში, რამდენადაც სრულყოფილ კომუნიზმს. ოჯახის სრული გაუქმება შეიძლებოდა მხოლოდ ზოგიერთ სექტაში და კორპორაციაში მომხდარიყო, საყოველთაოდ კი იგი არას დროს არ განხორციელებულა.

კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა, რომ მატერიალური ურთიერთობა იდეებზე ძლიერია, იდეებზე ბატონობს. ეკლესიასაც ძალა-უნებურად უნდა შეეფარდებინა თავისი მოძღვრება პირობების ცვალებადობისათვის, რომელსაც ქრისტიანობის გავრცელება იწვევდა. რაკი კომუნისტური ტრადიციის მოსპობა შეუძლებელი იყო, ცდილობდენ როგორმე მიეჩქმალათ იგი სხვადასხვა გვარ ახსნა-განმარტებით და შეერიგებინათ სინამდვილესთან ფილოსოფიური ხერხიანობით, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მაშინდელი ფილოსოფია უფრო ზმნობაში იყო გართული, ვიდრე მეცნიერულ კვლევა-ძიებაში.

თავისი განვითარების უფრო გვიან ხანაში ქრისტიანობამ ხელი აიღო სიღარიბის პრობლემის გადაწყვეტაზე, მდიდართა და ღარიბთა შორის განსხვავების მოსპობაზე. პირველი ქრისტიანენი აცხადებდენ, რომ ვერც ერთი მდიდარი ვერ შეეიდოდა ღვთის სამეუფოში, ე. ი. არ მიიღებოდა ქრისტიანეთა საზოგადოებაში, თუ მთელს თავის ქონებას ღარიბთ არ დაურიგებდა და თვითონ არ გაღარიბდებოდა: ცხონდებიან მხოლოდ ღარიბნი. ეხლა კი ეს წმინდა მატერიალური პირობები განმარტებულ იქნა, როგორც სულიერი დამოკიდებულებანი.

რატცინგერი ასე ახასიათებს თავის შრომაში („ეკლესიისაგან ღარიბთა შემწეობის ისტორია", ფრეიბურგი, 1860 წ.) ეკლესიის პირველ მოძღვართა აზრებს საკუთრების შესახებ: „ეკლესია მხოლოდ ღარიბთა სამსახურისთვის იყო მოწოდებული, მდიდრები ეკლესიიდან გამორიცხული იყვნენ. მაგრამ სიმდიდრის უარისყოფა როდი ნიშნავდა ქონებაზე სრულიად ხელის აღებას; საკმარისი იყო, თუ მდი-

დარი განთავისუფლდებოდა გადამეტებულ განცხრომისაგან, ქონების ნდომისაგან ან, მოკლეთ, სიხარბისაგან. მდიდარს გული უნდა განეშორებინა ყოველივე მიწიერი სიკეთისაგან, თავი ღვთისგან დანიშნულ მოურავად მიეჩნია, ეპატრონა ქონებისთვის ისე, თითქოს ის პატრონი არ არის, მას შეეძლო მხოლოდ იმით ესარგებლა, რაც მისი არსებობისათვის აუცილებელია, დანარჩენი კი, როგორც ღვთისგან დანიშნულ მოურავს, ღარიბებისათვის მოეხმარა". მაგრამ ღარიბიც, როგორც მდიდარი, არ უნდა მისწრაფებულიყო მიწიერი სიმდიდრისაკენ; თავის ხვედრს უნდა დასჯერებოდა და მადლობით მიეღო მდიდრის ნასუფრალი (გვ. 9,10).

შეუდარებელი ეკვილიბრისტიკაა! მთლათ კი არ უნდა განშორდე, არამედ მხოლოდ შენი გული უნდა განაშორო მიწიერ დოვლათის სამეფოსაგან, უნდა ჰფლო ისე, თითქოს არ ჰფლობ.

მაგრამ ამგვარ შერბილებულ ფორმითაც ქრისტიანობამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია საუკუნეთა განმავლობაში პაუპერიზმთან ბრძოლაში. მართალია, პაუპერიზმი ვერ მოსპო, მაგრამ თვითონ ისეთ ორგანიზაციად გადაიქცა, რომელმაც დიდათ შეანელა მასსების სიღატაკე თავის სფეროში; და შეიძლება ამაში ვითარებდა ქრისტიანობის წარმატების უმთავრესი მიზეზი.

მაგრამ რაც უფრო ძლიერდებოდა ქრისტიანობა, მით უფრო უმწეო ხდებოდა ის იმ სოციალურ პრობლემების წინაშე, რომლებიდანაც პირველად თავისი ძლიერება მოიღო. ქრისტიანობას არათუ არ შეეძლო ბოლო მოეღო კლასსთა სხვადასხვაობისათვის, რომელსაც თავის წარმოშობისას შეეყარა, არამედ თვით ჰქმნიდა ახალ კლასობრივ წინააღმდეგობას, რაც უფრო იზრდებოდა მისი ძალა და სიმდიდრე. ეკლესიის შიგნით ჩამოყალიბდა ბატონი—კლასსი—საღვდელოება და მისი მორჩილი ხალხის მასსა—ერისკაცნი, მრევლი.

პირველად ქრისტიანულ სამრევლოში სრული თვითმართველობა ბატონობდა. სამრევლოებს ნდობით აღჭურვილი პირნი განაგებდენ, ეპისკოპოზნი და პრესვიტერები, რომელთაც სამრევლო ირჩევდა თავისი წრიდან, როგორც რწმუნებულთ. თანამდებობა არ ანიჭებდა მათ არავითარ ნივთიერ უპირატესობას.

მაგრამ როდესაც ცალკე სამრევლოები გაფართოვდენ და გამდიდრდენ, წარმომადგენლებზე დაკისრებული მოვალეობა იმდენად გაიზარდა, რომ შეუძლებელი გახდა მისი სხვათა შორის შესრულება, სხვა საერო საქმეებთან ერთად. გაჩნდა შრომის განაწილება, საქრისტიანო სამრევლოს თანამდებობანი განსაკუთრებულ პროფესიე-

ბად გადაიქცა, რომლებიც ადამიანის მთელს შრომას საჭიროებდა-არ შეიძლებოდა საეკლესიო ქონება მხოლოდ ღარიბთა დასახმარებ-ლად მოხმარებულიყო. ამ ქონების ნაწილს საეკლესიო მართვა-გამ-გეობის, საკრებულო შენობათა მოვლისა და თანამდებობის პირთა შენახვის ხარჯები უნდა დაეფარა.

მაგრამ ვინ შეადგენდა მთავარ მასსას სამრევლოში?—ლუმპენ-პროლეტარები და ის მშრომელი პროლეტარები, რომელნიც ბოგანოებს უახლოვდებოდენ თავისი სოციალური მდგომარეობით და, მაშასადამე, თავისი გონებრივი განვითარებითაც. ამგვარ ელემენტებს არასოდეს არ ქონიათ უნარი იმ ძალა-უფლების შენარჩუნებისა, რომელსაც მას დემოკ-რატიული წესწყობილება ანიჭებდა. ამის შეძლება მათ ეკლესიაშიაც არ ქონდათ, როგორც არ ქონდათ რესპუბლიკაში. გაჰყიდეს და დაჰკარგეს თავისი ძალა-უფლება ეპ ი ს კ ო პ ო ზ ი ს სასარგებლოთ სწორეთ ისე, როგორც რომის რესპუბლიკაში იგივე ჰქნეს კ ე ი ს რ ი ს სასარგებლოთ.

ეპისკოპოზს თავისი ეკლესიის, ე. ი. თავისი სამრევლოს სა-კუთრება უნდა მოეურვა და საეკლესიო შემოსავლის მოხმარების წესი უნდა გამოემუშავებია. ეს მას ძალიან დიდ ძალას ანიჭებდა ბო-განო პროლეტარიატის მიმართ; და ეს ძალა მატულობდა საეკლესიო სიმდიდრეთა ზრდის პარალელურად. ეპისკოპოზები თანდათან სულ უფრო დამოუკიდებელი ხდებოდენ ამრჩევლებისაგან, ამრჩევლები კი, პირიქით, სულ უფრო დამოკიდებულნი ეპისკოპოზებისაგან.

ამავე დროს ცალკე სამრევლოები, წინეთ სრულიად განკერძოე-ბულნი, თანდათან ერთიანდებოდენ ერთს დიდ კავშირში, საერთო ეკლესიაში. მიზანთა და შეხედულებათა იგივეობა და ერთნაირი დევ-ნა დიდი ხანია აიძულებდა ცალკე სამრევლოებს კავშირი დაეჭირათ ერთმანეთთან დელეგატებისა და მიმოწერის საშუალებით. მეორე სა-უკუნის დამლეგისათვის საბერძნეთისა და აზიის მრავალ ეკლესიის ურთიერთ კავშირი უკვე იმდენად მჭიდრო იყო, რომ ცალკე პროვინ-ციების ეკლესიები უფრო მტკიცე კავშირებში გაერთიანდენ; ამათი უმაღლესი ინსტანცია იყო რწმუნებულთა ყრილობები (სობორო), ეპისკოპოზთა სინოდები. სინოდებმა მნიშვნელოვნად შეზღუდეს ცა-ლკე სამრევლოების თვითმართველობა და, პირიქით, ხელი შეუწყვეს ეპისკოპოზთა მრევლზე გაბატონებას.

ბოლოს რომის იმპერიის ყველა საქრისტეანო სამრევლოები ერთს კავშირში ერთიანდებიან და უკვე მეოთხე საუკუნეში ქრ. შ. შემდეგ იკრიბება სინოდები, სობოროები მთელი იმპერიის წარ-მომადგენელთაგან (პირველი—325 წ. ნიკეაში)

სინოდებში მთავარ როლს თამაშობდენ ეპისკოპოზები,—უმ-

დიდრეს და უძლიერეს სამრევლოთა წარმომადგენლები. ამგვარათ დასავლეთის საქრისტეანო მსოფლიოს სათავეში გაჩნდა რომის ეპისკოპოზი.

ეპისკოპოზის ხელის უფლების ზრდა იწვევდა ბრძოლას და შეხლა-შემოხლას, ბრძოლას სახელმწიფო ხელის უფლებასთან, რომელსაც არ ურიგდებოდა ახალ სახელმწიფოს გაჩენას სახელმწიფოს შიგნით, ბრძოლას ცალკე ორგანიზაციებს შორის და ორგანიზაციების შიგნით, სამღვდელოებასა და ხალხს შორის. უკანასკნელი სახის შეტაკებებში ჩვეულებრივად სამღვდელოება იმარჯვებდა. უკვე მესამე საუკუნეში თითქმის ყველგან ხალხს მხოლოდ საეკლესიო მოხელეთა დამტკიცების უფლება შერჩა. მოხელენი შეკავშირებული იყვნენ კარჩაკეტილ ორგანიზაციაში, რომელიც საკუთარი მოსაზრებით ღებულობდა ახალ წევრებს და ისე განაგებდა საეკლესიო ქონებას, როგორც მას საჭიროთ მიაჩნდა.

ამ დროიდან ეკლესია ისეთ ორგანიზაციად გადაიქცა რომის იმპერიის შიგნით, რომელიც ბრწყინვალე კარიერის შესაძლებლობას უხსნიდა პატივმოყვარე პირებს. პოლიტიკური ცხოერება მიჰქრა, პოლიტიკური კარიერა შეუძლებელი იყო, სამხედრო სამსახურს აძლევდენ მხოლოდ დაქირავებულ ბარბაროსებს, მეცნიერება და ხელოვნება სულს ღაფავდა და სახელმწიფო მართვა-გამგეობა სულ უფრო იხრწნებოდა.

ეხლა მხოლოდ ეკლესია იჩენდა სიცოცხლეს და მოძრაობას. საზოგადოებრიეი ძალა-უფლების მოსაპოებლად უკეთესი საშუალება ეკლესია იყო. წარმართულ ქვეყნიერების თითქმის ყველა მხნე და ინტელიგენტური ელემენტი ქრისტიანობას იღებდა და ქრისტიანობაში საეკლესიო კარიერას ირჩევდა. სახელმწიფო ხელის უფლებასთან ბრძოლაში დაუძლეველი ეკლესია თვითონ შეუდგა ამ ხელის უფლების დამორჩილებას.

მეოთხე საუკუნის დამდეგში სამეფო ტახტის მარჯვე პრეტენდენტს კონსტანტინეს უკვე შეეგნო, რომ გამარჯვება იმას ხვდებოდა, ვინც თავის მხარეზე გადმოიბირებდა ქრისტიანეთა ღმერთს, ე. ი. ვინც კარგ განწყობილებას შექმნიდა საქრისტიანო სამღვდელოებასთან. კონსტანტინეს დახმარებით ქრისტიანობა გაბატონდა და ცოტა ხნის შემდეგ ერთად ერთი რელიგია გახდა რომის იმპერიაში. ამ დროიდან საეკლესიო ქონებათა ზრდა არა ჩვეულებრივი სისწრაფით წავიდა. იმპერატორები და კერძო პირნი ერთმანეთს მეტოქეობას უწევდენ ეკლესიის დასაჩუქრებაში: ყველა ცდილობდა საჩუქრებით ეყიდა ახალი საზოგადოებრიეი ძალის მფარველობა. მეორეს მხრით

აუცილებლობა აიძულებდა იმპერატორს დაევალა საეკლესიო ბიუროკრატიისათვის მთელი რიგი სახელმწიფო და მუნიციპალურ საქმეთა განმგებლობა, რისი შეძლება გახრწნილ სახელმწიფო ბიუროკრატიას აღარ ქონდა. ჯილდოთ ამგვარ სამსახურისათვის იმპერატორებს უნდა დაეთმოთ ეკლესიისათვის შემოსავლის ზოგიერთი წყაროები.

თავდაპირველად საჩუქრები, რომლებიც სამრევლოს წევრებს შეჰქონდათ ეკლესიაში, სავსებით ნებაყოფლობითი იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეკლესია სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ ჩადგა, მან უკვე რეგულიარული დაბეგვრა დაიწყო. შემოღებულ იქნა ა თ ე უ ლ ი, რომელსაც ჯერ მორალური ზემოქმედებით კრეფდენ, მერე კი იძულებითაც [1]).

ეკლესია საშინლად გამდიდრდა, სამღვდელოებამ კი მრევლისაგან სრულს დამოუკიდებლობას მიაღწია. საკვირველი არ არის, რომ რაც ეკლესიის ქონება იზრდებოდა, მით უფრო ნაკლებ განაგებდა სამღვდელოება მას ღარიბთა ინტერესებისათვის. სამღვდელოება თვითონ ხმარობდა მას; გაუმაძღრობა და ხელგაშლილობა გამეფდა ეკლესიაში, განსაკუთრებით, ისეთ მდიდარ სამრევლოებში, როგორიც იყო რომი, კონსტანტინოპოლი, ალექსანდრია და სხვა. კომუნისტურ დაწესებულებიდან ეკლესია ექსპლოატაციის ვეებერთელა მექანიზმათ გადაიქცა, როგორიც ჯერ ქვეყნიერებას არ უნახავს. უკვე მეხუთე საუკუნეში ეკლესიაში ფეხი მოიდგა ჩვეულებამ, რომლის ძალით საეკლესიო შემოსავალი ოთხ ნაწილათ იყოფებოდა. ერთი ნაწილი ეკუთვნოდა ეპისკოპოზს, მეორე— მის სამღვდელოებას, მესამე კულტის მოთხოვნილებას ხმარდებოდა (ტაძრების აშენება და შენახვა და სხვა) და მხოლოდ ე რ თ ი მეოთხედი შეადგენდა ღარიბთა წილს. მაშასადამე ყველა ღარიბნი სწორეთ იმდენს იღებდენ, რამდენსაც ერთი ეპისკოპოზი!

სრულიად შესაძლებელია, რომ ასეთი განაწილებაც კი არა სამღვდელოების ინტერესით დაწესდა, არამედ ღარიბთა დასაცავად,— იმ მიზნით რომ ბატონ სულიერ მწყემსებს მთლათ არ მიეთვისებინათ ეკლესიის ქონება.

მაგრამ ქრისტიანობის კომუნისტურ იდეების დახშობა შეუძლებელი იყო, სანამ მათი წარმომშობი საზოგადოებრივი ურთიერთობა არსებობდა. რომის იმპერიის დროს და ხალხთა გადასახლების ხანაში საეკლესიო ქონება ღარიბთა საკუთრებათ ითელებოდა (patri-

[1]) მეორე საეკლესიო ყრილობამ (ტური, 567 წ.) დაადგინა, რომ მორწმუნეებს ათეული თავისი ყმებისთვისაც უნდა გადაეხადათ

monium pauperum) და ვერც ერთი საეკლესიო მოძღვარი, ვერავითარი ყრილობა ვერ გაბედავდა ამის უარყოფას. რასაკვირველია, საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობის ხარჯი ძალიან დიდი იყო, ის თითქმის ყველა შემოსავლებს ნთქავდა, მაგრამ, სჩანს, ასეთი ყოფილა საქველმოქმედო დაწესებულებათა უმრავლესობის თვისება. მაგრამ მაინც ვერავინ ვერ განაცხადებდა საქველმოქმედო ქონებათა მოურავები მესაკუთრენი არიანო.

ამ უკანასკნელ ნაბიჯის გადადგმა, რაიც ეკლესიის კომუნისტური დასაწყისის სრული უარყოფა იქნებოდა, შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემოსეულმა გერმანელებმა შეჰქმნეს სრულიად ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძველი, როგორც რომის მსოფლიოს, ისე ეკლესიისთვისაც.

V. საეკლესიო ქონება საშუალო საუკუნოებში.

ქრისტიანობა უძლური აღმოჩდა—და სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო—წარმოების ახალი წესის შექმნაში და სოციალურ დამოკიდებულებათა გადახალისებაში. ამიტოს მას არ შეეძლო რომის იმპერიის ხსნა დაღუპვისაგან და თუ მიუხედავად ღრმა საზოგადოებრივი რღვევისა, რომს სული ედგა კიდევ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში, ეს მოხდა არა ქრისტიანობის არამედ, წარმართ—ბარბაროსთა, გერმანელთა წყალობით. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ისინი, როგორც დაქირავებული ჯარისკაცნი და გარედან მოსული გლეხები, ბურჯად ჩაუდგენ წელმოწყვეტილ საზოგადოებას.

მაგრამ შემოტეული გერმანელი ტომები ვერ დაკმაყოფილდებოდენ დაქირავებულ ჯარში სამსახურით და კოლონების მდგომარეობით. არსებითად, კოლონატმა და დაქირავებულმა ლაშქარმა მხოლოდ იმპერიის სისუსტე გაუმჟღავნეს ბარბაროსებს და ის მრავალგვარი ნეტარებანი აგემეს მათ, რომლებიც მხოლოდ რომის იმპერიაში იყო შესაძლებელი. ამან მხოლოდ გააძლიერა გერმანელთა ლტოლვა სამხრეთისაკენ. ბოლოს და ბოლოს გერმანელებმა დაიპყრეს და შთანთქეს იმპერია. ურდოს ურდო მოსდევედა და ერთი მეორეს წინ მირეკავდა, სანამ ბოლოს ქაოსი სიმშვიდით არ შეიცვალა. ზოგიერთი ტომი ერთ ალაგას დამკვიდრდა, ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფოები და განვითარდა ახალი საზოგადოებრივი წესწყობილება.

ხალხთა გადასახლების ხანაში გერმანელები ჯერ პირველყოფილ აგრარულ კომუნიზმის საფეხურზე იდგენ. ცალკე ტომები, გვარები და თემები შეადგენდენ ბუნებრივად გაზრდილ ამხანაგობებს თემ-მარ-

კებს, რომლებშიაც მიწის თემური საკუთრება იყო დაცული. მართალია, ეზო და სახლი უკვე ცალკე ოჯახების კერძო საკუთრებაში იყო გადასული, სახნავი მიწაც ცალკე ოჯახების სარგებლობაში რიგდებოდა, მაგრამ მისი საკუთრების უფლება თემს ეკუთვნოდა. თემსავე ეკუთვნოდა საძოვრები, ტყე და წყალი. ხალხთა გადასახლების ხანიდან ბოლო მოეღო იმ საღარიბეს, რომელსაც წინანდელ დაშლილ საზოგადოებაში მასსიურ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, საშუალო საუკუნოებშიაც ქონდა ადგილი ხალხის ფართო მასსების გაჭირვებას. მაგრამ ის ჩნდებოდა მოუსავლობის, ომისა და ეპიდემიურ სნეულებათა შედეგად და არა მასსების პროლეტარიზაციის მიზეზით. გარდა ამისა ამგვარი სიღატაკე გარდამავალი იყო და არა სამუდამო. გაჭირვებულთ არ სტოვებდნენ ბედის ანაბარათ: თემი, რომელსაც ისინი ეკუთვნოდენ, იცავდა და ეხმარებოდა მათ.

ეკლესიის ქველმოქმედებამ დაჰკარგა საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელ ფაქტორის მნიშვნელობა. თვით ეკლესიის ორგანიზაციამ ხალხთა გადასახლების ქარტეხილს გაუძლო, მაგრამ გაუძლო მხოლოდ იმიტომ, რომ ახალ პირობებს შეეგუა და წინანდელი ხასიათი სრულიად შეიცვალა. საქველმოქმედო დაწესებულებიდან ეკლესია პოლიტიკურ დაწესებულებათ გადაიქცა. მისი პილიტიკური ფუნქციები, სიმდიდრესთან ერთად, ეკლესიის ძლიერების წყარო შეიქნა საშუალო საუკუნეებში. ეკლესიამ დაიცვა თავისი სიმდიდრე ხალხთა გადასახლების ქარცეცხლისაგან და ძველი საზოდოებიდან ახალში გადაიტანა. თუმცა დიდი ქონება დაკარგა ეკლესიამ, მაგრამ შესძლო დანაკარგის ანაზღაურება და კიდეე მეტის შეძენაც. გერმანელების ყველა საქრისტეანო სახელმწიფოში ის გადაიქცა უდიდეს მიწათმფლობელად, მას ეკუთვნოდა ჩვეულებრივ მთელი მიწის მესამედი და ზოგიერთ ქვეყანაში ამაზე მეტიც.

ეკლესიის აურაცხელი ქონება ეხლა ოდნავათაც აღარ წარმოადგენდა ღარიბთა ქონებას. კარლოს დიდს სურდა გადმოეტანა საფრანგეთში, რომის იმპერიის სხვა მრავალ დაწესებულებებთან ერთად, საეკლესიო შემოსავალთა ოთხ თანასწორ წილად გაყოფის წესი. მაგრამ, მისი მრავალი „რეფორმის“ მზგავსად, ესეც ქაღალდზე, ან უკეთ რომ ვთქვათ, პერგამენტზე დარჩა. კარლოსის სიკვდილიდან რამოდენიმე წლის შემდეგ გაჩნდა ე. წ. ისიდორეს დეკრეტალიები, უნამესოდ შეთხზულ ყალბ დოკუმენტების კრებული, რომელსაც პაპების პრეტენზიები უნდა გაემართლა და მათი პოლიტიკის იურიდიული საფუძველი უნდა გამხდარიყო. საეკლესიო

ქონებათა შესახებ დეკრეტალიებში განცხადებულია, რომ ღარიბებათ, რომელთაც ეს ქონებები ეკუთვნის, უნდა იგულისხმებოდეს სიღარიბის აღთქმა-მიცემული სამღვდელოება. ეს თეორია საყოველთაოდ გავრცელდა და მის შემდეგ საეკლესიო ქონებას სამღვდელოების ქონებად სთვლიდენ. მე-XII საუკუნეში ეს თეორია ლოგიურათ დაგვირგვინდა: უკვე იმას ამტკიცებდენ რომ ეკლესიის მთელი ავლა-დიდება ეკუთვნის პაპს, რომელიც საკუთარის მოსაზრებით განაგებს მას.

ეს შეხედულება სავსებით შეესაბამებოდა ფაქტთა ვითარებას, —იმ გაბატონებულ მდგომარეობას, რომელიც ეკლესიას ეჭირა სახელმწიფოში და საზოგადოებაში და პაპობას—ეკლესიაში.

ამ ცვლილებას საეკლესიო ქონებათა განაწილების ხასიათისა ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. მან ცელიბატის, სამღვდელო პირთა უქორწინობის შემოღება გამოიწვია. იდეოლოგიურ ხასიათის მოსაზრებით ზოგიერთი მიმართულება ეკლესიაში წინეთაც მოითხოვდა სამღვდელოების უქორწინობას, ზოგიერთ შემთხვევაში შემოიღეს კიდეც, მაგრამ ამის სრული განხორციელება არ ხერხდებოდა. ამ მისწრაფებამ მხოლოდ მაშინ გასჭრა, როდესაც მას მატერიალური ინტერესები დაუკავშირდა, სახელდობრ მზურვნელობა საეკლესიო ქონებაზე. სანამ უკანასკნელი სამრევლოს ქონებათ ითვლებოდა და ეპისკოპოზებს მხოლოდ მისი მოურავობა ევალებოდა, სასულიერო პირთა ოჯახიანობა საშიში არ იყო ქონების მთლიანობისათვის. საქმე შეიცვალა იმის შემდეგ, რაც საეკლესიო ქონება თვით სამღვდელოების ქონებად გადაიქცა. ეხლა სამღვდელოების ყოველი წევრი, რომელსაც შვილები ყავდა, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი გადაეცა შვილებისათვის საეკლესიო ქონებიდან. „ყოველ ნაბიჯზე ხდებოდა, რომ მღვდლის შვილები არა თუ იღებდენ დედ-მამისაგან სამემკვიდრეო ქონებას, არამედ პრეტენზიას აგრეთვე იმ საეკლესიო ქონებაზე აცხადებდენ, რომლითაც მშობლები სარგებლობდენ". (Giesebrecht, geschichte der deutschen Kaiserzeit, II გვ. 406). ჰეშმარიტათ გულგასაგმირად ჩიოდა ამის გამო ბენედიქტე VIII ტესსინის ყრილობაზე (1014 და 1024 წ. წ. შუა): „საზიზღარი მამები (ე. ი. ცოლ-შვილიანი სასულიერო პირნი) თავისი საზიზღარ შვილებისათვის ართმევენ ეკლესიას აუარებელ მიწას, მამულებს, საზოგადოთ ყველაფერს, რისი წაღლეტაც კი შესაძლებელია საეკლესიო ქონებიდან,—რადგან არაფერი სხვა მათ არ გააჩნიათ" და სხვა (Gieseler, Lehrbuch der Kirchengeschichte, Bonn 1831, I გვ. 282. გიზელერმა მიაქცია ჩვენი ყურადღება საეკლესიო ქონებებსა და სამღვდელო პირთა უქორწინობის შორის არსებულ კავშირზე). მაგრამ

ნამდვილი წინააღმდეგობის გაწევა საეკლესიო ქონების ფლანგველობისა და სამღვდელო პირთა შვილებზე მისი გადასელისათვის შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც პაპის ერთმპყრობელობა მტკიცე საძირკველზე დამკვიდრდა. ამ დროიდან პაპის ხელის უფლების ერთერთ მთავარ ამოცანას სამღვდელო პირთა ქორწინებასთან ბრძოლა შეადგენდა. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით ლეო IX (1048—1054) გადადგა, ხოლო ენერგიულმა გრიგოლ VII-მ (1073—1085) უსასტიკესად აუკრძალა მღვდლებს ქორწინება. მიუხედავათ ამისა კიდევ ბევრი დრო გავიდა, სანამ მღვდლების უქორწინობა საყოველთაოთ იქნა ღიარებული ალპებიდან ჩრდილოეთს ქვეყნებში. ჯერ კიდევ 1220 წ. ლიუციხში და 1230 წ. ციურიხში შეეხვდებოდით ცოლიან სასულიერო პირთ, რომელთაც შერჩენიათ თანამდებობა და ხარისხი (gieseler, იქვე, გვ. 290).

რეფორმაციის ხანაში, როცა საეკლესიო ქონება საერო ხელმწიფეებმა ჩაიგდეს ხელში და სასულიერო პირნი ჯამაგირზე აყვანილ სახელმწიფო მოხელეებათ გადაიქცენ, ბუნებრივად სრულიად გაჰქრა უქორწინობის ინტერესი სამღვდელოებაში. პროტესტანტ სასულიერო პირს შეუძლია იყოლიოს შვილები, რამდენიც მას სურს: საეკლესიო ქონებას ვერ მიისაკუთრებს შვილებზე გადასაცემათ.

ამგვარათ, როგორც დავინახეთ საშუალო საუკუნეებში საეკლესიო ქონება ღარიბებს აღარ ეკუთვნოდა. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საეკლესიო ორგანიზაციები არავითარ დახმარებას არ უწევდენ ღარიბებს, რამდენათაც ასეთნი არსებობდენ საშუალო საუკუნეებში. მართალია, საშუალო საუკუნეების პირველ ხანაში არ არსებობდა პროლეტარიატი ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით,--შეიძლება არსებობდა მხოლოდ რამოდენიმე ქალაქში. მაგრამ ხანდახან, როგორც აღვნიშნეთ, იყო მრავალი გაჭირვებული: მოუსავლობის დროს-- მშიერნი, ეპიდემიების დროს -- ავადმყოფნი, ქერიეობოლნი, თავის მარჩენალ ოჯახს მოწყვეტილნი, ომის დროს—უსახლკარონი, მტრით გამოდევნილნი მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებიდან.

ამგვარ გაჭირვებულთა დახმარება საშუალო საუკუნეებში ყოველი მესაკუთრის მოვალეობად ითვლებოდა, პირველად ყოვლისა, მიწათმფლობელის და მაშასადამე ეკლესიისაც, როგორც უდიდესი მიწათმფლობელის. ამ მოვალეობას ეკლესია იმიტომ კი არ ასრულებდა, რომ განსაკუთრებულ საქველმოქმედო დაწესებულებას წარმოადგენდა, არამედ იმიტომ რომ მესაკუთრე იყო. მაშასადამე, ამგვარ მოვალეობათა შესრულება გამომდინარეობდა არა რომელიმე განსაკუთრებულ ქრისტიანულ პრინციპიდან, არამედ ყველა დაბალ-

კულტურისან ხალხებისათვის საერთო და, თუ გნებავთ, წარმართულ პრინციპიდან: ს ტ უ მ ა რ თ მ ო ყ ვ ა რ ე ო ბ ი ს მოთხოვნილებიდან.

ყოველ ხალხს, რომელსაც პირველყოფილი კომუნიზმი ქონია, ან მისი კვალი დარჩენია, ყოველ ასეთ ხალხს ახასიათებს თავისი ქონების გაცემის მიდრეკილება. უცხოელი მისთვის იმდენად იშვიათი და უჩვეულო მოვლენაა, რომ გულგრილათ ვერ მოექცევა მას. სხვადასხვა პირობის მიხედვით, მაგალითად იმის, თუ საიდან მოსულა და როგორ უჭირავს თავი, მას ან ებრძოდენ, როგორც მტერს, ან პატივს სცემდნენ, როგორც სტუმარს და ოჯახის ძვირფას წევრს; ან თავს გაუხეთქავდენ ან დაუთმობდენ სახლს და ეზოს, საშზარეულოს და მარანს, და ზოგჯერ, საქორწინო სარეცელსაც.

პროდუქტთა ნაჭარბის გაცემის ჩვეულება, ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ ასეთი ნაჭარბი რჩება, ყოველთვის იჩენს თავს, სანამ არსებობს ე. წ. ნატურალური მეურნეობა, სანამ პროდუქტები მზადდება არა ბაზრისათვის ან შეკვეთით, არა გასაყიდათ, არამედ ს ა კ უ თ რ ი ვ მ ო ს ა ხ მ ა რ ა დ. საშუალო საუკუნეებში წარმოების ეს წესი ბატონობდა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, ხოლო ეს დარგი წარმოებისა მაშინ უმთავრეს როლს თამაშობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რაც წარმოება ვითარდებოდა, მით ყოველ მამულში ნაწარმოებ პროდუქტთა ნაჭარბიც იზრდებოდა. მსხვილ მიწათმფლობელთა,—მეფის, უმაღლეს თავად-აზნაურთა, ეპისკოპოზთა და მონასტრების ხელში გროვდებოდა აუარებელი ჭარბი საარსებო საგნები, რომლის გაყიდვა არ ხერხდებოდა. მიწათმფლობელებს ეს ვინმესთვის უნდა შეეშმევინათ. ამ ნაჭარბით სარგებლობდნენ იმისთვის, რომ ყოლოდათ მრავალრიცხოვანი მხედრობა ხელოსნები და მხატვრები, და აგრეთვე ფართო სტუმარ-მასპინძლობისათვის. იმ დროს დიდ უზრდელობათ ჩაითვლებოდა რომ ვინმე შეძლებულ კაცს უარი ეთქვა მშვიდობიან უცხოელის საჭმელ-სასმელით და თავშესაფარით გამასპინძლებაზე.

მაშასადამე, თუ ეპისკოპოზები და მონასტრები კვებავდენ მშივრებს, აცმევდენ შიშვლებს და უსახლკაროთ თავშესაფარს აძლევდენ, ამით იმავეს აკეთებდენ, რასაც საშუალო საუკუნეების ყოველი მესაკუთრე აკეთებდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ სასულიერო პირთ და დაწესებულებებს, როგორც უმდიდრეს მესაკუთრეებს, მეტის გაკეთება შეეძლოთ სხვებისათვის.

მაგრამ სტუმარ-მასპინძლობის ჩვეულება სწრაფად ჰქრება, როგორცკი ფეხს იდგამს საქონლის წარმოება,—წარმოება გ ა ს ა ყ ი-

დათ, როგორცვე ჩნდება ბაზარი სხვადასხვა პროდუქტის გასასაღებლათ. ცალკე მეურნეებს საშუალება ეძლევათ გასცვალონ პროდუქტის ნაჭარბი ფულზე—ამ ძლიერების უდიდეს წყაროზე, რომელიც არასოდეს არ შეიძლება გახდეს ზედმეტი, არ ფუჭდება და ამიტომ უსაზღვრო დაგროვების იარაღი ხდება. ნაჭარბის გაცემის ჩვეულებას სცვლის საგანძურების ავსების წყურვილი, სიხარბე ჰკლავს ხელგაშლილობას.

ეგრე წოდებული ფულადი მეურნეობა, რომელმაც ნატურალური მეურნეობა შესცვალა, იტალიიდან და სამხრეთ-საფრანგეთიდან სწრაფად გავრცელდა მე-XIII საუკუნეში მთელს ევროპაში. რაც უფრო ვითარდებოდა ის, მით უფრო ჰკვეცავდენ მესაკუთრენი თავის სტუმართმოყვარეობასა და ხელგაშლილობას.

მაგრამ ამასთან ერთად სულ მატულობდა ღარიბთა რიცხვი. საქონლის წარმოების განვითარება ჰბადებს პროლეტარიატს, რომელიც სულ უფრო მრავალრიცხოვანი ხდება და ზოგიერთ ქვეყნებში შესამჩნევ მასსად გადაიქცა.

თითქოს კვლავ უნდა განმეორებულიყო ის პროცესი, რომელმაც ძველს დროში მაღლა აიტანა ზოგიერთი სახელმწიფო და შემდეგ დასცა და დაშალა.

თუ ასე არ მოხდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საშუალო საუკუნეებში წარმოების პროცესიდან გაჰქრა მონობა.

VI. მონობის მოსპობა.

ძალიან გავრცელებულია ის აზრი, თითქოს მონობა ქრისტიანობამ მოსპო. დიდი შეცდომაა ეს აზრი. შეიძლება თავის კომუნისტურ ჩანასახობის ხანაში ქრისტიანობა მართლაც უარჰყოფდა მონობას. მაგრამ ამის შესახებ ჩვენ არავითარი ცნობა არ მოგვეპოება. რაც კი ჩვენამდე მოღწეული ქრისტიანობის უძველეს ძეგლებს შეეხება, ისინი, თუ იხსენიებენ მონობას, კიდეც სცნობენ მას და მოუწოდებენ მონას ნებაყოფლობით დაემორჩილოს თავის ბატონს.

ის შთაბეჭდილება, თითქოს ქრისტიანობამ მოსპო მონობა, იმ გარემოებამ წარმოშვა, რომ პარალელურად ქრისტიანობის გავრცელება—განმტკიცებისა რომის იმპერიაში თანდათან მონობაც კლებულობდა. მაგრამ ჩვენ უკვე გავეცანით მონობის გაქრობის მიზეზებს. სამხედრო დაუძლურება, როგორც შედეგი იმპერიის გაღატაკებისა და მოსახლეობის შემცირებისა, რაიც თავისი მხრით დაკავშირებული იყო მონათმფლობელურ მეურნეობასთან,—აი რა იყო მიზეზი

სამხედრო დამარცხებების და, მაშასადამე, მიზეზი ტყვეთა რიცხვის შემცირებისა, მონათა წყაროს ამოშრობისა. ამგვარათ მონა თანდათან ფუფუნების საგანი ხდებოდა, ის ჰკარგავდა მომგებიან ექსპლოატაციის ობიექტის მნიშვნელობას.

ამის შედეგი იყო, რომ მონობა თითქმის გაჰქრა რომის იმპერიაში, როცა გერმანელებმა დაიპყრეს და წალეკეს იმპერია ხალხთა გადასახლების ხანაში. გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს დაპყრობილ მიწის ერთი ნაწილი, ზედ დამკვიდრდენ და მათძა გაუტეხავმა გლეხურმა ძალამ განაახლა სახელმწიფო, ან უკეთ რომ ვთქვათ, სახელმწიფოები, რომლებიც რომის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდენ.

მაგრამ ამ ახალ ძალას აღარ სჭიროდა ახალ მონათმფლობელურ მეურნეობის შექმნა. დამკვიდრდენ და გაქრისტეანდენ თუ არა, ე. ი. რამოდენიმედ მაინც გაიცვნეს თუ არა რომის კულტურისა და რომის საწარმოო წყობილების ნაშთები, გერმანელ ტომებს ყოველის მხრივ შემოესია მოუსვენარ, ადგილიდან ადგილზე მოარულ ხალხთა, მომთაბარეთა და მეკობრეთა ურდოები: ავარები და ჰუნგრელნი აღმოსავლეთიდან, ნორმანები ჩრდილოეთიდან, სარაცინები აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. ამ მტაცებელთა განუწყვეტელი შემოსევები მე-VIII საუკუნიდან ვიდრე მე-XI საუკუნემდე სწეწავდა, დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებს და თვით მათ არსებობას ემუქრებოდა. მონათა ეკსპლოატაციის საშუალებას მოკლებული ქრისტიანული მსოფლიო თვითონ გახდა მონებზე მონადირე მონათ—ვაჭრებისათვის ფართო და მომგებიან ეკსპლოატაციის ობიექტი. „წარმართებს“ აუარებელი მონა-ქრისტიანები ჰყავდათ; ქრისტიანებისათვის კი, პირიქით, წარმართი—მონები იშვიათსა და ძვირს საგანს წარმოადგენდა.

მონები სავსებით არ გამქრალან ქრისტიანულ ქვეყნების ბაზრებზე.

XIII და XIV საუკუნეებშიაც ვხვდებით მონებით ვაჭრობის მაგალითებს იტალიაში. 1307 წ. ამადე VI სავოელმა კონსტანტინოპოლში ორი მონა-ქალი იყიდა. 1384 წელს ერთი მონა თათრის ქალი, „საიდუმლო სნეულებისაგან თავისუფალი“ (magagnis) გენუაში 1.049 ლირა ღირდა, მეორე კი—1389 წელს—1.312 ლირა. მონათ-ვაჭრები თავის საქონელს ჩვეულებრივათ კაფიდან ღებულობდენ. ამ დროის კანონთა კრებულები მრავალ დადგენილებას შეიცავენ მონების შესახებ. (Jul. Krone, Fra Doleino und die Patarener, historische Episode den piemontischen Religions-kriegen, Leipzig, 1844, გვ. 10).

ეს მონები ბოლოდ ფუფუნების მოთხოვნილებას ემსახურებო-

დენ, ამავე დროს წარმოების დაყენება მონათა შრომაზე შეუძლებელი იყო. რომის საწარმოო წესისაგან გერმანულ სახელმწიფოებში შეთვისებულ წარმოების ახალი წესი იმთავითვე უნდა შეჰგუებოდა მონათა უქონლობას.

მონობას აუცილებლობამ მოუღო ბოლო, მონობისათვის საჭირო მასალის უქონლობამ, და არა ქრისტიანულ სინიდისის ქენჯნამ. ეს იმიდან სჩანს, რომ როცა ქრისტიანობა გაძლიერდა და „ურჯულოთა" შეტევაზე გადავიდა, სწორეთ ქრისტიანობის მოწინავე მებრძოლებმა დაიწყეს პირველად მონების ექსპლოატაცია და მონებით ვაჭრობა. ჯვაროსნები, სწორეთ ისე როგორც უფრო გვიან ესპანელები და პორტუგალელნი აფრიკაში, ფრიად გულმოდგინეთ ვაჭრობდენ მონებით. პაპმა ნიკოლოზ V სრულიად გარკვეულათ განაცხადა თავის 1454 წ. 8 იანვრის ბულლაში, რომ „ყველა სარაცინის, წარმართის და ქრისტეს სხვა მტრის სამუდამო მონობაში მოქცევა" დასაშვებია, ხოლო კლიმენტი V-მ (1523—1534) ეს „უფლება" ყველა ერეტიკოსებზე გაავრცელა. (Ludw. Keller, die Reformation, und die älteren Reformparteien, Leipzig 1885, გვ. 480). მაგრამ წარმოების წესმა მაშინ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ მონათა შრომა ზედმეტი შეიქნა ევროპისათვის.

მონა ფუფუნების საგნათ გადაიქცა. ეს მდგომარეობა შეიცვალა, როდესაც ევროპის სახელმწიფოებმა ზღვის იქით დაიპყრეს კოლონიები: იქ ვერ ნახეს პირობები ევროპიულ წარმოების წესისათვის და ხელსაყრელი შეიქნა მონათა შრომის გამოყენება. ამ დროიდან მონებზე ნადირობა, მონებით ვაჭრობა, მონების წვალება კვლავ დიდ როლს თამაშობდა ევროპის საქრისტიანო მსოფლიოს მრეწველობაში და აქაც არც რომის, არც რომელიმე მსხვილ პროტესტანტურ ეკლესიას არ დაუნახავს ამაში სათაკილო რამ.

მონათა შრომაზე დამყარებული წარმოება შეუძლებელი შეიქნა ხალხთა გადასახლების შემდეგ აღმოცენებულ საქრისტიანო გერმანულ სახელმწიფოებში, როგორც იგივე შეუძლებელი გახდა წინეთ რომის იმპერიაში; და როგორც რომში მისი ადგილი მიწათმოქმედებაში კოლონატმა დაიპირა, ისე ეხლაც წარმოიშვა ანალოგიური ურთიერთობა, ზოგჯერ, რომის ნიმუშების პირდაპირი მიმკვიდრეობით.

დაქცეულ გლეხთა აყრა მათი მიწა-წყლიდან ეხლა უდიდესი სისულელე იქნებოდა. ეხლა ხალხის დიდი ნაკლებობა იყო და არა მიწის. მდიდრები და დიდებულნი საქრისტიანო გერმანულ სახელმწიფოებში,—ეპისკოპოზნი, აბბატები, მეფეები და ჰერცოგები თა-

ვისი ამალებით და ფავორიტებით იმაზე კი არ ფიქრობდენ თუ როგორ შეეცვალათ საგლეხო მეურნეობა მონური მეურნეობით; პირიქით, ცდილობდნენ ისე გამოეყენებიათ გლეხის გაჭირვება, რომ აეძულებიათ იგი საბატონო ბეგარა და ღალა ეხადა. სამაგიეროთ კი გლეხს ანთავისუფლებდნენ იმ მძიმე მოვალეობათგან, რომლებიც გლეხს სპობდა და წესიერ საგლეხო მეურნეობას შეუძლებელს ხდიდა, —ანთავისუფლებდნენ პირველ ყოვლისა ჯარში სამსახურის მოვალეობისაგან.

გლეხები დგებოდნენ რომელიმე ძლიერი კაცის მფარველობაში და კისრულობდენ ეძლიათ მფარველისათვის ყოველწლიურად პროდუქტების განსაზღვრული რაოდენობა თავისი მეურნეობიდან და განსაზღვრული დრო მის მამულში ემუშავნათ. ამ ბეგარის მოხდით გლეხი თავს ინთავისუფლებდა სამხედრო სამსახურისაგან, რომელსაც ამიერიდან მისი პატრონი—მიწათმფლობელი ასრულებდა თავისი რაზმითა და მსახურებით.

არსებობდა სხვა გზაც გლეხთა ფეოდალებზე დამოკიდებულების შესაქმნელად. საქრისტიანო გერმანულ სახელმწიფოებში რომის ეპოქიდან მრავალი ლატიფუნდია (ვეებერთელა მამული) დარჩა, განსაკუთრებით ეკლესიის კუთვნილი, რომელიც ძალიან მარჯვეთ იცავდა თავის იხტერესებს. ახალი მსხვილი მიწათმფლობელობა მეფეებისაგან დასაჩუქრებით შეიქმნა. მუდმივი ომები ხშირათ ართმევდა ბატონებს მათ მიწებს. ბევრი მიწა თავისუფლდებოდა აგრეთვე მიწათმოქმედების პროგრესსის გამო. მოსახლეობის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც მიწათმოქმედებით ცხოვრობს, გაცილებით ნაკლებ მიწას საჭიროებს თავის სარჩენათ, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ის მესაქონლეობით ან,—კიდევ უფრო,—ნადირობით ცხოვრობს. უსაზღვრო სივრცის ტყეები, რომლითაც თავს ირჩენს მოსახლეობა, წინეთ სათემო საკუთრებას შეადგენდა, „მარკას“ ეკუთვნოდა. ეხლა ტყემ დაჰკარგა თემისთვის წინანდელი მნიშვნელობა. ტყე და სხვა უშენი ადგილები მეფეებმა იგდეს ხელთ, ასაჩუქრებდენ მით დიდებულებს და თავის ფავორიტებს, განსაკუთრებით ეპისკოპოზებს და მონასტრებს, ან საგლეხო სამფლობელოთ გასცემდენ ხოლმე. რათა ამ საკუთრებიდან სარგებელი გამოეღო, ახალი მიწათმფლობელი ცდილობდა მოეზიდა და თავის მიწაზე დაესახლა გლეხი—კოლონისტები, განსაზღვრული ბეგარის შესრულების პირობით აძლევდა მათ მიწის ნაკვეთებს,—რა თქმა უნდა, საზოგადო საძოვრებითა და ტყეებით, ურომლისოდ გლეხის მეურნეობა ვერ იხეირებდა.

მოიწვევდა რა რაც შეიძლება მეტ გლეხს, მიწათმფლობელი კიდევ უფრო იმაზე იზრუნებდა, რომ არავის არ გადაებირებინა მისგან ახალი გლეხები. გლეხების დასამაგრებლად მიწათმფლობელი ყოველ-გვარ ხერხს მიმართავდა: ზნეობრივსა და უზნეოს, კანონიერსა და ყოვლად უსამართლოს. აქამდის თავისუფალი გლეხი არათუ ვალდებული ხდებოდა განსაზღვრული ბეგარით, არამედ პირად თავისუფლებასაც ჰკარგავდა, ვასსალად იქცეოდა.

მაგრამ რა რიგ შეევიწროებულიც არ უნდა ყოფილიყვნენ გლეხები, მონებთან შედარებით მაინც მაღლა იდგენ. მონისთვის უცხოა ის ქვეყანა, სადაც ის ცხოვრობს, მისთვის უცხო არიან დანარჩენი მონებიც. მას არავითარი უფლება არ აბადია, ის უბრალო ნივთია. ის ვერაფერს დაეყრდნობა, რომ მედგრად იბრძოლოს თავისი კლასის განთავისუფლებისათვის. მართალია, ჩვენ ვიცით მონათა აჯანყებები. მაგრამ ეს იყო დროებითი აფეთქება, რომელსაც ხელსაყრელ პირობებში შეეძლო აჯანყებულთათვის თავისუფლება მიეცა, მაგრამ ეს არავითარ გავლენას არ ახდენდა თვით მონობის დაწესებულებაზე. ეს იყო ცდა მონობიდან გაქცევის და არა მისი მოსპობის. მონობის მოსპობა არსად არ ყოფილა თვით მონათა მტკიცე კლასობრივი ბრძოლის შედეგი.

სულ სხვანაირი იყო საშუალ-საუკუნეების ფეოდალურად—დამოკიდებულ გლეხების საქმე. ისინი ყოველ უფლებას არ იყვნენ მოკლებული, მათი საბატონო ბეგარა და ღალა სრულიად განსაზღვრული იყო და ფეოდალის პირველსავე მოთხოვნით ვერ გადიდდებოდა: გადიდება შეიძლებოდა ან იძულებით ან შეთანხმებით. დამოკიდებული გლეხი,—ვასსალიც და თავისუფალიც,—თემს ეკუთვნოდა, მას თემი უჭერდა მხარს და ისიც თემთან იყო. ეს ორგანიზაცია მისი მტკიცე დასაყრდენი იყო. თემის დახმარებით გლეხს შეეძლო სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია სენიორისათვის და უწევდა კიდეც. მთელი საშუალო საუკუნეების განმავლობაში სწარმოებდა გლეხთა კლასობრივი ბრძოლა სენიორების წინააღმდეგ. ხელსაყრელ პირობებში ეს ბრძოლა ხშირათ თავდებოდა გლეხების განთავისუფლებით არათუ ფეოდალურ დამოკიდებულებისაგან, არამედ ყოველგვარი ბეგარისაგან,—თავდებოდა, მაშასადამე, სენიორულ ბატონობის გაუქმებით.

მაგრამ გლეხებზე უფრო ხელსაყრელი პირობები ქალაქის ხელოსნებს შეექმნათ.

სარგებლობდენ რა თავისუფლებით ქრისტიანულ-კულტურულ ქვეყნებში XII საუკუნიდან, როდესაც ამ ქვეყნებმა გარეშე მტრები

მოიგერიეს, ხელოსნებმა სწრაფად განავითარეს თავისი ტეხნიკა, რომელიც ანტიურ ხანის ტეხნიკაზე უფრო მაღალი იყო, მოიხვეჭეს სიმდიდრე და ისეთ მდგომარეობაში ჩაიყენეს თავი, რომელიც ახალ ძალას აძლევდა მათ თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ამგვარად ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებს მონობა არ შეხებია, არ განუცდიათ ის საზოგადოებრივი დამოკიდებულება, რომელიც ძველი საზოგადოების პროგრესს შესაძლებელს ხდიდა მხოლოდ განსაზღვრულ პუნქტამდე, რომლის იქეთ რეგრესი იწყება.

ამის გაჭო პროლეტარულმა და კომუნისტურმა მოძრაობამ აქ სხვა ხასიათი მიიღო, ვიდრე ძველს დროში. ძველად პროლეტარიატი ყველა კლასთა შორის უმდაბლესი არ იყო. პროლეტარიატი ხედავდა, რომ მასზე დაბლა მონები იდგენ და ცდილობდა მათ ხარჯზე ეცხოვრა, ე. ი. მონათა და არა საკუთარი შრომით. ხოლო რამდენადაც ძველი დროის პროლეტარებში მუშები და ხელოსნებიც ერია, უკანასკნელნიც ამ ლუმპენ-პროლეტარული სულისკვეთებით იმსჭვალებოდენ. ძველი მსოფლიოს მთელი პროლეტარიატის საერთო ხასიათს ეს ლუმპენ-პროლეტარიატი ჰქმნიდა, რომელიც პარაზიტულად ცხოვრობდა საზოგადოების ხარჯზე.

საშუალ—საუკუნეებში სხვა იყო. პროლეტარიატი ყველა კლასსზე დაბლა იდგა. მის ქვევით არ იყო არც ერთი კლასი, რომლის ექსპლოატაციით შესძლებოდა მას არსებობა. უკვე ამის გამო პროლეტარიატის პარაზიტულ ნაწილს არ შეეძლო ისე დიდათ გაზრდილიყო რიცხვობრივად, როგორც ეს ძველი მსოფლიოს ზოგიერთ დიდ ქალაქში მოხდა. მას არ შეეძლო ქონოდა იმედი, რომ როდისმე ისეთ ძალათ გადაიქცეოდა სახელმწიფოში, როგორსაც ძველს რომში ლუმპენ-პროლეტარიატი წარმოადგენდა; არც იმის იმედი იყო, რომ თავისი ძალის გამოყენებით ისე უდარდელათ იცხოვრებდა, როგორც ხანდახან რომში ცხოვრობდა პროლეტარიატის დიდი ნაწილი. საეალალო, მათხოვრული არსებობა,—აი რისი მიღწევა შეეძლო მას იმ პირობებში.

მაგრამ თუ ლუმპენ-პროლეტარიატი საშუალ-საუკუნეებში უფრო მცირე რიცხოვანი და სუსტი იყო, ვიდრე ძველს მსოფლიოში, მეორეს მხრით მასზე მაღლა წარმოიშვა თავისუფალ ხელოსანთა და ქირის მუშათა წოდება, რომელსაც გაცილებით მეტი ძალა და გავლენა შესწევდა საზოგადოებაში, ვიდრე მის წინაპრებს ძველს ქვეყანაში. შრომით ჰქმნიდა ეს წოდება თავის ძალას და თავის მდგომარეობას, შრომა იყო მისი საარსებო სტიქია.

საკუთარ შრომაზე ცდილობდა იგი თავისი კეთილდღეობის

აშენებას და არა სხვისაზე. შეიძლება ამ წოდებაშიაც მოიპოებოდა საესებით პროლეტარული ფენა, რომელიც თავისი ეკონომიური მდგომარეობით იმისდაგვარ კომუნიზმისაკენ იხრებოდა, როგორიც პირვანდელ-ქრისტიანული კომუნიზმი იყო, ე. ი. მოხმარების და არაწარმოების კომუნიზმისაკენ. შეიძლება ეს კომუნიზმი პირვანდელ-ქრისტიანობას ბაძავდა და მას ჰგავდა გარეგნულად. ყოველ შემთხვევაში რაც დრო მიდიოდა, რაც უფრო ვითარდებოდა ხელოსნობა და დაქირავებულ მუშათა ძალა მატულობდა, მით პროლეტარულ ელემენტების მოხმარების კომუნიზმი უფრო ისეთ კომუნიზმათ იქცეოდა, რომლის საფუძველი მუშათა საამხანაგო შრომის შემოსავალი უნდა ყოფილიყო. ქალაქად, სადაც წვრილი ხელოსნური წარმოება ბატონობდა, ამ მოხმარების კომუნიზმს არ შეეძლო კომუნისტური წარმოება წარმოეშვა. სხვაგვარი ურთიერთობა ეწყობოდა სოფლად, მიწათმოქმედებაში, სადაც საოჯახო მეურნეობა ჯერ არ იყო წარმოებისაგან გამიჯნული, სადაც საოჯახო მეურნეობის კომუნიზმი წარმოების კომუნიზმსაც იწვევდა და სადაც მსხვილი წარმოება, მიწათ-მოქმედებისა და მრეწველობის განმაერთიანებელი, ძველადანვე ფართოთ გავრცელებულ წარმოების ფორმას წარმოადგენდა.

ასეთი იყო ის ბაზისი, რომელზედაც მონასტერული კომუნიზმი წარმოიშვა.

თუ პირვანდელი ქრისტიანული კომუნიზმი მსხვილ ქალაქურ მოვლენას წარმოადგენდა, მონასტერული კომუნიზმი,—როგორც წინეთ ძველი ესსეების კომუნიზმში,—პირველად სოფელში წარმოიშვა.

მაგრამ რა რიგ დიდი არ უნდა ყოფილიყო საშუალ-საუკუნეთა ქალაქისა და სოფლის კომუნიზმის განსხვავება ჩვეულებრივად ეს შრომაზე აშენებული კომუნიზმი იყო. ამით განსხვავდება ის პირვანდელ ქრისტიანულ კომუნიზმისაგან. ხოლო თანამედროვესაგან ის იმით განირჩევა, რომ მზგავსად პირვანდელ-ქრისტიანულ კომუნიზმისა, გამოსავალ წერტილად იღებს საერთო მფლობელობას და საერთო სარგებლობას *არა წარმოების, არამედ მოხმარების საშუალებათა.*

თავი მეორე

ქირის მუშები საშუალო საუკუნეებში და რეფორმაციის ხანაში.

I. ხელოსნობის წარმოშობა.

როგორი იყო მრეწველობის პირვანდელი ორგანიზაცია საშუალო საუკუნეებში?

ყოველი მეურნეობა თვითონ ამზადებდა ყველაფერს, რაც მას სჭიროდა. თვითეული საგლეხო მეურნეობა (ეს მეურნეობა უნდა წარმოვიდგინოთ არა პარცელიარულ მეურნეობის სახით, არამედ, როგორც დიდი ოჯახის საერთო სახლობა, რომელიც რამოდენიმე თაობას აერთიანებს: მამას თავისი დაცოლშვილებული ვაჟებითა და შვილის-შვილებით) ამზადებდა არა მარტო სასოფლო-სამეურნეო ნედლ პროდუქტებს, არამედ გადაამუშავებდა კიდეც ამ ნედლეულობას ფქვილად და პურად, ნართად და ქსოვილად, იარაღად, ავეჯეულობად და სხვა. გლეხი თავის მეურნეობაში ხეროც იყო და არქიტექტორიც, დურგალიცა და მჭედელიც.

სენიორის მოთხოვნილება საზოგადოთ გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე გლეხის; მაგრამ სენიორისთვისაც ყოველივე საჭირო მის ეზოში და მამულში (Fronhof) კეთდებოდა ან მასზე დამოკიდებულ გლეხების მეურნეობაში. მის განკარგულებაში მეტი მუშა-ხელი იყო, ვინემ გლეხისაში: იმ სარჩო-საბადებლით, რომელიც გლეხებს შემოქონდათ, მას შეეძლო მრავალი მოსამსახურე და შინა-ყმა ერჩინა, გარდა ამისა ის გლეხთა შრომით სარგებლობდა განსაზღვრული დროის განმავლობაში ყოველ წლიურად (საბატონო სამუშევარი). ამის გამო მას შეეძლო ერთგვარი შრომის განაწილება დაეწესებინა: ერთნი მხოლოდ აშენებდენ და დურგლობდენ, მეორენი ტყავეულობას ამზადებდენ, მესამენი იარაღს ჭედავენ და სხვა.

ასე ჩაისახა დიდ მამულებში საშუალ-საუკუნეების ხელოსნობა.

იტალიაში და სამხრეთ საფრანგეთში, სადაც რომის ეპოქიდან ქალაქები დარჩენილიყო, ქალაქის თავისუფალ ხელოსნობის ნაშთიც არსებობდა. მაგრამ გერმანიაში, მამულებთან აღმოცენებულ ხელოსნობასთან შედარებით, მას არ ქონდა რაიმე მნიშვნელობა.

როცა მუშა ერთს რომელიმე ხელობაში გაიწაფებოდა, სხვა სამუშევრისთვის მისი გამოყენება ხელსაყრელი აღარ იყო. თუ მამულს მთელი მისი სამუშაო ძალა არ დასჭირდებოდა, ხელოსანი სხვებისთვისაც დაიწყებდა მუშაობას, მეზობელ საგლეხო მეურნეობებსა ან მამულებისთვის, რომლებიც ზომით ნაკლები იქნებოდა და ამგვარი ოსტატის ყოლას ან მომზადებას ვერ შესძლებდა. რა თქმა უნდა, მუშას არ შეეძლო სხვებისათვის ისე ემუშავა, რომ ამის ნებართვა სენიორისაგან არ მიეღო და მისთვის საზღაური არ ეხადა.

ჩვენ ვხედავთ აქ შ ე კ ვ ე თ ი თ მ უ შ ა ო ბ ი ს დასაწყისს.

ამის გვერდით მალე ჩნდება მ უ შ ა ო ბ ა ც ბ ა ზ რ ი ს ა თ ვ ი ს.

ზოგიერთი მამულები—იმპერატორების, მეფეებისა და ეპისკოპოზების რეზიდენციები—განსაკუთრებით იზიდავდენ ახლო-მახლო და შორეულ ადგილების მოსახლეობას. იქ იკრიბებოდენ სამხედრო პირნი, რაზმები, მოხელეები, იქეთვე დრო გამოშვებით გუნდ-გუნდობით ყოველნაირი ხალხი მიეშურებოდა: სადღესასწაულოთ, გასართობად, სამსჯავროებზე და სხვა ამგვარ კრებებზე. ამ ადგილებში გროვდებოდა ქვეყნის ავლა-დიდება. ვაჭრებსაც იწვევდენ ამ ადგილებში: გერმანიაში პირველ ხანად უცხოელებს,—იტალიელ და ებრაელ ვაჭრებს იწვევდენ ხოლმე. ვაჭრები ყველაზე ადვილად აქ ასაღებდენ თავის საქონელს.

ხელოსნებსაც აქ უფრო იოლათ შეეძლოთ თავისი პროდუქტები სხვა პროდუქტებზე გადაეცვალათ.

ამგვარ მამულებთან დაკავშირებული ადგილები ბ ა ზ რ ე ბ ა დ გადაიქცა. მათი მოსახლეობა და სიმდიდრე იზრდებოდა. ამიტომაც აქ ყველაზე ადრე აღმოჩნდა ციხე-სიმაგრეთა აგებისათვის საჭირო სახსარი. თანაც თავდაცვისათვის ზრუნვა აქ განსაკუთრებით იყო საჭირო, რადგან ეს ადგილები განსაკუთრებით უძრავდა ყაჩაღებს სიხარბეს. ციხე-სიმაგრეების საშუალებით ეს ადგილები ქ ა ლ ა ქ ე ბ ა დ გადაიქცა.

თუ დიდი მოსახლეობა და სიმდიდრე შესაძლებლად და საჭიროთ ხდიდა ციხე-სიმაგრეების აგებას, მეორეს მხრით ამ სიმაგრეებით დაცული უშიშროება ძაშინდელ შფოთიან დროში თავის თავად ხელს უწყობდა ქალაქის მოსახლეობისა და სიმდიდრის ზრდას.

ამგვარად, გერმანიაში VIII საუკუნიდან, ხოლო სხვა დასავლეთ-საქრისტიანო ქვეყნებში—უფრო ადრე ან უფრო გვიან, აღმოცენდა ქალაქების მთელი ქსელი.

მხოლოდ რამოდენიმე ქალაქი იყო თავიდანვე თავისუფალი. უმრავლესობა კი ფეოდალურ სოფლებიდან გაიზარდა და მათი მო-

სახლეობა ერთი ან რამოდენიმე სენიორის ხელის უფლების ქვეშ იმ-ყოფებოდა. მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა ქალაქების სიმდიდრე და მოსახლეობა, მით უფრო ადვილათ შეეძლოთ მათ არსებობა სენიო-რისაგან დაუხმარებლად, მით უფრო ზედმეტი და სამძიმო ხდებოდა მამულებისათვის მოსახდელი ბეგარა და სამსახური და მით უფრო იზრდებოდა ქალაქებში ფეოდალურ დამოკიდებულების მომსპობი ძალა. რაც დრო მიდიოდა, მოქალაქენი უფრო გაბედულად იბრძო-დენ სენიორების წინააღმდეგ და ბოლოს ყველგან თავისუფლებას მიაღწიეს.

ქალაქთა ზრდა-განვითარებამ, რასაკვირველია, გავლენა მოახ-დინა ხელოსნების მდგომარეობაზე. შეადგენდენ რა ქალაქის მოსახ-ლეობის ძალიან დიდ ნაწილს, ხელოსნები ცოცხალ მონაწილეობას იღებდენ სენიორთა წინააღმდეგ ბრძოლაში და შესაფერ სარგებლო-ბასაც იღებდენ გამარჯვებიდან.

ქალაქები არა მაოტო ბაზარს იძლეოდა ხელოსნურ წარმოები-სათვის, არამედ მფარველობასაც უწევდა ხელოსნებს. სამამულო ხე-ლოსანთა გარდა, ქალაქში სხვა ხელოსნებიც ესახლებოდენ ისეთნი, ვინც თავისუფალი იყო და კარგა ხანია ხელოსნობას ეწევოდა ან ხელოსნობისათვის ემზადებოდა და გარდა ამისა კიდევ მამულებიდან გამოქცეული ფეოდალურად—დამოკიდებული გლეხები და ყმები. მა-შინ ჯერ არ იყო საგრძნობი ხელოსანთა სიჭარბე, პირიქით ქალაქის მოსახლეობა კმაყოფილი იყო, რომ მცხოვრებთა რიცხვი მატულობ-და, რადგან ამით ხომ ქალაქის სიმდიდრე და ძლიერებაც იზრდებო-და. ქალაქი იცავდა შემოხიზნულ ყმებსა და ფეოდალურად დამოკი-დებულ გლეხებს. თუ ქალაქში ერთი წლის განმავლობაში მოუძებნე-ლი დარჩებოდა, ხიზანი თავისუფალი ხდებოდა. თვით ხელოსნები ახლად მოსულ ამხანაგებს უყურებდენ არა როგორც კონკურენტებს, არამედ როგორც თანამებრძოლ ამხანაგებს და ამიტომ გულგაშლი-ლათ ხვდებოდნენ მათ. დამოკიდებულ და ყმა-ხელოსნებთან ერთად მატულობდა თავისუფალ ხელოსანთა რიცხვი. პირველნი უკავშირდე-ბოდენ უკანასკნელთ. მათი ძალა ამით მატულობდა და სულ უფრო დამოუკიდებელნი ხდებოდენ. არა თავისუფალ ხელოსნებს ეძლეოდა „ბაზრის თავისუფლება“, -თავისუფალ, დაუბრკოლებელ ყიდვა-გა-ყიდვის უფლება. ბოლოს საყოველთაო ცნობა მიიღო იმ პრინციპ-მაც, რომ ყველა ვინც ქალაქში ცხოვრობდა, თვით ამ ფაქტის ძა-ლით პირადათ თავისუფალი ხდებოდა.

ხელოსნობა თანდათან ჰქრება მამულებში და მხოლოდ და მხო-ლოდ ქალაქის მოვლენად იქცევა. მემამულენი იძულებული ხდებიან

ქალაქში იყიდონ, როგორც საქონელი, ყველა ის პროდუქტი, რაც წინეთ თვით მამულებში მზადდებოდა.

ხელოსნობა მხოლოდ თავისუფალ პირთა მოქმედების სფერო შეიქნა. როდესაც ხელოსნობის განვითარება დამთავრდა, ხელოსნებში მხოლოდ თავისუფალ პირებს ვხვდებოდით. ხელოსნობა ჰყვავოდა და საყოველთაო პატივით სარგებლობდა.

სხვა და სხვა ადგილას და ცალკე ხელობისათვის ეს განვითარება სხვა და სხვა დროს დამთავრდა. საზოგადოთ კი შეიძლება ითქვას, რომ ის დაიწყო XI საუკუნეში და დამთავრდა XIV-ში.

ოქრომჭედლები უკვე XI საუკუნის დამლევში, საბატონო სამუშაოების გარდა, მუშაობდენ აგრეთვე ბაზრისათვის. მათ შრომას იმდენად დაკარგული ქონდა იძულების ხასიათი, რომ თავისუფალნიც ეწეოდენ მას. (Hans Meyer. Die Strassburger Goldschmiedezunft von ihrem Entstehen bis 1681, Lelpzig 1881, გვ. 154). მეორეს მხრით ბონნში მე-XIV საუკუნეშიაც ქსოვა წარმოადგენდა ერთგვარ სამსახურს, მამულზე დამოკიდებულს. (Maurer, Geschichte der Städteverfassung in Deutchland, Erlangen 1870, II, გვ. 323).

II. ამქრები.

საშუალ-საუკუნეების ხელოსნებს ბრძოლა უხდებოდათ არა მარტო ქალაქის სენიორთა წინააღმდეგ. არა ნაკლები მნიშვნელობა ქონდა მათთვის ქალაქის პატრიციულ გვარებთან ბრძოლას.

როგორც დავინახეთ, ქალაქი თავდაპირველად კედლით შემოზღუდულ სოფელს წარმოადგენდა. სოფელი კი მოწყობილი იყო, როგორც თემი—მარკა. ასეთივე წყობილება შერჩა ქალაქსაც. ქალაქის ტერიტორია, ქალაქის მარკა, მზგავსად სოფლის ტერიტორიისა, სოფლის მარკისა, ორ ნაწილისაგან შესდგებოდა: ერთი იყო გაყოფილი მარკა, მეორე—სათემო მარკა (საძოვრები, ტყე, წყალი). მარკის ყველა მცხოვრები, რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწეოდა, მარკის მიწა-წყლის თანამფლობელთ წარმოადგენდენ, ყველა ერთად კი ავტონომიურს, საკუთარი კანონებით განწესრიგებულ თემს შეადგენდენ. იქ, სადაც მარკებში ფეოდალური სამართალი შეიჭრა, სენიორებმა მრავალნაირი პრივილეგიები მოიპოვეს: ისინი მარკის მუდმივი წარმომადგენლები იყვნენ, მარკის ყრილობათა დადგენილებანი მათ უნდა დაემტკიცებინათ. ასე შეიქმნა ერთგვარი კონსტიტუციონური რეჟიმი.

თავდაპირველად თემი-მარკა სიამოვნებით იღებდა თავის წრე-

ში ახლად შემოსახლებულს, როგორც ამხანაგს. მიწა ჭარბათ იყო, არ კმაროდა. იყო მხოლოდ მიწის დამმუშავებელი ხალხი. ეს მდგომარეობა შეიცვალა პირველად ყოველისა ქალაქში, რადგან აქ მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა. მალე მიწის სიჭარბე მოისპო და ძველ მკვიდრ მცხოვრებლებს შიში გაუჩნდათ: არ ვიზარალოთ ახლად შემოსახლებულთათვის მარკის სახმარი მიწის დათმობითო. თემი—მარკა კარჩაკეტილ საზოგადოებათ გადაიქცა, ახალ წევრებს აღარ იღებდა ან იღებდა განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ამას რაიმე სარგებლობა მოქონდა.

ძველი გვარების გვერდით საქალაქო მარკაში ჩამოყალიბდა მცხოვრებთა მეორე ფენა—ახლად შემოსახლებულნი. ამათ სრულიად აკრძალული ქონდათ ქალაქის საერთო მიწით სარგებლობა ან, თუ სარგებლობდენ, სრულიად უმნიშვნელოთ. ისინი თემ-მარკას არ ეკუთვნოდენ, არავითარ მონაწილეობას არ იღებდენ მის მართვა-გამგეობაში, ხოლო მარკის მართვა-გამგეობა ქალაქის მართვა-გამგეობასაც ნიშნავდა. ამის გამო ახალი მოქალაქენი პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულნი აღმოჩნდენ, ძველები კი ქალაქის არისტოკრატიას შეადგენდენ.

პირველ ხანებში ახალ მოქალაქეებს მხოლოდ ითმენდენ, როგორც დასამალავ ხალხს. მაგრამ დროთა მსვლელობაში მათი რიცხვი და სიმდიდრე იზრდებოდა. მათ წრეში მრავალი ვაჭარი აღმოჩნდა და მათვე ეკუთვნოდა ხელოსანთა უმრავლესობა. ამათ თანდათან შეიგნეს თავისი მდგომარეობა და მოითხოვეს მონაწილეობა ქალაქის მართვა-გამგეობაში. ადრე თუ გვიან, ზოგიერთ ქალაქში XIII საუკუნიდან, სხვაგან XIV-დან, ახალმა მოქალაქეებმა ბრძოლა გააჩაღეს პატრიციულ წყობილების წინააღმდეგ და ბოლოს XIV—XV საუკუნეებში თითქმის ყველგან დაამარცხეს იგი და ქალაქის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

სათემო მიწა არ ჩამორთმეულია პატრიციებს. იქ, სადაც თემის მარკა ჯერ კიდევ არსებობდა და გაყოფილი არ იყო, იგი განაგრძობდა არსებობას საქალაქო თემის ფარგლებში, როგორც კარჩაკეტილი ამხანაგობა. ამგვარად საქალაქო თემი ეხლა თემის მარკას აღარ უდრიდა. საქალაქო წყობილებას საფუძვლად დაედო,—ასე იყო ყოველ შემთხვევაში გერმანიაში,—არა მარკის წესები, არამედ ს ა ა მ ქ რ ო წ ყ ო ბ ი ლ ებ ა.

მრავალ რიცხოვანი მასსის ხანგრძლიეი ბრძოლა შეუძლებელია უორგანიზაციოთ. ხელოსნებსაც უნდა შეექმნათ ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის ნიმუში ჰპოვეს თ ე მ ი ს მ ა რ კ ა შ ი. ჯერ კიდევ მდი-

დარ მამულებში, სადაც მრავალი ხელოსანი იმყოფებოდა, ყოველი პროფესიის მუშებმა შეადგინეს თავ-თავისი ამხანაგობა, შეადგინეს ოსტატის ხელმძღვანელობით. მართალია ეს ამხანაგობანი ბრძოლისათვის კი არ შექმნილან, არამედ წარმოებისა და მართვა-გამგეობისათვის; მაგრამ როდესაც დაიწყო დამოკიდებულ მუშების ბრძოლა სენიორების წინააღმდეგ, ამხანაგობებმა სამხედრო მიზნებიც დაისახეს. ფეოდალურ დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების შემდეგაც ხელოსნები იცავდენ თვის ორგანიზაციებს. მაგრამ დამოკიდებულ ხელოსანთა ორგანიზაციებიდან უკანასკნელნი თავისუფალ ა მ ქ რ ე ბ ა დ გადაიქცენ.

ხშირად ქალაქის თავისუფალი ხელოსნებიც აარსებდნენ ურთიერთ დაცვის მიზნით ორგანიზაციებს, რომლებიც თავიდანვე თავისუფალი და თვითმართველი იყვნენ. ეს თავისუფალი ამქრები გავლენას ახდენდენ არა-თავისუფლებაზე და დახმარებას უწევდენ მათ ბრძოლაში. თანდათან განსხვავება მათ შორის მოისპო და ფეოდალურ დამოკიდებულებისაგან ქალაქთა განთავისუფლების შემდეგ ჩვენ ვხდებით მხოლოდ თავისუფალ გილდიებს ანუ ამქრებს.

უმრავლეს ქალაქში თავისუფალი ამქრები უკვე XII ან XIII საუკუნეში მოეწყო, დანარჩენში კი რამოდენიმედ უფრო გვიან. მეორეს მხრით, ყველა ხელობას ერთსა და იმავე დროს არ შეუდგენია ა მ ქ ა რ ი. ყველაზე ადრე უფრო მდიდარი და მრავალწევრიანი ორგანიზაციები მოეწყო. ვაჭართა ამქრების გარდა მატყლის ფეიქართა და თერძების ამქრები იყო უძველესი. უფრო გვიან დაარსდა მეჩექმეთა, პურის მცხობელთა, ყასაბთა და სხვა ამქრები.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ესა თუ ის ხელობა ძალიან სუსტი იყო და მას თავისი დამოუკიდებელი ამქარი არ ქონდა. ორგანიზაციის დახმარების გარეშე რომ არ დარჩენილიყო ასეთი ხელობა რომელიმე სხვა ხელობის ამქარში შეეიდოდა. ასე მაგალითად, ქ. რეიტლინგენის მეაბანოენი მეხორცეთა ამქარში შედიოდენ, ესსლინგენის მეაბანოენი—ქურქჩთა ამქარში.

ყოველი მოქალაქე შეძლების დაგვარად რომელიმე ამქარში ეწერებოდა. პროსტიტუსაც კი თავისი ამქრები ქონდათ, მაგალითად, ფრანკფურტში, ენენევაში, პარიზში, სადაც წმ. მაგდალინეს მფარველობით თავის „ჰორიზონტალურ ხელობას“ ეწეოდენ (Maurer, დასახელებული შრომა, II, გვ. 471). მაგრამ ყველას მაინც არ ქონდა ამქრის შედგენის ბედნიერი შესაძლებლობა, როგორც ამჟამათაც ყველა პროლეტარს არ აქვს საკუთარ პროფკავშირის შექმნის საშუალება. ყოველთვის არსებობდა მრავალი პროფესია, რომელიც ძალიან

მცირე შემოსავალს აძლევდა მუშაკებს ან სათაკილოდ ითვლებოდა. ამგვარ პროფესიებს არ შეეძლოთ არც საკუთარი ამქრის დაარსება და არც სხვა რომელიმე ამქარში შესელა. ამქრის ხელოსნები ისევე ამაყათ დაჰყურებდენ ამ „ნაძირალებს", როგორც თვითონ მათ პატრიციები უყურებდენ; ამქრის ხელოსნებს აზრათაც არ მოუვიდოდათ ამ მდაბიო ხალხისთვის გამოსარჩლება.

ამგვარად ძველი გვარის მოქალაქეთა გვერდით წარმოსდგა პრივილეგიურ მოქალაქეთა მეორე ფენა.

მაგრამ რაც უფრო პრივილეგიური ხდებოდა ამქრის წევრობა, მით უფრო მძლავრად ვითარდებოდა თვით ხელოსნობის შიგნით ახალი კლასსობრივი ანტაგონიზმი: ანტაგონიზმი ოსტატებსა და ქარგლებს შორის.

III. ქარგალთა წარმოშობა.

დაქირავებულ მუშათა მასსას ქალაქებში ხელოსანი ქარგლები შეადგენდენ. მშვიდათ და კმაყოფილად ცხოვრობდენ ისინი", არ შურდათ მაღლა მდგომთა ცხოვრება", თავისი ცოდნით ამაყნი და „სრულიად შეძლებულნი" „საკუთარი შრომის პროდუქტის სამართლიანი ნაწილით" სარგებლობდენ. მეტი რა უნდოდათ? ისინიც ოსტატებსავით, „ამქრის მფარველობის ქვეშ" იმყოფებოდენ, ამქარი არჩევდა მათ და ოსტატებს შორის წარმომდგარ დავას და „ყველა მათ უფლებებს" იცავდა. ისინი ოსტატის ოჯახის წევრები იყვნენ, ოსტატთან ერთად ერთ სუფრაზე ჭამდენ და სვამდენ, იმავე მდგომარეობაში იყვნენ, რაც ოსტატის შვილები, პატიოსანსა და კეთილ-ზნეობრივ ყოფა-ცხოვრებას ეჩვეოდნენ, რათა ღირსი გამხდარიყვნენ ოსტატობისა, რომელიც ხომ „ღვთით ბოძებული თანამდებობა" იყო. ამ პატივს ქარგალი ისეთივე მოკრძალებით უახლოვდებოდა, როგორც სასულიერო პირი მღვდლათ კურთხევას, როგორც აზნაური—რაინდობაში აყვანას. „ხელოსნები ამქრებში ჯერ კიდევ ურთიერთ ძმურს სიყვარულში და ერთგულებაში ცხოვრობდენ" და შრომობდენ „არა მარტო შემოსავლის გულისთვის, არამედ ღვთის მცნების თანახმად"; „ძმობისა და ერთობის" პრინციპებს ჯერ კიდევ შერჩენოდა თავისი ძალა ამქრებში.

ასე ხატავენ საამქრო წესწყობილების მეგობრები და საშუალო საუკუნეების თაყვანისმცემელნი ქარგალთა მდგომარეობას საამქრო ხელოსნობის აყვავების ხანაში. ამ სურათიდან კი ზოგიერთმა წრეებმა ჩვენს დროში ის დასკვნა გამოიტანეს, რომ საკმარისია

მხოლოდ აღვადგინოთ საამქრო წყობილება, რომ ამით მოისპოს კლასობრივი წინააღმდეგობა კაპიტალისტებსა და მუშებს შორის და დამკვიდრდეს სოციალური ჰარმონია. ამქრებიო, ამბობენ, ძალიან მოხერხებული ორგანიზაციაა იმისთვის, რომ თანასწორათ დაცული იქნეს ოსტატებისა და ქარგლების ინტერესები.

იოჰან იანსენი—ყველაზე ახალგაზრდა მკვლევარია გამოჩენილ გერმანელ ისტორიკოსთა შორის, რომელნიც ასე იდილიურად გვიხატავენ ხელოსან ქარგალთა მდგომარეობას საშუალო საუკუნეების მიწურულში [1]). ზემოთ ჩვენ ნაწილობრივ მოვიყვანეთ მისი საკუთარი სიტყვები. მაგრამ არ შეიძლება იმ გარემოებამ არ ჩაგვაფიქროს, რომ ქარგალთა კეთილდღეობის დასამტკიცებლად მას მოყავს ხელის უფლების ოსტატების და ბურჟუაზიულ მწერლების ჩივილი ქარგლების აუტანელ ამპარტოვანებისა და ფუფუნების შესახებ.

ამგვარ ჩივილს რომ დამამტკიცებელი ძალა ჰქონდეს, სულ ადვილი იქნებოდა იმის დამტკიცება, რომ დაქირავებული მუშები ყოველ ხანაში უბედნიერეს მდგომარეობაში იმყოფებოდენ.

მაგრამ თუ უფრო საფუძვლიანად გამოვიკვლევთ ფაქტებს, ჩვენ თვალ წინ სულ სხვა სურათი გადაიშლება. [2])

---

[1]) Iohannes Iaussen, Geschichte des deutschen Volkes seit dem Ausgang des Mittelalters, I, გვ. 315—342 (პირველი ტომის ნაწილი გადათარგმნილია რუსულ ენაზე: И. Янсен, Экономическое, правовое и политическое состояние германского народа накануне реформации, СПБ. 1898. საშუალ საუკუნეების ხელოსან ქარგალთა მდგომარეობის შესახებ იხ. ხსენებულ გამოცემის გვ. 52—83).

[2]) იშვიათად მოუქცევია უახლოესი ხანის რომელიმე ისტორიულ გამოკვლევას ისეთი დიდი ყურადღება, როგორიც იანსენის შრომას ერგო, და ამას რამოდენიმედ აკვს თავისი საფუძველი. იანსენმა ძალიან შეარყია ლიბერალურ-პროტესტანტული ლეგენდა რეფორმაციის შესახებ; მან ნათელჰყო, რომ რეფორმაციის რელიგიურ ფრაზებს უკან ფრიად მატერიალური ინტერესები იმალებოდა. რა თქმა უნდა, მეცნიერულმა სოციალიზმა ეს იანსენზე ადრე აღნიშნა, თანაც არა იანსენის დაგვარი ცალმხრივობით, ვინაიდან მან (მეცნიერულმა სოციალიზმა) მატერიალურ ინტერესების მოქმედება გამოაშკარავა არა მარტო პროტესტანტების, არამედ კათოლიკეთა მბარეზედაც. მაგრამ ფართო საზოგადოებისათვის ეს ახალი ამბავი იყო. სწორეთ ასევე იყო იგი გაკვირვებული, როცა დამტკიცდა, რომ თანამედროვე წესიერების მოციქულთა მიერ ესოდენ პატივცემული ლიუტერი და მისი ამხანაგები, რევოლიუციონერები იყვნენ, რევოლიუციონურ მიზნებს ემსახურებოდენ რევოლიუციონურიევ საშუალებებით. იანსენის შრომაში მრავალი რამ არის საინტერესო რეფორმაციის ეპოქასთან უკვე გაცნობილ მკვლევარისათვის. ამაშია იანსენის დამსახურება. მაგრამ ჩვენ დიდის გაფრთხილებით ურჩევდით ფართო საზოგადოებას ამ წიგნის, როგორც სრული ჰეშმარიტების გამოხატველის,

პირველი ცნობები ხელოსან ქარგალთა ანუ „კნეხტების“ ე. ი. მსახურთა შესახებ, როგორც მათ წინეთ უწოდებდენ, მე-XIII საუკუნის გერმანიას შეეხება. ამაზე ადრე ხელოსნებს იშვიათად თუ ყავდათ ქარგლები და ამიტომ არ იყო საბაბი მათი მოხსენებისათვის. იჟრასბურგელ მატყლის მქსოველთა შორის მე-XIII საუკუნეშიაც დრთი სიტყვით არ არიან მოხსენებული ქარგლები და თვით მე-XIV საუკუნეში ოსტატები და ქარგლები ძალიან სუსტად განირჩევიან ერთმანეთისაგან. (G. Schmoller, Die Strassburger Tucher und Weberzunft, სტრასბურგი 1879 წ., გვ. 389, 451).

მე-XIV საუკუნემდე პირობები ქარგალთა განსაკუთრებულ წოდების შექმნისათვის უაღრესად არა ხელსაყრელი იყო. როგორც უკვე ვიცით, ხელოსნები მაშინ ნაწილობრივ ფეოდალურად დამოკიდებული იყვნენ მსხვილ სენიორების მამულებში, ნაწილობრივ კი თავისუფალნი, მაგრამ არა სრულუფლებიანი მოქალაქენი. მხოლოდ მიწათმფლობელთ, ქალაქის მარკის წევრებს ქონდათ პოლიტიკური უფლებები; ხელოსანთა ორგანიზაციები ჯერ სავსებით არ იყო კანონიერად ცნობილი და უმთავრესად ბრძოლის ორგანიზაციებს წარმოადგენდენ მაშინ. გარედან მოსულ ყოველ ხელოსანს ან ხელობის სწავლის დამწყებს ესალმებოდენ როგორც ამხანაგს და

წაკითხვას. არც ერთი თანამედროვე ისტორიული თხზულება არ გვეგულება, რომელიც იანსენის ნაშრომს შეედრებოდეს თავისი ტენდენციოზობით. ის ორნაირად ასურათებს რეფორმაციის დამდეგის სოციალურ ურთიერთობებს. პირველად გვიჩვენებს ამ ურთიერთობათა ნამდვილ თუ მოგონილ კარგ მხარეებს: ასე ბედნიერი იყო, ფიქრობს ის, გერმანია რეფორმაციის წინ. შემდეგ გვიჩვენებს XVI საუკუნის დამდეგის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძნელ მხარეებს; შეხედეთ,—გაიძახის იანსენი,—სად მიიყვანა გერმანია გვიანდელ ჰუმანისტთა ურწმუნოებამ, რომის სამართალმა და პროტესტანტიზმმა!

ამას უნდა დაუმატოთ „წყაროებით დამოწმების“ თავისებური წესი. წყაროდან იანსენს ის კი არ ამოაქვს, რაც დამახასიათებელია, არამედ ის რაც იანსენს სჯერია; მოყავს არა მარტო ფაქტები, არამედ უმთავრესად ის, თუ ვის რა უთქვამს და რა მოუსურვებია და ყოველივე ამას ფაქტებად აქცევს, თუ ეს მის მიზნებს შეეფერება. კათოლიკურ ამქრის ერთი სტატუტი ქარგლებს ურჩევს იცხოვრონ „ძმურ სიყვარულში და ერთგულებაში“, ერთი კათოლიკური ტრაქტატი აცხადებს, რომ ხელოსანი მუშაობს არა ხელფასის, არამედ ღვთის მცნების გულისთვის: განა ეს „დოკუმენტალურად არ ამტკიცებს“ კათოლიკეთა პატიოსნებას და სიმართლეს? ერთი კათოლიკე ხუცესი სწერს ეკლესიის რეფორმაცია აუცილებელიაო და განა ეს ცხადათ არ ამტკიცებს იმას, რომ საეკლესიო რეფორმა შესაძლებელი იყო ძალმომრეობის გარეშეც, პაპობასთან კავშირის გაუწყვეტლად და თანაც ისე, რომ გერმანია მთლიანი და ბედნიერი დარჩენილიყო? რა მოიტანა, პირიქით, პროტესტანტიზმმა? პროტესტანტი—მღვდლები თავის ქადაგებებში და თხზულებებში სჩივიან—ასეთი ყოფილა, სჩანს პასტორის პროფე-

თანამებრძოლს, ამქრის დამხმარეს; არავითარი საფუძველი არ არსებობდა ამქრიდან მისი გამოსარიცხავად: პირიქით ყოველ ღონეს ხმარობდენ იმის მოსაწვევად. ეს აზრი ქონდა მაშინ იმ დებულებას, რომლის თანახმათ მხოლოდ ამქრის წევრებს ეძლეოდა ხელობაში მუშაობის უფლება. (შეადარეთ G. L. V. Maurer, ხსენებული წიგნის ტ. II, გვ. 399). ჯერ კიდევ 1400 წ. სტრასბურგელ ფეიქრებს დადგენილი ქონდათ: დაუყოვნებლივ და შ ე გ ი რ დ ო ბ ი ს ვ ა დ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ა მ დ ე, მიღებულ იქნეს ამქარში ყოველი პირი, ვინც ამქრის ხუთი წევრის აზრით პატიოსანი შთამომავლობის კაცია. (Schmoller, გვ. 402).

ხელობის ტეხნიკა ჯერ უკიდურესად პრიმიტიული იყო და არ მოითხოვდა მრავალი პირის თანამშრომლობას ან კოოპერაციას. ყოველ ხელოსანს ადვილად შეეძლო შეეძინა ხელსაწყო და სხვა წარმოების საშუალებანი. მრავალ ხელობაში ნედლ მასალას თვითონ შემკვეთელი შოულობდა და ხელოსანი მასალას ჩვეულებრივათ შემკვეთელის სახლშივე გადაამუშავებდა. ხელოსანთა უმრავლესობა ჯერ იმდენად ღარიბი იყო, რომ ხელოსანთა ყოლა არ შეეძლო. არც ერთ ხელოსანს არ აიძულებდენ ქარგლად ემუშავნა: არც ტეხნიკური და ეკონომიური პირობები და არც კანონმდებლობა არავის არ უზღუდავდა დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას. საიდან უნდა გამხდარიყვნენ ასეთ პირობებში ქარგლები?

სია—რომ ქვეყნიერება დღითი-დღე ულმერთო ხდება: აშკარა არ არის ამის შემდეგ. როგორ გარყვნა ხალხი რეფორმაციამ? ამას ხომ სრულიად ეპემიუტანელი პროტესტანტული „წყაროები“ ადასტურებენ.

თუნდაც რომ სწორი იყოს იანსენის ციტატები, მათი შედარებისა და გამოყენების თავისებური ხერხით ამ ციტატებზე აშენებული მოთხრობა ს ი ყ ა ლ ბ ე გამოდის. სიკეთეს არ მატებს მას ის მანერაც, რომელიც გერმანელმა ისტორიკოსებმა მომზენის შემდეგ შეითვისეს.

წარსული დროის ურთიერთობებს თანამედროვე სახელებს არქმევენ და ამით აიძულებენ მკითხველს, ძველი დროის ისტორიულ თავისებურობას გვერდი აუაროს და ჩვენი საზომით მიუდგეს იმ ხანას. როგორც მომზენი ძველ რომაელებზე მსჯელობის დროს თანამედროვე კაპიტალისტურ საწარმოო წესის შესატყვისს ცნებებსა და სიტყვებს ხმარობდა, ისევ იქცევა იანსენი საშუალო საუკუნეებისა და რეფორმაციის მიმართ. „საეკლესიო სამართალი, —ამბობს ის ერთ ადგილას (ტ. I, გვ. 412), – აღიარებს, რომ მ ხ ო ლ ო დ შ რ ო მ ა ქ მ ნ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს“.ო. მაგრამ ამ დებულების დამტკიცებას იანსენი მხოლოდ იმის წყალობით ახერხებს, რომ ამ აზრის ნამდვილი მნიშვნელობა სრული წყვდიადით არის მისთვის მოცული. ასევე უყვარს მას ლაპარაკი „შრომის უფლების“ შესახებ, რომელიც ეითომდა ამქრებს უზრუნველუყვიათ. ეისთვის და რა საშუალებით,— ამას ჩვენ კიდევ დავინახავთ.

ამგვარად იანსენის წიგნის წაკითხვას ვერ ურჩევთ იმას, ვინც ნამდვილს და მიუდგომელ ცოდნას ეძებს.

ყოველივე ეს მე-XIV საუკუნის შემდეგ შეიცვალა. განვითარდა ქარგალთა განსაკუთრებული წოდება განსაკუთრებულის უფლებებით: შეგირდობამ გარკვეული ფორმები მიიღო. მაურერის აზრით (ხსენებული წიგნი, II, გვ. 367) ხელოსანთა ორგანიზაციამ რაინდობისაგან აიღო მაგალითი. როგორც რაინდთა შორის განირჩეოდენ პაჟები, საჭურველის მტვირთველნი და რაინდები, ასევე განირჩეოდენ საამქრო ხელოსნობაში შეგირდები, ქარგლები და ოსტატები; მაგრამ, რა თქმა უნდა, სხვა პირობებიც მოახდენდა გავლენას ხელოსანთა დაყოფაზე.

მე-XIV საუკუნეში ხელოსნობა უმთავრეს სარეწავს წარმოადგენდა ქალაქებში: თავისი მნიშვნელობით ხელოსნობა სულ უფრო სჭარბობდა მიწათმოქმედებას და თვით ვაჭრობასაც. ხელოსნების შეძლებულობა და ამქრების გავლენა სულ მატულობდა. იზრდებოდა მათი როლიც ქალაქის მართვა-გამგებლობაში.

ცალკე ხელოსანთა შეძლებულებამ საშუალება მისცა მათ ქარგლები დაეჭირათ. ამქრებმა მოიპოვეს კანონმდებლობაში მონაწილეობის უფლება და, მაშასადამე, თავისი განსაკუთრებული ინტერესების საზოგადოების მფარველობის ქვეშ დაყენების შესაძლებლობაც. და სწორეთ იმ პირობებმა, რომლებიც ამ განვითარებას ედო საფუძვლად, ის ელემენტებიც მოამზადა, რომელთაგან ხელოსან ოსტატებს შეეძლოთ აეყვანათ ქარგლები.

ხელოსნობის და ვაჭრობის პროგრესსმა სოფლად ძირიანად შესცვალა იქ არსებული ურთიერთობანი. როდესაც გლეხთა ომების შესახებ გვექნება საუბარი ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით ამ ცვლილებებზე. აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სოციალურ დამოკიდებულებათა გადატრიალებამ სოფლად, გლეხთა ომების ვარდა, ისიც გამოიწვია, რომ მიწისაგან მოწყვეტილმა სოფლელებმა იწყეს დენა ქალაქებისაკენ, სადაც თავშესაფარს, თავისუფლებას და კეთილდღეობას ეძებდენ.

ბიუხერმა თავის საუცხოო შრომაში მაინის ფრანკფურტის XIV და XV საუკუნეთა მოსახლეობის შესახებ ცხადათ გვიჩვენა, თუ რამდენად ძლიერი იყო ეს დენა (შედარებით) მსხვილ ქალაქებისაკენ სოფლებიდან, დაბებიდან და ქალაქის მიდამოებიდან. [1])

ასე, ფრანკფურტის მამაკაცთა მოსახლეობას ქრისტიანულ სარწმუნოების ახალ მოქალაქეთა შემდეგი რიცხვი ემატებოდა (გამორიცხულია ადგილობრივ მოქალაქეთა შვილები):

---

[1]) შეადარეთ აგრეთვე კარლ ლამპრეხტის საინტერესო რეცენზია ბიუხერის ამ წიგნის შესახებ Archiw für sociale Gesetzgebung und Statistik"-ში, Tübingen 1868, I, გვ. 485 და შემდეგი.

წლები	ნამატი	ყოველწლიური საშუალო ნამატი.
1311—1350	1293	32
1351—1400	1535	31
1401—1450	2506	50
1451—1500	2537	51

მაშასადამე, რაც უფრო უახლოვდებით მე-XVI საუკუნეს მით უფრო მატულობს მოსახლეობის დენა.

ფართოვდება ის რაიონიც, საიდანაც ახალი მოქალაქენი გამოდიოდენ. ფრანკფურტის ყოველ 100 მოქალაქედან შემოსულა შემდეგი მანძილით დაშორებულ მიდამოებიდან:

წლები	2 მილამდე	2—10 მილამ.	10—20 მილამ.	20 მილზე შორიდან
1311—1350	54,8	35,5	6,5	3,2
1351—1400	39,4	42,9	11,1	6,6
1400—1450	22,9	54,4	12,6	10,1
1451—1500	23,2	51,2	11,3	14,3

გარედან მოსულთაგან ყველას კი არ იღებდენ მოქალაქობაში: რაც უფრო სჭარბობდა ქალაქად წასულ მოსახლეობაში პროლეტარული ელემენტები, მით უფრო იზრდებოდა დროებითი, უმკვიდრო მოსახლეობის რიგები. ჩვენ არა გვაქვს არავითარი ცნობა, რომ სტატისტიკურად შეგვეძლოს ამ ელემენტების რიცხვის გამორკვევა და ამიტომ უნდა დავკმაყოფილდეთ იმ ფაქტის უბრალო აღნიშვნით, რომ XV საუკუნის დამლევში და XVI-ის დასაწყისში გერმანიის ქალაქებში გასაოცარი სისწრაფით იზრდებოდა ღ ა რ ი ბ თ ა რიცხვი. 1451—1538 წ.წ. ისინი შეადგენდენ ჰ. ჰამბურგის მოსახლეობის დაახლოვებით 16—24%; 1520 წ. ჰ. აუგსბურგში 2.000-მდე ღარიბი კაცი იქნებოდა. საიდან გაჩნდენ ისინი, დანამდვილებით ვერ ვიტყვით; მაგრამ მრავალგვარი მოსაზრება გვაფიქრებინებს, რომ სოფლის მოსახლეობის პროლეტარიზაციამ ძალიან დიდი როლი ითამაშა ქალაქების ბოგანო მოსახლეობის განსაცვიფრებელ ზრდაში.

ახალი მოსახლენი, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა ხელოსნობაში ეძებდენ შემოსავალს ან, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდენ თავის შვილებისათვის შეესწავლებინათ ხელობა. ხელოსან ოსტატებს კი ეხლა საკმაოთ ყავდათ ქარგლები და შეგირდები,—იმაზე მეტიც,

რაც მათ სჭიროდათ. ქარგლები, რა თქმა უნდა, ცდილობდენ რაც შეიძლება მალე გამხდარიყვნენ დამოუკიდებელი ოსტატები; ხელოსანთა რიცხვი იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე მათი შრომის პროდუქტის მოთხოვნილება. თუ წინეთ ამქარი სიხარულით ეგებებოდა ყოველ ახალ ამხანაგს, რადგან ეს ამქრის ძალას ადიდებდა, ეხლა უკვე ყოველ ახლად მოსულში ხედავდა არასასურველ კონკურენტს ისედაც მრავალრიცხოვან კოლეგებისა. ამქრის ძლიერების საფუძველი ეხლა მუშტები კი არ იყო, არამედ ამქრის წევრთა ფულის ქისები. ქისები კი მით უფრო გასქელდებოდა, რაც უფრო ნაკლები იქნებოდა ხელოსანთა ურთიერთ მეტოქეობა. განკერძოების სული ბატონდებოდა ამქრებში; სულ უფრო გულმოდგინეთ სარგებლობდენ ისინი თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ძალით, რათა შეეზღუდათ უცხოელების განსაკუთრებით ს ო ფ ლ ი ს ელემენტების ამქარში შესვლის შესაძლებლობა და ოსტატობა გადაექციათ პრივილეგიად, რომლის დამსახურება სულ უფრო და უფრო ძნელი ყოფილიყო. ამ მიზნის მისაღწევად ზომებს იღებდენ არა მარტო საამქრო წესწყობილების „გაყინვის“ ხანაში. ასეთი ზომები ჯერ კიდევ მე-XIV საუკუნეში იყო შემოღებული, ხოლო მე XVI საუკუნეში მათი განვითარება არსებითად უკვე დამთავრებული იყო. შემდეგ საუკუნოებს ამ მხრივ არაფერი მნიშვნელოვანი არ მოუტანია. მაშასადამე ეს ზომები, საამქრო წყობილების ნაყოფი, ამ წყობილების აყვავების ხანაში წარმოიშვა: იმ ხანაში, რომელიც საამქრო წყობილების მრავალ თანამედროვე ენტუზიასტის თვალს იტაცებს, როგორც იდეალი.

IV. შეგირდი, ქარგალი, ოსტატი.

ჯერ შეგირდების მიღებისას მეღავნდებოდა ამქრების კარჩაკეტილობა. ეს კარჩაკეტილობა დაიწყო დედაკაცების გამორიცხვით ხელობის სფეროდან. შეგირდათ შეიძლებოდა მხოლოდ მამაკაცი ყოფილიყო. მამაკაცებს თავიდანვე როდი ეკუთვნოდათ ხელოსნობის მონოპოლია. ამის შესახებ გერმანიაში არ შენახულა საკმაოთ სანდო საბუთები. სამაგიეროთ საფრანგეთის შესახებ საქმე ნათელია. იქ ჯერ კიდევ მე-XIII საუკუნეში დედაკაცები არ იყვნენ პრინციპიალურად გამორიცხული ხელოსნობიდან. „ასეულ ხელობიდან, რომლის სტატუტებს შეიცავს ბუალოს[1]) შრომა, დედაკაცთა შრომა სასტიკად აკრძალულია მხოლოდ ორში და, გარდა ამისა, ერთ ხელობაში მათი შრომა ნებადართულია მხოლოდ ზოგიერთ გარკვეულ სამუშევრები-

[1]) Réglaments sur les arts et métiers de Paris

სათვის. როგორც ამ სამი ამქრის სტატუტებიდან და დადგენილებები დან სჩანს, სამივე ხელობაში მანამდე დედაკაცთა შრომა და დედაკაცთა მიერ საქმის წარმოება ნება დართული იყო. რვა ხელობის შესახებ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ხელოსნურ შრომაში დედაკაცებს იგივე უფლებები აქვთ, რაც მამაკაცებს. ექვს შემდეგ ხელობაში მუშაობენ მხოლოდ ან უმთავრესად დედაკაცები, რომელნიც, როგორც ყველა დანარჩენ ხელობაში, შეგირდებად, მუშაკებად და ოსტატებად განიყოფებიან; ამ ხელობებს ყველა ის ნიშნები ახასიათებს, რაც ყოველ სხვა ხელობას; ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა დაკისრებული აქვს ან მარტო დედაკაცებს, ან დედაკაცებსა და მამაკაცებს. დანარჩენ ხელობათა შესახებ პირდაპირ არ არის აღნიშნული, რომ, ოსტატის ცოლისა და ქალიშვილების გარდა, სხვა დედაკაცებსაც ეძლევა მუშაობის უფლება; ნაგრამ სტატუტებში არ სჩანს არც პირდაპირი აკრძალვა დედაკაცთა შრომისა"[1]).

თუმცა, გერმანიისთვისაც შენახულა ზოგიერთი ნიშნები იმისა, რომ ჯერ კიდევ მე-XIV საუკუნეში დედაკაცები ან საკუთარ ამქრებს შეადგენდენ, როგორიც ქონდათ, მაგალითად, მატყლის მჩეჩელ დედაკაცებს, ქ. კიოლნში, ან შედიოდენ ამქარში მამაკაცებთან ერთად და დამოუკიდებლად ხელოსნობდენ.

ფრანკფურტელ (მაინზე) თერძების 1377 წლის წესდებაში ნათქვამია: „თუ გაუთხოვარ ქალს ხელოსნობა სურს, ის უწინარეს ყოვლისა მოქალაქე უნდა იყოს და თავისი სურვილი საბჭოს უნდა განუცხადოს; ამის შემდეგ უნდა გადაიხადოს 30 შილინგი ხელობის სასარგებლოდ და ერთი ჩარექი ღვინო ხელოსანთა გასამასპინძლებლად. ამის შემდეგ მას და მის შვილებს უფლება ეძლევათ იმუშავონ ხელობაში". ამასვე მოითხოვდენ მამაკაცებისგანაც[2]).

სხვა ხელობებიც ღია იყო მე-XIV საუკუნეში დედაკაცებისათვის; კიოლნში, მაგალითად, მეხორცენი და ის ხელოსნები, რომელნიც ფულის ქისებს და აშირმებს ამზადებდენ და გერბებს ქარგავდენ თავის ამქრებში დედაკაცებსაც იღებდენ მამაკაცის სწორი უფლებით საზოგადოთ კი უცხო დედაკაცები უკვე მე-XIV საუკუნიდან გამორიცხული იყვნენ ხელოსნობიდან. მე-XIV საუკუნის შემდეგ უმრავლეს ხელობაში მხოლოდ ოსტატების ცოლებსა და ქალიშვილებს შერჩათ სახელოსნო მუშაობაში მონაწილეობის უფლება. შემდეგ ესეც მოისპო. დედაკაცთა გამორიცხვა სახელოსნო შრომის სფეროდან საყოველთაო და პრინციპიალურ მოთხოვნილებად იქცევა.

---

[1]) Fr. W. Stahl, Das deutsche Handwerk, Gissen 1874, გვ. 68.

[2]) Stahl, ხსენ. შრომა, გვ. 80.

მამაკაც-შეგირდებსაც გარკვეული შერჩევით იღებენ, და ამგვარად მოსახლეობის სულ უფრო ფართო წრეები თანდათან კარგავენ თავის შვილების ხელობაში მიცემის უფლებას. ბოლოს ზოგიერთ ხელობაში საქმე იქამდე მივიდა, რომ შეგირდებისაგან მოითხოვდენ მოწმობას მისი წინაპრების შესახებ. ოსტატს უფლება ეძლეოდა მხოლოდ ის ყმაწვილი მიეღო შეგირდათ, რომელიც დაამტკიცებდა თავის შთამომავლობას მთელ რიგ თავისუფალ, პატიოსან და კანონიერ საქორწინო კავშირში შობილ წინაპრებისაგან.

თავის თავად ცხადია, რომ ასეთი მოთხოვნილება შესაძლებლად ხდიდა ყოველგვარ მომიზეზებას არა სასურველ პირის მოსაშორებლად. მოთხოვნილება რამოდენიმე თაობის კანონიერ ქორწინებისაგან წარმოშობის დამტკიცებისა პროლეტართა უმრავლესობას არ-თმევდა ხელსნად შედგომის საშუალებას. მოთხოვნილება თავისუფალ წინაპრებისაგან წარმოშობის დამტკიცებისა შეუძლებლად ხდიდა ფეოდალურად დამოკიდებულ გლეხთა შვილების შესვლას საამქრო ხელობაში. და ბოლოს, „უპატიოსნოთ“ ითვლებოდა უმთავრესად ის ხელობანი, რომლებსაც ყველაზე უფრო ადვილად შოულობდნენ ქალაქად ხიზნული გლეხები. ამ ჯგუფს ეკუთვნოდა სოფლის ხელობები, რომელსაც არ ქონდათ ამქრული ორგანიზაცია, და, შემდეგ, ის პროფესიები, რომელსაც ხელს კიდებდა უმთავრესად ქალაქის მოსახლეობის დეკლასიური ნაწილი. მაურერი (II ტ., გვ. 447) ასახელებს შემდეგ „უპატიოსნო“ პროფესიებს: მეცხვარეებს, მეწისქვილეებს, ტილოს მქსოველებს, ქალაქის დაწესებულებათა და სასამართლოთა ხელის მსახურთ, მესაფლავეებს, ღამის გუშაგებს, მათხოვართა მამასახლისებს, მხვეტელებს, ასსენიზატორებს, ჯალათებს და აგრეთვე საბაჟო მოსამსახურეებს, მეზურნე და მებუკეებს და ზოგჯერ დალაქებსა და მეაბანოეთ.

სელის ქსოვა უმთავრესად სოფლის შინაური წარმოება იყო. მე XV საუკუნეში სელის მქსოვლები მასსობით გადადიოდენ ქალაქებში. მაგალითად, 1448 წელს 400 სოფლელი მქსოველი გადაესახლა შვაბიიდან ულმში. რა გასაკვირალია, რომ თავდასაცავ ზომებს იღებდენ ამოდენა კონკურენტთა ზვავის წინააღმდეგ.

უძველეს დოკუმენტად, რომელიც ამგვარ ელემენტების გამორიცხვას აწესებს, შეიძლება ჩაითვალოს 1300 წელს დაწერილი მეჩექმეთა ამქრის გრაგნილი (მართალია, დაცულია მხოლოდ მისი ასლი, XVII საუკუნეში გადმოღებული, რომელიც, შეიძლება, ამ დროის მოთხოვნილებას ემსახურებოდა). ამ დოკუმენტში ხელობის შე-

სწავლა აკრძალული აქვს სელის მქსოველთა და ტვირთმზიდველთა შვილებს[1]).

შეგირდობის ვადას აჭიანურებდენ რამდენათაც შეიძლებოდა.

თავდაპირველად ამ პუნქტის შესახებ არავითარი დადგენილება, და საზოგადოთ, არავითარი იძულება შეგირდობის ვადის შესრულებისათვის არ არსებობდა. ჩვენამდე მოსული უძველესი სტატუტები, რომლებიც ამგვარ იძულებას აწესებენ, 1304 წელს ეკუთვნის, როდესაც იგი ციურიხში იქნა შემოღებული მეწისქვილეების, მექუდეებისა და ქურქჩებისათვის. და მხოლოდ მე-XV საუკუნეში იძულება საყოველთაო ხდება.

თვით შეგირდობის დრო სხვა და სხვა ნაირი იყო. ჩვენ ვხედებით შემთხვევებს, როდესაც იგი ერთი წლიდან (მაგ., მაუდის მკეეცელებისათვის კიოლნში, XIV საუკ.) რვა წლამდის გრძელდებოდა (იმავე ხანის ოქრომჭედლებისათვის კიოლნში). ყველაზე ხშირი სამი წლის ვადა იყო. ინგლისში შეგირდობის ვადა ძალიან გრძელი იყო—თორმეტ წლამდე (ჩვეულებრივ ვადათ ბოლოს შვიდი წელიწადი დაწესდა); სამაგიეროთ იქ შეგირდობის განვლის შემდეგ აღარ არსებობდა კანონიერი დაბრკოლება ოსტატად შედგომისათვის.

ამაშია, ალბათ, იმის ერთი მიზეზთაგანი, რომ იგლისში არ გვხდება ქარგალთა ორგანიზაციის კვალი, იმ ტიპის ორგანიზაციისა, როგორიც გერმანიაში არსებობდა.

გერმანიაში შეგირდობის ვადა არ იყო ამდენად გაჭიანურებული. მაგრამ სამაგიეროთ შეგირდობასა და ოსტატობას შორის იყო პერიოდი, რომელიც მუშას ქარგლობაში უნდა გაეტარებინა; ამ ვადას რამდენადაც შეიძლებოდა აგრძელებდენ და ამისთვის საგანგებოთ შემოღებულ იქნა ქარგალთა საავალდებულო მოგზაურობის პერიოდი.

ქარგალთა მოგზაურობის ჩ ე ე უ ლ ე ბ ა ჯერ მე-XIV საუკუნეში იხსენიება; მაგრამ მაშინ ჯერ არ იყო მოგზაურობის ი ძ უ ლ ე ბ ა; პირიქით, მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ი ყ ო. ჩვენამდე შენახული პირველი ცნობა იძულებითი მოგზაურობის შესახებ შეეხება 1477 წელს: მატყლის მქსოველნი ლიუბეკში მოითხოვდენ, რომ ო ს ტ ა ტ ი ს შ ვ ი ლ ს ერთი წელიწადი და ერთი დღე ემოგზაურნა, სანამ ოსტატი გახდებოდა. ქარგლებზე აქ ჯერ ლაპარაკი არ არის. მე-XVI საუკუნეში მოგზაურობის იძულება უფრო ხშირი ხდება. ინგლისში კი ამას არასოდეს არ ქონია ადგილი.

---

[1]) V. Böhmert, Beiträge zur geschichte des Zunftwesens, Leipzig. 1862, გვ. 16,68.

მოგზაურობისათვის დაწესებული დრო ერთი წლიდან ექვს წლამდე იყო, უმრავლეს შემთხვევაში კი სამი-ოთხი წელიწადი.

შემდეგ ზომას ხელოსანთა მომრავლების წინააღმდეგ წარმოადგენდა ოსტატის ხელქვეით მყოფ შეგირდთა და ქარგალთა რიცხვის განსაზღვრა. თუმცა ამ საშუალებით სხვა მიზანსაც აღწევდენ: აბრკოლებდენ მდიდარ ოსტატების ნამდვილ კაპიტალისტებად გადაქცევას და ამგვარათ იცავდენ წვრილ ოსტატებს დამღუპველი კონკურენციისაგან.

შეგირდთა და ქარგალთა რიცხვის განსაზღვრა ჯერ კიდეე XIV საუკუნეში დაიწყო.

ასე, მაგალითად, კონსტანცას ბურგომისტრმა და თერძთა ამქრის ოსტატებმა 1386 წელს გამოსცეს დადგენილება, რომელშიაც ჩივოდენ, „რომ ზოგიერთ ოსტატს ბევრი მოსამსახურე ყავს, რაიც სხვებისათვის საზიანო და საშიშარია. ამიტომ ყოველ ოსტატს ეკრძალება 5 თანაშემწესა და 2 შეგირდზე მეტის დაჭერა“. [1])

მე-XV საუკუნეში ამგვარმა განსაზღვრამ საყოველთაო ხასიათი მიიღო [2]).

ეხლა ყოველ ქარგალს როდი შეეძლო დამოუკიდებლად გახდომა. მამულებში ბოლო მოეღო ფეოდალურად დამოკიდებულ ხელოსნის საკალდებულო საბატონო სამუშაოებს; თავისუფალ ხელოსნობის სფეროშიაც სრულიად გაჰქრა ან ჰქრებოდა მუშაობა შემკეთლის სახლში. ეხლა ხელოსნები საკუთარს სახელოსნოებში ამუშავებდნენ საკუთარსავე ნედლ მასალას, ისინი სახლის მფლობელნიც იყენენ და ყოველივე საჭირო მასალა მათ თვითონ უნდა ეყიდნათ. საქმის წესიერი წარმოება ყველა ხელობაში ერთგვარ დამოუკიდებლობას მოითხოვდა. ამიერიდან ნივთიერი შეძლებულება წარმოადგენდა არა შედეგს, არამედ მიზეზს დამოუკიდებელ ხელოსნურ წარმოებისათვის. საკვირველიც არ არის, რომ სულ უფრო იზრდებოდა იმ ქარგალთა რიცხვი, რომელთაც არ შეეძლოთ დამოუკიდებლობის მიღწევა და მთელი თავისი სიცოცხლე ქარგლებად უნდა დარჩენილიყვნენ.

---

[1]) G. Schanz. Zur Geschichte der deutschen Gebellenverbände Leipzig 1877, —გვ. 9.

[2]) Schmoller, ხსენებული შრომა, გვ. 453. K. Bücher, op. cit., I, გვ. 607. K. Werner, Die urkundliche geschichte der Iglauer Tuchmacherzunft, Leipzig 1861, გვ. 17,29. F. Ruby, Das Iglauer Handwerk urkundlich dargestellt, Brünn 1887, გვ. 114.

მიუხედავათ ამისა ოსტატობაში გამოსულ ქარგალთა რიცხვი მაინც უფრო სწრაფად მატულობდა, ვიდრე ოსტატებისათვის იყო სასურველი. ამიტომ ეკონომიურ განვითარების ტენდენციის დასახმარებლად ღებულობდენ საკანონმდებლო ზომებსაც: ოსტატის წოდებაში ჩარიცხვა, რაიც ჯერ კიდევ მე-XIV საუკუნეში არავითარი პირობით არ იყო შეზღუდული, ეხლა სულ უფრო ბრკოლდებოდა. დაბრკოლებათა უმრავლესობა მე-XV საუკუნეში წარმოიშვა.

ოსტატად რომ გამხდარიყო, ქარგალს წინასწარ მოქალაქეობის უფლებები უნდა მიეღო ქალაქში; ამ პირობის შესრულების შემდეგ, ქარგალს ხშირად წლობით უნდა ემეცადინა, რომ ოსტატის უფლებები მიეღო.

ასე, მაგ., ულმის ფეიქართა 1403 წ. სტატუტში ნათქვამია: „მოქალაქეებს, რომელნიც ხ უ თ ი წ ლ ი ს განმავლობაში ცხოვრობენ ულმში, როგორც სახლის მფლობელნი, შეუძლიათ თავის შვილებს ქსოვის ხელობა შეასწავლონ და სწავლის დამთავრების შემდეგ იყიდონ მათთვის ამქარში შესვლის უფლება. ხოლო თუ უცხო ფეიქარს, სოფლიდან თუ სხვა ქალაქიდან მოსულს, სურს მიიღოს მოქალაქეობა, მან ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა იმუშავოს ფეიქრად და საამქრო უფლებების მიღება შეეძლება არა უადრეს ამ ვადისა. მაგრამ თუ საფეიქრო ხელობის ქ ა რ გ ა ლ ს ხუთი წელი უცხოვრია აქ ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მისთვის,—საამქრო უფლებები მიეცემა მას მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ხ უ თ ი წ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი ი ს ა რ გ ებ ლ ებ ს მ ო ქ ა ლ ა ქ ი ს უ ფ ლ ებ ებ ი თ“ (Schanz, op. cit. გვ. 8).

შემდეგი პირობა იყო შ ე დ ე ვ რ ი ს, სანიმუშო ნაწარმოების შექმნა. დამაკმაყოფილებელია თუ არა ეს ნაწარმოები, ამას რა თქმა უნდა ამქრის ოსტატები, მაშასადამე მომავალი კონკურენტები, სწყვეტდენ. წინაპართა საკითხის შემოწმება ოსტატად მიღებისას, რასაკვირველია, უფრო მკაცრი იყო, ვიდრე შეგირდათ მიღების დროს. ამის შემდეგ საჭირო იყო კიდევ დიდი თანხის შეტანა ამქარში მიღებისათვის და ოსტატებისათვის, ამქრელ ამხანაგებისათვის, ძვირფასი ნადიმის, ბანკეტის გამართვა.

ყველა ამ მოთხოვნილების შესრულება ქარგლისთვის ადვილი არ იყო. რომანტიკოს-ფანტაზიორებს სურთ დაგვარწმუნონ, რომ ამ ზომებს მიზნათ ქონდა მხოლოდ მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, თავდებობის შექმნა ნაწარმოებთა კარგი ღირსებისათვის. ნამდვილად კი ამგვარი მოსაზრება უმნიშვნელო როლს თამაშობდა. ეს ნათლად სჩანს დაინტერესებულ პირთა სხვადასხვა განცხა-

დებიდან. მაგალითად, მაუდის მწარმოებელთა ამქრის თხოვნაში ქ. იგლაუს საქალაქო საბჭოს სახელზე გარკვეულად არის განცხადებული, რომ ამქარი მოითხოვს შეგირდობის ვადის გაგრძელებას 4 წლამდე, „რათა არავინ არ აღწევდეს ხელოსნობას ასე ადვილათ“ (K. Werner, Die urcundliche geschichte der Iglauer Tuchmacherzunft, ლეიპციგი, 1861, გვ. 30). მაინცის არქიეპისკოპოზი 1597 წ. სხვადასხვა ქალაქის დაბაღებსა და სირაჯებს ურჩევდა დაეწესებინათ შეგირდობისა და მოგზაურობის ხანგრძლივი ვადები, „რათა დაბაღებმა და სირაჯებმა დაიცვან თავისი ხელობის აყვავებული მდგომარეობა და ნება არ მისცენ გამოუცდელ მჩიჩქნელებს წაჭგლიჯონ მათ ლუკმა პური“ (Stahl, op. cit., გვ. 40,41).

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ხსენებული დაბრკოლებანი სრულიად იხსენებოდა ან იმდენად შეღავათიანდებოდა, რომ უბრალო ფორმალობად იქცეოდა, როდესაც ამქარში ოსტატის შვილი ან ოსტატის ქვრივთან ან ქალიშვილთან შეუღლებული პირი უნდა შესულიყო. მათ წინაშე საოცარის ძალით ჰქრებოდა მოკრძალებითი ზრუნვა „წოდებრივ ღირსების დაცვისათვის“. ყოველივე ეს მოხდა არა ამქართა „გადაგვარების“ ხანაში, როგორც ამქრულ წყობილების ენტუზიასტები გვიამბობენ. უკვე მე-XIV საუკუნეში ფრანკფურტის ყასბების და ბრემენის მეჩექმეთა ხელობები მხოლოდ ოსტატთა ქალ-ვაჟებისათვის იყო მისაწვდომი. (Schanz, op. cit., გვ. 14); კიდევ მეტიც, უკვე მე-XV საუკუნეში ვხვდებით ამქრებში შესვლის სრული აკრძალვის, ოსტატთა რიცხვის ერთჯერ და სამუდამოთ განსაზღვრის ცდებს. 1468 წელს ჰამბურგელმა მეთევზეებმა მიმართეს საბჭოს თხოვნით, რომ მათი რიცხვი 50-დან 40-მდე შემცირებულიყო; იქვე 1469 წ. ოქრომჭედელთა რიცხვი განსაზღვრულ იქნა 12-ით, ვორმსში 1463 წ. სირაჯთა რიცხვი 44-ით განისაზღვრა. იმავე ხანაში ვხვდებით აგრეთვე მემკვიდრეობითს ოსტატობას.

ამ განსაზღვრის ზომებმა უწინარეს ყოვლისა ორი მნიშვნელოვანი შედეგი გამოიწვია: ერთის მხრით სოფლის მოსახლეობის პროლეტარიზაციის შედეგები გაამწვავა და ამქრულ ორგანიზაციის გარეშე მდგომი პროლეტარიატის ზრდა დააჩქარა; მეორეს მხრით კი თვით საამქრო ხელოსნობაში ანტაგონიზმი შექმნა ოსტატებსა და ქარგლებს შორის. ქარგალთა რიცხვთან შედარებით ოსტატთა რიცხვი სულ უფრო ნაკლები ხდებოდა; სულ მეტის სიმკაცრით იდევნებოდენ „მკონკველნი“ და „ბრიყვები“ ე. ი. ისინი, ვინც ცდილობდა ამქარში შეუსვლელად მოეპოვა დამოუკიდებლობა, იკრძალებოდა ხელოსნობა ქალაქ გარეთა გარეუბნებში, და ცოტა

თუ ბევრად დაშორებულ სოფლებში, ზოგჯერ ქალაქიდან მრავალ მილის მანძილზე, უფრო ხშირად კი ერთ მილის სიშორეზე ქალაქის გარშემო (ეგრე წოდებული Bannmeile) ცვიკკაუში, მაგალითად, 1500წ. დადგენილი იყო, რომ სელის მქსოველნი არ უნდა დასახლებულიყვნენ ქალაქის გარშემო „აკრძალულ სივრცეზე", გარდა დიდი სოფლებისა, სადაც თითო ხელოსანს შეეძლო ეცხოვრა. ამის მზგავსივე შემზღუდველი დადგენილებანი გამოიცა 1421 და 1492 წლებში. ცხადია, ეს ზომები წინააღმდეგობას იწვევდა (E. Herzog, Chronik der Kreisstadt zwickau, ცვიკკაუ 1845 წ., ტ. II გვ. 154, 162), გააფთრებულ ბრძოლას აჩაღებდა ქალაქის ამქრელ ოსტატებსა და გარეშე მდგომ სოფლელ და გარეუბნელ ხელოსანთა შორის; მათ შორის ჩამოვარდნილმა ანტაგონიზმმა თავისი კვალი გლეხთა ომებსაც დააჩნია. იმ დროს, როდესაც სოფლის მოსახლეობა მასსობით ილტვოდა ქალაქებისაკენ და ქარგლად დადგომის მსურველთა რიცხვი სულ მატულობდა, სწორეთ ამ დროს ქარგლებს სულ უფრო უძნელდებოდათ ოსტატობის მიღება ან დამოუკიდებლობის მოპოება ამქრულ ორგანიზაციის გარეშე. იმათი რიცხვი, ვისაც წილად ხვდა მთელი სიცოცხლე ქარგლად ყოფნა, შეუჩერებლივ იზრდებოდა; შეგირდობიდან ოსტატობაზე გადასვლის უბრალო საფეხურის ნაცვლად ქარგლობა მრავალ ხელოსან მუშაკისათვის სამუდამო მდგომარეობად გადაიქცა. ქარგალმა მალე შეიგნო, რომ ის მომავალი ოსტატი კი არ არის, არამედ კაცი რომელსაც ოსტატი ყვლეფს; მისი ინტერესები სულ უფრო ხშირად ეჯახებოდა ოსტატის ინტერესებს.

V. ბრძოლა ქარგლებსა და ოსტატებს შორის.

ანტაგონიზმი ოსტატებსა და ქარგლებს შორის განსაკუთრებით საშუალო საუკუნეთა მიწურულში გამწვავდა. სანამ მთავარი მუშაკი ოსტატი იყო, რომელიც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იწვევდა თანაშემწეს, მას არ ქონდა განსაკუთრებული სტიმული სამუშაო დროის გაგრძელებისათვის: გრძელი სამუშაო დღე უმთავრესად თვით ოსტატისთვის იყო საზიანო. ქარგალი მასთან ერთად ჭამდა ერთ სუფრაზე:არ ღირდა ერთი ქარგლისთვის ცალკე საჭმელის მზადება. კარგათ ცხოვრობდა ოსტატი, და მასთან ერთად, ქარგალიც. ორივეს თითქმის ერთი და იგივე ინტერესები ქონდათ. გარდა ამისა საქონლის მწარმოებელ საზოგადოების ადრინდელ ხანაში ფულადი ხელფასი უმნიშვნელო როლს თამაშობდა, ოსტატი და ქარგალი ხშირად პირდაპირ იყოფდენ თავის შრომის შემოსავალს.

სტრასსბურგის ფეიქრებს ჩვეულებად ქონდათ, რომ ქარგალი მუშაობდა ოსტატთან მესამე ან მეორე პფენიგის ფასად, ე. ი. იღებდა შემოსავლის მესამედს ან ნახევარს. (Schmoller, op. cit., გვ 416). იგივე გვხვდება ქ. ულმშიაც, ოქრომქედელთა 1364. წ. წესდებაში. (Stahl, op. cit, გვ. 332).

ასეთ პირობებში იშვიათი იყო ისეთი შეხლა-შემოხლა, რომელსაც წმინდა პირადი ხასიათი არ ქონოდა. და კლასსობრივ წინააღმდეგობით ყოფილიყო გამოწვეული.

ყოველივე ეს იცვლებოდა იმისდამიხედვით, რამდენადაც იზრდებოდა ქარგალთა რიცხვი თვითეულ სახელოსნო წარმოებაში. ოთხი ან ხუთი ქარგლის მუშაობის მეთვალყურეობა ისე ადვილი აღარ არის, როგორც ერთისა. მთავარ მუშიდან ოსტატი თანდათან ზედამხედველად გადაიქცა, რომელიც ცდილობდა რაც შეიძლება მეტი შრომა გამოეწურა ქარგლებიდან. რამდენადაც ქარგლებისათვის იზრდებოდა შრომის სიმძიმე, იმდენად ოსტატისათვის იგი მსუბუქდებოდა. თუ მეურნეობაში ძალიან ბევრი ქარგალი მუშაობდა, მარტო მათი შრომა კმაროდა არა მარტო თვით ქარგალთა შენახვისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ ოსტატს კარგი შემოსავალი ქონოდა. ხანდახან დატუქსვის შრომაც მეტად მძიმე ხდებოდა ოსტატისათვის და ამ მოვალეობას იგი საცალო ხელფასის შემოღებით იხსნიდა; ეს სისტემა მე-XIV საუკუნის დამლევიდან განვითარდა და, როგორც სჩანს, განსაკუთრებული პროგრესსი საფეიქრო ხელობაში გამოიჩინა.[1]) უკვე მე-XV საუკუნეში ხანდახან საჭირო გამხდარა აკრძალვა ამ წესის, რომლის საშუალებით ოსტატი თავს იხსნიდა მუშაობისაგან.

რაც უფრო ნაკლებ მონაწილეობას იღებდა ოსტატი მუშაობაში, მით უფრო ცდილობდა იგი, რომ ქარგლებს მისთვის ზედმეტი ღირებულება შეექმნათ, მით უფრო უნდოდა მათი სამუშაო დროის გაგრძელება. მუშაობის ხანგრძლივობა დღეში, შეიძლება ვიფიქროთ, დიდათ არ მერყეობდა; სამაგიეროთ დაჟინებით ცდილობდენ გაეუქმებიათ ორშაბათობა და სამუშაო დღეებათ გაეხადათ მრავალი დღესასწაული და თვით კვირა-დღეები:

1522 წ., გლეხთა ომის დაწყების წინ, ჰერცოგ ჰენრიხმა გამოსცა საქსონიაში სასტიკი დადგენილება, რომლითაც კრძალავდა მუშაობას დღესასწაულებში, მაგრამ იმავე დადგენილებაში აცხადებდა, რომ ქარგლებს არ ეკადრებათ „თავისუფალი“ ან „კეთილი ორშაბათის“ მართვა. (C. W. Hering, geschichte des sächsischen

[1]) Schanz, Gesellenverbände, გვ. 109.

Hochlandes, ლეიპციგი 1828 წ. ტ. II, გვ. 31). 1503 წ., როდესაც ვეზელში თერძთა ქარგლები გაიფიცენ, ბურგომისტრმა ამქრის კამერაში განაცხადა, რომ თერძთა ქარგლები—მოუსვენარი ხალხია, მაგრამ „ოსტატებსაც დიდი დანაშაული მიუძღვით, რადგან არ სურთ დღეში სამჯერ რიგიანად ჭკვებონ ქარგლები, რასაც უკანასკნელნი სამართლიანად მოითხოვენ, და ძალიან დიდი მუშაობით ტვირთავენ მათ". ბურგომისტრი სასჯელით დაემუქრა ოსტატებს, თუ ისინი მომავალშიაც ამუშავებენ ქარგლებს „კვირა დღეებში და დღესასწაულებში" დილიდან წირვამდე, თმით ათრევენ და სცემენ ქარგლებს". ბურგომისტრის სიტყვა აღნიშნულია იანსენის მიერ, მაგრამ ვერ ეხამება ეს სიტყვა მის ამქრულ იდილლიას!

მუშაობის სიმძიმის გადიდებასთან ერთად ძლიერდებოდა მისწრაფება ქარგალთა კვების გაუარესებისა და ხელფასის შემცირებისაკენ. როცა ოთხი-ხუთი ქარგალი და ორი ან მეტი შეგირდი ხდება სარჩენალი, მაშინ მათთვის ცალკე საჭმელის მზადება უფრო ხელსაყრელია. მათი სარჩოდან ცოტა რამეს „გამორჩენა" შეიძლება ისე რომ ოსტატის ოჯახის სარჩოს არაფერი დააკლდეს. ქარგლის მჭიდრო კავშირი ოსტატის ოჯახთან, რაშიაც იანსენი და მისი აზრთა მოზიარენი ამდენ სინაზესა და გულკეთილობას ხედავენ, ქარგალთა ექსპლოატაციის საშუალებად გადაიქცა.

ცხადია, „მომჭირნე" ოსტატები ფულად ხელფასის შეკვეცას კიდევ უფრო შეეცდებოდენ, ვიდრე სარჩოსი.

ხელფასის შეკვეცის ცდა, დანარჩენ თანასწორ პირობებში, მით უფრო ძლიერი იყო, რაც მეტი იყო, დაქირავებულ მუშათა რიცხვი. როდესაც მხოლოთ ერთი მუშა, დაქირავებული, ოსტატისთვის მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს ორი კაპეიკით მეტს თუ ნაკლებს გადაიხდის დღეში; მაგრამ თუ ის ასი მუშის ექსპლოატაციას ეწევა, განსხვავება დღეში 2 მანეთს შეადგენს, ხოლო წელიწადში კი რამოდენიმე ასეულამდე გაიზრდება. მცირე მაშტაბით პირობის გავლენა უკვე საშუალო საუკუნეების მიწურულში გამოაშკარავდა. რა თქმა უნდა, ჯერ შორს იყო ის დრო, როცა მრეწველი ასეულ მუშას ქირაობდა. ექვსი—შვიდი ქარგლის დაქირავებით ოსტატი, საერთოთ რომ ვთქვათ, უკვე ფრიად საგრძნობად სცილდებოდა ჩვეულებრივს და ნებადართულ ნორმას. მაგრამ ესეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ მისწრაფება ხელფასის შეკვეცისაკენ ეხლა უფრო ძლიერი ყოფილიყო, ვიდრე მაშინ როდესაც ხელოსნობა ჯერ არ „ყვავოდა" და როდესაც, საზოგადოთ, ხელოსანთა მეტად მცირე რიცხვს შეეძლო ერთი ქარგლის დაქირავებაც.

იმავე დროს ძლიერდებოდა, განსაკუთრებით გერმანიაში ფასების რევოლიუციის გამო, ქარგალთა მისწრაფებაც ხელფასის გადიდებისაკენ: ფასების ხსენებული რევოლიუცია მე-XV საუკუნეში დაიწყო ვერცხლისა და ოქროს ამოღების სწრაფი ზრდის გამო. ეს რევოლიუცია წინამორბედი იყო მეორე, გაცილებით უფრო მძლავრი ფასთა რევოლიუციისა, რომელიც ამერიკის ოქრო-ვერცხლის აღმოჩენამ გამოიწვია XVI საუკუნეში და რომელიც მთელს განათლებულ ევროპას მოედო. კეთილშობილ ლითონების წარმოებაში მომხდარ გადატრიალების გარდა, ფასების ზრდაზე გავლენა იქონია აგრეთვე სავაჭრო საზოგადოებათა მონოპოლიამ. ამავე დროს ყველა წოდებაში და, სხვათა შორის ხელოსან ოსტატებშიაც, იზრდებოდა ფუფუნება და მოთხოვნილებანი. საკვირველიც არ არის, რომ ქარგლები, რომელნიც ოსტატებთან ერთად ცხოვრობდნენ და ცოტა ხნის წინეთ ოსტატთა სწორად მიაჩნდათ თავი, ცდილობდენ აემაღლებიათ თავისი ცხოვრების დონე.

ხელფასის საკითხები მე-XV საუკუნეში და მე-XVI საუკუნის დამდეგში სულ უფრო ამწვავებდა ოსტატთა და ქარგალთა ანტაგონიზმს.

ამან, ჩვენ მიერ აღნიშნულ სხვა წინააღმდეგობებთან დაკავშირებით გამოიწვია ის, რომ უკვე მე-XIV საუკუნეში დაწყებული ბრძოლა ოსტატებსა და ქარგლებს შორის სულ უფრო მკაცრ ხასიათს იღებდა, რაც უფრო მე-XVI საუკუნეს უახლოვდებოდა.

ჩვენი რომანტიკოსები და საამქრო წყობილების მოტრფიალენი სიამოვნებით ადარებენ ხოლმე კაპიტალისტურ მრეწველობასთან ამქრულ ხელოსნობას, როგორც ისეთ წარმოების წესს, რომელიც ნამდვილი ელდორადო იყო მუშებისათვის და რომელმაც არ იცოდა კლასსობრივი სიძულვილი. მხოლოდ კაპიტალიზმმა ანუ, როგორც ნახევრად-აზიატები იტყვიან ხოლმე, „ებრაელობამ“ განდევნა „ეთიკა“ ეკონომიურ ცხოვრებიდან და დასთესა კლასობრივი სიძულვილის დრაკონისებური სამკალი. მაგრამ მიწათმფლობელნი და ამქრის ოსტატები ჯერ კიდევ XIV და XV საუკუნეებში ძალიან შორს იყვნეს წინაკაპიტალისტური ხანის სახელგანთქმულ უმანკოებისაგან; შემდეგი საუკუნეები კი სჯობს სულ არ ვახსენოთ, რადგან ამ ეპოქაში, როგორც რომანტიკოსები ამბობენ, უკვე გამომჟღავნდა კაპიტალისტური ცოდვის შედეგები. ნამდვილად კი უკვე ხელოსნობის „აყვავებული მდგომარეობა“ დაქირავებულ მუშათა ექსპლოატაციას ემყარებოდა და გააფთრებულ კლასსობრივ ბრძოლას ჰბადებდა.

შანცი, თავის საუცხოო წიგნში, რომლითაც, სასტიკათ

დაამარცხა ქარგალთა მდგომარეობის „ეთიკურად“ შემამკობელი „ისტორიული“ სკოლა, სრულიად სამართლიანად ამბობს შემდეგს:

„საჭიროა ჩაუფიქრდეს კაცი ამ ფაქტს (შრომის დაუნდობელ ექსპლოატაციას), როდესაც, შენბერგის მზგავსათ („zunftwesen“-ში, გვ. 76), ლაპარაკობენ მრეწველ მუშათა დიად წარმატებაზე და ხელოსანთა საყოველთაო კეთილდღეობაზე მე-XIV და მე-XV საუკუნეებში; ეს იმიტომ რომ, უეჭველია, ამ კეთილდღეობისთვის ოსტატები უმთავრესად ქარგალთა შრომის ნაწილობრივ მითვისებას უნდა უმადლოდენ, მაშინ როდესაც ქარგლები მთელი თავისი ჭაპან-წყვეტის მიუხედავათ, მუდამ შიშით შეჭყურებდენ თავის მომავალს“ (Gesellenverbände, გვ. 21).

თუმცა ამქრები თავის თავადაც ძლიერი იყვნენ და თვითონ ამაყობდენ თავისი დამოუკიდებლობით, მათ არ სცხვენოდათ „სახელმწიფოს დახმარებით“ სარგებლობა ქარგალთა დასამორჩილებლად. უკვე მე-XV საუკუნეში (ინგლისში კი მე-XIV საუკუნეშიაც) საქალაქო ხელის უფლება, ქალაქთა საბჭოები და, თუ ქალაქებს ჯერ არ ქონდა მოპოებული თავისუფლება,—მათი სიუზერენები ხ ე ლ ფ ა ს ი ს ნ ი ხ რ ე ბ ს აწესებდენ. იმავე ხანაში ამგვარივე ნიხრები წესდებოდა მთელს ქვეყანაში, როგორც ხელოსანთა, ისე სოფლის მუშებისთვისაც. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ნიხრს. მისი შესავალი ნაწილი ფრიად დამახასიათებელია. ეს ნიხრი შეადგენდა ჰერცოგ ერნესტისა და ალბერტის მიერ საქსონიისათვის 1482 წელს გამოცემულ „საერობო წესდების“(Landes ordnung) ერთ ნაწილს. იქ ნათქვამია შემდეგი: „პრელატების, სენიორების, რაინდებისა და ქალაქებისაგან მოგვდის მრავალი საჩივარი იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვეშევრდომნი დიდს ზნედაცემულებას, უილაჯობასა და გარყვნილებას იჩენენ, რაიც მომდინარეობს მძიმე წონიან მონეთის გავლენისაგან, მსახურთა და ხელოსანთა არაზომიერ ხელფასისაგან და ყველა წოდებაში საქმელ-სასმელისა და ჩაცმა-დახურვის ხარჯთა ზრდისაგან, ხოლო ქალაქებში განსაკუთრებით იმისაგან, რომ მოქალაქეთა მოსაქმეობაში,—ალაოს წარმოებაში, ლუდის გამოხდაში და ლუდით ვაჭრობაში, რაიც მათი სარჩო-საბადებლის უმთავრეს წყაროს შეადგენს, მოქალაქეებს ეცილება ზოგიერთი პრელატი, აზნაური და სოფლის ხელოსანი, რომელნიც ხელს ჰკიდებენ ამავე საქმეებს [1]);

---

[1]) მაშასადამე, საქსონიის აზნაურობას უკვე მაშინ დაუწყია თავისი შემოსავლის გადიდება სოფლის მრეწველობის საშუალებით. ლუდის გამოხდას შესდგომია, რადგან მაშინ ჯერ არ იყო ცნობილი კარტოფილის არაყი.

ეს მათ არ შეჰფერის, ასე არ უნდა ხდებოდეს, ძველათაც ჩვეულებად არ ყოფილა. ამის გამო, ჩვენი ღრმა მოსაზრებით, უწინარეს ყოვლისა საჭიროა წონა-დაკლებულ წვრილი მონეთების მოჭრა და გამოცემა მსახურთა და ხელოსანთა ხელფასის გასასტუმრებლად. [1]) შემდეგ, არავინ არ უნდა აკმევედეს მომავალში თავის მოჯამაგირეებს სხვა ტანისამოსს, გარდა ქვეყნის შიგნით დამზადებულისა; საშარვლე მაუდის, ქუდების, საყელოებისა და ჟილეტების გარდა, ყველას შეუძლია იყიდოს იმ ღირსების ტანისამოსი, რომელიც მას მოესურვება. ხოლო თუ მეურნე ან აზნაური თავის მოჯამაგირეებს აძლევს არა ტანისამოსს და ფეხსაცმელს, არამედ ფულს, მაშინ გამოცდილ მოჯამაგირეს უნდა აძლიოს 300 და მეჯინიბეს 240 ახალი გროში". ამის შემდეგ ჯერი მოდის სოფლად ხელფასის დაწესებისა. „მუშას 9 გროში სანოვაგით ან 16 გროში უსანოვაგოთ. ხელოსანთა მოჯამაგირეებს სადილად და ვახშმად—მ ხ ო ლ ო დ ო თ ხ ი თ ა ვ ი ს ა ჭ მ ე ლ ი: სახსნილო დღეს—წვენი, ორი თავი ხორცის და ერთიც ბოსტნეულისა; პარასკევს და სხვა დღეებში, როდესაც ხორცეულს არ სჭამენ,—წვენი, ახალი ან ხმელი თევზის საჭმელი და ორი თავი ბოსტნეულისა; ხოლო მარხვის დროს—ხ უ თ ი თ ა ვ ი,—წვენი, ორი თავი თევზეულისა და ორიც ბოსტნეულის და გარდა ამისა კიდევ 18 გროში, უბრალო ხელოსნებს კი 14 გროში ხელფასი კვირაში; უკეთუ ეს პირნი საკუთარი სანოვაგით სარგებლობენ, მაშინ მკრიალებელთ ერგება არა უმეტეს 27 გროშისა, ხოლო კალატოზებსა და სხვას—არა უმეტეს 23 გროშისა კვირაში" [2]).

ორთქლისა და ელექტრონის საუკუნეში რომელ მუშას არ გაუხსნის მადას „შავბნელ" საუკუნეების ბოლოში შემოღებულ ამ იძულებითი „მარხვების" წარმოდგენა? ხელფასის და სანოვაგის განსაზღვრა ხელის უფალთა განკარგულებით, რასაკვირველია, ისეთი ფაქტია, რომლიდანაც იანსენი და კომპანია დიდის ამბით დაასკვნიან: აი, რა ბედნიერად და ხალვათად ცხოვრობდენ მუშები კაპიტალიზმის წინა ხანაშიო.

ყოველ შემთხვევაში ეს დადგენილებები აქარწყლებენ იმ ლიბერალურ ლეგენდას, რომ თანამედროვე ცივილიზაციამ გააბედნიერა

---

[1]) ამ უბრალო საშუალებას, რომლითაც სიუზერენები მუშებს ატყუებდენ ხელფასის გასტუმრების დროს, შეუძლია შური და მოკრძალებული გაკვირვება გამოიწვიოს მრავალ თანამედროვე ბიმეტალისტში.

[2]) H u n g e r, Geschichte der Abgaben, გვ. 22. შეადარეთ ფრეიბერგის საბჭოს მიერ ხელოსნებისათვის გამოცებული (1475 წ.) ხელფასის ნიხრები.— He r i n g, Geschichte des sächsischen Hochlandes ტ. II, გვ. 17.

პროლეტარები, მაგრამ ის სრულიად არ ამტკიცებს იმას, რომ საშუალ-საუკუნეების დაქირავებული მუშა განსაკუთრებულ კმაყოფილებას განიცდიდა. რომელიმე კლასის ცხოვრების პირობათა შესწავლა სხვა კლასებისაგან განყენებით საკმარისი არ არის მისი მდგომარეობის გასაგებათ. ამისთვის საჭიროა იგი სხვა კლასების მდგომარეობასთან და იმ დროის საერთო მოთხოვნილებებთან შეადაროთ. ჩვენს დროში საზოგადოთ არ იცვამენ ისე მდიდრად, განსაკუთრებით მამაკაცები, და იმდენს არ ჭამენ, როგორც იმ დროს. 1482 წლის საერობო წესდებით დაწესებული სადილი და ვახშამი ძალიან უხვად გვეჩვენება ჩვენ. მაგრამ იმ აუარებელ საჭმელ-სასმელთან შედარებით, რომელსაც მაშინ ჩვეულებრივ ნთქავდენ, იგი მცირედიც იყო რამოდენიმედ.

საშუალო საუკუნეებში საზოგადოთ ბევრს ზრუნავდენ საჭმელ-სასმელის ღირსებასა და სიუხვეზე.

ჩვენამდე მოსულ მრავალ მაგალითიდან მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთს. 1246 წ. დუნაიზე ვენის ახლო გაიმართა ზეიმი ოტტოკარ პეემიშლ მე-II-ის ძმისწულის, კუნიგუნდისა და ჰუნგრელი პრინცის, ბელას დაქორწინების გამო; ამ შემთხვევის გამო „ავსტრიიდან, შტირიიდან და მორავიიდან ჩამოტანილ იქნა წარმოუდგენლად დიდი რაოდენობა ყოველგვარი სანოვაგისა; დატვირთეს ხუთი დიდი ზვინი თივისა, თითო უდიდესი ეკლესიის ოდენა, მსხვილი და წვრილი კარგად ნასუქი საქონლით მოფენილი იყო მთელი კუნძული დუნაისა და ახლო-მახლო მინდერები; განსაკუურებით მრავალი იყო გარეული და შინაური ფრინველი; შემდეგ, 1.000-მდე მუტი ხოძალი პურის გამოსაცხობათ და ღვინო იმდენი, რომ ორი პროვინციის მოსახლეობას ეყოფოდა მრავალი დღის განმაელობაში“. (F. Palacky, Geschichte von Böhmen, პრაგა 1866 წ. ტ. II, გვ. 188). ეს მოგვაგონებს რაბლეს მიერ აღწერილ ნადიმებს. 1561 წ. ვილჰელმ ორანელის ქორწილზე დაუხარჯავთ: 4000 შეფელი ხორბალი, 8000 შეფელი ჭვავი, 13000 შეფელი შვრია, 3600 ვედრა ღვინო, 1.600 კასრა ლუდი. ალბრეხტ ბავარიელის მოსაგონებელ დიდებულ აღაპზე 1509 წ. 23 ნაირი საჭმელი იყო. 1569 წ. (ჰელმშტედტის ახლო) ერთი პროტესტანტიზმში გადასულ აბბატის ქორწილზე 110 კაცმა შეჭამა: 2 ხარი, 3 ღორი, 10 ხბო, 10 ბატკანი, 60 ქათამი, 120 ჭანარი, 10 ქარიყლაპია, ერთი კასრა ქაბაყი, მეოთხედი ტონნა ერბო, 600 კვერცხი, ორი თავი ყველი და სხვა.

როცა გვინდა ამა თუ იმ კლასის მდგომარეობა გავიგოთ, საკმაო როდია მისი უბრალო შედარება იმავე ხანის სხვა კლასსების

მდგომარეობასთან. საზოგადოებას უფრო **განვითარების მიმართულება** ახასიათებს, ვიდრე მისი მდგომარეობა ერთს გარკვეულ მომენტში. უკმაყოფილებას ჩვეულებრივად გაჭირვება კი არ იწვევს თავის თავად, არამედ ისეთი გაჭირვება, რომელიც ამდაბლებს კაცს მაშინ, როცა სხვები **მაღლდებიან** და უფრო შეძლებული ხდებიან. რაც უფრო ჩქარია განვითარება, მით უფრო საგრძნობი ხდება მისი მიმართულება, მით უფრო ენერგიულად ეწინააღმდეგებიან მას ჩაგრულნი, მით უფრო მკაცრია საზოგადოებრივი კონფლიქტები. საფრანგეთის რეოლიუციის წინ სიღატაკე გერმანიაში მეტი იყო, ვიდრე საფრანგეთში, მაგრამ მიუხედავათ ამისა საზოგადოებრივ წყობილების გადატრიალების გამოსავალი პუნქტი სწორეთ საფრანგეთი გახდა, რადგან აქ ეკონომიური განვითარება უფრო სწრაფად მიმდინარეობდა. 1870 წლიდან მოყოლებული, ევროპის ყველა სახელმწიფოებთან შედარებით, საზოგადოებრივი განვითარება უდიდესი სისწრაფით გერმანიაში, მიმდინარეობდა; და სწორეთ გერმანიაში და არა ინგლისში, ყველაზე უფრო სწრაფად ვითარდება სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. რასაკვირველია, ინგლისში სოციალური წინააღმდეგობანი გაცილებით უფრო ღრმაა; მაგრამ უკვე რამოდენიმე ათეული წელია, რაც ეს წინააღმდეგობანი ინგლისში შედარებით ნელა იზრდება. ამჟამად უდიდესი სისწრაფით ეკონომიური განვითარება მიმდინარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამიტომ შესაძლებელია, რომ ათი-ოცი წლის შემდეგ სოციალისტურ მოძრაობის სიმძიმის ცენტრი შეერთებულ შტატებში გადავიდეს, თუმცა მუშათა მდგომარეობა იქ საერთოთ უკეთესია, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში.

კულტურის ისტორიკოსები ძალიან ცოტას გვეუბნებიან **განვითარების** შესახებ. ჩვენი ლიბერალი ისტორიკოსები შეუვალი რწმენით უმტკიცებენ მშრომელ მასსებს, რომ მათ სრული საფუძველი აქვთ ბედნიერად ჩასთვალონ თავი, რადგან მანქანების წყალობით მათ შეუძლიათ ისეთი ფუფუნების საგნები შეიძინონ, როგორც ჩულქები და ცხვირსახოცები, რასაც წინეთ უძლიერეს ხელმწიფეებსაც არ ქონდათ. კონსერვატორები კი გვირდგენენ მე-XV ან მე-XVI საუკუნის მენიუს, ხელფასის ნიხრებსა და წესდებებს ტანსაცმელის შესახებ და გვეუბნებიან: ასე ბედნიერნი იყვნენ მუშები: და გლეხები ძველს კეთილს დროში, როცა ჰყვავოდა საამქრო წყობილება და ეკლესია ბატონობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაზეო. მაგრამ სულ სხვა სურათი გამოვიდოდა, ლიბერალ და კონსერვატორ ისტორიკოსებს რომ ჩვენთვის ის წარმოედგინათ, თუ რა **მიმართულებით**

ვითარდება საზოგადოება ეხლა და რა მიმართულებით ვითარდებოდა იგი 400 წლის წინეთ. მაშინ მათ უნდა ეთქვათ, რომ იმ დროსაც და ეხლაც ექსპლოატატორი კლასსების მისწრაფება იყო დაეჭდაბლებიათ და სიღატაკეში მოექციათ მუშათა მასსები. რა თქმა უნდა, მშრომელ კლასსთა ზოგიერთი ნაწილი, განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში მყოფი, მაშინ ისევე, როგორც ეხლა, ხანდახან არათუ ახერხებდა ამ მისწრაფების დამქვეითებელი გავლენის შეჩერებას, არამედ აუმჯობესებდა კიდეც თავის შრომის და ცხოვრების პირობებს. მაგრამ მშრომელთა ცხოვრების პირობები მაინც გაცილებით ნაკლებათ უმჯობესდებოდა, ვიდრე ექსპლოატატორ კლასსების, სამღვდელოების, უმაღლესი თავად აზნაურობის, ვაჭრებისა და ხელოსნების,— ცხოვრების პირობები. მშრომელთა წილი თავის შრომის პროდუქტში და კულტურულ მონაგარში სულ უფრო მცირე ხდებოდა.

მწვადებისა და ხაევრდის ტანისამოსის მიუხედავათ, ხელოსან ქარგლებს არ ეშჩნეოდათ არც „აყვავება, შეძლებულება და პოვნიერება“ და არც ის „შურისა და გულძვირობის უქონლობა მაღლა მდგომთა მიმართ“, ის წყნარი კმაყოფილება, რომელზედაც მოგვითხრობს იანსენი: ჩვენ ვხედავთ, პირიქით, სრულიად წინააღმდეგს ყოველივე ამისა.

VI. ქარგალთა კავშირები.

ფართო მასსების ბრძოლა, მაშასადამე, კლასსობრივი ბრძოლაც შეუძლებელია ორგანიზაციის გარეშე. გარემოება ქარგლებისაგანაც მოითხოვდა ორგანიზაციის შექმნას.

იგი მათთვის მით უფრო აუცილებელი იყო, რაც უფრო სისხლის მღვრელი ხდებოდა მათი კლასსობრივი ბრძოლა. უკვე 1385 წ. დანციგში გაფიცულ ქარგლებს ყურები მოჭკვეთეს. (Schmoller, op. cit, გვ. 453). იანსენი არაფერს არ გვიამბობს ამგვარ საგნებზე. ასეთი რამ მის იდილიებს არ ეხამება. მაგრამ ეს ხომ მაშინ ხდებოდა, როდესაც ამქრის წევრები ჯერ კეთილი კათოლიკენი იყვნენ, მოყვასისადმი სიყვარულის“ ქრისტიანული სულით აღსავსენი. ქარგალთა პირველი გაერთიანებანი დროებით ხასიათს ატარებდა და ჩვეულებრივად დროებითი მიზნების მისაღწევად არსდებოდა. პირველი ამგვარი კავშირი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, შესდგა გერმანიაში 1329 წელს: აშურმის მკეთებელ ქარგლებს ბრესლავლში გადაუწყვეტიათ დაეწყოთ გაფიცვა და არ ემუშავათ ერთი წლის განმავლობაში (Stahl, op. cit. გვ. 390).

მაგრამ ამაზე ცოტა უფრო გვიან ვხვდებით ქარგალთა უფრო მკვიდრ ორგანიზაციებს.

სწორეთ იმ პირობებმა, რომლებიც ხელოსან ქარგლებს ქალაქებისაკენ იზიდავდა, ნიადაგი მოუმზადა კავშირთა ორგანიზაციას და გავლენა მოახდინა ამ კავშირთა ხასიათზე. საშუალო საუკუნეებში ხალხის თავმოყრის შემთხვევას იძლეოდა სამიკიტნო და ეკლესია, ხანდახან კიდევ ომი. ზოგიერთი საერო ხასიათის საზოგადოება ამნაირად არსდებოდა: ხელოსანი ოსტატები თავისუფლდებოდენ სამხედრო სამსახურისაგან და თავის მაგიერ გზავნიდნენ ქარგლებს, რომელნიც ამისთვის ჯილდოს იღებდენ ამქრის სალაროდან. ქარგლები თავის სამხედრო ორგანიზაციას მშვიდობიან დროშიაც ინახავდენ. მაგრამ ჩვენამდე არ შენახულა ორგანიზაციების ამგვარად წარმოშობის დამამტკიცებელი საბუთები.

ქარგალთა ორგანიზაციების უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენთა საეკლესიო ძმათა კავშირები და სამიკიტნოებთან აღმოცენებული ორგანიზაციები. ძმათა კავშირებს უმთავრესად ურთიერთ-დახმარების საქმე ეკისრებოდა, სამიკიტნოები კი წარმოადგენდა ოსტატებისა და ხელის უფლების წინააღმდეგ ბრძოლის კერებს. მაგრამ ორივე სახის კავშირთა ფუნქციები ერთმანეთისაგან სწორად გამიჯნული არ იყო და საეკლესიო ძმათა კავშირები ხშირად ბრძოლისათვის საჭირო კასსების როლს ასრულებდენ.

ქარგალთა პირველ ძმათა კავშირებს გერმანიაში ვხვდებით ფეიქრებთან,—XV საუკუნის დასაწყისში ან, შეიძლება, XIV საუკუნის დამლევშიაც. უკვე 1389 წ. შპეიერში ვხვდებით სალაროს გამგეს თანამდებობას ფეიქარ-ქარგლებში, ეს კი გულისხმობს ურთიერთ დახმარების სალაროს არსებობას. 1402 წ. ფეიქარ-ქარგლებს ულმში დაარსებული ქონდათ ძმათა კავშირი, რომელსაც ჰოსპიტალში ორი საწოლი ეჭირა უღარიბეს ქარგლებისათვის და გარდა ამისა დასაფლავების კასსა დაუარსებია.

ამ ძმათა კავშირების დასახასიათებლად ჩვენ მოვიყვანთ რამოდენიმე მუხლს სტრასბურგის ტილოს ფეიქარ ქარგლების წესდებიდან, რომელიც დამტკიცებულ იქნა 1479 წ. ამ მუხლებში ნათქვამია (Schmoller, op. cit., გვ. 93):

„ჩვენს ჰანს გერბოტტი, ოსტატი, და საფეიქრო ხელობიდან ხუთი არჩეულნი, ვაცხადებთ ყველას საყურადღებოთ, ვინც კი ამას დაინახავს და წაიკითხავს, რომ ჩვენთან გამოცხადდენ პატივცემულნი

ჰანს ბლეზინგი და მარტინ შუსტერი ვისტორნიდან,—მოლარენი სტრასბურგის სელის მქსოველ ქარგალთა; წარმოგვიდგინეს ქვემოთ აღნიშნული პუნქტები, მუხლები და დადგენილებანი, და გამოსთქვეს სურვილი, რომ ისინი დამტკიცებულ იქნენ"...

„მქსოველი ქარგლები სამუდამოთ აარსებენ ძმათა კავშირს სტრასბურგის დიდ ჰოსპიტალთან და არსად სხვაგან; იქ უნდა დარჩეს ის მომავალშიაც. ყოველ ნახევარ წელიწადში ირჩევენ თავისთვის ორ მოლარეს: ორს—შობის დღესასწაულში და მათ მონაცვლე ორ ახალს—სული წმინდის მოფენის დღეს. დანიშვნის შემდეგ მოლარეებმა მათ ფიცი უნდა დასდონ, რომ ყოველ ღონეს მოიხმარებენ ჩვენი ძვირფასი ბატონის (ე. ი. ძმათა კავშირის ქონების) სასარგებლოთ და დაიფარაევენ მას შეძლების დაგვარათ ყოველგვარი ზიანისაგან. ვინც მოლარეთ არჩეული იქნება მაგრამ უარს განაცხადებს ამ თანამდებობაზე, მას ჯარიმათ ნახევარი გირვანქა სანთელი გარდახდება და მაინც დატოვებული იქნება თანამდებობაზე, რამდენიც არ იჯიუტოს, თუ რომ, რა თქმა უნდა, ოსტატები ამის თანახმა იქნებიან. თუ გინდ ორი კვირა მოუხდეს მოლარეებს სიარული წევრთა ყოველკვირეულ გადასახადის შესაკრეფად, მათ არაფერი არ უნდა დააკლონ საერთო სალაროს. მაგრამ თუ რომელიმე ქარგალს მართებს სალაროსი ორი ფენიგი და არ აბრუნებს როცა მოლარენი ვალის გადახდას მოსთხოვენ, მას ორი ფენიგი ჯარიმა გარდახდება. აგრეთვე მომავალშიაც სალარომ არ უნდა გაასესხოს ფული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვინმე ავათ გახდება; მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაშიაც სესხი გაიცემა მხოლოდ ოსტატების თანხმობით და ისეთი გირაოს აღებით, რომელიც ფასით გასესხებულ თანხაზე მეტი იქნება. ყოველ დღესასწაულს თვითეულმა ქარგალმა ერთი კეთილი სტრასბურგული ფენიგი უნდა შესწიროს ძმათა სალაროს; უკეთუ იმ დროს რომელიმე ქარგალი ქალაქში არ იმყოფება, ფენიგი უნდა შემოიტანოს დაბრუნების უმალ".

შემდეგ გამოცხადებულია დადგენილებები საეკლესიო პროცესიების, წმიდა სანთლებისა და სხვათა შესახებ; ამის მიმყოლ სტატუტებში ნათქვამია: „ქარგალს, რომელიც ეხლახან ჩამოვიდა ქალაქში და არასოდეს მანამდე აქ არ უმუშავნია, შეუძლია ერთი ან ორი კვირის განმავლობაში იმუშაოს დაუბრკოლებლად. ხოლო თუ ის ამაზე მეტი ხანი დარჩა, ვალდებულია შეიტანოს სალაროში 2 ფენიგი წევრად შესვლის გადასახადისა და შემდეგ განაგრძოს სამსახური ძმათა კავშირის წევრებთან ერთად, მათი წესების თანახმათ. თუ ქარგალი განიზრახავს საჩივრის აღძვრას ოსტატზე სასამართლოში, საამისო

ხარჯი მან საკუთარი ჯიბიდან უნდა დაფაროს და არა ძმათა სალაროდან". შემდეგ—ისევ ახალი დადგენილებები ეკლესიაში სიარულზე, წმინდა სანთლებზე და სხვა. და ბოლოს ინიშნება შემდეგი სასჯელი კავშირის წესების დარღვევისათვის: „თუ ქარგალმა არ მისცა მოლარეებს წევრად შესვლის გადასახადი ან ყოველკვირეული ფენიგი, მას აღეკრძალება აქ მუშაობა სანამ ვალს არ მოიხდის ან რომელიმე კეთილი ქარგალი მის მაგიერ ფულს არ გადაიხდის; წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სახელი აღნუსხული იქნება და ყოველ კრებაზე საჯაროთ გამოცხადებული ძმათა კავშირის წევრთა წინაშე".

„მოლარენი ქარგალთა კრებას აბარებენ ანგარიშს თავისი მოქმედების შესახებ; თანახმად ფიცისა, მათ არ აქვთ უფლება გამოიტანონ სალაროდან ერთ შილინგზე მეტი. მოლარენი ფიცს სდებენ აგრეთვე, რომ სამართლიანად მოკრეფენ გადასახადს, თანასწორად ყველა ძმისაგან. უფლის სხეულის ყოველ დღესასწაულს წირვა უნდა იმართებოდეს ძმებისა და დებისათვის, რათა ილოცონ როგორც გარდაცვალებულთა, ისე ცოცხალთათვის. ხოლო რომელიმე ძმა თუ ავად გახდა, რისგანაც ღმერთმა დაგვიფაროს, და ჰოსპიტალში მოხვდა, მას ძმათა სალაროდან ყოველდღიურად თითო ფენიგი უნდა ეძლიოს. თუ რომელიმე ქარგალი გარდაიცვალა—ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან,—და ეს მოხდა ოსტატის სახლში ან სხვა ადგილას და არა ჰოსპიტალში, მოლარეებმა ყველა ქარგალს 2 ფენიგის ჯარიმის დამუქრებით უნდა მოსთხოვონ, რომ გარდაცვალებულის გვამი საფლავამდე მიაცილონ".

„ყველა უცოლო სელის მქსოველმა ქარგალმა ამიერიდან ძმათა კავშირში უნდა იმსახუროს".

ამგვარად, ძმათა კავშირები არსებითად ს ა ვ ა ლ დ ებ უ ლ ო საექიმო და დასაფლავების სალაროებს წარმოადგენდენ.

ამქრებისა და ქალაქის ხელისუფლებისათვის ძმათა კავშირები თვალში ჩავარდნილი ჩხირი იყო. მაგრამ მათი საეკლესიო ხასიათი უხერხულად ხდიდა მათს აკრძალვას. მეორეს მხრით, რაც უფრო იზრდებოდა ქარგალთა რიცხვი და მატულობდა ავადმყოფობისა და სიკვდილის შემთხვევისთვის დაზღვევის მნიშვნელობა, მით უფრო საჭირო ხდებოდა ძმათა კავშირები. ამქრის სალაროები მეტის მეტად დაიტვირთებოდა, დაზღვევის საქმე მათ რომ დაკისრებოდა. ამის გამო ბრძოლა ძმათა კავშირების წინააღმდეგ ასეთ ფორმას იღებდა: ცდილობდენ განესაზღვრათ მათი მოქმედება უბრალოურთიერთ დახ-

მარების ფარგლებით და დაექვემდებარებიათ ისინი ამქრებისა და ქალაქის ხელის უფლების კონტროლისათვის.

ძმათა კავშირების გვერდით ვითარდებოდა სამიკიტნოებთან დაარსებული ამხანაგობანი. ამ დაწესებულების მაგალითი ქარგლებმა ოსტატებისაგან აიღეს. ყოველ ამქარს თავისი სამიკიტნო ქონდა. „ამ სამიკიტნოებში მზადდებოდა ამქრების ბრძოლა პატრიციების წინააღმდეგ; სამიკიტნო დემოკრატიული აგიტაციის კერა იყო“ (Stahl).

ქარგლები თავდაპირველად ოსტატებთან ერთად სვამდენ საერთო სამიკიტნოებში. მაგრამ რაც უფრო მწვავდებოდა წინააღმდეგობა მათ შორის, რაც უფრო მატულობდა ოსტატების ზეიადობა ქარგალთა მიმართ, მით უფრო იმიჯნებოდენ ქარგლებიც ნებით თუ იძულებით და საკუთარ სამიკიტნოებს აწყობდენ. ქარგლების სამიკიტნოებმა ისეთივე როლის თამაშობა დაიწყეს ამქრების მიმართ, როგორიც ამქრის სამიკიტნოებმა ითამაშეს პატრიციებთან ბრძოლაში. საკვირველიც არ არის, რომ საშუალ-საუკუნეების მიწურულში გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა ქალაქებში სამიკიტნოების გარშემო. ქალაქის ხელის უფლება ცდილობდა სულ მიეკეტა ისინი. ხანდახან,—იქ, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა ანტაგონიზმი ამქრებსა და ქალაქის მმართველთა შორის და ქალაქის საბჭოს ჯერ პატრიციული ხასიათი შერჩენოდა,—იკრძალებოდა ხელოსან ოსტატების სამიკიტნოებიც, ხშირათ, ყველასი კი არა, არამედ მხოლოდ იმ ხელობების, რომლებიც ამქრებში შედიოდენ. ხოლო ქარგალთა სამიკიტნოების დევნას XIV და XV საუკუნეებში ჩვენ ვხვდებით ყველგან. კვლავ და კვლავ მეორდებოდა ხელოსან ქარგალთა სამიკიტნოების აკრძალვა.

ჩვენ მიერ რამოდენიმეჯერ ნახსენებ შმოლლერისა და ბიუხერის შრომებში ხშირათ ვხვდებით შენიშვნებს სამიკიტნოების დევნის შესახებ სტრასბურგში, ფრანკფურტში და სხვა ქალაქებში. „მაინცში, კორმსში, შპეიერში და ფრანკფურტში 1421 წელს სცადეს აეკრძალათ ქარგლებისათვის სამიკიტნოების მოწყობა და იძულებით ჩამოერთვათ მათგან ფიცი, რომ ქარგალთა კრებებს მხოლოდ საეკლესიო მიზნები ექნება; კონსტანცაში 1390 და 1423 წ.წ. ქარგლების ყოველგვარ ორგანიზაციას დევნიდენ; იგივე ხდებოდა ყველა სხვა ქალაქშიაც. ამ დევნის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს სტრასბურგის წესდება ქარგალთა შესახებ (1465 წ.). წესდება შედგენილი იყო სხვადასხვა ქალაქებს შორის მოლაპარაკების შემდეგ და გამოქვეყნდა არა მარტო სტრასბურგში, არამედ საერთო ხელშეკრულე-

ბით დაკავშირებულ სხვა ქალაქებშიაც. სტრასბურგის წესდებას ერთ-ხელ და სამუდამოთ უნდა მოეღო ბოლო არეულობისათვის“ [1]).

„წესდება მოჯამაგირეთა შესახებ“,—ეს „კანონი სოციალისტების წინააღმდეგ“,—რომელიც ჩვენს წინაპრებს 400 წლის წინეთ გაუტარებიათ ცხოვრებაში, ღირსია იმის, რომ აქ უცვლელათ მოვიყვანოთ მისი არსებითი ნაწილები. წესდებაში ნათქვამია:

„მთისა და ბარის ქალაქებიდან წარმოგზავნალი მოციქულნი, რომელნიც სტრასპურგში შეიკრიბენ იუბილიატის (მესამე კვირა აღდგომის შემდეგ) კვირა-ორშაბათს ხელოსან ქარგალთა და სხვა მოჯამაგირეების შესახებ მოსალაპარაკებლათ, ასეთს აზრს დაადგენ და შემდეგის შესახებ შეთანხმდენ:

„პირველად ყოელისა, ხელოსანი ოსტატები და ქარგლები არ უნდა ადგენდენ კავშირებს, გაერთიანებებსა და შეთანხმებებს, არ უნდა აწყობდენ საზოგადოებებს და აწესებდენ მცნებებსა და რაიმეს აკრძალვას იმ ქალაქის საბჭოსა და ოსტატთა ნებადაურთველად, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ.

„შემდეგ, ყველა მოჯამაგირემ, ვისაც არ უნდა ემსახურებოდენ ისინი—რაინდებს, მოსამსახურეებს თუ მოქალაქეებს,—აგრეთვე ქალაქში მოსამსახურე ყველა ხელოსანმა ქარგალმა უნდა აღთქვას და ფიცი დასდოს, რომ ბურგომისტრს, ქალაქის საბჭოს და მის სასამართლოს დაემორჩილებიან და სხვა რომელიმე ადგილას სამართლის ძიებას არ მიმართავენ.

„ხელოსანმა ქარგლებმა არ უნდა დაუშალონ ამიერიდან თავისი ხელობის ოსტატებს ამა თუ იმ ქარგლის დაქირავება და არ უნდა აუკრძალონ ქარგლებს ამა თუ იმ სამუშევრის აღება“. თანამედროვე ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ აკრძალულია გაფიცვა, ოსტატის უპატიოსნოთ გამოცხადება ან ბოიკოტი, შტრეიკ-ბრეხერების (ე. ი. იმ ქარგლების, რომელნიც სამუშაოდ ჩადგებიან წინააღმდეგ ამხანაგთა დადგენილებისა გაფიცვის გაგრძელების შესახებ) გაკიცხვა. იგივე პარაგრაფი შემდეგ მოითხოვს, რომ ქარგალმა ქალაქის ოსტატებს მოახსენოს ოსტატთან ან სხვა ქარგლებთან მისი უთანხმოების შესახებ და მათს (ოსტატების) განაჩენს დაემორჩილოს, თუ ეს საქმე ქალაქის საბჭოს არ ექვემდებარება. ყოველმა ოსტატმა, რომელიც ქარგალს ქირაობს, უკანასკნელი ამქრის მამასახლისს უნდა

---

[1]) Schmioller, op. cit., გვ. 525. ბრძოლა ქარგლების ამხანაგობათა წინააღმდეგ ქ. ნიურენბერგში დაწვრილებით აღწერილია Bruno Shönlank-ის შრომაში: Soziale Kämpfe vor dreihunder Jahren, Leipzig 1894.

წარუყენოს, მამასახლისმა კი ფიცი უნდა მიიღოს ქარგლისაგან, რომ ის ყოველთვის ოსტატთა სასამართლოს დაემორჩილება. ამის შემდეგ ახალი ქარგლის სახელი შეტანილი იქნება საგანგებო დავთარში. ოსტატი, რომელიც არ წარუყენებს ამქარს თავის ქარგალს დანიშნულ ვადაში, ხუთ შილინგს გადაიხდის ჯარიმათ ყოველ დაყოვნებულ დღისათვის. პოლიციური ზედამხედველობის საუცხოო ჩანასახია!

შემდეგს პარაგრაფში ხელოსან ქარგლებსა და მოსამსახურეებს ეკრძალებათ დანების ტარება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ისინი ქალაქ გარეთ მოგზაურობენ.

„ხოლო თუ ვინიცობაა რომელიმე მოჯამაგირე დაარღვევს ამ დადგენილებებს, პუნქტებს და მუხლებს და არ მოისურვებს მათ შესრულებას, არც ერთმა ამ ოლქის ოსტატმა არ უნდა მიიღოს ის ქარგლად, არც შეუშვას თავის სახლში ან ეზოში იმის შემდეგ, რაც ამის შესახებ გამოცხადებული იქნება; ხოლო ის ოსტატი, რომელიც ამ დადგენილებას დაარღვევს, ოთხი გულდენით იქნება დაჯარიმებული“. ჯარიმის ნახევარი ეძლევა საბჭოს და მეორე ნახევარი ამქარს.

არც ერთ მოკავშირე ქალაქს არ შეუძლია შესცვალოს ეს წესდება დანარჩენთა თანხმობის გარეშე.

არც ერთმა მოჯამაგირემ და არც ერთმა პირმა, რომელიც სტრასბურგის მოქალაქე არ არის, „არ უნდა იაროს ღამ-ღამობით საიდუმლო გზებით ჩვენს ქალაქში“. აღდგომიდან მიხეილის დღემდე საღამოს 10 საათის შემდეგ და მიხეილის დღიდან აღდგომამდე 9 საათის შემდეგ მათ არ შეუძლიათ ქუჩაში დარჩენა, იმ შემთხვევის გარდა, როცა მათ ბატონი ან ოსტატი გზავნის. ამ დადგენილების დარღვევისათვის ინიშნება ოცდაათი შილინგი ჯარიმა ან ოთხი კვირით ციხეში ჯდომა პურისა და წყლის ანაბარათ.

აღნიშნულ საათის შემდეგ მოჯამაგირეებს და ქარგლებს უფლება არ აქვთ თავი მოიყარონ სამიკიტნოებში ან ბაღებში; ეს ისჯება ისეთივე ჯარიმით, როგორიც ზემოთ იყო აღნიშნული.

სამიკიტნოს პატრონებმა არ უნდა გააღონ თავისი დარბაზები და არ უნდა შეუშვან შიგ მოჯამაგირენი ხსენებული დროის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში 5 გირვანქა ჯარიმას გადაიხდიან. „მაგრამ ეს არ შეეხება ბატონებს, პაჟებს, ვაჭრებსა და პილიგრიმებს, რადგან ისინი პატიოსანი და ღირსეული პირნი ბრძანდებიან“.

„ხოლო თუ რომელიმე მოჯამაგირე გაკადნიერდება და არ მოისურვებს აქ დადგენილის შესრულებას, მას არ ექნება უფლება იმ-

სახუროს როდისმე სტრასბურგში ოსტატთა და საბჭოს ნებადაურთველად".

გარდა ამისა წესდება მოჯამაგირეთა შესახებ კიდევ ოთხ შემდეგ მუხლს შეიცავს:

„1) არც ერთს ხელოსან ქარგალს და სამსახურში მყოფ მოჯამაგირეს არ უნდა ქონდეს ამიერიდან სასასმელო ოთახი ან ქირად აღებული სახლი და ბაღი, აგრეთვე არავითარი კავშირი, რომელშიაც კრების გამართვა შეიძლებოდეს, თუ ეს წესიერად არ ხდება და რაიმე მხრით საშიშრობას წარმოადგენს. 2) მათ შეუძლიათ შეიკრიბონ დიდი მარხვის შემდეგ მეორე კვირა-დღეს სანთლების შეძენის საქმეზე მოსალაპარაკებლად, მაგრამ არ უნდა შეიყარონ ამ ქრის ოსტატისათვის ამქრის მამასახლისისათვის) წინასწარ შეუტყობინებლად; ამავე მამასახლისმა უნდა დანიშნოს და კრებაზე გაგზავნოს დასასწრებლად ერთი ან ორი ოსტატი იმ ხელობისა, რომელშიაც ხსენებული ქარგლები მსახურობენ. 3) დასაფლავებაც ქარგლებმა დღესასწაულებში უნდა მოახდინონ, და არა სამუშაო დღეებში. 4) მხოლოდ სამ ქარგალს ან მოჯამაგირეს შეუძლიათ დაუსჯელად ატარონ ერთნაირი ქუდები, სერთუკები, შარვლები და ტანსაცმელის სხვა ნიშანდობლივი კუთვნილება".

ამგვარად, სასასმელო ოთახები და თავმოყრის სხვა საშუალებები სასტიკათ აკრძალული იყო ქარგლებისათვის. ნებადართული ქონდათ მხოლოდ საეკლესიო კავშირები (რა თქმა უნდა, არა მარტო „სანთლების შეძენისათვის მოსალაპარაკებლად", არამედ საზოგადოდ ურთიერთ დახმარების მოსაწესრიგებლათაც), მაგრამ ასეთი კავშირებიც ოსტატთა კონტროლის ქვეშ იყო დაყენებული.

მაგრამ ჩვენ მიერ მოყვანილი ოთხი უკანასკნელი დადგენილება გამორიცხულია 1473 წლის წესდებიდან მოჯამაგირეთა შესახებ, დანარჩენი ნაწილი კი იგივე დარჩა, რაც 1465 წ. წესდებაში იყო. ჩვენ აქ მოვიყვანეთ 1551 წლის მაუდის მქსოველთა წიგნში დაცული 1473 წლის რედაქცია (ორიგინალი იხილეთ შმოლლერის ხსენებულ წიგნში, გვ. 208 და შემდეგი).

ამგვარად, უკვე რვა წლის შემდეგ საჭირო გამხდარა „სოციალისტთა წინააღმდეგი კანონის" დრაკონისებურ დადგენილებათა გაუქმება; ამის მზგავსი სხვა დადგენილებებიც გაუქმდა.

ასე მოხდა ყველგან. ფრანკფურტში 1400 წლის შემდეგ ქალაქის საბჭომ დღიურ მუშებს და ქარგლებს აუკრძალა თავისი სამიკიტნოების გახსნა. დიდი ჯარიმით, ერთი გულდენით დღეში, ემუქრებოდა საბჭო იმათ, ვინც აკრძალვის მიუხედავად, სამიკიტნოს-

თვის დასთმობდა ოთახს ან სახლს. ამ სასტიკი დადგენილების ბოლოში კი აღნუსხულია მას შემდეგ ნებადართული თერთმეტი სამიკიტნო, ამათ შორის, ქარგალ-მებაღეებისა და ქარგლებისა საზოგადოდ [1]).

მართლაც, აკრძალვა უნაყოფო შეიქნა; მე-XV საუკუნეში ქარგლებს ყველგან იერიში მიაქვთ ამ დადგენილებებზე და მალე გააუქმეს კიდეც ისინი. აღნიშნულ საუკუნის დამლევში ქარგლებმა, უეჭველია, საპატიო ადგილი დაიჭირეს და მათმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. მაგრამ რომ გავითვალისწინოთ, თუ როგორი ბრძოლით მოიპოვეს მათ ეს გამარჯვება, ჩვენ სულ სხვანაირად წარმოგვიდგება ამქრების ხასიათი საშუალ-საუკუნეების მიწურულში, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ამ ბრძოლით მოპოებულ უფლებებს შევხედავთ, როგორც საშუალ-საუკუნეების „სულიდან“ აღმოცენებულს და მთელი საშუალ-საუკუნეთა ეპოქის დამახასიათებელ მდგომარეობას. მაგრამ სწორედ ასე იქცევა კულტურის ისტორიკოსთა უმრავლესობა; იმას, რაც გარკვეულ პერიოდის ბოლოში მოხდა, როგორც ხანგრძლივი და მწვავე ბრძოლის შედეგი, ისინი ხატავენ, როგორც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უცვლელად არსებულ მდგომარეობას.

ქარგალთა ორგანიზაციის მოსპობის ყოველი ცდა რომ დამარცხდა, ამისი მიზეზი უპირველესად ყოვლისა ის იყო, რომ ქარგლობა აუცილებელი იყო და მისი მნიშვნელობა ქალაქის წარმოებისათვის მუდამ დღე იზრდებოდა. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ ქალაქთა უმრავლესობისათვის ხელოსნური მრეწველობა მთავარ საარსებო წყაროს წარმოადგენდა: თვით ამ მრეწველობაში ქარგლები ოსტატებთან შედარებით რიცხვითაც და მნიშვნელობითაც ფრიად ანგარიშ-გასაწევ ძალას შეადგენდენ. ქალაქის წარმატება სულ უფრო დაქირავებულ ხელოსან მუშებზე იყო დამოკიდებული. მუშაობას რომ თავს დაანებებდენ და წავიდოდენ, ხელობას დაღუპვა დაემუქრებოდა და ქალაქს—მძიმე ზარალი. თან პირობებიც ხელს უწყობდა ქარგალთა შეკავშირებას. ქალაქები ჯერ დიდი არ იყო. ფრანკფურტის მოსახლეობას 1440 წლისათვის ბიუხერი 8.000 კაცათ ანგარიშობს, ნიურენბერგის მოსახლეობა 1449 წ. 20.000 კაცს შეადგენდა [2]). ქარგალთა რიცხვი კი მთელი მოსახლეობის 10%-ზე მეტი არ იქნებოდა.

[1]) Bücher, op. cit., გვ. 135, შეადარეთ აგრეთვე 603 გვ., 1421 წლის აკრძალვა, და გვ. 609.

[2]) Bücher, op. cit., გვ. 196, 34.

[3]) Lamprecht, op. cit., გვ. 497.

ბუნებრივია, რომ ასეთ მცირე მოსახლეობიან ქალაქში ყოველი ხელობის ქარგალი პირადათ იცნობდა თავის ამხანაგებს. მათი ურთიერთ დაახლოება მით უფრო ადვილი იყო, რომ ერთი რომელიმე ხელობის წევრნი ერთსა და იმავე ქუჩაზე ესახლენ; ქუჩა ხელობისაგან იღებდა სახელს და ზოგიერთ შემთხვევაში დღემდისაც ამ სახელს ატარებს. შემდეგ, მეთუთხმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეში ჯერ არ არსებობდა ის მშვენიერი ეხლანდელი ჩვეულება, რომ მუშებს, კატორღელებსავით, გარეშე ქვეყნისაგან ღობავენ გამურული ან ბადით დახურული ფანჯრებით. იმ დროს მუშაობა უყვარდათ ქუჩაში, სახლის წინ ან, ყოველ შემთხვევაში, ღია კარითა და ფანჯრებით, რამდენადაც კლიმატიური პირობები ამის საშუალებას იძლეოდა. საჭირო არ იყო არც პრესსა და არც კრება იმისათვის, რომ საერო მოქმედებაზე შეთანხმებულიყვნენ. და ვაი იმას, ვინც სოლიდარობას დაარღვევედა და კერძოთ იმოქმედებდა! სიცოცხლეს გაუმწარებდენ. თვითეული მუშა უმჭიდროესად იყო დაკავშირებული ამხანაგებთან არა მარტო მუშაობაში, არამედ ყოველდღიურ ურთიერთობაშიაც.

მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ა ქარგლებს უფრო მოძრავად ხდიდა, მძიმე ოსტატებთან შედარებით, და მჭიდრო კავშირს აბამდა სხვადასხვა ქალაქის ქარგალთა სოლიდარულ ამხანაგობებს შორის. ისეთი გაფიცები იცოდენ მაშინ, რომ გაფიცულებს ვერავინ ვერ შეინაცვლებდა! ამის შესახებ შმოლლერი სჩივის: „ის ფაქტი, რომ უმრავლესობა არ იყო დაკავშირებული ამა თუ იმ ქალაქთან მკვიდრი სახლობით, ცუდ გავლენას ახდენდა ქარგალთა მორალურსა (!) და საქმიან ყოფაქცევაზე; ეს იწვევდა ფუქსოვატობას, უპასუხისგებლობის გრძნობას, დიდ-გულობას და თავისი უპირატესობის შეგნებას ოსტატთა მიმართ. ოსტატები ერთ ადგილზე იყვნენ დაბმულნი; იქაც კი, სადაც უმთავრეს ამქრებს შორის კავშირი არსებობდა, ისინი დიდი გაჭირვებით და დაგვიანებით ახერხებდენ სხვა ქალაქის კოლეგებთან შეთანხმებას. ქარგლებს კი მუდამ ჭონდათ კავშირი და ყოველის მხრიდან ცნობების მიღების შესაძლებლობა; ისინი არ გრძნობდენ თავს იმ ქალაქის მოქალაქეებად, რომელშიც მუშაობდენ; წლობით ნამოგზაურთ, არაფერი არ დაუშლიდა, რომ ზურგზე თავისი გუდა-ნაბადი წამოეკიდათ და ხელში სამოგზაურო ჯოხი აეღოთ. ფლეიტების და ბუკის ძახილით გამოდიოდენ შეტაკების დროს, უსაქმოთ დაბინაკდებოდენ მეზობელ ქალაქში და თუ მოწინააღმდეგე ზავის ჩამოგდებას მოისურვებდა, მოითხოვდენ: ქეიფებზე გაწეული ხარჯიც გაისტუმრეთ ამ ქალაქშიო.

უფრო მჭიდრო დამოკიდებულება და უფრო ძლიერი კორპორაციული სული საშუალებას აძლევდა მათ არ დაეშვათ მეტოქენი მუშაობაზე და ხშირათ გამარჯვებული გამოდიოდენ ბრძოლიდან“ [1]).

ქარგლებს მით უფრო დამოუკიდებლათ შეეძლოთ დაეჭირათ თავი, რომ ისინი იშვიათათ იყენენ დატვირთული ცოლ-შვილით. ცოლ-შვილიანი ქარგალი გამონაკლისი იყო, მრავალ ხელობაში კი ასეთი სრულებით არ ერია. ისინი ხომ ოსტატის „ოჯახს“ ეკუთვნოდენ; ოსტატი კი ფიქრობდა, რომ თუ ქარგალს დაცოლშვილებას დაუშლიდა და თავის სახლში დაამკვიდრებდა, ის გაცილებით უფრო ადვილათ დაუმორჩილებდა მას თავის „მამაშვილურ“ დარიგებას, ამხანაგებს ჩამოაშორებდა, ნამდვილ ხელმძღვანელობას გაუწევდა და უფრო იოლად შესძლებდა მისი შრომის მითვისებას საჭმელ-სასმელის გაუარესებით (შედარებით) და ათასნაირი შეეიწროებით. ესეც რომ არ იყოს, ცოლიანი ქარგალი უფრო მოწადინებული იქნებოდა დამოუკიდებლობის მოპოებას თუ კანონიერი საშუალებით არა როგორც ამქრის ოსტატი, ყოველ შემთხვევაში უკანონოთ როგორც სოფლის ან გარეუბნის „მჩიჩქნელი“ ან Störer-ი (მოხეტიალე ხელოსანი).

მაგრამ სწორეთ ამ უცოლშვილობამ მისცა მათ არა ჩვეულებრივი წინააღმდეგობის უნარი.. უცოლშვილობამ, ალბათ, გაცილებით მეტად, ვიდრე მოგზაურობამ, ხელი შეუწყო ქარგლებში იმ თვისებათა და უპირატესობის გამომუშავებას, რომლებიც შმოლერმა დაგვიხატა ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში: სიმტკიცის, უდარდელობის და საკუთარი ძალის შეგნების.

რამდენად უფრო მძიმეა თანამედროვე პროლეტარის ბრძოლის პირობები! ყოველ გაფიცვაში, ყოველ არჩევნებში, მუდამ, როდესაც ის პირადათ იცავს თავის საქმეს, ცოლშვილზე ვრცელდება მისი მოქმედების შედეგი. პატარა ქალაქებში, სადაც მუშებს ადვილათ შეუძლიათ ერთმანეთთან შეთანხმება გაზეთების დაუხმარებლად, ოჯახური მოსაზრებები აიძულებს მათ კაპიტალისტისადმი დამორჩილებას. დიდ ქალაქებში კი, პირიქით, მუშები ერთმანეთს არ იცნობენ; შეთანხმებისთვის საჭიროა გაზეთები, დიდი კრებები და კავშირები. წმინდა პირადი მოლაპარაკება უკვე არ კმარა ისეთი ერთობისა და სოლიდარობის შესაქმნელად, რომელიც მძლავრ და გაერთიანებულ

[1]) G. Schmoller Das Brandenburgisch-preussische Innungswesen (Forschungen zur Branderburgischen und preussischen geschichte, 1 Band, ss. 79).

კაპიტალთან ბრძოლაში გაცილებით უფრო საჭიროა, ვინემ წვრილი ხელოსან ოსტატთა წინააღმდეგ. გასაგებია ამიტომ, რომ ამჟამათ უშათა ეკონომიური ბრძოლა სულ უფრო პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ბრძოლათ იქცევა; გასაგებია რომ თავისუფლება მათთვის ლუკმა პურის საკითხია; რომ პოლიტიკურ უფლებების წართმევა მათთვის პურის წართმევას უდრის, და რომ გარემოება მათ ყველგან ა ი ძ უ ლ ე ბ ს გააფართოვონ ხელფასისა და სამუშაო დროის შემცირებისათვის ბრძოლის ფარგლები პოლიტიკურ ძ ა ლ ა-უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ბრძოლამდე.

წინააალმდეგ ამისა ქარგალთა მოძრაობა საშუალო საუკუნეების დამლევს და ახალი დროის შესამჩნევი ნაწილის განმავლობაში არ იჩენდა პოლიტიკურ ტენდენციებს, როგორც თავის დამახასიათებელ თვისებას. ეყრდნობოდენ რა მხოლოდ თავის პროფესიონალ ორგანიზაციებს, ქარგლები ისეთ წარმატებას აღწევდენ და ისეთ მდგომარეობას იჭერდენ საზოგადოებაში, როგორიც ეხლა მხოლოდ ზოგიერთ მუშათა ორგანიზაციას თუ შეუძლია მოიპოვოს, ისიც განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში და მხოლოდ მცირე ხნით, თუმცა ფართო პოლიტიკური უფლებებით კი არიან აღჭურვილნი. თავის თავად ცხადია, რომ ქარგლებს ყველა ხელობაში ერთნაირად ხელსაყრელი პირობები არ ქონდათ. მათი ორგანიზაციები ერთმანეთისაგან განირჩეოდენ სიმდიდრით და გავლენიანობით. იმ ქარგალთა მრავალრიცხოვან ფენებს, რომელთა შენაცვლება გაფიცვის დროს ადვილი საქმე იყო, არ შეეძლოთ პროფესიონალ ორგანიზაციების შექმნა, ისინი საესებით ექსპლოატატორთა ნება-სურვილზე იყვნენ დამოკიდებულნი. უკვალიფიკაციო მუშათა მიმართ ქარგლებს არ გამოუჩენიათ არც ის „კორპორატიული სული“ და არც ის „მოყვასისადმი სიყვარულის იდეა“, რომლითაც, როგორც გვარწმუნებენ, გამსჭვალული იყო სამუალ-საუკუნეების საზოგადოებრივი წესწყობილება.

ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ მე-XIII და მე-XIV საუკუნეებში შექმნილი კავშირები შემდეგ ისევ იშლებოდენ. ასე დაემართა უბრალო დღიურ მუშათა კავშირებს; სოფლიდან შემოხვეწილი ამქრის გარეშე კონკურენტები ადვილად შლიდენ ამ კავშირებს. საფიქრებელია, რომ ამ მოვლენას რამდენიმედ ქალაქებში მიწად-მოქმედების დაცემა იწვევდა. მაგრამ იღუპებოდა არა მარტო სასოფლო-სამეურნეო მოჯამაგირეთა კავშირები. მაგალითად, ხუროებს, მეღვინეებსა და ტვირთის მზიდველთ ფრანკფურტში ჯერ კიდევ მე-XIV საუკუნეში (1387 წ.) ქონდათ თავისი ამქრები. მაგრამ მათ გვერდით ჩვენ უკვე დღიურ მუშებსაც ვხედავთ: 16 მეღვინე-ქარგალს, 4 ტვირთის

მზიდველს, 10 მხერხავს და 6 ხუროს. 1440 წ. ამქრის ხურო-ქარგლები უკვე აღარ არსებობენ, მეღვინე-ქარგალთა ორგანიზაცია მე-XV საუკუნეში სულს ღაფავს, ხოლო ტვირთ-მზიდველთა ორგანიზაციამ მე-XVI საუკუნის პირველ ნახევრამდე ძლივს მოატანა; ამქრის გარეშე ელემენტები კი, პირიქით, სულ მატულობდა.

ქალაქის შეუკავშირებელ პროლეტარების მდგომარეობა თანდათან სულ უარესი ხდებოდა შეკავშირებულ ქარგალთა მდგომარეობასთან შედარებით, და ხშირათ—აბსოლიუტურადაც. უფსკრული შეკავშირებულ და შეუკავშირებელ მუშებს შორის დღითი-დღე ღრმავდებოდა.

VII. ქალაქის მუშათა არისტოკრატია.

რაც უფრო მეტ წარმატებას განიცდიდენ „ხელოსანი მოჯამაგირენი", მით უფრო პრივილეგიურ კლასსად, არისტოკრატებად გრძნობდენ თავს ისინი და ისეთივე ზიზღით დაჰყურებდენ მათზე დაბლა მდგომ პროლეტარებს, ამ „უპატიოსნო ხალხს", როგორც თვით ოსტატები. ის ქარგალი, რომელიც „უპატიოსნო კაცს" შემოიყვანდა ქარგალთა საკრებულოში, ისჯებოდა. ჩვენ უკვე გამოვარკვიეთ, თუ ვინ უნდა ვიგულისხმოთ „უპატიოსნო" კაცად. მალე შეკავშირებულ მუშათა თავმომწონეობა ისე გაზვიადდა, რომ პროტესტსაც აცხადებდენ, როდესაც მათ იმავე სახელს უწოდებდენ, რაც სხვა პროლეტარებს. მე XV საუკუნის მეორე ნახევარში სახელწოდება „მოჯამაგირე" (Knecht) ქარგლებმა ყველგან აღშფოთებით უარყვეს და „ქარგლის" სახელწოდებით („geselle") შესცვალეს. რასაკვირველია, ზოგიერთი ამაში დაინახავს „დემოკრატიული სულის" გაღვიძებას, ქარგალთა ცდას, რომ ოსტატებთან გაეტოლებინათ თავისი მდგომარეობა ან, ყოველ შემთხვევაში, ოსტატების მზგავს მდგომარეობაში ჩაეყენებიათ თავისი თავი. მაგრამ ჩვენ ამგვარ გაგებას ვერ გავიზიარებთ. სოციალურად ქარგლები სწორეთ იმ დროს იდგენ უფრო ახლო ოსტატებთან, როდესაც მათ „მოჯამაგირეები" ჰქვიოდათ და არა „ქარგლები". ეჭვი არაა, რომ შეკავშირებული ქარგლები მეტს წარმატებაში იყვნენ, ვინემ გლეხები და პროლეტარები, მაგრამ მათი მდგომარეობა ისე სწრაფად არ უმჯობესდებოდა, როგორც ოსტატების, რომელნიც სწორეთ ეხლა ხდებოდენ ქარგალთა ექსპლოატატორები. XIV საუკუნეში „მოჯამაგირეები" ოსტატებთან ერთად ჭამდენ და სვამდენ საერთო სამიკიტნოებში. XV საუკუნეში კი ოსტა-

ტები აღარ კადრულობდენ ერთ სუფრაზე ქარგლებთან ჯდომას. ქარგლები განდევნილი იყვნენ ოსტატთა სამეკიტნოებიდან. ამის გამო მათ დიდი ხნის ბრძოლა მოუხდათ საკუთარი სამეკიტნოებისათვის. ჩვენ კი გვეუბნებიან, რომ სწორეთ ეხლა იგრძნეს ქარგლებმა თავისი თავი ოსტატთა სწორ ადამიანებათ.

არა, შეკავშირებულ ქარგლებს პირდაპირ სამარცხვინოთ მიაჩნდათ თავისთვის, რომ მათ ერთს ხვაეში ჰყრიდენ იმ ქარგლებთან ერთად, რომელთაც საერთო წარმატება არ შეჰხვია და რომელნიც ხშირათ სულ უფრო დაბლა იძირებოდენ. ამგვარ თავგასულობას, რომელმაც ქარგლებს „მოჯამაგირეების“ სახელი უკუაგდებინა, ჩვენ ხანდახან დღესაც ეხვდებით წარმოების იმ დარგებში, სადაც მუშები განსაკუთრებით დაწინაურდენ თავისი პროფკავშირების საშუალებით. ეს, უმთავრესად, მაღალი კვალიფიკაციის მუშებია, რომელთაც საფრთხე არ მოელის მანქანისაგან ან დედაკაცთა შრომისაგან. დიდი ხანი არაა, რაც ასოთამწყობთა ერთი ნაწილი შეურაცყოფილად გრძნობდა თავს, როდესაც მათ „მუშებს“ ეძახოდენ. ისინი „მხატვრები“ იყვნენ.

რაც უფრო წარმატულობდენ სხვადასხვა ხელობის ქარგალთა პროფესიონალური ამხანაგობები, მით უფრო ვიწრო ხდებოდა შეკავშირებულ მუშათა გონებრივი ჰორიზონტი. ერთად-ერთ მისწრაფებად მათ ის გადაექცათ, რომ მათი ამხანაგობა მაგარი და მძლავრი ყოფილიყო არათუ მარტო ოსტატების, არამედ სხვა პროფესიის ქარგალთა მიმართაც. მათი ორგანიზაციები ანვითარებდენ არა კლასობრივ თვითშეგნებას, არამედ შურითა და წვრილმანი თავმომწონეობით საესე ვიწრო კასტურ სულისკვეთებას.

თავდაპირველად რომელიმე ხელობის ქარგალთა კავშირში იღებდენ სხვა ხელობის მუშებსაც და სხვა წოდების პირებსაც კი, თუ ესენი ქარგლებს თანაუგრძნობდენ. შემდეგ კი ეს წესი გადავარდა. მაგალითად, ფრანკფურტის ზეინკალ-ქარგლების ძმათა კავშირში მიღებული იყო:

1402—1471 წ. 1.096 წევრი, მათ შორის 27 ქარგალი არ იყო.
1472—1524 „ 1794 „ „ 6 „ „ „
1402—1471 „ 35 ქარგალი, რომელნიც ლითონზე არ მუშაობდენ.
1472—1496 „ 6 „ „ „ „ „

1496 წლის შემდეგ კი სულ არ იღებდენ ლითონზე არა მომუშაე ქარგლებს. [1])

[1]) Bücher, op. cit., გვ. 619.

შეიძლება ეს ციფრები იმითაც აიხსნება, რომ ზეინკალთა ძმათა კავშირებთან ერთად სხვა ორგანიზაციებიც შეიქმნა, ასე რომ არა-ზეინკალ ქარგლებს აღარ სჭირდებოდათ ზეინკალთა ორგანიზაციის მფარველობა. მაგრამ რამდენად გაძლიერდა ქარგალთა სსკადასხვა ორგანიზაციის ერთმანეთისადმი შური, ამას ის განუწყვეტელი შუღლი მოწმობს, რომელიც მათ ურთიერთ დამოკიდებულებაში გაბატონდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ, საეჭვოა —არსებობდა თუ არა ოდესმე ისეთი გრძნობიერი რამ, როგორიც ქარგალთა „წოდებრივი ღირსება“ იყო; ის ისეთივე ნაზი და მისათვალავი რამ იყო, როგორც ეხლა რომელიმე ოფიცერის ან კორპორანტ-სტუდენტის „ღირსება“ თუა. მაღალი ღირსების გრძნობა კი არა, გონება-შეზღუდულობის მაღალი ხარისხი ედო საფუძვლად ამ გადამეტებულ გრძნობიერებას.

საკმაოთ ცნობილი ფაქტია, რომ 1471 წელს ფეხსაცმელების მკერავმა ქარგლებმა ლეიპციგში საასპარეზოდ გამოიწვიეს უნივერსიტეტი თავისი შეურაცყოფილი ღირსების დასაცავად. ასეთივე „თვითშეგნება“ გამოიჩინეს ბადენის მარკგრაფ იაკობის მეპურეებმა და ხელის მსახურებმა, რომლებმაც 1470 წ. გამოწვევა შეუთვალეს საიმპერიო ქალაქებს ესსლინგენსა და რეისტლინგენს.

1477 წელს მიუნცენბერგში ბატონ ეპშტეინის მსარეულმაც კი სამზარეულო თანაშემწეებითურთ საასპარეზოდ გამოიწვია გრაფი ზოლმსი. [1])

ბრძოლას მუშათა ჯგუფებს შორის ჩვენ უკვე მე-XIV საუკუნეში ვხვდებით. მაგ., სტრასბურგში 1350 წ. ფეიქარი ქარგლები მატყლის მჩითავ ქარგლებს ებრძოდენ, 1360 წ. იგივე ქარგლები სელის მქსოველ ქარგლებს. მაგრამ ყველაზე უჯათი ხალხი ქ. კოლმარის მეპურე ქარგლები აღმოჩნდენ: 1495 წელს მათ გაფიცვა დაიწყეს იმის გამო, რომ ქალაქის საბჭომ მათ გარდა სხვა ქარგალთა ამხანაგობებსაც ნება დართო წმინდა საუფლო ძღვენს გაჰყოლოდენ უფლის სხეულის დღესასწაულში, რადგან უკანასკნელთაც ისეთივე ძვირი სანთელი შემოჰქონდათ, როგორც მეპურეებს. ათი წელიწადი გაგრძელდა ეს გაფიცვა და ბოლოს მაინც მეპურეებმა გაიმარჯვეს ქალაქზე და თავის ამხანაგებზე. ამგვარი შემთხვევა ბევრის ბევრი იყო.

ამ გონებრივი ჰორიზონტის სივიწროის გამო, ოსტატ-ქარგალთა ანტაგონიზმმა ვერ წარმოშვა ყველა ქარგლებისათვის საერთო

[1]) C. W. Hering, geschichte sächsischen Hochlandes, გვ. 176.

მიზნისაკენ, საზოგადოებრივი წესწყობილების გარდაქმნისაკენ მიმართული მოძრაობა, მიუხედავათ იმისა, რომ ეს ანტაგონიზმი ხშირათ იწვევდა სერიოზულ კონფლიქტებს. სწორეთ ყველაზე უფრო ძლიერ და დაწინაურებულ ქარგალთა ორგანიზაციებში ვითარდებოდა არა სხვა მუშებთან სოლიდარობის კლასობრივი შეგნება, არამედ, ა ნ ტ ა გ ო ნ ი ზ მ ი, ერთის მხრით, სხვა წარმატებულ ორგანიზაციებისადმი, რომლის ყოველ ახალ მონაპოვარს შურის თვალით შეჰყურებდენ, და მეორეს მხრით, – პროლეტაოთა მასსისადმი, რომელიც შეკავშირებას ვერ ასერხებდა და სულ უფრო ღრმათ იფლებოდა სიღატაკეში და გაპირვებაში. მხოლოდ კაპიტალისტურმა მრეწველობამ დაშალა ქარგალთა ორგანიზაციები, სოციალურად დააქვეითა ქარგლები და სხვა პროლეტარებთან გაათანასწორა. მხოლოდ წარმოების კაპიტალისტურმა წესმა შექმნა პირობები ერთიანი კლასსობრივი შეგნებისათვის და მხოლოდ მან აზიარა ამ სოლიდარულ სულისკვეთებას მთელი მუშათა კლასსი. და თუ მუშათა კლასსში დღესაც ჩნდება ხანდახან ახალი მუშური არისტოკრატია, ეს მხოლოდ მცირე ხნით. მისი ტენდენციები ყველა მუშებს ერთს ყალიბზე ათანასწორებს. ერთერთი უდიდესი გადატრიალება, რომელსაც ამ ჟამათ ეს წარმოების წესი ამზადებს, იმაში მდგომარეობს, რომ ისპობა გ ო ნ ე ბ რ ი ვ ი შ რ ო მ ი ს,—ამ „ახალი საშუალო წოდების“,—პრივილეგიური მდგომარეობა; ის სოციალურად ფიზიკურ შრომას თანაუსწორდება. ამ გათანასწორებას ისეთი კოლოსსალური და ფართო მნიშვნელობა აქვს, რომ ზოგიერთ ბრძენს ეს პროცესსი უაზრო უტოპიად მიაჩნია, თუმცა იგი მათიეე თვალის წინ ვითარდება.

საშუალ-საუკუნეების ხელოსნურ წარმოებას ასეთი რევოლიუციონური გავლენა არ მოუხდენია. შეკავშირებული ქარგლები შეფოთიანი და თვისნება ხალხი იყო, იარაღის ხმარებას დაჩვეული და მეტად გრძნობიერი თავის უფლებისა და წოდებრივ ღირსებისადმი. თანამედროვე მუშებთან შედარებით ისინი გაცილებით უფრო დამოუკიდებლათ, უფრო საკუთარის ძალღონით იბრძოდენ თავის უფლებებისათვის, უყოყმანოთ თავს ანებებდენ მუშაობას, აყალ-მაყალს სტეხავდენ და თუ საჭირო იყო იარაღსაც მიმართავდენ. თავისი ხერხით ისინი თანამედროვე პროლეტარებზე ბევრათ უფრო რადიკალური იყვნენ. თანამედროვე ანარქისტების უმრავლესობა უწყინარი კრავებია საშუალ-საუკუნეთა ბოლო ხანის თავზე ხელაღებულ, აღვირ ახსნილ ქარგლებთან შედარებით. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი მხარეა მათი გამოსვლებისა. მათი მ ი ს წ რ ა ფ ე ბ ა უაღრესად უმანკო თვისების იყო. „ქეთილი ორშაბათი“ („ორშაბათობის“ უფ-

ლება) ყველაზე უფრო რადიკალური იყო მათ მოთხოვნილებებში. მათ არ შეეძლოთ თავის მიზნათ მთელი საზოგადოებრივი წყობილების გადახალისება დაესახათ: თვითონ ხომ პრივილეგიებით იყვნენ აღჭურვილი ამ საზოგადოებაში; საზოგადოების წარმატებიდან ისინი თავის წილს იღებდენ, თუმცა არც ისე დიდს, როგორც ოსტატები, და განსაკუთრებით, ვაჭრები და მონარქები.

თუმცა ქარგალთა წილი საზოგადოებრივ მონაგარით სარგებლობაში შედარებით კლებულობდა და მისი გადიდებისათვის საჭირო იყო დაუღალავი ბრძოლა, მაინც კითხვის ნიშან ქვეშ არ აყენებდენ ისინი თვით არსებობას იმ საზოგადოებისა, რომელშიაც ცხოვრობდენ. რა თქმა უნდა, რევოლიუციონურ ხანაში შეკავშირებულ ქარგლებს შეეძლოთ ისეთ რევოლიუციონურ ელემენტებთან დაეჭირათ კავშირი, რომლებიც მათზე შორს მიდიოდენ; შესაძლებელი იყო, რომ ამ ბრძოლაში ზოგიერთი ამქრის ოსტატებიც მიმხრობოდენ მათ, როდესაც უკანასკნელნი პატრიციებს, ქალაქის მარკის წევრებს ან ვაჭრებს ედავებოდენ. მაგრამ არც შეკავშირებული ქარგლები და არც ოსტატები მტკიცე და გამტანი არ იყვნენ ბრძოლაში. პირველივე წინააღმდეგობა ან ერთი დამარცხება საკმარასი იყო, რომ განდგომოდენ აჯანყებულებს, რომელთა მიზნებს ისინი არ თანაუგრძნობდენ და რომელნიც მხოლოდ საკუთარ გარდამავალ და განსაკუთრებულ ინტერესებისათვის უნდა გამოეყენებინათ. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ დამთავრდა ასეთი სწრაფი მარცხით 1525 წლის რევოლიუციონური აჯანყება.

ამგვარათ, საშუალო საუკუნეების ქარგალთა ამხანაგობებს არ გააჩნდათ სოციალური იდეალი, მათ მიზნათ არ ქონდათ ახალი საზოგადოების შექმნა.

VIII. მარკა და სამთო სამართალი.

სულ სხვა ტიპი, ხელოსან ქარგლებისაგან განსხვავებული ტიპი ჩამოყალიბდა სამთომადნო მუშებისაგან. ძველს დროში სამთო მუშები, რამდენადაც ვიცით, მხოლოდ არა თავისუფალი პირნი იყვნენ, —მონები და ბოროტმოქმედებისათვის დასჯილნი. საშუალო საუკუნეებში მათი ადგილი თავისუფალმა კაცებმა, პირველ ხანად მარკების წევრებმა, დაიჭირეს.

ჩვენ უკვე აღენიშნეთ, რომ თემი-მარკის ტერიტორია ორ ნაწილად იყოფოდა,—დანაწილებულად და სათემოდ.

თემი-მარკის ყოველ ოჯახს ცალკე საკუთრებათ ეძლეოდა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მისი სახლ-კარი იდგა (სახლი, სამეურნეო შენობები და ბაღი). გარდა ამისა სათემო მარკიდან გამოიყოფოდა და გარკვეული წესით ოჯახებს შორის ნაწილდებოდა სახნავი მიწა, მინდვრის მარკა. საძოვრები, ტყე, წყალი და გზები სათემო მფლობელობაში რჩებოდა და განუყოფელ მინდვრის მარკას შეადგენდა. დროთა მსვლელობაში ამ განუყოფელი მარკის სფერო მცირდებოდა: ნაწილობრივ იმის გამო, რომ მოსახლეობა იზრდებოდა, შენდებოდა ახალი სოფლები და ამათთვის სათემო მარკიდან ახალი მინდვრის მარკები უნდა გამოყოფილიყო; ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ნადირობისა და მესაქონლეობის ადგილს მიწათმოქმედება იჭერდა, რაიც განაწილებულ (გაყოფილ) მინდვრის მარკების გამრავლებას იწვევდა განუყოფელის ხარჯზე.

თავდაპირველად თემის ყველა წევრს თანასწორი წილი ქონდა როგორც გაყოფილ მინდვრის მარკაში, ისე სათემო მარკით სარგებლობაში. სარგებლობის პირობებს კი აწესრიგებდა მარკის წევრთა მთელი კრება. აწესრიგებდენ საქონლის საძოვრით სარგებლობას, ტყეში ხმელი შეშის აკრეფას, ხის ხმარებას შენობებისა და გათბობისათვის და, ბოლოს, მინერალების ამოღებას. მარკის ყოველ წევრს უფლება ქონდა, თემისაგან დაწესებულ გარკვეულ პირობების დაცვით, მოეტეხა და თავისი საჭიროებისათვის გამოეყენებინა ქვა სათემო მარკის ქვის სატეხი ადგილებიდან.

თემ-მარკების უმრავლესობაში მინერალების ამოღებას მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობი ქონდა; ხელს ჰკიდებდენ ამ საქმეს მხოლოდ იშვიათს შემთხვევებში. სხვანაირი მდგომარეობა შეიქნა იმ ქვეყნებში, სადაც მარილი, რკინა, სპილენძი და განსაკუთრებით ვერცხლი ან ოქრო აღმოჩნდა, და, უფრო ხშირათ, იმ ქვეყნებში, სადაც შემოსული გერმანელები კელტებისა და რომაელების მიერ დამუშავებულ მაღაროებს დაეპატრონენ: ამ ქვეყნებში მინერალურ განძის ძებნამ და მერე მისი წიაღიდან ამოღებამ მალე პირველი ადგილი დაიჭირა. დასახელებული მადნები ყველგან იყო საჭირო, ყველგან ეძებდნენ, ხოლო პოულობდენ მხოლოდ ზოგიერთს ადგილას. ამიტომ იმ თემებმა, რომლებსაც ამგვარი მადნეულობით მდიდარი სამთო ოლქები ეკუთვნოდა, ადრე დაიწყეს თავისი მინერალური სიმდიდრის ექსპლოატაცია იმ ზომაზე მეტად, რაც მათ საკუთარი მოხმარებისათვის სჭიროდათ. ჩამოთვლილი მინერალები იყო საქონლის წარმოებისა და აღებ-მიცემის პირველი ობიექტები.

სამთო-სამრეწველო ოლქები უმთავრესად მთებში მდებარეობდა, სადაც მიწათმოქმედება თავიდანვე მცირე როლს თამაშობდა. რაც უფრო ვითარდებოდა სამთო საქმე, მით უფრო მცირდებოდა მიწათმოქმედება. ეხლა აღარ იყო საჭირო იმდენი ყანა, როგორც წინეთ, რადგან ცხოვრებისათვის საჭირო საგანთა შეძენა შესაძლებელი იყო სამთო საქმის პროდუქტების გადაცვლით. გარდა ამისა მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას ბევრი მუშა-ხელი აკლდებოდა, რადგან მარკის წევრები უფრო სამთო საქმეს ეკიდებოდენ, როცა იგი უფრო შემოსავლიანი გახდა. წარმოება საკუთარი მოხმარებისათვის ბუნებრივად ისაზღვრება მწარმოებლის მოთხოვნილებათა ფარგლებით. საქონლის წარმოების ფარგლები ბაზრის მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული; სამთომადნო პროდუქტების ბაზარი კი ფაქტიურად უსაზღვრო იყო, რადგან ის მცირერიცხოვანი ადგილები, სადაც მარილი და ლითონი მოიპოვებოდა, სავსებით ვერ დააკმაყოფილებდა ბაზარს, რომელიც გაცილებით უფრო ჩქარა ფართოვდებოდა, ვიდრე ამას კაცი წარმოიდგენდა. უდიდეს მანძილზე გადადიოდა ძვირფასი ლითონები ხელიდან ხელში და სოფლიდან სოფელში; განსაკუთრებით ადვილი იყო ლითონების გადატან-გადმოტანა იარაღებისა და სამკაულების სახით.

ჯერ კიდევ ქვის საუკუნეში ვხედებით იარაღებით, სამკაულებითა და ამ საგნებისათვის საჭირო მასალით ფართო ვაჭრობის კვალს. საფრანგეთში, ტურის და პუატიეს შუა გზაზე მოიპოვება მრავალი, მონოლიტური, თაფლის ფერი კარგი კაჟი. დ-რ Leveillé-მ Pressigny-le-Grand-ის ახლო აღმოაჩინა ნაშთი ძველი სახელოსნოსი, რომელიც ამ კაჟიდან დამზადებულ იარაღებს აწვდიდა ფართო რაიონს. მთელს საფრანგეთში, ბელგიაში და აგრეთვე შვეიცარიაში ნახულობენ ამ ადგილიდან გამოტანილ კაჟის იარაღებს; ისინი ადვილი გამოსაცნობია თავისებური ფერით. ა მ ე რ ი კ ა შ ი, მისისიპის ველის პირველყოფილ მცხოვრებელთა საფლავებში ჰპოულობენ ერთი შეორეს გვერდით მდებარე სპილენძს—ზემო-ტბიდან, გამჭვირვალე ქვას—ალლეგანიდან, ნიეარას—მექსიკის ყურედან და ობსიდიანებს—მექსიკიდან (L u b b o c k, Die vorhistorische Zeit, Iena 1874, I, გვ. 74, 77, 187).

ამჟამად მხოლოდ ძვირფასი ლითონებია და ხშირათ მხოლოდ ოქროა ისეთი საქონელი, რომელსაც ყველა მოითხოვს და რომელიც არასოდეს ჭარბი არ არის; საქონლის წარმოების პირველ ხანებში იმავე როლს ასრულებდა რკინა, სპილენძი და ხანდახან მარილიც. ამიტომ ამ მინერალების შოვნის სტიმული უზომო იყო. საკვირვე-

ლიც არ არის, რომ ყველგან, სადაც კი მიწის წიაღი მდიდარი იყო სასარგებლო მინერალებით, სამთომადნო მრეწველობა ეკონომიური საქმიანობის უმთავრეს დარგად გადაიქცა. მის წინაშე იჩრდილებოდა მიწათმოქმედება, რომელსაც საკუთარი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ეწეოდენ და არა საქონლის წარმოებისათვის.

თავდაპირველად მაღაროებს მხოლოდ სათემო მარკაში სთხრიდენ. მაგრამ რა უნდა ექნათ, რომ სამთომადნო საქმე ფართოვდებოდა და დაყოფილ მინდვრის მარკაშიაც პოულობდენ სასარგებლო ლითონებს? მინდვრის მარკა დაყოფილი იყო მიწათმოქმედების გულისთვის და თუ მინდვრის ნაკვეთს ამ მიზნისთვის არ გამოიყენებდენ, არ ხნავდენ და არ სთესავდენ რეგულიარულად, იგი სათემო მარკის განკარგულებაში უნდა გადასულიყო კუთვნილებისამებრ. ეს ასეც მოხდა, როდესაც მადნის ძებნას შეუდგენ დაყოფილ მარკაში. მაგრამ რაკი ყველგან, სადაც სამთომადნო საქმე ვითარდებოდა, იგი მიწათმოქმედებაზე უფრო ხელსაყრელი შეიქნა, საკმაო გახდა აღმოეჩინათ დაყოფილ მინდვრის მარკაში მინერალები, რომ მინდვრები და საბალახოები კვლავ სათემო მარკისათვის გადაეცათ. კიდევ მეტიც,—ყოველნაირად ხელს უწყობდენ მინერალების ძებნას და უბრალო ეგ ე ბ ი ს ო ბ ა ც-კი, რომ მინდორს მადანი აბადია, სათემო მარკის შემადგენელ ნაწილად აქცევდა ამ მინდორს. ბოლოს ძვირფას ლითონების მოთხოვნილების ზრდამ მოსპო ცალკე საკუთრება თვით ს ა მ ო ს ა ხ ლ ო მიწაზედაც. მარკის ყოველ წევრს მიეცა უფლება ეძებნა მადნის საბადო და შურფები გაეთხარა მ ა რ კ ი ს მ თ ე ლ ს ი ვ რ ც ე ზე, სადაც კი შეიძლებოდა მადანი აღმოჩენილიყო; და თუ ეს ვინმეს დააზარალებდა, დაზარალებულს შეეძლო საზღაური მოეთხოვა, ნაგრამ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ი ს გ ა წ ე ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ა რ ქ ო ნ დ ა.

„ვინაიდან ძლიერი არის სამთო სამართალი და არც მეფეს, არც ჰერცოგს, არც გრაფებს არ შეუძლიათ წინააღმდეგობა გასწიონ, თუ ვინმე მოისურვებს მადნის ძებნას ბაღში თვით საწოლი ოთახამდის რომელიმე კაცისა“, ნათქვამია შტეინფელდის საბბატოს ერთს ძველს წიგნში. [1])

რამდენადაც მიწათმოქმედების მნიშვნელობა მატულობდა მესაქონლეობასთან და ნადირობასთან შედარებით, იმდენად მარკის განვითარებაში საზოგადოთ ძლიერდებოდა კერძო საკუთრების გა-

---

[1]) N. A c h e n b a c h, – Das gemeine deutsche Bergrecht in Verbindung mit dem preussischen Bergrecht etc. dargestellt, ბონნი, 1871, ტ. I. გვ. 71.

ფართოებისა და სათემო მარკის შეეიწროების ტენდენცია. სამთომადნო სამრეწველო რაიონებში კი, სადაც მიწათმოქმედების მნიშვნელობა სამთომადნო საქმის წყალობით კლებულობდა, ჩვენ, პირიქით, წინააღმდეგ ტენდენციას ვამჩნევთ. სამთომადნო მრეწველობა ჰკვეცავდა კერძო საკუთრების უფლებებს და გარკვეულ პუნქტებში კვლავ სათემო მარკას უთანასწორებდა.

მაგრამ მაღაროებიანი მიწის ნაკვეთები სათემო მარკაში მხოლოდ იმისთვის გადადიოდა, რომ უმალვე ისევ გამოყოფილიყო მისგან. პირველი მაღაროები მეტის მეტად პრიმიტიული იყო: მუშაობა სწარმოებდა მხოლოდ მიწის ზედაპირზე; სთხრიდენ უბრალო ორმოებს და იქედან მადანი ამოქონდათ.

მაღაროს ამგვარი დამუშავებისათვის საკმარისი იყო ერთი მუშა ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან მცირე რიცხვი მუშებისა. თემური სარგებლობის წესი, ისეთი, როგორიც, მაგ. საბალახო ადგილებით სარგებლობაში არსებობდა, მაღაროების მიმართ განუხორციელებელი იყო. მაღაროებიანი მიწის ნაკვეთები მარკის ცალკე წევრებს ეძლეოდა დასამუშავებლად იმგვარათვე, როგორც სახნავი მინდვრები ნაწილდებოდა იმავე წევრებს შორის. მაგრამ სხვა და სხვა მაღაროსხვა და სხვა ზომის შემოსავალს იძლეოდა, და მაღაროების რიცხვის გადიდება იმნაირად, როგორც სახნავი მიწის ნაკვეთებს ამრავლებდენ, შეუძლებელი იყო; ამიტომ, მთელი თემის ინტერესისათვის, მაღაროები წევრებს იმ პირობით ეძლეოდა, რომ ესენი თემის სასარგებლოთ შემოსავლის განსაზღვრულ ნაწილს გადაიხდიდენ. შემდეგ: როგორც განაწილებულ ყანების, ისე მაღაროების დამუშავება, თემის ზედამხედველობასა და ხელმძღვანელობას ექვემდებარებოდა და როგორც დაუმუშავებელი ყანები, ისე მიტოვებული მაღაროებიც ისევ თემს უბრუნდებოდა. როცა მაღაროთი მოსარგებლე პირი მუშაობას მიატოვებდა, ის ყოველ უფლებას კარგავდა მაღაროზე.

უფლება მადნის საბადოებით სარგებლობისა უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, იმას ეკუთვნოდა, ვინც მას აღმოაჩენდა, და არა იმას, ვინც მანამდე სარგებლობდა მადნიანი მიწით, — თუ ეს მიწა ადრევე კერძო საკუთრებათ იყო გადაქცეული. მადნის აღმოჩენის ეს პრივილეგია ამჟამათაც ძალაშია.

ზოგიერთი, შედარებით ნაკლებ ფასიანი, მინერალების დამუშავება დიდი ხანი, ზოგჯერ მეცხრამეტე საუკუნემდისაც, პრიმიტიული წესით სწარმოებდა (ასეთია, მაგალითად, ქვანახშირისა და რკინის მადნის მაღაროები). კეთილშობილ ლითონების ამოღება კი, როგორც დავინახეთ, ადრე დადგა ტეხნიკის მაღალ საფეხურზე-

მუშაობა მაღაროებში სულ უფრო ფართო, რთული და სახიფათო ხდებოდა. სულ უფრო ძნელი ხდებოდა, რომ ცალკე მემაღაროეს, თემის ცალკე წევრს, საკუთარის პასუხისმგებლობით და მოსაზრებით გაემართა ეს საქმე.

სხვა და სხვა მაღარო თანთათან ერთმანეთზე დამოკიდებული ხდებოდა და მთლიან ერთეულათ იქცეოდა. რა რიგ არ ეცადნათ ცალკე მემაღაროებს, რომ მათი მაღაროები ანუ „ამქრები" ერთმანეთისაგან განცალკევებული დარჩენილიყო და ყოველ მუშაკს ხელუხლებელ ეყო თავისი დამოუკიდებლად მუშაობის უფლება, მაინც ს ა ქ მ ის მ ა რ თ ვ ა, ტეხნიკურ აუცილებლობის გამო, სულ უფრო საზოგადო ხდებოდა. თემის—მარკის მოსამსახურე, ს ა მ თ ო მ ა დ ნ ო ო ს ტ ა ტ ი, რომლის მოვალეობას პირველ ხანებში მხოლოდ მაღაროების თხრის ზედამხედველობა შეადგენდა, თანდათან მთელი წარმოების ხელმძღვანელად გადაიქცა; მას დაევალა მთელი საქმის გეგმაშეზომილი ორგანიზაცია.

ტეხხიკურად დაწინაურებული მაღაროები იმდენად შემოსაელიანი იყო, რომ მაღაროს პატრონები ანუ მარკის წევრები (ამ ორ ცნებას ერთი და იგივე მნიშვნელობა ქონდა სამთომადნოოლქებში) თანდათან თავისუფლდებოდენ სამთო მუშაობისაგან და, ბოლოს, ეს მუშაობა საესებით „მოჯამაგირეებს" ანუ ქარგლებს დაეკისრა. მაღაროს პატრონები თანდათან კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ა თ გადაიქცენ.

მდიდარ მაღაროებში ქარგლების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. მათ მიემატათ ის მუშებიც, რომელნიც ქურებთან მუშაობდენ, მადანს აღნობდენ ლითონად. ამ მუშების გარდა სამთომადნო ოლქებში მრავალი ხელოსანი ესახლებოდა,—სამთო იარაღების სამზადებლად, ამოღებულ ლითონის გადასამუშავებლად და, საზოგადოთ, გამრავლებულ მოსახლეობის სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. კარგ შემოსავალს პოულობდენ აქ ვაჭრებიც, რომელნიც მიწის წიაღიდან ამოღებულ განძის აღებ-მიცემას ეწეოდენ. ამრიგათ მაღაროების ახლო თანდათან ქალაქი აღმოცენდებოდა, „მთის ქალაქი"; მარკის წევრებმა, „მთის და ღუმელების" ბატონებმა, ვაჭრებთან ერთად, რომელნიც ნაწილობრივ მათივე წრიდან იყვნენ გამოსული, ამ ქალაქებში არისტოკრატიული უმცირესობა შეადგინეს: მიუხედავათ მთის თემების თავისებურობისა, ადვილათ შეგვიძლია შევატყოთ მათ ჩვეულებრივი თემის—მარკის დამახასიათებელი ნიშნები. მიწათმოქმედებამ და მესაქონლეობამ აქ, რა საკვირველია, დაჰკარგა წინანდელი მნიშვნელობა. მაღაროების შემდეგი უდიდესი მნიშვნელობა ტყეებმა მიიღო; ტყეები საწვავ მასალას იძლეოდა მად-

ნის სადნობ ღუმელებისათვის. ამის გამო, იქ სადაც მადნის მაძიებლებს დაცული ქონდათ მარკის ძველებური წყობილება, უკანასკნელი სატყეო თემის ფორმას იღებდა.

გირკემ აგვიწერა „ჰარცის დიდი მთის თემი, რომლის ცენტრში გოსლარი მდებარეობდა“ და ამ აღწერილობაში ნათლად წარმოგვიდგინა ძველებური მთის თემების წყობილება [1]).

„საქალაქო წყობილების მიმართ,—ამბობს ის,—„მთის და სადნობ ღუმელების ბატონთა“ თემი (მთისა და ტყის მცხოვრებელთა, montani-ს და silvani-ს თემი) წარმოადგენდა ვაჭრებსა და გილდიებს (ფულის მჭრელთა, წვრილ ვაჭართა და ხელოსახთა გილდიებს) შუამდგომარე კორპორაციას; როგორც ასეთი, ის მონაწილეობას იღებდა ქალაქის მართვა-გამგეობაში, დეპუტატებს გზავნიდა სტატუტებზე ხელის მოსაწერად, და საბჭო ვალდებული იყო მას დაჰკითხებოდა, როდესაც სამართალში რაიმე უნდა შეცვლილიყო; საქალაქო სამართლის ძალით კორპორაცია თავისუფალი იყო გირაოსაგან და ურთიერთ დახმარების ფართო უფლებით სარგებლობდა მოჯამაგირეთა (ქარგლების) მიმართ. ჰარცის ტყეების მიმართ ტყის მოსახლენი იმავე დროს განსაკუთრებულ მარკას—თემს შეადგენდენ, რომლის წევრნი კრებებს მართავდენ ხოლმე სატყეო მეურნეობის სამი მნიშვნელოვანი საქმის მოსაგვარებლად: მაღაროებისა და ღუმელების გარდა, ისინი ტყით სარგებლობას და ნადირობა-მეთევზეობას აწესრიგებდენ. მთელი სამთომადნო საქმის მიმართ მთისა და ტყის მთელი მოსახლეობა დამოუკიდებელ ავტონომიურ თემს შეადგენდა: მას ეკუთვნოდა უზენაესი ზედამხედველობა და უმაღლესი იურისდიქცია, რითაც თავდაპირველად საიმპერიო ფოგტი იყო აღჭურვილი, უფრო გვიან კი,—ქ. გოსლარი, სახელდობრ ქალაქის საბჭოს სპეციალური 6 კაცისაგან შემდგარი კომისია. ამიტომ მთიულნი თავის მიერ არჩეულ სამთო მოსამართლის ან სამთო ოსტატის ხელმძღვანელობით თვით მართავდენ სამთომადნო საქმეს; თავის საზოგადო კრებებზე გოსლარში, თუნდაც საბჭოს გავლენით, თავის სამთო წესდებას ადგენდენ, მთაში მშვიდობიანობას იცავდენ და სამთო სამართალს აწესებდენ; სამართალს იღებდენ, როგორც შეფფენები, სამთო ოსტატის სასამართლოში, რომელიც პირველ ინსტანციას წარმოადგენდა ვალებისა და საკუთრივ სამთო საქმეებში; მაგრამ ყოველ სხვა საქმეებშიაც montanus-ს (მთიულს) უწინარეს ყოვლისა ამ სასამართლოსათვის უნდა მიემართა.“

[1]) Otto Gierke, Das deutsche Genossenschaftsrecht, ბერლინი 1868 წ., ტ. I, §§. 443.

მაგრამ დამოუკიდებელი მარკის წყობილება დიდი ხანი ალბათ არცერთ სამთო-სამრეწველო თემში არ შენახულა თავისი წმინდა სახით. აქაც, როგორც გლეხებთან, ეს წყობილება მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის აღმოცენებით ილახებოდა.

რა საკვირველია, მდიდარ სამთო-სამრეწველო თემებს სულ სხვა და უფრო ძლიერი საშუალებები ქონდა მჩაგვრელებისაგან თავდასაცავად ვიდრე ღარიბ საგლეხო თემებს.

ჩვენ არც ერთი მაგალითი არ ვიცით იმისა, რომ საშუალ-საუკუნეების მთიულებს ვასსალური დამოკიდებულება ან ბატონ-ყმობა შეჰხებოდა. მაგრამ მაღაროების სიმდიდრე დიდ სურვილს უძრავდა ფეოდალებს, რომ მაღაროებიც დაებეგრათ ფეოდალური გადასახადებით. ფეოდალებმა გამოაცხადეს, რომ სამთომადნო საქმე ნადირობასავით მათ პრივილეგიას შეადგენს. მრავალ „სიმართლე"-ში, რეინის მარცხენა მხარეზე, სამთომადნო საქმეს პირდაპირ ნადირობასთან ათანასწორებდენ და ამბობდენ: „მოწყალე სენიორის" უფლებაა—„ინადიროს მიწაზე თუ მ ი წ ა შ ი ო". მეფემ, როგორც უდიდესმა ფეოდალმა, სხვაზე ადრე მოახერხა მაღაროების ერთი რიგის ხელში ჩაგდება; მალე ამის შემდეგ მეფემ პრეტენზია განაცხადა იმ მაღაროებზედაც, რომლებიც თავად-აზნაურობას, მონასტრებსა და ეპისკოპოზებს ჩაეგდოთ ხელში. ბოლოს და ბოლოს გერმანიის მეფეებმა (კოროლებმა) და იმპერატორმა განაცხადეს, რომ არავის არ აქვს უფლება სამთომადნო დარგში მუშაობისა, თუ მათგან არ მიიღებენ მაღაროებს ლენური სამართლის ძალით. სამთომადნო საქმე და პირველად ყოელისა ოქრო-ვერცხლისა და მარილის ამოღება, გამოცხადებულ იქნა რ ე გ ა ლ ი ა დ.

პირველ ხანებში იმპერატორებმა თავისი გაიტანეს და მათი პრეტენზიები ნაწილობრივ მაინც ცნობილ იქნა. რამოდენიმე ამისი მაგალითი ა ხ ე ნ ბ ა ხ ა ს მოყავს ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ წიგნში. ასე, მაგალითად, ფრიდრიხ I-მა მე-XII საუკუნეში მრავალი ეპისკოპოზი აიძულა მიეღოთ მისგან მაღაროები, როგორც ლენები. მაგრამ უკვე შემდეგ საუკუნეში იმპერატორის ხელის უფლება დასუსტდა, ხოლო მსხვილ სენიორთა ხელის უფლება გაძლიერდა და სათავადო (landesfurstlichen) ხელის უფლებამდე გაიზარდა. სამთო რეგალიაც თავადებზე გადავიდა, ხოლო უკანასკნელნი მალე იმდენად გაძლიერდენ, რომ შესძლეს რეგალიის გამოყენება წვრილ ფეოდალების, ცალკე ამხანაგობათა და თემების საზარალოთ.

უკვე კარლოს მე-IV' იძულებული გახდა ეცნო თავის ოქროს ბულლაში კურფიურსტების სამთო რეგალია (1356 წ.), ხოლო კარ-

ლოს მე-V-მ, მისი არჩევის გამო 1594 წ. დადებულ ხელშეკრულებაში, სიმტკიცის პირობა მისცა იმპერიის წოდებებს მათი რეგალიების შესახებ.

ამ დროისთვის მარკის თემური წყობილება უკვე დაირღვა სამთო-სამრეწველო ოლქებში, განსაკუთრებით იმ ოლქებში, სადაც უფრო დიდი მაღაროები იყო. თემებისაგან არჩეულ მოსამსახურეთა ადგილას სიუზერენთა მოხელეები გაჩნდენ; ესენი მარკის წევრებისა და მადნის მაძიებლებისაგან დამოუკიდებლად განაგებდენ სამაღარო მუშაობას, იღებდენ სამართალს და სწყვეტდენ, თუ ვის შეეძლო და ვის არ შეეძლო მაღაროს მიღება ლენურ სარგებლობაში.

ბოლო მოეღო აგრეთვე მაღაროებისა და მარკის მჭიდრო დამოკიდებულებას. მაღაროების დამუშავებას სულ უფრო ეწინააღმდეგებოდა ის დაბრკოლებანი, რომლებიც მარკის წყობილებიდან გამომდინარეობდა. სამთომადნო მრეწველობა მოითხოვდა მუშათა დიდ მასსებს, რომელიც გარედან უნდა შემოსულიყო, ვინაიდან იმ მთის ქვეყნებში, სადაც მაღაროების უმეტესი რიცხვი იყო, მოსახლეობა ნაკლები იყო. მეორეს მხრით, რაც უფრო იზრდებოდა და ძვირდებოდა მაღაროები, მით უფრო მეტი კაპიტალი სჭიროდა მრეწველობას; ამან შექმნა მისწრაფება, რომ მაღაროების მფლობელობა მისაწვდომი გამხდარიყო მსხვილ ვაჭრებისათვის ქალაქებში. მსხვილი ვაჭრები საზოგადოთ კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ თავადებთან, რომელნიც მათ არა ერთხელ დაუხსნიათ გაჭირვებიდან სესხის მიცემით; ესეც იქნებოდა ერთერთი მიზეზი იმისა, რომ სიუზერენები დიდ ძალას ხმარობდენ მარკის წევრთა მონოპოლიის მოსასპობად მაღაროების ექსპლოატაციაზე. მაღაროები გამოყოფილ იქნა მარკიდან და მთები სადაც მარკები ესახლენ, „თავისუფლად“ იქნა გამოცხადებული. სამთომადნო მოსაქმეობა თავისუფალ მთებში ყველასათვის ნებადართული გახდა, რამდენადაც სიუზერენი ამის თანახმა იქნებოდა. ამგვარად მოისპო ყოველივე დაბრკოლება უცხო ელემენტების შემოსაელისათვის; მაღაროებს, განსაკუთრებით ვერცხლისა და ოქროს, შემოესია სხვა და სხვა ჯურის ბედის მაძიებელთა გუნდები: ვაჭრები, მევახშეები, ავანტიურისტები, მუშები და მათხოვრები. ამის წყალობით შესაძლებელი გახდა დიდი მაღაროების სწრაფი განვითარება.

გაწყდა ყოველივე კავშირი მაღაროსა და მარკას შორის. საკვირველი არ არის, რომ შემდგომი დროის რომანისტებმა (რომის სამართლის მკვლევარებმა), რომელთაც საზოგადოთ არ ესმოდათ მარ-

კის წყობილებისა, ვერ გაიგეს მისგან გამომდინარე სამთო სამართალიც. მხოლოდ ეპოქის შემქნელმა მაურერის გამოკვლევამ მარკის წყობილების შესახებ შესაძლებელი გახადა სამთო სამართლის და ბევრი სხვა საზოგადოებრივი ფორმის გაგება.

XI. მსხვილი კაპიტალისტური წარმოება სამთომადნო საქმეში.

გერმანული მაღარო მე-XVI საუკუნის დამდეგში საკვირველ სურათს წარმოადგენდა რომის სამართლის ნორმებს შეჩვეულ კაცისათვის.

მაღაროს ექსპლოატატორს სრული საკუთრების უფლება კი არ ქონდა მაღაროზე, არამედ მხოლოდ სარგებლობის უფლება.

ამ უფლებას იძლეოდა თავადის მოხელე, სამთო ოსტატი. სარგებლობის უფლებით აღჭურვილი კონცესიონერი აარსებდა ამხანაგობას ოთხი პაით ანუ კუკსით (ჩეხური Kus ნაწილი) ან მეტით, როგორც უფრო გვიან იყო.

განსაზღრული რაოდენობა ამ კუკსებისა ეძლეოდა თავადს. კუკსი ვაჭრობის საგანი იყო.

რიცხვი ოთხი დიდ როლს თამაშობდა მაღაროს (იდეალურ) დანაწილებაში. როგორც კუტტენბერგის სამთო წესდებიდან სჩანს, მაღაროს დამუშავების უფლება პირველ ხანებში 4 იდეალურ წილად იყოფოდა, თუ მაღარო რამოდენიმე პირის სარგებლობაში იყო. უფრო გვიან ამ ნაწილებიდან გამოვიდა 8, 16, 32 და ბოლოს 4.32= 128 კუკსი და ეს უკანასკნელი რიცხვი საერთო წესად გადაიქცა. ეს რიცხვი პირველად მოხსენებულია 1327 წლის საბუთში: მაგრამ ფრეიბურგში მაღაროს შემოსავალი მხოლოდ 1698 წლიდან იყოფოდა 128 კუკსად. (შეადარეთ Achenbach, loc. cit., გვ. 291).

ერთი ან რამოდენიმე კუკსის პატრონს მონაწილეს (Geverke) უწოდებდენ. მაშასადამე, სამთომადნო საქმეს სააქციო საზოგადოებანი მართავდენ. მაგრამ კუკსი ნიშნავდა უფლებას არა მაღაროზე, არამედ მაღაროს წმინდა შემოსავალზე, რომელიც კუკსების მფლობელთა შორის იყოფოდა. მათ შორისვე ნაწილდებოდა მაღაროზე გასაწევი ხარჯი. თუ რაოდენიმე ხნის განმავლობაში ხარჯი შემოსავალს აღემატებოდა და მონაწილეს არ შეეძლო დამატებითი თანხის გადახდა, ის ჰკარგავდა თავის კუკსს და ამხანაგები განთავისუფლებულ წილს სხვას გადასცემდენ.

თუ მაღაროში სულ არ სწარმოებდა მუშაობა, ამხანაგობა ჰკარგავდა ყოველივე უფლებას მაღაროზე და თავადს შეეძლო ის სხვა ამხანაგობისათვის გადაეცა.

მაგრამ ამით არ ამოწურულა ყველა ის ნორმები, რომელიც თავდაყირა აყენებს რომაელ იურისტების ყველა შეხედულებებს საკუთრებაზე. მონაწილენი სრულიად უმნიშვნელო როლს ასრულებდენ მაღაროს ხელმძღვანელობაში; საქმეს ხელმღძვანელობდა თავადის, —მარკის უფლებათა უზურპატორ თავადის,—მოხელე.

საქსონიის კურფიურსტის, ჰერცოგ ავგუსტის სამთო წესდების (დაიბეჭდა 1574 წ.) მესამე მუხლში ჩამოთვლილია თავადის მიერ დანიშნული შემდეგი მოხელეები: ორი სამთო მრჩეველი, რომელნიც წელიწადში ორჯერ მაღაროებს ათვალიერებდენ ჰაუპტმანის, მთავარი სამთო ოსტატისა და მაღაროთა მმართველის თანადასწრებით. „გარდა ამისა, მთის ყოველ ქალაქში, მისი პირობებისა და მაღაროთა სიდიდის მიხედვით, ჩვენ დავნიშნეთ სამთო ოსტატი და საკმაო რიცხვი სამთომადნო საქმის მცოდნე ნაფიც პირთა, ათისთავი, გამწესრიგებელი, კონტროლიორი, სამთო მწერალი, ღუმელების გამგე, ღუმელის ოსტატი, სახლების და ღუმელების ამწერელი, მეევრცხლე და მიწის მზომელი (მარკშრეიდერი)“.

მონაწილენი ნიშნავენ შტეიგერებსა და შიხტმეისტერებს, მაგრამ ამათი დანიშვნა უნდა დაამტკიცოს ჰაუპტმანმა, მთავარმა სამთო ოსტატმა და სათანადო ადგილის სამთო ოსტატმა. 44 მუხლის თანახმად, ამ მოხელეებს უფლება აქვთ დაითხოვონ შტეიგერი ან შიხტმეისტერი შიხტმეისტერი ქირაობს და ითხოვს მუშებს, მაგრამ მხოლოდ სამთო ოსტატისა და ორი ნაფიცი პირის ნებადართვით.

აგრიკოლა, რომლის წიგნიდან[1]) არის მოყვანილი ეს ცნობები, შემდეგ დეტალებს აგვიწერს ცალკე მოხელეთა ფუნქციების შესახებ.

ყველა უნდა ემორჩილებოდეს სამთო ჰაუპტმანს, ის უმაღლესი მსაჯულია. მის შემდეგ მიდის სამთო ოსტატი. ნაფიცებთან ერთად ოთხშაბათობით ის სასამართლო საქმეებს არჩევს. დანარჩენ დღეებში ათვალიერებს მაღაროებს და აწესებს, თუ რა და რა უნდა გაკეთდეს; შაბათობით ისმენს შტეიგერების ანგარიშებს.

სამთო მწერალი ამზადებს „ბილეთებს იმათთვის, ვისაც მაღაროს აღება სურს“; მას აბარია მაღაროების შემოსავალ-გასავლის

[1]) Vom Bergvergk XII Bücher etc, ბაზელი 1557 წ., გვ. 73.

დაეთრები; ოთხჯერ წელიწადში ადგენს ანგარიშებს მონაწილეებისთვის. ათისთავი მაღაროების ფულად შემოსავალს იღებს და შტეიგერებს ურიგებს საქმისათვის საჭირო ფულს. განმწესრიგებელი წმინდა შემოსავალს ანაწილებს წარმოების მონაწილეებს შორის. თუ მოგების მაგიერ დეფიტი აღმოჩნდა, სამთო მწერალი ზარალს პლაკატზე აღნიშნავს, და ამ პლაკატს, სამთო ოსტატისა და ნაფიცთა მიერ მისი დამტკიცების შემდეგ, სათანადო მონაწილის (ან მისი წარმომადგენლის) სახლის კარზე გამოაკრავს.

შტეიგერი მაღაროებს განაგებს და ხელფასს არიგებს; ხელფასის ზომას ის ნაფიცებთან ერთად აწესებს. „თავის დროზე ისინი (ე. ი. ნაფიცნი) შტეიგერთან ერთად მაღაროს მუშებს ქირაობენ, რათა რამოდენიმე საკეხის მანძილზე გვირაბი გათხარონ მიწაში; ამისთვის ამა თუ იმ ზომის ქირას ნიშნავენ, იმის მიხედვით, თუ რამდენად მაგარი ან რბილია გასაჭრელი ქვის „ჯიში“ (გვ. 71) თუ მუშები ამ მუშაობის დროს მოულოდნელად მაგარ ჯიშს წააწყდებიან, მათი ხელფასიც სათანადოთ გადიდდება, ხოლო თუ ქვა მოსალოდნელზე უფრო ფხვიერი აღმოჩნდება, ხელფასი შემცირდება.

შიხტმეისტერი ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას უწევს მაღაროში მუშაობას.

როგორც ვხედავთ, მონაწილეებს მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, რომ საქმის კომერციულ მხარეზე ეზრუნათ; მაგრამ ესეც არ იყო რთული საქმე ვერცხლის მაღაროებში, რომლის პროდუქცია ზარაფხანებში მიდიოდა. საზოგადოდ კი მონაწილე სხვას არაფერს აკეთებდა გარდა იმისა, რომ-ფულს გადაიხდიდა, როცა საქმე ცუდათ მიდიოდა, და ფულს მიიღებდა, როცა საქმე კარგად მიდიოდა. მართალია, აგრიკოლას საჭიროთ მიაჩნდა, რომ მონაწილეებს მაღაროებთან ახლო ეცხოვრათ, რათა თვალ-ყური ედევნებიათ მუშებისათვის; შტეიგერის ზედამხედველობა საკმარისი არ არის, „პატრონის თვალი ცხენებს ასუქებს“---ო. მაგრამ აგრიკოლას ეს შენიშვნა მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ მონაწილეებს იმ დროშიაც ურჩევნოდათ შორს ყოფილიყვნენ იმ ადგილისაგან, სადაც მათთვის სიმდიდრეს ქმნიდენ; ისინი ზედმეტნი გახდენ საწარმოო პროცესისათვის, რომლის ხელმძღვანელობა სიუზერენთა ბიუროკრატიამ იკისრა.

მაგრამ რამდენადაც მონაწილის პიროვნება წარმოებისათვის ზედმეტი ხდებოდა, იმდენად მისი კაპიტალის საჭიროება იზრდებოდა. მაღაროს წარმატებით და ნაყოფიერად ექსპლოატაცია მალე ქალაქის მსხვილი კაპიტალისტების, მსხვილი ვაჭრებისა და ბანკირებს პრივილეგიათ გადაიქცა.

საშუალო საუკუნეების დამლევში და ახალი დროის დამდეგში სამთომადნო საქმის ტეხნიკა გასაოცარი სისწრაფით განვითარდა, განსაკუთრებით, გერმანიაში, რომელიც ოქროს და ვერცხლის სიმდიდრით „ევროპის პერუთ“ გადაიქცა.

მაღაროების გაღრმავებასთან ერთად სწრაფად იზრდებოდა შრომის სიძნელე და საშიშროება და აგრეთვე სამთომადნო საქმესთან დაკავშირებული ხარჯებიც. ამიტომაც, როგორც ვთქვით, მრავალი მინერალის, მაგ., ქვანახშირისა და რკინის, ამოღება დიდი ხანი ძლიერ პრიმიტიული წესით სწარმოებდა. მაგალითად, მურა—ქვანახშირის ამოღება ე. წ. მადნიან მთების ახლო XIX საუკუნის ნახევრამდე ძალიან მცირე მოგებას იძლეოდა და მსხვილ კაპიტალისტებს არ იზიდავდა. იქ მხოლოდ წვრილ-წვრილი მაღაროები ითხრებოდა, ზოგჯერ უბრალო თაღია ორმოები და ქვანახშირი ამოჰქონდა თვითონ მონაწილეს თავისი ცოლ-შვილის დახმარებით; მუშაობა ჩვეულებრივ მხოლოდ ზამთრობით სწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დამთავრების შემდეგ. პაის მქონე მონაწილეებათ უმთავრესად გლეხები იყვნენ. (შეადარეთ Braf, Studien über nordböhmische Arbeiterverhältnisse, პრაგა, გვ. 4). გრიფელებისათვის საჭირო ფილაქანის ამოღება მეინინგენის მაღლობებზე ეხლაც ძალიან პრიმიტიულია... „საქმე მდგომარეობს მრავალი ნურფის გათხრაში იმ ადგილებში, სადაც მოიპოვება საუკეთესო, ადვილად გადასამუშავებელი და ზედაპირთან რაც შეიძლება ახლო მდებარე ფილაქანი. მისწვდებიან საუკეთესო ქვის სვეტებს, მოაგროვებენ ხიეს ამოღების ადგილთან ახლო და თავს ანებებენ მუშაობას იმ შემთხვევაში, როცა რაიმე დაბრკოლებას წააწყდებიან ან შურფი წყლით აივსება, რადგან წყლის გასაყვანი მილები არა აქვთ ან არ ვარგა“- ამოღებას ეწევიან საკუთარი შრომით მცირერიცხოვან საზოგადოებებათ შეკავშირებული მუშა—მოიჯარადრენი. (E. Sax, Die Hausindustrie in Thüringen, იენა 1882 წ. ტ. I, გვ. 70). ამის მზგავსათ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ აგრეთვე სამთო მრეწველობის სხვა ძველი დარგებიც.

მარტივი იარაღით კაცი ვერ ჩასწვდება დიდ სიღრმეში. მთის ჯიშის დიდი მასსების ამოღება მეტის მეტად ძნელდება; მაღაროს სიღრმეში ჰაერის დენა წყდება და შეუძლებელი ხდება მუშაობის გაღრმავება; მიწის ქვეშა წყალი ავსებს მაღაროებს.

მაგრამ კეთილშობილი ლითონის გაუმაძღარმა წყურვილმა დასძლია ყველა ეს დაბრკოლება, თავის სამსახურში ჩააყენა მეცნიერთა და პრაქტიკოსთა კვლევა-ძიების სული, ახალი და რთული ამოცანები დაუსახა ნორჩ მეცნიერულ ტეხნიკას და ერთი გამოგონებიდან

მეორესაკენ იწვევდა ბუნების ძალთა დასამორჩილებლად, უნაკლო იარაღების შესაქმნელად და სულ უფრო დიად ნაშენობათა ასაგებათ.

ამგვარათ, უკვე მე-XVI საუკუნეში გერმანიის სამთომადნო მრეწველობა, მისი ოქრო-ვერცხლის მაღაროებით, განსაცვიფრებელ ტეხნიკურ სიმაღლეზე დადგა.

ვისაც სურს გაეცნოს ამ საგანს, მშვენიერ გზის მაჩვენებელს იპოვის გ ე ო რ გ ა გ რ ი კ ო ლ ა ხემნიცელის ზემოთ ხსენებულ წიგნში.

ჩვენს მიზნებს კი უფრო შეეფერება არც ისე დეტალებითა და სპეციალური ცნობებით მდიდარი, მაგრამ უფრო ცოცხალი და ნათელი აღწერილობა იმ ტეხნიკური მოწყობილობის, რომელსაც მოითხოვდა ვერცხლის მაღარო XIV საუკუნეში; ეს აღწერილობა ეკუთვნის პასტორ მ ა ტ ტ ე ზ ი უ ს ს იოახიმ-სტალიდან და მოყვანილია მის წიგნში [1]), რომელსაც მოკლეთ ეწოდება „სარეპტა".

მეცნიერება უკვე ჩაბმულიყო სამთომადნო საქმის სამსახურში. თეორიულად მომზადებულ ინჟენრებს უნდა მოეწყოთ მაღაროები და ხელმძღვანელობა გაეწიათ სამაღაროე მუშაობისათვის. ასეთი შრომა შორს აღემატებოდა უბრალო გაუნათლებელ სამთომადნო მუშების ძალებს.

მაგრამ მუშებმაც იცოდენ კომპასის ხმარება. „ეს საუცხოო ინსტრუმენტი მადლობისა და ქების ღირსია, რადგან გზას უკვლეევს არა მარტო მოგზაურებს ხმელეთზე და მეზღვაურებს გაშლილ ზღვაში, არამედ თქვენც, მთამადნის მუშებს; როდესაც მიწის ქვეშ იმყოფებით, ის გიჩვენებსთ თუ ჰორიზონტის რომელ მხარეზე უნდა გათხაროთ გვირაბი და საიდან ამოხვიდეთ მიწის ზედაპირზე". მთამადნის მუშას რომ კომპასი სჭიროდა გზის გასაკვლევად, ეს გვიჩვენებს იმას, თუ რაზომ რთული და მრავალშტოიანი ნაშენობა იყო მაშინდელი მაღარო. ცხადია, ინჟენრებიც ხმარობდენ კომპასს ტრიგონომეტრიული ანგარიშისათვის ცალკე მაღაროების საზღვრების გამოსარკვევად, სამაღაროე ვენტელიატორების მოსაწყობად და სხვა. „მაგრამ განსაკუთრებულ სამსახურს სწევს იგი კეთილშობილ მარკშრეიდერულ ხელოვნებაში (გამიჯვნის საქმეში), ურომლისოდ შეუძლებელი იქნებოდა მუშაობა მაღაროებში, თუ არ სურთ ზარალი მიაყენონ მონაწილეებს (მაღაროს პატრონებს) ან ძალიან მალე წააწყდენ სხვა მაღაროების გვირაბებს, თუ სურთ წყალი გა-

[1]) Iohann Matthesius, Bergnostilla oder Sarepta... Sampt Ioachimsthalischen kurtzen Chroniken biss auffs 1578 Iahr, ნიურენბერგი 1578. წიგნი წარმოადგენს 1553—1563 წ.წ. წარმოთქმულ ქადაგებათა კრებულს.

მოიყვანონ, ჰაერი მიაწოდონ და სამართლიანობა სცნონ და დაიცვან ყველას მიმართ... ერისკაცნი უნდა სწავლობდენ ევკლიდეს გეომეტრიის პრინციპებს და, გარდა ძველებურ ხელსაწყოს საზომებისა და სამიჯნაო ლენტების ხმარებისა, შეისწავლონ მრავალი ახალი ხელსაწყოს და საზომის ხმარება. მაგრამ ვინც კუთხვარის ხმარება და პროპორციების გამოანგარიშება იცის, ის ნამდვილი ოსტატია თავის საქმეში". (გვ. 143).

ჩვენ ვხედავთ, თუ აქ როგორ განვითარებულა მსხვილი კაპიტალისტური წარმოების დამახასიათებელი თვისება. მუშები ორ ჯგუფად იყოფიან: ერთია გაუნათლებელთა „მუშა ხელი", რომლისაგან მხოლოდ რაც შეიძლება მეტ ფიზიკურ ძალას მოითხოვენ, მეორეა— განათლებულთა გონებრივი შრომა, რომელთა ინტელექტუალურ ნიჭს აგრეთვე უდიდეს ამოცანებს უსახავენ.

მე-XVI საუკუნემ ჯერ არ იცოდა „ინტელიგენციის სიჭარბე"; თუ მას ადგილი ქონდა, ყოველ შემთხვევაში არა ტეხნიკის, არამედ უფრო ღვთისმეტყველების დარგში. იმ დროს ინჟენერს ყველგან ვერ შეხვდებოდით, როგორც დღეს, და ამიტომ მათ დიდათ აფასებდენ. მ ა ტ ტ ე ზ ი უ ს ი ამბობდა: უნდა „ვადიდოთ ხელოვანთა შრომა და გარჯილობა, პატივი ვცეთ ამ სასწაულთ მომქმედს და ჭეშმარიტების შემცნობ ადამიანებს უფრო მეტად, ვიდრე მთამადნის მუშებს, რომელთაც მხოლოდ ძველი მაღაროს ჩიჩქნა თუ შეუძლიათ". ზოგიერთი თავადი და სენიორი ღირსეულად აფასებს ამ დახელოვნებულ ოსტატებს, რომელთათვის თვით ღმერთსა და ბუნებას მიუნიჭებია უპირატესობა სხვათა წინაშე. იმპერატორი მაქსიმილიანი ძალიან კარგათ ეპყრობოდა თავის ხელოვნებს: როდესაც ერთმა მათგანმა, რომელმაც ინსბრუკის შენობები ააგო და საძირკველი ჩაუყარა წყლის ნაშენობას კუტტენბერგში, საქაჩავის მაგვარ იარაღით დასწია და მთლათ ამოაშრო დიდი ტბა,—როდესაც ამ ხელოვანმა ხელმწიფეს შესჩივლა, რომ ზოგიერთი პირნი მას ცუდათ ეპყრობიან, ღვთისნიერმა ხელმწიფემ წარმოსთვა: „ამ ხალხმა არ იცის თუ როგორი მოპყრობა მართებს ხელოვანს"-აო.

„მაგრამ, მადლობა უფალს, ჩვენს დროში ეს და მრავალი სხვა თავისუფალი ხელოვნება კვლავ სწავლის საგანი გახდა სასწავლებლებში სახარებასთან ერთად და მრავალმა კეთილმა ადამიანმა უწყის, თუ რას ემსახურება ეს ხელოვნებები და როგორ უნდა გამოიყენოს მიწის საზომი სამკუთხედი და ოთხკუთხედები; ამიტომაც ამგვარ გონებამახვილ ადამიანებს, რომელთათვის ბუნებას მათემათიკისა და ხელოვნებისადმი მიმზიდველობა და სიყვარული მიუნიჭებია, მაღაროე-

ბის პატრონებმა და მთის ქალაქებმა უნდა დაეხმარონ და ხელი გა-უმართონ, რათა მათ მარკშრეიდერულ საქმის ჭეშმარიტი საფუძვლე-ბი შეისწავლონ და სასარგებლო და მტკიცე ინსტრუმენტები ამზა-დონ, რომლის საშუალებით მცირე ხარჯით ყოველ დღე შეიძლებო-დეს წყლის ამოყვანა და მადნის ამოღება მაღაროებიდან".

ძაშასადამე, სამთომადნო საქმეში მეცნიერება სასარგებლო გამხდარა წარმოებისათვის უკვე XVI საუკუნის დამდეგში; ტრადი-ციას და მამა-პაპურ ჩვეულებას, ჯერ ესოდენ მნიშვნელოვანს ხელოს-ნობაში, ბოლო მოეღო სამთომადნო დარგში; ამის ადგილი რევო-ლიუციონურმა ფაქტორმა დაიჭირა: მეთოდიურმა, მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ. მისი ამოცანაა წარმოების წესის შეუჩერებელი ცვლა-განვითარება, ერთი მეორეზე უმჯობესი იარაღების გამოგონება, შრო-მისა და ხარჯის გამოზოგვა. ყოველივე ეს თანამედროვე მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის დამახასიათებელი ნიშნებია.

რამდენად ფართოთ ხმარობდენ სამთომადნო მრეწველობაში მანქანებს, მატეზიუსის შემდეგი აღწერილობიდან სჩანს:

„სამთომადნო მუშის შრომა ცხენის სამუშაოა; მუშების ერთი წყება წყალს აშრობს და ბადანს ზიდავს მძიმე ამოძრავებით; მუშე-ბი სისხლს ანთხევენ პირიდან და ზოგჯერ კისერსაც იტეხავენ ამ ჭა-პანწყვეტაში. მთელი დდე დედის შობილა დგანან და წყალს ზიდა-ვენ, სანამ დაწესებული დრო არ გაივლის. მაგრამ დიდია ღვთის მოწყალება და სიუხვე: სასარგებლო იარაღებით და ხელოვნე-ბით შეამსუბუქა მან ის ოფლის ღერა, რაც ცოდვის გულისთვის აქვს მისჯილი ადამიანთა მოდგმას; კაცის მაგიერ ეხლა ცხენს აბა-მენ და საუცხოო ხელოვნებით წყალს, ქარს და ცეცხლს ამოქმე-დებენ მადნისა და წყლის ამოსაზიდავათ; ამით ხარჯი მცირდება და ფარული განძი უფრო სწრაფად იპოვება და ამოიღება.

„ამ სიკეთისთვის,—რომ საბატონო ბეგარას და სამუშაოს პი-რუტყვი და სტიქიონი ასრულებს,—ღმერთს უნდა მიჰმადლოს ქვეყა-ნამ დიდებით. მთელი დღე მძიმე ოწინართან იდგე და ერთი ფენი-გის გულისთვის აბრუნო იგი, თან გეშინოდეს ოწინარმა არ გადა-მისროლოს ან ტარი არ მომხვდესო—ეს ხომ ტანჯვით ნაშოვარი ხელფასია. რადგან ორმა მუშამ ერთ წყებათ მრავალი კასრა წყალი უნდა ამოზიდოს და რადგან კასრა თითქმის ერთ ვედრა წყალს იტევს, დიდი ძალის პატრონი უნდა იყო და ძარღვები დაიწყვიტო ფეხებში და მკლავებში.

მაგრამ აი ღმერთმა ხელოვანნი გამოგვიგზავნა და მათ გამო-გვიგონეს ჭეშმარიტი გაუმჯობესება და დახმარება,—სამოძრაო ბორ-

ბლები, საბერველი ოწინარებით, შტანგები ოწინარის თვლებისათვის, —ყოველივე ეს იმისთვის, რომ საქმე უფრო მარჯვედ და იოლად კეთდებოდეს. აწყობენ აგრეთვე რგვალ შკივებს და თვლებს თავისი თითისტარებით, კბილოვანი და გადამცემი ბორბლებით და კალაპოტებით, რათა წყლისა და მადნის ამოზიდვა შეიძლებოდეს არა მარტო ხელებით და გვერდებით, არამედ ფეხებით და მთელი ტანითაც. ესეც მადლობის ღირსი გამოგონებაა. ამმოძრავებიც მშვენიერი გამოგონებაა, რადგან ცხენის ძალით ამოაქვთ ზევით მადანი და წყალი და ერთ წყებათ ეხლა იმაზე მეტის ამოტანა შეიძლება, რასაც ოცი ოწინარი სჭირდებოდა. აგრეთვე ცხენის ოწინარი თავისი საყელურით. საქმე უფრო იოლად კეთდება, როდესაც მაღაროში დგარებსა და ღერძებს აწყობენ ჰაერის, მადნის და ვენტილიაციის მისაღებათ. მთამადნის მუშებს თან უნდა ქონდესთ შლანგები და ტყავის ტომრები, რომლითაც ზამთარში მადანს ზიდავენ მაღალ ალპებიდან სადნობ ღუმელებისაკენ; უნდა ჰყავდეთ აგრეთვე ძაღლები, რომლებსაც ცარიელი ტომრები ისევ მთაზე ააქვთ.

უბრალო და კარგათ მოწყობილი წოლხვრი (შტოლნა), არხებით და სანაგვე მოწყობილობით მორთული, უეჭველად სამთო ხელოვნების საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს, რადგან აქ ჰაერს სწმენდენ, წყალს აშრობენ და ადვილად ამოაქვთ მადანი პატარა ურმებით; ამიტომ სამთომადნო მუშებმა მადლობა უნდა უძღვნან უფალს და ჩქარა და სრულად იხადონ გადასახადი, მეოთხე და მეცხრე ფენიგი. ხოლო სადაც წოლხვრის (შტოლნას) მოწყობა არ ხერხდება, იქ ჰიდრავლიულ ხელოვნებას აქვს თავისი ფასი: წყალს ბორბლის ირგვლივ დამაგრებულ ჩამჩებით ეზიდებიან, ან ბორბლით, რომელსაც შიგნით მდგომი მუშები ამოძრავებენ, ან კიდევ წყლისა და ქარის საშუალებით ამოაქვთ ზევით წყალი. როდესაც წყალი მაღაროს ძირზე მიმდინარეობს, განსაკუთრებული მოწყობილობით შეიძლება მისი გარეთ გამოყვანა, როგორც ამ ჰიდრავლიური ხელოვნებით მოხერხდა მრავალ ადგილას. მაგრამ ვინაიდან მიწისქვეშა წყალი ზევით უნდა იქნეს გამოყვანილი, ამისთვის არხების გათხრაა საჭირო, როგორც ეს პიტიუსის სამთო საქმეშია წარმოდგენილი, რომელი მრეწველი ტანჯვით მოკვდა წყლის ბორბლის კამერაში. აქ ოსტატებმა მრავალი შესანიშნავი და საუცხოო იარაღი გამოიგონეს, განსაკუთრებით მილებიანი შტანგები და საქაჩავები, რომლის საშუა-

ლებით მოვარდნილი წყალი ადამიანის, ქარისა და წყლის ძალით მიწის ზედაპირზე გამოყავთ. [1])

„თქვენ მთა-მადნის მუშებმა ერთხმათ უნდა ადიდოთ ის კეთილი ადამიანი, რომელმაც ქარის ძალით მოაწყო ბარში მადნის და წყლის ამოღება,—როგორც ამჟამათ ცეცხლის საშუალებით უნდა იზიდებოდეს წყალი... [2])

„დასასრულ, ვინაიდან მე აქ სწორეთ ხელოვნურ გამოგონებებზე ელაპარაკობ, მე, მთის მქადაგებელმა უფალს უნდა მივმადლო იმ საუცხოო ხელოვნებისათვის, რომელიც ვენტილიატორებით, საჰაერო მილებით (აგრიკოლას შრომაში—Lotten, ლათინურად canalis longus—გრძელი მილები) და საბერველებით სუფთა და საღ ჰაერს აწვდის მაღაროში ნაცვლად ცუდი ჰაერისა. არსებობს ასეთი მოწყობილობაც: ფიურსტის ერთ მაღაროში მილი გააკეთეს ფიცრებიდან, შეღებეს და გამოგლისეს თიხით თუ შლამით, რათა ამ მილით მთის გულში წმინდა ჰაერი შეეყვანათ და ცუდი ჰაერი გამოეყვანათ სანაგვე ადგილიდან; იქ კი სადაც საბერველებია მოწყობილი, საღი ჰაერი სწრაფად იჭერს ცუდი ჰაერისაგან განთავისუფლებულ ადგილს, რადგან ბუნება ვერ ითმენს, რომ ადგილი ცარიელი დარჩეს, უჰაეროთ.

„ამბობენ, კუტტენბერგში ცუდი ჰაერი საკვამლე მილების დაგვარი დიდი მილებით გამოყავთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ცეცხლს აჩაღებენ [3]) და, წინააღმდეგ, ხუთასი ლახტერის [4]) მანძილზე აწვდიან მაღაროს წმინდა ჰაერს; აგრეთვე ჩვენთანაც, იოახიმსტალში, ამას წინათ ისეთი მოწყობილობა გამართეს, რომლის საშუალებით წმინდა ჰაერს მილებით და საბერველით მრავალ ასეულ ლახტერის მანძილზე დენიან იმ ადგილისაკენ, სადაც დიდი ხარჯით ორ წოლხვრს (შტოლნა) სთხრიდენ ერთი მეორეს გვერდით.

---

[1]) თავის შრომის მეექვსე წიგნში აგრიკოლას აწერილი აქვს სამნაირი მოწყობილობა, რომლებშიაც წყალი ვედროებით ამოაქვთ, შვიდნაირი საჭაჩავი და ექვსნაირი „ნაშენობა, რომელსაც წყალი შტანგებით ამოაქვს“ და სხვა,—მაშასადამე 16 ნაირი წყლის ამოსაშრობი მანქანა ყოფილა.

[2]) შეიძლება აქ შემდეგ მივიწყებული ორთქლის მანქანა უნდა იგულისხმებოდეს?

[3]) ცეცხლს ანთებდენ ქვის ჯიშის წინ, რის გამო იგი იფხვნებოდა და იშლებოდა. რა თქმა უნდა, ამისთვის კარგი ვენტილიაცია იყო საჭირო.

[4]) ერთი ლახტერი თითქმის ორ მეტრს უდრის. მაშასადამე, უკვე იმ დროს ერთ კილომეტრზე უფრო ღრმათ სთხრიდენ მიწას.

აქ მატტეზიუსი საკუთრივ სამთომადნო საქმეზე ლაპარაკობს. რაც შეეხება მადნის გადამუშავებას, აგრიკოლას წიგნი გვაძლევს საშუალებას წარმოვიდგინოთ, თუ რა ვეებერთელა ქარხნეულობა არსებობდა სამთომადნო საქმის ამ დარგისთვის: წისქვილები მადნის დასაფხვნელად, სადნობი ღუმელები, აპპარატები ლითონის გასაწილავად და „მაგარ სითხეების" გამოსამუშავებლად (მარილი, მინა და სხვ.). მაგრამ ეს ცნობებიც საკმარისად მოწმობს, რომ სამთომადნო საქმე, ყოველ შემთხვევაში კეთილშობილ ლითონების ამოღება, მე-XVI საუკუნეში დიდი ხანია ხელოსნობის ფარგლებს გასცილებია. ის უკვე იმ უბრალო ოპერაციებისაგან როდი შესდგებოდა, რომელიც მუშას შეგირდობის ხანაში შეეძლო შეესწავლა ცალ-ცალკე და შემდეგ მთელი საქმეც გაეგო არსებითად. უბრალო მუშას აღარ შეეძლო სამთომადნო საქმის შესწავლა. მაღარო ვეებერთელა და რთულ ორგანიზმათ გადაიქცა, რომელიც ფართო, ხერხიანს და ძვირფას შენობებსა და მოწყობილობას მოითხოვდა. მისი მართვა და მოვლა მხოლოდ მეცნიერულად მომზადებულ ტეხნიკოსს, „ხელოვანს", შეეძლო და ადამიანის კუნთებზე გაცილებით უფრო დიდ ძალებს უნდა აემოძრავებია ბიგი. კაპიტალი უნდა ქონოდა იმას, ვინც ამ ორგანიზმს დაეპატრონებოდა და აამუშავებდა.

ამგვარ პირობებში პროლეტარს არ შეეძლო ქონოდა იმედი, რომ ის საკუთარი ხარჯით თუნდაც ერთი მაღაროს მოწყობას მოახერხებდა. განცალკევებულ წვრილ კაპიტალისტებსაც არ შეეძლოთ მაღაროს სათანადო მორთულობისათვის საჭირო ხარჯის გაწევა.

რა საკვირველია, მათ შეეძლოთ ერთ საზოგადოებაში, სამადნე ამხანაგობაში გაერთიანებულიყვნენ. ასეც შვებოდენ ხშირათ. მაგრამ პაები (კუკსები) ყოველთვის როდი იყო მდაბიო ხალხისთვის მისაწვდომი. იოახიმსტალის მრავალ მაღაროში თითო კუკსი ათას იოხიმსტალერად იყიდებოდა, რაიც იმ დროისთვის დიდ თანხას შეადგენდა. (Matthesius, გვ. 18). თანაც მუშაობა ყოველთვის კარგ შედეგს კი არ იძლეოდა.

გეოლოგია იმ დროს ჯერ სულ ნორჩი მეცნიერება იყო და სამთო საქმე ამის გამო აზარტიან თამაშის საგნად იქცეოდა გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე დღეს. ამოღებულ მადნის რაოდენობა არაჩვეულებრივად ცვალებადი იყო. ზოგჯერ თავს ანებებდენ არა თუ ერთ მაღაროს, არამედ მთელს საბადოს, შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდებოდენ და წარმატებით დაამუშავებდენ.

მე-X საუკუნეში ჰარცის ვერცხლის საბადოების დამუშავება დაიწყო (გოსლარში). პირველი ასი წლის განმავლობაში ვერცხლის

ამოღება არაჩვეულებრივად დიდი იყო. შემდეგ ამ ადგილის შესახებ არაფერი ისმის, სანამ არ გავიგეთ, რომ 1205 წ. განახლდა იქ დიდი ხნით შეჩერებული მუშაობა.

მე-XII საუკუნეში საქსონიის ვერცხლის საბადოს დამუშავება დაიწყო და XIII საუკუნეში-- ბოჰემიისა.

1295 წელს ვენცელი II ბოჰემიელი თავის სამთო წესდებაში აცხადებდა, რომ ოქროსა და ვერცხლის საბადოები ყველგან გამოიფიტა და მხოლოდ ბოჰემიას აბადია ბევრი ოქრო და ვერცხლიო. მე-XIV საუკუნეში გოსლარის მაღაროებში კვლავ შეწყდა მუშაობა და მხოლოდ 1419 წ. განახლდა, რის შემდეგ მთელ საუკუხეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეწყვეტილა.

უფრო მყარი და მუდმივი იყო მუშაობა მეისენის მაღაროებში. მაგრამ როგორ მერყეობდა ამოღებულ მადნის რაოდენობა!

მარიენბერგის შახტებიდან ამოღებულ მადნის ღირებულება 1520 წ. 258 გულდენს შეადგენდა, 1521 წ.—772 გულდ., 1522 წ.—1.806 გულდ., 1523 წ.—1.161 გულდ., 1529 წ.—2.561 გულდ., 1530 წ.—6.572 გულდ.; შემდეგ ამოღებამ სწრაფად იმატა და 1540 წ. უმაღლეს დონეს მიაღწია--270.384 გულდ., ხოლო 1552 წ. ისევ დაეცა 22.749 გულდენამდე.

შნეებერგის მომქმედ მაღაროებში შემდეგი თანხები იყო განაწილებული როგორც მოგება (შემოსავლის ნაშთი ხარჯების გამოკლებით):

წელიწადი	წმინდა ვერცხლი (მარკები)	წელიწადი	წმინდა ვერცხლი (მარკები)	წელიწადი	წმინდა ვერცხლი (მარკები)
1511	6.192	1516	21.156	1521	774
1512	59.340	1517	25.324	1222	6.321
1513	17.673	1518	9.675	1523	1.935
1514	8.127	1519	6.779	1524	253
1515	14.214	1520	10.787	1525	2.515

ამგვარად მომქმედ მაღაროების შემოსავალი 59.000 მარკიდან 250 მარკამდე მერყეობდა. რამდენი ფული დაიხარჯა დეფიციტიან მაღაროებზე, ჩვენ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში მრავალ მაღაროში წელიწადები თავდებოდა დიდი დეფიციტით, ასე რომ საჭირო იყო ან დეფიციტის დაფარვა დიდი თანხებით ან ხელის აღება საქ-

მის წარმოებაზე (ან მასში მონაწილეობაზე) და მაშასადამე მაღაროებში დახარჯულ კაპიტალის დაკარგვა.

მსხვილი კაპიტალისტი, რომელიც შემოსავლის ამგვარ ცვალებადობას გაუძლებდა, საბოლოოთ, მთელ რიგ წლების შედეგში, მაინც დიდ მოგებას ნახავდა. მაგრამ წვრილ კაპიტალისტს ხშირად სრული გაკოტრება ემუქრებოდა, და თუ ბედი გაუღიმებდა და დიდ მოგებას მიიღებდა, მსხვილი კაპიტალისტები გამოიყენებდენ თავის გავლენას თავადებზე და მათ მოხელეებზე, და ათას გვარ საშუალებას გამონახავდენ იმისთვის, რომ წვრილი კაპიტალისტის ხელიდან შემოსავლიანი მაღაროები გამოეცალათ.

ა გ რ ი კ ო ლ ა გვიამბობს, რომ ბევრნი უზნეო საქმეთ სთელიდენ სამთომადნო მრეწველობას. ამის მიზეზი ის ხერხები იყო, რომელსაც სამთომადნო მრეწველობაში ხმარობდენ: „როდესაც გაჩდება იმედი, რომ ამა თუ იმ ადგილას ლითონი მოიპოება, მოვა თავადი ან რომელიმე უფროსი და წაართმევს მრეწველს საკუთრების უფლებას მის მაღაროზე: ან მოდის რომელიმე ანგარებიანი მეზობელი და გააბამს ძველ მრეწველთან სასამართლო დავას იმ მიზნით, რომ მაღაროს ნაწილი მაინც წაღლიტოს. ან კიდევ სამთო ჰაუპტმანი დიდ დამატებით თანხას შეაწერს, რათა შემოსავლიანი მაღაროს პატრონმა უარი განაცხადოს თავის წილზე, და თუ უკანასკნელი ფულს არ გადაიხდის ჰაუპტმანი მაღაროს ართმევს მას ყოველივე სამართლის წინააღმდეგ. ისეც ხდება, რომ შტეიგერი მიატოვებს მადნის ძარღვის დამუშავებას და შემდეგ, როდესაც მრეწველებიც თავს დაანებებენ აქ მუშაობას, რადგან საბადო გამოფიტული ეგონებათ, შტეიგერი კვლავ ბრუნდება და ძალით ისაკუთრებს მაღაროს. ამას გარდა, ხალხი, რომელიც სამთო საქმეს ეწევა (ჩვენ არ ვლაპარაკობთ დაქირავებულ მუშებზე', ვერაგი, მატყუარა და გარყვნილი ვაებატონებია... სამთომადნო მოსაქმე ან აქებს და ადიდებს მადნის ძარღვს, რომ ხალხი მოატყუოს და ორჯერ უფრო ძვირად გაასაღოს კუკსი, ან, პირიქით, ყოვლად უვარგისად წარმოადგენს, რომ უფრო იაფად შეისყიდოს კუკსი“ (1 წიგნი).

საკვირველი არ არის, რომ სამთომადნო საქმეს მაშინ ისეთივე ცუდი სახელი ქონდა, როგორც ჩვენს დროში ბირჟას, მაგრამ მიუხედავათ ამისა, თანამედროვე ბირჟასავით იზიდავდა კაპიტალისტებს. როგორც ჩვენს დროში ბირჟა, ისე იმ დროს სამთომადნო მრეწველობა წარმოადგენდა სწრაფი გამდიდრების მოსურნე წვრილ კაპიტალისტთა ექსპლოატაციის საშუალებას. რა თქმა უნდა, არავინ არ გაბედავდა ზემოთ აღნიშნულის მზგავსად მოეტყუებინა ისეთი დიდი

კაპიტალისტები, როგორც იყვნენ, მაგალითად, ფუგგერები, შვაცის ოქროს საბადოების მოიჯარადრენი, [1]) ან ცვიკაუელი ვაჭრები გვარად რემერები, რომელთაც შნეებერგის ვერცხლის მაღაროებში უდიდესი წილი ედოთ და ამ მაღაროებით უზომოთ გამდიდრდენ.

„ვისაც მაღაროს დამუშავება სურს,—ამბობს მატტეზიუსი თავისი მეექვსე ქადაგებაში,—იმას ან ფული უნდა ქონდეს ან შრომისთვის გამზადებული ხელები, ვინაიდან მხოლოდ ძალიან მდიდარს ან სრულიად ღარიბს შეუძლიათ ხელი მოჰკიდოს ამ საქმეს, შურფები გაიყვანოს და სხვა“.

სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მხოლოდ მსხვილი კაპიტალისტებისა და პროლეტარებისათვის არსებობდა ნიადაგი სამთომადნო მრეწველობაში.

X. სამთომადნო მუშები.

იმასთან ერთად, რაც მარკის წინანდელი წევრები თანდათან კაპიტალისტ-მრეწველებად იქცეოდენ, მათი „მოჯამაგირენი“ ანუ ქარგლები დაქირავებულ მუშების, პროლეტარების მდგომარეობაში ვარდებოდენ.

ისინი ეხლა თავის მეურნეებთან ერთად აღარ მუშაობდენ, არ ცხოვრობდენ მათს ოჯახში, როგორც მათი ჰირისა და ლხინის მოზიარენი. ბოლო მოეღო ძველს პატრიარქალურ დამოკიდებულებას. მაღაროს მუშები ხშირად არც იცნობდენ მათ დამქირავებელ კაპიტალისტს, რომლისთვისაც ისინი მუშაობდენ,—რომელიმე მდიდარს, ქალაქში მცხოვრებ ვაჭარს; უკანასკნელსაც ხშირად წარმოდგენა არ ქონდა სამთომადნო მუშაობის შესახებ.

იქ, სადაც სამთო-სამრეწველო ოლქი გამოყოფილ იქნა მარკის შემადგენლობიდან და „თავისუფლად“ იქნა გამოცხადებული, იქ ყველას, ღარიბ კაცსაც კი, თეორიულად საშუალება მიეცა წარმოების მონაწილეთ გამხდარიყო. მაგრამ წინა თავში ნათქვამი ცხადჰყოფს, რომ მცირე თანხიან მოქალაქეებისთვისაც კი ეს საქმე ძალიან ძნელი იყო, ხოლო უთანხოსთვის ხომ ფაქტიურად შეუძლებელიც. ხელსაყრელ პირობებში მხოლოდ შტეიგერს თუ შეეძლო ამ სიმაღლეზე ახოხება.

---

[1]) „აუგსბურგელი ფუგგერები მარტო შვაცის მაღაროებიდან ტიროლში,—ეს მაღაროები მათ გირაოთ მიიღეს,—ყოველწლიურად 200.000 გულდენ შემოსავალს იღებდენ; აუგსბურგელემა გეხშტეტტერებმა 1511—1517 წლებში ამავე მაღაროებიდან ამოიღეს არა ნაკლებ 149.770 მარკა ვერცხლისა და 52.915 ცენტნერი ტპილენძისა“ (Janssen, Geschichte des deutschen Volkes ტ. II, გვ. 390).

თანამედროვე პირობების მიხედვით, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ სამთომადნო მუშათა მდგომარეობა XVI საუკუნის დასაწყისში მაინცა და მაინც ცუდი იყო. აგრიკოლას მოწმობით (მე-4 წიგნი) თითო წყების მუშაობის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო, დღეში 7 საათს შეადგენდა. პირველი წყება 4 საათზე იწყებდა მუშაობას და 11 საათამდე მუშაობდა, მეორე—12-დან 7 საათამდე. ღამის მუშაობა (საღამოს 8 საათიდან დილის 3 საათამდე) ნებადართული იყო მხოლოდ აუცილებელ საჭიროების შემთხვევაში. მუშაობა ორ წყებაში ზედიზედ აკრძალული იყო; ამბობდენ: მუშას ძილი მოერევა მუშაობის დროს, „რადგან მას ჰქანცავს დიდი და მძიმე შრომა"-ო.

არ მუშაობდენ არა თუ კვირა-დღეებსა და დღესასწაულებში, არამედ შაბათობითაც. შაბათი მუშას თავისუფალი უნდა ქონოდა, რათა მთელი კვირისთვის წინდაწინ მოემარაგებია საჭირო სანოვაგე. მაშასადამე სამუშაო დრო 35 საათს შეადგენდა კვირაში; თუ კვირაში დღესასწაული გამოერეოდა,—მაშინ კი დღესასწაული მრავალი იყო,—სამუშაო დრო აბაზე ნაკლებიც იქნებოდა. ზოგჯერ ნაკლები დროც წესდებოდა მუშაობისათვის, მაგალითად, ექვსი საათი თითო წყებისათვის კუტტენბერგში და ჰარცზე [1]).

მასალა, რომელიც მოგვეპოება, არ შეიცავს საკმაოთ დაწვრილებით ცნობებს სამთომადნო მუშათა ხელფასის შესახებ მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მუშათა მდგომარეობა მე-XVI საუკუნის დამდეგში, რამდენადაც საქმე ნივთიერ კეთილდღეობას შეეხება, საზოგადოთ უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე ამჟამათ; თუ მივიღებთ მხედველობაში აგრეთვე იმას, რომ სამთომადნო მუშებს შედარებით მაღალი მდგომარეობა ეჭირათ იმ დროს მშრომელ მოსახლეობაში,—ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი შედარებით კარგ ხელფასს იღებდენ.

მაგრამ სამთომადნო მუშათა, ისე როგორც საზოგადოთ ყველა დაქირავებულ მუშათა, მდგომარეობაში უკვე თავს იჩენდა დაქვეითების ტენდენცია. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ მე-XVI საუკუნის სამთომადნო მრეწველობაში გონებრივი და ფიზიკური შრომის განაწილება წარმოიშვა. ამ გარემოებამ შეარყია იმ პირთა მდგომარეობა და შემოსავალი, ვისაც მარტო ფიზიკური შრომა ხედა წილად. მათი შენაცვლება ადვილი იყო, საქმეს ისინი არ იცნობდენ, მათი სამუშაო ძალის წარმოებისთვის საჭირო ხარჯი შედარებით უმნიშვნელო

[1]) შეადარეთ ახენბახის საგულისხმო წერილი: Die deutschen Bergleute der Vergangenheit, „Zeitschift fur Begrecht"-ში, ბონნი, XII, Jahrgang, 1871, გვ. 110.

იყო. შრომის განაწილება სულ უფრო ღრმავდებოდა და აქვეითებდა სამთომადნო მუშათა მდგომარეობას.

კარგმა სამთომადნო მუშამ ბევრი რამ უნდა იცოდეს, მაგრამ ეხლა იშვიათია ისეთი მუშა, ვისაც მთელი ხელოვნება ესმისო,— სჩივის აგრიკოლა (1 წიგნი):

„ძალიან ცოტანი არიან, ვინც კარგად იცის სამთომადნო საქმე; იმიტომ რომ ჩვეულებრივ ერთი გამოცდილია შურფების გაყვანაში, მეორე—მადნის გარეცხვაში, მესამე—მხოლოდ დნობის ხელოვნებაში, მეოთხე—მარკშრეიდერობას მისდევს, მეხუთე—კარგ შენობებს აგებს და არიან ისეთებიც, ვისაც მხოლოდ სამთო სამართალი აქვს კარგათ შესწავლილი“-ო.

სხვადასხვა მანქანებთან არსებობს მთელი რიგი ოპერაციებისა, რომლის შესრულება ყოველ ღონიერ კაცს შეუძლია მცირე ხნის ვარჯიშობის შემდეგ. მადნის დამუშავებაში, განსაკუთრებით მადნის შერჩევისა და გარეცხისათვის, უკვე იმ დროს სარგებლობდენ დედაკაცთა და ბავშთა შრომით, როგორც იგივე აგრიკოლა გვიამბობს თავის მერვე წიგნში.

სულ მატულობდა სამთომადნო საქმეში ისეთი სამუშევრების რიცხვი, რომლებსაც ადვილად შეისწავლიდა და შეასრულებდა ყოველი მოუმზადებელი ჯანსაღი კაცი.

სამთომადნო მაღაროების გამოყოფამ საერთო მარკიდან და ტეხნიკურმა განვითარებამ იურიდიულად და ფაქტიურად ყველასათვის მისაწვდომი გახადა მუშაობა სამთომადნო მრეწველობაში.

ამიერიდან სამთო-სამრეწველო ოლქები აღარ განიცდიდენ მუშა-ხელის ნაკლებობას. აქეთ მოილტვოდენ დაქცეული და გაყვლეფილი გლეხები და ქალაქის პროლეტარები, რომელნიც არც მაწანწალები იყვნენ და არც ლანდკნეხტები და ისევე თავგამოდებით მიისწრაფოდენ საქსონიის, ბოჰემიის, ზალცბურგისა და ტიროლის ოქრო-ვერცხლის საბადოებისაკენ, როგორც 1849 წლის შემდეგ გაკოტრებულნი და ექსპროპრიაცია ქმნილნი კალიფორნიის ოქროს ქვიშრობისაკენ მიეშურებოდენ. სამთომადნო მუშათა უმრავლესობას არაფერი გაეგება სამთო საქმისაო, ამბობს აგრიკოლა. „იმიტომ რომ მაღაროებისაკენ, ჩვეულებრივად, ის ხალხი მიილტვის, რომელიც ძალზე დავალიანებულა და ვალის გადახდა არ შეუძლია; ან გაკოტრებული ვაჭრები; ან ისინი, ვინც გუთანს გაურბის და შრომისაგან თავის ხსნა უნდა“.

ლიუტერის მამა,—მანსფელდის მაღაროს მუშა,—ასეთივე დაქცეული გლეხი იყო.

იმ ადგილებში, სადაც ვერცხლის მაღაროების დამუშავება იწყებოდა, თავს იყრიდა აუარებელი მასსები. ასე, მაგალითად, 1471 წელს, როცა შნეებერგში და საქსონიაში ვერცხლის მდიდარი საბადო აღმოაჩინეს, იქ მთელი ქალაქი გაიზარდა ჯადოსნური სისწრაფით.

1516 წ., როდესაც იოახიმსტალის მადნის დამუშავება დაიწყო, იქ თავი მოიყარა, დაახლოებით, 8.000-მა მადნის მუშამ.

მაშასადამე, სამუშაო ძალა, სამთომადნო მრეწველობაში მოსახმარი, მრავლად მოიპოებოდა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ შრომის ხელფასი კლებულობდა ან, ყოველ შემთხვევაში, არ მატულობდა, მიუხედავად ფასების სწრაფი ზრდისა XVI საუკუნის დასაწყისში.

პაის მქონე მონაწილენი და თავადების მოხელენი ხელს უწყობდენ ხელფასის შემცირების ტენდენციას სადაც კი ეს შეიძლებოდა.

არა მარტო ჰკვეცავდენ ხელფასს შეძლების დაგვარად, არამედ ართმევდენ მუშას მისი ხელფასის კარგა დიდ წილს მრავალგვარი ხრიკით: წონა-დაკლებული ფულის შეტყუებით, Irucsystem-ის („შევიწროების სისტემის") და ხელფასის საქონლით გასტუმრების საშუალებით.

ასე, მაგალითად, შნეებერგში მე-XV საუკუნის დამლევში იუწყებიან: „როდესაც შნეებერგში ვერცხლის ამოღება იმდენად გაიზარდა, რომ შეუძლებელი გახდა მთელი ლითონის გადაქედვა ფულად, მრეწველებმა იწყეს გადადნობილ ვერცხლის ზოდების გატანა და წონადაკლებულ ფულზე გადაცვლა და შემდეგ ამ ფულით მადნის მუშათა ხელფასის გასტუმრება ან, უფრო სწორათ რომ ვთქვათ, მათი მოტყუება"[1])

ჩვენ მიერ არა ერთხელ მომხსენებული სამთო წესდება ავგუსტ საქსონელისა (1574 წ.) ერთერთ მუხლში მოითხოვს, რომ ხელფასის გასტუმრება კარგი ღირსების ფულით სწარმოებდეს. მე-43 მუხლში ნათქვამია, რომ შტეიგერებს და შიხტმეისტერებს არ აქვთ უფლება საშმელ-საჰმელით იხადონ ხელფასის ნაწილი. „შევიწროების სისტემის" წინააღმდეგ საზოგადოთ ბევრი ბრძანება იყო გამოცემული, და ეს საბუთია იმის, თუ რა ფართოთ იყო იგი გავრცელებული. უმრავლეს შეთმხვევაში კრძალავდენ მხოლოდ საქონლის ი ძ უ ლ ე ბ ი თ გაცემას ხელფასის ანგარიშში. ასე, მაგ., ტიროლის 1510 წ. სამთო წესდებაში ნათქვამია: „ნურც ერთ მუშას ნუ აიძულებენ საქონლის აღებას ხელფასის ანგარიშში; მუშის ნება-სურვილზე იყოს ეს დამო-

[1]) E. Herzog. Chronik der Kreisstadt Zwickau, ტ. I, გვ. 201.

კიდებული; თუ ძუშა არ მოისურვებს საქონლის აღებას და საჩივარს შემოიტანს ხელფასის შესახებ, შენ, როგორც ჩვენმა სამთო მოსამართლემ, დახმარება უნდა აღმოუჩინო მას სამთო სამართლის ძალით და, თანახმად წესდებისა, საჩივარი მიიღო და უფლება აღადგინო".

მაგრამ ეს წესდებები, მგონი, მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა.

ნუ დავივიწყებთ, რომ თავადის მოხელეები გადამწყვეტ გავლენას ახდენდენ ხელფასის ზომაზე და მადნის მუშებთან დამოკიდებულებაზე, და მაშასადამე მათი თანხმობის გარეშე შეუძლებელი იყო ხელფასის შემცირება და შეკვეცა.

ამიტომ თავადები და მათი მოხელენი მუშებს ისეთივე მტრებად მიაჩნდათ, როგორც მრეწველები. მეტიც: წვრილ მრეწველებთან მუშებს ბევრი რამ საერთო ქონდათ. სამთომადნო მუშის იდეალი, რა თქმა უნდა, ის იყო, რომ რ ადისმე ისიც მრეწველი გამხდარიყო. ჩვენ კი უკვე ვიცით, როგორ ყვლეფდენ და ატყუებდენ წვრილ მრეწველებს თავადები, მათი მოხელენი და მსხვილი კაპიტალისტები, როგორ უბრკოლებდენ და ხშირათ შეუძლებელს ხდიდენ მათს მონაწილეობას მდიდარ მაღაროების დამუშავებაში. ამით ისინი მაღაროს მუშებსაც უსპობდენ ისედაც სუსტ იმედს პროლეტართა რიგებიდან ამაღლებისა. წვრილ მრეწველებს და მუშებს საერთო მტერი ყავდათ იმ მნიშვნელობით, როგორც ამჟამათ ხელოსნებსა და პროლეტარებს. ამის გამო ისინი ხშირად გ ა ე რ თ ი ა ნ ებ ულ ად გამოდიოდენ თავადებისა და მსხვილ კაპიტალისტების წინააღმდეგ. განსაკუთრებით ხშირად ალპის მაღაროებში ვხვდებით ამგვარ კავშირებს.

ყველაზე უფრო მჭიდრო ეს კავშირი მუშებსა და წვრილ მრეწველებს შორის იმ მაღაროებში იყო, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა წვრილი წარმოება, მაგალითად, რკინის მადნის მაღაროებში. იქ მრეწველი თვითონ მუშაობდა. ხშირად სულაც არც ყავდა დაქირავებული მუშები; მუშაობდა მხოლოდ ის და მისი ოჯახის წევრები. მაგრამ წარმოების ამგვარი ორგანიზაციის პირობებშიაც ხშირად ჩდებოდა ანტაგონიზმი მუშებსა და კაპიტალისტებს შორის. თუმცა რკინის მადნის მაღაროებში, საზოგადოთ, წვრილი წარმოება დარჩა, მაგრამ რ კ ინ ის მ ა დ ნ ის ს ა დ ნ ო ბ ი ღ უ მ ე ლ ებ ი უკვე კაპიტალისტური ფორმის მსხვილ წარმოებათ იყო გადაქცეული. რკინის მადნის მაღაროებიც ქარხნების გავლენას ემორჩილებოდენ და მაღაროს მფლობელნი, რომელნიც დამოუკიდებელ მრეწველებათ ითვლებოდენ, მადნის მექარხნეთა ყმების მდგომარეობაში ვარდებოდენ, სწორეთ იმგვარადვე, როგორც ამჟამათ გრიფელების მწარმოებელნი მეი-

ნინგენის მაღლობებზე, გრიფელის შემსყიდველ ვაჭართა ყმებს წარმოადგენენ.

ანტაგონიზმი მუშებსა და მრეწველებს შორის განსაკუთრებით მწვავე იყო ოქროსა და ვერცხლის მაღაროებში. აქვე განსაკუთრებით მძიმე იყო თავადთა ბიუროკრატიის უღელი. მაგრამ სწორეთ ამ მაღაროებში მუშებსაც მეტი ძალა გააჩნდათ წინააღმდეგობის გასაწევად.

საშუალო საუკუნეებში მხოლოდ სამთომადნო მუშები იყვნენ ისეთ მდგომარეობაში, როდესაც თვით შრომის პროცესსი მუშებს დიდ მასსებათ აერთიანებს; ამ მხრით იმდროინდელი სამთომადნო მუშები ჩვენ შეგვიძლია თანამედროვე მსხვილი მრეწველობის მუშებს შევადაროთ. ჯერ კიდევ საშუალ—საუკუნეებში მუშები ათასობით ირიცხებოდენ მსხვილ მაღაროებში, განსაკუთრებით ჰარცის, ფრეიბერგის, იგლაუს, კუტტენბერგის[1]), და უფრო გვიან—მანსფელდის ვერცხლის მაღაროებში.

„მანსფელდის მადნის მუშები,—ამბობს ბირინგენი,—ჩვეულებრივად, ყოველ ორ კვირაში ერთხელ იღებდენ თავის ხვედრ ხელფასს ეისლაბენის სამთო სამმართველოში, სადაც ხელფასის გასტუმრების დროს 18—20 ათას ტალერს ურიგებდენ ხოლმე მადნის მუშებს, მენახშირეებს, სამთო მოსამსახურეებსა და სხვებს“.

(Iohann Alberti Bieringens, S. S. Theol. Cultor und Mannsfeldischen Landes—Kindes. Historische Beschreibung des sehr alten und löblichen Mannsfeldischen Bergverks, Leipzig und Eissleben 1743, გვ. 8).

იმ დროის სამთომადნო მუშები სხვათა შორის იმით განირჩეოდენ თანამედროვე მუშებისაგან, რომ ისინი იარაღს დაატარებდენ. 1530 წელს შვაცში (ტიროლი) კარლოს მე-V-ს 5.600 კარგათ შეიარაღებული მადნის მუშა მიეგება და აღლუმი გამართა მის წინაშე.

შპანგენბერგი მოგვითხრობს, რომ 1519 წელს მანსფელდის მადნის მუშათა პარადი გაიმართა (ამ მუშებმა დიდი როლი ითამაშეს ტიურინგენის აჯანყებაში):

„გრაფ გებჰარტ მანსფელდელმა, როდესაც მისი ძმა ალბრეხტი ბრაუნშვეიგში იმყოფებოდა ჰერცოგ ჰეინრიხთან, ალბრეხტის, თავისი ბიძაშვილებისა და თავისი სახელით სამთომადნო მუშებს უბრძანა, რომ ყველა თავისი საუკეთესო იარაღით გამოცხადებულიყო, რა წამს მათ გამოიწვევენ. მუშები წუნარათ მოემზადენ და ეისლაბენის სამთო ფოგტმა, ბასტიან მეცელვიცმა, 21 ენკენისთვეს

[1]) Achenbach. Die deutschen Bergleute der Vergangenheit.

დააწყო ისინი პარადისათვის ვიმმელბურგის ახლო, დაათვალიერა ჯარი და ნახა, რომ ჯარი გვარიანად იყო შეიარაღებული."[1])

ამ შეიარაღებულ მუშათა ბატალიონებში მოუდრეკელი სიმტკიცე მეფობდა; მზათ იყვნენ ძალით გაეწიათ წინააღმდეგობა მათი უფლებების შემლახველისათვის. რაც უფრო ძლიერდებოდა მუშათა ანტაგონიზმი თავადებისა და კაპიტალისტების მიმართ, მით უფრო ხშირდებოდა აჯანყებები.

საკუთრივ მადნის მუშებს გარდა განსაკუთრებულ პირიანობას იჩენდენ, მგონი, სამთო მჭედლები. ესენი ძველადანვე სამთომადნო ქარხნების ახლო ესახლენ და ამზადებდენ ხელსაწყოს სამთომადნო მუშებისათვის და მრავალნაირ რკინის იარაღს მაღაროებისათვის. 1300 წელს კუტტენბერგში გამოცემული სამთო წესდება ერცლად ეხება სამთო მჭედლებს (1,16), როგორც არეულობის მთავარ წამქეზებლებს მაღაროებში და მჭედელ ოსტატებს რჩევას აძლევს, რომ სიფრთხილე გამოიჩინონ ქარგალთა დაქირავებისას და შეარჩიონ ისეთები, რომელნიც „მონაწილეობას არ იღებენ არც კრებებში, არც შეთქმულებებში და არც სახელმწიფოსათვის მისწრაფებებში" (contra nostram rempublicam aliquibus machinationibus) (Achenbaach, Das deutsche Bergrecht, I, გვ. 204).

იმ დროის ქრონიკები, სწორეთ გლეხთა ომის დაწყებამდე რამოდენიმე წლით ადრე, მრავალ ცნობას შეიცავს სამთომადნო მუშათა აჯანყებების შესახებ,—ნიშანი მდგომარეობის გამწვავებისა.

მაგალითად შეგვიძლია მოვიხსენოთ დაახლოვებით ამ დროს საქსონიის მაღაროებში მომხდარი შეტაკება ხელფასის გამო.

1478 წელს ჰერცოგები ერნსტი და ალბრეხტი საქსონიელნი ფრეიბერგის საბჭოს სწერდენ: „ძვირფასო ქვეშევრდომნო! ჩვენამდე ცნობამ მოაწია, რომ შნეებერგში და ყველგან ჩვენს სამფლობელოში, სადაც მაღაროებია, მუშები მოითხოვენ იმაზე მეტ ხელფასს, რაც მათ აქამდე ეძლეოდათ.

თუ ამას შევიწყნარებთ და ნებას დავრთავთ, მომავალში ამიდან შეიძლება დიდი ზიანი წარმოიშვას ჩვენთვის და ჩვენს (ქვეშევრდომთათვის). რათა ეს ავიცილოთ თავიდან, ჩვენ განვიზრახეთ და გვსურს მოველაპარაკოთ ამის შესახებ სამთო საქმის მცოდნე პირთ და შემოვიღოთ საერთო წესი, თუ რა უნდა ეძლეოდეს თვითეულს მისი დამსახურებისა და შრომის მიხედვით. ამიტომ ჩვენ გვსურს, რომ თქვენ სამშაბათს, ჯვარის თაყვანისცემის კვირის შემდეგ, გამოცხადდეთ დრეზდენში და თან მოიყვანოთ ორი თუ სამი სამთო

[1]) Cyriacus Spangenberg, Sächsische Chronica, Frankfurt a. M. 1535 წ.

საქმის მცოდნე კაცი, რათა გამოვიმუშაოთ ასეთი წესდება... გაცემულია დრეზდენში, ორშაბათს Reminscere-ს შემდეგ (დიდი მარხვის მეორე კვირა). ქრ. შობიდან 1478 წ.“ [1])

მაშასადამე, მუშები თათბირზე არ მოუწვევიათ. რა შედეგი ქონდა მას, ჩვენ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში მშვიდობიანობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. უკვე 1496 წელს ასეთი ცნობაა: „მაშინ მათ (მადნის მუშებმა) განდევნეს შნეებერგის მოსამართლენი და შეფფენები (მსაჯულნი), რადგან ამათ მოისურვეს ერთი გროშით დაეკლოთ მაღაროს მუშათა ხელფასი; მეორე ნაწილი ამ დროს მთიდან გაემართა შლეტტაუსა და ლიზნიცისაკენ, ნაწილობრივ გეიერისაკენაც; იქაურ ჰაუპტმანს, ფონ-დერ-პლანიცს თავი უნდა მოეყარა გლეხებისათვის და შნეებერგი აეღო. მაგრამ უკვე ოთხი საათის შემდეგ მუშათა ნაწილი თავის მოვალეობის შესრულებას დაუბრუნდა. ასეთივე უკანონობა განმეორდა ორი წლის შემდეგ, რადგან მადნის მუშებმა წინადადება მისცეს ოწინარებთან მომუშავეებს და შეგირდებს გაყოლოდენ მათ, თუ არ სურთ ხმლით დაიკუწონ, და გადასწყვიტეს თავდასხმოდენ ცვიკკაუსა და პლაუს მცხოვრებლებს, რომელნიც მათ წინააღმდეგ იყვნენ ამხედრებულნი. მაგრამ, ბოლოს, მოხერხდა მათი დაშოშმინება მშვიდობიანი მოლაპარაკებით“ [2]).

1496 წელს კუტტენბერგის მუშებში ასეთივე ამბოხება დაიწყო ხელფასის გამო. შეიარაღებული მუშები გაშლილი დროშებით გამოვიდენ და მეზობელ მთაზე დაბანაკდენ. მაგრამ ბოლოს იძულებული გახდენ დაეთმოთ.

გლეხთა ომის დაწყების ცოტა ხნით ადრე იოახიმსტალის სამთომადნო მუშათა მოძრაობა დაწყებულა.

1516 წელს დაიწყო მუშაობა იახიმსტალის მაღაროებში. მატტეზიუსი „თავისუფალ სამთო ქალაქის იახიმსტალის ქრონიკაში 1516 წლიდან 1578 წლამდე“ ერთს აჯანყებას იხსენიებს, რომელიც მაღაროს გახსნიდან ერთი წლის შემდეგ მომხდარა: 1517 წელს მოხდა „მადნის მუშათა პირველი აჯანყება, როდესაც მუშები მარგარიტას დღესასწაულში ბუხჰოლცისაკენ გაემართენ“.

1522 წლის დამდეგში მომხდარა „მეორე აჯანყება, როდესაც ტიურკნერისაკენ გაემართენ“.

1524 წელს იგივე: „მადნის მუშათა აჯანყება, რომელიც გრაფ ალექსანდრე ფონ-ლეისნიკმა მოაგვარა“.

---

[1]) Klotzsch, Ursprung der Bergwerke in Sachsen, გვ. 87.

[2]) Benseler, Geschichte Freibergs und seines Bergbaues, ფრეიბერგი 1843, ტ II. გვ. 389. შეადარეთ Gerzog, Chronik von Zwickau. ტ. II, გვ. 158.

მაგრამ სამთომადნო მუშათა ყველა ამ აჯანყებას, როგორც აგრეთვე ხელოსან ქარგლებისას, არ წარმოუშვია რევოლიუციონური მოძრაობა, რევოლიუციონური თავისი მიზნებით.

სამთომადნო მრეწველობამ მე-XV და მე-XVI საუკუნეებში ტეხნიკურად და ეკონომიურად უმაღლეს დონეს ნიაღწია იმ დროის წარმოების სხვა დარგებთან შედარებით და ძლიერ დაემზგავსა მსხვილ კაპიტალისტურ მრეწველობას. მიუხედავათ ამისა სამთომადნო მუშები ვერ გახდენ პროლეტარიატის წინამძღოლნი და მოწინავე მებრძოლნი.

ამის მიზეზები თვით სამთომადნო საქმის ხასიათში უნდა ვეძიოთ. მან მიუწვდომელ მთებით შემორკალულ ველებში მოაქცია სამთომადნო მუშები, მსოფლიო გაცვლა-გამოცვლისა და სავაჭრო ცენტრების მღელვარე ცხოვრებისაგან დაშორებით. ტაუერის ზოგიერთი ძველი ოქროს მაღარო გლეტჩერების არეში მდებარეობდა. სამთომადნო საქმე სთიშავდა მუშებს სხვა დარგებში მომუშავე ამხანაგებისაგან, აშორებდა მათ მოსახლეობის სხვა ჩაგრულ წოებისაგან, ზღუდავდა მათ ჰორიზონტს, ან ყოველ შემთხვევაში, მის გაფართოებას აბრკოლებდა და ადგილობრივ წვრილ პროფესიონალურ საქმეების წრით საზღვრავდა მათ შეგნებას.

თუმცა სამთომადნო მუშები უკმაყოფილო იყვნენ, რადგან მათაც ყვლეფდენ; თუმცა იმას არ ერიდებოდენ, რომ იარაღით ხელში დაეცვათ თავისი უფლებები; თუმცა მზათ იყვნენ მხარი დაეჭირათ რევოლიუციონური მოძრაობისათვის და მის პირველ რიგებშიაც ჩამდგარიყვნენ, მაგრამ ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში შვებოდენ, როცა მათი კერძო და გარდამავალი ინტერესები მთელი მოძრაობის ინტერესებს ეთანხმებოდა. ხოლო თუ მათი წვრილმანი და კერძო მოთხოვნილებები ხელფასისა და შრომის პირობების შესახებ დაკმაყოფილდებოდა, უმალვე ჩამოშორდებოდენ მოძრაობას და ბელადებს გადაუდგებოდენ.

განკერძოებულ მდგომარეობის წყალობით, ა მ ქ რ უ ლ ი პ ა რ ტ ი კ უ ლ ი ა რ ი ზ მ ი სამთომადნო მუშებში უფრო ძლიერი აღმოჩდა, ვიდრე ქალაქის ხელოსან ქარგლებში; იმავე სამთომადნო მუშებმა ყველაზე მეტი ხანიც შეინარჩუნეს ეს პარტიკულიარიზმი, სანამ ჩვენმა ხანამ არ მოუღო მას ბოლო. ამჟამათ სამთომადნო მრეწველობის სიმძიმის ცენტრს ოქროსა და ვერცხლის ამოღება კი არ წარმოადგენს, არამედ რკინისა და ქვანახშირისა. უკანასკნელთა საბადოები ტყით დაბურული და შორს მდებარე მთები კი არ არის; რკინის გზებმა მეიდროთ დააკავშირეს ისინი მთელს მრეწველობასთან და მსოფლიო ბაზართან. ამგვარ პირობებში კი სამთომადნო მუშათა კერძოობაც უნდა მოსპობილიყო.

XI. კაპიტალი და შრომა საფეიქრო მრეწველობაში.

დაქსაქსულ პროლეტარულ მასებს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ნაკლებათ შეეძლოთ სწორი რევოლიუციონურ-პოლიტიკური გეზის აღება და ამ გეზით თანმიმდევრად და შეუპოვრად წინსვლა, ვიდრე ხელოსან ქარგლებსა და სამთომადნო მუშებს. თავის თავი მათ მიაჩნდათ არა აღმავალ კლასსად, არამედ დაცემულ კლასსთა დაშლის ნაყოფად. ამ უკანასკნელთადმი, განსაკუთრებით გლეხობისადმი, რომლის თანამგზავრებს წარმოადგენდენ ხშირად, ისინი სიმპატიით იყვნენ გამჭვალულნი. მათ,—დაქსაქსულთ, დეენილთ და დაშინებულთ,—არ გააჩნდათ იმის უნარი, რომ საკუთარი მიზნები დაესახათ და მეტად სუსტი იყვნენ, რომ საკუთარი ძალღონით ემსახურნათ ამ მიზნებისათვის. მართალია, ღრმა უკმაყოფილებას გრძნობდენ არსებულ პირობების მიმართ, მაგრამ ეს მხოლოდ იმიდან სჩანს, რომ დიდი გატაცებით ემხრობოდენ რევოლიუციონურ აჯანყებებს. მზათ იყვნენ გლეხებთან დაეკავშირებინათ თავისი საქმე, რა ჟამს გლეხები აჯანყდებოდენ. მონაწილეობდენ აგრეთვე კომუნისტურ მოძრაობაშიაც, თუ ის წარმატებით ვითარდებოდა. მაგრამ ინიციატივას ამგვარ მოძრაობებში ვერ იჩენდენ, საზოგადოების გადახალისების იდეას ვერ ქმნიდენ.

კომუნისტურ მუშათა მოძრაობის პიონერები ვერ გახდებოდენ ვერც მაღაროს მუშები, ვერც ხელოსანი ქარგლები და ვერც ქალაქის შეუკავშირებელი პროლეტარები. არსებობდა მუშათა მხოლოდ ერთი ფენა, რომელსაც პირობებმა კომუნისტურ ტენდენციების შეთვისების უნარი მიანიჭა, ახალი საზოგადოებრივი იდეალის შექმნისაკენ მიმართა მისი გონება და საჭირო ენერგია მისცა იმისათვის, რომ ეს იდეალი ისეთ ეპოქაშიაც დაეცვა, როდესაც მის განხორციელებას სრულიად უიმედო პირი უჩანდა. ეს იყო საფეიქრო მრეწველობის მუშები, განსაკუთრებით მატყლის მქსოველნი.

რა თქმა უნდა, ზეძოთ ნათქვამი უნდა გავიგოთ cum grano salis (პირობითად). თუ ჩვენ ამჟამათ ვამბობთ, და სამართლიანადაც ვამბობთ,—რომ თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მატარებელია, ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ მასში მონაწილეობას არ იღებენ,—ხშირად ძლიერ ენერგიულს,—სხვა კლასების წევრებიც: წერილი ბურჟუა, ლიტერატორები, ფაბრიკანტები და სხვა. ზოგიერთი ამ ელემენტთაგანი შეიძლება მოძრაობის პირველ რიგებშიაც ჩადგენ. არც იმას ნიშნავს ეს, რომ თვითეული სამრეწველო პროლეტარი სოციალ-დემოკრატია.

ასევე პირობითად უნდა გვესმოდეს ის დებულებაც, რომ საფეიქრო მრეწველობის მუშები კომუნისტური მოძრაობის ჩანასახს ატარებდენ. ჩვენ ვხედავთ, რომ მასში სხვა ელემენტებიც მონაწილეობდენ. ამგვარ დეე შეუსაბამო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ყოველი ფეიქარი კომუნისტი იყო. მაგრამ, რამდენადაც შეგვიძლია იმ დროის მოძრაობის გათვალისწინება, რამდენადაც სწორი ცნობები შენახულა მის შესახებ, ჩვენ ყველგან ვხედავთ, რომ ფეიქრები უდიდეს მონაწილეობას იღებენ მოძრაობაში და ეს უბრალო შემთხვევა არ არის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის ახსნა დიდათ არ გაგვიძნელდება, თუ გავეცნობით მატყლის მრეწველობის პირვანდელ მდგომარეობას.

საფეიქრო მრეწველობის დანარჩენი დარგები: სელის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილთა წარმოება,—ჩვენ შეგვიძლია განზე დავტოვოთ, რადგან თავისი მნიშვნელობით საშუალ-საუკუნეების საერთაშორისო ვაჭრობაში ისინი მატყლის მრეწველობას ვერ შეედრებიან. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ტილოს და პლისეს წარმოება საექსპორტო წარმოებამდე განვითარდა, როგორც ულმში და აუგსბურგში, მან საერთოთ იგივე კაპიტალისტური თვისებები გამოიჩინა, რაც მატყლის მრეწველობამ. იგივე უნდა ითქვას აბრეშუმის მრეწველობაზე იტალიაში. [1])

„წარმოების ყველა დარგებს შორის გერმანიაში მატყლის მანუფაქტურას ძველადანვე პირველი ადგილი ეჭირა. საშუალო საუკუნეებში მან მოუმზადა ნიადაგი მოქალაქეთა წოდების აყვავებასა და ძლიერებას გერმანიაში. საჭირო ნედლი მასალის შემოტანაზე და მისი ფაბრიკატების გატანაზე იყო დამყარებული განზის საზღვაო ძლიერება და გერმანიის წინანდელი მსოფლიო ვაჭრობა. ამ მანუფაქტურით შექმნილ ნივთიერ შეძლებულებაზე იყო ნაწილობრივ დამოკიდებული გერმანიის იმპერიის ძალა და მისი მსოფლიო მდგომარეობა უკანასკნელ საუკუნეებში... ამიტომ მატყლის მრეწველობის განვითარების ისტორია უფრო ვრცელ სფეროს მოიცავს, ვიდრე წარმოების რაღაც ერთი დარგის განვითარებას; იგი გერმანიის ეკონომიური კულტურის ისტორიაა. დიახ, მასში ჰპოულობს თავის ანარეკლს ჩვენი ეროვნული განვითარება“.

ამ სიტყვებით იწყება ჰ ი ლ დ ე ბ რ ა ნ დ ი ს წერილი „გერმანიის მატყლის მრეწველობის ისტორიისათვის“. [2])

---

[1]) შეადარეთ R o m o l o G r a f B r o g l i o d' A j u n o, Die Venetianische Seidenindustrie und ihre Organisation bis zum Ausgang des Mittelalters, Stuttgart 1893.

[2]) Hildebrand's Jahrbüchern-ში Iena 1866 ტ. VI, გვ. 186 და შემდეგი.

მცირე შესწორებით ეს მართალია. სახელდობრ იმ შესწორებით, რომ გერმანიის მდგომარეობა მსოფლიო ვაჭრობაში დამოკიდებული იყო არა მარტო მატყლის მრეწველობაზე, არამედ აგრეთვე სამთომადნო მრეწველობაზე, რომელიც ხანდახან, განსაკუთრებით XVI საუკუნის დამდეგში უფრო დიდ გავლენას ახდენდა გერმანიის ეკონომიურ ცხოვრებაზე, ვიდრე მატყლის მრეწველობა.

მაგრამ მაინც ფაქტია; რომ გერმანიაში და საზოგადოთ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მატყლის მრეწველობა პირველი საექსპორტო დარგი იყო.

ტანსაცმელის საწარმოებლად საშუალო საუკუნეებში ტილოც იხმარებოდა, გარდა ბეწვეულობის და ტყავეულობისა. მატყლის ქსოვილი პირველად ფუფუნების საგანს წარმოადგენდა; მას მხოლოდ მდიდრები ხმარობდენ. სელის ქსოვა ძველებური საოჯახო წარმოების დარგი იყო. მოსახმარად საჭირო ტილოს დედაკაცები ქსოვდენ ოჯახებში და მამულებში. მატყლის წარმოება კი, პირიქით, როგორცვე რამოდენიმედ განვითარდა, დამოუკიდებელ დარგად გადაიქცა, რადგან შედარებით რთულ სახელოსნოების მოწყობას მოითხოვდა,—სამღებროს, მაუდის სათელელს, საკრეკს და სხვას. მხოლოდ მსხვილ ორგანიზაციებს,—მონასტრებს, საქალაქო თემებსა და ამქრებს,—შეეძლოთ მოეწყოთ ასეთი სახელოსნოები.

პირველ ფეიქარ-მამაკაცებს მონასტრებში ვხვდებით. მონასტრებმა განსაკუთრებით შეუწყვეს ხელი მატყლის ქსოვის გავრცელებას გერმანიაში; საზოგადოთ საშუალ-საუკუნეების დასაწყისში მონასტრებს შეჰქონდათ ტეხნიკური პროგრესსი მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში, და უაღრესად შემცდარია „განათლებულთა“ ის შეხედულება თითქოს კათოლიკე ბერმა შეწირულებათა კრეფით და სახარების გადაწერით მოიპოვა მსოფლიო ბატონობა.

უკვე IX საუკუნეში არის მოხსენებული მაუდის მთელელნი და თერძები კონსტანცის მონასტერში. ბერები ასწავლიდენ ბოდენის ტბის ირგვლივ მცხოვრებ მოსახლეობას მატყლის ქსოვას და შალის ჩაცმადახურვას.[1]) მე-XI საუკუნეში სამონასტრო წესდებები და სტატუტები ცალკე არ იხსენიებენ საფეიქრო საქმეს. პირიქით, მე-XII საუკუნეში მას უკვე ისეთი მნიშვნელობა მიეცა, რომ ამ ხნის სამონასტრო წესდებებში მატყლით ვაჭრობა, მატყლის დამუშავება და შალეულობის ქსოვა მოხსენებულია, როგორც ბერთა მუდმივი სამუშაოვარი; „ასეა აღნიშნული პირველ ყოვლისა ცისტერციანელთა ორ-

[1]) C. G. Rehlen, Geschichte der Handwerke und Gewerbe, ლეიპციგი 1856 წ., გვ. 97.

დენის მე-XII საუკუნის დადგენილებებში და წესდებებში- (Schmoller, die Strassburger Tucher-und Weberzunft, გვ. 301). მართლაც ცისტერციანელებმა მაუდის ფაბრიკაცია თავის სპეციალობათ გაიხადეს. „შეჰქმნა რა მე-XII საუკუნეში მაუდის მრეწველობის ფართო და განთქმული ცენტრები გერმანიის იმპერიის დასავლეთ ნაწილებში, ორდენმა მალე აღმოსავლეთზედაც გავრცელა თავისი გავლენა. ბრაბანტის, ტიურინგენის (ალტენცელლში) და სილეზიის ცისტერციანელთა მონასტრებში ჩვენ ვცვდებით მაუდის წარმოებას ბაზრისათვის; და რადგან მონასტრები ერის კაცებსა ცილებდენ შეგირდებათ და ქარგლებათ. ბრაბანტელ ფეიქართა მრავალი სასარგებლო ხერხი შიდა გერმანიაშიაც გავრცელდა". [1])

მატყლის ხელოსნური ქსოვა მალე მონასტრების გარდა ქალაქებშიაც გავრცელდა, განსაკუთრებით ნიდერლანდის ქალაქებში, სადაც ამ საქმის განვითარება მე-X საუკუნეში დაიწყო.

ეს ახალი მრეწველობა ფუფუნების საგანს ამზადებდა. შალის ქსოვილები კარგა ხნის განმავლობაში მხოლოდ წარჩინებულთა და მდიდართა კლასსებისთვის იყო მისაწვდომი. მე-XV საუკუნეში, როდესაც შალეულობის მოთხოვნილება ხელოსანთა და გლეხთა წრეებშიაც გაჩდა, ამას მაშინ მდაბიო ხალხში ფუფუნების გავრცელების ნიშნად სთვლიდენ.

განსაკუთრებით წმინდა მაუდი იყო ფუფუნების საგანი და ძალიან ძვირადაც ფასობდა. იგი მთელს ევროპაში საღდებოდა. ამიტომ გასაგებია, რომ იქ, სადაც ყველა საჭირო პირობა არსებობდა, —სადაც მოიპოებოდა კარგი ღირსების ნედლი მასალა და ტეხნიკაც სათანადო სიმაღლეზე იდგა,- მაუდის წარმოება მალე საექსპორტო დარგად გადაიქცა.

ასე მოხდა პირველად ყოვლისა, ფლანდრიაში. ფლამანდიული მაუდი ჯერ მე-XIII საუკუნეში იყო განთქმული მთელს ევროპაში.

[1]) Hildebrand, Zur Geschichte der deutschen Wollenindustrie, გვ. 216.—რომის ეკლესია რომ საზოგადოთ სასარგებლო საერო ცოდნას ეფერებდა, ეს იმ შეკითხვიდანაც სჩანს, რომელიც წმინდა ბონიფაციმ შეეთვალა რომში არა ნაკლებ წმინდა პაპს: როგორ შეიძლება ქონის საუკეთესოდ გამოყენებაო? პაპმა, სახელად ზაქარიამ, უპასუხა, რომ საეკლესიო მამების თხზულებებში მან ვერ ჰპოვა რაიმე ცნობა ცოდვილ კაცობრიობისათვის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხის შესახებ. მისი აზრით, ქონის ჭამა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი კარგათ შეშეწვარია. ნედლად კი ქონის ჭამა მხოლოდ აღდგომის შემდეგ შეიძლებაო. (შეადარეთ A. Schlossar, Speise und Trank vergangener Zeiten in Deutschland, გვ. 9).

ფლანდრიაში მატყლის ფეიქრობა ძალიან ადრე განვითარდა. ფლამანდიელ ფეიქართა განკარგულებაში იყო, ჯერ ერთი, მათივე ქვეყნის მატყული დიდი რაოდენობით და, მერე, ინგლისის მატყული, საუკეთესო იმ დროში. ინგლისში საკუთარი მატყლის მრეწველობა შედარებით გვიან განვითარდა. [1])

ბევრ ქალაქში მატყლის ფეიქრობა ხელოსნურ წარმოებად დარჩა და ადგილობრივ ბაზარს ემსახურებოდა, როგორც საერთოთ ხელოსნობის სხვა დარგებიც. მაგრამ ამ მდგომარეობაშიაც იგი მსოფლიო ბაზარს უნდა დამორჩილებოდა. უცხოელთა კონკურენციამ შინაგან ბაზარზედაც მოიდგა ფეხი და მით იგი მსოფლიო ბაზრის მცირე ნაწილად გადააქცია. ამის გამო მსოფლიო ბაზარი გადამწყვეტ გავლენას ახდენდა მატყლის მრეწველობაზე იმ ადგილებშიაც, სადაც ეს დარგი ადგილობრივი წარმოების ფარგლებს არ გადასცილებია და საექსპორტო წარმოებად არ გამხდარა. ამგვარათ აქაც განვითარდა ინტერესთა წინააღმდეგობა მაუდის მწარმოებელთა და იმ ვაჭრებს შორის, რომელნიც შემოტანილი მაუდით ვაჭრობდენ და მეტოქეობას უწევდენ ადგილობრივ მწარმოებლებს. ეს იყო არა მოსახლეობის, როგორც მომხმარებელთა, ტრადიციული მტრობა ვაჭართა მიმართ, არამედ სულ სხვა გვარი ანტაგონიზმი: ანტაგონიზმი მწარმოებლებსა და ვაჭრებს შორის. მოსახლეობის მასსები მით უფრო ემტერებიან ვაჭრებს, რაც უფრო დიდია მათი საქონლის ფასი; მატყლის ფეიქართა უკმაყოფილება კი მით უფრო მეტი იყო, რაც უფრო იაფი საქონელი,—უცხოეთის მაუდები,—შემოჰქონდათ ვაჭრებს ბაზარზე.

---

[1]) ნებას მივცემთ ჩვენს თავს ერთი მოსაზრება გამოვთქვათ, რომელიც ჩვენს თემასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული, მაგრამ მაინც ყურადღების ღირსად მიგვაჩნია. ჰილდებრანდი, ზემოთ ნახსენებ თაეის წერილში, აღნიშნავს, რომ მატყლის მანუფაქტურა (უფრო გვიან, კაპიტალიზმის ხანაში) განსაკუთრებით იმ ქვეყნებში განვითარდა, რომლებიც უფრო გამოსადეგი იყო მეცხვარეობისათვის: ჩრდილოეთ გერმანიაში, საქსონიაში, ინგლისში. წინააღმდეგ ამისა, მეღვინეობა, როგორც სჩანს, აფერხებდა მეცხვარეობის განვითარებას და, მაშასადამე, მატყლის მანუფაქტურის გავრცელებასაც; ასე მოხდა, მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში (loc. cit. გვ. 232, 233). შეიძლება უფრო შორს წავიდეთ და ვთქვათ, რომ მეცხვარეობა ხელს უწყობდა მსხვილ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას საძოვართა მეურნეობის სახით. ამიტომაც იმ ქვეყნებში, სადაც ხელსაყრელია მეცხვარეობა, მატყლის კაპიტალისტური მრეწველობის აყვავებასთან ერთად ყველაზე ადრე წარმოიშვა მსხვილი კაპიტალისტური სასოფლო-მეურნეობის შესაძლებლობაც; ამ ქვეყნებში მიწათმფლობელთ გაცილებით მეტი სტიმული ქონდათ წვრილ გლეხთა ექსპროპრიაციისათვის მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესაქმნელად. პირიქით, მეღვინეობა ხელს უწყობდა წვრილ მეურნეობას. სადაც მეღვინეობამ

მაგრამ მეტოქეობიდან აღმოცენებული ანტაგონიზმის გარდა, მატყლის ფეიქართა და ვაჭრებს შორის სხვა გვარი ინტერესთა წინააღმდეგობაც ვითარდებოდა; სახელდობრ წინააღმდეგობა ექსპლოატაციის ნიადაგზე. იქ, სადაც მატყლის ფეიქრობა საექსპორტო მრეწველობად გადაიქცა, მისი არსებობის აუცილებელი პირობა გახდა კაპიტალი. ეხლა ხომ პირდაპირ მომხმარებელს არ ჰყიდიდენ საქონელს. სანამ გაიყიდებოდა, საქონელს დიდი გზა უნდა გაეარა, ზოგჯერ ერთი ბაზრიდან მეორე ბაზარზე გადასულიყო; წარმოებიდან საბოლოო გასაღებამდე საქონელს მრავალგვარი ხიფათი მოელოდა. დიდი ხანი უნდა გასულიყო, სანამ ვაჭარი საქონლის ფასს აიღებდა. მაგრამ ეს არ კმარა: მალე მას შემდეგ, რაც მატყლის მრეწველობა საექსპორტო დარგად გადაიქცა, საჭირო გახდა ნედლი მასალის, მატყლის, ზიდვა შორეული ქვეყნებიდან. ახლო-მახლო ადგილები ვერ დაფარავდენ მატყლის გადიდებულ მოთხოვნილებას. და რაც უფრო ვითარდებოდა მრეწველობა, იზრდებოდა კონკურენცია და რამდენად მეტი ყურადღება ექცეოდა მაუდის სიწმინდეს და სიმტკიცეს, მით უფრო გულმოდგინეთ მეცადინეობდენ ვაჭრები ნედლი მასალის გამორჩევისათვის. ცოტა იყო ისეთი ქვეყანა, რომელსაც კარგ მატყლი გააჩნდა.

საუკეთესო, როგორც ვთქვით, ინგლისიდან გამოჰქონდათ, რაც უფრო გრძელი ხდებოდა ის გზა, რომელიც ნედლ მასალას უნდა გამოეარა, მით უფრო ძვირდებოდა იგი, მით უფრო დიდი რაოდენობით იყო საჭირო მისი მომარაგება. ნედლ მასალაზე დახარჯული კაპიტალი მატულობდა, მისი ბრუნვა კი უფრო ხანგრძლივი ხდებოდა, რამდენადაც ექსპორტი ფართოვდებოდა. მაუდის მწარმოებელი ან თვით უნდა ყოფილიყო კაპიტალისტი ან იმ ვაჭარზე დამოკიდებული გამხდარიყო, რომელიც მას სესხს მისცემდა. განვითარებამ ორივე მიმართულება მიიღო.

მატყლის ფეიქარი ან შინა-მრეწველის მდგომარეობაში ვარდებოდა, ამ სიტყვის ეხლანდელი მნიშვნელობით,—ერთი ქარგლით ან სულ უქარგლოთ; ვაჭრისაგან იღებდა ნედლ მასალას და ვაჭარსავე აბარებდა პროდუქტს განსაზღვრულ ფასად; ან მაუდის მწარმოე-

---

მოიკიდა ფეხი, იქ მიწათმფლობელთათვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა გლეხთა ექსპლოატაცია ფეოდალურ ვალდებულებათა გადიდებით, ვიდრე საკუთარი წარმოების გაფართოება გლეხთა ექსპლოატაციის საშუალებით. ამის გამო წვრილი გლეხობა მეღვინეობის ქვეყნებში დარჩა,—საბერძენთ გერმანიაში, საფრანგეთის სხვადასხვა ნაწილებში და სხვ. ამგვარად, მიწათმფლობელობის ფორმების სხვადასხვაობა ხსენებულ ქვეყნებში აიხსნება მათში განვითარებულ წარმოების ფორმათა სხვადასხვაობით.

ბელი თვითონ კაპიტალისტად იქცეოდა, ქარგალთა შედარებით დიდ რიცხვს ქირაობდა და წარმოების გარდა ვაჭრობასაც იწყებდა.

ამგვარ მდგომარეობას ფეიქარ-ოსტატების გარდა მაუდის წარმოებაში მონაწილე სხვა ხელოსნებიც აღწევდენ.

სანამ მატყლი მაუდათ გადაიქცეოდა, მას სხვადასხვანაირი შრომის პროცესსი უნდა გაეარა და ეს პროცესები ცალკე ხელობებათ იქცეოდა, რომლის რიცხვი სულ მატულობდა. სტრასბურგში, მაგალითად, მე-XIV საუკუნეში მქსოველებს გამოეყვენ პირველად ყოვლისა მატყლის მჩეჩელნი: ესენი მატყლს წმენდენ, ჩეჩავდენ და რთავდენ. შემდეგ ნართი მქსოველებთან გადადიოდა. საქსოვი დაზგიდან მაუდი სათელელ სახელოსნოში იგზავნებოდა. მაუდის თელვა და აგრეთვე მისი მომდევნო ოპერაცია, მაუდის კრეპა, მე-XIV საუკუნეში დამოუკიდებელ ხელობებს წარმოადგენდა. ყველაზე გვიან მატყლის ღებვა გამოეყო ქსოვის ხელობას. იგი მხოლოდ მე-XV საუკუნის მეორე ნახევარში გადაიქცა ცალკე ხელობად და თვით მე-XVI საუკუნემდე, მრავალი მაუდის მწარმოებელი ოსტატი თვითონ ღებავდა თავის მაუდს.

თვითეული ამ ხელობათაგანი ტეხნიკურად დანარჩენისაგან იყო დამოკიდებული და ყოველი მათგანი ცდილობდა თავისთვის დაემორჩილებინა ეკონომიურად დანარჩენი ხელობები. განსაკუთრებით ცხარე ბრძოლა გაჩაღდა მატყლის მქსოველთა და მჩეჩელთა შორის. ალაგ-ალაგ, მაგ., სილეზიაში მქსოველებმა დაიმორჩილეს ეკონომიურად მატყლის მჩეჩელნი, ჩვეულებრივად კი მქსოველნი იქცეოდენ მატყლის მჩეჩელთა ქარგლებად. მატყლის მჩეჩელთა წრიდანვე წარმოიშვა მატყლის ვაჭართა არისტოკრატია; მატყლს წმენდენ და სთვავდენ ან ამ ხელობის უღარიბესი ოსტატები ან ოსტატთა სახლში მომუშავე ქარგლები და შემდეგ ნართი გადაეცემოდა მქსოველებს,— ქარგლებს ან „დამოუკიდებელ“ შინა-მრეწველებს. უკვე ჩაისახა მანუფაქტურული სისტემაც, განსაკუთრებით მონასტრებში, სადაც ერთ ჭერქვეშ გაერთიანდა მაუდის წარმოებისათვის საჭირო სპეციალური სამუშეერები. მაგრამ მე-XV საუკუნის ხელოსნობაშიაც ვხედებით იმ მოვლენას, რომ ალაგ-ალაგ მაუდის მწარმოებელთა სახლებში ერთი მეორეს გვერდით მატყლის მჩეჩელი და მქსოველი ქარგლები მუშაობენ. მატყლის ქსოვაში ვამჩნევთ აგრეთვე შრომის ფართო განაწილებას: თვითეული მქსოველი ერთ სპეციალურ სამუშაოს ასრულებდა, და ასეთი სამუშაო კი 5-6 ნაირი იყო. მატყლის ჩეჩვაში მეორე გვარი შრომის განაწილება არსებობდა: აქ სხვადასხვა, ერთი მეორეს მიმდევნო ოპერაციას სხვადასხვა მუშები ასრულებდენ. ამ წესმა და-

არლვია მატყლის მჩეჩელთა ამქრული ხელობა. სხვადასხვა ოპერაციის შესრულება ეხლა ამქრის გარეშე დაქირავებულ მუშებს ეკისრებოდა, ზოგჯერ სრულიად მოუმზადებელ მუშებს: გ ლ ე ხ ე ბ ს, დ ე დ ა კ ა ც ე ბ ს და ბ ა ვ შ ე ბ ს. მაუდის მრეწველობის კაპიტალისტური ხასიათის შესაფერისად მასში ადრე გავრცელდა სანარდო ხელფასის წესი. ზოგიერთ ადგილას საქმე იქამდის მივიდა, რომ სანარდო ხელფასი გაუქმებულ იქნა, როგორც მაგალითად, ულმში, ქალაქის საბჭომ გააუქმა ეს წესი (1492 წ.) „რადგან აჩქარება საქონლის ღირსებას აზიანებს"-ო. ჯარიმების მშვენიერი სისტემა კი, რომლითაც თანამედროვე კაპიტალისტი აიძულებს მუშას კარგი ღირსების საქონელი ამზადოს და დროც მაქსიმალურად გამოიზოგოს, ჯერ ძალიან სუსტათ იყო განვითარებული საშუალ-საუკუნეების ბნელ ეპოქაში.

სანარდო ხელფასის გარდა მატყლის მრეწველობის კაპიტალისტურ ხასიათს ის გარემოებაც ამოწმებს, რომ წინააღმდეგ ხელოსან ქარგალთა უმრავლესობის ჩვეულებისა და თანამედროვე მუშების მზგავსათ მქსოველ ქარგლებს უფლება ქონდათ ცოლის შერთვისა. ცოლშვილიანი ქარგალი აღარ ეკუთვნოდა ოსტატის ოჯახს.

ტეხნიკურად მატყლის მრეწველობა გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე ქალაქის სხვა რომელიმე მრეწველობის დარგი. როგორც აღენიშნეთ, ის ყველაზე მეტად საჭიროებდა შედარებით რთულ ტეხნიკურ აპპარატს. ეს აპპარატი სულ უფრო დიდი ხდებოდა, რამდენადაც შრომის განაწილება ვითარდებოდა შრომის განაწილების პროგრესს კი ხელს უწყობდა მასსიური წარმოება ექსპორტისათვის.

ნედლი მატყლი ჯერ უნდა გაწმენდილიყო. ამისთვის საჭირო იყო მ ა ტ ყ ლ ი ს ს ა წ მ ე ნ დ ი ს ა ხ ე ლ ო ს ნ ო. აქ მატყლს სწმენდდენ და არბილებდენ. შემდეგ ის უნდა დაეყოთ თანასწორ ნაძენძებათ დასართავად. ამას აკეთებდენ მატყლის მ ჩ ე ჩ ე ლ ნ ი. ზოგჯერ ამ ოპერაციას განსაკუთრებულ შენობებში, საჩეჩელ სახელოსნოებში. ასრულებდენ.

აქედან მატყლი მრთველის ხელში გადადიოდა. რთვას ეწეოდა ან განსაკუთრებული ამქარი, ან მქსოველთა ქარგლები ან კიდევ, მქსოველების მიერ ამქრის გარეშე დაქირავებული მუშები, მეტ წილად დ ე დ ა კ ა ც ე ბ ი. მატყლის სართავი ბორბალი მე-XVI საუკუნეში საყოველთაოთ გავრცელებული იყო.

შემდეგ ნართი მქსოველთან გადადიოდა. ის მას ს ა ქ ს ო ვ ე ბ ზ ე ა ზ ე გადაამუშავებდა, რის შემდეგ ქსოვილი მთელიოს გადაე-

ცემოდა მაუდის სათელელ სახელოსნოში. სათელელ სახელოსნოებს საშუალ-საუკუნეებში ყველგან აწყობდენ. მოთელვის შემდეგ მაუდს ჩარჩოზე გასჭიმავდენ გასაშრობად. ამისთვის განსაკუთრებული ადგილი იყო საჭირო. შემდეგი წყება მუშებისა მაუდის ძაფებს გაარბილებდა და მაუდს ხაოს (bopc) მისცემდა: მერე სხვა მუშები მაუდს გაკრეჭავდენ. (გარბილებულ ძაფებს შეჭკვეცავდენ). ამისთვის მაუდის საკვეცავი განსაკუთრებული მოწყობილობა იყო საჭირო. შემდეგ მაუდს ათეთრებდენ სათანადო სახელოსნოში ან აგზავნიდენ სამღებროში შესაღებავად, და ხანდახან მაუდის სამჩითავოში (აუგსბურგის 1490 წლის საგადასახადო რეგისტრში მოხსენებულია ერთი ასეთი სახელოსნო).

დასასრულ, საბუთებში მოხსენებულია კიდევ მაუდის დასატკეცი ქარხნები; როგორც სჩანს, მაუდს აუთოვებდენ და პრესსავდენ, როგორც ამჟამად ტილოს[1]).

სამაუდე საქმის ზოგიერთი ამ აპპარატთაგანი იმდენად რთული და ძვირფასი იყო, რომ ცალკე ხელოსანი მას ვერ შეიძენდა. ამგვარ ქარხნებს ქალაქები ან ამქრები აწყობდენ. იმ დროს ჯერ არ იყო განვითარებული ცალკე მრეწველთა კაპიტალისტური საკუთრება სამუშაო იარაღებზე. მაგრამ შრომის განაწილების პროგრესსის გამო სწორეთ მატყლის მრეწველობაში იჩინა თავი ტეხნიკურ გამოგონებათა სულმა; ზემოხსენებული აპპარატების შემოღება ნიშნავდა იმას, რომ ტეხნიკური რევოლიუცია დაიწყო და გაჩნდა სტიმული ტეხნიკურ გადატრიალებისა, განუწყვეტელ გაუმჯობესებისა და გადახალისებისათვის. სართავი ბორბალი, მაგ., შემოღებულ იქნა XV საუკუნის დამლევში. პირველ ხანებში მას ხელით ამოძრავებდენ. 1530 წელს იურგენსმა ბრაუნშვეიგში ახალი სართავი ბორბალი გამოიგონა, რომელსაც ცხენის ძალა ამოძრავებდა. მაუდს პირველად ფეხით სთელავდენ. მაგრამ ამ წესს ბოლო მოუღო ახლათ გამოგონილმა (ალბათ მე-XII საუკუნეში) სათელელმა მანქანამ, რომელსაც წყალი ამოძრავებდა. უკანასკნელ მაუდის მთელელებს, რომელნიც ჯერ კიდევ ხსენებული პრიმიტიული წესით მუშაობდენ, ჩვენ ვხვდებით მე-XIV საუკუნეში.

ტეხნიკის ყოველი ახალი ნაბიჯი ზედმეტად ხდიდა მუშის ძალას. ეს მხარე თანამედროვე ინდუსტრიალიზმისა არსად არ გამომჟღავნებულა ისე ადრე, როგორც მატყლის მრეწველობაში.

---

[1]) B. Hildebrand, Zur Geschichte der deutschen Wollenindustrie, Hildebrand's Jahrbücher, 1866 წ., გვ. 90—98.

მართალია, რეფორმაციის წინა ხანაში მატყლის მრეწველობა ჯერ არ იყო იმდენად განვითარებული, რომ მსხვილ კაპიტალისტურ წარმოების ფორმას სამთომადნო მრეწველობასავით დაახლოვებოდა. ამ მხრივ მატყლის მრეწველობა სამთომადნო საქმეზე დაბლა იდგა. მაგრამ იმ დროს, როდესაც უკანასკნელი ყრუ ადგილებში ვითარდებოდა და სამთომადნო მუშები მოწყვეტილი იყვნენ ქვეყანას და თავის ამხანაგთა მისწრაფებებსა და ბრძოლას, მატყლის მრეწველობა კაპიტალისტურ ხასიათს უმთავრესად ქალაქებში იღებდა, რომლებზედაც მსოფლიო გაცვლა-გამოცვლის ტალღები გადადიოდა და სადაც გამოძახილს ჰპოულობდა ევროპის მოწინავე ქვეყნებში,—იტალიაში, ნიდერლანდში, საფრანგეთში და გერმანიაში,—მომხდარი ყოველი მღელვარება.

სწორეთ ამ ქალაქთა მატყლის მრეწველობაში განვითარდა განსაკუთრებით სწრაფად და მკაფიოდ კაპიტალისტური წარმოების თვისებები,—ისე როგორც მე-XVIII საუკუნის ბოლოში ინგლისშიაც სამრეწველო რევოლიუცია საფეიქრო მრეწველობიდან დაიწყო. ოსტატები ცდილობდენ კაპიტალისტები გამხდარიყვნენ. არც ერთ სხვა ხელობაში ისე აშკარა არ იყო ოსტატების ექსპლოატატორობა ქარგალთა მიმართ, როგორც მატყლის წარმოებაში, სადაც ამ ორ კლასს ღრმა უფსკრული ჰყოფდა ერთმანეთისაგან. თუ ოსტატი კაპიტალისტად გადაქცევას ვერ ახერხებდა, ის თვით ხდებოდა ვაჭრის დაქირავებული მონა, შინამრეწველი, და მაშინ თავისი ხელობის ქარგლებს უფრო უახლოვდებოდა, ვიდრე სხვა ხელობის ოსტატები, სოლიდარობას იჩენდა ქარგლებთან, როცა უკანასკნელნი ექსპლოატატორების წინააღმდეგ გამოდიოდენ. ამავე დროს ამქრის გარეშე მყოფი მუშაც სულ უფრო უახლოვდებოდა ქარგლებს, როგორც მათი შრომის თანამოზიარე და იმავე საზოგადოებრივი მდგომარეობის კაცი.

ამგვარად მატყლის მრეწველობის მუშებისათვის ამქრულმა კარჩაკეტილობამ მალე დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა; მათი გონებრივი ჰორიზონტიც ფართოვდებოდა მსოფლიო ბაზართან დამოკიდებულების წყალობით. ის რაც სხვა მოქალაქეებისათვის მხოლოდ სადღესასწაულო გასართობი იყო:

Ein gespräch von Krieg und Kriegsgeschrei,
Wenn hinten, weit, in der Türkei,
Die Völker aufeinander schlagen, [1])—

[1]) „ბაასი ომზე და ბრძოლებზე, შორს ოსმალეთში როგორ ეტლეტენ ხალხი ერთმანეთს“.

ეს მატყლის მრეწველობასთან დაკავშირებულ კაცისათვის სრულიად სერიოზულ საქმეს წარმოადგენდა. ნედლი მასალის მომარაგებისა და საქონლის გასაღებისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდა საკითხს,—მოხდება თუ არა ომი ინგლისსა და საფრანგეთს შორის და, თუ მოხდა, რა პოზიციას დაიჭერს ფლანდრია, რა დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან ჰანზა და დანია, თავისუფალია თუ არა გზა ნოვგოროდისაკენ, ჩამოაგდებს ზავს იმპერატორი ვენეციასთან თუ არა და სხვა.

ის, ვინც მსოფლიო ბაზრისათვის მუშაობს, მალე სტოვებს „კუთხურ“ პოლიტიკას; მაგრამ ამასთან ერთად ჰქრება ის სიმშვიდე და უდარდელობაც მომავლის მიმართ, თავის ნაცნობ-მეგობრებისათვის მომუშავე ხელოსანს რომ ახასიათებდა. წმინდა ქალაქურ კონფლიქტებს, რომლებშიაც მატყლის მუშებიც მონაწილეობდენ და ზოგჯერ მთავარ როლსაც თამაშობდენ, საამქრო ბრძოლას, ზემოაღნიშნულ სოციალურ და ტეხნიკურ ცვლილებებით გამოწვეულს, მოემატა საზღვარგარეთულ ცვლილებებისა და საავაქრო კრიზისების რეფლექტორული მოქმედება; და ამის შედეგი იყო ის, რომ სიმშვიდე არასდროს არ სუფევდა მატყლის მრეწველობაში, ის მუდამ ახალ-ახალ გადატრიალებას განიცდიდა. მატყლის მრეწველობა საშუალ-საუკუნეების დამლევში ქალაქის მრეწველობის ყველაზე უფრო რევოლიუციონური დარგი იყო და ამ მრეწველობის მუშებიც რევოლიუციონერები იყვნენ. ამიტომ საზოგადოება მათს ცნობიერებაში უცველელსა და მყარ მოვლენას არ წარმოადგენდა; მათ ყველაზე უფრო ადვილად შეეძლოთ წამოეყენებინათ საზოგადოებრივი წყობილების სრული გარდაქმნის იდეა. ისინი ყველაზე მეტად განიცდიდენ ექსპლოატაციას და მათ მეტი საფუძველიც ჰქონდათ მდიდრებისადმი მტრობისათვის.

მატყლის მრეწველობა ყველა სხვა დარგზე მაღლა იდგა თავის ძალთა სრულყოფილი განვითარებით. იმ დროს ყოველი ქალაქი თავის თავად საზოგადოებას წარმოადგენდა. მდიდარ ქალაქებში კი, ე. ი. ისეთ ქალაქებში, რომლებიც დასავლეთ ევროპის მსოფლიო ბაზარს ემსახურებოდენ მთელს სივრცეზე ინგლისიდან კონსტანტინოპოლამდე და ნოვგოროდამდე, მატყლის მრეწველობა უმთავრეს როლს თამაშობდა ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებაში. მატყლის მრეწველობაზე, ე. ი. ბოლოს და ბოლოს ამ მრეწველობის მუშებზე იყო დამოკიდებული ამ ქალაქთა ძალა და სიმდიდრე.

მაგრამ არა თუ მხოლოდ თავისი ეკონომიური მნიშვნელობით, არამედ აგრეთვე მუშათა, უმთავრესად ფეიქარ მუშათა რიცხვით, მატყლის მრეწველობა დიდ ძალას წარმოადგენდა იმ ქალაქებში, სადაც ეს დარგი განვითარებული იყო. ჩვენ მატყლის ფეიქარ მუშათა მაშინდელი ციფრები უმნიშვნელოთ მოგვეჩვენება, მაგრამ იმ დროის პირობებში, საშუალ-საუკუნეების პატარა ქალაქებში, მატყლის მრეწველობა კოლოსსალურ მუშათა მასსებს იტევდა.

ბრესლავლში 1333 წელს ფეიქრები 900 კარგათ შეიარაღებული კაცით გამოვიდენ. კელნიდან, ერთი აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, განდევნილ იქნა 1.800 ფეიქარი. მაგრამ განსაკუთრებით დიდი იყო მათი რიცხვი ნიდერლანდში. 1350 წ. ლიეჟში 400 საქსოვი დაზგა ითვლებოდა, ამდენივე იპერნში და 3.200—მეხელნში. 1326 წ. გენტიდან ერთბაშათ 3.000 ფეიქარი განდევნეს ფლანდრიელ გრაფების წინააღმდეგ აჯანყების განზრახვისათვის. მე-XIV საუკუნის მეორე ნახევარში იმავე ქალაქში 18.000 მაუდის მწარმოებელი მუშა იდგა იარაღით ხელში. ბრიუგგეში ხელოსნობის აყვავების ხანაში 50.000 კაცი მუშაობდა მატყლის წარმოებაში. [1])

აქა იქ თავმოყრილი ფეიქართა მასსები დიად რევოლიუციონურ ძალას შეადგენდენ. საკვირველიც არ არის, რომ ტრუდოს საბბატოს ქრონიკის სიტყვით ფეიქრები ყველა სხვა ხელოსნებზე უფრო თავხედი და გამბედავი ხალხი იყო.

თუ ყველა ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, ჩვენთვის გასაგები გახდება, თუ რატომ სწორეთ მატყლის მრეწველობა შეიქნა რეფორმაციის ეპოქის სოციალ-რევოლიუციონურ მისწრაფებათა კერა; რომ ყოველთვის, როდესაც კი გაჩაღდებოდა ბრძოლა არსებულ სახელმწიფოებრივ თუ საქალაქო საზოგადოებრივ წყობილების წინააღმდეგ, ფეიქრები მუდამ პირველ რიგებში დგებოდენ; რომ ისინი ყველაზე უფრო ადვილათ ითვისებდენ იმ მიმართულებას, რომელიც ომს უცხადებდა მთელს არსებულ საზოგადოებრივ წესწყობილებას; რომ ფეიქრებს, თითქმის ყოველთვის კავშირი ჰქონდათ საშუალ-საუკუნეების დამლევისა და რეფორმაციის ეპოქის ყველა კომუნისტურ მოძრაობასთან, რამდენადაც ამ მოძრაობებში პროლეტართა კლასსი იღებდა მონაწილეობას.

---

[1]) Hildebrand, loc. cit. გვ. 83, შეად. აგრეთვე D-r H. Grathe, Bilder und Studien zur Geschichte vom Spinnen, Weben, Nähen. ბერლინი 1875, გვ. 71 და შემდეგი.

„ტყვილათ კი არ ხმარობენ ჩვეულებრივ საუბარში „მქსოველის“ ცნებას იმავე მნიშვნელობით, როგორც „შეთქმულს“, და დაზგაზე ქსოვის მხატვრული სახით სარგებლობენ, როდესაც სურთ გამოსთქვან, თუ როგორ საადუმლოთ და ნელ-ნელა იბმება პოლიტიკური არეულობის ქსელი“—ამბობს შმოლლერი. [1])

„მაუდის მწარმოებელთა ამქრებს იმ დროს ისეთივე მდგომარეობა ეჭირათ, როგორიც, ზოგიერთის აზრით, „მუშათა“ პრივილეგიურ კლასს ეჭირა 1848 წელს“,—ამბობს ჰილდებრანდი. [2])

---

[1]) Schmoller, loc. cit., გვ. 465.
[2]) Hildebrand, loc. cit. გვ. 115.

ნაწილი მეორე.

კომუნისტური სექტები საშუალო საუკუნეებში.

თავი პირველი.

საშუალ-საუკუნეთა კომუნიზმის საერთო ხასიათი.

I. მონასტრული კომუნიზმი.

რომის მსოფლიო იმპერიის ცივილიზაციას არც ერთ კულტუროსან ქრისტიანულ-გერმანულ ქვეყანაში ისე ღრმად არ გაუდგამს ფესვი, როგორც იტალიაში და სამხრეთ საფრანგეთში. ხალხთა გადასახლებას აქ ყველაზე ნაკლებ დაუზიანებია და გაუწყვეტია მონაცვლეობითი კავშირი რომის ცივილიზაციასთან; ამავე ქვეყნებმა დაიცვეს და განაგრძეს ხშირი მისვლა-მოსვლა აღმოსავლეთის იმ ქვეყნებთან, რომელნიც შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე იდგენ: ეგვიპტე, სირია, მცირე აზიასა და კონსტანტინოპოლთან. იტალიაში და სამხრეთ საფრანგეთში სავსებით არ მიმქრალა ქალაქური ყოფაცხოვრება თვით უბნელეს ბარბაროსობის ხანაშიაც, რომელიც უშუალოდ ხალხთა გადასახლებას მოჰყვა. ამ ქვეყნების ქალაქებმა შედარებით სწრაფათ აიღორძინეს თავისი სიმდიდრე და ძალა, და საქონლის მეურნეობით შექმნილი საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი ამ ქვეყნებში გამომჟღავნდა ყველაზე უფრო მკაფიოდ ან, შეიძლება, საშუალო საუკუნეებმა აქ გადმოიღეს უშუალოთ ძველი დროისაგან ეს წინააღმდეგობანი.

ევროპის ამ ქვეყნებში პროლეტარიატიც არ გამქრალა სავსებით. იტალიის და სამხრეთ საფრანგეთში ის ყველაზე უფრო ადრე გადაიქცა საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაჩინო ფაქტორად და სავსებით გასაგებია, რომ მის წრეებში წარმოიშვა საშუალ-საუკუნეების პირველი კომუნისტური მოძრაობები.

იტალიის და სამხრეთ საფრანგეთის იმ დროის საქალაქო წყობილებას დიდი მზგავსება ჰქონდა ძველი რომის ქალაქთა წყობილე-

ბასთან; სამხრეთ ევროპის ქვეყნებმა განსაკუთრებით მკვიდრათ და ხანგრძლივათ შეინახეს რომის ეპოქის ტრადიციები. ამის გამო აქ აღმოცენებული პროლეტარული კომუნიზმი იმ ფორმებს მიმართავდა, რომელიც რომის იმპერიის დაცემის ხანიდან დარჩა. პროლეტართა ოპპოზიციამ ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ მონასტრული ხასიათი მიიღო; იტალიაში და სამხრეთ საფრანგეთში ეს ფორმა მან მხოლოდ XIX საუკუნეში დასძლია.

მაგრამ ომისათვის, რომ ეს მონასტრული ხასიათი გავიგოთ, ჩვენ ერთხელ კიდევ თვალი უნდა გადავავლოთ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებს. ჩვენ დავინახეთ, რომ პირველადელი ქრისტიანობის მისწრაფება კომუნიზმის შემოღებისაკენ ყოველთვის მარცხით თავდებოდა იმ დროის საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა გამო. მაგრამ ჩვენ ისიც დავინახეთ, რომ სწორეთ ის პირობები, რომელიც უშლიდა კომუნიზმს მთელი საზოგადოების მდგომარეობად გადაქცეულიყო, კვლავ და კვლავ პროლეტარიატს ჰბადებდა და, მაშასადამე, კვლავ კომუნისტურ დაწესებულებათა საჭიროებას ქმნიდა.

რაც უფრო ვრცელდებოდა ქრისტიანობა, მით უფრო აშკარად იღებდა იგი ხელს კომუნიზმის სრულს განხორციელებაზე. მაგრამ ამავე დროს მით უფრო ძლიერდებოდა მისწრაფება თვით ქრისტიანობაში ცალკე კომუნისტურ კორპორაციების შექმნისაკენ.

ამგვარ კორპორაციების პროტოტიპად ცნობილ იქნა ერთად-ერთი ქონების ერთობაზე დამყარებული კომუნისტური ორგანიზაცია, რომლის ნაშთი მაინც არსებობდა იმ დროს: ო ჯ ა ხ ი ან, უფრო სწორად, ს ა ო ჯ ა ხ ო თ ე მ ი. ძველს დროში, და შემდეგაც—იმპერიის ხანაში, თვითეული სასოფლო-სამეურნეო წარმოება დამოუკიდებელს და კარჩაკეტილ ერთეულს წარმოადგენდა; იგი თვითონ ამზადებდა საკუთარ მოხმარებისათვის საჭირო მთავარ საგნებს და მხოლოდ ნაჭარბს ჰყიდიდა, როგორც საქონელს. თავდაპირველად ასეთი წარმოებანი მხოლოდ საოჯახო თემები, 40-50 კაცისაგან შემდგარი ოჯახები იყო. მათი წყობილება კომუნისტური იყო, წევრები საზიაროთ ჰფლობდენ და სარგებლობდენ წარმოებისა და მოხმარების ყველა საშუალებებს. უფრო დიდი ზომის სასოფლო—სამეურნეო წარმოებას მსხვილი მონათმფლობელური მეურნეობა წარმოადგენდა. მხოლოდ ზოგიერთი ასეთი მეურნეობა იყო პლანტაცია, რომელზედაც ერთი რომელიმე პროდუქტი, მაგ., ხორბალი, მოყავდათ. მეტ წილად კი თემში არა მარტო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის პროდუქტებს, და მათ შორის მუშათა სარჩენ პროდუქტებს, ამზა-

დებდენ, არამედ საქონლადაც გადაამუშავებდენ ხოლმე (გასაკუთრებით ზამთრობით) სასოფლო-სამეურნეო ნედლ მასალას.

სრულიად ბუნებრივია, რომ როდესაც სოფლად კომუნისტური მისწრაფებები წარმოიშვა, წარმოების მოწყობა კომუნისტებმა ამ დამოუკიდებელ საოჯახო თემების დაგვარად დაიწყეს. მაგრამ კომუნისტური წარმოების მონაწილეებს ნათესაობა კი არ აერთიანებდა, როგორც ოჯახს, და არც გარეშე იძულებითი ძალა, არამედ საერთო კომუნისტური რწმენა, ინტერესთა ერთობა, გარკვეული წესები და ფიცი.

ამგვარ ხელოვნურ კომუნისტურ კავშირებს წარმოადგენდა ესსეიების ახალშენები, რომლებიც ებრაელთა სახელმწიფოსთან ერთად დაიღუპენ.

პირველი ქრისტიანები დიდ ქალაქებში ცხოვრობდენ, სადაც ამგვარ თემების შექმნას ხელს არ უწყობდა არც იმ დროის წარმოების წესი,— დაქსაქსული ხელოსნობა,— და არც პოლიტიკური პირობები, რომელიც მათ საიდუმლო ორგანიზაციების შექმნას აიძულებდა. კომუნისტურ თემების არსებობის შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ შეიქმნა, როდესაც ქრისტიანობა (მე-IV საუკუნეში) სახელმწიფოებრივ რელიგიად გადაიქცა და როდესაც ქრისტიანებს მთელს რომის იმპერიაში ორგანიზაციის უფლება მიეცა.

ამ დროს სწრაფად აღმოცენდა მრავალი ქრისტიანული კომუნა, მ ო ნ ა ს ტ რ ე ბ ი.

საოჯახო კომმუნების წევრთა, ბერ-მონაზვნების, მთავარ კონტინგენტს მოსახლეობის ის წრეები იძლეოდა, საიდანაც წინეთ პირველი ქრისტიანეები გამოდიოდენ. ეს იყო, ერთის მხრით, მდიდარი კაცები, რომელთაც სიძულვილი უგრძვნიათ სიმდიდრისა და იმ საზოგადოებისადმი, რომელშიაც ისინი ტრიალებდენ. მეორეს მხრით კი, უმრავლესობა, ღარიბი ხალხი; ის მონასტრებში ეძებდა თავშესაფარს, რომელიც „საერო", ე. ი. სამოქალაქო საზოგადოებაში ვერ ეპოვნა. „ახლა,—სჩივოდა ნეტარი ავგუსტინე, -ღვთის მსახურებას მიმართავენ მეტ წილად მონები, აზატები, ღვთის გულისთვის განთავისუფლებული კაცნი, გლეხები, ხელოსანნი და სხვა ამგვარი მდაბიონი". [1])

ოჯახს მრავალნაირი საშუალებით შეუძლია იშოვოს თავისი სარჩო: შრომით, მოწყალების თხოვნით, ექსპლოატაციით. მონასტრებიც მრავალგვარი ხერხით სარგებლობდენ ცხოვრების სახსრის

[1]) De opere Monachorum, c. 22. ციტატა ამოღებულია I. C. L. Giesele r-იდან: Lehrbuch der Kirchengeschichte, 3 გამოც., გვ. 545.

მოსაპოებლად. ზოგიერთ მონასტერში მისი წევრთა უმრავლესობის, ბოგანო-პროლეტარების მიდრეკილება იმარჯვებდა და მაშინ ეს მონასტრები მოწყალების თხოვნას მიმართავდენ. ზოგიერთი მონასტერი უფრო ბედნიერი იყო: ჰყავდათ მდიდარი წევრები ან მფარველნი, რომელნიც ასაჩუქრებდენ მათ ფულით თუ ქონებით, მონებით თუ კოლონებით და ამ ხალხის ექსპლოატაციით ცხოვრობდენ კეთილმორწმუნე ბერები.

მაგრამ მონასტრების უმეტესი რიცხვი ღარიბ წევრთა კავშირებს წარმოადგენდა; კავშირი იმისთვის შეედგინათ რომ საერთო ძალღონით თავი უკეთ ერჩინათ. ასეთი მონასტრები, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანად, თავის წევრთა ფიზიკური შრომით არსებობდა.

პირველი მონასტრები მეოთხე საუკუნეში, რამდენადაც ცნობა მოგვეპოება, პირდაპირ მოითხოვდენ, რომ წევრებს ფიზიკურად ემუშავნათ. ამასვე მოითხოვდენ იმ დროის განთქმულ მონასტრების დამაარსებელნი: ანტონი, პახომი, ვასილი (მეოთხე საუკუნეში) და ბენედიქტე ნურსიელი,— ბენედიქტეს ორდენის დამაარსებელი (მეექვსე საუკუნის დასაწყისში).

პირველად ყოველ წევრს უფლება ჰქონდა განთავისუფლებულიყო სურვილისამებრ თემის წევრობისაგან; ჩაცმულობითაც არ განსხვავდებოდენ ბერები დანარჩენი მოსახლეობისაგან.

თავისი განვითარების ამ საფეხურზე მონასტრებს, ხასიათით და მიზნებით, ბევრი საერთო რამ ქონდათ ჩვენი დროის მუშათა საწარმოო ამხანაგობებთან. როგორც მონასტრები, ისე საწარმოო ამხანაგობანი ცდილობდენ განსაზღვრულ ვიწრო სფეროში გადაეწყვიტათ თავ-თავისი დროის „სოციალური საკითხი“ მხოლოდ თავის წევრთა ძალითა და ღონით.

მაგრამ ამ მზგავსებასთან ერთად მათ შორის დიდი განსხვავებაც არის რომის და თანამედროვე საზოგადოებათა სხვადასხვაობასთან დაკავშირებით.

წარმოების კაპიტალისტურმა წესმა თითქმის მთელი წარმოება საქონლის წარმოებათ გადააქცია. ამიტომ საწარმოო ამხანაგობებიც იძულებული არიან საქონელი ამზადონ. მოხმარების საგნებს ისინი ბაზრისთვის ამზადებენ და არა თავისთვის; ამის გამო იძულებული არიან ებრძოლონ რისკს და იმ გამრყვნელ გავლენას, რომელსაც მათზე კონკურენციის სისტემა და მასთან დაკავშირებული კრიზისები ახდენს.

სანამ კაპიტალისტური წარმოება განვითარდებოდა სასოფლო-

სამეურნეო წარმოება უმთავრესად საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე იყო მიმართული. თვითეული გლეხის კომლი და თვითეული მემამულის მეურნეობა ყველაფერს ამზადებდა რაც მას სჭიროდა და მხოლოდ ნაჭარბს ასაღებდა ბაზარზე, როგორც საქონელს. ასეთი იყო წარმოება მონასტრებშიაც. ხოლო როდესაც ზედმეტი ნაწარმოები გაჩნდა და მონასტერი ბაზარს, გარეშე სამყაროს დაუკავშირდა, დაიბადა დიდი ცთუნება, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში ცოდვა მოსდევდა. ნაჭარბი პროდუქტი ღარიბებს უნდა რგებოდა, მაგრამ მონასტრებისათვის უფრო ხელსაყრელი გახდა მისი გაყიდვა და მონაგების თავისთვის გამოყენება.

საშუალ-საუკუნეების მერმინდელ ხანაში, როდესაც ქალაქში მრეწველობა განვითარდა, მონასტრების საბაზრო წარმოებას სასტიკი მეტოქეობა შეეძლო გაეწია ხელოსნებისათვის. მაგრამ მთავარ საქმეთ მაინც საკუთარ მოხმარების საგანთა წარმოება დარჩა. მონასტრებში იგი მეტ ხანს, ვიდრე სადმე სხვაგან, უწევდა წინააღმდეგობას თანდათან განვითარებულ კაპიტალიზმის გავლენას; ყველაზე დიდ ხანს მონასტრებში შეინარჩუნა მეურნეობამ ნატურალური ფორმა. მეურნეობის ამ სისტემისაგან გამომდინარეობდა მონასტრების კონსერვატიზმიც, მისი მყარი მდგომარეობაც და მისი უნარი წინააღმდეგობის გაწევისა, –ის თვისებები, რომელსაც თანამედროვე საწარმოო ამხანაგობებში ვერ ვიპოვით.

მეორე დიდი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი დროის საწარმოო ამხანაგობანი ემყარებიან არა მოხმარების, არამედ წარმოების საშუალებათა საერთო საკუთრებას. მონასტრებში კი პირიქით, მთავარ როლს საერთო ყოფა-ცხოვრება და საერთო საშინაო მეურნეობა „Haushalt, Домоводство“ თამაშობდა, ხოლო წარმოების საშუალებათა საერთო საკუთრებას მეორე ხარისხის მნიშვნელობა ქონდა: ის სხვათა შორის არსებობდა,— მხოლოდ იმიტომ რომ უამისოდ კომუნისტური საშინაო მეურნეობა საკმაოთ მკვიდრი არ იქნებოდა; გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ საერთო საშინაო მეურნეობა ვერ ეგუება კერძო, ინდივიდუალურ საკუთრების უფლებას წარმოების საშუალებებზე და სადაც კერძო საკუთრება ყოფილა, იქ საერთო საშინაო მეურნეობას დიდი ხანი არ უხეირნია. სოფელშიაც საშინაო მეურნეობა და საერთო წარმოება განუწყვეტლად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

არსებობს კიდევ ერთი განსხვავება თანამედროვე საწარმოო ამხანაგობებსა და მონასტრებს შორის. პირველნი (საწარმოო ამხანაგობანი) არ ეწინააღმდეგებიან წევრთა მონოგამიურ ქორწინე-

ბას და ოჯახიანობას. მონოგამიური საქორწინო კავშირი ადვილად ეგუება წარმოების საშუალებათა საერთო საკუთრებას. მაგრამ ყოვლად შეუძლებელია იგივე ვთქვათ მოხმარების საშუალებათა საერთო საკუთრებაზე. ამიტომ ბერს ან მონაზონს არ შეუძლია საკუთარი ოჯახი ქონდეს,—მას მხოლოდ თემთან უნდა ქონდეს კავშირი. მაგრამ მონასტრები ამით არ დაკმაყოფილდენ. პირველყოფილი, ბუნებრივად განვითარებული საოჯახო თემი არ ეწინააღმდეგებოდა მისი წევრების დაქორწინებას. მაგრამ ასეთი თემის მთლიანობა ემყარებოდა ნათესაობას, ათას წლოვან ჩვეულებით განმტკიცებულს, და არა ამას წინათ შემოღებულ ხელოვნურ წესებს, და არსებობდა ისეთ საზოგადოებაში, რომელშიაც ჯერ არ განვითარებულა კერძო საკუთრება,—ყოველ შემთხვევაში წარმოების უმთავრეს საშუალებათა მიმართ. მონასტრები კი პირიქით იმ ეპოქაში არსებობდენ, როდესაც კერძო საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება სავსებით ჩამოყალიბებული იყო და რა უდაბნოშიაც არ უნდა დამალულიყო მონასტერი რათა სამოქალაქო ყოფა-ცხოვრებას დაშორებოდა, სულ ერთია ხომ მაინც ამ საზოგადოების სფეროს ვერ გასცილდებოდა. მონოგამიური ქორწინების ნებადართვით ბოლო მოეღებოდა მათ კომუნიზმს ისევე, როგორც წინეთ, პირვანდელ ქრისტიანულ თემებშიაც ამ ქორწინებამ მოსპო მათი კომუნიზმი.

თუ მონასტრებს სურდათ კომუნიზმის შენარჩუნება და თავის დაცვა, მათ სხვა გზა არ რჩებოდათ გარდა ქორწინების უარყოფისა.

ლიბერალური განმანათლებლობა ბერ-მონაზვნების უქორწინობას სრული იდიოტიზმის შედეგად სთვლის. მაგრამ, როდესაც ისტორიკოსს გაუგებრად ეჩვენება ესა თუ ის მასსიური ისტორიული მოვლენა, ის უფრო წესიერად მოიქცეოდა, რომ ამის მიზეზად სინამდვილის არა საკმარისი ცოდნა მიეჩნია და დამატებითი კვლევა-ძიებისათვის მიემართა, იმის მაგიერ რომ მასსების სიტუტუცე იმიზეზოს, თუმცა, რა თქმა უნდა, უკანასკნელი გზა ბევრად უფრო ადვილია და თვით ისტორიკოსის განდიდებასაც ხელს უწყობს. ბერ-მონაზვნების უქორწინობა სრულიად არ ამტკიცებს მონასტრების დამაარსებელთა იდიოტობას: ის მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ეკონომიური დამოკიდებულებანი გარკვეულ პირობებში ბუნების კანონებზე უფრო ძლიერი ხდება.

მაგრამ უქორწინობა ხომ მაინცა და მაინც უბიწოებას არ გულისხმობს. უქორწინობა, როგორც ჩვენ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება ქორწინების გარეშე სქესობრივ ურთიერთობასთან იქნეს შეთავსებული. ამ გამოსავალს ეძებდა პლატონი. მაგრამ რომის სა-

ზოგადოებაში ქორწინებას მეტად ღრმათ ქონდა ფესვი გამდგარი, რომ მონასტრებისათვის ეს გამოსავალი შესაძლებელი ყოფილიყო. მონასტრები მით უფრო ადვილად შეურიგდენ უბიწოების მოთხოვნილებას, რომ მათი ეპოქის საერთო მონანიების სულის კვეთება ხელს უწყობდა ასკეტიზმის ტენდენციებს.

ჩვენ მიერ გამოთქმული აზრი, რომ უქორწინობა მონასტრებში მოხმარების კომუნიზმით იყო გამოწვეული, იმით მართლდება, რომ, თუ დავაკვირდებით, ეს ორი მოვლენა მუდამ ერთი მეორეს გვერდით არსებობდა: ძველს დროში ეს ჩვენ პლატონს და ესსეიებს შევამჩნიეთ. სხვა მაგალითებისათვის ჩვენ შეგვიძლია შეერთებული შტატების იმ კოლონიებს მივმართოთ, სადაც მე-XVIII საუკუნის დამლეგში და მე-XIX საუკუნის დასაწყისში პრიმიტიული კომუნიზმის შემოღების რამოდენიმე ცდა მოხდა. ცხადია ისინი დიდათ განსხვავდებიან იმ კოლონიებისაგან, რომელშიაც უახლესი უტოპისტების იდეებს უნდა შეესხა ხორცი: ოვენი, ფურიე და კაბე უკვე კაპიტალისტური წარმოების შემეცნებას ემყარებოდენ და ამიტომ თავის ცდებს წარმოების საშუალებათა კომუნიზმი ჩაუდვეს საფუძვლად.

პირველი სახის კომუნიზმის ჩამორჩენილობა მეორესთან შედარებით უკვე იმიდან სჩანს, თუ როგორი დამოკიდებულებაა რელიგიასთან ამ ორ შემთხვევაში. იმ კომუნისტური თემებისათვის, რომელზედაც ჩვენ აქ ლაპარაკი გვაქვს, რელიგია სრულიადაც არ წარმოადგენდა კერძო საქმეს. ისინი ჯერ იმ საფეხურზე იდგენ, რომელზედაც სოციალური პრინციპები ჯერ რელიგიურ სამოსელშია. გახვეული; ამიტომ ამ თემების წეერობა გარკვეულ რელიგიურ დოგმების გაზიარებას გულისსმობდა.

ჩ ა რ ლ ზ ნ ო რ ჰ ო ფ მ ა [1]) თავის წიგნში შეერთებული შტატების კომუნისტურ თემების შესახებ სხვადასხვა რელიგიურ-კომუნისტური კოლონია აგვიწერა. ეს კოლონიები სხვადასხვა გზით ვითარდებოდენ და სხვადასხვა პიროპებში აღმოცენდენ, სრულიად დამოუკიდებლად ერთმანეთისაგან. მაგრამ მიუხედავათ ამისა ა რ ც ე რ თ ი არ არის მათ შორის ისეთი, რომელიც მტრულად არ იყოს განწყობილი ქორწინებისადმი. აღნიშნულ პირობებში ასეთი თანხმობა შემთხვევითად ვერ ჩაითვლება.

მართალია, ორ სექტაში, სახელდობრ, ამანის თემში (დაარსდა 1844 წ.) და სეპარატისტებთან ქორწინება ნებადართულია; მაგრამ

[1]) The communistic Societies of the United States, from personal visit and observation. ლონდონი 1875.

უქორწინობას ისინი უმაღლეს და ღირსეულ მდგომარეობად აღიარებენ. ზოარის სეპარატისტებმა (დაარსდა 1817 წ.) ჯერ აკრძალეს ქორწინება, შემდეგ კი, 1830 წელს, ნება დართეს. მაგრამ თორმეტ მუხლიდან, რომელშიაც გამოთქმულია სეპარატისტების პრინციპები, ერთში (მე-9 მუხ.) ნათქვამია: „ისეთი სქესობრივი დამოკიდებულება, რომელიც საჭირო არ არის მოდგმის გაგრძელებისათვის ჩვენ ცოდვად და საღვთო მცნების შემლახველ მოქმედებად მიგვაჩნია. სრული უბიწოება ბევრად უფრო მოსაწონია, ვიდრე ქორწინება“ (op. cit. გვ. 104).

სხვა სექტები ქორწინებას პირდაპირ კრძალავენ. რაპპისტებთან ის ჯერ ნებადართული იყო (1803 წ.), მაგრამ 1807 წ. იმ აზრს დაადგენ, რომ ქორწინება მავნებელია. 1832 წ. 250 რაპპისტი, რომელმაც უქორწინობა ვერ აიტანა, მთავარ თემს გამოეყო და საკუთარი დაარსა. ეს თემი მალე დაიღუპა, საკუთრება დანაწილდა ცალკე ოჯახებს შორის.

შეკერები,—ამერიკის უძველესი კომუნისტური სექტა, ჯერ მე-XVIII საუკუნეში დაარსებული—თავის ხუთ მთავარ პრინციპიდან უმთავრეს პრინციპად კომუნიზმს სთვლიან, შემდეგ კი—უქორწინობას (ცელიბატს).

მხოლოდ ერთ სექტას, რომელიც აგრეთვე უქორწინობას მოითხოვდა, უცდია ამის განხორციელება არა ცელიბატით, არამედ პლატონის წესით, რაიც კიდევ უფრო არ ეგუება თანამედროვე აზროვნებასა და გრძნობებს, ვიდრე მუდმივი უბიწოება. ეს იყო ონეიდის და უოლინგფორდის პერფექციონისტთა სექტა, 1848 წელს დაარსებული. პერფექციონისტების აზრით ქრისტე მარტო დოვლათის საზიარობას როდი ქადაგობდა: ის მოითხოვდა ადამიანთა საზიარობასაც. არავის არ აქვს უფლება მეორე პირთან იცხოვროს მისი ნების წინააღმდეგ; მაგრამ ორი პირის ერთმანეთის „განსაკუთრებული კერპთმთაყვანისცემლური შესაკუთრება“ მათ ცოდვად და ეგოიზმად მიაჩნიათ და სადაც ასეთი კავშირი აღმოჩდება, მათი აზრით იგი უნდა მოისპოს „კრიტიკის“ და სხვა ზომების საშუალებით. ბავშვთა ჩასახვას ამ სექტაში თვით საზოგადოება აწესრიგებს, როგორც პლატონის სახელმწიფოში. ეს საქმე „მეცნიერულ პრინციპებზეა“ დამყარებული. (op. cit. გვ. 276).

აღსანიშნავია, რომ ეკონომიურად და ინტელექტუალურად პერფექციონისტები ამერიკის სხვა პრიმიტიულ-კომუნისტურ სექტებზე ბევრად უფრო მაღლა დგანან. ეს ერთად ერთი სექტაა, რომელსაც წე-

სიერი ბუხჰალტერია აქვს და რომელიც ინტერესს იჩენს ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი.

როდესაც ცივილიზაცია მათ კარზე მოადგათ, ისინი იძულებული გახდენ ეს თავისი ოჯახის სისტემა საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნილებასთან შეეთანხმებინათ. 1879 წ. თემის დამაარსებელმა და თავმჯდომარემ ჯ. გ. ნოიესმა თემის წევრებს წერილით მიმართა, რომელშიაც შემდეგი წინადადებები წამოაყენა:

„1. ჩვენ უნდა უარვყოთ კომუნისტური ოჯახის პრაქტიკა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მისი განხორციელება საეჭვოთ მიგვაჩნია, არამედ იმისთვის რომ უნდა დავემორჩილოთ მის წინააღმდეგ მიმართულ საზოგადოებრივ აზრს.

„2. ჩვენ ვდგებით არა შეფერების თვალსაზრისზე (რომელნიც ყველასათვის ცელიბატს მოითხოვენ), არამედ მოციქულ პავლეს თვალსაზრისზე, რომლის თანახმად ქორწინება შესაძლებელია, მაგრამ უქორწინობა უმჯობესია.

„თუ თქვენ ამ ცვლილებას დაეთანხმებით, თემი ამიერიდან ორი კლასისაგან შესდგება: დაქორწინებულთა და უქორწინოთა. ორივეს ექნება უფლებები, მაგრამ უკანასკნელთ უპირატესობა მიენიჭება.

„ამ ცვლილების შემდეგ ჩვენი კომუნიზმისაგან შემდეგი დარჩება:

„1. ჩვენი ქონება და წარმოებანი ძველებურად საერთო საკუთრებაში დარჩება.

„2. ჩვენ ძველებურად საერთო მეურნეობას გავწევთ და საერთო სუფრაზე ვჭამთ და ვსვამთ.

„3. ბავშთა აღზრდა საზოგადო იქნება, როგორც წინათ.

„4. მომავალშიაც გვექნება ყოველდღიური საღამოს კრებები და ავრეთვე ზნეობრივი და გონებრივი თვითგანვითარების ყველა საშუალება, რაიც კი ამჟამათ მოგვეპოება.

„5. ცხადია, რომ ეს კომუნიზმი საკმაოა ჩვენი ერთობისათვის".

მაგრამ ეს იმედი მალე დამარცხდა. თითქმის არავინ არ მოისურვა უბიწოთ დარჩენა. საზიარო ოჯახი დაიშალა, წარმოიშვა ბრავალი მონოგამიური კავშირი და მასთან ერთად ნიადაგი გამოეცალა მეურნეობის კუმუნიზმსაც.

თემის ახლანდელი პრეზიდენტი ვ. ა. გინდსი შემდეგს ამბობს ამის შესახებ:

„პირველი ნაბიჯი კომუნიზმის წინააღმდეგ მაშინ გადაიდგა, როდესაც „შენი" და „ჩემი" გაჩნდა ცოლისა და ქმრის მიმართ. ამან

ბუნებრივათ წარმოშვა განსაკუთრებული ინტერესი საკუთარ ბავშვებისადმი; შემდეგ დაიბადა მოთხოვნილება, რომ შესაძლებელი იყო საკუთრების შეძენა შვილებისათვის მოსახმარად"[1]).

1881 წელს ონეიდის თემი კომუნისტურ კავშირიდან სააქციო საზოგადოებად გადაიქცა; საზოგადოება დიდ წარმატებაშია, მაგრამ უკვე მარჯვეთ ეწევა მუშების ექსპლოატაციას. მუშაობს იქ 1.200-2.000 დაქირავებული მუშა; საზოგადოების „პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ წარმოებაში არ იღებს პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშებს" (Hinds, loc. cit. გვ. 227).

ამიდან სჩანს, თუ როგორ მჭიდროთ არის დაკავშირებული უქორწინობასთან ისეთი კომუნიზმი, რომელიც უწინარეს ყოვლისა მოხმარების კომუნიზმს წარმოადგენს.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უქორწინობა მონასტრებში ნაყოფი იყო არა ახირებულ ქინიანობის ან თვითწვალების გიჟურ ნდომისა, არამედ იმ მატერიალური პირობების, რომლებშიაც ეს ორგანიზაციები წარმოიშვა.

მაგრამ კიდევ ერთ რამეს გვასწავლის ამერიკის კომუნისტურ ახალშენების გაცნობა: კომუნიზმი ა რ ა ჩ ვ ე უ ლ ებ რ ივ გ უ ლ მ ო დ გ ი ნ ე ო ბ ა ს დ ა შ რ ო მ ი ს მ ო ყ ვ ა რ ე ო ბ ა ს ჰბადებს. ძნელი წარმოსადგენია იმაზე უფრო შეუსაბამო რამ, როგორც შიში, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში ხალხი არ იმუშავებსო. ეს ახრი დიდი ხანია გ ა მ ო ც დ ი ლ ებ ა მ გააბათილა.

ნორდოჰფის ხსენებული წიგნი, სხვათა შორის, რამოდენიმე საბუთს გვაძლევს ამ დებულების სისწორისა. „მე ხშირათ შევკითხებივარ,—გვიანბობს იგი,—რას უშვებიან ზარმაცებს? მ ა გ რ ა მ კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ თ ე მ ებ შ ი უ ს ა ქ მ ო მ ა წ ა ნ წ ა ლ ობ ა ა რ ა რ ს ებ ობ ს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ადამიანი ბუნებით არ არის ზარმაცი. „ზამთრის შეკერები"—მოხეტიალე ხალხია; როდესაც ზამთრის ცივი ამინდები მოახლოვდება, ისინი თავშესაფარს ეძებენ შეკერებთან ან სხვა თემში და ამბობენ, რომ თემში წევრად შესვლა უნდათ; ზამთრის დასაწყისში, როგორც შეკერების ერთმა მამასახლისმა მითხრა, ცარიელი კუჭით და ცარიელი ბოხჩებით მოგადგებიან კარზე შეკერებს, ხოლო ვარდები რომ გაფურჩქვნას დაიწყებენ, მიდიან სავსე კუჭით და დამძიმებული ბოხჩებით. მაგრამ ეს ჩამორჩენილი ხალხიც გეგმაშეზომილი მუშაობის და წესრიგის გაგლენას ემორჩილება და უყოყმანოთ ასრულებს თავის წილ სამუშაოს, სანამ თბილი გაზაფხულის მზე კვლავ თავისუფლებისაკენ არ გაიწვევს" (op. cit., ვგ. 395).

[1]) W. A. Hinds, American communities, Chicago 1908, ვგ. 213.

ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ მონასტრის დამაარსებელნი სერიოზულად მოითხოვდენ ფიზიკურ მუშაობას, და რომ ცნობები ბერმონაზონთა შრომის მოყვარეობის შესახებ მხოლოდ რეტორიკას არ მიეწერება, თუმცა კარგათ ვიცით, რომ შეთხზვისა და გადამეტების მბრით საეკლესიო რეტორიკა ძველადანვე ჩრდილში სტოვებდა ყოველ სხვა, თვით ადვოკატურ, რეტორიკასაც.

რა თქმა უნდა, ბერები აუტანელი შრომით თავს არ დაიტვირთავდენ. მაგრამ კაპიტალიზმის წინა ხანაში მუშებიც არ იყვნენ დატვირთული გადამეტებული შრომით. ბენედიქტინელთა ძონასტრებში, წმ. ბენედიქტე ნურსიელის წესით, ნორმალური სამუშაო დღე 7 საათს შეადგენდა (Ratzingez, geschichte der kirchlichen Armenpflege, გვ. 100). ყველა სათნო ქრისტიანეს ვურჩევთ ყურად იღონ ასეთი ნორმალური სამუშაო დღე.

კიდევ ერთ რამეს გვიჩვენებს ჩრდილოეთ ამერიკის პრიმიტიულ-კომუნისტური ახალშენები, სახელდობრ: სრულ ეკონომიურ უმჯობესობას ამგვარ საზოგადოებრივ ფორმებისას იმ საგლეხო და წვრილ-ბურჟუაზიულ ფორმებთან შედარებით, რომლის გარემოში წარმოიშვა ეს ახალშენები.

ამ მოვლენის მიზეზთა დაწვრილებითი გამოკვლევა ძლიერ დაგვაშორებდა მთავარ თემას[1]). ჩვენი მიზნისთვის ისიც საკმარისია, რომ ამ აზრს მშვენივრად ასაბუთებს ხსენებულ თემების წარმატება და კეთილდღეობა.

რომის იმპერიაში, იმპერიის დაცემის ხანაში, გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია იმდენად ძლიერი არ იყო, როგორც შეერთებულ შტატებში მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში და ამიტომ კომუნისტურ თემების ეკონომიური უპირატესობა მაშინ ძალიან მკაფიოთ სჩანდა. წვრილი გლეხური მეურნეობა აოხრებული იყო.

ლატიფუნდიალური მეურნეობაც განადგურებული იყო და მისი ადგილი კოლონატს, — პარცელარული მოიჯარადრეობის საცოდავ სისტემას ეჭირა. ეს სისტემა მონასტრულ საწარმოო ამხანაგობებზე ბევრად უფრო დაბლა იდგა. საკვირველი არ არის, რომ მონასტრე-

[1]) ნორდჰოფი ზემოხსენებულ თავის წიგნში, დაწვრილებით ეხება ამ საკითხს. მაგრამ, როგორც ვთქვით, ერთმანეთში არ უნდა ავრიოთ, ერთის მხრით, კომუნისტური ახალშენები გლეხთა და ხელოსნებისა, რომელნიც, კომუნიზმის წყალობით, ეკონომიურად უსწრებენ წვრილ გლეხობასა და წვრილ ბურჟუაზიას და, მეორეს მხრით, ის კომუნისტური ახალშენები, რომლებსაც განათლებული, უმთავრესად თავისუფალი პროფესიის, მოქალაქენი აარსებენ; უკანასკნელი სახის ახალშენებს ისეთი საზოგადოებრივი ფორმის შექმნა აქვს მიზნად, რომელიც უნდა სჯობდეს არა თუ გლეხურსა და წვრილ-ბურჟუაზიულს, არამედ სავსებით განვითარებულ

ბი სწრაფად მოეფინა ქრისტიანულ ქვეყნიერებას; მონასტრები იცავდენ რომის ტეხნიკისა და, საზოგადოთ, რომის კულტურის ნაშთს.

სრულიად გასაგებია აგრეთვე ისიც, რომ ხალხთა გადასახლების შემდეგ გერმანელი თავადები და სენიორები მონასტრებს ისეთ დაწესებულებებათ სთვლიდენ, რომლებსაც ყველაზე უკეთ შეეძლოთ წარმოების უმაღლესი ფორმების გავრცელება მათ სამფლობელოში; ამ მოსაზრებით მფარველობას უწევდენ მონასტრებს და ცდილობდენ ხელი შეეწყოთ მონასტრების დაარსებისათვის ისევე, როგორც მე-XVIII საუკუნეში ევროპის მონარქები უწყობდენ ხელს კაპიტალისტური მანუფაქტურების განვითარებას. ალპების სამხრეთით მონასტრების მიზანს შეადგენდა თავშესაფარის აღმოჩენა პროლეტარებისა და გაძვალტყავებულ გლეხებისათვის; ალპების ჩრდილოეთით კი მონასტრების მთავარ საზრუნავს სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება შეადგენდა.

მაგრამ სწორეთ თავისი ეკონომიური უპირატესობის წყალობით ყოველი მონასტერი, თუ იმ ეპოქის არეულობას გაუძლო, ადრე თუ გვიან სიმდიდრეს და ძლიერებას აღწევდა, რამდენათაც ეს თავიდანვე არ ქონდა მონიჭებული რომელიმე წარჩინებულ მფარველისაგან.

ხელის უფლება და სიმდიდრე კი სხვის შრომაზე ბატონობას ნიშნავს. ბერებმა და მონაზვნებმა თანდათან თავი დაანებეს პირად შრომას; მათ საშუალება გაუჩნდათ სხვისი შრომით ეცხოვრათ და, ცხადია, ამ შესაძლებლობით ისარგებლეს. მწარმოებელ თემებიდან მონასტრები ექსპლოატატორთა თემებათ გადაიქცენ.

ასეთია კომუნიზმის განხორციელების ყოველი ცდის საბოლოო ხვედრი, როდესაც მას კისრულობს მცირე კორპორაცია, კერძო საკუთრებასა და ექსპლოატაციაზე აგებულ საზოგადოებით

კაპიტალისტურ ფორმასაც. ასეთი ექსპერიმენტები ჩვეულებრივად დასაწყისშივე მარცხდება: იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმე მხოლოდ მოქალაქის შრომით შენდება, ის (მოქალაქე) კულტურის ცუდი პირობერი გამოდის სოფლის პირობებში. განსაკუთრებით უმოსახლო ქვეყანაში. მაგრამ რომც პირველი შებედვით, ასეთი ექსპერიმენტი მოხერხდეს, მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩება, რადგან, რა ზომ შესანიშნავად არ უნდა იყოს მოწყობილი ცალკე და დამოუკიდებელი კომუნისტური თემი, იგი ეკონომიურად მაინც ჩამორჩება კაპიტალისტურ საზოგადოებას, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ბატონობს: თანამედროვე საზოგადოებაში კომუნისტურ ახალშენს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია შეინარჩუნოს თავისი პოზიცია, თუ მისი წევრები გლეხის პირობებს შეეგუებიან და ხელს აიღებენ კაპიტალისტური საზოგადოების ყოველგვარ კულტურულ მონაგარზე.

გარემოცული. რა კომუნიზმსაც არ უნდა ანხორციელებდეს ასეთი კორპორაცია—წარმოების თუ მოხმარების, კომუნიზმს თუ ორიეეს ერთად—მას ერთი და იგივე ბედი მოელის. პირველი შემთხვევის შესახებ საწარმოო ამხანაგობათა ისტორია იძლევა მრავალ საბუთს, ხოლო მეორეს შესახებ—ამერიკის პრიმიტიულ-კომუნისტური ახალშენების ისტორია.

თუ ყველა აღნიშნული სახის კორპორაცია დღეგრძელობს და წარმოებას აფართოებს, ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც მუშებს ქირაობს იმის მაგიერ რომ თანასწორუფლებიან წევრებად მიიღოს ისინი და უზიაროს მათ თავისი მონაგარი.

ფიზიკური შრომისაგან თავის დახსნა არ გულისხმობს აუცილებლად ყოველგვარ შრომაზე ხელის აღებას. მონასტრებს გონებრივ სფეროში მუშაობის საშუალება აღმოუჩდა და ამ მხრითაც მათ ძალიან დიდი როლი ითამაშეს.

რა თქმა უნდა, თავდაპირველად მონასტრებს არავითარი მნიშვნელობა არ ქონდათ მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის. ყოფილ ხელოსნების, გლეხების, მონებისა და გუშინდელ ბოგანოთა მიერ დაარსებული საწარმოო ამხანაგობანი, ქალაქებისაგან დაშორებულ ადგილას მოსახლენი, სადაც სამოქალაქო ყოფა-ცხოვრებას და სახელმწიფოს არ შეეძლო მათზე გავლენა მოეხდინა,—ასეთ პირობებში მონასტრები არ წარმოადგენდა ნაყოფიერ ნიადაგს ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებისათვის. ხელოვნებისა და მეცნიერების ასპარეზად რომის იმპერიაში,—მაშინაც კი, როდესაც ქრისტიანობა უკვე სახელმწიფოებრივ რელიგიად იყო გადაქცეული,—ისევ ქალაქები რჩებოდა.

მაგრამ მას შემდეგ რაც მოისპო მონობა, რომელიც აუარებელ ჭარბ პროდუქტს იძლეოდა, თანდათან გაჰქრა არა მარტო ფუფუნება, არამედ მეცნიერებაც, ხელოვნებაც, ხელოსნობაც და, საზოგადოთ, ცივილიზაცია. სოფლის მეურნეობა, რომელიც უხეში კოლონების პრიმიტიულ საიჯარადრო მეურნეობად გადაგვარდა, უმნიშვნელო შემოსავალს იძლეოდა და ალაგ-ალაგ მთლათ დაიუღუპა. სოფლის მეურნეობის დაცემა კი ქალაქების დაცემასაც იწვევდა; მოსახლეობის რიცხვი და ნივთიერი შეძლებულება ქალაქებში კლებულობდა. ხალხთა გადასახლებამ ზოგიერთი ქალაქი მთლათ გაანადგურა, ზოგიც საშინლად დააქვეითა.

და აი მაშინ დადგა მონასტრების დრო. ამის წინა პერიოდში მათ თვალსაჩინო შეძლებულება მოიპოვეს. საუკეთესო და თითქმის ერთად ერთი თავშესაფარი ხელოვნებისა და მეცნიერებისათვის ეხლა

მონასტერი გახდა. მონასტრების არსებობა მეოთხე საუკუნეში დაიწყო; მაგრამ გონებრივი ცხოვრების ცენტრი მხოლოდ მეექვსე საუკუნის შემდეგ გადავიდა თანდათან მონასტრებში და ეს მდგომარეობა ქალაქთა აყვავებამდე არ შეცვლილა.

რა საკვირველია, ის პირნი, ვინც მონასტერში მხოლოდ ხელოვნებასა და მეცნიერებაში მეცადინეობის საშუალებას ეძებდა, ყოველთვის უმცირესობას შეადგენდენ მონასტრის მცხოვრებელთა რიცხვში. დიდი უმრავლესობა კი ექსპლოატაციით შექმნილ ხალვათობით და თავისუფალი დროით ძალიან ტლანქად სარგებლობდა: ბერების სიზარმაცე, გარყვნილება და ლოთობა არაკათ არის გადაქცეული.

ამასთან ერთად მეორე მოვლენაც ვითარდებოდა. როდესაც მონასტრის საწარმოო ამხანაგობა მდიდრდებოდა, იგი დანარჩენ მოსახლეობაზე მაღლა დგებოდა. მონასტერს მხოლოდ ისე შეეძლო დაეცვა თავისი პრივილეგიური მდგომარეობა, რომ ეთიშებოდა მოსახლეობის მასსებს, რომელიც ცდილობდა წილი მიეღო მის ეკონომიურ მონაპოვარში. როგორც წინათ მარკის თემები და ამქრები, და ზოგიერთი დაწინაურებული კომუნისტური კოლონია და საწარმოო ასოციაცია მე-XIX საუკუნეში, ისე გამდიდრებული მონასტრებიც განკერძოების სულით იმსჭვალებოდენ. მონასტერში შედგომის მსურველ ღარიბებს, მონასტერი ახლო არ იკარებდა, მაგრამ ამავე დროს ისეთ პირთ, რომელთა ქონების ან მდგომარეობისაგან მონასტერი რაიმე სარგებლობას გამოელოდა, იგი სიამოვნებით იღებდა. ჩვენ უკვე გავიგეთ, რომ რაც უფრო მდიდრდებოდენ მონასტრები, მით უფრო საწარმოო ამხანაგობებიდან ექსპლოატატორთა ამხანაგობებად იქცეოდენ ისინი; ახლა კი ისიც დავინახეთ, რომ ღარიბთა და ჩაგრულთა თავშესაფარის მაგიერ მონასტრები თავად-აზნაურთა უმცროს ვაჟებისა და გაუთხოვრად დარჩენილ ქალიშვილების მომვლელი დაწესებულება ხდებოდა. მაგრამ საწარმოო ამხანაგობათა და ღარიბ-დავრდომილთა დახმარების საჭიროება მაინც არსებობდა და ძლიერიც იყო მთელი საშუალო საუკუნეების განმავლობაში. ამავე დროს ერთად ერთი დაწესებულება, რომელსაც ამ საჭიროების დაკმაყოფილება შეეძლო იმ დროს, მონასტეი იყო. და, აი, მთელი ეპოქის განმავლობაში გვესმის ჩიეილი იმის შესახებ, რომ მონასტრებში დისციპლინა მოიშალა, და უზნეობა გამეფდა, და სწარმოებს ამ საქმის გამოსწორების მრავალი ცდა არსებულ ორდენებისა და მონასტრების გადახალისებით ან ახალთა დაარსებით.

ამ რეფორმის გატარების მეთოდები მრავალნაირი იყო. უმარტივესი და რეფორმატორებისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი მეთოდი იყო მონასტრების მთელი ზედმეტი ქონების კონფისკაცია. ამ მხრით განსაკუთრებით ისახელა თავი გერმანელმა იმპერატორმა ჰენრიხ მე-II-მ (1002 – 1024 წ.წ.) (შეადარეთ Lamprecht, Deutsche Geschichte, II, გვ. 280 და შემდეგი,[1]) და Giesebrecht, Deutsche Kaiserzeit, II, გვ. 84 და შემდეგი). საეკლესიო ქონების ეს დიდი კონფისკატორი წმინდანათ იქნა გამოცხადებული, – კეთილ-მორწმუნე კათოლიკეთა გამამხნევებელი ფაქტია.

მაგრამ რეფორმაცია ყოველთვის როდი იმარჯვებდა, რადგაან იმ დროის მებრძოლი ბერები ძალით იცავდენ თავის ტყავს. ზოგიერთი რეფორმის მოტრფიალე აბბატი მოკლულ იქნა ბერების მიერ ან მიგზავნილ მკვლელის ხელით.

მაგრამ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც რეფორმაცია იმარჯვებდა, ხეიირი ნაკლები გამოდიოდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ძველი მდგომარეობა ბრუნდებოდა.

იგივე შედეგი მოჰყვა ახალ სამონასტრო ორდენთა დაარსებას. რათა მონასტრებში ყოველივე საერო ელემენტი მოესპოთ, ორდენთა დამაარსებელნი სულ ახალ-ახალ წესებს, ანუ ებლა რომ იტყვიან, სამაგალითო წესდებებს თხზავდენ. ათასნაირი თვითწვალებით ცდილობდენ ყოველივე საერო სურვილის ხელოვნურად განდევნას. მძვინვარებდა ასკეტიზმი, სულ უფრო მკაცრი ხდებოდა იზოლიაცია გარეშე სამყაროსაგან. მაგრამ ბოროტების ფესვს ვერ მისწვდენ და არც შეეძლოთ მისწვდომილიყვნენ, ებრძოდენ მხოლოდ სიმპტომებს და ამიტომ ყოველგვარი წვალებლობა უნაყოფო, და საბედნიეროთ განუხორციელებელიც რჩებოდა.

განსაკუთრებით მრავალი ორდენი დაარსდა მე-XII და მე-XIII საუკუნეებში. ამავე ხანას ხვდა ესპანეთისა და სამხრეთ საფრანგეთის ქალაქთა სწრაფი ზრდა და გაძლიერება. მაგრამ ეკონომიური წარმატება პროლეტარიატის და, განსაკუთრებით, ლუმპენ-პროლეტარიატის ზრდას გულისხმობდა. უკანასკნელი ზოგიერთ ქალაქში იმდენად ძლიერი შეიქნა, რომ საზოგადოებრივი მოძრაობის გამოწვევა შესძლო. ეს მოძრაობა უწინარეს ყოვლისა იმაში გამოიხატა, რომ გაძლიერდა მისწრაფება ბერობისაკენ და ბერობამ ებლა უფრო პროლეტარული ხასიათი მიიღო, ვიდრე მე-VI საუკუნიდან მე-XI საუკუნემდე ქონდა. ახალი მიმდინარეობანი ბერობაში ყოველთვის კარგათ

[1]) არის რუსული თარგმანი К. Лампрехт.- История Германского народа. მოსკოვი 1894 წ., ტომი I, გვ. 522 და შემდეგი.

ან იყო განწყობილი გაბატონებულ ეკლესიისადმი. ხშირად კავშირს იპერდა ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ერეტიკულ მოძრაობებთან, ოომელიც დაახლოებით ამ დროს წარმოიშვა იტალიაში და სამხრეთ-საფრანგეთში.

მაგრამ პაპები ხშირად იმასაც ახერხებდენ, რომ ეს ბერულ-პროლეტარული ტენდენციები თავის სასარგებლოთ გამოეყენებიათ. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო დომინიკანელ და ფრანცისკანელ ბერ-მათხოვართა ორდენებმა. ლატერანის საეკლესიო ყრილობამ (1215 წ.) ახალ ორდენების დაარსება აკრძალა და ამით შეამცირა გადამეტებული „გრიუნდერობა". მაგრამ აკრძალვის უმალვე პაპამ დაარღვია ეს დადგენილება სწორეთ იმ დროს დაარსებულ დომინიკანელთა და ფრანცისკანელთა ორდენების სასარგებლოთ.

განსაკუთრებით დამახასიათებელია ფრანცისკანელთა ორდენის წარმოშობა. მისი დამაარსებელი ფრანცისკი ასსიზელი (დაიბადა 1182 წ.) მდიდარი ვაჭრის შვილი იყო. ჭაპუკობის ხანა მხიარულად გაატარა, მაგრამ შემდეგ, ჩვეულებრივი რეაქციის დროს, ზიზღი იგრძნო სიმდიდრისადმი და მისწრაფება ღარიბ-გლახაკთა დახმარებისათვის. მთელი თავისი ქონება გაჰყიდა, ფული ღარიბთ გაუნაწილა და გადასწყვიტა ამიერიდან თავი დაედო მათი სამსახურისთვის. ფრანცისკს მრავალი ამგვარადვე განწყობილი ამხანაგი მიემხრო; მათგან ფრანცისკმა ორდენი შეადგინა, რომელიც შეიძლებოდა საშიშარი გამხდარიყო მაშინდელ ხელის უფალთათვის და, განსაკუთრებით, უმდიდრესი ხელის უფალ ეკლესიისათვის. მაგრამ პაპობამ აიცდინა ეს საფრთხე; დემორალიზაცია შეიტანა ორდენში და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული იარაღი ეკლესიის დასაცავად მოიმარჯვა.

„ინნოკენტი მე-III ცდილობდა უძლური გაეხადა ეს რეფორმატორული, ეკლესიის გარეშე აღმოცენებული, მოძრაობა და ამას იმ საშუალებით აღწევდა, რომ მოძრაობას სცნობდა და ადგილს უჩენდა საეკლესიო ორგანიზაციაში. ბოლოს და ბოლოს გონიერ პაპას ზედმეტად არ მიაჩნდა ხალხთან კავშირის აღდგენა, რომელიც გამდიდრებულმა და გაძლიერებულმა სამღვდელოებამ გასწყვიტა; მეორეს მხრით ამ მათხოვარ-ბერებმა საბუთი მისცეს ეკლესიას იმის დასამტკიცებლად, რომ მოძრაობის იდეალების განხორციელება შესაძლებელია, თუნდაც საგანგებო ორგანიზაციის საშუალებით. ამ წესით იყო საჭირო ჯუბირის ამართვა საშიშარ სახალხო მოძრაობის წინაშე" [1]). ინნოკენტი III-მ 1215 წ. სიტყვიერი დასტური დასცა

[1]) F. Glaser, Die franziskaische Bewegung, Stuttgart 1903, გვ. 60.

ორდენის დაარსებას, ხოლო ჰონორი მე-III-მ 1223 წ.—წერილობითიც.

წმ. ფრანცისკი ფიქრობდა, რომ ორდენს გადაარჩენდა ინ ბედისაგან, რომელიც მის წინამორბედ ორდენებს ეწვია, — ექსპლოატატორთა ამხანაგობად გადაქცევისაგან. მან დაუსახა ორდენს მუდმივი სიღარიბის მცნება, რომელიც წინეთ საეალდებულო იყო მონასტრის ცალკე წევრებისათვის და არა თვით მონასტრისთვის მთლიანად. ამით ფიქრობდა ის ორდენის დაცვას გადაგვარებისაგან. ორდენს აღეკრძალა ქონების შეძენა და სამრეწველო საქმის წარმოება: მისი დანიშნულება მხოლოდ ღარიბ-აკათმყოფთა მოვლა-პატრონობა უნდა ყოფილიყო და ორდენი მხოლოდ შემოწირულებით უნდა დაკმაყოფილებულიყო.

მაგრამ სწორეთ იმის გამო, რომ ორდენს დიდი სარგებლობა მოქონდა სიღარიბესთან ბრძოლაში, ღარიბ კლასსთა ნდობას იმსახურებდა თავისი მოღვაწეობით, რევოლიუციონურ ვნებათა ღელვას ანელებდა და ეკლესიისადმი თანაგრძნობას აღვივებდა ღარიბ ხალხში, სწორეთ ამის გამო ორდენს მეტის მეტად უხვად დაუწყეს დასაჩუქრება. ჯერ კიდევ ფრანცისკის ცხოვრების დროს წარმოიშვა სურვილი იმ წესის გაუქმებისა, რომელიც ორდენს ქონების შეძენას უკრძალავდა. „მათხოვარ ბერთა ორდენის დიდმა დამაარსებელმა უკვე განისვენა ოქროთი და მარმარილოთი შემკულ საყდარში". (Gregorowius, Geschichte der Stadt Rom, V, გვ. 114. არის რუს. თარგმანი: Григоровиус, История гор. Рима, изд. Пантелеева). ოცი წელიწადიც არ გასულა ფრანცისკის სიკვდილის დღიდან (1226 წ.)—და ეს მისწრაფება იმდენად გაძლიერდა, რომ ინნოკენტი მე-IV-მ 1245 წ. შესცვალა წესი ქონების შეძენის შესახებ და დაადგინა, რომ ფრანცისკანელთ შეუძლიათ შეიძინონ ქონება არა საკუთრებად, არამედ მხოლოდ სამფლობელოდ და სასარგებლოდ; საკუთრების უფლება კი ორდენის ქონებაზე პაპს ეკუთვნის.

ამ დროიდან ფრანცისკანელთა ორდენმა (იგივე დაემართა დომინიკანელებსაც) სწრაფად გასწია იმ გზით, რომლითაც მისი წინამორბედი ორდენები დადიოდენ. ის ექსპლოატატორთა ამხანაგობად გადაიქცა. ნიდერლანდელი კანონი კი იოჰან რუისბრუკი (დაიბ. 1293 წ.) უკვე შემდეგს გვიამბობს ბერებზე საზოგადოთ და მათხოვარ-ბერებზე კერძოთ: „საზოგადოთ სამგვარი მანკიერება მეფობს მათ შორის: სიზარმაცე, მუქთახორობა და გარყვნილება. ძველად მამები ღარიბი იყვნენ, მათხოვარ-ბერთა ორდენის დამაარსებლები ღვთით კმაყოფილდებოდენ და ზიზღით უყურებდენ ამ ქვეყნიურ სი-

კეთესა და პატივს. ახლა კი თითქმის ყველა მონასტერი სიმდიდრის მოხვეჭას ცდილობს. ხვდებით ურიცხვ მათხოვარ-ბერს, მაგრამ ცოტაა მათ შორის ისეთი, ვინც თავისი ორდენის სტატუტებს ასრულებს; ღარიბებად მოაქვთ თავი, მაგრამ შვიდი მილის მანძილზე მონასტრის გარშემო ქვეყნის სისხლს სწოვენ და განცხრომაში ცხოვრობენ; ეს კიდეე რაა,—ისეთი უთანასწორობა არსებობს მათ შორის, რომელსაც იქ რიგით ადგილი არ უნდა ქონდეს: ერთს ოთხი და ხუთი ცალი ტანსაცმელი აქვს, მეორეს კი მხოლოდ ერთი; ზოგი საგანგებო ადგილას ნადიმობს პრიორის, მხრუნველისა და ლექტორის საზოგადოებაში, სხვები კი ბოსტნეულობით, ქაშაყით და ლუდით უნდა დაკმაყოფილდენ; უკანასკნელნი ამის გამო შურით ივსებიან, რადგან სწამთ, რომ ყოველი დოვლათი საზიარო უნდა იყოს" და სხვა (ციტ. ამოღებულია Ullman-ის წიგნიდან, Reformatoren, vor Reformation, vornehmlich in Deutschland und den Niederlanden, ჰამბურგი 1842, II, გვ. 57-58).

მაგრამ საკუთრების ნაწილობრივმა აღდგენამ სხვა შედეგიც მოიტანა. ფრანციისკანელთა ერთი ნაწილი სერიოზულად ეჭცეოდა ღარიბთა ინტერესების დაცვის საქმეს. ამ მხრით განსაკუთრებით იჩენდენ თავს ტერციარიები. ფრანციისკ ასსიზიელმა დემოკრატიული დაწესებულება შექმნა. გარდა პირველ მამაკაცთა ორდენისა და მეორე ქალთა ორდენისა,[1]) მან ხელი შეუწყო მესამე,—ტერციარიების ორდენის შექმნს; ტერციარიები დახმარებას უწევდენ ფრანციისკანელებს მათს მოღვაწეობაში, მაგრამ ისე, რომ თავიანთ ოჯახებსა და ჩვეულებრივ სამოქალაქო საქმეებს თავს არ ანებებდენ. მეტ წილად ეს ხელოსნები და მდაბიო ხალხიდან გამოსული კაცები იყო; რის გამო მათ შეიძლება მუშათა კავშირები ეწოდოს. სწორეთ ეს ტერციარიები განსაკუთრებით მკაცრად იბრძოდენ ორდენის ექსპლოატატორულ ტენდენციის წინააღმდეგ; ამ ორ, მიმდინარეობას შორის ხანდახან ათეულ წლობით გრძელდებოდა სასტიკი ბრძოლა. და რაც უფრო მეტი წყალობა ხვდებოდა ექსპლოატატორულ მიმართულებას პაპის ტახტისაგან, მით უფრო გაბედულათ გამოდიოდენ მეორე მიმართულების მომხრენი (რომელთაც აგრეთვე „სპირიტუალები" და „ფრატიჩელლები" ეწოდებოდათ) პაპის და თვით ეკლესიის წინააღმდეგ და მით უფრო ენერგიულად ეძებდენ მოკავშირეებს ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციებში. ბოლოს, როდესაც პაპმა იოანნე XXII-ემ ტერციარიების მოსარჯულებლად ინ-

[1]) ქალთა ორდენი დაარსა წმ. ფრანციისკის აღტაცებულმა თაყვანისმცემელმა და მეგობარ ქალმა კლარა სიფუმ; აქედან წარმოიშვა ორდენის წევრთა სახელწოდებაც—„კლარისსელნი".

კვიზიცია მოიწვია სამხრეთ საფრანგეთში (ნარბონნაში, ბეზიერში 1317 წ.), ტერციარიები სრულიად განუდგენ ეკლესიას. ამ დროიდან ისინი ერეტიკულ კომუნისტურ სექტებს მიემხრენ, სახელდობრ ბეგჰარდებს, რომელთა შორის უნდა ვეძიოთ გარდამნათვლელთა" წინამორბედნი.

მაშასადამე შეურიგებელი ფრანცისკანელნი (ტერციარები) საშუალო წეერს წარმოადგენდენ ორ ძალას შუა: ერთის მხრით იდგა მონასტრული კომუნიზმი, — საშუალ-საუკუნეთა საზოგადოების ერთ-ერთი ბურჯი, და მეორეს მხრით იმავე ეპოქის პროლეტარული კომუნიზმი, რომლის მიზანი არსებული საზოგადოების მოსპობა იყო.

დაახლოებით ამავე დროს გაჩნდა კომუნიზმის, რა თქმა უნდა, მონასტრული კომუნიზმის, თეორეტიკოსიც. ეს იყო აბბატი ი ო ა ხ ი მ ფ ი ო რ ე ლ ი კალაბრიიდან, დაახლოებით 1145 წ. დაბადებული სოფ. ცელიუმში, კოზენცის ახლო. დაბრუნდა რა კალაბრაშია წმინდა ქვეყნად მოგზაურობიდან, იოახიმი ბერად აღიკვეცა და შემდეგ, დაახლოებით 1178 წ. ცისტერციანელთა მონასტრის აბბატი გახდა. უფრო გვიან საკუთარი მონასტერი დაარსა ფიორეში. გარდაიცვალა 1201 თუ 1202 წელს.

იმ დროის საზოგადოებრივი ბოროტებებით და ეკლესიაში გამეფებულ საზარელი ექსპლოატაციით და გარყვნილებით აღშფოთებული აბბატი იოახიმი საზოგადოების ხსნის საშუალებას ეძებდა: მისი აზრით საზოგადოების ხსნა მხოლოდ კომუნიზმს შეეძლო, რომელსაც მთელი საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრება უნდა მოეცვა, და ეს კომუნიზმი, იმ დროის პირობების შესაფერად, მას წარმოდგენილი ქონდა, როგორც მონასტრული კომუნიზმი.

ის ფიქრობდა, რომ მოახლოვდა რევოლიუცია, რომელიც დაამყარებს ახალ საზოგადოებას: ათასწლოვან სამეფოს, რომელსაც აპოკალიპსი წინასწარმეტყველებდა.

სამ ეპოქას არჩევს ის კაცობრიობის ისტორიაში. „ჯერ იყო ხანა, როდესაც ადამიანი სხეულს ემსახურებოდა: ეს ხანა იწყება ადამით და თავდება ქრისტეთი. შემდეგ დადგა ხანა, როდესაც ადამიანი სხეულსაც ემსახურებოდა და სულსაც: ეს დრო დღემდე გრძელდება. ახალ ხანაში კი ადამიანი მხოლოდ სულს სცემს თაყვანს: ამ დროის დასაწყისი — წმ. ბენედიქტეს დღეებია". ეს მესამე საზოგადოებრივი მდგომარეობა არის ბერობის მდგომარეობა (status monachorum). მონასტრები მთელ კაცობრიობას დაფარავს. „საჭიროა დავდგეთ მოციქულთა ცხოვრების ჭეშმარიტი მიბაძვის გზაზე და არა თუ უარვყოთ მიწიერი სიმდიდრის მოხვეჭის წადილი, არაბედ, პირიქით, გავსცეთ ეს სიმდიდრე" და სხვა. საზოგადოების მესამე ეითარება საკვანძოთ განხორციელდება მე-22 თაობის ცხოვრებისას

წმ. ბენედიქტეს შემდეგ, მაშასადამე უახლოეს ხანაში. რომის ეკლესია დაიღუპება მკაცრად განკითხული, და მის ნანგრევებზე წარმოიშობა ახალი საზოგადოება, ღირსეულთა ორდენი, რომელიც უარჰყოფს კერძო საკუთრებას. ამ დროს დაიწყება სრული თავისუფლებისა და სრულქმნილი ცოდნის ეპოქა.

იოახიმის მოძღვრებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით ფრანცისკანელთა ორდენის შეურიგებელ ფრატიჩელლის ნამართულებაზე: უკანასკნელი სწორედ იმ „ღირსეულთა ორდენად" სთვლიდა თავს, რომელსაც საზოგადოება უნდა განეახლებინა. მათი საშუალებით იოახიმის მოძღვრება ფართოდ გავრცელდა. ამ მოძღვრებამ გავლენა მოახდინა იტალიელ მიუნცერზე,—დოლჩინოზე, და თვით მიუნცერისათვის იგი უცნობი არ დარჩენილა.

ლიუტერი მიუნცერს უსაყვედურებდა, რომ მან თავისი „ზვიადი აზრები" აბბატ იოახიმის მიერ იერემიის განმარტებიდან ამოკრიფა. თეითონ მიუნცერი 1523 წლის 2 დეკემბერს შემდეგს სწერდა ცეისს იოახიმთან თავისი დამოკიდებულების შესახებ: „თქვენ ალბათ იცით, რომ მწიგნობრები ამ მოძღვრებას აბბატ იოახიმს აწერენ და „მარადიულ სახარებას" უწოდებენ დიდის დაცინვით. იოახიმის თხზულებაში მე მხოლოდ იერემიის შესახებ წამიკითხავს. მაგრამ ჩემი მოძღვრება ბევრად უფრო მაღლა დგას, მე ის ვისესხე არა იოახიმისაგან, არამედ ღვთის სიტყვებიდან, როგორც შემდეგ მე ამას ბიბლიის ყველა წერილებით დავამტკიცებ". ეს წერილი დართული აქვს თხზულებას: „Von dem getichten glawben auff nechst Protestation aussgangen Tome Müntzers Selworters zu Alstet", 1524.

ამდენად ღრმა ყოფილა იოახიმის წინასწარმეტყველებით მოხდენილი შთაბეჭდილება არა მარტო იტალიაში, არამედ გერმანიაშიაც. ის მასსების ისეთ მიუცილებელ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, რომ როდესაც ფაქტები წინასწარმეტყველების შეცდომას აშჟლავნებდა, ხალხი ფაქტებს ასხვაფერებდა, მაგრამ წინასწარმეტყველების რწმენას არ იტეხდა. იოახიმი წინასწარმეტყველების თანახმად საზოგადოებრივი გადატრიალება 1260 წლის ახლო უნდა დამთავრებულიყო. როდესაც ეს მომენტი დადგა, პაპობასა და ფრიდრიხ II შორის გააფთრებული ბრძოლა მძვინვარებდა. იოახიმის მიმდევარნი მოელოდენ, რომ იმპერატორი პაპს ჩამოაგდებდა და ახალ საზოგადოებას საძირკველს ჩაუყრიდა.

ნამდვილად კი სხვა მოხდა.

„ფრიდრიხის სიკვდილი (1250 წ.) იოახიმ ფიორელის წინასწარ-

მეტყველებას არ ეთანხმებოდა: ფრიდრიხი არ უნდა წასულიყო ამა ქვეყნიდან, თავისი მოწოდების შეუსრულებლად. ამგვარად პირველად ყოვლისა ამ წრეებში დაიბადა აზრი, რომ ფრიდრიხი II არ შეიძლება მკვდარი იყოს და რომ ის საიდუმლო ადგილას იმალება, რათა თავის დროზე დაბრუნდეს, დაუმთავრებელი საქმე განაგრძოს და სისრულეში მოიყვანოს იგი... ასე წარმოიშვა ის წარმოდგენათა თავისებური წრე, რომელშიაც ტრიალებს გერმანელთა საგა იმპერატორის შესახებ და რომელიც შემდგომი დროის გაუგებრობით ისე იქნა ახსნილი, თითქოს აქ იგულისხმება იმპერატორი ფრიდრიხ I (ბარბაროსსა) და მისი დაბრუნების შემდეგ მოსალოდნელი იმპერიის დიდება და განახლება [1]."

„იმპერიის დიდებაში" ხალხი კომუნისტურ რევოლიუციას გულისხმობდა.

II. ერეტიკული კომუნიზმი და პაპობა.

ფრანცისკანელთა ორდენის მაგალითიდან სჩანს, თუ როგორ ადვილად იჭერდა მონასტრული კომუნიზმის ზოგიერთი ფორმა მტრულ პოზიციას პაპობის მიმართ. ძველი მონასტრების რეფორმა და ახალთა დაარსება მე-XI საუკუნეში ძალიან ხშირად საყვედურის ხასიათს იღებდა პაპის ხელის უფლებისადმი და ეს საყვედურები ხანდახან გარკვეულად მკაცრ ფორმას იღებდა.

ყოველი კაცი, ვინც ღარიბთა ინტერესების დაცვას მოიწადინებდა, თითქმის აუცილებლად პაპის ეკლესიის წინააღმდეგ უნდა ამხედრებულიყო. საშუალო საუკუნეების მესაკუთრე კლასსებს შორის ეკლესიას პირველი ადგილი ეჭირა; ის ვეებერთელა სიმდიდრის მფლობელი და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მესაჭე იყო არა მარტო სულიერ, არამედ ეკონომიურ სფეროშიაც.

მისი ბატონობა შეგვიძლია ჩვენი დროის მსხვილი ფინანსიური ბურჟუაზიის, ბირჟის, და საზოგადოთ, „ებრაელობის" ბატონობასთან შევადაროთ (ანტისემიტიზმის აზრთა წყობასა და გამოთქმებს თუ მივებაძავთ). ჩვენს დროში ანტისემიტები ამბობენ, რომ მთელი საზოგადოება „გაებრაელდა", საშუალო საუკუნეებიც სწორეთ ამდენადვე პაპიზმით იყო გამსჭვალული. პაპები მეფობდენ გონებრივ ცხოვრებაზე, როგორც ამჟამათ ბირჟა პრესსაზე; და როგორც ბირ-

[1]) H. Prutz, Staate geschichte des Abendlandes im Mittelalter, ბერლინი 1895, I. გვ. 657.

ეა სწყვეტს სამინისტროთა და თვით მეფეების ბედ-იღბალს, სამეფოებს ქმნის და ანგრევს, ისე ბრძანებლობდა მაშინ პაპობაც.

შემდეგ: პაპობის ბატონობას ისევე თავს ესხმოდენ, როგორც ახლა ფინანსიურ არისტოკრატიის ბატონობას. პაპობას,—შეიძლება ითქვას,—ის მზგავსებაც ქონდა ბირჟასთან, რომ პაპის ხელის უფლება მტრულ გრძნობას იწვევდა თავის მიმართ საზოგადოების ყველა დანარჩენ კლასსებში — არა მარტო ექსპლოატაციის ქვეშ მყოფთა, არამედ სხვა ექსპლოატატორ კლასსებშიაც: უკანასკნელნი ხომ იძულებული იყვნენ თავისი ნადავლის დიდი წილი ამ უმფროს ექსპლოატატორებისათვის ეძლიათ; ხარბი თვალით შესცქეროდენ ისინი პაპების სავსე საგანძურებს. არ არის იმაზე უფრო შემკდარი აზრი, თითქოს მორჩილება, რომელსაც საერთოთ საზოგადოება იჩენდა პაპის ხელის უფლებისადმი, ნებაყოფლობითი იყო ან გონებრივი სიჩლუნგის შედეგი იყო. უმეტეს შემთხვევაში კბილების ღრჭენით, ემორჩილებოდენ და წინააღმდეგობას უწევდენ, სადაც კი შესაძლებელი იყო. საშუალ-საუკუნეთა მეტი ნაწილის განმავლობაში სხვადასხვა კლასსებისა და ქვეყნების განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებდა პაპის ხელის უფლების წინააღმდეგ. მაგრამ ვიდრე ახალი საზოგადოებრივი წყობილების საძირკველი არ ჩაიყარა, პაპობის დამარცხება შეუძლებელი იყო ისევე, როგორც ჩვენს საზოგადოებაში აქამდე შეუძლებელი იყო უმაღლესი ფინანსიური არისტოკრატიის დაძლევა: ყოველი ბრძოლა, ყოველი სოციალური კატასტროფა, თვითეული ომი, ეპიდემია, შიმშილობა თუ ამბოხება იმ დროს, როგორც ახლა, მხოლოდ აფართოებდა და აძლიერებდა ამ უდიდესი ექსპლოატატორის სიმდიდრეს და ძლევამოსილობას.

ასეთი მდგომარეობა საკმაოთ ხელსაყრელი იყო კომუნისტურ იდეების პროპაგანდისათვის, მაგრამ სამაგიეროთ მეტათ არახელსაყრელი იყო უსაკუთრო ხალხის დამოუკიდებელ კლასსობრივი ბრძოლისათვის. თუ განმარტებისთვის ისევე ფინანსიურ არისტოკრატიასთან შედარებას განვაგრძობთ, ჩვენ ვიტყვით, რომ იმ დროს დაახლოებით იმგვარი პირობები იყო, როგორც საფრანგეთში—ბურჟუაზიულ მეფობის ხანაში (1830—1848 წ. წ.). ფინანსიური ძლიერების, ძალზე შეკვეცილ საარჩევნო უფლებისა და მშრომელთა კლასსების პოლიტიკური ჩამორჩენილობის წყალობით, უმაღლესი ფინანსიური წრეები უსაზღვროთ ბატონობდენ საფრანგეთში მეფისა და პარლამენტის საშუალებით. ამ წრეების წინააღმდეგ ამხედრდა არა მარტო გლეხთა და დაქირავებულ მუშათა, არამედ აგრეთვე სამრეწველო კაპიტალისტებისა და წვრილი ბურჟუაზიის ოპოზიცია. ბრძო-

ლა საერთო მტრის წინააღმდეგ ყველას მათ აერთიანებდა და ჩრდილში სტოვებდა იმ კლასსობრივ წინააღმდეგობას, რომელიც თვით მათ შორის არსებობდა. ამან დიდათ დააბრკოლა პროლეტარიატის კლასსობრივი გათვითცნობიერება და მისი უდიდესი ნაწილი წვრილი და, ზოგჯერ, მსხვილი ბურჟუაზიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაჰყვა; მაგრამ ამავე მიზეზით ბურჟუაზიაშიაც მიყუჩდა პროლეტარიატისადმი უნდობლობა. მის წარმომადგენლებს ზოგჯერ ავიწყდებოდათ, რომ მათი საკუთრების საფუძველი იმაშია, რომ სხვებს ეს საკუთრება არ აბადია; მათ სიბრალული იგრძნეს ღარიბ და ჩაგრულ ხალხისადმი; ახალისებდენ მისწრაფებას სიღარიბის მოსპობისაკენ და მრავალი მათგანი სოციალიზმსაც შესტრფოდა. განსაკუთრებული კმაყოფილებით მაშინ სოციალისტ-ბელეტრისტების წიგნებს კითხულობდენ; საკმარისია მოვიგონოთ ევგენი სიუ და ჟორჟ ზანდი.

მაგრამ მოხდა 1848 წლის რევოლიუცია. დაემხო უმაღლესი ფინანსიური ბურჟუაზიის მეფობა. მას ჩამოერთვა პოლიტიკური პრივილეგიები. პოლიტიკური ძალა-უფლება ხელში ჩაუვარდა ხალხს, ე. ი. სამრეწველო კაპიტალისტებს, წვრილ ბურჟუაზიას, წვრილ გლეხობას და მუშებს. და, აი, საერთო მტრის დამარცხების უმალ საზოგადოების ცნობიერებაში მეტის თუ ნაკლები სიცხადით და, ყოველ შემთხვევაში, ძალოენათ განსაკუთრებული კლასსობრივი ინტერესებისა და კლასსობრივი წინააღმდეგობის შეგნება შეიქრა. განსაკუთრებით ცხადად და მკაფიოთ განვითარდა ანტაგონიზმი ბურჟუაზიისა და პროლეტარიატს შორის. რევოლეუციამ პროლეტარიატის ძალა გამოამჟღავნა, მაგრამ ამასთან ცხადჰყო ისიც, რომ სოციალიზმი რამოდენიმე გატაცებულ ლიტერატორის ოცნება როდია მარტო; სოციალიზმს ფესვი გაუდგამს რევოლიუციონურ კლასში; სოციალიზმი უკვე უმანკო გასართობი არ არის, ის ლამის სასიკვდილო იარაღად გადაიქცევა.

ამ დროიდან ბურჟუაზია უდიდესი ენერგიით ებრძვის არათუ პროლეტარიატის თვითეულ დამოუკიდებელ მოქმედებას, არამედ ყოველივე იმას, რაც სოციალიზმს ემზგავსება, ხოლო მის დამფრთხალ გონებას სრულიად უწყინარი ფილანტროპიაც სოციალიზმად ელანდება. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სოციალიზმს ბოიკოტს უცხადებენ. ბურჟუაზიულ წრეებიდან გამოსულ სოციალისტის წინაშე დადგა დილემმა: უნდა დარჩეს თუ არა ის სოციალიზმის ერთგული; დადებითს შემთხვევაში მას ბურჟუაზიული საზოგადოებიდან

განდევნიან, იქ მის სახელსაც არ ახსენებენ; ხოლო თუ ის ამის აცდენას მოისურვებდა, სოციალიზმი უნდა უარეყო საესებით და სამუდამოთ. ამ დროიდან სოციალიზმი მოკვდა პოლიტიკურად და ლიტერატურულად და ეს მდგომარეობა გაგრძელდა მანამდე, სანამ მუშათა კლასსმა წელი არ გაიმართა და არ მოლონიერდა და საკუთარი ძალით არ აიძულა საზოგადოება ანგარიში გაეწია სოციალიზმისა და მუშათა კლასსისათვის.

საშუალო საუკუნეებში განვითარება იმავე მიმართულებით მიმდინარეობდა, როგორც 1848 წლის წინ, მხოლოდ ამას, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი დრო მოუნდა. რეფორმაციამ 1848 წ. რევოლიუციის როლი ითამაშა. გერმანიაში ეს განვითარება ნათლად გამოჩნდა XV საუკუნეში და XVI საუკუნის დასაწყისში.

საშუალო საუკუნეების პროლეტარულ მოძრაობებში კლასსობრივი თვითშეგნება, ცხადია, გაცილებით ურფო სუსტი იყო, ვიდრე XIX საუკუნის პირველ ნახევრის მოძრაობაში. ერთის მხრით თვით ლუმპენ—პროლეტარებსაც ვამჩნევთ კარჩაკეტილ ამქრების შექმნისა და განსაკუთრებული პრივილეგიებით აღჭურვის მისწრაფებას,[1]) — მეორეს მხრით კი, თუ დაუკვირდებით იმ დროის მუშათა კლასსიდან გამოსულ კომუნისტებს, განსაკუთრებით ფეიქრებს, დავინახავთ, რომ ისინი კლასსობრივი მდგომარეობის სხვადასხვაობას ანგარიშს არ უწევდენ და მთელი კაცობრიობისათვის იღვწოდენ. პროლეტარული მოძრაობაც, რამდენადაც ის ჩვეულებრივ საამქრო დავის საზღვარს სცილდებოდა, ჯერ კიდევ სხვა ჩაგრულ კლასსების,—გლეხთა და წვრილ ხელოსანთა,—საერთო რევოლიუციონურ მოძრაობის კალაპოტში ეითარდებოდა.

პირიქით, კომუნისტური ტენდენციების წარმოშობის პირობები საშუალო საუკუნეების მთელს საზოგადოებაში ზოგიერთის მხრით უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

---

[1]) „ძალიან საყურადღებოა ერთი ახალშენი ნახშირის მთაზე, პატარა გორაკზე ბაზელის ახლო, სადაც პირუტყვთა ტყავის მძრობლებათ, მესაფლავეებათ, ასსენიზატორებათ და პროფესიონალ მათხოვრებათ ცნობილი ხალხი ესახლა. სხვა მცხოვრებლებისაგან მოშორებით მათ თავისი ამქრის მზგავსი საზოგადოება მოეწყოთ განსაკუთრებული სასამართლოთი, რომელსაც „ნახშირის მთის სასამართლო“ ეწოდებოდა. სასამართლო შვიდი მეკურტნისაგან შესდგებოდა, რომელთაც „თავისუფლებებს“ ან „თავისუფლების ბიჭებს“ უწოდებდენ, „რადგან უშარვლოთ და უდანოთ დადიოდენ“ (Maurer, Städteverfassung, II, გვ. 472).

III. სიმდიდრის და სიღარიბის წინააღმდეგობა საშუალ საუკუნეებში.

საშუალ საუკუნეებში და თვით რეფორმაციის ხანაში განსხვავება მდიდართა და ღარიბთა შორის ჯერ არ იყო ისე დიდი, როგორც განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში; მაგრამ ეს განსხვავება მაშინ უფრო თვალსაჩინო იყო და მეტს მღელვარებას იწვევდა. დღეს საზოგადოებრივი მდგომარეობის უდიდესი სხვადასხვაობა დიდ ქალაქებში გვხვდება, სადაც მილიონამდე ან მეტი მოსახლეობაა და სადაც ღარიბი ხალხის უბნები ხშირათ ძალიან დაშორებულია მდიდართა საცხოვრებლისაგან. იმ ეპოქაში, რომლის შესახებ აქ საუბარი გვაქვს, ცალკე წოდებათა და ცალკე პროფესიების ლოკალური განაწილება ქალაქში უფრო გარკვეული იყო, ვიდრე ჩვენს დროში; მაგრამ სამაგიეროთ მაშინდელი ქალაქიც უფრო მცირე იყო,—ათი, ოცი ათასი მოსახლე უკვე დიდ ქალაქს შეადგენდა და მოქალაქენი ძალიან ახლოს ცხოვრობდენ ერთი მეორის გვერდით. ამას ის გარემოებაც ერთვოდა, რომ მოქალაქის ცხოვრება,—შრომა და დროს ტარება,—უმთავრესად საჯარო იყო და ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასსის ჭირი თუ ლხინი სხვებისთვის საიდუმლოებას არ შეადგენდა. პოლიტიკური ცხოვრება და დღესასწაულები ჩვეულებრივად საზოგადო მოედნებზე, ბაზრებზე, სასაფლაოზე ან ხალხისათვის მისაწვდომ დარბაზებში და ეკლესიებში მიმდინარეობდა. ღია ალაგას მარტო ყიდვა-გაყიდვას კი არ ეწეოდენ; ხელოსნობდენ კიდეც ქუჩებში სადაც კი მოხერხდებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, თავისი სახლის ღია კარებთან.

მაგრამ უმთავრესი მნიშვნელობა კიდევ ერთ გარემოებას ქონდა. მთავარი მიზანი, რომელსაც ამჟამად კაპიტალისტი ემსახურება, არის კაპიტალის დაგროვება, მისი გადიდება. თანამედროვე კაპიტალისტისათვის არავითარი ზომის კაპიტალი არ წარმოადგენს საკმარისს სიდიდეს. დიდი კმაყოფილებით დახარჯავდა ის მთელ თავის შემოსავალს კაპიტალის გასადიდებლად: არსებულ წარმოების გასაფართოებლად, ახლის შესაძენად, კონკურენტების დასამარცხებად და სხვ. და თუ მას ახლა ერთი მილიარდი აქვს, შეეცდება მეორე მილიარდიც მოიგოს, რათა პირველი მილიარდი უფრო საიმედოთ დაიმკვიდროს და კონკურენტებს არ ახეიროს. თანამედროვე კაპიტალისტი არასოდეს პირად მოხმარებას არ ანდომებს მთელს თავის შემოსავალს, თუ ის სულელი ან საქმისთვის ყოველად გამოუსადეგარი კაცი არ არის და თუ ის შედარებით დიდი თანხის პატრონია. შემდეგ: უმდიდრეს

მილიონერსაც შეუძლია სრულიად უბრალოთ იცხოვროს და ამასთან მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა არ შეიზღუდოს; და თუ განცხრომით იცხოვრებს, ამას ჩვეულებრივად ხალხი არ ამჩნევს, რადგან განცხრომის სარბიელი იქნება საზეიმო დარბაზები, ცალკე კაბინეტები, სანადირო მამულები, კაზინოები და სხვა. ქუჩაში კი მილიონერი არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივ მოქალაქისაგან.

სულ სხვა მდგომარეობა იყო ნატურალური მეურნეობის და საქონლის მარტივი წარმოების ხანაში. მდიდრებს და ძლიერთ,—ფეულადი შემოსავალი ექნებოდათ თუ პროდუქტით სულ ერთია,—არ შეეძლოთ შემოსავალი აქციებში ან სახელმწიფო ქაღალდებში მოეთავსებინათ. შეეძლოთ მხოლოდ შეეჭამათ, პირადათ მოეხმარათ იგი ან, თუ შემოსავალი ფულისგან შესდგებოდა, ძვირფასი და ადვილად შესანახავი საქონელი, კეთილშობილი ლითონი და ძვირფასი თვლები შეეძინა, და შეენახა, როგორც განძი.

რაც უფრო წარმატებით ეწეოდენ ექსპლოატაციას საერო და საეკლესიო თავადნი და სენიორები, პატრიციები და ვაჭრები, რაც უფრო იზრდებოდა მათი შემოსავალი, მით უფრო მატულობდა მათი ფუფუნებაც. მარტო თავის თავზე ამ შემოსავლის ნაჭარბს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დახარჯავდენ. ახმარდენ მოსამსახურეთა ამალის შენახვას, ჯიშიანი ცხენებისა და ძაღლების ყიდვას, თავისი რაზმის ძვირფასი ქსოვილებით შემოსვას, დიდებულ სასახლეების აგებას და მდიდრულათ მათი მორთვა-მოკაზმვას. განძის დაგროვების მისწრაფება თავის მხრით ხელს უწყობდა ფუფუნების მატებას. საშუალო საუკუნეების მეომარი ხელის უფალნი მიწაში კი არ მარხავდა თავის საგანძურებს ფრთხილ ინდოელსავით, ან ქურდებისა და გადასახადის ამკრეფ მოხელეებისაგან კი არ მალავდა, როგორც ეს ჩვენი დროის კაპიტალისტებს სჩვევიათ. მათი სიმდიდრე მათი ძალა-უფლების სიმბოლო და საფუძველი იყო. საშუალო საუკუნის კაცი სიამაყით და მედიდურად აფენდა გარეთ თავის სიმდიდრეს ყველას დასანახავად; მისი ტანსაცმელი, მისი ავეჯეულობა, მისი სახლ-კარი ოქროთი და ვერცხლით, პატიოსანი თვლებით და მარგალიტით ბრწყინავდა. ეს ოქროს ხანა იყო და ასეთი დარჩა იგი ხელოვნებაშიაც.

მაგრამ სიღარიბეც ისევე აშკარად სჩანდა მაშინ, როგორც სიმდიდრე. პროლეტარიატი ეს-ეს იყო ისახებოდა. ის უკვე იმდენად შესამჩნევ მასსას წარმოადგენდა, რომ მოაზროვნე და შედარებით ფაქიზ გრძნობის კაცს ჩააფიქრებდა სიღატაკის მოსასპობ საშუალებისა და გზების შესახებ; მაგრამ პროლეტარიატის მასსა მაინც იმ-

დენად დიდი როდი იყო, რომ ჩვეულებრივს დროში ის სახელმწიფოს და საზოგადოებისათვის საშიშარ ძალათ გამოჩენილიყო. ამგვარად კვლავ მოიპოვა ნაყოფიერი ნიადაგი იმ აზროვნებამ, რომელიც ქრისტიანობამ თავისი აღმოცენების ხანაში შეითვისა, როდესაც ამ აზრთა მთავარი მატარებელი ლუმპენ-პროლეტარიატი იყო. ეს აზროვნება სიღარიბეში ბოროტებას კი არ ხედავდა, არამედ განსაკუთრებულს ღვთის ნებით შექმნილ ვითარებას, რომელიც ყურადღებას მოითხოვს თავისადმი. ღარიბი ხომ, სახარების თანახმად, ქრისტეს წარმომადგენელია რადგან „რაც თქვენი უმცროსი ძმისათვის გიქნიათ, ის ჩემთვისაც ჩაგიდენიათ". (მათე. 25,40). სინამდვილეში კი ამაში პროლეტარიატი დიდ ხეირს არ ნახულობდა: ქრისტეს წარმომადგენელს ზოგჯერ ფოიად არაქრისტიანულად ექცეოდენ. მაგრამ საშუალო საუკუნეებისთვის ჯერ უცნობი იყო თანამედროვე პოლიციის ეშმაკური გამოგონებანი, რომლითაც ცდილობენ შეძლებული კლასებს თვალს აარიდონ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა სარჩული,—მხოლოდ აარიდონ და არა მოსპონ. საშუალ-საუკუნეებში ღარიბებს არ ამწყვდევდენ სამზრუნველო, სამუშაო, საკატორღო და სხვა სახლებში; მოწყალების თხოვა მათი უფლება იყო და თვითეული წირვა, განსაკუთრებით დიდ დღესასწაულებში, თავს უყრიდა ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე ეკლესიის გალავანში უდიდეს ფუფუნებასა და უკიდურეს სიღარიბეს.

იმ დროის და ეხლანდელი საზოგადოების დასახასიათებლად სავსებით გამოდგება პლატონის სიტყვები ორი ნაციის შესახებ. მაგრამ საშუალო საუკუნეების მიწურულში ეს ორი ნაცია—ღარიბთა და მდიდართა—ჯერ ყოველ შემთხვევაში ორ მეზობელ ნაციას წარმოადგენდა, რომელსაც ერთმანეთის გაეგებოდათ და ერთმანეთს კარგათ იცნობდენ. დღეს კი ისინი სრულიად უცხო არიან ერთმანეთისათვის. როდესაც ბურჟუას ნაციას რამეს გაგება სურს პროლეტართა ნაციის შესახებ, ამისთვის მთელი ექსპედიციების მოწყობაა საჭირო, თითქოს საქმე შიდა აფრიკის გამოკვლევას შეეხება. მაგრამ ბურჟუასთვის უკანასკნელ საქმეს სწორეთ მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პირველს: აფრიკის გამოკვლევა ახალი ბაზრის აღმოჩენისა და ახალი მოგების იმედს იძლევა; პროლეტარიატის მდგომარეობის გამოკვლევა კი, პირიქით, ახალი მკაცრი ბრალდების აღძერას მოასწავებს საზოგადოების ეხლანდელ ვითარების წინააღმდეგ. ხოლო ამას არავისთვის იმდენი სარგებლობა არ მოაქვს, როგორც სოციალ-დემოკრატიისათვის. საკვირველიც არ არის, რომ დასავლეთ ევროპის მთავრობები ასჯერ მეტ ფულს ხარჯავენ აფრიკის გამოკვლევაზე,

ვიდრე საკუთარ ქვეყნებში საზოგადოებრივ მდგომარეობის შესწავლაზე,—თუ ამაზე საზოგადოთ რაიმე კი იხარჯება; ისიც არ არის გასაკვირალი, რომ ზოგიერთი „განათლებული“ კაცი „ბნელი“ მატერიკის მდგომარეობას უკეთ იცნობს, ვიდრე იმ ქალაქის პროლეტარულ უბნებისას, რომელშიაც თვითონ ცხოვრობს. მხოლოდ შორს წასულ კაპიტალისტურ განვითარებისაწ პროლეტარიატის ძალთა ზრდის წყალობით ერთგვარი გაუმჯობესება დგება ამ დარგში. შიშმა შესწავლის სურვილი შექმნა.

საშუალ-საუკუნეებში მესაკუთრეებს პროლეტარიატის არც ეშინოდათ და არც გამოკვლევა სჭიროდათ მისი მდგომარეობის გასაცნობად. ყველგან სჩანდა დაუფარავი სიღატაკე და მასთან საზარელი კონტრასტით თავაღებული და მედიდური ფუფუნება. საკვირველი არ არის, რომ ეს კონტრასტი აღშფოთებას იწვევდა არა მარტო მდაბიო კლასსებში, არამედ უმაღლესი წოდების საუკეთესო პიროვნებებსაც ამხედრებდა უთანასწორობის წინააღმდეგ და ამგვარად ნიადაგს უმზადებდა თანასწორობის აღდგენის იდეის ფართო გავრცელებას.

IV. ქრისტიანული ტრადიციის გავლენა

საზოგადოებრივი ცხოვრების წინა ეპოქებში აღმოცენებულ და თაობიდან თაობაზე გადაცემულ იდეების გავლენა შემდგომი დროის ვითარებაზე არ შეიძლება საზოგადოებრივი განვითარების უმნიშვნელო ფაქტორად ჩაითვალოს. ამ იდეების გავლენა ხშირად ადამიანს უძნელებს ახლად წარმოშობილ ტენდენციებისა და მოთხოვნილებათა გაგებას და მით საზოგადოების განვითარებას აფერხებს. მაგრამ საშუალო საუკუნეების მიწურულში წინა ხანებში წარმოშობილი იდეები ხშირად ამის წინააღმდეგ გავლენას ახდენდა.

ხალხთა დიდი გადასახლების ქარიშხალის შემდეგ და იმ ბარბაროსობის შემდეგ, რომელიც მერე გამეფდა, დასავლეთ ევროპის საქრისტიანო ერებმა მხოლოდ ჯვაროსანთა ომის ეპოქის შემდეგ დაიწყეს აღორძინება და იმ კულტურულ დონეზე ამაღლება, რომელიც, მიუხედავათ მთელი თავისი თავისებურობისა, ბევრ რამეში შეეფერებოდა ატტიკისა და რომის საზოგადოებათა მიერ თავისი დაშლის პირველ ხანაში და დაშლის წინ მიღწეულ დონეს.

ძველი მსოფლიოს ლიტერატურა, ეს აზრთა განძი, კლასსიკური საზოგადოებისაგან დარჩენილი, ზედმიწევნით შეეფერებოდა იმ კლასსების გონებრივ მოთხოვნილებებს, რომელნიც საშუალ-საუკუნეების

მიწურულში იზრდებოდენ. ანტიური ლიტერატურის აღორძინება დიდათ უწყობდა ხელს ამ კლასსების თვითშეგნებისა და თვითშემეცნების ზრდას და საზოგადოებრივი განვითარების ძლიერ ფაქტორად გადაიქცა. ტრადიცია, რომელიც სხვა შემთხვევაში კონსერვატიულად მოქმედობს, ამ პირობებში რევოლიუციონური ფაქტორი შეიქნა.

საზოგადოების ყოველმა კლასსმა ტრადიციების საგანძურიდან ის ამოიღო, რაც მის გონებრივ მოთხოვნილებას შეეფერებოდა და მის გულის წადილს აკმაყოფილებდა. ბურჟუაზიამ და თავადებმა საშუალ-საუკუნეთა დამლევში გამოიყენა რომის სამართალი, რომელიც ზედმიწევნით უდგებოდა საქონლის მარტივი წარმოების, ვაჭრობისა და აბსოლიუტური მონარქიული ხელის უფლების მოთხოვნილებებს. სტკბებოდენ აგრეთვე ანტიურ ხალხთა წარმართული ლიტერატურით,—სიხარულისა და ზოგჯერ, განცხრომის ლიტერატურით.

პროლეტარიატს და მის თანამგრძნობთ არ იზიდავდა არც რომის სამართალი და არც კლასსიკური ლიტერატურა. რომის საზოგადოების სხვა ნაწარმოებში, სახელდობრ, სახარებაში პოულობდენ ისინი, რასაც ეძებდენ. მათს სულისკვეთებას პირვანდელ—ქრისტიანული კომუნიზმი შეეფერებოდა საკვლებით. საშუალო საუკუნეებში ჯერ არ არსებობდა საფუძველი წარმოების უფრო მაღალი კომუნისტური წესისათვის და მაშინდელი კომუნიზმი წარმოსადგენი იყო როგორც ერთგვარი ურთიერთ გატოლების კომუნიზმი, როგორც მდიდართა ხელში დაგროვილ ქონებათა ნაჭარბის განაწილება აუცილებელ სარჩოს მოკლებულ ღარიბთა შორის.

რა საკვირველია, სახარების და მოციქულთა კომუნისტურ მოძღვრებას კი არ შეუქმნია საშუალ-საუკუნეების კომუნისტური მიმდინარეობა; მაგრამ ამ მოძღვრებამ ისევე შეუწყო ხელი მის წარმოშობას და გავრცელებას, როგორც რომის სამართალმა შეუწყო ხელი აბსოლიუტიზმისა და ბურჟუაზიის განვითარებას.

ამგვარად კომუნისტურ მისწრაფებათა საფუძველი ქრისტიანული, სარწმუნოებრივი დარჩა; მიუხედავათ ამისა ეს მისწრაფება აუცილებელ კონფლიქტს იწვევდა გაბატონებულ ეკლესიასთან, ამ მდიდრის უმდიდრეს დაწესებულებასთან, რომელმაც საყოველთაო კომუნიზმის მოთხოვნილება დიდი ხანია სატანისეულ ცთომილებად გამოაცხადა და ცდილობდა ყოველნაირი სოფისტიკით დაემახინჯებინა და მიეჩქმალა პირვანდელ-ქრისტიანულ თხზულებათა კომუნისტური შინაარსი.

მაგრამ თუ მისწრაფება საზოგადოების კომუნისტური ორგანი-

ზაციისაკენ აუცილებლად იწვევდა ერეხებს და პაპის ეკლესიასთან კონფლიქტებს, მეორეს მხრით ერესი (მწვალებლობა), ე. ი. ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ, ხელს უწყობდა კომუნისტურ იდეების წარმატებას.

ჯერ ის დრო არ დამდგარა, როდესაც გაჩნდა აზრი, რომ უეკლესიოთაც შეიძლება ცხოვრება. მართალია, საშუალო საუკუნეების მიწურულში ქალაქებში უკვე აღმოცენდა კულტურა, უფრო მაღალი იმ კულტურაზე, რომელსაც ეკლესია ატარებდა. ახალი კულტურის წარმომადგენელნი, საშუალ-საუკუნეთა საზოგადოების ახალი, აღმავალი კლასსები—თავად-აზნაურობა თავისი კარის-კაცებით, ვაჭრები, რომის იურისტები, ლიტერატორები—სრულიადაც არ იყვნენ ქრისტიანულად განწყობილნი და ეს მოვლენა მით უფრო შესამჩნევი იყო, რაც უფრო ახლო ცხოვრობდენ ხსენებული პირნი რომთან. ქრისტიანობის დედა ქალაქი ურწმუნოების მთავარი რეზიდენცია იყო. მაგრამ ამავე დროს არსებობდა მხოლოდ ჩანასახი სახელმწიფო მმართველობის ახალი ორგანიზაციისა, საერო ბიუროკრატიისა, რომელსაც საეკლესიო ორგანიზაციების შენაცვლება ჯერ არ შეეძლო. ეკლესია, როგორც ბატონობის ორგანიზაცია ჯერ საჭირო იყო გაბატონებულ, ესე იგი, ამ. ურწმუნო კლასსებისათვის. საშუალ-საუკუნეთა დამლევის რევოლიუციონურ კლასსებსაც განადგურება კი არ სურდათ რომის ეკლესიისა, არამედ მისი დამორჩილება, რათა ეკლესიის საშუალებით მოეპოვათ ბატონობა საზოგადოებაზე და თავის ინტერესთა შესაფერი ფორმა მიეცათ საზოგადოებისათვის: სწორეთ ისევე, როგორც ამჟამად პროლეტარიატის ამოცანაა დაიმორჩილოს სახელმწიფო და თავის ინტერესებს ამსახუროს იგი.

რაც უფრო მეტად ვრცელდებოდა ურწმუნოება უმაღლეს კლასსებში, მით უფრო გულმოდგინეთ ზრუნავდენ ისინი დაბალ კლასსთა სულის ცხონებაზე, მით უფრო შიშობდენ, რომ ამ კლასსებსაც არ შეეხებოდა განათლება, რომელსაც შეეძლო საქრისტიანო მოძღვრების ფარგლებს გარეთ გაეფართოვებინა მათი გონებრივი ჰორიზონტი. განსაკუთრებული ღონისძიება ამისათვის მათის მხრით საჭირო არ იყო: გლეხობის, ხელოსნებისა და პროლეტარების მდგომარეობა ისეთი იყო, რომ შეუძლებელს უხდიდა მათ შედარებით ფართო განათლების მიღებას. მაშასადამე, საქრისტიანო შეხედულებათა წრეს ისედაც ვერ სცილდებოდენ.

მაგრამ პაპის ეკლესიამ ამით ძალიან ცოტა რამ მოიგო: საქმის ამგვარმა ვითარებამაც ვერ შეაჩერა ექსპლოატატორულ ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული დიდი სახალხო მოძრაობანი; მან მხოლოდ

ის შედეგი მოიტანა, რომ ეს მოძრაობები თავის მოთხოვნილებებს უმთავრესად რელიგიური არგუმენტებით ასაბუთებდა.

ყველას, ვინც კი ამა თუ იმ მოსაზრებით საეკლესიო ქონებათა კონფისკაციას მოითხოვდა, პირვანდელი ქრისტიანობის მწერლობა საბუთების მდიდარ არსენალს აძლევდა: ამ მწერლობით ხომ უდავოთ მტკიცდებოდა, რომ იესო და მისი მოწაფეები ღარიბნი იყვნენ, რომ თავის მიმდევრებისაგან ისინი ნებაყოფლობითს სილარიბეს მოითხოვდენ და რომ მთელი ქონება, ეკლესიის განკარგულებაში მყოფი, ეკუთვნოდა არა სამღვდელოებას, არამედ თემს.

პირვანდელ ქრისტიანობასთან და სახარებასთან მიქცევა, პაპის ეკლესიის მიერ დამახინჯებული და შერყვნილი „ღვთის წმიდა სიტყვის“ აღდგენა,—აი, რისკენ მიისწრაფოდენ პაპობისადმი მტრულად განწყობილი კლასსები და პარტიები. რა თქმა უნდა, ყოველი პარტია, იმისდა მიხედვით თუ რა ინტერესებს გამოხატავდა იგი, თავისებურად განმარტავდა ამ „ღვთის წმიდა სიტყვის“ შინაარსს. თანხმობა არსებობდა მხოლოდ ერთში,—საეკლესიო იერარხიის გაღარიბების მოთხოვნილებაში. მაგრამ გულისხმობს თუ არა ეს მოთხოვნილება საეკლესიო თემის დემოკრატიულ ორგანიზაციას ან ქონების საზიარობას, ამ საკითხებში სხვადასხვა ოპპოზიციონურ მიმართულებებს შორის საერთო აზრი არ არსებობდა.

მაგრამ ვინაიდან პირვანდელმა ქრისტიანობამ ფაქტიურად სწორეთ დემოკრატიული ორგანიზაცია და ქონების საზიარობა უანდერძა საზოგადოებას, პირვანდელი ქრისტიანობის თაყვანისმცემელი მეტის-მეტად დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ამის საწინააღმდეგო ორგანიზაციაში, რომ „ღვთის წმიდა სიტყვაში“ სხვა რამ ამოეკითხა, ამიტომ მესაკუთრე კლასსთა ყოველ პატიოსან წევრს, რომელიც ერეტიკულ მოძრაობაში მონაწილეობდა და რომელსაც თავისი კლასსის ინტერესებზე და ცრუ-შეხედულებებზე სულიერად ამაღლება შეეძლო,—ყოველ ასეთ კაცს ადვილად შეეძლო დემოკრატიული კომუნიზმი გაეზიარებინა. და ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა მანამდე, სანამ პაპობისადმი მტრულად განწყობილ მესაკუთრეთა კლასსებს პაპის ხელის უფლება მეტის-მეტად ძლიერ მტრად მიაჩნდა, ხოლო კომუნიზმი, პირიქით,—ოცნებით გატაცებულ რამოდენიმე იდეოლოგის უწყინარ გასართობად, და სანამ საჭირო იყო პაპის ხელის უფლებასთან ყველა მებრძოლ ძალთა ერთ ფალანგად გაერთიანება. ერეტიკული კომუნიზმი პირველ ხანებში საშიშრად სჩანდა მხოლოდ პაპისტური ექსპლოატაციისათვის. ამიტომ იყო, რომ შეძლებული კლასსები ადვილად ითმენდენ კომუნიზმს, თუ თვით ეს კლასსები ერეტი-

კულად იყვნენ განწყობილი, და ამიტომ მოხდა ის, რომ პირვანდელი ქრისტიანობასთან დაბრუნების ლოზუნგმა კომუნისტური მისწრაფება წარმოშვა არა მარტო ღარიბ მოსახლეობაში, არამედ შეძლებულ კლასსთა ზოგიერთ წრეშიაც.

თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა ამ გარემოებას, მაშინ გასაგები გახდება, თუ რომ მისცა კომუნისტურ იდეებს ასეთი დიადი ძალა და რატომ გავრცელდა ეს იდეები ასე ფართოდ პაპობის ჩამოგდებისაკენ მიმართულ ერეტიკულ მოძრაობათა ხანაში, როდესაც ამას სრულიად არ შეეფერებოდა მაშინდელი პროლეტარიატის ძალა, რიცხოვნობა და თვით შეგნება.

ამავე მიზეზით აიხსნება ისიც, რომ ერეტიკულ-კომუნისტური მოძრაობები მეტ წილად ძალიან სწრაფად ცხრებოდა და, როგორც სჩანს, არავითარ კვალს არ სტოვებდა: მოძრაობა დაუყოვნებლივ მარცხდებოდა, როდესაც მესაკუთრეთა მთელს საზოგადოებაზე მიიტანდა იერიშს, იმის მაგიერ რომ შეძლებულ კლასსებთან ერთად მხოლოდ პაპის ხელის უფლების წინააღმდეგ მიმართულიყო.

კლასსობრივი თვითშეგნების ნაკლებობა ღარიბთა კლასსებში, შედარებით დიდი ინტერესი კომუნისტურ იდეებისადმი მესაკუთრეთა შორის—ვაჭრების, რაინდებისა და განსაკუთრებით სამღვდელოების წრეებში—და წინანდელი ეპოქის კომუნისტური ტენდენციების—პირვანდელი ქრისტიანობის—ძლიერი, ლიტერატურით გადმოცემული გავლენა: ყველა ამ გარემოებამ ის აუცილებელი შედეგი გამოიწვია, რომ სარწმუნოებრივი გარსი, რომელსაც კომუნისტური მოძრაობა ატარებდა კომუნისტურ იდეების აღმოცენების ხანიდან ე. ი. XII და XIII საუკუნეებიდან რეფორმაციის ხანამდე, XVI საუუუნემდე, კიდევ. უფრო ფარავდა მის კლასსობრივ ხასიათს, ვიდრე იმ დროის სხვა რომელიმე ხალხური მოძრაობისას.

მაგრამ მაშინდელ კომუნისტურ მოძრაობებს პროლეტარიატმა მაინც თავისი ბეჭედი დაასვა. და როგორც საშუალ-საუკუნეების პროლეტარიატი განსხვავდება რომის იმპერიის პროლეტარიატისაგან დაცემის ხანაში და აგრეთვე თანამედროვე პროლეტარიატისაგან, ისე ის კომუნიზმიც, რომელსაც საშუალ-საუკუნეების. პროლეტარიატი ატარებდა, განსხვავდება პირვანდელ-ქრისტიანულისა და მე-XIX საუკუნის კომუნიზმისაგან. საშუალ-საუკუნეების კომუნიზმი გარდამავალი სტადია იყო პირვანდელ ქრისტიანობიდან მე-XIX საუკუნის კომუნიზმზე.

მზგავსად პირვანდელ ქრისტიანულ კომუნიზმისა და იმავე მიზეზებით, საშუალ-საუკუნეთა კომუნიზმი იყო მოხმარების და არა

წარმოების საშუალებათა კომუნიზმი, რითაც ის არსებითად განსხვავდება თანამედროვესაგან; ყოველივე ნათქვამის შემდეგ საჭირო აღარ არის ამაზე უფრო დაწვრილებით შეჩერება.

მაგრამ საშუალ-საუკუნეების და რეფორმაციის ეპოქის კომუნიზმი, მზგავსად პირვანდელ-ქრისტიანულ კომუნიზმისა გარდა ამისა ასკეტიური და მისტიური კომუნიზმი იყო, განწირულთა კომუნიზმი, რომელიც საიდუმლო, ზეადამიანურ ძალთა ჩარევის იმედს ასაზრდოებს. ამ მხრითაც განირჩევა იგი მე-XIX საუკუნის კომუნიზმისაგან.

V. მ ი ს ტ ი კ ა.

განვიხილოთ ჯერ უკანასკნელი პუნქტი—მისტიციზმი.

ჩვენ ნაწილობრივ უკვე შევეხეთ ერთს მის ფესვს: ხალხის დიდი უმრავლესობის უმეცრებას. რაც უფრო წინ მიდიოდა საქონლის წარმოება და გაცვლა-გამოცვლა, მით უფრო იმორჩილებდა ადამიანს საზოგადოებრივი ურთიერთობის ძალა; უფრო გაუგებარი და საიდუმლო ხდებოდა მისთვის კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებს შორის და უფრო გასაოცარი იყო სოციალური უბედურებანი, ადამიანს რომ თავს დატრიალებდა. გონება დაბნეული და უძლური იდგა ის მათ წინაშე და ასეთ მდგომარეობაში იყვნენ განსაკუთრებით, დაბალი ჩაგრული კლასსები.

გაბატონებულ და წინმსვლელ კლასსებს, თავადებს და ვაჭრებს, ახალ პირობებში ორიენტაციის საშუალებას ანტიური სახელმწიფოებრივი სიბრძნე და რომის სამართალი აძლევდა, რომლის აღორძინებას ხელს უწყობდენ ისინი. მაგრამ დაბალი კლასსებისთვის ეს მეცნიერება მიუწვდომელი იყო, უფრო მიუწვდომელი, ვიდრე ჩვენს დროში; მეცნიერებას მაშინ თავისი საკუთარი, არა ხალხური ენა ქონდა: ლათინური და ბერძნული.

მაგრამ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ მეცნიერება დაბალ კლასსებს არ სწვდებოდა, მაინც სხვა იყო. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ დაბალი კლასსები უარყოფითად ეკიდენ მეცნიერებას, რადგან მეცნიერება მათ მოთხოვნილებებს ეწინააღმდეგებოდა.

მეცნიერების, აგრეთვე ხელოვნების, განვითარება საზოგადოების განვითარებაზეა საესებით დამოკიდებული. მეცნიერების წარმატებისათვის საჭიროა პ ი რ ო ბ ე ბ ი, რომელიც შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ს ხ დ ი ს მეცნიერულ კვლევა-ძიებას. მაგრამ ეს არ კმარა: საჭიროა კიდევ გარკვეული მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ე ბ ი, რომელიც მეცნიერული კვლევა-ძიების ს ტ ი მ უ ლ ს წარმოშობს. აუცილებელ პირობათა არსებობა

ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში და ყოველ მის კლასსში მოთხოვნილებაც არსებობს ამ საზოგადოების თუ ბუნების დამახასიათებელ მოვლენათა ურთიერთ დამოკიდებულის ღრმა შესწავლისა. ისტორიულად განწირული კლასსი ან საზოგადოება თავის დაცემის ხანაში მუდამ წინააღმდეგი იქნება სინამდვილის შემეცნებისა. მთელ თავის ინტელექტუალურ ძალას იგი მოახმარს არა სინამდვილის ნათელ წარმოდგენას, არარად ისეთი არგუმენტების ძიებას, რომლის საშუალებით თავისი თავის დამშვიდება, დანუგეშება და მოტყუება შეიძლებოდეს; ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მოწინააღმდეგენიც ხომ უნდა მოატყუონ თავისი ძალისა და გამძლეობის შესახებ.

მეცნიერების წინ წაწევა მხოლოდ აღმავალ საზოგადოებას და აღმავალ საზოგადოებრივ კლასსებს შეუძლიათ. იმას, ვისაც სინამდვილის სამყაროში ეკუთვნის მომავალი, უდიდესი ინტერესიც აქვს სინამდვილის გამოკვლევისა და ყალბ შეხედულებათა განიავებისა.

ანტიური საზოგადოების დაშლასთან ერთად მეცნიერებამაც დაიწყო რეგრესსი. სინამდვილის სამეფოდან, რომელიც ყოველ იმედს სპობდა, ადამიანი სინამდვილის გარეთ გაესწრაფა—ფანტასტიურ და მისტიურ სამყაროში, რომელსაც თავის მოთხოვნილების შესაფერად აყალიბებდა. ადამიანმა დაჰკარგა თავის ძალთა რწმენა, მაშასადამე, ის რაღაც ბუნებრივ ძალებს უნდა გადაერჩინა. ამ ნიადაგზე აყვავდა ხილიაზმი, სასწაულის რწმენა და მისტიკა.

რომის იმპერიის უდიდესი ნაწილის მემკვიდრემ, გერმანელებმა რომის ატმოსფერაში აღმოცენებული ქრისტიანობის მოძღვრებაც შეითვისეს, მაგრამ პირდაპირ კი არ გადმოიღეს, არამედ ახალი შინაარსით ააესეს იგი. სიცოცხლით სავსე და მხნე ბარბაროსებისათვის სრულიად უცხო იყო სინამდვილისაგან მეჭეუნვარე განდგომილობა და საკუთარი სულის სიღრმეში ქექვა, რაც პირვანდელი ქრისტიანობის მისტიკოსებს ახასიათებდა. გერმანელებს იმის ძალა არ შესწევდათ, რომ მეცნიერულად დაეძლიათ ქრისტიანობა, მაგრამ სამაგიეროთ ისეთი გულუბრყვილო--კონკრეტულ ფორმით შეითვისეს იგი, რომ მისტიციზმმა ყოველივე ძალა დაჰკარგა. ის სულს ღაფავდა რამოდენიმე მონასტერში წარმართობის ზოგიერთ ლიტერატურულ ნაშსთან ერთად.

მაგრამ, აი, საქრისტიანო-გერმანულ ქვეყნებში განვითარდა საქონლის წარმოება და საქონლით ვაჭრობა. ქვეყანამ რევოლიუცია განიცადა; და უწინარეს ყოვლისა ისევ ქალაქებში, ახალი კულტურის

ცენტრებში შეიქმნა ნაყოფიერი ნიადაგი აპოკალიპტიიური იდეებისა და საზოგადოთ მისტიციზმის აღორძინებისათვის. მისტიციზმი იმავე საზოგადოებრივი ფენების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა, რომელსაც წინათ პირვანდელი ქრისტიანული კომუნიზმი შეეფერებოდა. გამოვიდა ეს ფენები და გაჩნდა მისტიციზმიც.

მომავალი მაშინ ღარიბთ და ჩაგრულთ კი არ ეკუთვნოდა, არამედ მდიდართ და ძლიერთ, თავადებს და კაპიტალისტებს. ამათ სრული საფუძველი ქონდათ მეცნიერებისათვის ხელი შეეწყოთ: რაც უფრო სწორათ არკვევდა მეცნიერება სინამდვილეს, მით უფრო ნათლად ღაღადებდა იმათ სასარგებლოთ, ვისაც ძალა-უფლება ეჭირა ხელში. მეცნიერებას შეეძლო სრულიად თავისუფლად განვითარებულიყო; რომც არ ემსახურნა თავადებისა და კაპიტალისტებისათვის, ის მაინც ხელს შეუწყობდა მათ გაძლიერებას.

მაშინ ჯერ ის დრო არ იყო დამდგარი, როდესაც მომავალი, ხელშესახები მომავალი კომუნიზმს, პროლეტარიატს ეკუთვნოდა. რაც უფრო კარგათ ეცნობოდენ სინამდვილეს ღარიბნი და ჩაგრულნი, მით უფრო უნუგეშოთ ეჩვენებოდა მათ იგი. მხოლოდ სასწაულს შეეძლო დაემხო ეს მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა ურდო, თავისუფლება და კეთილდღეობა მიენიჭებინა ტანჯული მასსებისათვის. მთელი თავისი ბუნებით მოითხოვდენ ისინი ამგვარ სასწაულს; მათ უნდა ერწმუნათ სასწაული, რომ უსაზღვრო სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილიყვნენ. აღორძინებული მეცნიერება, მტარვალთა მოსამსახურე, მათ ისეთივე ძალით შეიძულეს, როგორც საეკლესიო სარწმუნოება. ცრემლით და ვაებით სავსე სინამდვილეს განუდგენ და თავის შინაგან სამყაროში ჩაიძირეს, რათა იქ ეპოვნათ ნუგეში და იმედი. მეცნიერების არგუმენტებს მათ საკუთარი გულისხმა დაუპირდაპირეს, რომელიც „ღვთის ხმათ“, „გამოცხადებად“, „შინაგან ნათელად“ მიიჩნიეს და რაც ნამდვილათ მათი უსაზღვრო ნდომისა და მოთხოვნილების ხმა იყო. ეს ხმა მით უფრო მძლავრი და შეუვალი იყო, რაც უფრო შორდებოდა კაცი საზოგადოებას, თავიდან იცილებდა ფიქრს და ჭვრეტის ყოველივე დაბრკოლებას და რაც უფრო იგზნებდა ექსტაზს და ფანტაზიას უჭმელობით, ლოცვით და სხვა ამგვარი საშუალებით. ამნაირად დამკვიდრდა ამ ეკზალტაციით შეპყრობილ ხალხში სასწაულის რწმენა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ისეთი შეურყეველი სიმტკიცე მიიღო, რომ ერთი კაციდან მეორეზე გადადიოდა და მოედო ყველას, ვისაც ასეთივე მოთხოვნილება და წადილი ქონდა.

მიუნცერის თხუზულებანი ამგვარი აზრთა წყობის დამახასია-

თებელი მაგალითია. ჩვენ შეეჩერდებით ზოგიერთ მის თხზულებაზე, პირველად ყოვლისა მოციქულ დანიელის მეორე თავის მოთხრობაზე, რომელშიაც ნაამბობია მეფე ნაეუხოდონოსორის ხილვა ქვითდამსხვრეული ოქროს და რკინის ქანდაკებისა თიხის ფეხებით, —სიზმარი, რომელიც ფრიად მადლიერ მასალას წარმოადგენდა რევოლიუციონური ახსნა-განმარტებისათვის[1]).

მიუნცერი სწერს: ქრისტე „რაღაც ფანტასტიურ თიკინად გადააქციეს, რომელსაც ფეხქვეშ სთელავს მთელი ქვეყანა"; ამისთვის დაგვიცინიან წარმართნი და თურქები, ქრისტეს წამებით ვაჭრობენ, როგორც ბაზარზე. ჩვენ უნდა აღვსდგეთ ამ სიბილწიდან, უნდა გავხდეთ ღვთის მოწაფენი, მისი მოძღვრებით გავნათლდეთ და მისი ძალით გავმაგრდეთ ღვთის მტერთა შურის საძიებლად. გვმართებს შიში ღვთის, და არა პირუტყვთა წინაშე. შეუძლებელია ორ ღმერთს ემსახურებოდეს ადამიანი. მართალია მწიგნობრები ამტკიცებენ, რომ ჩვენს დროში ღმერთი აღარ ევლინება თავის რჩეულ მსახურთ არც სასწაულებრივი მოჩვენებით, არც საუბარში, და ამიტომ ვითომ სახარებას უნდა ეუჯეროთ. დასცინიან იმ პირთა გაფრთხილებებს, ვისაც ღმერთი ევლინება,—დასცინიან, როგორც ებრაელნი იერემიას, ოდეს ის ბაბილონის ტყვეობას წინასწარმეტყველებდა.

შემდეგ მიუნსტერი ნაეუხოდონოსორის სიზმარზე გადადის. ნაეუხოდონოსორი ვერ მიიღებდა სწორ განმარტებას სიზმრის მკითხველებისაგან. „ისინი პირმოთნე, მლიქვნელი და ურჯულო ადამიანები იყვნენ, ისინი იმას ამბობდენ, რაც ბატონს მოსწონდა, სწორეთ იმგვარათვე, როგორც ეხლანდელი მწიგნობრები სჩადიან, რომელთაც მსუქანი ლუკმის ჭამა უყვართ მეფის კარზე". ულრმესად სცდებიან ეს მეცნიერნი, როდესაც ფიქრობენ, რომ სული-წმინდის შთაუგონებლად ძალუძთ კეთილისაგან ბოროტის გარჩევა. ღმერთი ნერგავს სიტყვას ადამიანის გულში. „ამიტომ მოციქული პავლეც (რომ. X) მოსესა და ისაიაზე მიგვითითებს, შინაგან სიტყვაზე გგელაპარაკება, რომელიც ღვთიური ძალით ისმის სულის სიღრმეში. ხოლო ის კაცი, რომელსაც იგი ღვთის ცოცხალი მოწმობით არ შეუთვისებია და არ უგრძვნია, სიმართლეს ვერ იტყვის ღმერთზე, თუნდაც რომ მას ათასი ბიბლია ქონდეს შთანთქული". „რათა ადამიანმა ღვთის სიტყვა გაიგონოს და შეითვისოს, ღმერთი მას ხორციელ ვნებისაგან ანთავისუფლებს, და როდესაც ღვთის მოძრაობა ადამიანის გულს მისწვდება, ამ ადამიანმა ყოველივე სიძვა უნდა ჩაიკლას და გული ღვთის გამოცხადებისათვის გაისპეტაკოს, რადგან ხორცი-

[1]) Ausslegung des andern untersyds Danielis etc., Alstedt 1524.

ელ ადამიანს არ ესმის ის, რასაც ღმერთი ღაღადებს მის გულში (1 კორინთ. 2); მისი გონება წმიდა სულით უნდა განნათლდეს, რათა ღრმათ განსჭვრიტოს კანონის წმინდა, ნათელი აზრი, წინააღმდეგ შემთხვევაში გულით ბრმა დარჩება, ქრისტეს ხისაგან შეიქმს და თავს მოიტყუებს... მაშასადამე, ღვთის გამოცხადებისათვის ადამიანმა თავიდან უნდა მოიცილოს ყოველივე ამაოება და ნამდვილი სულის ახოვნებით განემზადოს ჭეშმარიტების შესაცნობლათ (2 კორინთ. 6); ჭეშმარიტებაში წვრთობის საშუალებით უნდა განარჩიოს მან ჭეშმარიტი ჩვენება ყალბი ჩვენებისაგან".

რჩეულმა ადამიანმა, რომელსაც სურს იცოდეს თუ რომელი ჩვენება ან სიზმარია ღვთისგან მოვლენილი და რომელია ბუნების ძალთა ან ეშმაკისაგან, გულით, ზრახვით და გონებით „უნდა უარჰყოს თავისი სხეულის ყოველივე მიწიერი განცხრომა". როდესაც მთელს ნარსა და ეკალს, ე. ი. ავ-ხორცობას, აღმოიფხვრის გულიდან და იქ მხოლოდ კეთილი მცენარეს დაიტოვებს, „მხოლოდ მაშინ გაიგებს ადამიანი, რომ ის სიკვდილამდე ღვთის და წმიდა სულის ტაძარია".—

მეორე თავის თხზულებაში მიუნცერი დიდი სარკაზმით უპირდაპირებს ერთმანეთს კეთილ ქრისტიანეს და გულ-დაჯერებულ მწიგნობარს. პირველს,- ეკვიანს, მწუხარეს და სულიერად ტანჯულს ღვთის ხილვა სწადია; მეორე, რელიგიისადმი გულგრილობას ქადაგებს და ყოველგვარ სულიერ ბრძოლას დასცინის.

„ადამიანში, რომელიც ეს ეს არის ქრისტიანად იქცევა,—ამბობს მიუნცერი,—ადრე თუ გვიან ჭეშმარიტი რწმენის სურვილი იღვიძებს. ის ოხრავს: „საცოდავ კაცს, ნეტა რა მდევნის მე ჩემსავე გულში? ჩემი სინიდისი სწოვს ჩემს ძალას და სისხლს, მთელ ჩემს არსებას. რა ვქნა, დავიბენი ღვთის ძიებაში, ნუგეშს მოკლებული ქმნილება ვარ. და, აი, ღმერთი მსჯის ჩემივე სინიდისით, ურწმუნოებით, სასოწარკვეთილებით და ღვთის გმობით. გარედან სენი, სიღარიბე, ტანჯვა და ყოველგვარი განსაცდელი მემუქრება ბოროტი ხალხისაგან, მაგრამ შიგნით უფრო ვიტანჯები, ვიდრე გარედან. ეხ, როგორ მწყურია ჭეშმარიტი რწმენა, ნეტავ ვიცოდე სად არის მისკენ სწორი გზა".

ამ აზრებით დაეჭვებული მეცნიერს მიმართავს რჩევისათვის. „მაშინ მეცნიერნი, რომელთაც ძლიერ უჭირთ ენის ამოღება, რადგან ყოველი მათი სიტყვა ბევრი წითელი ფენიგი ღირს, მაშინ მეცნიერნი იტყვიან: „ეხ, კეთილო ადამიანო, თუ არ გსურს იწამო, ეშმაკსაც კი წაუღიხარ".—„ჰოი, სწავლულო დოქტორო, მე მსურს ვიწამო, მაგრამ ურწმუნოება ახშობს ყველა ჩემს სურვილს; რა ეუყო ამ ურწმუ-

ნოებას?". მაშინ მეცნიური ამბობს: „ჩემო კარგო, ნუ ზრუნავ მაგ-გვარ მაღალ ფარდებზე; უბრალო გულით იწამე და განიფანტე შენი აზრები. ეს ამაო ფანტაზიაა. წადი ხალხთან, მხიარული იყავ და საზრუნავი დაგავიწყდება". აი, ძვირფასო ძმაო ამგვარ ნუგეშს გვაძლევს ეკლესია და სხვას არაფერს.

ამგვარმა ნუგეშებმა ქრისტიანული სერიოზულობა საზიზღრობად გადააქცია... მოციქული პეტრე გეუბნება, თუ ვინ არის ნამდვილი ბინძური ღორი: ყოველი ურწმუნო, ყალბი მეცნიერი, რა სექტასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის; ღორმუცლობენ და ,ლოთობენ, ყოველგვარ ვნებას იკმაყოფილებენ და ძაღლებივით კბილებს აკრაწუნებენ, თუ მათ წინააღმდეგ სიტყვა წამოგცდა" [1]).

სწაელულ პირთ და ამ ქვეყნიურ სურვილებს მიუნცერი ერთნაირად ჰკიცხავს.

ეკზალტაციით სავსე მიუნცერს ახალი, მომავალი საზოგადოება ეხატებოდა ხილიასტურად, როგორც ამ ქვეყნიური სამოთხე. „დიახ,— ამბობდა ის,—რწმენის ძალით მოხდება და სამომავლოთ დარჩება ის, რომ ჩვენ, ამა ქვეყნის ხორციელი ადამიანები ქრისტეს ხორცშესხმის ძალით ღმერთებად გადავიქცევით, ღვთის მოწაფენი გავხდებით, ის გაგვანათლებს და ჩვენ გავღმერთდებით. დიახ, ჩვენ შეგვიძლია გაეღმერთდეთ, ამ ქვეყნიური ცხოვრება ზეციურ ცხოვრებაში გადავა" [2]). ეს აპოკალიპტიური მისტიკის ნიმუშია. თუმცა მას ტლანქი რეალიზმიც დაუკავშირდა. როდესაც ღმერთი, მიუნცერის სურვილის წინააღმდეგ, არ გამოცხადდა, მიუნცერმა სასტიკი უკმაყოფილების გამოთქმაც გაბედა,—თუ დავუჯერებთ მელანხტონს, რომელიც კრთომით მოგვითხრობს: „დიახ, მიუნცერი პირდაპირ ამბობდა,—საშინელია ამის გაგონება,—რომ მას თოფის სროლა უნდოდა ღვთისათვის, როდესაც ღმერთი არ გამოესაუბრა მას, როგორც აბრაამსა და სხვა პატრიარქებს" [3]).

ეკზალტიური მისტიციზმი და მასთან დაკავშირებული ასკეტიზმი უცხოა თანამედროვე პროლეტარიატისთვის. ვისაც შეუძლია გაიგოს ეპოქის ნიშანი, ის ხედავს, რომ მომავალი ამჟამად პროლე-

---

[1]) Protestation oder empietung Tome Müntzers von Stolberg am Hartzs, Alstedt 1524.

[2]) Aussgetrüskte emplössung des falschen Glaubens der ungetrewen Welt, Müllhausen 1524.

[3]) Philipp Melanchton, Historie Thomae Münzer'-s, abgedrukt in „des teuren Mannes Gottes, Dr. Martin Luther" Sämmtlichen Schriften und Werken, Leipsig, 1729, XIX. S. 295.

ტარიატს ეკუთვნის და რომ სხვა კლასსების სოციალური მნიშვნელობა, მაშასადამე პოლიტიკური ძალაც, მათი გონებრივი განვითარება და ზნეობრივი დონე სულ უფრო კლებულობს პროლეტარიატთან შედარებით. სინამდვილე მით უფრო აშკარად უმზადებს მას გამარჯვებას, რაც უფრო ღრმათ იკვლევენ ამ სინამდვილეს და რაც უფრო გარკვევით მჟღავნდება თანამედროვე საზოგადოების განვითარების ტენდენციები. მეცნიერება, რომელიც თავის მიზნად ჰეშმარიტების გაბედულ გამორკვევას ისახავს, მხოლოდ პროლეტარიატის ინტერესებს შეეფერება: ეს ერთად ერთი კლასსია, ჰეშმარიტების გაგებაში დაინტერესებული.

რა საკვირელია, დღესაც ჰყვავის მისტიციზმი და ზებუნებრივ ძალთა წყურვილი; მაგრამ ჰყვავის არა პროლეტარიატში, არა კომუნისტებში, რომელნიც ახლა სინამდვილის ფილოსოფოსნი, მატერიალისტები არიან, არამედ მქონებელ კლასსებში, რომელნიც გრძნობენ, რომ მათი აღსასრული მოახლოებულია.

მაგრამ ამ კლასსებს აღარ გააჩნია ის რწმენა და ის დიადი საქმისადმი თავდადების გრძნობა, რაც საშუალ-საუკუნეების მისტიკოსებს უმკაცრეს დევნას ათმენიებდა და სიკვდილს სიხარულით აგებებდა. ჩვენი დროის მისტიციზმი და ცრუმორწმუნოება აღარ ჰბადებს გმირებს და წამებულთ: ბოლომდის ვერ მიდის იგი ისევე, როგორც ბურჟუაზიული მეცნიერება. თანამედროვე მისტიციზმი სიამოვნებით სესხულობს მეცნიერებისგან პატარა პლაშჩს სალონში გამოსაჩენათ და თავს იხრის მდიდართა კაპრიზების წინაშე.

VI. ასკეტიზმი.

მისტიციზმის გარდა, კომუნისტების მეორე დამახასიათებელი თვისება საშუალო საუკუნეების მიწურულში და რეფორმაციის ხანაში, თვისება, რომელიც მათ თანამედროვე კომუნისტებისაგანაც ანსხვავებს, ასკეტიზმი იყო.

როგორც რომის იმპერიის დაცემის ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებშიაც საწარმოო ძალები ჯერ იმდენად განვითარებული არ იყო, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მთელი საზოგადოების უზრუნველყოფა ნეტარებისა და ფუფუნების ყოველგვარი საშუალებით. ამიტომ, ვინც საყოველთაო თანასწორობას მოითხოვდა, მას ბოროტებად უნდა ჩაეთვალა არა მარტო ფუფუნება, არამედ ხელოვნებაც და მეცნიერებაც, რომელიც ხშირად ფაქტიურადაც, ამ ფუ-

ფუნებას ემსახურებოდა. მაგრამ ზოგჯერ კომუნისტები ამაზე შორსაც მიდიოდენ. საზარელი სილატაკე ზოგიერთ ერეტიკოსს აფიქრებინებდა, რომ ცოდვა მარტო განცხრომა კი არ არის, არამედ ყოველგვარი სიხარულიც და თუნდაც სრულიად უმანკო სიამოვნებაც. ერთი მაგალითი ჩვენ უკვე დავინახეთ მიუნცერის თხზულებათა ზემოთ მოყვანილ ადგილებში; მაგრამ შეგვიძლია კიდევ ბევრი ასეთი მაგალითი დავიმოწმოთ. მელანხტონი აღშფოთებული იყო ამგვარი შეხედულებებით. „ის ასწავლიდა,—გვიამბობს მელანხტონი ხსენებულ „ტომას მიუნცერის ისტორიაში“,—რომ ამ გზით უნდა მიუახლოვდეს ადამიანი ჭეშმარიტ და ქრისტიანულ სათნოებას. ჯერ ისეთი მანკიერებისაგან უნდა განთავისუფლდეს იგი, როგორიც არის მრუშობა, მკვლელობა, ღვთის გმობა და სხვა. ამასთან ერთად მან ხორცი უნდა მოიკლას მარხვებით და ცუდი ჩაცმა-დახურვით, ცოტა ილაპარაკოს, პირმოღუშული იაროს, წვერი არ გაიპარსოს. ამ ბავშვურ მოთხოვნილებათა შესრულებას ის ხორცის მოკვლას და ჯვარს უწოდებს, რომლის შესახებ სახარებაში სწერია. ამას სერიოზულად მოითხოვს ყველა მისი ქადაგება“. ამ მკაცრი პურიტანიზმით კომუნისტებმა ანტაგონიზმი ჩამოაგდეს არა მარტო მდიდართა კლასსებთან, არამედ ხშირად მშრომელ კლასსებთანაც, რომელნიც იმ დროს ჯერ სავსე იყვნენ დაუშრეტელი მხნეობით და სიცოცხლის სიყვარულით. გლესებს და ხელოსნებს ხშირად ეჯავრებოდათ კომუნისტები, როგორც ფარისევლები. პურიტანულმა სულმა ძალიან გვიან გაიდგა ფესვები გლეხობაში და წვრილ ბურჟუაზიაში. რეფორმაციის ხანამ გამოიწვია ამ საზოგადოებრივი კლასსების ჩაგვრა და შევიწროება, ხოლო მონარქიული აბსოლიუტიზმის განვითარებამ უიმედოთ გახადა ყოველგვარი წინააღმდეგობა; განვითარდა კაპიტალისტური წარმოების წესი, და მომჭირნეობაც—„თვითშეზღუდვა“—წვრილი ექსპლოატატორების უმაღლეს ღირსებად გადაიქცა, რადგან ეს ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო მსხვილ ექსპლოატატორად გადაქცევისათვის. მხოლოდ ამ დროიდან დაიწყო პურიტანიზმის გავრცელება გლეხობაში და წვრილ ბურჟუაზიაში.

მაგრამ სწორეთ იგივე კაპიტალისტური წარმოების წესი, რომელიც გლეხებში და წვრილ ბურჟუაზიაში პურიტანიზმს ავრცელებს, პროლეტართა წრეებიდან სდევნის ამ პურიტანიზმს: პროლეტარებში კაპიტალიზმი ერთსა და იმავე დროს უიმედობას ჰბადებს და იმედიან რწმენასაც. კაპიტალიზმი ცხადყოფს, რომ პროლეტარის მდგომარეობის გაუმჯობესება ინდივიდუალური ძალღონით შეუძლებელია; კაპიტალიზმი უსპობს ცალკე პროლეტარს უკეთესი მომავლის იმედს

და არწმუნებს, რომ აწმყოს მომავლისათვის მსხვერპლად მიტანა სისულელეა. Caprediem,—ისარგებლე დღევანდელი დღით, გვერდს ნუ აუვლი ნეტარების შესაძლებლობას,—ეს ხდება დევიზად. პირადი მდგომარეობა პროლეტარს უდარდელად და ფუქსოვატად ხდის (თუმცა, რა საკვირველია, ზრუნვისაგან არ ანთავისუფლებს): ორი მომაკვდინებელი ცოდვა ფილისტერ-პურიტანელის თავლში.

მაგრამ კაპიტალისტური წარმოების წესი ამავე დროს იმედს და რწმენასაც აღვიძებს პროლეტარებში: თუ მათი ინდივიდუალური მომავალი სულ უფრო უნუგეშო ხდება, მომავალი მათი კლასსის, პირიქით, სულ უფრო დიადი ბრწყინვალებით ისახება. დღითი დღე იზრდება პროლეტარიატში გამარჯვების იმედი და რწმენა, რადგან ხედავს, რომ ახლოვდება დღე, რომელიც ბატონად გახდის მას მისი ხელით შექმნილი ავლა-დიდებისა, და მერე როგორი ავლა-დიდების!

თანამედროვე პროლეტარს იმდენად აღარ აშფოთებს მ დ ი დ ა რ თ ა ფ უ ფ უ ნ ე ბ ა: ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამჟამათ ეს ფუფუნება ნაკლებათ პროვოკაციურია, ვიდრე ათასხუთასი წლის წინათ. პროლეტარიატის აღშფოთებას ის ფაქტი იწვევს, რომ ყ ვ ე ლ ა ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ს ა გ ა ნ თ ა ს ი ჟ ა რ ბ ი ს დროს და მათი სიჟარბის გ ა მ ო პროლეტარიატი ლატაკი რჩება. პროლეტარმა იცის, რომ თანამედროვე წარმოების წესით შექმნილ კოლოსსალურ საწარმოო ძალთა განვითარებამ უკვე შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ პროდუქტის ნაჟარბი ყველას ეყოფა.

თუ იმ პროლეტარში, რომელიც მხოლოდ თავის პირად ბედს უწევს ანგარიშს, კაპიტალისტური წარმოების წესი უდარდელობას და ფუქსოვატობას ჰბადებს, სამაგიეროთ თავისი კლასსის ბრძოლაში მონაწილე და თავისი კლასსის აზრისა და გრძნობის მოზიარე პროლეტარში ის მხნეობისა და ცხოველყოფის უმაღლეს ფორმებს ქმნის.

საშუალო საუკუნეთა პროლეტარები რამდენადაც მათ შეეძლოთ დამოუკიდებელი აზროვნება და დაკვირვება, სხვანაირად აზროვნობდენ და სხვანაირად გრძნობდენ. რაზომ ბევრი შესახები წერტილი არ უნდა არსებულიყო მათ პურიტანიზმსა და საქრისტიანო ასკეტიზმს შორის, განსაკუთრებით ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, ეს პურიტანიზმი მაინც არსებითად განსხვავდებოდა ასკეტიზმისაგან.

პირვანდელ ქრისტიანული ასკეტიზმის ხასიათი პარაზიტული პროლეტარიატის გავლენით იყო წარმოშობილი. ლუმპენ-პროლეტარიატის მთავარი თვისება,—ვისაც მორალისტობა სურს შეუძლია

ამას ნაკლულევანებაც უწოდოს,—იყო სიზარმაცე, უკიდურესი უსუფთაობა და გონების სიჩლუნგე. ქრისტიანული ასკეტიზმი წარმოადგენდა ზედმიწევნით გამომუშავებულ საშუალებათა სისტემას, რომლის დანიშნულებას სწორეთ ამ თვისებათა სრულქმნა და უმაღლეს ხარისხამდე აყვანა შეადგენდა. ასეთი ასკეტიზმი მოგვაგონებს ინდოსტანის ასკეტიზმს (ბრამანულსა და ბუდდისტურს), რომელიც ანალოგიურ საზოგადოებრივ პირობებში განვითარდა.

მთელ წლებს და ათეულ წლებს ატარებდენ კეთილმორწმუნე ადამიანები ერთსა და იმავე ადგილას, უმოძრაოთ, ყოველგვარ გარეშე გავლენისადმი—სიცხის, სიცივის, გვალვისა და წვიმისადმი—გულგრილნი, პირდაუბანელნი, თმა გაუპარსავნი, ჩხილებ მოუჭრელნი, პარაზიტებით დაფარულნი, რომლებიც დაუბრკოლებლად მრავლდებიან მათ სხეულზე. ზოგიერთი ამ მონანიებულ წმიდანთაგანი,—ყველა ისინი ცოტა თუ ბევრად წმიდანები იყვნენ,—იმდენად ზარმაცი იყვნენ, რომ ჭამა-სმაც უჭირდათ: მათ ხელოვნურად ჰკვებავდენ კეთილი პატივისმცემელნი.

საშუალო საუკუნეების პროლეტარები მეტ წილად უკვე მუშები იყვნენ. მათ ამგვარი თავგანწირვის საშუალება არ ქონდათ. ისინი ქველმოქმედებით კი არ არსებობდენ, ე. ი. არა სხვისი ექსპლოატაციით, როგორც ანახორეტები, არამედ თავისი საკუთარი შრომით. შიმშილით რომ არ მომკვდარიყვნენ, უნდა ემოძრავნათ და საერო საქმეებზე ეზრუნათ. არც გონებრივი სიჩლუნგე და არც სიზარმაცე მათ მდგომარეობას არ შეეფერებოდა; ისინი ჯერ ასე დაგლახაკებული არ იყვნენ და იმდენად ახლო იდგენ ძლიერ, შეძლებულ გლეხობასთან და ხელოსნებთან, რომ ჭუჭყსა და სიბინძურეს ვერ შეეგუებოდენ. კიდევ ნაკლებათ შეეძლოთ ყოველივე ამის ატანა იმ პროლეტარებს, რომელნიც იმდენად მაღლა იდგენ, რომ კომუნისტური იდეების შეთვისება შეეძლოთ. ყველა ცნობები საშუალ-საუკუნეებისა და რეფორმაციის ხანის კომუნისტურ სექტების შესახებ ერთხმათ მოწმობენ, რომ სექტანტები განირჩეოდენ დანარჩენ წრეებისაგან თავისი შრომის მოყვარეობით, პატიოსნებით და სისუფთავით. ამ თვისებების გამო ბევრ ალაგას სექტანტებს ეძებდენ მუშებად. ამის კარგ მაგალითს გარდამნათვლელნი გვაძლევენ. გარდამნათვლელთა ერთ ნაწილს მორავიის ზოგიერთ პუნქტებში მოუხერხდა დასახლება. აქ სექტამ მშვიდობიანი ცხოვრება დაიწყო, დაარსა რამოდენიმე კოლონია, იმდენად კომუნისტური, რამდენადაც ამის საშუალებას გარეშე პირობები იძლეოდა. ჰინდელი, კაცი რომელიც სრულიადაც არ თანაუგრძნობს მათ, შემდეგს წერს ამ კოლონიების შესახებ:

„გ ა რ დ ა მ ნ ა თ ე ლ ე ლ ნ ი ცხოვრობდენ ბოჰემიაში სხვადასხვა სექტებს შორის აქა-იქ მიმოფატულნი და მორავიაში—დიდი მასსობით მრავალრიცხოვან თემებში. ბოჰემიაში ისინი 1530 წელზე ადრე შემოსახლდენ და ისე სწრაფად გამრავლდენ, რომ 70 თემზე მეტი შეადგინეს. სახელმწიფო ხელის უფლება მათ სდევნიდა ხან მეტი, ხან ნაკლები ენერგიით, მაგრამ ეს დევნა სექტანტებმა აიტანეს რამოდენიმე აზნაურთა გვარის მფარველობის წყალობით, რასაც თავისი საფუძვლიანი მიზეზები ქონდა.

„ასე, მაქსიმილიანი მორავიელ გარდამნათელელებსაც მისწვდა, რომელთაც უამისოდაც ხშირად ხვდომია უშედეგო პროსკრიპციები. მაქსიმილიანმა, თავისი მამის ჩვეულების თანახმად, 1567 წელს სეიმში წინადადება შეიტანა გარდამნათვლელთა გაძევების შესახებ მოკლე ვადაში. მაგრამ თავად-აზნაურობა ისე მოიქცა, როგორც წინათ არას დროს არ მოქცეულა. რაინდთა და ბატონთა წოდებამ,—პრელატეთა წოდებას და ქალაქებს ამ თხოვნაში მონაწილეობა არ მიუღიათ,—იმპერატორს თხოვნით მიმართა, რათა გარდამნათვლელნი დაეშვათ მათ საცხოვრებელ ადგილებზე. თხოვნა იმით კი არ იყო დასაბუთებული, რომ გარდამნათვლელთა ერეტიკოსობა ჯერ დამტკიცებული არ არის ან რომ მათი მოქცევა უნდა სცადონ. სრულიადაც არა: თხოვნა იმ სრულიად ეკვმიუტანელ საბუთს ემყარებოდა, რ ო მ გ ა რ დ ა მ ნ ა თ ვ ლ ე ლ ნ ი დ ი დ ა თ ს ა ს ა რ გ ებ ლ ო ქ ვ ე შ ე ვ რ დ ო მ ებ ი ა და რ ო მ მ ა თ ი გ ა ნ დ ე ვ ნ ა ი მ ა ზ ე მ ე ტ ზ ა რ ა ლ ს გ ა მ ო ი წ ვ ე ვ ს, რ ა ც ე ბ რ ა ე ლ თ ა გ ა ნ დ ე ვ ნ ა მ გ ა მ ო ი წ ვ ი ა. კათოლიკენი, უტრაკვისტები და მათთან ერთად (ბოჰემიელი) ძმები დაეთანხმენ ამ განცხადებას. მ ა რ თ ლ ა ც, გ ა რ დ ა მ ნ ა თ ვ ლ ე ლ ნ ი ყ ვ ე ლ გ ა ნ უ ა ღ რ ე ს ა დ შ რ ო მ ი ს მ ო ყ ვ ა რ ე, მ ო მ ჭ ი რ ნ ე, ზ ო მ ი ე რ ი და, გ ა რ დ ა ა მ ი ს ა, შ ე უ დ ა რ ებ ლ ა დ დ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ უ ლ ი მ უ შ ებ ი ა რ ი ა ნ მ ო რ ა ვ ი ა შ ი“.[1])

არაფერი ამის მზგავსი არ ითქმის პირვანდელ ქრისტიანობის აპოკალიპტიურ ფანტასტებზე და ასკეტებზე.

VII. ინტერნაციონალიზმი და რევოლიუციონური სული.

კომუნიზმის ყველა სახეს რომელსაც აქ ვიხილავთ: პირვანდელ ქრისტიანულს, საშუალო საუკუნეებისას და თანამედროვეს ერთი არსებითი თვისება საერთო აქვს: ყველა ინტერნაციონალურია და ეს

[1]) A. H i n d e l y, Geschichte der böhmischen Brüder, Praga 1857, II, S. 19 u.

მათ პლატონის კომუნიზმისაგან ანსხვავებს, რომელსაც ადგილობრივი ხასიათი ქონდა. პლატონის კომუნისტური წყობილება განზრახული იყო ცალკე საქალაქო თემებისათვის მათი ტერიტორიებით. ქრისტიანობის დროიდან კი, პირიქით, ყოველი კომუნისტი მთელი კაცობრიობისათვის მოქმედობდა ან, ყოველ შემთხვევაში, მთელი იმ ინტერნაციონალურ კულტურული ქვეყნიერებისათვის, რომელშიაც ის ცხოვრობდა. პლატონის კომუნიზმის ლოკალური განსაზღვრულობა საგლეხო და სახელოსნო წარმოების პირობებს შეეფერება. საგლეხო წარმოება ადამიანს მკვიდრად ხდის, მიწის განსაზღვრულ ნაკვეთზე ამაგრებს და საკუთრებით ნთქავს მის სამუშაო ძალას. მას შემდეგ, რაც ბოლო მოეღო მომთაბარეობა ტომების ხეტიალს, სოფლის მოსახლეობის გონებრივი ჰორიზონტი შეეიწროვდა და „საკუთარი მრევლის პოლიტიკა“ მარკის და თემის ფარგლებში გლეხობის დამახასიათებელ თვისებად გადაიქცა.

უკეთეს მდგომარეობაში არც ქალაქელი წვრილი ბურჟუა იყო საშუალ-საუკუნეებში.

თავისი ქალაქური ხელობის გარდა ის ჩვეულებრივად მიწათმოქმედებასაც ეწეოდა. მაგრამ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მარტო ხელოსნობას მისდევდა, ის ერთ ადგილზე იყო მიკრული გარკვეულ ადგილობრივ მომხმარებლებზე და, ხშირად აგრეთვე, სახლის პატრონზე დამოკიდებულების გამო.

კაპიტალისტები და მუშები ამ ლოკალურ განსაზღვრულობაზე მაღლა დგანან. ვაჭარი მარტო ადგილობრივ მომხმარებლებს კი არ ემსახურება, არამედ,—და უმთავრესადაც,—სამშობლოს გარეშე ვაჭრობას. რაც უფრო მჭიდრო კავშირს ქმნის გაცვლა-გამოცვლა, მით უფრო მეტ წარმატებაშია ვაჭრის საქმე. ამიტომ ვაჭარი საერთაშორისო ან, უკეთ რომ ვთქვათ, საქალაქთაშორისო კაცია. სადაც მოგებას შოულობს, იქ არის მისი ბინა.

სხვა წყაროდან გამომდინარეობს პროლეტარიატის ინტერლოკალური ტენდენციები. მას არაფერი არ გააჩნია ისეთი, რაც კაცს ერთ გარკვეულ ადგილთან აკავშირებს. შემდეგ, სამშობლო მას არაფერს ისეთს არ აძლევს, რისი შოვნა მას სხვა ადგილასაც არ შეეძლოს; არ აძლევს არაფერს გარდა ექსპლოატაციისა და ჩაგვრისა. ამიტომ საკმარისია სულ მცირე იმედი თავისი ხვედრის ცოტაოდენ გაუმჯობესებისა, რომ ის ახალ ადგილზე გადაბარგდეს.

მაგრამ ვაჭრის ინტერლოკალიზმს სულ სხვა ხასიათი აქვს, ვიდრე პროლეტარიატისას. აღებ-მიცემა უცხო ქვეყანასთან და ვაჭრის მდგომარეობა უცხო ბაზარზე იმ სახელმწიფოს მდგომარეობაზეა დამოკი-

დებული—ანტიური ქალაქი იქნება ეს თუ თანამედროვე ერი ეს სულ ერთია,—რომელსაც ვაჭარი ეკუთვნის. საქმის წარმატებისათვის მას ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელის უფლება სჭირია, ძლიერი განსაკუთრებით სამხედრო თვალსაზრისით. ამიტომ სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ვაჭარი, საზღვარ-გარეთ თუ სამშობლოში, ის მუდამ პატრიოტია,—პირველ შემთხვევაში უფრო მეტადაც, ვიდრე მეორეში. საშუალ-საუკუნეებიდან მოყოლებული ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პირობები ხელს უწყობდა აბსოლიუტიზმის გაძლიერებას და ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნას, ვაჭრები მუდამ თავადებისა და შოვინიზმის მხარეზე დგებოდენ.

პროლეტარი კი სხვა მდგომარეობაში იმყოფება. სახელმწიფოს ხელის უფლება პროლეტარის ექსპლოატატორთა და მჩაგვრელთა უმძლავრესი ფარ-ხმალია. და რომის რესპუბლიკის დაცემიდან ვიდრე მე-XIX საუკუნემდე პროლეტარიატს არავითარი იმედი არ ქონდა, რომ სახელმწიფოს დაიპყრობდა და თავის ინტერესებს დაუმორჩილებდა ან თუნდაც გავლენას მოახდენდა მასზე თავის ინტერესთა სასარგებლოდ. სახელმწიფო პროლეტარიატის უდიდესი მტერი იყო და საკვირველი არ არის, რომ პროლეტარიატს ადვილათ გამოჰქონდა ამ გარემოებიდან შესაფერი ლოგიკური დასკვნა. ყველა კომუნისტურ სექტას პირვანდელი ქრისტიანობიდან დაწყებული მე-XIX საუკუნემდე ახასიათებდა არა მხოლოდ უბრალო გულგრილობა, არამედ ანტიპატიაც სახელმწიფოსადმი და უარყოფა ყოველგვარ მონაწილეობისა პოლიტიკაში და ქვეყნის დაცვის საქმეში. ანარქიზმი ამ სულიერი განწყობილების ანარეკლია. ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება მხოლოდ დროებით ჰქრებოდა, რევოლიუციონურ ეპოქებში, როდესაც ძველი ხელის უფლება რღვევას იწყებდა და პროლეტარიატს იმედი ებადებოდა, რომ ამ ხელის უფლებას ხელში ჩაიგდებდა. მაგრამ რეაქციის ხანაში პოლიტიკის უარყოფა კიდევ უფრო სასტიკი ხდებოდა. ამ თვისებას ჩვენ კიდევ შევხვდებით ბოჰემიელ ძმებთან - ტაბორის დაცემის შემდეგ, გარდანამნათვლელებთან—გლეხთა ომის შემდეგ და მენნონიტებთან—მიუნსტერის აჯანყების დამარცხების შემდეგ.

მაგრამ კომუნისტები პირვანდელი ქრისტიანობის ეპოქიდან ყოველგვარ პირობებში აღიარებდენ ინტერნაციონალური ანუ ინტერლოკალური სოლიდარობის მოვალეობას.

ვაჭარს საზღვარ გარეთ უყურებენ, როგორც მეტოქეს, როგორც ადგილობრივ ვაჭართა მოწინააღმდეგეს. ის არ მოელის იქ

სტუმართმოყვარეობას და საკუთარი ეროვნული ძალას ემყარება ან თავისი სახელმწიფოს ძალას, რომელიც მას მფარველობას უწევს.

პროლეტარი კი უცხო ქვეყანაში როგორც მებრძოლი გამოდის იმავე ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, რომელსაც თავის სამშობლოში განიცდიდა. დახმარებას ამ ბრძოლაში ის თავისი სახელმწიფოსაგან კი არ მოელის, არამედ მხოლოდ იმ ქვეყნის პროლეტარებისაგან, რომელშიაც შემოსახლდა და სადაც ის ადგილობრივ ამხანაგებთან ერთად საერთო ბრძოლას ეწევა.

რა თქმა უნდა, როდესაც პროლეტარი თავის თავში ხედავს არა მებრძოლს, არამედ თავისი სამუშაო ძალის გამყიდველს, მაშინ უცხოეთიდან მოსულ პროლეტარებს უფრო კონკურენტებად მიიჩნევს, ვიდრე თანამებრძოლ ამხანაგებად, და მაშინ ინტერნაციონალური სოლიდარობის მისწრაფებაც ადვილად შესუსტდება.

მაგრამ ეს კომუნისტებს არ ეხება. ესენი უწინარეს ყოფლისა მებრძოლები არიან ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ და ყველგან ერთსა და იმავე მტერს ხვდებიან, ერთსა და იმავე დევნას განიცდიან. ეს აკავშირებს მათ ერთმანეთთან. პირველადელი ქრისტინობის დროიდან ყოველ დაკვირვებულ კაცს თვალში ეჩრება კომუნისტების ის განსაკუთრებული თვისება, რომ ყველა ისინი ერთ დიდ ოჯახს შეადგენენ, რომ უცხო ქვეყნის ამხანაგი ისეთივე ძმა არის მათთვის, როგორც თანამემამულე და რომ ყველგან, სადაც მისი ამხანაგები მოიპოვება, თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ამ თავისებურებისა და აგრეთვე კომუნისტებში საკუთრების უქონლობის გამო (ყოველ მესაკუთრეს, მათთან მიმხრობილს, თავისი ქონება ღარიბთა შორის უნდა გაეყო, თუ სურდა მასწავლებლად ემუშავნა მათ შორის),—მათი ბელადნი და აგიტატორები ადვილად მიმოდიოდენ ერთი ადგილიდან მეორეზე. ძალიან მოძრავნი იყვნენ და განუწყვეტლივ მოგზაურობდენ; ხშირად ისეთ დიდ მანძილს გაივლიდენ ხოლმე, რომ დღესაც, რკინის გზის ხანაში, კაცში გაკვირვებას გამოიწვევენ. ასე, მაგ., ბოჰემიის ვალდენელებს მუდმივი მიმოსვლა ქონდათ სამხრეთ-საფრანგეთის ვალდენელებთან.

ამ მიზეზით კომუნისტებმა უდიდესი მნიშვნელობა მოიპოვეს იმ დროის დაბალ კლასსთა ყველა რევოლიუციონურ მოძრაობაში.

გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის ლოკალური განსაზღვრულობა უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენდა საშუალ-საუკუნეების რევოლიუციონურ მოძრაობებში. ამან შექმნა დაბალი კლასსების უაღრესად არახელსაყრელი მდგომარეობა მათი კარგათ შეკავშირებულ მოწინააღმდეგებთან შედარებით. და თუ როდისმე ხერხდებოდა

ამ განსაზღვრულობის გადალახვა და სხვადასხვა კუთხის რევოლიუციონურ მოძრაობათა ურთიერთ შეთანხმება, ეს უმთავრესად იმავე მოგზაურ კომუნისტ-მოქადაგეთა ამაგი იყო. ის გამარჯვება, რომლითაც გლეხთა 1381 წლის აჯანყება დაიწყო ინგლისში და ტაბორიტთა მოძრაობა—ბოჰემიაში დიდ წილად ამ მოგზაურ კომუნისტ-მოქადაგეთა გამაერთიანებელ გავლენას უნდა მიეწეროს. ასევე მოქმედობდენ ისინი—და მათ შორის განსაკუთრებით ტომას მიუნცერი—1525 წლის დიდი გლეხთა ომის დროს გერმანიაში. მაგრამ გერმანული პარტიკულიარიზმი მეტად ძლიერი იყო და მოგზაურ-მოქადაგეებმა ვეღარ შესძლეს მისი დაძლევა.

ეს აჯანყება უმთავრესად ამ დაქსაქსულობის მიზეზით დამარცხდა.

— აქ ჩვენ მიუახლოვდით ერეტიკული კომუნიზმის კიდევ ერთ მნიშვნელოვან და უკანასკნელ თვისებას, რომელიც სწორეთ ამ გზით უნდა განვიხილოთ,—თვისებას, რომელიც მას პირვანდელ ქრისტიანულ კომუნიზმისაგან ანსხვავებს და, პირიქით, თანამედროვე კომუნიზმთან ანათესავებს: ლაპარაკი გვაქვს ერეტიკული კომუნიზმის *რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ო ნ ურ ს ულ ზ ე*.

პარაზიტულ პროლეტარიატს სიმხდალე და თავმდაბლობა ახასიათებს. არ შეიძლება ითქვას, რომ მას მდიდრები არ სძულს. ეს სიძულვილი მასში, ყოველ შემთხვევაში, იმდენადვე ძლიერია, როგორც მუშა-პროლეტარებში. ამის კვალს სახარებაშიაც ვპოულობთ. მოვიგონოთ თუნდაც იგავი ღარიბ ლაზარეს შესახებ.

მდიდრის და ღარიბის ზნეობრივ თვისებებზე იგავში სიტყვაც არ არის ნათქვამი. აბრაამის წიაღში ლაზარე იმისთვის კი არ მოხვდა, რომ კარგი კაცი იყო, არამედ იმიტომ, რომ ის გაჭირვებულად ცხოვრობდა. მდიდარზედაც ცუდი რამე არ არის ნათქვამი, - მისი სიმდიდრე არის საკმარისი იმისათვის, რომ ჯოჯოხეთში დაისაჯოს წამებით, რომლის შემცირება აბრაამს არ შეუძლია და, სჩანს, არც სურს. თუ ეს სიძულვილი არ არის მდიდართა მიმართ, როგორც ასეთებისა, თუ ეს აშკარა კლასსობრივი სიძულვილი არ არის, მაშინ კლასსობრივი სიძულვილი საზოგადოთ არ არსებულა.

მაგრამ იგავი ღარიბ ლაზარეს შესახებ იმასაც გვიჩვენებს, თუ რაში იხატება პარაზიტული პროლეტარიატის კლასსობრივი სიძულვილი: *ო ც ნ ებ ა შ ი* ის საშინელ საწამებელს უგონებს მდიდრებს და მათი წამების ცქერით სტკბება, მაგრამ ეს *ო ც ნ ებ ა ა* მხოლოდ. მას სძულს მდიდრები, მაგრამ იცის, რომ თვითონაც ზედმეტი ბარგია საზოგადოებისათვის: ის მხოლოდ მდიდართა წყალობით ცხოვრობს

და რაც უფრო სძულს ისინი, მით უფრო თავმდაბლად და ლაჩრულად მლიქნელობს მათ წინაშე. განსაკუთრებით ნათლათ უნდა გამოჩენილიყო ეს რომის იმპერიის ხანაში, საზოგადოებაში, რომელმაც ყველა რესპუბლიკანულ-მოქალაქეობრივი ღირსება დაჰკარგა, რომელშიაც არც ერთ კლასს აღარ სწამდა თავისი ძალა და ყველგან ლაჩრობა და ქვემძრომაობა მეფობდა. საკვირველი არაა, რომ ეს თვისებები იმ დროის ქრისტიანობამაც შეიძინა მას შემდეგ, რაც ებრაელობის მეამბოხურ ელემენტებს მოსწყდა და რომ ამის სრულიად ეკვმიუტანელი კვალი იმ ხნის საქრისტიანო თხზულებებშიაც დარჩა.

ამიტომ იყო, რომ საშუალ-საუკუნეთა მიწურულში ჩასახულ აბსოლიუტურ მონარქიისათვის, მისი მატერიალიზმის მიუხედავად, ახალი აღთქმის წერილები იმგვარსავე სასურველ იარაღს წარმოადგენდა, როგორც რომის სამართალი, ქრისტიანობასთან ერთ ხანაში წარმოშობილი. ეს რელიგია, სთქვეს სუვერენებმა, ხალხისათვის უნდა შევინახოთ.

ხალხი კი, ე, ი. გაყვლეფილი კლასსები, გლეხობა, წვრილი ბურჟუაზია და პროლეტარიატი, სხვანაირად ფიქრობდა. ეს ისეთი ხალხი არ იყო, როგორც დაცემულ რომის საზოგადოებაში. ამ შეიარაღებულმა და მდაბიურად ჯიუტმა ხალხმა ვერას გზით ვერ გაიგო ის მოძღვრება, რომლის თანახმად კაცმა მეორე ყბა უნდა შეუშვიროს იმას, ვინც ერთ ყბაში მას სილა გაარტყა. მოძღვრება, რომელიც ურთიერთ დახმარებას უარჰყოფს, ვინაიდან შურის გება ჩემიაო, ამბობს ქრისტე, და ვინც მახვილს აიღებს, მახვილისაგან დაიღუპებაო; მოძღვრება, რომელიც ქრისტიანულ მოვალეობად მდუმარე ტანჯვასა და მოთმინებას აღიარებს. როდესაც ხალხმა შესძლო თვითონ გასცნობოდა ბიბლიას,—კათოლიკურ სამღვდელოებას კარგათ ესმოდა, თუ რატომ უნდა დარჩენილიყო ბიბლიის ცოდნა მის განსაკუთრებულ პრივილეგიად,—ახალი აღთქმიდან ხალხმა შეითვისა მხოლოდ სიძულვილი მდიდართა მიმართ და არა მოძღვრება თავმდაბლობისა ტ თვითგანწირვის შესახებ. ახალი აღთქმის უსაყვარლეს ნაწარმოები ერეტიკულ დაბალ კლასსებისათვის აპოკალიპსი გახდა: ეს პირვანდელ ქრისტიანეს რეოლიუციონური და სისხლმორეული ფანტაზიები, რომელშიაც არსებული საზოგადოების ზარით და ვაებით დაღუპვა არის აღთქმული, და რომელთან შედარებით უმანკოებად სჩანს ყოველივე ის, რაც უკიდურეს ანარქიზმს გამოუჩენია აქამდის მოქმედებით თუ მუქარით. მაგრამ აპოკალიპსის გარდა დაბალ კლასსთა ერეტიკული ელემენტები გულმოდგინეთ სწავლობდენ ძველს აღთქმასაც, რომელიც გლეხური დემოკრატიის მოგონებებით არის გამ-

სქვალული და სიძულვილის გარდა აქტიურსა და დაუნდობელ ბრძოლას მოითხოვს ტირანთა, მდიდართა და ძლიერთა წინააღმდეგ.

უკვე ლიუტერი გლეხთა ომის დროს თავის თხზულებაში „მძარცველ და ავაზაკ გლეხთა წინააღმდეგ“ ძველს აღთქმას, ხშირად გლეხთმოყვარულს, უპირდაპირებდა ახალ აღთქმას, მეფეებისადმი კეთილგანწყობილს: „გლეხებს ვერ უშველის იმაზე მითითება, რომ „დაბადების“ 1 და 2 თანახმად ყველაფერი თავისუფლად და საზიაროდ არის გაჩენილი და ჩვენ ყველანი ერთნაირად ვართ მონათლული. ეინაიდან ახალ აღთქმაში მოსეს აღარ აქვს ადგილი და მნიშვნელობა, იქ ჩვენი მოძღვარი იესო ქრისტე დგას და ჩვენი სხეულით და ქონებით კეისარსა და საერო სამართალს გვამორჩილებს“ და სხვ.

კომუნისტური სექტების მომხრეებზედაც მოახდინა გავლენა დაბალ კლასსთა საომარმა სულის განწყობილებამ. მაგრამ მეტად სუსტი იყვნენ ისინი, მათი არსებობა მდიდართა და ძლიერთა შეწყნარებაზე იყო დიდათ დამოკიდებული და ამიტომ მშვიდობიანობის დროს მათ შორის ვერ გაჩნდებოდა აზრი არსებული საზოგადოების ძალით დანგრევასა და მის ნაცვლად კომუნისტური საზოგადოების შექმნის შესახებ. თუმცა რომის პარაზიტ-პროლეტარებიანი თავს არ იმდაბლებდენ და არ მლიქვნელობდენ, მაგრამ საერთოდ რეფორმაციის ხანამდე კომუნისტები მშვიდობიან ხალხს წარმოადგენდენ და მათ მშვიდობიანობის მოყვარეობასა და მოთმინებას ყველა ცნობები ისეთივე ერთსულოვნებით ამოწმებენ, როგორც მათ შრომისა და სისუფთავის მოყვარეობას.

მაგრამ როდესაც რევოლიუციონური ხანა დგებოდა და ყოველის მხრიდან აჯანყებული გლეხები და ხელოსნები გამოდიოდენ, მაშინ რევოლიუციონური ენტუზიაზმი კომუნისტებსაც ფრთას ასხამდა აიტანდა. მაშინ მათ,—ყოველ შემთხვევაში ნაწილს, რადგან ამ საკითხზე მათ შორის ერთი აზრი არ არსებობდა,—ებადებოდათ აზრი რომ დადგა დრო, როდესაც დიად ღვთაებრივ ძალას ამა ქვეყნის დაბალნიც გამოიჩენენ და არაეითარი სასწაული შეუძლებელი არ არის. მაშინ რევოლიუციონურ მოძრაობას უერთდებოდენ, რათა იგი კომუნიზმისათვის გამოეყენებიათ. და რაკი ერთხელ რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩადგომით მათთვის შეუძლებელი ხდებოდა რაიმე კომპრომისი არსებულ ხელის უფლებასთან და რადგან სხვა გზა რაიმე გაუმჯობესებისა არსებული საზოგადოების პირობებში არ არსებობდა, მალე იმხრობდენ მერყევს და გაუბედავ ელემენტებს და ადვილათ ხდებოდენ მოძრაობის წინამძღოლები: ფრა-დოლჩინო გლეხ-

თა ომს მეთაურობდა ტოსკანაში, ჯონ ბოლლი—გლეხთა ომს ინგ-ლისში, ტაბორიტები--გუსიტურ მოძრაობას, მიუნცერი და მისი მიმდევარნი—ტიურინგენში აჯანყებულთ გლეხთა ომის დროს. მთელს სახალხო მოძრაობებს ასვამდენ ისინი კომუნიზმის ბეჭედს და ისეთი ძლიერების სიცხადეს ქმნიდენ მოძრაობაში, როგორიც ნამდვილად მას ჯერ არ გააჩნდა. სწორედ ეს იწვევდა ყველა მესაკუთრეთა გაე-რთიანებას კომუნიზმთან ბრძოლაში: დამფრთხალნი და გაბოროტე-ბულნი ბოლომდის არბევდენ მოძრაობას. ეს რევოლიუციონური სუ-ლი დაბალ კლასსთა რევოლიუციონურ მოძრაობისა საშუალ—საუ-კუნეების დამლევიდან იმ თავისებურობას წარმოადგენს, რომელნიც, სხვა მხრით მზგავსების მიუხედავად, ყველაზე უფრო მკაფიოდ ანსხ-ვავებს მას პირვანდელ ქრისტიანულ კომუნიზმისაგან და ყველაზე ნა-თლად მეტყველებს მის ნათესაობაზე თანამედროვე პროლეტარულ-კომუნისტურ მოძრაობასთან.

პირვანდელ ქრისტიანული კომუნიზმი აპოლიტიური და პასსი-ური იყო. პროლეტარული კომუნიზმი კი პირიქით, საშუალო საუკუ-ნეების დამლევიდან მოყოლებული ბუნებრივი აუცილებლობით იმისკენ მიიმართებოდა, რომ ხელსაყრელ პირობებში პოლიტიკური და ამბოხე-ბითი ხასიათი მიეღო. მზგავსად თანამედროვე სოციალ-დემოკრატიისა, ის ასეთ შემთხვევებში თავის მიზნად პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ-ტ ა ტ უ რ ა ს ისახავდა, რ ო გ ო რ ც ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო ს ა ი-მ ე დ ო ი ა რ ა ღ ს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს.

თავი მეოთხე.

ერეტიკული კომუნიზმი იტალიაში და სამხრეთ საფრანგეთში.

I. არნოლდ ბრეშიანელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ წიგნის პირველი ნაწილის დასაწყისში, საშუალ-საუკუნეების ქალაქები ყველაზე ადრე იტალიაში და სამხრეთ-საფრანგეთში განვითარდენ; აქვე იჩინა თავი პირველად საშუალ-საუკუნეების კომუნიზმმა; მაგრამ ამ ქალაქებშივე გაჩნდა პირველად აგრეთვე ერეტიკოსობა და პირველი რეფორმატიული მისწრაფებანი.

გერმანელმა მეცნიერებმა ერთი სულელური დებულება წამოაყენეს: თითქოს მხოლოდ გერმანელ ხალხებს გააჩნდა ის განგებიანობა და ჭეშმარიტი მორწმუნეობა, ურომლისოდ საეკლესიო რეფორმის მისწრაფება ვერ წარმოიშობოდა. ნამდვილად კი რეფორმატორულ მოძრაობას იტალიაში ჩვენ უკვე იმ დროს ვხვდებით, როდესაც გერმანიაში ჯერ რეფორმის ხსენებაც არ იყო.

უწინარეს ყოვლისა ამ მოძრაობამ თავი იჩინა თვით რომში, ქრისტიანობის დედა-ქალაქში. საშუალო საუკუნეებისათვის რომს მეტის უფლებით შეგვიძლია უწოდოთ „ევროპის გული“, ვიდრე პარიზს დიდი რევოლიუციისა და 1870-1871 წ. წ. ომის შუა პერიოდში.

რომში მოდიოდა და რომში სწყდებოდა, როგორც უკანასკნელ ინსტანციაში, არათუ ყველა საეკლესიო საქმეები,—ეს საქმეები კი თითქმის მთელი ცხოვრების შინაარს შეადგენდა საშუალ-საუკუნეებში,—რომი იყო სამხატვრო და ლიტერატურული ცენტრი, უზენაესი სამსჯავრო ყოველგვარ, და სხვათა შორის, საერო კონფლიქტებისათვის და—last but not least—უფაქიზეს განცხრომისა და გართობის ცენტრი. რომისაკენ მიეშურებოდენ ყველანი, ვინც შევიწროებულად გრძნობდა თავს და საშობლოში სამართალს ვერ პოულობდა; ვინც უმაღლეს სიბრძნეს უნდა დასწაფებოდა

ან უნაზეს ესტეტიურ განცდებს ნატრულობდა; ვისაც სამშობლოში ცხოვრება მოსწყენოდა და ვისაც ზედმეტი ფული ებადა. ყველა ასეთი რომში იყრიდა თავს; და რა მრავალნაირიც არ უნდა ყოფილიყო ის მოტივები, რომელსაც ისინი რომში მიყავდა და რა რიგ სხვადასხვა ნაირი არ უნდა ყოფილიყო მათ მიერ მიღწეული შედეგები, ერთ რამეში მათი ბედი ერთნაირი იყო: ყველა ფლანგავდა თავის ფულს, და ზოგჯერ, სხვისასაც.

რომი საშუალო საუკუნეებში, ისევე როგორც დღეს, მაგრამ მაშინ გაცილებით მეტად, ვიდრე ამჟამათ, უცხოელთა ქალაქი იყო, უცხოელებით ცხოვრობდა და უცხოელთა წყალობით წარმატულობდა. უცხოელთა მოზიდვა რომისაკენ ერთი უდიდესი მიზანთაგანი იყო, რომელსაც პაპები ემსახურებოდენ.

უცხოელთა ისეთი მოსანადირებელი საშუალება, როგორიც მსოფლიო გამოფენებია, საშუალო საუკუნეებში ჯერ ცნობილი არ იყო. პაპებმა სხვა საშუალება მოიგონეს, არა ნაკლებ სარფიანი:

საიუბილეო შენდობა ანუ საღვთო წელიწადი. ვინც გარკვეულ წელს რომში ჩამოვიდოდა, თავის ცოდვათა სრულ შენდობას მიიღებდა. ამ ხერხმა გასჭრა. როგორც 1889 და 1900 წ.წ. ხალხი ათასობით მიილტვოდა პარიზისაკენ იმ საბაბით, რომ რაღაცას შესწავლა სურდა, ნამდვილად კი — მხოლოდ დროს გასატარებლად, ისე საღვთო წლებშიაც მრავალრიცხოვანი მასსები თავს იყრიდა რომში, იგემებდა იქ ყველა იმ დროს ცნობილ ცოდვებსა და გარყვნილებას და შემდეგ სახლში ბრუნდებოდა უფრო უცოდველი, ვიდრე რომში ჩამოსვლამდის იყო. პირველი ასეთი საუბილეო შენდობა პაპმა ბონიფაცი მე-VIII-ემ მოაწყო 1300 წელს. იმ წელიწადს რომში თავმოყრილ უცხოელთა რიცხვის გამორკვევა „ძნელია და სწორი არ იქნება; ციფრები გაზვიადებული უნდა იყოს გაქნილ სამღვდელოების მიერ, რომელმაც კარგათ იცოდა, თუ როგორ გადამდებია სხვისი მაგალითი. ერთი წინდახედული ისტორიკოსი, ზეიმის მოწამე, სხვათა შორის გვარწმუნებდა, რომ რომში არასოდეს არ ყოფილა ო რ ას ა თ ა ს ზ ე ნაკლები უცხოელი, მეორე მოწამე კი ჩამოსულ უცხოელთა რიცხვს წლიურად ო რ მ ი ლ ი ო ნ ა დ ანგარიშობს. რა მცირედიც არ უნდა ყოფილიყო თვითეული სტუმრის საჩუქარი, საერთოთ მაინც ისეთი დიდი თანხა დგებოდა, რომ უდიდეს მეფის საჭურჭლეს აავსებდა; ორი მღვდელი დღე და ღამე ნიჩბებით ხელში იდგნენ, რომ დაუთვალავად ეგროვებინათ წმ. პეტრეს საკურთხეველზე მოძღვნილი ოქრო და ვერცხლი. საბედნიეროთ ის დრო მშვიდობიანი და ბარაქიანი იყო. მართალია, საარსებო საგანთა ნაკლებობა

საგრძნობი იყო და სასტუმროები და ბინები არაჩვეულებრივად ძვირად ფასობდა; მაგრამ წინდახედულმა პოლიტიკოსმა ბონიფაციმ და სტუმართმოყვარე და მოგებას დახარბებულმა რომაელებმა თადარიგი დაიჭირეს და აუარებელი პური, ღვინო, ხორცი და თევზეულობა ომარაგეს. (Gibbon, Geschichte des Verfalbs und Untergang des römischen Veltreichs, deutsch von Sporschil, Leipzig 1837, მგვ. 2573).

პირველად ისე იყო განზრახული, რომ ყოველ ასი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი „საღვთო წელიწადი" გაიმართებოდა; მაგრამ საქმე იმდენად შემოსავლიანი აღმოჩნდა, რომ პაპებმა და რომაელებმა მისი გახშირების სურვილი იგრძნეს. პერიოდები ერთი საიუბილეო შენდობიდან მეორემდე თანდათან მცირდებოდა: ჯერ 50 წლამდე, მერე 33-მდე და ბოლოს 25 გახდა.

ეს მხოლოდ ერთი ნიმუშია უცხოელთა და მათი ფულის მოსანადირებელ საშუალებათა. საშუალ-საუკუნეების სამარადისო ქალაქი საიუბილეო შენდობის გამოგონებამდე დიდი ხნით ადრე გამოვიდა თავის წინანდელ ბეჩავი მდგომარეობიდან და ყველა სხვა ქალაქზე ადრე მოიხვეჭა ძალა-უფლება და დიდი გავლენა. მაგრამ რომში იგივე ხდებოდა, რაც სხვა ქალაქებში: სიმდიდრისა და ძლიერების პარალელურად იზრდებოდა თვითშეგნება და დამოუკიდებლობის სული ქალაქის მცხოვრებლებში. და სხვა ქალაქის მცხოვრებლებსაეით რომაელებიც ცდილობდენ თავიდან მოეშორებინათ თავისი უფალნი,— პაპი, იმპერატორი, ან ორივე ერთად. საშუალ-საუკუნეების რომი 1789—1871 წლების პარიზს ჰგავდა არა მარტო როგორც „ევროპის გული", არამედ აგრეთვე როგორც რევოლიუციების დედა-ქალაქი.

„ვის არ გაუგონია,—აცხადებდა მეამბოხე ხალხით აღშფოთებული ბერნგარდ კლერეოსსელი მე-XII საუკუნეში,—ვის არ გაუგონია რომაელთა ურჩობა და თავხედობა,—იმ ხალხის, რომელიც ამბოხებებში არის აღზრდილი, მუდამ შფოთავს და ველური, აღვირ ახსნილი ზიზღს უცხადებს მორჩილებას, თუ საკმაოთ ძლიერია წინააღმღეგობის გასაწევად? როდესაც სამსახურს გპირდებიან, ბატონობისაკენ ესწრაფიან; როდესაც ერთგულებას შემოგფიცავენ, მხოლოდ შემთხვევას ელიან ამბოხებისათვის; და ყიყინით გამოსთქვამენ უკმაყოფილებას, როდესაც მათ წინ კარი იხურება და მათ რჩევას არ საჭიროებენ. უსინიდისობაში დახელოვნებულთ, არას დროს არ უსწავლიათ სიკეთის ქმნის ხელოვნება. ცით და მიწით შეძულებულნი, ღვთის წინაშე ულირსნი, ერთმანეთის მიმართ მეამბოხენი და მეზობ-

ლისადმი მოშურნე, ისინი არავის არ უყვარს; ყველას აფრთხობენ და თვითონ მუდამ ბედითი შიშით ცხოვრობენ. მორჩილებას არ კადრულობენ, მაგრამ ბატონობის უნარი არ შესწევთ; ხელის უფლების ორგულნი, თავისი სწორის მოქიშპენი, მფარველთა უმადურნი, სირცხვილი არ იციან არც მოთხოვნაში და არც უარისყოფაში".[1])

ასე გეგონებათ, გერმანელი ბურჟუა ლანძღავს 1871 წლის პარიზელებსო!

იმ დროს, როდესაც პაპების ძალა-უფლებამ ქრისტიანობაში თავის მწვერვალს მიაღწია, თვით რომში ისინი უძლური იყვნენ. „პაპები, რომელნიც ხელმწიფეებსა და ერებს ზარს სცემდენ თავისი ანათემებით და დასავლეთის ეკლესიაზე ბატონობდენ თავისი ძალა-უფლების უსაზღვროების სრული შეგნებით, იშვიათად პოულობდენ სიმშვიდეს თვით რომში; არსად არ იყო მათი ხელის უფლება ისე სუსტი, როგორც საკუთარ ქალაქში და საკუთარ ოლქში. ლტოლვილებივით ბორგავდენ აქ ისინი, თავისი ხალხის წყეულაკრულვით დევნილნი". [2])

განსაკუთრებით გასაოცარს და ცნობილს, მაგრამ არა ერთადერთ მაგალითს იმისა, თუ რა უძლური იყვნენ მსოფლიოს მპყრობელნი თავისივე ქალაქის მცხოვრებელთა წინაშე, პაპი გრიგოლ მე-VII იძლევა: გერმანიის იმპერატორი ჰენრიხ IV მან აიძულა კანოსსაში წასულიყო დანაშაულის მოსახდელად, მაგრამ რომაელებს ვერ აუვიდა. რომიდან გაიქცა, რადგან აქ ხიფათს მოელოდა, და სალერნოში მოკვდა ნებაყოფლობით ხიზნობაში.

თავის შფოთიან ქვეშევრდომთა დამორჩილება პაპებმა მხოლოდ მე XV საუკუნეში შესძლეს სუვერენთა ხელის უფლების საყოველთაოთ გაძლიერების შემდეგ.

ევგენი IV უკანასკნელი პაპი იყო (პიი IX-მდე 1848 წ.), რომელიც იძულებული იყო გაქცევით დაეღწია თავი რომაელთა აჯანყებისთვის.

ასეთი აღვირახსნილ და არა-ეკლესიურად განწყობილ მოსახლეობას ადვილად ძლევდა იმის სურვილი, რომ სამღვდელოება სიღარიბესაკენ მოექცეთ სახარების თანახმად, ე. ი. ხელში ჩაეგდოთ მთელი სიმდიდრე, რაც ეკლესიას მოუხვეჭია და რომში დაუგროვებია. მაგრამ, ცხადია, საკმარისი იყო სულ რამოდენიმე წელიწადი

---

[1]) ციტატა ამოღებულია გიბბონის წიგნიდან, loc. cit. გვ. 2551. „ეს შავი სურათი, ცხადია, ქრისტიანულ სიყვარულის ფერებით არ არის დახატული" —ფიქრობს გიბბონი.

[2]) Giesebrecht, Deutsche Kaiserzeit, III ტ. S. 550.

ეცხოვრათ რომაელებს უპაპოთ, რომ დაენახათ, თუ რაში მდგომარეობს მათი არსებობის დაუშრეტელი წყარო.

საკვირველი არ არის, რომ საეკლესიო რეფორმის პირველი სერიოზული ცდა რომმა უკვე XII საუკუნის შუა წლებში მოახდინა; ეს ცდა ა რ ნ ო ლ დ ბ რ ე შ ი ა ნ ე ლ ი ს სახელთან არის დაკავშირებული. აბელიარის მოწაფე, არნოლდი ძალიან გაბედულად ამხედრდა სამღვდელოების საერო საკუთრების წინააღმდეგ და, როგორც უგვიანესი რეფორმატორები, პირვანდელ ქრისტიანობას იმოწმებდა ამ საქმეში. მაგრამ ის კომუნისტი არ იყო: საეკლესიო ქონება მისი აზრით ერის წევრთა შორის კი არ უნდა გაყოფილიყო, არამედ საერო ხელმწიფეებს გადასცემოდა. ამ „ერესის" გულისთვის ის გაძეეეულ იქნა საფრანგეთიდან, სადაც აბელიარს უსმენდა პარიზში. შემდეგ შვეიცარიაში შეიხიზნა. 1145 წელს რომში ჩამოვიდა, აქ მეამბოხე დემოკრატიის მფარველობა მოიპოვა და თავს იდო ამ დემოკრატიის ინტერესთა დაცვა.

მაგრამ ეს მოძრაობა, რომელიც სულ ათიოდე წელი ძლივს გაგრძელდა, უკვე შეწყდა. რომაელებმა მალე შეიგნეს, რომ ერთგვარი მორიდება პაპობისადმი მათთვის საზიანო არ იქნება: მართლაც, რატომ უნდა დაეკლათ ქათამი, რომელიც ოქროს კვერცხებსა სდებდა? რომის დიდება და სიმდიდრე ეაპრობა-მრეწველობით კი არ იყო შექმნილი, არამედ პაპების მიერ ქრისტიანულ ქვეყნიერების ექსპლოატაციით. საშუალ-საუკუნეების რომაელნი, ანტიურ რესპუბლიკის რომაელებსავათ, მსოფლიოს ექსპლოატაციით ცხოვრობდენ. შეიცვალა მხოლოდ ამ ექსპლოატაციის მეთოდები. 1154 წელს რომაელებმა ზავი ჩამოაგდეს პაპთან და არნოლდ ბრეშიანელი განდევნეს. სახელგანთქმულმა ფრიდრიხ I ბარბაროსსამ, რომელსაც არნოლდი ხელში ჩაუვარდა, პაპის ჯალათებს გადასცა თავისი ტყვე; ამათ კი არ დააყოვნეს და დასწვეს ის, როგორც გავარდნილი ერეტიკოსი.

II. ვალდენელნი.

უფრო ღრმათ გაიდგა ფესვი ერეტიკულმა მოძრაობამ ჩრდილოეთ იტალიაში და, განსაკუთრებით, სამხრეთ საფრანგეთში. აქ საშუალო საუკუნეებში ყველა სხვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე უფრო ადრე განვითარდა ეაპრობა და ქალაქის მრეწველობა. სამხრეთ იტალიას ჩვენ გვერდს ეუვლით, რადგან საშუალ-საუკუნეებში ის უფრო აღმოსავლეთს ეკუთვნოდა ვიდრე ევროპიულ დასავლეთს. მისი

კულტურა უფრო ბიზანტიური და სარაცინული იყო, ვიდრე ქრისტიანულ გერმანული. ჩრდილოეთ იტალიაში და სამხრეთ საფრანგეთში ყველაზე ადრე ჩამოყალიბდა ბურჟუაზია და კარგათ განვითარებულ სახელოსნო წარმოების გარდა, რომელიც ადგილობრივ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა, მასსიური საექსპორტო წარმოების განვითარებაც დაიწყო. წარმოიშვა პროლეტარიატი და კაპიტალისტური ექსპლოატაციის პირვანდელი ფორმები.

ჩრდილოეთ იტალიის ქალაქთა სიმდიდრემ ძალიან ადრე მოიპყრო პაპების სიხარბე. მაგრამ ამავე სიმდიდრემ თავისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ძალა მისცა ქალაქებს; ხშირად იმარჯვებდენ კიდეც და დამოუკიდებელი ხდებოდენ.

მაგრამ იყო პირობები, რომელიც, მეორეს მხრით პაპებთან აახლოვებდა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებს. იტალიის ქალაქთა სიმდიდრის მონადირება გერმანელ იმპერატორებსაც(კაიზერებს) სწყუროდათ;ისინი პაპების კონკურენტები იყვნენ იტალიის ექსპლოატაციის საქმეში რაც უფრო ნაკლები საშოვარი რჩებოდათ იმპერატორებს ეკონომიურად ჩამორჩენილ გერმანიაში, მით უფრო მეტის გამორჩენას ცდილობდენ ისინი იტალიის მდიდარ ქალაქებისაგან. და რაზომ უძლურიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი გერმანიაში, იტალიაზე თავის ყაჩაღურ ლაშქრობისათვის, ე. წ. რომაულ ლაშქრობისათვის მათ მრავალი მონაწილეს პოვნა შეეძლოთ. გერმანელი ისტორიკოსები კი ამ ლაშქრობას იდეალიზმის ყველა გრძნებით ამკობენ, რაც მათ მრავალათ მოეპოვებათ.

ამგვარათ, ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებს საქმე ორ, ერთმანეთთან მებრძოლ ექსპლოატატორთან ქონდათ. სანამ ქალაქები ინდენად ძლიერი არ იყვნენ, რომ ორივე მტრის წინააღმდეგ შესძლებოდათ თავისი დამოუკიდებლობის დაცვა, ისინი იძულებული იყვნენ რომელიმე ერთ ექსპლოატატორთან დაეჭირათ კავშირი, რათა თავი ეხსნათ მეორესაგან.

საკითხი იყო, რომელი ექპლოატატორი უფრო საშიშარია მათთვის: ჯარით სუსტი, მაგრამ ახლო მყოფი პაპი, რომელსაც ძლიერი დასაყრდენი ქონდა ყოველ ქალაქში მისი ხელქვეითი სამღვდელოების სახით, თუ არმიით ძლიერი, მაგრამ, ჩვეულებრივად დიდი მანძილით დაშორებული იმპერატორი. ქალაქების სიმპატიები გარემოების მიხედვით იცვლებოდა: დღეს იმპერატორს უკავშირდებოდენ, რათა გვალ მის მეგობრებს და მასაც თავს დასხმოდენ და წინააღმდეგ. პარდა ამისა თვითეულ ქალაქშიაც არსებობდა ერთის მხრით იმპერატორის პარტია, რომელსაკ XIII საუკუნიდან გიბელინების პარ-

ტია ეწოდებოდა, და მეორეს მხრით პაპების პარტია, ე. წ. გველ-ფების პარტია. პირველ შეხედვით ყოველგვარი წინააღმდეგობა პარ-ტიებსა და კლასსებს შორის ქალაქებში აიხსნებოდა იმპერატორისა და პაპობის მიმდევართა ურთიერთ ანტაგონიზმით: თუ ერთი კლას-სი ან პარტია იმპერატორს მიემხრობოდა ან მას დახმარებას სთხოვ-და, ეჭვი არ არის, რომ მეორე, მისი მოწინააღმდეგე კლასსი ან პარტია, პაპებს მიეკედლებოდა.

მარტო ამ მიზეზითაც პაპებისადმი სიმპატიები ჩრდილოეთ იტა-ლიის ქალაქებში ხშირად ძალიან ძლიერი იყო და, ყოველ შემთხვე-ვაში, საესებით არასოდეს არ გამქრალა. ამას მეორე მომენტიც და-ერთო. პილიგრიმების გზა რომისაკენ ჩრდილოეთ იტალიით მიდიო-და. იერუსალიმში მიმავალ პილიგრიმებიც ჯვაროსანთა ომების დროს ჩვეულებრივად იმ გზას ირჩევდენ, რომელიც ჩრდილოეთ იტალიას სჭრიდა. პილიგრიმების მოგზაურობამ აღთქმულ ქვეყნისა და რომისაკენ დიდათ შეუწყო ხელი ჩრდილოეთ იტალიის ქალაქთა ეკონომიურ განვითარებას. მაგრამ ეს მოგზაურობანი,—რომისკენ თუ იერუსალიმისკენ,—იმას გულისხმობდა, რომ მთელი საქრისტიანო ქვეყნიერება პაპებს უპყრიათ. ცოტა ხნის ცოტა უფრო გვიან კიდევ ერთმა გარემოებამ გააძლიერა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებში იმ წყობილების დაცვის ინტერესი, რომლის პირობებში პაპები მთელი ევროპის ექსპლოატაციას ეწეოდენ. ამ ქალაქებში ჩაისახა სათამასუ-ქო და საბანკო საქმე. ჩრდილოეთ იტალიის ვაჭრები პაპების პირ-ველი ბანკირები იყვნენ. მათ შემოდიოდათ პაპების მიერ გამოწურუ-ლი ყველა თანხები; ისინი სარგებლობდენ ამ თანხებით პაპებისა და თავისი საკუთარი ინტერესების მიხედვით. ვაჭრების ხელში ეს თან-ხები მძლავრ კაპიტალებად გადაიქცა: საეახშო და საეაჭრო კაპიტა-ლებად. ბანკირები აბრუნებდენ ამ ფულს, სპეკულიაციას ეწეოდენ პა-პების კაპიტალებით, სესხად აძლევდენ მეფეებსა და ქალაქებს, სე-ნიორებსა და მონასტრებს.

ამგვარად ექსპლოატაცია, რომელსაც პაპები ეწეოდენ, ჩრდი-ლოეთ იტალიის ეკონომიური ძლიერების ერთერთ ბურჯად გადა-იქცა.

მაშასადამე, ჩრდ. იტალიის მოქალაქენი რომაელებსავით დაინ-ტერესებული იყვნენ პაპობის ბატონობის არსებობაში; მათ შორი-საც, როგორც რომაელებში, ხშირად ჩნდებოდა პაპების წინააღმდეგ აჯანყების მიდრეკილება, რადგან პაპებისათვის ექსპლოატაციის ობი-ექტად ყოფნას მათ ურჩევდათ თვითონ ყოფილიყვნენ სხვისი ექსპლოა-ტატორები; მაგრამ, როგორც რომაელებს, ამათაც არ სურდათ აჯან-

ყებაში ისე ღრმად შეტოპვა, რომ მათთვის ასე თუ ისე სასარგებლო პაპების ექსპლოატაციის მექანიზმი მთლად განადგურებულიყო.

ამის გამო ჩრდილოეთ იტალიაშიაც, როგორც რომში, ჩვენ ძალიან ადრე ვხვდებით რეფორმატორულ მოძრაობებს, ერეტიკოსთა ბრძოლას პაპების წინააღმდეგ, მაგრამ რადიკალურ რეფორმაციამდე საქმე არსად არ მისულა. ჩრდ. იტალიამ გერმანულ რეფორმაციამდე დიდი ხნით ადრე მიაღწია სულიერ დამოუკიდებლობას კათოლიკურ ეკლესიის მოძღვრებისაგან; მაგრამ პაპობის უარყოფისათვის არ არსებობდა ყველა საჭირო ეკონომიური პირობა.

ამიტომ პირველ სერიოზულ აჯანყებას არა მხოლოდ ჩაგვრის ცალკე აქტების გამო, არამედ თვით პაპების ბატონობის წინააღმდეგ ჩვენ ვხვდებით არა ჩრდ. იტალიაში, არამედ სამხრ. საფრანგეთში, რომელიც ეკონომიურად იტალიაზე უფრო განვითარებული იყო და ამასთანავე სრულიად არ იყო დაინტერესებული პაპის ძალა-უფლების დაცვაში.

„ალპებსა და პირენეებს შუა მდებარე მშვენიერ ქვეყანაში,—ამბობს შლოსსერი თავისი შრომის [1]) ერთ თავში. „სამხრეთ საფრანგეთი ალბიგოის ომების წინ,"—მრავალი ნაშთი დარჩა ბერძნული და, განსაკუთრებით, რომაული კულტურისა, რომელიც აქ მთელი ძველი დროის განმავლობაში ჰყვაოდა მარსელის დაარსების შემდეგ. საშუალო საუკუნეებში პირველად აქ განვითარდა თავისებურად მეცნიერებანი, კაზმული და გამოყენებითი ხელოვნებანი და სამოქალაქო ყოფა-ცხოვრების დაწესებულებანი; რომაული, ლათინური და ესპანური პოეზია აქ შეხვდა არაბულს და ამ შეხამებამ ორიგინალური ნაყოფი წარმოშვა. ცნობილია, რომ ეს ქვეყანა აირჩია თავის სამყოფელად ეგრე წოდებულმა ტრუბადურთა მხიარულმა ხელოვნებამ და ქალთა სამიჯნურო სასამართლოებმა, სიმღერამ, კეთილშობილებამ და დარბაისლობამ; ცნობილია, რომ აქ, როგორც საბერძნეთში ჰომიროსის დროს, პოეზია განუწყვეტლად დაკავშირებული იყო დღესასწაულებთან და ნადიმობასთან, რომ აქ სწავლობდენ და ნიმუშებს ეძებდენ ახოვნებისა და სიყვარულის მგოსნები და რომ, ბოლოს ამავე წყაროს დაეწაფენ დანტე და პეტრარკა, სანამ თავისი ერის საშუალო დონეზე ამაღლდებოდენ. მეცნიერებათა შორის სამხრეთ საფრანგეთში განსაკუთრებით განვითარებული იყო—და მხოლოდ აქ იყო იგი განვითარებული, თუ სალერნოს არ ჩავთვლით—მკურნალობის ხელობა. გარდა ამისა ებრაელებს აქ მრავალი სამეცნიერო დაწესებულება ქონდათ დაარსებული. სამხრ. საფრანგეთის ქალაქები

[1]) Weltgeschichte, Francfurt a. M. 1847, B. VII, S. S. 251, 252.

დიდი ხანია ისეთი თავისუფლებით და დამოუკიდებლობით სარგებლობდენ, როგორიც არც ერთ ევროპის სხვა ქვეყანაში არ არსებობდა. ტულუზაშიაც კი, ძლევამოსილი გრაფის რეზიდენციაში, მართველობა დამოუკიდებელ მაგისტრატს და მოქალაქეთა თავისუფალ კომიტეტს ეკუთვნოდა, ხოლო მოასაკში სიუზერენს ფიციც კი უნდა დაედო ქალაქის სამართლის წინაშე, უამისოდ თითონაც ვერ მიიღებდა ფიცს მოქალაქეებისაგან.

ასეთ პირობებში საკვირველი არ არის, რომ ყველაზე ადრე სამხრ. საფრანგეთში აღშფოთდა მოსახლეობა ქრისტიანობის გადაგვარების გამო, რომ კულტის რეფორმები და აგრეთვე სახარების გადმოთარგმნა ქყეყნის ენაზე აქ მთავარ მოთხოვნილებად გადაიქცა და რომ ამ მიზეზებმა წარმოშვა ის საშინელი ომი ეკლესიასთან, რომელმაც ბოლოს და ბოლოს არათუ მოსპო ამ ქვეყნის თავისუფლება და არათუ უდაბნოდ აქცია ევროპის ეს უმდიდრესი კუთხე და საფრანგეთის მეფის ბატონობა ხმელთა-შუა-ზღვამდე გაავრცელა, არამედ საბაბიც შექმნა დასავლეთში ინკვიზიციის შემოღებისათვის".

უკვე მე-XII საუკუნის დასაწყისში ერეტიკოსობა ისე ფართოდ გავრცელდა სამხრ. საფრანგეთში, რომ პაპმა კალიკსტ II-ემ საჭიროთ ჩასთვალა ზომები მიეღო მის წინააღმდეგ 1119 წლის ტულუზის საეკლესიო ყრილობაზე. მაგრამ ერესები მატულობდა და ღრმათ იდგამდა ფესვებს მთელი საუკუნის განმავლობაში.

ამ მოძრაობაში, როგორც საზოგადოთ ყველა დიდ სარეფორმაციო მოძრაობაში, მრავალნაირი კლასსები იღებდენ მონაწილეობას მრავალგვარი ინტერესებითა და მიზნებით; მხოლოდ ერთი რამ აერთიანებდა მათ: სიძულვილი რომის ექსპლოატაციისადმი. მაგრამ ყველა ეს კლასსი ერთი და იმავე გზით ცდილობდა თავისი მიზნების მიღწევას: პირვანდელ ქრისტიანობასთან დაბრუნების გზით. რა თქმა უნდა, ყოველი ერეტიკული მიმდინარეობა სხვებისაგან განსხვავებულ რამეს გულისხმობდა პირვანდელ ქრისტიანობაში; მაგრამ სანამ გაერთიანებული ძალებით უნდა ებრძოლათ საერთო მტერთან, უმთავრეს მნიშვნელობას ის ღებულობდა რაც საერთო იყო ამ მიმდინარეობებში, და არა განმასხვავებელი: უკანასკნელი ხშირად არც ქონდათ შეგნებული მებრძოლთ. მივიღოთ გარდა ამისა მხედველობაში, რომ სხვადასხვა მიმდინარეობათა სახელწოდება უცველი არ იყო, ის ადგილისა და დროის მიხედვით იცვლებოდა; რომ იმ დროის ისტორიული ცნობები გაცილებით უფრო უსრულოა, ვინემ სხვა რომელიმე ხანისა (თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს ცნობები დღევანდლამდე

თითქმის ყოველთვის ნაკლოვანი იყო, რადგან უფრო ილიუზიებს და შებრძოლ პარტიების არგუმენტებს გამოხატავს, ვიდრე მათ ფაქტიურ მისწრაფებებსა და იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელმაც ეს პარტიები წარმოშვა). თუ ყოველივე ამას ავწონ დავწონით, მაშინ არ გაგვიკვირდება, რომ სამხრეთ საფრანგეთის ერეტიკოსთა შესახებ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები არსებობს. როდესაც ერთნი გვარწმუნებენ, რომ ყველა კატარები გამოუკლებლად (Katharer).[1]—ასე ეწოდებდა ამ ერეტიკოსებს (აქედან გერმანული Ketser—ერეტიკოსი),—კომუნიზმსა და ცოლთა საზიარობას მოითხოვდენ, სხვები ამის სრულიად საწინააღმდეგოდ აცხადებენ, რომ სამხრეთ საფრანგეთის ერეტიკოსებს კომუნისტური ტენდენციების ნიშანწყალიც არ ემჩნეოდა. პირველი აზრი სრულიად შემცდარია, მაგრამ მეორეც დაუსაბუთებლად მიგვაჩნია.

განსაკუთრებით ვალდენელებს შეგვიძლია შევამჩნიოთ კომუნიზმის გარკვეული ნიშნები.

ამ სექტის დამაარსებლად პეტრე ვალდუსს ასახელებენ. მაგრამ ბევრი ფიქრობს, რომ ეს სექტა ბალდუსზე ადრეც არსებობდა[2]). ხრონოლოგიას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ვალდუსის შესახებ ცნობილია, რომ ის მდიდარი ვაჭარი იყო ლიონში, მას შეეხიზღა თავისი სიმდიდრე, რადგან ყველგან საშინელ სიღარიბეს ხედავდა, ღარიბებს დაურიგა თავისი ქონება (1170 წლის ახლო), შეწოიკრიბა რამოდენიმე ამხანაგი, რომელნიც მასსავით ნებაყოფლობითს სიღარიბეში ცხოვრობდენ, და მათთან ერთად თავს იდო ღარიბ-მათხოვრებისათვის სამსახური. თუ ეს სექტა, მისი სახელის

[1]) ამ სიტყვის წარმოშობა საეჭვოა. შეიძლება, ის ბერძნულიდან იყოს გადმოღებული. Katharos ბერძნულად „წმინდა"-ს ნიშნავს: „კატარებს" მაშინ ისევ ეგივე მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც „პურიტანელთ". მაგრამ, მეორეს მხრივ ცნელი დასაჯერებელია, რომ ბერძნული ენა უკვე XII საუკუნეში ამდენად გავრცელებული ყოფილიყო სამხრ. საფრანგეთში. უფრო �ierად მარტავენ ამ სიტყვას ისინი, ვინც იგი გერმანული Katze-დან ან Kater-იდან (დედალი კატა და მამალი კატა) აწარმოებენ. ორი „სწავლული" იეზუიტის, იაკობ გრეტჰერისა და გოტფრიდ ჰენშენის აზრით ამ გზადაბნეულ ხალხს „კატერები" ე. ი. კატები ეწოდებოდათ, რადგან თავის კრებებს კატებსავით ღამღამობით მართავდენ. მეორე მეცნიერი ამ სახელს იმით ხსნიდა, რომ ისინი თაყვანს სცემდენ ეშმაკს კატის სახით და კატის ტანის უკანა ნაწილს ემთხვეოდენ ხოლმეო. (Catari dicuntur a Cato, quia osculantur posteriora cati, in cujus specie, ut dicunt, apparet eis Lucifer. Alanus Lib. 1 contra Waldenses, p.4). მოსჰეიმის წიგნში. Versuch einer unparteiischen und gründlichen Ketzergeschichte, Heimstedt 1746, S. 363 u. f.

[2]) იხ. ამის შესახებ F. Bender. Geschichte der Waldenser, Ulm 1850.

მატარებელი, მას არ დაუარსებია, ყოველ შემთხვევაში მას არაჩვეულებრივად დიდი ღვაწლი მიუძღვის მისი ორგანიზაციის საქმეში; მან გაავრცელა სექტა და გააცნო იგი ფართო წრეებს. სექტის წევრები, რომელთაც ჰუმილიატებს (დაბალნი) ან ლიონის ღარიბებს უწოდებდენ, მეტ წილად ხელოსნები და, განსაკუთრებით, ფ ე ი ქ რ ე ბ ი იყვნენ.

1145 წელს პაპმა ევგენი III-ემ თავისი ლეგატი გაგზავნა ერესებით მოდებულ სამხრეთ საფრანგეთში; „მანიქეველებთან" ე. ი. ერეტიკოსებთან საბრძოლველად მას ახლდა წმ. ბერნარი. „რადგან ეს მანიქეველნი ყველაზე მეტ მიმდევრებს ტულუზისა და მის მიდამოების ფეიქრებში პოულობდენ და ადგილობრივ ენაზე მათ არიელებს უწოდებდენ, ამიტომ თვით სექტამაც იგივე სახელი მიიღო, რაც ჩრდილოეთ საფრანგეთში, სადაც იმ საუკუნეში კატარებს tixerands (ფეიქრები, მქსოველნი) ეწოდებოდა". (I. Dollinger, Geschichte der gnostischmanichäischen Sekten im frühen Mittelalter, München 1890, გვ. 90. შეადარეთ 131).

ერთმა რომაელმა ინკვიზიტორმა „პსევდო—რეინერმა" (პირველად მისი თხზულება Reinerius Sachoni-ს მიაწერეს, რომელიც 1259 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მისი ავტორობა საეჭვო აღმოჩნდა) დაახლოებით 1250 წ. დაასურათა ვალდენელნი თავის თხზულებაში „De Catharis et Leonistis"; რათა მათდამი ზიზღი გამოეწვია, მან აღნიშნა, რომ კატარების მასწავლებლები ხელოსნები იყვნენ,— მეჩექმეები და ფეიქრები. ფეიქრები ხშირად არიან მოხსენებულნი, როგორც ამ სექტის წევრები. (შეად. L. Keller, die Reformation und die älteren Reformparteien, გვ. 18,33,120).

თავისი განვითარების დასაწყისში სექტას არ გამოუჩენია ეკლესიისაგან განდგომის სურვილი. როდესაც ლიონის არქიეპისკოპოზმა მათ ქადაგობა აუკრძალა, ვალდენელებმა პაპ ალექსანდრე III-ს მიმართეს ნებართვის თხოვნით. მაგრამ მათი მოძღვრება იმდენად საშიშარი აღმოჩნდა, რომ პაპმა თხოვნა არ შეიწყნარა; გარდა ამისა ვალდენელებმა უარი განაცხადეს პაპიზმისათვის სამსახურზე, როგორც—უფრო გვიან – ფრანცისკანელებმა და დომინიკანელებმა; ამიტომ 1184 წ. პაპმა ლიუცი IV-ემ ანათემა გამოუცხადა მათ. ამ დროიდან სამუდამოთ გაწყდა მათი კავშირი პაპის ეკლესიასთან.

პირველად მათი კომუნიზმი მონასტრულ ხასიათს ატარებდა. ისინი კომუნიზმს მოითხოვდენ; მაგრამ ყველას არ შეეძლო იმგვარ მოთხოვნილებათა შესრულება, რომელიც მათთანაც ქორწინების უარყოფასთან იყო დაკავშირებული. „სრულყოფილთ" (perfeci) მოეთხოვებოდა კომუნიზმი და ალბათ უქორწინობაც; უკანასკნელს ყოველ

შემთხვევაში, სასურველად სთვლიდენ, ქორწინებას უნდობლად უყურებდენ.—მოწაფეებისათვის კი (discipuli) ქორწინება და საერო საკუთრება ნებადართული იყო. სამაგიეროთ მოწაფეები ვალდებული იყვნენ თავის ხარჯზე აეყვანათ „სრულყოფილნი", რომელთაც ამა ქვეყნის ამაოებაზე არ უნდა ეზრუნათ. კომუნიზმის ეს სახე ერთის მხრით პლატონის საზოგადოებას მოგვაგონებს და, მეორეს მხრით მათხოვარ-ბერებს. პლატონის კომუნიზმთან ვალდებულებს დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის მოთხოვნილება აქვეთ საერთო. პაპმა შეაჩვენა, როგორც ერეტიკული, მათი შეხედულება, რომ დედაკაცებს ისევე შეუძლიათ მოქადაგეობა, როგორც მამაკაცებს. მამაკაცები და დედაკაცები ერთად მოგზაურობდენ და ქადაგობდენ, კეთილმორწმუნე გვამები კი აღშფოთებით აცხადებდენ, რომ ასეთ გარემოებაში უქორწინობა სრულიადაც არ ნიშნავს უბიწოებას [1]).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ვალდებულნი უარს აცხადებდენ სამხედრო სამსახურზე და ფიცზე, სამაგიეროთ მხურვალეთ თანაუგრძნობდენ სახალხო განათლების წესიერად დაყენების საქმეს. „ყველა მათგანი გამოუკლებლივ,—ამბობს ხსენებული პსევდო-რეინერი,—დედაკაცი თუ მამაკაცი, დიდი და პატარა მუდამდღე სწავლობს და სხვას ასწავლის. მუშა, რომელიც დღისით მუშაობს, ღამ-ღამობით სწავლობს ან სხვას ასწავლის; ცოტას ლოცულობენ, რადგან ბევრს სწავლობენ. სწავლობენ და ასწავლიან უწიგნოთ... ვისაც შვიდი დღის განმავლობაში უსწავლია, ის უკვე მოწაფეს ეძებს, რომ მასაც ასწავლოს" [2]).

ვალდენელებს რომ ზავი შეეკრათ პაპებსთან და პრივილეგიური ორდენი დაეარსებინათ, მათი არისტოკრატიული კომუნიზმი, როგორც სხვა ბერმონაზონთა ორდენებში, ექსპლოატაციის წყაროდ გადაიქცეოდა. მაგრამ ისინი დევნილ სექტანტებად დარჩენ და ამიტომ მათი კომუნიზმის არისტოკრატიული, ექსპლოატატორული ელემენტი არ განვითარებულა. ეს ელემენტი ვერ შეთავსდებოდა ხალხის დაბალ კლასსთა დემოკრატიულ ტენდენციებთან, ხოლო თავის ძალას ვალდენელნი სწორეთ ამ კლასსებიდან კრეფდენ. ადრე თუ გვიან

[1]) „Hoc quoque probrosum in eis videbatur, quod viri et mulieres simul ambulabant in via, et plerumque simul manebant in una domo et de eis diceretur quod quandoque simul in lectulis accubabant".(Chron. Ursperg. ad ann. 1212. ციტატა მოყვანილია G i e s e l e r-ის შრომაში, Kirchengeschichte, 2 ტ. 2 განყ., გვ. 325).

[2]) ციტატა ამოღებულია A. M u s t o n-იდან, Histoire des Vaudois, Paris 1834, გვ. 183, შად. გვ. 449. უკანასკნელი ფრაზა გვაფიქრებს, რომ ვალდენელთ საკუთარი სასწავლო მეთოდი ქონდათ.

ვალდენელთა კომუნიზმს ან დემოკრატიული ხასიათი უნდა მიეღო ან ის სულ უნდა გამქრალიყო. ხან ერთი ხდებოდა ხან მეორე დროის პირობებისა და იმის მიხედვით, თუ საზოგადოების რომელი კლასსი ხდებოდა მოძღვრების მთავარი მატარებელი. როდესაც მოქალაქეთა და გლეხთა გავლენა სჭარბობდა,—ვალდენელნი ბურჟუაზიულ—პროტესტანტულ სექტად იქცეოდენ, და როდესაც უმრავლესობას პროლეტარული ელემენტები შეადგენდენ, ვალდენელნი „მეოცნებე-კომუნისტები“ ხდებოდენ.

ერესი სამხრეთ საფრანგეთით არ განსაზღვრულა. ვალდენელთა თემებს ჩვენ ვხედებით ჩრდილ. იტალიისა და საფრანგეთის სხვადასხვა კუთხეში, და შემდეგ გერმანიაში და ბოჰემიაშიაც. ყველა თემს მჭიდრო კავშირი ქონდა ერთმანეთთან, რადგან განუწყვეტელი მისვლა-მოსვლა ვალდენელთა სასულიერო პირების (ეგრე წოდ. „Barben“) ერთერთ მოვალეობას შეადგენდა. ჩვენ ვხედავთ, რომ უკვე ვალდენელებთან განვითარდა ის მუდმივი ინტერლოკალური ურთიერთობა საშუალ-საუკუნეთა კომუნისტებს შორის, რომელიც ჩვენ ამ წიგნის წინა თავში აღვნიშნეთ. „ძველი სასულიერო ვალდენელნი თითქმის ყოველთვის მოგზაურობდენ მოციქულებსავით, შორის-შორეულ თემებს და ძმებს ნახულობდენ (თანამორწმუნე ძმების სახლებს ისინი პირობითი ნიშნების საშუალებით არჩევდენ; ნიშნები კარებზე და სახლის თავანზე ისმებოდა). ხშირად ისეთ შორეულ ქვეყნებში მოგზაურობდენ, როგორიც არის გერმანია, ბოჰემია და სხვა. ბოჰემიელ ვალდენელებს თავის ფრანგ და პიემონტელ თანამორწმუნე ამხანაგებთან მჭიდრო და ძმურ ერთმორწმუნოებაზე დამყარებული კავშირი ეპირად. დახმარებას უჩენდენ ერთმანეთს ფულით; პიემონტის ველის მქადაგებელნი განსაკუთრებით ხშირად ეწვეოდენ ხოლმე თავის ძმებს ბოჰემიაში, ესენი კი ბარში აგზავნიდნენ თავის მოწაფეებს საღვთო მოვალეობათა შესასწავლად“ [1]).

როდესაც სამხრ. საფრანგეთის ერეტიკოსები იმდენად ძლიერი გახდენ, რომ პაპობის ბატონობას დაემუქრენ, უკანასკნელმა ჩრდილოეთ საფრანგეთიდან გამოიწვია დასახმარებლად მტაცებელ რაინდთა და ათასგვარ ყაჩაღთა ბანდა, დარაზმა ისინი ეგრე წოდებულ ჯვაროსნულ ლაშქრობისათვის, მიუსია მდიდარ ერეტიკულ ქალაქებსა და პროვინციებს და გააძარცვ-გაანადგურებიხა ქვეყანა დაუნდობლად. რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში იცავდა თავს სამხრეთ საფრანგეთი. ალბიგოს ომები,—ეს სახელწოდება დაკავშირებულია ერთერთ უმთავრეს ერეტიკულ ქალაქის, ალბის სახელთან,—1208

[1]) Bender, Geschichte der Waldenser გვ. 46, 116.

წლიდან მოყოლებული მე-XIII საუკუნის ოცდაათიან წლებამდე გაგრძელდა. ნაგრამ „მეამბოხეთა“ საბოლოო დამარცხებისაგან მიღებული დაავლა საფრანგეთის ტახტს ხვდა და არა პაპობას; საფრანგეთის მეფეები დაეუფლენ ილაჯგაწყვეტილ ქვეყანას და ამგვარად საძირკველი ჩაეყარა საფრანგეთის გვირგვინოსანთა დიდებას. პროვანსი 1245 წელს კარლოს ანჟუელს ერგო, ხოლო ტულუზის საგრაფო ხელში ჩაიგდო ლიუდოვიკ „წმინდანმა“ 1249 წელს. დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ერთ ადგილას საფრანგეთის დინასტიის, კაპეტინგების, დამაარსებელი ჰუგო კაპეტი ამბობს: „სანამ პროვანსალის დიდმა მზითევმა სირცხვილის გრძნობა არ წამართვა, ეს დამაკნინებელი იყო, მაგრამ ბოროტებას არ წარმოადგენდა. შემდეგ დაიწყო სიცრუვისა და ძალმომრეობის ავაზაკური ლაშქრობა“ და სხვა.

იმავე საფრანგეთის სამეფომ ცოტა ხნის შემდეგ გაცილებით მეტი უსიამოვნება მიაყენა პაპებს, ვიდრე ალბის ერეტიკოსებმა; ის იმდენად გაძლიერდა, რომ პაპები თავის ტყვეებად და იარაღად გაიხადა.

თუმცა პაპებმა ცოტა რამ მოიგეს ალბიგოს ომებიდან, მაგრამ XIII საუკუნის დამდეგის ერესებს მოქმედების ბაზა გამოაცალეს და ეს ვალდენელთა მდგომარეობასაც დაეტყო. ამ დროიდან დიდ ქალაქებში მათ შეეძლოთ ეცხოვრათ მხოლოდ როგორც საიდუმლო საზოგადოებათა წევრებს. მოძრაობის ცენტრი ალპების განმარტოებულ ველებში გადავიდა და აქ ის ბუნებრივად გლეხურ ყალიბზე გადახალისდა. სექტამ წვრილ-გლეხურ - დემოკრატიული ხასიათი მიიღო და ამ სახით ჩვენს დრომდე მოატანა საოიისა და პიემონტის ველებში.

III ძმანი — მოციქულნი.

ერეტიკოსთა საერთო დევნაში ერეტიკული კომუნიზმიც განადგურდა. პროლეტარულ-კომუნისტური მისწრაფებანი ამიერიდან თითქოს მხოლოდ ბერმონაზენულ ორდენების ფორმით შეიძლებოდა მოვლენილიყო, — პაპობასთან შერიგებულ ორდენების სახით. მაგრამ, როდესაც ფრანცისკანელთა ორდენზე ვლაპარაკობდით, ჩვენ დავინახეთ, რომ მათხოვარ ორდენთა კომუნიზმში ისეთი ელემენტი იმალებოდა და ვითაოდებოდა, რომელსაც ეს ორდენები მდიდარ ექსპლოატატორ ეკლესიის წინააღმდეგ უნდა აემხედრებინა. უნდობლობას და დევნას პაპების მხრით ბუნებრივათ უნდა მიეყვანა ეს პროლეტართა თანამგრძნობი ელემენტი შემდეგ ალტერნატივამდე: ან

ყოველგვარ მოღვაწეობის უარყოფა ანაჯანყება პაპობის წინააღმდეგ. ხელსაყრელ პირობებში აჯანყებას შეეძლო ძალიან ფართოდ გავრცელებულიყო.

ასე, ჩრდილოეთ იტალიაში წარმოიშვა ე. წ. ძმათა—მოციქულთა ანუ პატარენთა ძალიან ძლიერი ერეტიკულ—კომუნისტური სექტა.

იმ დროს ჩრდ. იტალიაში ხალხის დაბალ კლასსთა მოძრაობებს ხშირად არქმევდენ „პატარიას“ სახელს. უკვე XI საუკუნეში ვხედებით „პატარიებს“ მილანში, ბრეშიაში, კრემონში და პიაჩენცოში. ეს სახელი სიტყვა pates-აგან წარმოსდგა, რაც ძველ ტილოს, ძონძს ნიშნავს მილანში ჯერ მე-XVIII საუკუნეში არსებობდა pataria ანუ contrada de patari,—მეძონძეთა უბანი.

ყველა ადრინდელ პატარენულ მოძრაობებში უმთავრესი იყო 1058 წ. მილანში დაწყებული მოძრაობა. ეს მოძრაობა ხალხის დაბალ კლასსებში დაიწყო და მდიდარ სამღვდელოებისა და ქალაქის თავადაზნაურობის წინააღმდეგ მიიმართა. ამ ადრინდელ საქალაქო დემოკრატიულ მოძრაობაში შესანიშნავია ისიც, რომ ის ცდილობდა პაპობისაგან მიეღო დახმარება და კიდეც მიიღო. მილანის სამღვდელოება თავისი სიმდიდრით რომის ეკლესიას ეტოქებოდა და უკანასკნელის უფროსობას ეწინააღმდეგებოდა. ამგვარად მილანის სამღვდელოება მილანის დემოკრატიისა და პაპობის საერთო მტერი შეიქნა. პაპობაც და დემოკრატიამაც თავისი გაიტანეს. მილანის სამღვდელოება იძულებული გახდა რომს დამორჩილებოდა და სააზნაურო-კლერიკალურ მართველობის ადგილი მოქალაქეთა მართველობამ დაიჭირა.

მილანის პატარიის მოძრაობას ისტორიკოსები ხშირად პროლეტარულ მოძრაობას უწოდებენ. მაგრამ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ მილანის პროლეტარიატი უკვე XI საუკუნის პირველ ნახევარში იმდენად ძლიერი იყო, რომ ასეთი დიდი როლის თამაში შეეძლო. ყოველ შემთხვევაში ეს მოქალაქეთა მოძრაობა იყო, პატრიციანულ მართველობის წინააღმდეგ მიმართული.

იტალიაში XII საუკუნეში პატარენები ვალდენელებსაც ეწოდებოდა და ზოგჯერ სხვა ერეტიკოსებსაც. მე-XIII საუკუნეში ეს სახელწოდება ძ მ ა თ ა- მ ო ც ი ქ უ ლ ებ ზ ე - გადავიდა.

ამ სექტის დამაარსებელი იყო ე ე რ ა რ დ ო ,ს ე გ ა რ ე ლ ლ ი პარმის ახლო მდებარე სოფელ ალზანოდან. სეგარელლიმ ფრანცისკანელთა ორდენში შესვლის უფლება ითხოვა, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ გაჰყო თავისი ქონება, ღარიბებს დაურიგა და თვითონ დაარსა სექტა (1260 წ. ახლო). მალე მრავალი მიმდევარი გაიჩინა მდაბიო ხალხში, განსაკუთრებით ლომბარდიაში.

„ყველა ისინი ერთმანეთს ძმებსა და დებს ეძახოდენ მზგავსათ პირველ ქრისტიანებისა. ძალიან ღარიბათ ცხოვრობდენ; მათ არ უნდა ქონოდათ არც საკუთარი სახლები, არც მარაგი ხვალინდელი დღისათვის, არც რაიმე სხვა კომფორტის საგანი. როდესაც მოშივდებოდათ, მოწყალებას სთხოვდენ პირველ შემხვედურს, ყოველივე წინასწარი ანგარიშის გარეშე; ჰამდენ განურჩეველად ყველაფერს, რასაც უბოძებდენ. შეძლებულ პირთ, ვინც მათთან მივიდოდა, ხელი უნდა აეღო საკუთარი დოვლათის მფლობელობაზე და ძმათა კავშირისათვის უნდა გადაეცა იგი საერთო სარგებლობისათვის“ [1]). ქორწინება მათ შორის აკრძალული იყო.

„ძმებს, რომელნიც ერში მიდიოდენ ცოდვათა მონანიების საქადაგებლად, შეეძლოთ თავისი დები თან წაეყვანათ, როგორც ამას მოციქულები შვებოდენ, მაგრამ მხოლოდ თანაშემწეებად და არა როგორც ცოლები. თავის თანამგზავრ ამხანაგ-ქალებს ისინი თავის ქრისტიანულ დებს უწოდებდენ და ყოველთვის უარყოფდენ მათთან ცოლ-ქმრულ ან უწმინდურ კავშირის არსებობას, თუმცა ერთ ლოგინში ეძინათ დებთან“ [2]).

მოსჰეიმი, ემყარება რა ზოგიერთ დასაჯერებელ მოსაზრებას და არა რაიმე გარკვეულ ცნობებს, ფიქრობს, რომ ქორწინებისა და მფლობელობის აკრძალვა მხოლოდ მოციქულთ, თემების „აგიტატორებს“ ეხებოდა და არა ძმებს. თუ ასეა, ეს მათ ვალდებულებს ამზგავსებს; ეჭვი არაა, რომ კომუნიზმი მათ სრული ღირსების აუცილებელ პირობად მიაჩნდათ.

ახალი მოციქულნი ჯერ ძალიან ფრთხილად გამოდიოდენ. პირდაპირ ომის გამოცხადებას ეკლესიას ვერ უბედავდენ. ღამით მართავდენ საიდუმლო კრებებს და ახალ სახარებას ასწავლიდენ. ყველა

[1]) Mosheim, Ketzergeschichte გვ. 224. მოსჰეიმმა, შეიძლება ითქვას, ახლად აღმოაჩინა ისტორიისათვის ძმანი — მოციქულნი; დაწვრილებით და სიყვარულით მოგვითხრობს ის მათ შესახებ თავისი „ერეტიკოსთა ისტორიის“ სამ წიგნში. „ალბათ არავინ არ უარყოფს, — ამბობს ის, — ჩვენს პატარა ამაგს, რომელიც მოგვიძღვის ამ საკვირველ თემების, ასე ვთქვათ, მკვდრეთით აღდგენისა და დღის სინათლეზე გამოტანისთვის“ (გვ. 196).

[2]) Mosheim, loc. cit. 226. შეად. გვ. 321 და შემდეგი. ამავეს გვიამბობენ. როგორც ვიცით, ვალდებულებზე და ქრისტიანობის პირველ საუკუნეთა მორწმუნე პირებზე. „აფრიკის ცხელი სარტყელის ქალწულნი სამარცხვინოთ სთვლიდენ მშიშრულ გაქცევას და მტერს პირის-პირ ებრძოლებოდენ. სარეცელს უყოფდენ მღვდლებსა და დიაკონებს და ალში გახვეულნი თავის უბიწოებას ადიდებდენ. მაგრამ შეურაცყოფილი ბუნება შურს იძიებდა და ამ მწვალებლობის ახალმა სახემ რავალი ახალი ცუდი ზნე წარმოშვა.“ (Gibbon, Verfall und Untergang des römischen Weltreichs, S. 381).

ქვეყნებში იყენენ დაგზავნილნი მოციქულები: ესპანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში. გერმანიაში მათ იმდენი მიმდევარი გაუჩნდათ, რომ 1287 წელს იმპერატორ რუდოლფის თანდასწრებით შემდგარმა სამღვდელოების კრებამ ვიურცბურგში საგანგებო კანონი გამოსცა, რომელიც ყველას უკრძალავდა მათთვის თავშესაფარის აღმოჩენასა და გამასპინძლებას.

იტალიაში კიდევ უფრო ადრე მიაქციეს ყურადღება ფანატიკოს-კომუნისტებს. 1280 წ. პარმის ეპისკოპოზს ისეთი ცნობები მოუვიდა მათ შესახებ, რომ საჭირო შეიქნა სეგარელლის დატუსაღება. პაპმა ჰონორი მე-IV გამოძიება დანიშნა: გამოძიებამ მოციქულთა ორდენი წარმოადგინა არა მაინც და მაინც საშიშარ ორგანიზაციად, არამედ მხოლოდ ორივე პრივილეგიურ, ფრანცისკანელთა და დომინიკანელთა ორდენების უბრალო კონკურენტად. 1286 წ. პაპმა მოციქულთა ორდენი აკრძალა, მაგრამ სეგარელლი გაანთავისუფლეს და ამავე დროს, რა თქმა უნდა, პარმიდან გადაასახლეს.

როგორც მრავალმა სხვა გადასახლებამ, ამანაც მხოლოდ გააძლიერა ის ბოროტება, რომელიც უნდა მოესპო. სეგარელლიმ მოგზაურობა იწყო მთელს ჩრდილოეთ იტალიაში თავისი მოძღვრების გასავრცელებლად. ძმანი — მოციქულნი პაპს არ დაემორჩილენ, მათი კავშირი განაგრძობდა არსებობას. უფრო ენერგიული დევნა მხოლოდ აღვივებდა ცეცხლს და გამოუსწორებლად ხდიდა ძმათა—მოციქულთა რომის ეკლესიისაგან განდგომას.

1294 წელს სეგარელლი კვლავ შეიპყრეს და, ერთი წყაროთი — 1296 წელს, მეორე წყაროთი — 1300 წელს, დასწვეს. მაგრამ მოძრაობა არ ჩამქრალა. სეგარელლის ადგილას გაჩნდა მეორე, გაცილებით უფრო მამაცი და გაბედული აგიტატორი, საქმის კაცი — დ ო ლ ჩ ი ნ ო. ის დაიბადა არატოში, ვერჩელლის ახლო, XIII საუკუნის მეორე ნახევარში. მამა მისი, მღვდელი იულიუსი, როგორც სჩანს, ნავარის ერთი კეთილშობილი გვარის, ტორნიელლის შთამომავალი იყო: განდეგილი იყო, მაგრამ არ ასკეტობდა, რადგან საქორწინო კავშირში ცხოვრობდა დოლჩინოს დედასთან. არც თავისი შვილის რცხვენოდა, კარგათ აღზარდა იგი და ვერჩელლიში გაგზავნა სასულიერო წოდებისათვის მოსამზადებლად. ერთმა მოუფიქრებელმა ნაბიჯმა, - რამოდენიმე მონეთის მოტაცებამ მასწავლებლებისაგან,— აიძულა ჭაბუკი გაქცეულიყო, თუმცა საქმეს არავითარი შედეგი არ მოყოლია. ჩავიდა ტრიენტში და აქ მწირად შედგა ფრანცისკანელთა ერთ მონასტერში.

რამდენი ხანი დაჰყო იქ, არ ვიცით; საზოგადოთ, მისი ცხოვ-

რეპის ქრონოლოგია ძალიანსაეჭვოა. უეჭველია მხოლოდ ის, რომ უკვე მონასტერში ყოფნისას გასცნობია ძმათა--მოციქულთა მოძღვრებას; ამ მოძღვრებას ბევრი საერთო ქონდა ფრატიჩელლის, მებრძოლ ფრანცისკანელთა, მოძღვრებასთან და ფრანცისკანელთა მონასტრებში მას მრავალი თანამგრძნობი გაუჩნდა. მთელი თავისი აგზნებული გულით მოეკიდა დოლჩინო ამ მოძღვრებას და მალე მისი გამოჩენილი მქადაგებელი გახდა. დოლჩინოს შედგომა სექტაში მოხდა, ალბათ, 1291 წელს.

მონასტერში ყოფნა მისთვის აუტანელი შეიქნა. გამოვიდა კიდეც, სანამ ბერობის აღთქმას მისცემდა. მალე ამის შემდეგ ის გაეცნო წმ. ეკატერინეს ერთ მონასტერში მცხოვრებ მარგარიტა ტრენკელს. ყველა წყაროები აღნიშნავენ მარგარიტისა და დოლჩინოს იშვიათს სალამაზეს, რომელთან ერთად ორივეს ახასიათებდა მახვილი გონება, თავდადება იდეისათვის, ენტუზიაზმი, მხნეობა და გამბედაობა. გასაკვირალი არ არის, რომ უღრმესი ახლობლობა იგრძნეს ერთმანეთისადმი. მარგარიტასთან დასაახლოებლად, დოლჩინო მოსაჰსახურეთ დადგა მის მონასტერში; დოლჩინოს იდეებმა გაიტაცეს მარგარიტა, მან გადასწყვიტა მონასტრიდან გაქცევა. ამ დღიდან სიკვდილამდე ერთად იბრძოდენ თავისი საქმისათვის. მოწინააღმდეგეთა სიტყვით, ცხოვრობდენ როგორც უკანონო ცოლ-ქმარი, თვით დოლჩინოს სიტყვით კი--როგორც და და ძმა. უკანასკნელი უფრო შეეფერებოდა ძმათა-მოციქულთა მოძღვრებას, ხოლო პირველი--ადამიანის ბუნებას.

შემდეგ ისინი ლომბარდიაში შეიხიზნენ, სადაც დოლჩინომ პირველი ადგილი დაიჭირა სეგარელლის შემდეგ და უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ კი მოძრაობას სათავეში ჩაუდგა. მაგრამ დევნა ისე ვაძლიერდა, რომ დოლჩინოს დარჩენა იტალიაში შეუძლებელი გახდა. ერთი ქალაქიდან მეორეში იხიზნებოდა და ბოლოს თავშესაფარი დალმაციაში იპოვა. აქედან უგზავნიდა წერილებს იტალიაში დარჩენილ ძმებს, იქ კი ეს წერილები პროკლამაციებსავით ვრცელდებოდა.

სეგარელლის მოძღვრების გარდა დოლჩინოზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ჩვენ მიერ უკვე ხსენებული აბბატის, იოახიმ ფიორელის მოძღვრებამ. მაგრამ დოლჩინო იოახიმზე შორს წავიდა; უკანასკნელი საზოგადოების სამ მდგომარეობას განარჩევდა და უმაღლესად სთვლიდა მესამეს—საყოველთაო ბერობის მდგომარეობას. მე-XIV საუკუნის დამდეგამდე მრავალი ცდა მოხდა მათხოვართა ორდენებთან დაკავშირებული და ეს ცდები საკმარისი იყო იმის ნათელსაყო-

ფათ, რომ ამ გზით ქონებათა განსაზოგადოება შეუძლებელია. დოლ-ჩინო დიდი ქებით იხსენებდა წმ. ფრანცისკისა და დომინიკეს ღვაწლს ღარიბთა წინაშე; ისინი უნერგავდენ თავის მიმდევრებს სიყვარულს ღარიბთა და ჩაგრულთადმი და ზიზღს ფულისა და ძალაუფლებისადმი; მაგრამ დოლჩინო იმასაც აღნიშნავდა, რომ დროთა ვითარებაში მათი მისწრაფება ამაო გახდა. ფრანცისკისა და დომინიკეს მიმდევრებმა მთელი სახლები აიშენეს ნაბოძებ სიმდიდრის დასაგროვებლად. ამიტომ ისინიც ისევე გაირყვნენ, როგორც მთელი ეკლესია. თუ სურთ გაწმინდონ ეკლესია, უნდა მოისპოს ბერმონაზნობის მთელი წყობილება და საყოველთაოთ გადაიქცეს პირველ მოციქულთა თემების წყობილება.

მაგრამ ვინ უნდა განახორციელოს ყოველივე ეს? მარტო კომუნისტებმა? მიუხედავათ მთელი თავისი მეოცნებე მისტიციზმისა და სასწაულის რწმენისა, ისინი ვერ იფიქრებდენ, რომ მარტო მათი ძალა ამისთვის საკმარისია.

აბბატ იოახიმის მოწაფეთა მზგავსათ დოლჩინოსაც ქონდა პირველათ რომელიმე სამეფო გვარიდან მოვლენილ მესსიის იმედი. და თუ პირველნი ამ იმედს ჰოჰენშტაუფენზე, ფრიდრიხ II-ზე, ამყარებდენ, დოლჩინოს მხედველობაში ყავდა მეორე ფრიდრიხი, არაგონიის მეფის, პეტრე მე-III-ის ვაჟი. ის დაიპყრობს პაპის ტახტს, ამოქლეტავს პაპს და მის კარდინალებს, ეპისკოპოზებს, პრესვიტერებს, ბერებსა და მონაზვნებს. ცოცხალი დარჩებიან მხოლოდ მოციქულთა თემების მომხრენი, მხოლოდ ესენი ეზიარებიან იმ დიდებას, რომელიც ქვეყნიერებას მოელის.

დოლჩინო თავის მოძღვრებას ებრაელთა წინასწარმეტყველებით და აპოკალიპსით ასაბუთებდა. მაგრამ ის მაინც იმ ფანატიკოსთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, რომელნიც მხოლოდ ამგვარ არგუმენტებს ემყარებიან. თავის მახვილ თვალს ის საქმის ნამდვილ ვითარებასაც ადევნებდა.

სამხრეთ საფრანგეთის მოსაზღვრე სამეფო არაგონია, საფრანგეთის მზგავსად და იმავე მიზეზებით, ერთი იმ ქვეყანათაგანი იყო, რომელიც პაპს ებრძოდა. ალბიგოს ომებში არაგონია ერეტიკოსთა მხარეზე იდგა. პეტრე II არაგონიელმა ჯერ შუამავლობის გაწევა სცადა, მაგრამ შემდეგ პირდაპირ იარაღით დაეხმარა ალბიგოელთ, მათთან ერთად გაილაშქრა ჯვაროსანთა წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში დაიღუპა (მიურესთან ბრძოლაში 1213 წელს). პეტრეს ვაჟმა, იაკობ I-მაც გაუგზავნა ალბიგოელთ დამხმარე ჯარი. მისი შვილი პეტრე III თავის წინამორბედთა მზგავსად ამხედრდა საფრანგეთის

ხელში იარაღად გადაქცეულ პაპობის წინააღმდეგ. „სიცილიის სეერობის“ შემდეგ, რომელსაც ფრანგების განდევნა მოჰყვა სიცილიიდან, უკანასკნელი პეტრემ დაიპყრო. პაპმა მარტინმა განაცხადა, რომ მეფე პეტრეს ხრთმევა მისი სახელმწიფო და მის ნაცვლად ეძლევა კარლოს ვალუას, საფრანგეთის მეფის ძმას. მაგრამ პეტრე განაგრძობდა ბრძოლას პაპის და საფრანგეთის წინააღმდეგ.

პეტრეს შემდეგ სიცილიაში მისი მეორე ვაჟი იაკობ II გამეფდა (1285 წლიდან): როდესაც მისი უფროსი ძმის ალფონს III-ის სიკვდილის გამო მას არაგონია ერგო, სიცილია (1294 წ.) მისი უმცროსი ძმის ფრიდრიხ II-ს ხელში გადავიდა.

სწორეთ ამ დროს პაპის ტახტზე შესდგა უმდაბლესი, უხარბესი და უენერგიულესი პაპი ბონიფაცი VIII. ფრიდრიხსა და ბონიფაცის შორის გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა, რომელიც თითქოს ათი წელი გაგრძელდა. მაშასადამე დოლჩინოს იმედები ფრიდრიხის შესახებ სრულიადაც არ იყო ფანტასტიური ოცნება. ეს იმედები საფუძვლიანად ემყარებოდა არაგონის სამეფო კარის ტრადიციებს და სიცილიის მეფის იმ დროინდელ მდგომარეობას. დოლჩინო მხოლოდ იმაში სცდებოდა, რომ სიმართლეთ ჩასთვალა ის მაღალი ფარდის სიტყვები, რომელიც ამ დავაში იხარჯებოდა, და სადღეისო ინტერესებისათვის ბრძოლა პრინციპიალურ ბრძოლად მიიჩნია, ექსპლოატატორთა ჩხუბში დაინახა ბრძოლა ექსპლოატაციის წინააღმდეგ. მაგრამ ამგვარ ილიუზიას დოლჩინოს შემდეგაც ბევრი, ზოგჯერ ფრიად განათლებული მოაზროვნე მოუტყუებია.

თავის პირველ, 1300 წელს გამოგზავნილ წერილში, დოლჩინო წინასწარმეტყველებდა ფრიდრიხის გამარჯვებას ბონიფაცი მე-VIII-ზე, რაიც 1303 წელს უნდა მომხდარიყო. მართლაც ბონიფაცი ამ წელს მოკვდა, მაგრამ ის ფრიდრიხს კი არ მოუკლავს; ის დაღუპა კონფლიქტმა რომის აზნაურთა ერთ ძლიერ გვართან, კოლონნთან და ფრანგ ფილიპე IV-სთან, რომელიც თავისი ენერგიით, სიხარბით და ცბიერებით თვით ბონიფაცის არ ჩამოუვარდებოდა. [1])

[1]) ბონიფაცი VIII-ს აღსასრული მშვენიერი მაგალითია იმის, თუ რამდენად უფრო სახიფათო იყო პაპების მდგომარეობა კეთილმორწმუნე საშუალ-საუკუნეებში. ვიდრე მატერიალისტურ XIX საუკუნეში. ფილიპემ გაგზავნა ვილჰელმ ნოგარე დიდი თანხით იტალიაში. იქ ნოგარემ შეთქმულება მოაწყო კოლონნასთან ერთად. ანანიიში თავს დაესხენ ბონიფაცის და „ძირს პაპი“-ს ყიჟინით დაატუსაღეს იგი. ბონიფაცი უსაზღვრო ჯავრმა შეიპყრო, მაგრამ მკაცრმა მოქცევამ, რომელიც მას შემდეგ ხვდა, საშინელ სიბრაზემდე აიტანა მისი ჯავრი. აჯანყებამ ბონიფაცი გაანთავისუფლა. მაგრამ რათა თავი დაეხწია იმ საშიშროებისაგან, რომელიც კოლონნასაგან ემუქრებოდა, ბონიფაცი ორსინის ჩაბარდა, უკანასკნელმა კი ის ისევ

ამ კონფლიქტის შედეგი იყო არა პაპობის დამარცხება, არამედ მშვიდობიანობის მოყვარე პაპის, ბენედიქტე XI-ის არჩევა.

როდესაც აღმოჩნდა, რომ სწრაფი გარდატეხის მოლოდინი არ მართლდება, დოლჩინომ ორი ახალი წერილი გამოსცა. მეორე წერილი დაიკარგა; პირველში კი (1303 წლის დეკემბერი) ის აცხადებდა, რომ 1303 წელს, მისი წინასწარმეტყველების თანახმად, „დაიღუპა სამხრეთის მეფე" ბონიფაცი. შემდეგ წელს ახალი პაპა მისი კარდინალებით მოკლული იქნება ფრიდრიხ II მიერ; 1305 წელი დაბალ სამღვდელოების დადუპვის წელიწადი იქნება.

ეს წინასწარმეტყველება კიდევ ნაკლებათ განხორციელდა, ვიდრე პირველი: ბენედიქტე XI საფრანგეთს შეურიგდა და შემდეგ ხანი შეჭკრა სიცილიის მეფესთან. ამგვარათ, დოლჩინოს გაუმტყუნდა ფრიდრიხ II მოკავშირეობის იმედი.

მალე ამ წერილის შემდეგ,—შეიძლება, მანამდეც,—დოლჩინოს ვხედებით იტალიაში. [1])

მას დაუტოვებია თავისი სამშვიდობო და შეიარაღებულ ამხანაგთა გუნდით პიემონტში შეპრილა, რათა პირისპირ შებრძოლებოდა ეკლესიას, სახელმწიფოს და საზოგადოებას. ეს იყო შეიარაღებულ კომუნისტური აჯანყების პირველი ცდა დასავლეთში.

ფრიდრიხის იმედი გაცრუვდა. მაგრამ მეოცნებე კომუნისტებს სხვა მხრიდან გაუჩნდათ დამხმარე ძალა, რომელიც რევოლიუციონური იყო სულ სხვანაირად, ვიდრე პაპსთან წაჩხუბებული მონარქი: ეს ძალა გლეხობა იყო. მისი წყალობით აჯანყებამ 1307 წლამდე გასტანა. აჯანყება, რომელსაც პირვანდელ ქრისტიანობის ყალიბზე უნდა გადაეხალისებინა საზოგადოება, გლეხთა ომად გადაიქცა.

ტყვედ აქცია. ამან ისე გააშმაგა ბონიფაცი, რომ ვერ აიტანა და მოკვდა. მარიალს ამბობდა ვოლტერი: „ასეთ მდგომარეობაში იყვნენ იტალიაში თითქმის ყველა პაპები, რომელთაც სურდათ მეტის-მეტად ძლიერი ყოფილიყვნენ: სამეფოებს ყოფდენ, მაგრამ თვითონ მუდამ დევნილი იყვნენ საკუთარ სახელმწიფოში". (Essay sur l'histoire généal, ch. LXI).

პაპიზმის თაყვანის მცემელთ მე-XX საუკუნეში არავითარი საფუძველი არ აქვთ ისურვონ საშუალ-საუკუნეთა ვითარების დაბრუნება და არც თანამედროვე ღვდელთ-ქამიებს აქვთ სურვილი იმისთვის, რომ თავისი გულადობა დაიკვეხნონ.

[1]) მოსჰეიმის აზრით დოლჩინომ დალმაცია 1304 წ. დასტოვა, წერილის გაგზავნის შემდეგ. დოლჩინოს ბიოგრაფი კრონე (Fra Dolcino etc., გვ. 39) პიემონტზე გალაშქრებას 1303 წლის დამდეგით ათარიღებს. ჩვენ ვეკვობთ, რომ დოლჩინოს შეეძლო აჯანყების გადადება ზამთრის დასაწყისისათვის, რადგან მ.

IV. გლეხთა ომების ეკონომიური ფესვები.

გლეხთა ომები საშუალ საუკუნეების ბოლო ხანაში სრულიადაც არ იყო იშვიათი მოვლენა. ასაფეთქებელი მასალა ყველგან ბევრი იყო; საკმარისი იყო ერთი ნაპერწკალი რომ ის ანთებულიყო.

ამის გამოსარკვევად საჭიროა თვალი გადავავლოთ იმ ცვლილებებს, რაც გლეხთა მდგომარეობაში ქალაქთა განვითარების გაელენით მოხდა.

ქალაქთა განვითარებამ შექმნა ბაზარი არა მარტო მრეწველობის, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის. რაც უფრო იზრდებოდა ქალაქები, მით უფრო ძნელი ხდებოდა მოქალაქეებისათვის—ვაჭარ-ხელოსნებისთვის- საკუთარი ძალებით დამზადება ყველა მათთვის საჭირო საარსებო საგნების და ნედლი მასალის. ისინი ახლო-მახლო სოფლის მეურნეებისაგან ყიდულობდენ პროდუქტების ნაჭარბს, რაც ამ მეურნეთ რჩებოდა თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ. ამ ნაჭარბ პროდუქტებში მოქალაქენი თავის ნაწარმოებს ან უცხოეთიდან შემოტანილ მრეწველობის პროდუქტებს სცვლიდენ ან ფულს იხდიდენ. ამგვარათ ფული გლეხებსაც გაუჩნდა. ამან ბუნებრივად გამოიწვია სურვილი, რომ ნატურალური გადასახადი და საბატონო სამუშევრები ფულით გადახდილიყო. ხშირათ თვით სენიორები მოითხოვდენ ამას, რადგან ფული ეხლა მათაც სჭირდებოდა. გლეხთა მისწრაფებაც სჭირათ ამავე მიმართულებას ღებულობდა, რადგან ნატურალური ბეგარის ფულად ბეგარად გადაქცევა უფრო თავისუფლად ხდიდა მათ და საშუალებას აძლევდა ისე ესარგებლათ თავისი ქონებით, როგორც თვითონ მოისურვებდენ.

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ორივე კლასსის მისწრაფება, რომ ნატურალური ბეგარა ფულადათ გადაქცეულიყო, სრულ ჰარმონიას და საერთო კმაყოფილებას იწვევდა. ნამდვილად კი სრულიად წინააღმდეგი ხდებოდა. როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ნატურალური ბეგარის სისტემის დროს ამ ბეგარის გადიდების სურვილი არშეიძლება მეტის მეტად ძლიერი იყოს: ბეგარის სიდიდე სენიორისა და მისი ჯა-

---

შინ ლაშქრობა ზამთარში მოუხდებოდა, პიემონტის ზამთარი კი ხშირად ძალიან მკაცრია. თუმცა, შესაძლებელია რომ გარეშე პირობებმა აიძულეს ის ასე მოქცეულიყო: მოქმედების მომენტის შერჩევა შეთქმულთა ნებაზე არ არის ყოველთვის დამოკიდებული. შიშმა.. რომ გეგმა გამომჟღავნდება, ან ამხანაგთა მოუთმენლობამ, რომელნიც უკვე მიეჩვიენ ფიქრს, რომ გადამწყვეტი მომენტი 1303 წელს დაგვიანდა, შეიძლება აიძულეს დოლჩინო დაეწყო საქმე არა ხელსაყრელ მომენტში. საერთოდ, დოლჩინოსთან დაკავშირებულ ამბების მთელი ქრონოლოგია საშინლათ არეულია.

ლაპობის ფიზიკური მოთხოვნილებით არის განსაზღვრული. ფულის სურ-ეილი კი უსაზღვროა, რადგან არ შეიძლება კაცს საჭიროზე მეტი ფული ქონდეს. ამის გამო ფულად ვალდებულებათა შემოღება ჰბადებს ფეოდა-ლებში გლეხთა ტვირთის გადიდების მისწრაფებას. მაგრამ ამასთან ერთად გლესების მხრითაც მატულობს წინააღმდეგობა. სანამ გლეხს არ ქონდა თავის ნაწარმოებთა ნაჭარბის გაყიდვის შესაძლებლობა, მისთვის მაინცა და მაინც დიდ მსხვერპლს არ წარმოადგენდა ამ ნაჭარბის სენიორისათვის გადაცემა. მაგრამ როდესაც არსებობს ბა-ზარი პროდუქტებისათვის, ნაჭარბის ან მისი გაყიდვით შეძენილი ფულის გადაცემა მემამულისათვის ნიშნავს იმას, რომ გლეხი ვერ დაიკმაყოფილებს ზოგიერთ მოთხოვნილებას, რომელსაც ის ადვილათ ეჩვევა.

ამ ინტერესთა წინააღმდეგობას მოემატა მცირენაირი წინააღ-მდეგობა. სანამ ქალაქები განვითარდებოდა, გლეხს არსად არ ეგუ-ლებოდა ისეთი თავისუფალი ადგილი, სადაც მას შეეძლო თავი შეე-ფარა ბატონისაგან გაქცევის შემდეგ. ქალაქთა ზრდამ გლეხს ეს თავ-შესაფარი გაუჩინა და ბევრმა, ძალიან ბევრმა ისარგებლა გაქცევის შესაძლებლობით. რაც შეეხება შეძლებულ გლეხებს, ამათ იცოდენ ბატონების ფინანსიურ ხელმოკლეობის გამოყენება, რომ თავი გამო-ეხსნათ ვალდებულებებისაგან. ყოველივე ამის გამო საბატონო გლეხ-თა რიცხვი სწრაფათ კლებულობდა, მამულის მეურნეობა კი ამისაგან ხშირათ ზარალდებოდა. ამგვარათ იმ დროს, როდესაც ქალაქთა გავ-ლენით გლეხებში იზრდებოდა ბეგარისაგან განთავისუფლების ან ერთდროულათ თავის გამოსყიდვის მისწრაფება, ფეოდალებში, პირი-ქით, სულ უფრო ძლიერი ხდებოდა იმის ინტერესი, რომ გლეხი რაც შეიძლება უფრო მკვიდრათ მიმაგრებულიყო მამულთან და გადიდე-ბულიყო გლეხის საბატონო სამუშეავარი და ბეგარა.

მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა ინტერესთა წინააღმდეგობა მიწათმოქმედებაში. რადგან სოფლის მეურნეობის პროდუქტები ღი-რებულებად გადაიქცა, ღირებულება მიიღო აგრეთვე მიწამაც რო-მელზედაც პროდუქტები იბადებოდა,—არა მარტო დამუშავებულმა არამედ თავისუფალმა, მოუხნელ-დაუთესელმა მიწაც. იმ დროს, როდესაც ქალაქებმა ძლიერ და გავლენიან მდგომარეობას მიაღწიეს, მოსახლეობა უკვე ისე მცირე აღარ იყო, როგორც წინეთ, როდესაც მიწა უსაზღვრო სჩანდა და ყველას—გლეხს, ფეოდალს მისი ყმებით, თუ ბერების ასოციაციას,—ვისაც კი ახალი მიწის გატეხვა მოესურ-ვებოდა, თემი—მარკები და სიუზერენები სიამოვნებით უთმობდენ იმ-დენ მიწას, რამდენიც მათთვის საჭირო იყო. ეს დრო დიდი ხანია

წავიდა. თუმცა ჯერ მთელი ვარგისი მიწა დამუშავებული არ იყო. მაგრამ მოსახლეობა უკვე იმდენათ მჭიდრო იყო, რომ მიწის მარაგი განუსაზღვრელ სიდიდეს აღარ წარმოადგენდა. მიწათმფლობელობა იქცეოდა პრივილეგიად, მერე ისეთ ძვირფას პრივილეგიად, რომ მისი გულისთვის მალე სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ერთის მხრით თემ-მა-მარკებმა კარი ჩაიკეტეს და მთელი თავისი მიწა თემში შემავალ ოჯახების საკუთრებად გამოაცხადეს. სოფლად, ისევე როგორც ქალაქებში, თემი-მარკის წევრთა გვერდით წარმოიშვა თემის არასრულუფლებიან წევრთა ფენა.

მეორეს მხრით სენიორები, სარგებლობდენ რა თავისი უპირატესი ძალა-უფლებით მარკის მიმართ, ცდილობდენ მიეთვისებინათ თემის მიწა, თავის კერძო საკუთრებად გამოეცხადებინათ იგი და შემდეგ მოწყალებით ებოძათ თემის წევრთათვის ამ მიწით სარგებლობის უფლება.

რაც წინ მიდიოდა ეკონომიური განვითარება, მით უფრო მწვავდებოდა ეს წინააღმდეგობანი, მით უფრო მტრული ხდებოდა გლეხთა და ფეოდალთა ურთიერთ-დამოკიდებულება და მით უფრო ადვილათ ჩაღდებოდა კონფლიქტები, რომლებსაც ჩვეულებრივად წმინდა ადგილობრივი ხასიათი ქონდა, მაგრამ გარკვეულ პირობებში ერთბაშათ მოედებოდა ხოლმე მთელ პროვინციებს, მთელ ქვეყნებს და ნამდვილი ომებით—გლეხთა ომებით—თავდებოდა.

ომის ბედი ამ შეტაკებებში ცვალებადი იყო. საზოგადოთ კი შეიძლება ითქვას, რომ XIII და XIV საუკუნეებში,—იტალიაში კი უფრო ადრეც,—გლეხთა მდგომარეობა, აქა-იქ დამარცხების მიუხედავათ, თანდათან უმჯობესდებოდა.

ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ ექსპლოატაციის ქვეშ მყოფ კლასსის მდგომარეობა შეიძლება უმჯობესდებოდეს, მაგრამ მისი ანტაგონიზმი ექსპლოატატორ კლასსთან მაინც მწვავდებოდეს. უკიდურესად უაზროა აპოლოგეტების, —სინამდვილის შემამკობელ თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომისტების ცდა შეაგონონ მუშებს, რომ რაკი მათი მდგომარეობა უმჯობესდება, სოციალისტურ მუშათა მოძრაობისათვის არავითარი საფუძველი აღარ არსებობს, ის მხოლოდ გაუგებრობის ნაყოფია. რომც მართალი იყოს მათი მსჯელობა, რომ „მუშათა კლასსი წინ მიდის“, ეს კიდევ ვერაფერს დაამტკიცებდა. ამ ბატონებმა ყოველ შემთხვევაში ის უნდა იცოდენ, რომ მარქსმა და ენგელსმა უკვე ნახევარი საუკუნის წინათ სთქვეს, რომ სოციალ-დემოკრატიული (კომუნისტური) მოძრაობა—ს ი ღ ტ ა კ ი ს ნაყოფი კი არ არის, არამედ კ ლ ა ს ს ო ბ რ ი ვ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა თ ა და

კლასსობრივი ბრძოლის, და ვერც ერთი ვოლფი ან ბრენტანო, რომელნიც ვარდის ფერებით ღებავენ სინამდვილეს, ვერ გაბედავენ იმის მტკიცებას, რომ კლასსობრივი ბრძოლა სუსტდება და კლასსობრივი წინააღმდეგობა კლებულობს.

გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზეზები ნაწილობრივ უკვე აღნიშნულია ზემოთ ნათქვამში. ქალაქები უმაგრებდა ზურგს გლეხობას და გლეხობაც ამ დახმარებით კარგათ სარგებლობდა. იურიდიული დამონება და ფიზიკური ჩაგვრა ბევრს ვერას შველიდა, თუ ქალაქები მფარველობას აღმოუჩენდენ შემოხიზნულ გლეხებს. თუ „მუშა ხელის“ შენარჩუნება სურდა, სენიორი უფრო ფრთხილად უნდა მოპყრობოდა მას და ცხოვრების პირობები შეემსუბუქებინა მისთვის.

მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ხშირათ ფეოდალების ფინანსიური ხელმოკლეობაც. მე-XII საუკუნეში ქრისტიანული სამყარო იმდენად ძლიერი იყო, რომ არა თუ მტრის შემოსევის მოგერიება შეეძლო, არამედ შეტევაც იმათზე, ვინც თავისი სიმდიდრით და მაღალი კულტურით სამხედრო და სასულიერო კასტების სიხარბეს იწვევდა: ასეთი იყო აღმოსავლეთის ერები. ჯვაროსანთა ლაშქრობა დაიწყო თავზე ხელაღებულ და მტაცებელ სენიორების ცოცხალი მონაწილეობით. მაგრამ ჯვაროსანთა ლაშქრობას ერთი მსგავსება აქვს თანამედროვე კოლონიალურ პოლიტიკასთან: დიდი ილიუზიებით დაიწყო იგი, მაგრამ სავალალოთ გათავდა და მისმა შედეგებმა სრულიად ვერ აანაზღაურა ის დიდი მსხვერპლი, რაც მოლაშქრეებმა გაიღეს. მაგრამ თანამედროვე კოლონიალურ პოლიტიკასთან შედარებით ჯვაროსანთა ომებს ერთი უპირატესობა ქონდა. კოლონიალური პოლიტიკის მსხვერპლს, „სახელმწიფოს, იდეის“ გავრცელებისათვის გაღებულს, ეხლა სახელმწიფოს, ე. ი. მოსახლეობის მასსებს მოაკვს, ხოლო მისი ნაყოფით რამოდენიმე ავანტიურისტი და ვაჭარი სარგებლობს.

„შაებნელ“ საშუალო საუკუნეებში საქმე სხვანაირი იყო. იმ დროს არ არსებობდა სახელმწიფოებრივი ხელის უფლება იმ მნიშვნელობით, როგორც ეს ეხლა გვესმის. აღმოსავლეთში გასამდიდრებლად მიმავალი სენიორები სახელმწიფოს ხარჯზე კი არ ლაშქრობდენ: ხარჯი მათი იყო და თუ ექსპედიცია მარცხით თავდებოდა, პასუხს თვითონ აგებდენ და არა სახელმწიფო. ჯვაროსანთა ლაშქრობამ ბევრი ქალაქი გაამდიდრა, განსაკუთრებით იტალიის ქალაქები. ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. მაგრამ ამასთანავე მან ევროპის თავადაზნაურობის დიდი ნაწილი გააკოტრა. თავადაზნაურობის დანარჩენ

ნაწილში კი გააძლიერა უმაღლესი კულტურის ნაწარმოებთა მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება ევროპაში მხოლოდ ფულით შეიძლებოდა. საკვირველიც არ არის, რომ ფულის მოთხოვნილება თავად-აზნაურობაში იზრდებოდა. აქედან კი, ცხადია, გლეხთა სულ მეტი და მეტი შევიწროების სტიმული იბადებოდა; მაგრამ ხანრათ ისიც ხდებოდა, რომ ვალში ჩავარდნილი სენიორი კმაყოფილებით თანხმდებოდა, რომ გლეხს თავისი ვალდებულებანი ერთდროულად გამოესყიდა განსაზღვრული თანხის გადახდით. მსხვილი თავად-აზნაურობის ზარალი ამიტომ შედარებით მცირე იყო, წვრილი თავად-აზნაურობა კი ღარიბდებოდა და თავის დამოუკიდებლობას თითქმის სრულებით ჰკარგავდა.

ბოლოს, კიდევ ერთი გარემოება უნდა აღვნიშნოთ. თემ-მარკების განკერძოებამ, სენიორთა მიერ მარკების ექსპროპრიაციამ და მოსახლეობის ზრდამ ის გამოიწვია, რომ გლეხთა დასახლება ახალ ადგილებზე ძალიან გაჭირდა. მოსახლეობის ჭარბი ნაწილი იძულებული გახდა მიწათმოქმედების გარეშე ეძია სახსარი, განსაკუთრებით, ქალაქურ ხელოსნობაში და სამხედრო სამსახურში. გაკოტრებულ თავად-აზნაურების გარდა, ჯარში სამსახურს ეტანებოდა ჯანღონით სავსე სოფლის ახალგაზრდობა, რომელსაც შინ სამუშაო ვერ ეშოვნა. სოფლელი ახალგაზრდები მიდიოდენ სენიორებთან, ვინც კარგ ჯამაგირს დაუნიშნავდა და ალაფის შოვნის იმედს მისცემდა, ემსახურებოდენ აგრეთვე მდიდარ ქალაქებს, ხელმწიფეებს ან კიდევ ცალკე ბედნიერ სარდლებს, რომელთაც სამხედრო სამსახური ხელობად ქონდათ გადაქცეული და რომელნიც ქირით უდგებოდენ სამსახურში თავისი ბანდებით ყველას, ვისაც ჯარი სჭირდებოდა.

იტალიაში დაქირავებული ლაშქარი XIII საუკუნეში გვხვდება. სისმონდის მოწმობით პირველ ხანებში დაქირავებულ ლაშქარს სამშობლოდან განდევნილი და გადასახლებული პირნი შეადგენდენ: ასეთნი მრავლათ მოიპოვებოდენ იმ დროის საქალაქო პარტიებს შორის არსებული ბრძოლის გამოისობით. (Simonde de Sismondi; Histoire des republiques italiennes du moyen âge. Paris 1826, ტომი III, გვ. 260).

ფეოდალური კასტის ცხენოსანი ლაშქრის ანუ რაინდთა ლაშქრის გარდა დგება აგრეთვე გლეხთა ლაშქარი; ქვეითი ჯარი კვლავ სამხედრო საქმის მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.

ჯარში გამოწვეული გლეხები ჩვეულებრივათ სრულიადაც არ იყვნენ პროლეტარები; ისინი გლეხთა შვილები არიან. სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ სახლში ბრუნდებიან ნადაელი ფუ-

ლითა და საქონლით საოჯახო მუშაობაში მონაწილეობის მისაღებათ ან საკუთარი კერის შესაქმნელად. თან მოქონდათ სოფელში თავისი იარაღი და სამხედრო საქმის ცოდნა და გამოცდილება. XIV და XV საუკუნეების რაინდებს ხშირათ გამოუცდიათ საკუთარ ზურგზე გენუელთა და ინგლისელთა მშვილდ-ისრის, შვეიცარიელთა შუბის და ბოჰემიელთა ფოცხისა და საცეხველი ჯაჭვის სერიოზული მოქმედება. [1]) ეჭვი არაა, ამ საგნებმა დიდათ შეუწყო ხელი გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

როგორც ვიცით, იტალიაში ყველა ქვეყნებზე ადრე განვითარდა საშუალ-საუკუნეების ქალაქი. აქვე წარმოიმშა ყველაზე ადრე ის ინტერესთა წინააღმდეგობა ფეოდალებსა და გლეხებს შორის, რომელზედაც ესეც არის ლაპარაკი გვქონდა.

გარდა ამისა იტალიაში შეიქმნა ერთი თავისებური მოვლენა, რომელსაც შეეძლო განსაკუთრებით გაეძწვავებინა აღნიშნული წინააღმდეგობა: სენიორთა ა პ ს ე ნ ტ ე ი ზ მ ი.

ძველად მსხვილი მიწათმფლობელნი იტალიაში (აგრეთვე საბერძნეთშიაც) უმთავრესად ქალაქებში ცხოვრობდენ. იტალიის საშუალ-საუკუნეების ქალაქები, სადაც არასდროს არ გაქრალა კაეშირი ძველი დროის ტრადიციებთან, თავიდანვე ცდილობდენ ქალაქის მოსახლეობის შემადგენლობაში სოფლის აზნაურობა შეეყვანათ. როდესაც ქალაქები იმდენად ძლიერი გახდენ, რომ სოფელზედაც გაბატონდენ, მათ ა ი ძ უ ლ ე ს აზნაურობა სოფლიდან ქალაქში გადმოეტანა თავისი რეზიდენცია. ბევრმა ქალაქმა თავისი მორჩილი აზნაურნი აიძულა რომელიმე საქალაქო სარეწავისთვისაც კი მოეკიდათ ხელი ქალაქში. იტალიის ქალაქთა ეს პოლიტიკა, აზნაურთა ქალაქებში გადმოსახლება, იმავე მოტივებით იყო გამოწვეული, რომლითაც საფრანგეთის XVII და XVIII საუკუნეების მეფეები აიძულებდენ ახნაურებს მიეტოვებინათ თავისი ციხე-დარბაზები და მეფის კართან დასასლებულიყვნენ. ამგვარად დაძლეულ იქნა აზნაურობის დამოუკიდებლობა და ამავე დროს ხელი შეეწყო ერთ შემთხვევაში—ტახტის და მეორე შემთხვევაში ქალაქთა ბრწყინვალებას და გავლენიანობას. მაგრამ ამ მიზეზითვე იტალიის სოფლის მოსახლეობა ისეთსავე მდგომარეობაში ვარდებოდა, როგორც საფრანგეთში რევოლიუციის წინ.

როდესაც ექსპლოატატორი ახლო იყოფება იმ პირებთან, რომელთაც ის ყვლეფს, ექსპლოატაცია, დანარჩენ თანასწორ პირობებ-

[1]) შვეიცარიელთა იმ დროინდელი ტაქტიკის შესახებ იხ. K. Bürkli. Der wahre Winkelried, ციურიხი 1886.

ში, ისეთ მძიმე ფორმას არ იღებს, როგორც მაშინ, როდესაც ისინი დიდი მანძილით არიან ერთმანეთისაგან დაშორებულნი. ერთად ცხოვრება ჰბადებს არა მარტო ერთგვარ სულიერ განწყობილებას, არამედ ნაწილობრივ ინტერესთა ერთობასაც, რომელიც ბევრნაირ წინააღმდეგობას ასუსტებს; იმ სენიორისათვის, რომელიც გლეხებთან ცხოვრობს სოფელში, სულ ერთი როდია, თუ რა მდგომარეობაშია გარშემო მცხოვრები მოსახლეობა: ახარებს მას ეს მდგომარეობა თუ ლახავს მის გრძნობებს, მძვინვარებს იქ ციება, რომელიც მის ოჯახსაც ემუქრება, თუ საღი მხარეა ჯანმრთელი მოსახლეობით.

იმ ფეოდალს კი, რომელიც ქალაქში ცხოვრობს გლეხის ცხოვრება არც ესმის, არც აინტერესებს; მთელს მის მიწა-წყალს მხოლოდ ერთის მხრით აქვს მისთვის მნიშვნელობა—წმინდა შემოსავლის მხრით. ტიალ უდაბნოთაც რომ გადაიქცეს მთელი ქვეყანა, ფეოდალს ეს არ შეაწუხებს, თუ მისი წმინდა შემოსავალი იგივე დარჩება, რაც წინათ იყო. რომის კამპანია,—მეჭერმეტყველი მაგალითია იმის, თუ რა შედეგი მოსდევს ბოლოს და ბოლოს ამ სახის მეურნეობას.

ჯერ XV საუკუნეში კამპანია კარგათ დამუშავებულ და მრავალ სოფლიან ქვეყანას წარმოადგენდა. ეხლა ის ჭაობიანი უდაბნოა, კამეჩების და მალიარიის სათარეშო.

აბსენტეიზმის გავლენას საშუალო საუკუნეებში კიდევ ის გარემოება მოემატა, რომ ქალაქურმა ყოფა-ცხოვრებამ თავად-აზნაურობა კაპიტალისტურ აზროვნებასა და სულისკვეთებას აზიარა. საკვირველიც არ არის, რომ კაპიტალისტური წარმოება მიწათმოქმედებაში ყველაზე ადრე სწორეთ იტალიაში გაჩნდა. თუ გლეხები ვერ ახერხებდენ თავის მიწაზე სრული საკუთრების უფლების მოპოებას, — ეს კი ძალიან იშვიათად ხერხდებოდა,—ისინი მოიჯარადეების ან დღიური მუშების მდგომარეობაში ვარდებოდენ, რომელთაც არავითარი უფლება არ გააჩნდათ მათი შრომით დამუშავებულ მიწაზე.

V. დოლჩინოს აჯანყება.

როდესაც დოლჩინო იტალიაში შეიპრა, ზემოთ აღნიშნულ საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა განვითარება უკვე დაწყებული იყო და ჩვენ მიერ აღწერილი წინააღმდეგობანი უკვე არსებობდა. ეს გასაგებათ ხდის იმ გარემოებას, რომ, რა წამს დოლჩინომ აჯანყების დროშა აღმართა, მას გუნდ-გუნდათ დიდძალი ხალხი შემოუერთდა.

ჩვენ არ ვიცით, თავიდანვე ქონდათ დოლჩინოს და მის ამხანაგებს გლეხთა მომხრობის განზრახვა. თუ მათ ეს გარკვეულათ გა-

თვალისწინებული არ ქონიათ და თავის თავად შექმნილმა პირობებმა მიიყვანეს ისინი ამ შედეგამდე. როგორათაც არ უნდა ყოფილიყო, ფაქტთა ლოღიკამ აიძულეს ისინი ამ გზას გაყოლოდენ შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, რაკი ერთხელ უარყვეს მონასტრული პროპაგანდის წესი და შეიარაღებულ აჯანყების გეზი აიღეს. ძალდატანებითი რევოლიუციის ცდა ვერ დაეყრდნობოდა მხოლოდ კომუნისტურ მეოცნებეთა ძალებს, მათი გვერდით კი მხოლოდ გლეხები წარმოადგენდენ განსაკუთრებით უკმაყოფილო და მეამბოხურად განწყობილ მოსახლეობის ფენას.

მაგრამ გლეხობაზე დაყრდნობა ძმათა-მოციქულთა მოქმედებას მკვიდრ ნიადაგს აცლიდა. მათი ბედი უდიდესი ტრაგედია იყო: დროის პირობები, ეს ფატუმი, აიძულებდა მათ გადაედგათ გადამწყვეტი ხაბიჯი, რადგან მხოლოდ ამით შეეძლოთ სამხედრო გამარჯვების მოპოება. მაგრამ ამავე დროს იგივე პირობები იმთავითვე უნაყოფოთ ხდიდა შესაძლებელ გამარჯვებას და აუცილებელს ხდიდა საბოლოო კატასტროფას.

პირველი შეხედვით ეს მსჯელობა კაცს მისტიურათ მოეჩვენება. მაგრამ საკმარისია რამოდენიმე სიტყვა, რომ საქმე ცხადი გახდეს.

ძმები მოციქულნი კომუნისტები იყვნენ. მათ სუოდათ ცალკე თემების ვიწრო თვალსაზრისს გასცილებოდენ. რომის დაპყრობაზე და მთელი საზოგადოების გარდაქმნაზე ოცნებობდენ თანახმად თავისი იდეალებისა. გლეხები კი სრულებითაც არ იყვნენ კომუნისტები, ყოველ შემთხვევაში იმ მნიშვნელობით, როგორც ძმები-მოციქულნი მართალია, ერთის მხრით გლეხებიც მხარს უჭერდენ თემურ საკუთრებას, მაგრამ მხოლოდ ტყეებზე და საძოვრებზე; მათ ოდნავათაც არ იზიდავდა მოხმარების საშუალებათა კომუნიზმი, ქონების სრული უარყოფა თემის სასარგებლოდ. ყომუნისტები ვერ შეჩერდებოდენ მანამდე, სანამ საზოგადოებას სრულიად არ გარდაქმნიდენ; გლეხები კი, პირიქით, ფეოდალებს ადვილათ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ მცირედი დათმობით: ზოგიერთი ვალდებულების გაუქმებით, ზოგიერთი სადავო მიწის ნაკვეთებზე ხელის აღებით.

მაგრამ ამაზე მეტი მნიშვნელობა ქონდა იმ გარემოებას, რომ გლეხთა გონებრივი ჰორიზონტი საკუთარი მრეველის ვიწრო ინტერესებს არ ცილდებოდა. ეს ყველა იმ დროის გლეხთა მოძრაობებში მეორდებოდა, თუ სხვადასხვა კუთხის კომუნისტებს იმდენათ მჭიდრო კავშირით არ ქონდათ ერთმანეთში გაბმული, რომ „საკუთარი მრეველის პოლიტიკა“ სძლევდენ; ამაშია მრავალი გლეხური მოძრაობის დამარცხების მიზეზი. თვითეული ოლქი მხოლოდ თავის საქმეს ესარჩ-

ლებოდა, თვითეული კუთხე თავისთვის ჰკრავდა ზავს, სხვებზე კი არ ზრუნავდა. ამ ურთიერთ გათიშვის გამო მტრის გაერთიანებული ძალა ადვილათ იმარჯვებდა.

დოლჩინოს აჯანყების ისტორიაში ბევრი რამ გამოურკვეველი დარჩა. მაგრამ თუ მას სხვა მის მზგავს აჯანყებებს შევადარებთ და ვისარგებლებთ ამგვარი ანალოგიებიდან დასკვნის გამოტანის უფლებით, ნათელი გაგვიხდება მრავალი რამ, რაც თავისთავად გაუგებარი სჩანდა.

პირველად დოლჩინო პიემონტის ალპებში გაჩნდა. აქედან დაბლობში ჩაეშვა და მოულოდნელი თავდასხმით სელთ იგდო გატტინარას ფორტი ვერჩელლის ახლო. მისი კავშირის წევრების, ავანტიურისტებისა და ყოველგვარ დაქირავებულ ჯარისკაცთა გარდა მას მიემხრო გლეხთა ძალიან დიდი მასსა. მალე მის გარშემო 5.000 მებრძოლი შემოიკრიბა; იმ დროს ეს დიდი არმია იყო. არა თუ მამაკაცები, დედაკაცებიც მარგარიტას მეთაურობით როგორც ლომები იბრძოდენ. „დები თუ ცოლები მამაკაცებზე არა ნაკლებ მარჯვე და მოხერხებული იყვნენ ამ საგმირო საქმეში. მამაკაცურად ტანშემოსილნი ჯარისკაცთა რიგებში იპრებოდნენ და ისევე მხნეთ და თავგანწირულათ იბრძოდენ, როგორც მამაკაცები". (Mosheim, loc. cit. გვ. 283).

ადგილობრივ ექსპლოატატორებს დაავიწყდათ თავისი დავა და უთანხმოება; ვერჩელლის და ნოვარის ეპისკოპოზებმა, იქაურმა თავად-აზნაურობამ და ქალაქებმა შეჰყარეს ჯარი მეამბოხეთა წინააღმდეგ გასალაშქრებლად; მაგრამ ბრძოლა ექსპლოატატორთა ლაშქრის სრული დამარცხებით გათავდა; დამარცხებულმა ლაშქარმა ძლივს შეაფარა თავი ქალაქის კედლებს შიგნით.

დოლჩინოს ძალებმა ეხლა კიდევ უფრო სწრაფად იწყეს მატება. მაგრამ დოლჩინომ, ამ ენერგიულმა და ბრწყინვალე სარდალმა, დააყოვნა და ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. როდესაც მტრები ვეღარ ბედავდენ მასთან პირისპირ შებრძოლებას, მას ადვილათ შეეძლო სწრაფი წინსვლით საყოველთაო აჯანყება გამოეწვია. ამის მაგიერ ის დარჩა სეზიას ველზე, სადაც აჯანყება დაიწყო, და ხელი მიჰყო მონასტრების, დაბებისა და მამულების ძარცვა-რბევას.

ეს მოვლენა იმ დროისთვის არაჩვეულებრივი არ იყო, ის ყველა გლეხთა ომებში მეორდებოდა. სეზიას ველის გლეხობას არავითარი სურვილი არ ქონდათ ამბოხება სხვა რაიონებშიაც გამოეწვიათ. მეზობელ რაიონების გლეხებსაც ამათი დაშოშმინებაც ადვილი იყო, თუ ცოტა რამე'ში დაუთმობდენ. ალბათ ასეც მოხდა. ქვეყნის

ექსპლოატატორები ისე დამფრთხალი იყვნენ მათი არმიის დამარცხებით, რომ დოლჩინოს გულის მონადირება სცადეს ყოველნაირი საშუალებით: აღუთქვეს არა თუ სრული ამნისტია, არამედ კონდოტიერის (დაქირავებული ლაშქრის უფროსის) თანამდებობის მიცემაც ვერჩელლში; მაგრამ დოლჩინომ ზიზღით უარყო ეს წინადადებები.

გლეხებმა კი, როგორც სჩანს, მიიღეს ის დათმობა, რომლის მოპოება სურდათ აჯანყებით. წყაროები ამ ფაქტს არ აღნიშნავენ. მაგრამ მხოლოდ ასეთი მოსაზრება ხდის გასაგებათ იმას, რომ დოლჩინო უმოქმედოთ იდგა, ხოლო გლეხები მას შორდებოდენ, როდესაც მტრები პირიქით ერთიანდებოდენ და ირაზმებოდენ.

კომუნისტური აჯანყება ადგილობრივი მოძრაობის ფარგალს არ გასცილებია; მაგრამ მტრებს ძალიან კარგათ ესმოდათ, რომ მისი მნიშვნელობა მხოლოდ ადგილობრივი როდია. საქმეში ჩაერია იმ დროის დიდი ინტერნაციონალური ძალა—პაპობა; მან ჯვაროსნული ომი გამართა აჯანყებულთა წინააღმდეგ და უკანასკნელთა ბედიც მაშინ გადაწყდა. დაბლობში მეამბოხენი თავს ვერ დაიცავდენ, მთებისაკენ დაიხიეს და იქედან ებრძოდენ ჯვაროსნებს პარტიზანულად. დოლჩინოს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი და მისი ამხანაგების გმირობა სასწაულებს ახდენდა ამ ბრძოლაში. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: ერთხელ ტრიეროს 300 მოქალაქე თავს დაესხა დოლჩინელთა გუნდს, რომელიც ძარცვით იყო გართული, მაგრამ უკუქცეულ იქნენ 30 დოლჩინელ-ქალთა მიერ (Krone, loc. cit., გვ. 80).

ხშირათ დოლჩინოელნი გაშლილ მინდორში ამარცხებდენ მტეროს, დიდ ზიანს აყენებდენ ჩასაფრვით და უეცარი თავდასხმით. მაგრამ მტრის რკინის სალტე სულ უფრო მჭიდროთ ეკვლებოდა მეოცნებე კომუნისტთა გუნდს, რომელიც იმავე დროს გლეხთა თანაგრძნობასაც ჰკარგავდა: გლეხებმა შეიძულეს ისინი იმ ტანჯვისა და აწიოკებისათვის, რაც ომმა მიაყენა მთელს ქვეყანას.

მაგრამ პატარენებმა (ძმათა-მოციქულთა მეორე სახელი) მაინც 1307 წლამდე გასძლეს, და მაშინაც ისინი უფრო გაჭირვებამ და შიმშილობამ მოსტეხა. ჯვაროსნებმა დაჰკარგეს იმედი, რომ მათ იარაღით დაამარცხებდენ, და შიმშილით სცადეს მტრის დაძლევა (1306—1307 წ.წ. ზამთარი).

„ამ მიზნით იმ ქალაქთა და ადგილთა მცხოვრებლებს, რომელნიც მთის ახლო სახლობდენ (იმ მთის, რომელზედაც პატარენები იყვნენ გამაგრებულნი,—ზოგიერთი წყარო ამ მთას Monte Zehello-ს უწოდებს, ზოგიც—Monte Bubello-ს) თავისი სახლები უნდა გაენთავისუფლებინათ, რათა ერეტიკოსებისათვის მოესპოთ ტყვეებისა და

სურსათის გატაცების საშუალება. ამის შემდეგ ეპისკოპოსმა (რაინერიმ ვერჩელლიდან, სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელმა) უბრძანა ხალხს, რომელიც ყოველის მხრიდან მოდიოდა მასთან გუნდგუნდათ, დახმარებოდენ მას ხუთი სანგრის ან სიმაგრის აშენებაში იმ ადგილებზე, სადაც ძმათა-მოციქულებს ყველაზე უფრო ადვილად შეეძლოთ ალყის გარღვევა. ყველა ამ ციხე-სანგრებში ძლიერი გარნიზონები ჩასხეს. და ყველგან ისე სასტიკათ იცავდენ და დარაჯობდენ ყოველ გამოსავალს, გზას თუ ბილიკს, რომლის მიგნება შეეძლოთ ერეტიკოსებს, რომ არც ერთი საძრომი არ დარჩენილა, საიდანაც შესაძლებელი ყოფილიყო იარაღის, სურსათ-სანოვაგის ან სხვა რაიმეს მიწოდება" (Mosheim, op. cit., გვ. 287).

ამგვარი ხერხით ბოლოს და ბოლოს შესძლეს მეამბოხეთა დამარცხება.

რომ მხოლოდ სიმშილმა და მრავალნაირმა გაჭირვებამ მიანიჭა ჯვაროსანთა ლაშქარს გამარჯვება, ამას თვით დანტე აღნიშნავს გაკვრით თავის „ღვთაებრივ კომედიაში". 1300 წელს, როდესაც, დანტეს სიტყვით, მან მოიარა ჯოჯოხეთი, მას რა თქმა უნდა არ შეეძლო მოეხსენებინა თავის პოემაში პატარენთა აჯანყება, როგორც წარსული ამბავი. ჯოჯოხეთის ერთს ულრმეს უფსკრულში, სადაც თავისი ცოდვები უნდა გამოესყიდათ იმ პირთ ვისაც დედა-მიწაზე არეულობა და შუღლი გამოუწვევიათ, პოეტი ხვდება მაჰომეტს, რომელიც შემდეგი სიტყვებით მიმართავს პოეტს: „შენ, რომელიც ალბათ მალე კვლავ იხილავ მზეს, უთხარი ფრა-დოლჩინოს, რომ თუ არ სურს მალე აქ გაჩნდეს ჩემთან, მოიმარაგოს სურსათი, რადგან თუ არა სიმშილით და თოვლით ნოვარიელნი მას ვერ დაამარცხებენ".

მართლაც, „თოვლმა" მისცა ნოვარიელთ გამარჯვება, მაგრამ მისცა არც თუ ისე ადვილად. სიმშილი და სიცივე ცელავდა ალყა შემორტყმულ მეამბოხეებს. დამშეული მებრძოლნი სენისაგან დასოცილთა ხორცით იკვებებოდენ. „მოციქულნი ისე დასუსტდენ, რომ ნახევრად გახრწნილ გვამებს უფრო ჰგავდენ, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს" (Mosheim).

მათი საქმე დაღუპული იყო, მაგრამ წინააღმდეგობას მაინც განაგრძნობდენ. და შიში ამ შეუპოვარ მებრძოლთა წინაშე ისე დიდი იყო, რომ ჯვაროსანთა ჯარისკაცებმა, მიუხედავად თავის ძალთა სიჭარბისა, მხოლოდ მაშინ გაბედეს იერიშის მიტანა გარს შემორტყმულ პოზიციაზე, როდესაც ტყვეებმა აცნობეს, რომ მოწინააღმდეგეს იარაღის ხმარების უნარიც დაკარგული აქვს.

შერევა მოხდა 1307 წლის 23 მარტს. „ეს სასაკლაო იყო და

არა ბრძოლა". აჯანყებულებს შებრალებაც არ უთხოვიათ. უკანასკნელი ბრძოლისთვის მოკრიბეს ძალა მაგრამ უმრავლესობა მათი ისე დასუსტებული იყო, რომ ფეხზე დგომაც არ შეეძლო. ამგვარად წინააღმდეგობა მხოლოდ საბაბი გახდა საზარელი ჟლეტისათვის. 1.900 კაციდან, ვინც ბოლომდის გაძლო, თითქმის ყველანი დაიხოცა, ზოგიერთი გაიქცა და მხოლოდ რამოდენიმე კაცი წაყვანილ იქნა ტყვედ, მათ შორის დოლჩინო და მარგარიტა: ეპისკოპოზს კატეგორიული ბრძანება ქონდა გაცემული, რომ ისინი არ დაეხოცათ, რადგან სწრაფი სიკვდილი ბრძოლის ველზე მეტად ლმობიერ სასჯელად მიაჩნდა მათთვის.

დიდი იყო პაპის მეგობართა ზეიმი, როდესაც გაიგეს საშიშარ ერეტიკოსთა საბოლოო დამარცხების ამბავი. გარეგნულად აჯანყებას წმინდა ადგილობრივი ხასიათი ქონდა; მაგრამ პაპობას აჯანყების საერთაშორისო მნიშვნელობა გაცილებით უკეთ ესმოდა, ვიდრე სეზიის ველის გლეხებს. პატარენოა საბოლოო დამარცხების უმალ ეპისკოპოზმა რაინერიმ პაპ კლიმენტ მეV-თან რამოდენიმე თავისი სარდალი აფრინა სასიხარულო ცნობით; პაპმა კი, რომელიც იმ დროს პუატიეში ცხოვრობდა, იმდენად მნიშვნელოვნად ჩასთვალა ეს ამბავი, რომ მიღებული ბარათი დაუყოვნებლივ გადააწერინა და საფრანგეთის მეფეს, ფილიპე ლამაზს,და ალბათ სხვა ხელმწიფეებსაც, გაუგზავნა.

მხოლოდ ერთ რამეში ვერ დაიკვეხნიდა გამარჯვებას ძლევამოსილი რომის ეკლესია. ამაოდ ცდილობდა ის წამებით ჩამოერთვა ერეტიკოსებისათვის მათი მოძღვრების უარყოფა, რასაც სხვა შემთხვევებში ასე ადვილად ახერხებდა. „გმირულად აიტანეს დოლჩინომ და მარგარიტამ წამება, რომელიც მრისხანე მოსამართლეებმა განუმზადეს მათ; კრინტი არ დაუძრაეს მორწმუნე ქალს, არც ერთი სიტყვა ჩივილის ან აღშფოთების არ აღმოხდომია მის გულად ამხანაგს. მათ ტყავს აძრობდენ, ხელ-ფეხს უგრეხდენ და უმტვრევდენ, განსაკუთრებული შუბებით და მუხრუჭებით ჰგლეჯდენ მათ სხეულს, მაგრამ მაგრად შეკრულ ბაგეთაგან ვერ გამოჰგლიჯეს ვერც უარყოფა, ვერც თხოვნა"[1])

მათ მიუსაჯეს ერეტიკოსებისათვის ჩვეულებრივი სასჯელი— დაწვა. დოლჩინო დასწვეს ვერჩელლში 1307 წ. 2 ივნისს. მარგარიტას აყურებინეს მის სიკვდილს. გმირმა ქალმა ამ საშინელ წუთშიაც შეინარჩუნა სულის სიმტკიცე. „კიდევ ერთხელ, მაგრამ ისევე ამაოდ წინადადება მისცეს მათ უარეყოთ თავისი მოძღვრება; შემდეგ უბე-

[1]) Krone, Fra Dolcino, გვ. 91. ამ წიგნიდანვეა ამოღებული შემდეგი ციტატებიც.

დურ დოლჩინოს სულიერი ტანჯვის გასაორკეცებლად, მსახურნი მარგარიტას მიუარდენ და იქვე, კოცონის წინ, დოლჩინოს აგონიის დროს შეურაცყვეს და იარაღებით აწამეს იგი".

უფრო გვიან მარგარიტაც დასწვეს ბიელლაში. მიუხედავად იმისა მდაბიო ხალხი ძალიან დაშინებული იყო პატარენების მხეცური წამება-დასჯით, მარგარიტას, ამ მდაბიო ხალხის ინტერესთა თავდადებული და მედგარი დამცველის, სიკვდილით დასჯამ ძლიერი პროტესტი გამოიწვია მასში. ხალხი აღშფოთდა და „მხოლოდ ძალით შეაჩერეს იგი სასამართლოს დარბევისაგან; მაგრამ მიუხედავად ამისა ერთი კეთილშობილი გვარის არამზადა, რომელმაც უბედური ქალისათვის სილის გარტყმა იკადრა, ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯილ იქნა ხალხის შურის მგებელ ხელთაგან, როგორც მსხვერპლი მისი ადამიანური რისხვისა".

ასე გათავდა საშუალ-საუკუნეების პირველი კომუნისტური აჯანყება. იგი თავიდანვე დამარცხებისთვის იყო განწირული. საზოგადოებრივი განვითარება იმ დროს სულ სხვა გზით მიმდინარეობდა.

მაგრამ დიდებით დაიღუპა იგი. რამდენიც არ ეცადენ გამარჯვებულებმა, — ჩვენ კი მხოლოდ მათი ცნობები გაგვაჩნია აჯანყების შესახებ, — რამდენიც არ ეცადენ ჩირქი მოეცხოთ დამარცხებულ პატარენებისათვის ცილის წამებით და სინამდვილის დამახინჯებით, შეუძლებელი გახდა ყოველივე მოგონების წაშლა დოლჩინოს და მის თანამებრძოლთა გმირობაზე. მატიანეს ბუნდოვან მოთხრობაშიაც გამოკრთის ეს მოგონება, ხოლო ახალი დროის ისტორიკოსებში უნებლიე პატივცემას და განცვიფრებას იწვევს, თუმცა ამასთანავე ისინი მწუხარებით აღნიშნავენ: „შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ დოლჩინის გეგმები კომუნიზმსაც შეიცავდა და სხვათა შორის, დედაკაცთა კომუნიზმს" (Krone).

იტალიის და განსაკუთრებით პიემონტის ველების ხალხურ სიმღერებში და ლეგენდებში კიდევ დიდხანს ცოცხლობდა მოგონება პატარენთა და გლესთა აჯანყებისა ეკლესიის და თავად-აზნაურთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1372 წ. გრიგოლ მე-XI-ემ ბულლა გამოსცა იმ თაყვანისცემის წინააღმდეგ, რომელიც სიცილიაში გავრცელდა პატარენების და დოლჩინოელთა ნეშთის წინაშე. თვით სექტაც დიდხანს არ გამქრალა საესებით. სამხრეთ საფრანგეთში მას მრავალი მიმდევარი დარჩა, ასე რომ 1368 წელს საეკლესიო ყრილობამ ლატერში საგანგებო კანონიც გამოსცა მის წინააღმდეგ, რომლის ძალით ყველას ევალებოდა სექტის მიმდევარობა დაეერა,

სადაც კი ასეთნი აღმოჩნდებოდენ, და ეპისკოპოზებისათვის მათი გადაცემა მოსარჯულებლად და დასასჯელად.

მაგრამ აჯანყების შემდეგ სეკტას არასდროს არ მოუპოვებია განსაკუთრებული მნიშვნელობა. იტალიაში დიდი ხანია განვლო იმ დრომ, როდესაც შესაძლებელი იყო ერეტიკული მოძრაობის ზრდა-განვითარება. მე-XIV საუკუნიდან იტალიის გაბატონებული კლასსების ინტერესები ძალიან მჭიდროდ დაუკავშირდა პაპობის არსებობას, გაბატონებული კლასსების სახელმწიფოებრივი ხელის უფლება დიდათ განვითარდა და გაძლიერდა და ამავე დროს უკვე გაჩნდა აბსოლიუტურ პოლიციური სახელმწიფოს ჩანასახი; ამგვარ პირობებში ხალხის დაბალი და სუსტი კლასსების კომუნისტურ-ერეტიკული მოძრაობა ვერ მოიპოვებდა რამდენადმე შესამჩნევ მნიშვნელობას.

იტალიის გარეთ კი ძმათა-მოციქულთა ნაშთი გაითქვიფა მის მონათესავე სექტებში, განსაკუთრებით ვალდენელთა და ბეგჰარდთა სექტებში.

თავი მესამე

ბეგჰარდები.

I ბეგჰარდთა სექტის წარმოშობა.

ალპების ჩრდილოეთით მდებარე საშუალ—საუკუნების ქვეყნებს შორის საქონლის წარმოება, ვაჭრობა და მათგან გამომდინარე სოციალური პრობლემები ყველაზე ადრე წარმოიშვა ნიდერლანდში ან, უფრო სწორათ,—ფლანდრიაში და ბრაბანტში. მრავალი საეაჭრო გზა იყრიდა თავს აქ ერთ კვანძში. ფლანდრიის ნავთსადგურში მოდიოდენ სამხრეთიდან ფრანგები და განსაკუთრებით იტალიელნი თავის ქვეყნებისა და აღმოსავლეთის საქონლებით. საქონელს რეინით ეზიდებოდენ კელნზე გავლით, უფრო გვიან კი უმთავრესად ზღვით. მალე მათ ესპანელნი და პორტუგალიელნი მოემატენ. დასავლეთიდან ინგლისელები მოდიოდენ, ჩრდილოეთიდან—გერმანულ ჰანზის მდიდარ ქალაქთა ვაჭრები; ესენი შუამავლები იყვნენ ჩრდილოეთ ევროპის დასავლეთსა და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის ვაჭრობაში, —ლონდონიდან ნოვგოროდამდე; ფლანდრიის ნავთსადგურები, განსაკუთრებით, ბრიუგგე (საშუალო საუკუნეებში ეს ქალაქი ჯერ კიდევ ზღვის პირად მდებარეობდა) ჰანზის ვაჭრებს თავის მთავარ საწყობ ადგილებად ქონდათ გადაქცეული.

ვაჭრობასთან ერთად მრეწველობაც ვითარდებოდა. ნიდერლანდის მინდვრები და დიუნები ხელს უწყობდა მეცხვარეობის განვითარებას, ხელს უწყობდა მაშასადამე მატყლის მრეწველობის განვითარებასაც. აღებ-მიცემის ზრდა შესაძლებლად ხდიდა წარმოების გაფართოებას ადგილობრივი ბაზრის ფარგლებს გარეშე; გარდა ამისა ვაჭრობა რჩეულ ნედლ მასალას იძლეოდა,—ინგლისურ მატყლს, იმ დროს საუკეთესოს. ყველა ამ ხელსაყრელ პირობათა გამო ფლანდრიაში, როგორც უკვე აღენიშნეთ ერთ წინა თავში, ადრე განვითარდა (მე-XIII საუკუნიდან) მაუდის ფართო წარმოება ექსპორტისათვის. ეს კი იმას გულისხმობს, რომ კაპიტალმა ძალიან ადრე დაიმონა ფეიქარი-მუშები და საფეიქრო მრეწველობამ კაპიტალისტური ხასიათი მიიღო.

ამგვარად, თუ ბეგჰარდთა სექტა—პირველი ნნიშვნელოვანი კომუნისტური სექტა ალპების ჩრდილოეთით—პირველად ყოველისა ნიდერლანდში წარმოიშვა, ეს შემთხვევით არ მოხდარა.

ამ სექტის წარმოშობა და მისი სახელწოდების ნნიშვნელობა გამოურკვეველი დარჩა. ყველაზე უფრო სწორი მოსჰეიმის მოსაზრება უნდა იყოს: სიტყვა „ბეჰარდ"-ს მოსჰეიმი ძველი—საქსონური სიტყვა „beg"-ისგან აწარმოებს, რაც მოწყალების თხოვას ნიშნავს; მაშასადამე ბეგჰარდი ღარიბს, მათხოვარს ნიშნავს (Mosheim, Ketzergeschichte, გვ. 378). მათვე უწოდებდენ აგრეთვე ლოლარდებს, lollen-ისაგან, რაც ნიშნავს სიმღერას, ღიღინს. ლოლარდების სახელს ატარებდენ აგრეთვე მგალობლები დასაფლავების პროცესიებში. ორივე სახელი ლოლარდებს თუ ბეგჰარდებს ხალხმა დაცინვით უწოდა. თვითონ ბეგჰარდები კი თავის თავს „ძმებს" უწოდებდენ.

სჩანს უკვე მე-XI საუკუნეში არსებობდა ნიდერლანდში მორწმუნე ქალთა საზოგადოებანი, რომელთა წევრებს „ბეგინელნი" ანუ „ბეგუტტები" ეწოდებოდა. ბაგრამ უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ საზოგადოებათა დანიშნულების შესახებ არ მოგვეპოვება. შესაძლებელია, ბეგინელ-ქალთა საზოგადოებანი აღმოცენდა ჯვაროსანთა ომების შემდეგ, რომლებმაც მამაკაცთა რიცხვი ძლიერ შეამცირეს და დედაკაცთა ნნიშვნელოვანი სიჭარბე შექმნეს. ბევრისთვის გათხოვება შეუძლებელი შეიქნა, გაჩნდა „ქალთა საკითხი"; „ბეგინელ" ქალთა სახლებს" თავშესაფარ უნდა აღმოეჩინა ამ გაუთხოვარ ქალებისათვის. ამ ორგანიზაციებს ის უპირატესობა ქონდა მონასტრების წინაშე, რომ ეს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი იყო, საიდანაც სურვილისამებრ გამოსვლა შეიძლებოდა.

ამგვარად იყო მოწყობილი აგრეთვე მამაკაცთა საზოგადოებებიც, რომლებიც მე-XII საუკუნის ბოლოში ან მე-XIII საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა ნიდერლანდში.

ეს უცოლო ხელოსანთა, მ ე ტ წ ი ლ ა დ ფ ე ი ქ ა რ თ ა[1]) ძმური კავშირები (ძმობანი) იყო. ისინი კავშირებს აწყობდენ საკუთარ სახლე-

[1]. ფეიქრებთან ერთად საჭიროა დავასახელოთ აგრეთვე მშენებელი მუშები, როგორც ვალდენელთა და ბეგჰარდთა სექტების განსაკუთრებით თაეკამოდებული წევრები გერმანიაში. ლ ი უ დ ვ ი გ კ ე ლ ლ ე რ მ ა თავის წიგნში, Die Reformation und älteren Reform—parteien" (ლეიპციგი 1885 წ.). სცადა დაემტკიცებინა სხვადასხვა ნაირი შედარებით, რომ მთავარი მონაწილეობა ამ სექტებში თავისუფალ ქალაქებთა ბილდიებს ეკუთვნოდა მას რომ ამის დამტკიცება შესძლებოდა, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩენა იქნებოდა. მაგრამ თავისი ჰიპოტეზის სასარგებლოთ ხსენებულ ავტორს პირდაპირი საბუთები არ ეყოფა, არაპირდაპირი საბუთები კი საკმარისად დამაჯერებელი არ არის.

ბში საერთო, კომუნისტური მეურნეობის გასაწევად, საკუთარი შრომით ცხოვრობდენ და გარდა ამისა დახმარებას უწევდენ ღარიბთ და ავადმყოფთ. როგორც ამ სახის ყველა საზოგადოებაში, აქაც წევრებს უქორწინობა ევალებოდა.

ბეგჰარდთა პრინციპების ნათელწარმოდგენას გვაძლევს, მათი მოღვაწეობის დასაწყისში ქ. ბრიუგგეში არსებულ ბეგჰარდთა სახლების აღწერილობა, რომელიც მე-XIII საუკუნეში მცხოვრებ ვინმე დამხუდერს დაუტოვებია. ,,ოცდაათი წლის წინათ აქ ცხოვრობდა 13 ფეიქარი, უცოლშვილო მამაკაცი, ერის კაცი, რომელნიც ძლიერ მოწადინებული იყვნენ ძმურად და ღვთისნიერად ცხოვრებას. ექვსი გირვანქა გროშის (libris grossorum) და განსაზღვრულ რაოდენობა სანთლის და პირპილის ფასად მათ ნაქირავები ქონდათ აბბატ ეკგუტენისაგან მიწის ნაკვეთი დიდი შენობით ქალაქის კედლის ახლო. იქ დაიწყეს მათ ფეიქრობა და საერთო მეურნეობით ცხოვრება; საშეურნეო ხარჯებს საერთო შრომის შემოსავლიდან ფარავდენ (ex communibus laboribus simul convivere coeperunt) ისინი არ იცავდენ რაიმე სასტიკ წესებს, არც ფიცით იყვნენ შეზღუდულნი; მხოლოდ ყველას ერთნაირი, ყავისფერი ტანისამოსი ეცვათ და ქრისტიანულ თავისუფლებისა და ძმობის საფუძველზე ქონდათ მოწყობილი მორღმუნეთა საზოგადოება''[2]) ,,ძმანი-ფეიქარნი'' ეწოდებოდა მათ. მხოლოდ 1450 წელს დაანებეს თავი ბეგჰარდებმა საფეიქრო საქმეს და ფრანციისკანელთ მიემხრენ, რათა თავი ეხსნათ დეენისაგან.

ბრიუგგეს გარდა ბეგჰარდთა სახლები სხვა ადგილებშიაც არსებობდა. ყოველ ასეთ სახლში საერთო საკუთრება იყო დაწესებული, რამდენადაც ამას საზოგადოების კეთილდღეობა მოითხოვდა. ამას გარდა წევრებს კერძო საკუთრებაც ქონდათ, შრომით თუ მემკვიდრეობით შეძენილი ან საჩუქრად მიღებული. მათ ეკუთვნოდათ ამ საკუთრებით მუდმივად და თავისუფლად სარგებლობის უფლება. სიკვდილის შემდეგ კი იგი საზოგადოების განკარგულებაში გადადიოდა.

ეს კომუნისტური საზოგადოებანი ეკონომიურად ცალკე ხელოსნებზე გაცილებით მაღლა იდგენ. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ კომუნიზმი, როგორც დავინახეთ, სიზარმაცეს სრულიადაც არ ასაზრდოებს და რომ, მეორეს მხრით, დიდი საშინაო მეურნეობა უფრო ეკონომიურია, ვიდრე ხელოსანთა წვრილი დაქსაქსული მეურნეობანი ამას კიდევ ბერგჰარდთა უქორწინობა და უოჯახობა ერთვოდა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მუშათა ამხანაგობებს სასტიკი

[2]) ციტატა ამოღებულია J. L. V. Mosheim-ის შრომიდან De Beghardis et Beguinabus commentarius, Leidzig 1790 gg. 177.

კონკურენციის გაწევა შეეძლოთ ამქრელ ფეიქარ-ოსტატებისათვის და უკანასკნელებში თანაგრძნობას არ ხვდებოდენ მ ო ს ჰ ე ი მ ი ს ცნობით საქალაქო ხელის უფლება გენტში და სხვაგან ხშირად იძულებული ხდებოდა ფეიქართა ამქრების მოთხოვნილებით ,,შეეზღუდათ ბერგჰარდთა გულმოდგინეობა'' და მშვიდობიანობა დაეცვათ ქალაქის მოსახლეობაში ბეგჰარდებისა და ამქრების ერთმანეთთან შეთანხმებით[1]).

სამაგიეროთ ღარიბთა მასსას ბეგჰარდები ძალიან უყვარდა, რადგან ზედმეტ შემოსავალს, რომელიც ბეგჰარდებს თავისი, შედარებით უმნიშვნელო, ხარჯთა დაფარვის შემდეგ რჩებოდათ, ისინი ღარიბ-ავადმყოფთა დახმარებას და ფართო სტუმართ-მასპინძლობას ახმარდენ. თვით ბონიფაცი მე-IX-მ შეაქო ისინი საგანგებო ბულლაში იმისთვის, რომ ბეგჰარდები ,,ღარიბ და საწყალ ხალხს იღებენ თავის ჰოსპიტლებში და შეძლების დაგვარად სათნოების სხვა საქმეებსაც ასრულებენ''[2]).

ამგვარივე კომუნისტური ამხანაგობანი დაარსეს ე. წ. ,,საერთო ცხოვრების ძმებმა''; ეს სექტაც ნიდერლანდში წარმოიშვა, მაგრამ მხოლოდ მე-XIV საუკუნის დამლევში; იგი დაარსა ჰერგარდგროტმა დევენტერელმა. ამ ამხანაგობათა ორგანიზატორები ხელოსნები კი არ იყვნენ არამედ, უმაღლესი კლასსები წევრები, რომელთაც გაჭირვებულ ხალხისათვის დახმარება სწადდათ. ამ ამხანაგობათა ხასიათიც ამის გამო სხვაგვარი იყო, ვიდრე ბეგჰარდებისა. ბეგჰარდები მეტ წილად ფ ე ი ქ რ ე ბ ი იყვნენ, ,,საერთო ცხოვრების ძმანი'' კი წ ი გ ნ ე ბ ი ს გადაწერით შოულობდენ არსებობის საღსარს. და იმ დროს, როდესაც ბეგჰარდები თავის ზედმეტ შემოსავალს ღარიბთა ნ ი ვ თ ი ე რ დახმარებას ახმარდენ, ,,საერთო ცხოვრების ძმები'' უმთავრესად ღარიბთა ს უ ლ ი ე რ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ებ ებ ზ ე ზრუნავდენ და ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ნ ა თ ლ ებ ი ს დარგში მეცადინეობდენ. ისინი ხელს უწყობდენ ხალხის სწავლა განათლებას ნაწილობრივ წიგნების დარიგ-ბით, რაც წიგნთა სტამპვის გამოგონებამდე დიდათ მნიშვნელოვანი საქმე იყო, და განსაკუთრებით ს კ ო ლ ებ ი ს დ ა ა რ ს ებ ი თ ამ დარგში ისინი შესამჩნევ შედეგს აღწევდენ. ,,თუნდაც ერთი ძმათა სახლის მოღვაწეობა ხანდისხან ამა თუ იმ ქალაქის ყველა მცხოვრებთა კულტურულ დონეს ამაღლებდა. მაგალითად, ამერსფორდში ლათინური ენის ცოდნა უკვე მე-XVI საუკუნის ნახევარში იმდენად ჩვეულებრივი გახდა, რომ

[1]) Mosheim, გვ. 182
[2]) Mosheim, გვ. 653
[3]) Ullmann, Reformatoren vor der Reformation, II ტ. გვ. 111.

უბრალო ხელოსნებიც ლაპარაკობდენ ლათინურად; უფრო განათლებულმა ვაჭრებმა ბერძნული ენაც იცოდენ, ქალები ლათინურ სიმღერებს მღეროდენ, ქუჩებში ყველგან მშვენიერი ლათინური ენა ისმოდა".

შეიძლება ამ სურათში ბევრი რამ გადამეტებულია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის საკმარისად გვიხატავს ძმათა მოღვაწეობის საერთო მიმართულებას.

ამხანაგობათა ორგანიზაცია კომუნისტური იყო. ძმობა „შინაგანად მკვიდრს, და თან თავისუფალ ამხანაგობას წარმოადგენდა. კორპორაციაში შესვლისათვის საჭირო არ იყო აღთქმა, რომლის დაცვა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სავალდებულოა; ძმებს არ ევალებოდათ მკაცრი და წვრილმანი წესების შესრულება, როგორც ბერებს... ძმათა სახლის ჩვეულებრივი წყობილება შემდეგი იყო. სახლში ოციოდე ძმა ცხოვრობდა; ს ა ე რ თ ო ს ა ლ ა რ ო დ ა ს ა ე რ თ ო ს უ ფ რ ა ქონდათ... ძმად მიღებამდე ამხანაგობაში შემომსვლელ პირს ერთი წლის განმავლობაში სცდიდენ, ამ ხანში მას ძალიან მკაცრი წესები უნდა ესრულებინა... ახლად მისაღებ წევრისაგან მოითხოვდენ მთელი მისი ქონების საერთო სარგებლობისათვის გადაცემას". ფ ლ ო რ ე ნ ც ი უ ს ი (ჰერგარდის მოწაფე და მეგობარი) სხვათაშორის შემდეგს ამბობს თავის სენტენციებში: „ვაი იმას, ვინც თვეში ყოფნისას ეძებს რაიმეს, რაც მხოლოდ მას ეკუთვნის, ან ვინც ამბობს, რომ მას რაღაც ეკუთვნის"... მუშაობა მიზანშეწონილად განაწილებულია წევრთა შორის. საგანგებოთ დანიშნული პირნი სხვადასხვა ხელობას ეწევიან, რამდენადაც ეს მთელი თემისთვის იყო საჭირო. ვეზელში ძმათა სახლებისთვის დაწესებულ კანონებში ჩვენ ვხვდებით ინსტრუქციებს სხვადასხვა ხელოსან—ძმებისათვის: თერძების, დალაქების, მეპურეების, მზარეულების, მებაღეების, საწყობთა გამგეებისათვის და აგრეთვე მასწავლებელთა, გადამწერთა, შემკინძველთა, ბიბლიოთეკების გამგეებისა და მკითხველებისათვის... მაგრამ მიუხედავად შრომის ამგვარ განაწილებისა, ერთგვარი თანასწორობაც შეჰქონდათ წევრთა შორის. სასულიერო და სწავლული ძმანი როდესაც საჭირო იყო ყოველგვარ ფიზიკურ სამუშაოებს ასრულებენ (სამზარეულოზე ზრუნვა ყველას ევალებოდა რიგ-რიგობით), დანარჩენნიც მონაწილეობას იღებენ თითქმის ყველაფერში, რაც სასულიერო პირთა საქმეს შეადგენს, ასე რომ მთელი ამხანაგობა შეგვიძლია შევადაროთ ერთ ოჯახს, რომლის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან და ისე მუშაობენ. მთავარი მოტივი ამხანაგობაში გაერთიანებისათვის წ ი გ ნ ე ბ ი ს გ ა დ ა წ ე რ ა იყო...წიგნთა გადაწერისათვის გარკვეული დრო იყო დანიშნუ-

ლი, დღეში რამოდენიმე საათი: ამ დროს სწერდენ ღარიბთა სასიკეთოდ.[1])

„საერთო ცხოვრების ძმობანი“ არასოდეს არ გამხდარან კომუნისტურ ოპოზიციონური მოძრაობის გამოსავალ პუნქტად; ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ძმები შეძლებულ და განათლებულ კლასსებთან იყვნენ დაკავშირებული. ძმები მუდამ კეთილი პაპისტები იყვნენ. XVI საუკუნის რეფორმაციის ქარიშხალმა ბოლო მოუღო მათს მშვიდობიან მოღვაწეობას.

სხვაგვარი იყვნენ ბეგჰარდები. მართალია, თავდაპირველად მათ მოღვაწეობასაც ფრიად უმანკო ხასიათი ქონდა, ასე რომ თავიც კი მოაწონეს რამოდენიმე პაპს. მათ სრულიადაც არ ქონდათ განზრახული ბრძოლა არსებულ საზოგადოებისა და მისი ავტორიტეტების წინააღმდეგ. მაგრამ თანდათან მათ წრეში რევოლიუციონური ელემენტები წარმოიშვა.

ბეგჰარდები პრივილეგიურ კლასს არ წარმოადგენდენ ბერთა ორდენებსავით; ისინი პრივილეგიებს არც ითხოვდენ, არც ღებულობდენ პაპისაგან და, დარჩენ რა მისგან დამოუკიდებელნი, არავითარი ინტერესებით არ ენათესავებოდენ მას. ისინი არასდროს არ ამაღლებულან ღარიბთა მასსებზე, ყოველთვის მჭიდრო კავშირი ეჭირათ ამ მასსებთან, რადგან რაიმე განსაკუთრებულ წესებს არ ექვემდებარებოდენ და სამუდამო ფიცს არ დებდენ. ყოველ წევრს შეეძლო გამოსულიყო თემიდან როდესაც სურდა და დაქორწინებულიყო; თემთან კონფლიქტს ეს არ იწვევდა.

ყველა ამ მხრით ბეგჰარდები ძლიერ უახლოვდებოდენ ფრანციისკანელ ტერციარიებს და ზოგ ადგილას ფაქტიურადაც უერთდებოდენ მათ.

მაგრამ თუ პაპის მიერ ცნობილს და პრივილეგიებით აღჭურვილ ფრანცისკანელებსაც უსდებოდათ -ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ—პაპთან შესლა-შემოხლა, დამოუკიდებელ ბეგჰარდებისათვის ასეთი კონფლიქტები პაპთან ხომ უფრო აუცილებელი უნდა ყოფილიყო, რადგან მათი პროლეტარული ტენდენციები თავიდანვე ანტაგონისტურად იყო განწყობილი არსებული ეკლესიის სიმდიდრესთან და ექსპლოატატორულ მიმართულებასთან. რა თავმდაბლობა და კეთილი მოქცევაც არ უნდა გამოეჩინათ ბეგჰარდებს, ყოველი ამგვარი მოძრაობა პაპობას საშიშრად ეჩვენებოდა, როდესაც მოძრაობა ფართოდ გავრცელებას იწყებდა. ბეგჰარდთა მოძრაობამ კი უკვე მე-XIII საუკუნიდან დაიწყო ზრდა-განვითარება. არაჩვეულებრივი სისწრაფით

[1]) Ullmann, loc. cit., II p. გვ. 97—102.

მატულობდა მათი მიმდევართა რიცხვი გერმიანიაში, საფრანგეთში და ინგლისში. შეიძლება ამას ხელი შეუწყო მე-XIII საუკუნის მრავალ ქალაქის ცდამ მოეწვიათ ფლამანდიელი ფეიქრები თავისი მატყლის მრეწველობის გასაძლიერებლათ. ფლანდრიიდან გამოსული ფეიქრები ჩნდებოდენ ვენაში, ტიურინგენში, ბრანდგენბურგში და ლაუზიცში აღმოსავლეთით და ინგლისში — დასავლეთით.

მაგრამ ამგვარ გადასახლ-გადმოსახლების მნიშვნელობა არ უნდა გადავამეტოთ. მზგავსი ურთიერთობანი თავის-თავადაც ჰბადებენ მზგავსს მოვლენებს. იმ ადგილებში, სადაც ტილოს და ბამბის მრეწველობა საექსპორტო დარგამდის განვითარდა, ფეიქართა. წრეებში დაახლოვებით ისეთივე მისწრაფებანი ვითარდებოდა, როგორიც ბეგჰარდებს ახასიათებდა.

ულმის ფეიქარ-ქარგალთა სტატუტი (1404 წ.) „თავისი მკაცრი რელიგიური, თითქმის ასკეტური მიმართულებით მოგვაგონებს ნიდერლანდელ ბეგჰარდთა ძმობებს, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში მატყლის ფეიქრებისაგან შესდგებოდენ“ (Hildebrand, Zur qeschichte der deutschen Wollenindustrie, Hildebrands Lahrbücher, 1866, გვ. 110).

ბეგჰარდთა გავლენის ზრდასთან ერთად სწრაფად ვითარდებოდა მათი თვითშეგნებაც. მაგრამ რაც უფრო მატულობდა მათი რიცხვი და ვრცელდებოდა მათი გავლენა, მით უფრო მეტი სხვადასხვაობა ჩნდებოდა ბეგჰარდთა სექტის ცალკე მიმართულებებს შორის, რადგან ერთი და იგივე მოძღვრება, ერთი და იგივე აზრთა წყობა სხვადასხვა წესით უნდა შეჰგუებოდა სხვადასხვა პირობებს. თუ ბეგჰარდთა ნაწილი თავმდაბალ და გარე-სამყაროს ამაობისათვის მკედარ მათხოვრულ ძმობად დარჩა, მეორე ნაწილში უფრო თამამი იდეები დაიბადა. გაიღვიძა არსებულ საზოგადოების უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილმა, არა ამ საზოგადოებისაგან განდგომით, არამედ მასში ჩარევით და საზოგადოებრივ ბოროტებათა მოსპობისაკენ მიმართული მუშაობით. ბეგჰარდთა სახლებიდან გამოვიდა მრავალი აგიტატორი, „მოციქულნი“, რომელნიკ ეალდენელთა მოგზაურ მქადაგებელთა მზგავსად ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდენ, პირველნელი ქრისტიანობის სახარებას ქადაგობდენ და თემებს აარსებდენ. გერმანია (და ნიდერლანდი) საიდუმლო კავშირთა ქსელით მოიფინა; ამ კავშირთა ტენდენციები უფრო რადიკალური იყო, ვიდრე ბეგჰარდთა ლეგალურ სახლების. ბეგჰარდთა საიდუმლო კავშირები არ იყო შეთქმულთა საზოგადოებანი, რომელთა მიზანი საზოგადოებრივი კატასტროფის მზადება უნდა ყოფილიყო; ისინი უფ-

რო პროპაგანდისტთა საზოგადოებებს წარმოადგნდენ. მაგრამ ესეც საკმარისი იყო იმისთვის, რომ არსებულ ხელის უფლება, განსაკუთრებით პაპის ეკლესია გადაემტერებინათ: იწყება ბეგჰარდთა გულმოდგინე ძებნა და დევნა.

უკვე 1299 წ. ბეზიერში შეკრებილი საეკლესიო ყრილობა სჩივის, რომ საიდუმლო კავშირებმა გააღვიძეს ხალხში ხილიასტური იმედები ქვეყნიერების ე. ი. აოსებული საზოგადოების მოახლოებული დაღუპვისა; ამავე დროს რეინზე რამოდენიმე ბეგჰარდი დასწვეს, როგორც ერეტიკოსები.

მაგრამ ბეგჰარდთა დევნამ მოსალოდნელი ნაყოფი ვერ გამოიღო. ბეგჰარდთა უფრო ზომიერი და გაუბედავი ფრაქცია რა თქმა უნდა დაშინდა ამ მიმართულების ბეგჰარდთა სახლებმა სცადეს თავი ეხსნათ დევნისაგან მფარველობის მოპოებით ან რომელიმე ძლიერ ბერძა ორდენში პირდაპირი შესვლით. ყველაზე უფრო ამით ფრანციისკანელებმა მოიგეს, რომელთაც ბევრი რამ ანათესავებდა ბეგჰარდთა მშვიდობიან ნაწილთან; მათ ერგოთ ბეგჰარდთა სახლების მთელი რიგი. ანტვერპენში, მაგალითად, ბეგჰარდთა სახლი უკვე 1290 წელს გადაეცა ფრანციისკანელებს, მე-XV საუკუნეში კი იგი საბოლოოთ მამაკაცთა მონასტრად გადაიქცა.

ბეგჰარდთა ახალი სახლები იშვიათად არსებობდა მე-XIII საუკუნეში.

მაგრამ ბეგჰარდთა უფრო ენერგიულ ნაწილში დევნა მხოლოდ მეტს კონსპირაციას და უფრო გაბედულ ოპოზიციას იწვევდა. ეს პროცესსი დააჩქარა ერეტიკოსთა ემიგრაციამ იტალიიდან საფრანგეთში. ალბიგოს ომების დროიდან ემიგრანტები გერმანიას უფრო არჩევდენ საცხოვრებლად. აქ სახელმწიფო ხელისუფლება იმდენად ძლიერი არ იყო და პაპობისათვის დახმარებაში იმდენად არ იყო დაინტერესებული, როგორც საფრანგეთში ან იტალიის ქალაქებში. ამიტომ აქ უფრო ადვილი იყო დახმარებისა და თავშესაფარის პოვნა ქალაქში ან მამულში რომელიმე სენიორთან, რომელიც ხშირად სიხარულით ხვდებოდა ამ ახალ მუშებს.

სამხრეთ საფრანგეთიდან და იტალიიდან ვალდენელნი და ძმანი მოციქულნი მოდიოდენ; ჩრდილოეთ საფრანგეთიდან კი „თავისუფალი სულის ძმები და დები“.

მაუდის წარმოებამ, როგორც საექსპორტო წარმოებამ, სწრაფად დაიწყო გავრცელება მეზობელ ქვეყნებში, რომლებთანაც გაცხოველებული აღებ-მიცემა სწარმოებდა: რეინის ქვემო ნაწილის მიდამოებში, ჩრდილოეთ საფრანგეთში, განსაკუთრებით შამპანში, სა-

დაც ეს წარმოება ჰყვაოდა მე-XIII საუკუნეში. მე-XIV საუკუნეში მატყლის მრეწველობა აქ ძლიერ დაეცა საფრანგეთ-ინგლისის ომების გამო, რომლებმაც სავაჭრო გზები დაკეტეს და ნედლი მასალის წყაროს მოწყვიტეს ქვეყანა.

მატყლის მრეწველობის ადრე განვითარების წყალობით, ამ ქვეყნებში ძალიან ადრე აღმოცენდა ფეიქართა ძმობანი კომუნისტური (ან ყოველ შემთხვევაში პირვანდელ-ქრისტიანული, რასაც პროლეტარებისთვის იგივე მნიშვნელობა ქონდა) ტენდენციებით; ეს იყვნენ „ა პ ო ს ტ ო ლ ი კ ე ბ ი" (ესენი იტალიელ ძმა-მოციქულებში არ უნდა ავრიოთ), რომელთაც მიზნათ მოციქულთა ყოფა-ცხოვრების მიბაძვა ქონდათ დასახული. „ისინი ჯერ მე-XII საუკუნეში იყვნენ ცნობილნი, —წმიდა ბერნარდის დროს, რომელიც სასტიკათ ეკამათებოდა მათ თავის ორ ქადაგებაში სოლომონის „ქებათა ქების" შესახებ... „აპოსტოლიკები" მეტ წილად საფრანგეთში ცხოვრობდენ; ისინი მუშაობდენ და საკუთარი შრომით მოპოებული პურით ირჩენდენ თავს. ისინი უმთავრესად ხელოსნები იყვნენ,—უ ფ რ ო ხ შ ი რ ა დ ფ ე ი ქ რ ე ბ ი: ამას მოწმობს წმიდა ბერნარდი, რომელიც თუმცა სასტიკად ჰკიცხავს მათ, მაგრამ მაინც აღიარებს მათს შრომის მოყვარეობას".

მაგრამ ჩრდ. საფრანგეთი მე-XII საუკუნეში მაინც არ წარმოადგენდა ამგვარი სექტებისათვის ისეთ ნაყოფიერ ნიადაგს, როგორც სამხრ. საფრანგეთი ან ფლანდრია. „აპოსტოლიკებს" არასდროს არ ქონიათ ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ვალდენელებს ან ბერგჰარდებს. უფრო მნიშვნელოვანნი გახდენ „თავისუფალი სულის დანი და ძმანი", რომელთა სექტა მე-XIII საუკუნეში წარმოიშვა.

ეს სექტა დაარსა ა მ ა ლ რ ი ს ბენელმა (დაიბადა ბენაში, შარტრის დიოცეზში, საფრანგეთში); დაახლოებით 1200 წ. ის თეოლოგიის მაგისტრი იყო პარიზში. 1204 წელს ის, როგორც ბრალდებული ერეტიკულ მოძღვრებისათვის, რომში გაიწვიეს პაპ ინოკენტი მე III-სთან, რომელმაც აიძულა ამალრიხი უარეყო თავისი მოძღვრება. ამგვარად შეეცადენ მავნე მოძღვრების მოსპობას. მაგრამ ამალრიხის სიკვდილის (1206 წ.) შემდეგ გამოირკვა, რომ მას მრავალი მიმდევარი დაუტოვებია. განსაკუთრებით გამოჩენილი მის მოწაფეთა შორის იყო დ ა ვ ი თ დ ი ნ ა ნ ტ ე ლ ი (დინანტი ბელგიაში მდებარეობს, ნამიურის ახლო). 1209 წელს სინოდმა პარიზში შეაჩვენა ამალრიხის მოძღვრება, რის შემდეგ დაიწყო მისი მიმდევრების გულმოდგინე დევნა.

---

1) M o s h e i m, Ketzergeschichte. გვ. 380.

ისინი ყველაზე უფრო გაბედულ და რადიკალურ კომუნისტურ სექტას წარმოადგენდენ იმ დროში. აღიარებდენ საზიარობას არა მარტო ქონების, არამედ ქალებისაც. უარყოფდენ ყოველივე უთანასწორობას და ამიტომ ყოველგვარ ხელის უფლებასაც. ისინი ასწავლიდენ, რომ ღმერთი ყოველივეა და ყველგანაა. ეს აზრი ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოსთქვეს 1339 წ. კონსტანცის საეპისკოპოზოში შეხიზნულმა ბერგჰარდებმა, რომელნიც, იოჰან ვინტერტურელის მოწმობით შემდეგს ამბობდენ: „ყოველ სულდგმულში, თვით ტილშიაც მყლავნდება ღვთის მადლი არა ნაკლებ, ვიდრე ადამიანში". (Ullmann, Reformatoren II ტ., გვ. 20). მაშასადამე ღმერთი ადამიანშიაც სუფევს და რაც ადამიანს სურს ის სურს ღმერთს; ამიტომ უარყოფილი უნდა იქნას ყოველივე, რაც ადამიანს ზღუდავს, და ყველას აქვს უფლება, არათუ უფლება—ვალდებულებაც, ყური უგდოს თავისი გულის ყოველ წადილს. ამ პანტეისტურ მოძღვრებას რომ მისი მისტიური გარსი მოვაცილოთ, ის წარმოგვიდგება როგორც კომუნისტური ანარქიზმი,—მოძღვრება, რომელსაც დიდი მიმზიდველი ძალა უნდა ქონებოდა ჩაგრულ და დაბეჩავებულ პროლეტარებისათვის.

ეს მოძღვრება პარიზიდან სწრაფად გავრცელდა აღმოსავლეთ საფრანგეთით გერმანიამდე ბეგჰარდთა უმრავლესობამ მიიღო ეს მოძღვრება. მე-XIII საუკუნის დამლევში იგი უკვე იმდენად გავრცელებული იყო რეინის მიდამოებში მცხოვრებ ბერგჰარდთა შორის, რომ „თავისუფალი სულის დანი და ძმანი" და „ბეგჰარდები" ერთი და იმავე მნიშვნელობის ცნებებად გადაიქცა.

„ბეგჰარდ"-ის ცნება თანდათან სულ უფრო ფართოვდებოდა. რაც უფრო ერცელდებოდა ბეგჰარდთა სექტის ის მიმართულება, რომელიც თავის მთავარ მიზნად პაპობის წინააღმდეგ ბრძოლას ისახავდა, მით უფრო მეტი საერთო ჩნდებოდა მასსა და გლეხობის და მოქალაქეთა ოპპოზიციონურ მისწრაფებებს შორის: უკანასკნელნიც უკმაყოფილონი იყვნენ არსებულ საზოგადოებრივი ურთიერთობით და პაპის ხელის უფლება თავის უდიდეს და უსაშიშროეს მტრად მიაჩნდათ. ორთავე მიმართულებას მით უფრო ადვილად შეეძლო ერთმანეთთან შედეგება, რომ ორივე მხარე ერთსა და იმავე პირვანდელ ქრისტიანობისაგან ნასესხებ არგუმენტებს ემყარებოდა და გარდა ამისა ის მისტიური ბურუსი, რომელშიაც გახვეული იყო ორივე სექტის მოძღვრებანი და კიდევ მეტი მათი გაბუნდოვანება აგიტატორების მიერ, რომელნიც ამ საშუალებით სცდილობდენ დევნისაგან დაეფარათ თავი, ხელს არ უწყობდა აზრთა პრინციპიალურ გარკვე-

ულობას [1]). აი ამგვარად მე-XIV საუკუნის გერმანიაში „ბეგჰარდ“-ის სახელი საზოგადოთ ერეტიკოსის სახელწოდებად გადაიქცა. ინგლისში, სადაც ბეგჰარდებს „ლოლლარდები“ ეწოდებოდა, უკანასკნელი სახელი იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა.

ამიტომ, როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, რომ გერმანია მე-XIV საუკუნის პირველ ნახევარში და უფრო გვიან ინგლისი სავსე იყო ბეგჰარდებით და ლოლლარდებით, ის კი არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ კომუნისტური მოძრაობა იმდენადვე ძლიერი იყო, რამდენადაც მრავალრიცხოვანი იყო ეს სექტები.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს მოძრაობა არც ისე უმნიშვნელო იყო.

II. ლიუდოვიკ ბავარიელი და პაპი.

ბედნიერი ხანა ბერგჰარდებს და საზოგადოთ ერეტიკულ მიმართულებებს დაუდგათ გერმანიაში მეფე ლიუდოვიკ IV ბავარიელსა (1314—1347 წ.წ.) და პაპებს შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტის ხანაში. ეს ხანა ჩვენ უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ.

ნაციონალ-ლიბერალური ისტორიკოსები (განსაკუთრებით პოპულიარულ თხზულებებში) ყოველ კონფლიქტს, იმპერატორებსა და პაპებს შორის მომხდარს იხილავენ როგორც ერთგვარ „კულტურ-კამპფს“,—როგორც ბრძოლას გერმანელ იმპერატორების უმაღლეს კულტურასა და პაპობის ბნელ ბარბაროსობას შორის,— სულ ერთია, როდესაც არ უნდა მომხდარიყო ეს ბრძოლა მე-X თუ მე-XIX საუკუნეში.

ნამდვილად კი კონფლიქტებს იმპერატორებსა და პაპობას შორის, საშუალო საუკუნეებში ყოველთვის ერთი და იგივე ხასიათი რო-

[1]) „კონსპირაციის მკაცრმა სკოლამ განსაცვიფრებელი სიმარჯვე განვითარა „მოციქულებს“ თავისი მიზნების დამალვის საქმეში. უკვე მე-XIII საუკუნეში დავით აუგსბურგელის მთავარი საყვედური ერეტიკოსთა მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი უდიდესი „ეშმაკობით“ იცოდენ სიტყვათა ხმარება; ვალდენელთა ერთ მოციქულზე კი XIV საუკუნის ერთი ძველი საბუთი სიტყვა-სიტყვით შემდეგს ამბობს: „ის არაჩვეულებრივად გონება-მახვილი კაცი იყო და იცოდა თავისი ცრუ მოძღვრების დაფარვა კაზმული სიტყვებით“. სიმბოლიკა „მისტიკოსებთან“ დიდ როლს თამაშობდა. აზრებს, რჩევებს და დებულებებს, რომლებს პირდაპირ გამოთქმას ისინი ვერ ბედავდენ გასამართლების შიშით, ისინი თავისებური ქარაგმების ენით გამოსთქვამდენ, რაც ჩვეულებრივად მხოლოდ „ძმებისათვის“ იყო გასაგები. შნაიზე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ისინი, როგორც სჩანს, განზრახ მოსავდენ ალეგორიებით თავის რჩევა-დარიგებებს“.

(K e l l e r, Die Reformation, გვ. 184, 219).

დი ქონდა. ოტტონებიდან დაწყებული და ჰოგენშტაუფენებით გათავებული ბრძოლა არსებითად იმ საკითხის გარშემო ტრიალებდა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მფლობელი და ექსპლოატატორი იმ ბატონობის ორგანიზაციისა, რომელსაც ეკლესია ეწოდებოდა, და ვინ უნდა ყოფილიყო ზემო იტალიის ბატონ-პატრონი და ექსპლოატატორი. უკანასკნელ პუნქტში დავა იმით დამთავრდა, რომ ჩრდილო-იტალიის ქალაქებმა თავი იხსნეს უცხო ძალის ყოველივე მზრუნველობისაგან და დამოუკიდებელი სახელმწიფოები დაარსეს. პირველი პუნქტი კი ისე გადაწყდა, როგორც მრავალი სხვა დავა გადაწყვეტილა: გამარჯვება ხვდა უმაღლეს კულტურას—იტალიის პაპობას გერმანელ იმპერატორთა ბარბაროსობის წინააღმდეგ. უკანასკნელთა სიხარბემ იტალიის სიმდიდრისადმი მათი ძალთა დაქსაქსვა გამოიწვია; ამიტომ, როდესაც პაპობამ იმპერატორებზე გაიმარჯვა, თავისი ტრიუმფი გერმანელ ტერიტორიალურ ხელმწიფეებსაც შეეძლოთ ედღესასწაულათ. საქონლის წარმოებისა და საქონლით ვაჭრობის განვითარებამ ყველგან ხელი შეუწყო თავადთა აბსოლიუტიზმის აყვავებას; მაგრამ გერმანიაში ამ განვითარებამ ცენტრალური ხელის უფლების გაძლიერება კი არ გამოიწვია (ცენტრალური ხელის უფლება, პირიქით, ჰოგენშტაუფენთა დაცემის შემდეგ უფრო დაირღვა), არამედ ზრდა იმპერიის თავადთა გავლენისა, რომელნიც სულ უფრო სუვერენულ ხელმწიფეებად იქცეოდენ და გერმანიის იმპერატორში სცნობდენ მხოლოდ ერთგვარ საკავშირო პრეზიდენტს.

სხვანაირად მიმდინარეობდა განვითარება მეზობელ საფრანგეთში. იქ მე-XIII საუკუნიდან და განსაკუთრებით იმ დროიდან, როდესაც დინასტიამ სამხრეთ-საფრანგეთი ჩაიგდო ხელში, მეფეების ძალა თანდათან იზრდებოდა. სწორედ იმ დროს, როდესაც რამოდენიმე საუკუნის ბრძოლა გერმანელ იმპერატორებსა და პაპობას შორის უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა, საფრანგეთის მეფეები იმდენად გაძლიერდენ, რომ ბოლოს მოიპოვეს ის, რისკენაც გერმანელი იმპერატორები ამაოდ მიისწრაფოდენ: პაპობა თავის იარაღად გადააქციეს და რომის ეკლესია მოსამსახურედ გაიხადეს. ბონიფაცი მე-VIII, რომელიც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, როდესაც დოლჩინოზე ვლაპარაკობდით, სასტიკად დამარცხდა, როდესაც საფრანგეთის მეფის, ფილიპე მე-IV-ის ბატონობისაგან სცადა განთავისუფლება (1303 წ.) რათა პაპობისათვის მოესპო დამოუკიდებლობის მოპოების ყოველივე საშუალება, ფილიპემ იძულებული გახადა 1305 წელს არჩეული კლიმენტი მე-V, ეროვნებით ფრანგი, ბონიფაცის მეორე მოადგილე, დაეტოვებინა რომი და თავისი რეზიდენცია სამხრეთ-საფ-

რანგეთში გადაეტანა. დიდი ხნის ადგილიდან ადგილზე გადაბარგ-გადმობარგვის შემდეგ პაპმა ბოლოს ავინიონი აირჩია (1308 წ.). ამ დროიდან ავინიონი ორი თაობის განმავლობაში პაპების რეზიდენციას წარმოადგენდა.

პაპის ხელის უფლება ეხლა სავსებით დამოკიდებული გახდა საფრანგეთზე. უკვე თავის არჩევისას კლიმენტი მე-V იძულებული იყო რამოდენიმე მნიშვნელოვანი დაპირება მიეცა ფილიპე მე-IV-სათვის და საფრანგეთის მეფემ მიიღო კიდეც ამ დაპირებეთა შესრულებისათვის საჭირო ზომები. პაპის ტახტზე ასვლისთანავე კლიმენტიმ გადასცა მეფეს გადასახადი (ათეული) საფრანგეთში არსებული მთელი საეკლესიო ქონებიდან. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო არაჩვეულებრივად მდიდარი ტამპლიერთა ორდენის მოსპობა. ტამპლიერთა მოქმედების მთავარი ასპარეზი სამხრეთ საფრანგეთი იყო და მათი საგანძურები დიდი ნანია ამწვავებდა ფილიპეში ანგარ სურვილებს[1]). ბევრი ოინი იხმარა კლიმენტიმ უხერხულ მდგომარეობიდან გამოსაძრობად, მაგრამ ორდენი დალუპვისაგან ვერ იხსნა. ეს აბი მას უნდა გადაეყლაპა და, მართლაც, სკანდალიოზური პროცესსის შემდეგ, რომელიც ხალხის თვალის ასახვევად იყო გამა-

[1]) როგორც სხვა ბერთა ორდენებიც, ტამპლიერები მარტო კეთილ მორწმუნეობრივი მეცადინეობით როდი კმაყოფილდებოდნენ; მათ მშვენივრად ესმოდათ კომერციაც.

„ტამპლიერთა სრულამაცეს ომში არავინ არ უარყოფდა,—ამბობს არუცი,—მაგრამ იმამაღლა ჭკიცხავდენ მათ ანგარებითს პოლიტიკას, რომელიც ორდენის სიკეთეს მეტად მთელი ქრისტიანობის ინტერესებზე მაღლა აყენებდა. ამის საბუთად განსაკუთრებით აღნიშნავდენ ორგანოს დამოკიდებულებას,—ხშირად ფრიად საეჭვოს,—ფრწმუნეობთან; ორდენი ცდილობდა თავისი ქონება საქრისტიანო ქვეყნის წარჩინებულთა და თავადთა სახარალოთაც გაედიდებინა; ძალიან მალე შეიპყრო ის სიხარბემ ფულისადმი. ორდენა ვეებერთელა ფინანსიური წყაროები კონდა თავის განკარგულებაში; ბოლოს ის ერთგვარ დიდ ფინანსიურ სახელმწიფოდაც გადაიქცა. ორდენის კატასტროფის დროს მარტო მისი უძველესი ქონება 20—62 მილიონ ფრანკად იყო შეფასებული, ხოლო რენტის, გადასახადების, პროცენტების და სხვ. სახით იგი 2 მილიონ ფრანკს იღებდა წელიწადში,—თანხას, რომელიც ფულის თანამედროვე ღირებულების ანგარიშზე 25 ჯერ მეტს სიდიდეს შეადგენს. ეს მეფურზე უფრო ჭარბი სიმდიდრე, რა თქმა უნდა, არ შეეფერებოდა „ტაძრის ღარიბ ძმობის“ მცნებებს, მით უმეტეს, რომ ამ სიმდიდრის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ხმარდებოდა ორდენის მიერ დასახულ მიზნებს. ორდენი არა თუ მართავდა ნავოსნობას, არამედ მსხვილ კომერციულ საქმეებსაც აწყობდა. თავის ხომალდებზე ის მრავალ ათას მგზავრს ზიდავდა პალესტინაში და პალესტინ დან, ხოლო საკუთარ მოხმარებისათვის საჭირო საქონლის დასავლეთიდან უბაჟოდ შემოტანის პრივილეგია საშვალებას აძლევდა მას შემოსავლიანი სპეკულაცია ეწარმოებინა დიდი მაშტაბით.

როგორც მთავარმა შეამავალმა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის აღებ-

რთული, პაპმა დასწყევლა და დაშალა ორდენი ეითომდა მისი ურწმუნოებისა და უზნეობის გამო. სხვა შემთხვევებში სიუზერენებს მხოლოდ პაპობისაგან განდგომით შეეძლოთ ხელში ჩაეგდოთ ეკლესიის ქონება; საფრანგეთში კი ამაზე თვით პაპმა იზრუნა. საკვირველიც არ არის, რომ საფრანგეთის მეფეები კეთილ კათოლიკეებად და პაპისტებად დარჩენ და გულმოდგინეთ სდევნიდენ ერეტიკოსებს.

საგარეო პოლიტიკაშიაც პაპებს საფრანგეთის მეფეების ნებასურვილი უნდა ესრულებინათ. უკანასკნელნი მუდმივ განსეთქილებაში იმყოფებოდენ ინგლისთან და ცდილობდენ თავისი მიწა წყალი გერმანიის ხარჯზე გაედიდებინათ; ამის გამო ცდილობდენ ჩაეთრიათ პაპები კონფლიქტში ინგლისის მეფეებთან და გერმანიის იმპერატორებთან.

თუმცა, ამისთვის მაინც და მაინც დიდი ღონისძიება არ იყო საჭირო საფრანგეთის მეფეების მხრით. მას შემდეგ, რაც პაპები საფრანგეთის მორჩილნი შეიქნენ, მათ დაჰკარგეს საუკეთესო შემოსავლები, რასაც საფრანგეთიდან იღებდენ. მაგრამ რომიდან გადასახლების შემდეგ საეკლესიო საბელმწიფოსაგან ხვედრი შემოსავალიც უფრო არა საიმედო გახდა, და ხშირად სრულიადაც ისპობოდა. ამავე დროს კი, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებასთან ერთად, პაპის სასახლეში, როგორც იმ დროის სხვა სასახლეებშიაც, მატულობდა ფუფუნება და იზრდებოდა ფულის მოთხოვნილება. რაც უფრო ნაკ-

მიკემობაში, მან უდიდესი მნიშვნელობა მიიღო მთელი ფულის ბრუნვის საქმეში; ორდენის სწრაფად მაეალ და საიმ დო გემებზე პაპები წმიდა ქვეყნისთვის გადადებულ ფულს ეზიდებოდენ და ორდენის სალაროში შეჰქონდათ დიდი თანხები შესანახად და მოსახმარად. ორდენი სხვა ფინანსიურ საქმეებშიაც გახდა შუამავალი ტაძარი, „ტამპლ"-ი, ორდენის მთავარი სახლი პარიზში, პირდაპირ ინტერნაციონალურ ბირჟად გადაიქცა, რომლის საშუალებით ერთმანეთთან კავშირს იკერდენ სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ვაჭრები; ასევე იქცეოდენ თვით ხელმწიფეები: საფრანგეთის მეფეებმა იქ გადაიტანეს თავისი ხაზინა და განკარგულებას იძლეოდენ ფულის მიღება-გაცემის შესახებ.

ცხადია, ორდენი მოყიასისადმი სიყვარულით კი არ ხელმძღვანელობდა ამგვარ საქმეებში და უანგაროთ კი არ მოქმედობდა. ტაძრელთა (ტამპლიერთა) ორდენი,—ეს დიდი სამხედრო ძალა და მსხვილი მიწათმფლობელი, რომელსაც მეტოქე არ ყავდა, ამ გზით ბოლოს და ბოლოს მართლა ძლევამოსილ ფინანსიურ სახელმწიფოდ გადაიქცა. მეფეები მის მფარველობას ეძებდენ და მისი მოვალეები ხდებოდენ; თვით ფილიპე მე-IV-მ „განიცადა ორდენის ასეთი მნიშვნელობა" (H. Prutz, Staatengeschichte des Abendlandes im Mittelalter, Berlin 1887 T. II, S. S. 49, 50). ყველაზე უფრო კრისტიანულ გერმანელ—კრისტიანე, რაინდთა ტაძარი – სავაჭრო ბირჟა! ეს სინამდვილე ბევრად უფრო საყვინე ანტი-სემიტებისათვის, ვიდრე ლესსინგის მიერ შეთხზული ტამპლიერი, რომელიც ებრაელ ნატანს ემეგობრება.

ლებ შემოსავალს იძლეოდა საფრანგეთი და იტალია,—და შემდეგ ესპანეთიც,—მით უფრო მეტი უნდა წაეგლიჯათ პაპებს ჩრდილოეთის ქვეყნებისათვის. ავინიონში გამოიგონეს პაპებმა გერმანულ ეკლესიის ფისკალურ ექსპლოატაციის ის სისტემა, რომელსაც ბოლოს და ბოლოს რომისაგან გერმანიის გათიშვა და რეფორმაცია უნდა გამოეწვია.[1])

მე-XIV საუკუნის პაპებს შეეძლოთ ყველაფერი მოეთხოვათ გერმანიისაგან, რომლის ცენტრალური ხელის უფლება არა ჩვეულებრივად სუსტი იყო. მოთხოვნილებანი, რომლებსაც პაპები ყოველგვარი საბაბით უყურებდენ გერმანიის ეპისკოპოზებს და მონასტრებს დღითი დღე სულ უფრო მძიმე ხდებოდა; ამაეე დროს სულ უფრო უსირცხვილო ხდებოდა პირდაპირი ექსპლოატაციის მეთოდები, მაგალითად, ინდულგენციით ვაჭრობის საშუალებით და ფულის გამოტყუება შეჩვენებისა და ეკლესიიდან გამორიცხვის მუქარით.

„პაპების დაუსრულებელმა მოთხოვნილებებმა,—ამბობს ერთი კეთილი კათოლიკე,—ძვირმა მგზავრობამ რომში, განუწყვეტელმა ომებმა ვალებში ჩაფლეს გერმანიის მონასტერთა უმრავლესობა (მე-XIV და XV საუკუნეებში) და იძულებული გახადეს ისინი კოლოსსალური პროცენტები ეხადათ იტალიელ ბანკირებისათვის. ეს ბანკირები—სიენაში, რომში, ფლორენციაში—პაპის ავტორიტეტით სარგებ-

[1]) ჰანს არუცის ზემოაღნიშნული შრომა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს პაპების ფინანსიურ მეთოდების შესახებ: „პაპის კურიის ფინანსიურმა ხელოვნებამ ძალიან ადრე მიაღწია განვითარების უმაღლეს საფეხურს; ნიხრები და ბაეები ჩამოყალიბებული იყო მშვენიერად მოფიქრებულ სისტემად სასულიერო წოდების მრავალრიცხოვან ხარისხებისა და საქმეთა უსაზღვრო მრავალფეროვანების მიხედვით; ამ სისტემაში არ იყო გამოჩენილი არც ერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც ეძა თუ იმ გადასახადის მიღება იყო შესაძლებელი, თუ ამისთვის რაიმე იურიდიული საფუძველი მოიპოვებოდა.

წინათაც ბევრი ჩივილი ისმოდა ამის გამო, მაგრამ ბოროტებამ ყოველი საზღვარი გადალახა მაშინ, როდესაც პაპებმა დაჰკარგეს ქალაქ რომისაგან და საეკლესიო სახელმწიფოსაგან ხვედრი შემოსავლები და როდესაც ბედნიერების მაძიებელ მრავალრიცხოვან ავანტიურისტთა მოკალათებამ ავინიონში და ხელგაშლილმა ცხოვრებამ მხიარულ პროვანსში შესამჩნევად გაადიდა ფულის მოთხოვნილება. ამგვარ პირობებში კურიის ფინანსიურმა ხელოვნებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, რათა ერთ ადგილას შემოსავლის დაკარგვა ორმაგათ და სამჯაგათ ანაზღაურებული ყოფილიყო სადმე სხვა ადგილას. თავის ზარალს კურია უმთავრესად დიდ შემოსავლიან საეკლესიო თანამდებობებზე ინაზღაურებდა, არა იმდენად უმაღლეს თანამდებობებზე, რამდენადაც მრავალრიცხოვან დაბალ და დამხმარე მოხელეებზე: ნოტარიუსებზე, კანცელიარისტებზე, მწერლებზე და სხვ. მათ ხარბ ხელში უნდა გატარებულიყო ყოველგვარი საბუთები უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ სანამ ეს საბუთები თვით თანამდებობაზე და-

ლობდენ, რათა უფრო ადვილათ ეტყავებინათ გერმანიის ეკლესია. როდესაც ეპისკოპოზი არ მოისურვებდა ფულის დროზე გადახდას, ისინი შოულობდენ პაპის ბრძანებებს და სამსახურიდან დათხოვნის და ეკლესიიდან გამორიცხვის მუქარით აიძულებდენ მათ ჩარჩული პროცენტები გადაეხადათ". Batzinger, Geschichte der kirchlichen Armenpflege, გვ. 304 და შემდეგი.) მაგრამ ესეც არ იკმარეს პაპებმა: იოანნე მე-XXII-მ, კლიმენტი მე-V-ს ერთერთმა მონაცვლემ (1316 წლიდან), გამოაცხადა, რომ საიმპერატორო ხელის უფლება იმპერატორის სიკვდილის შემდეგ ამიერიდან პაპზე გადადის. და მაშასადამე პაპი, საფრანგეთის ყურმოკრილი მონა, გერმანიის სუვერენი ხდება. ამის ატანა იმპერატორისთვის შეუძლებელი იყო, თუ მას სურდა იმპერატორად დარჩენილიყო. ლიუდოვიკ ბავარიელმა მიიღო ეს გამოწვევა—ძალა-უნებურად და გაუბედავად. ამ ახალ შეტაკებას სულ სხვა ხასიათი ქონდა, ვიდრე იმ კონფლიქტს, რომელიც ჰოგენშტაუფენებსა და პაპებს შორის ჩამოვარდა. ეხლა საქმე გერმანიის დამორჩილებასა და ექსპლოატაციას შეეხო და არა იტალიისა საკითხი ისე კი არ იდგა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეკლესიის ბატონი, არამედ—არის თუ არა ეკლესიის სულიერი მამა საერო ხელის უფლების მეთაურიკ. პაპობამ იერიში მიიტანა გერმანიაზე; იმ დროს, როდესაც მონარქიული ხელის უფლება ყველგან იზრდებოდა და ეკ-

ნიშნულ ან მოწვეულ პირამდე მიაღწევდა აბბატად, ეპისკოპოზად თუ არქიეპისკოპოზად დანიშნულ პირს პირველად ყოვლისა დიდი მატერიალური მსხვერპლი უნდა გაეღო, იმ დიდ თანხებზე რომ არაფერი ვთქვათ, რაც სხვადასხვა გაელენიან ინსტანციების მოსაკრთამავად იყო საჭირო ამგვარი დაწინაურების მისაღწევად. ბუნებრივია, რომ ეს პირნი შემდეგ ცდილობდენ გაღებული მსხვერპლის ანაზღაურებას: თავისი ქვემდებარე ინსტანციების მიმართ მათ ისეთივე ნიხრებისა და ქრთამების სისტემა შემოჰქონდათ, როგორიც თვით მათ მიმართ იყო გამოყენებული ამას წინათ. ამ რიგად ეს ჯაჭვი გრძელდებოდა სულ ქვედა საეეხურამდე: ქვემოთ მდგომთ არა თუ უნდა აეანაზღაურებინათ ზემოთ მდგომთ სასარგებლოთ გადახდილი თანხები, არამედ შესაფერი მოგებაც გამოეღოთ ამ საქმიდან. დიდი ადგილი ეჭირა კურიის ბიუჯეტში საკონფირმაციო საფასურს, ე. ი. გადასახადს, რომელსაც საეკლესიო თანამდებობაზე შემდგარ პირს უნდა მოეხადა პაპის მიერ მისი დანიშვნის დამტკიცებისათვის. მე-XIII საუკუნის დამლევში ეს გადასახადი Brixen-ის ეპისკოპოზობისათვის 4,000 ოქროს გულდენს შეადგენდა, თუ პაპის მოხელეებისათვის გადასადელი 200 ოქროს გულდენის მაღარიჩს არ ჩავთვლით. შემდეგ ნიხრები კიდევ უფრო გადიდდა: მაინცის, ტრირის და ზალცბურგის არქიეპისკოპოზობისათვის საფასური 10.000 ოქროს გულდენს შეადგენდა თითოზე, რეანის არქიეპისკოპოზობისთვის—12.000 ოქრ. გულდენ. ლანგრ-ს ეპისკოპოზობა 9.000 ოქრ. გულდენად იყო შეფასებული, კამბრის—6.000, ტულუზის და სევილიის—5.000-ად. თვითეული, და ისეთი ღარიბი საეპისკოპოზოსთვის, როგორიც მინდენი იყო, 500 ოქროკ გულდენი იყო გადასახდელი. ამგვა-

ლესიის დამორჩილებას იწყებდა, გერმანიის იმპერატორებს თავისი დამოუკიდებლობისათვის უნდა ებრძოლათ პაპების წინააღმდეგ.

ამ ბრძოლასთან პარალელურად სხვა ბრძოლაც იშლებოდა. საიმპერიო თავადებმა სუბერენულ ხელმწიფეებად იწყეს გადაქცევა და იმპერატორის ძალა-უფლების შესუსტებას (ადილობდენ წინააღმდეგ ამისა ის ელემენტები, რომლისთვისაც თავადების გაძლიერებას საშიშროება მოჰქონდა, პირველად ყოვლისა თავისუფალი ქალაქები, იმპერატორის ხელის უფლებას თავის საუკეთესო მოკავშირედ სთვლიდენ. უმაღლეს თავად-აზნაურობას კი, პირიქით, მეტწილად პაპების ბაარე ეჭირა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პაპები ზოგჯერ ისეთ ზეიადობას იჩენდენ, რომ თვით თავადებიც ხშირად მათ წინააღმდეგ ილაშქრებდენ. მაგრამ საერთოდ იმპერატორი მათ თავის უახლოეს მოწინააღმდეგეთ მიაჩნდათ და ამიტომ ხელს უწყობდენ პაპების მისწრაფებას იმპერატორის შესუსტებისა და დამცირებისაკენ.

პაპმა თავის უმკვეთრეს იარაღს მიმართა იმპერატორის წინააღმდეგ: მან შეაჩვენა და ეკლესიიდან გამორიცხა იმპერატორი. მაგრამ ქალაქებს ასეთი ზომები სასაცილოდ არ ყოფნიდათ. „იმ დროს ერის კაცები ზიზღით უყურებდენ სამღვდელოებას; ებრაელებს უფრო პატივს სცემდენ, ვიდრე სამღვდელოებას“-ო, მოგვითხრობს იმ დროის ერთი მემატიანე ლ. კ ე ლ ლ ე რ ი ჩვენ მიერ არა ერთხელ ხსენებულ წიგნში რეფორმის უძველეს პარტიების შესახებ (გვ. 114) ნათლად გვიხატავს ქალაქთა დამოკიდებულებას პაპებთან: „ამ ბრძოლაში ყველაზე წინ ქალაქი სტრასბურგი იდგა; მან ქალაქიდან განრიგე წესით განსაზღვრული იყო ნიხრები სხვადასხვა სააბბატოს მიღებისათვის უკანასკნელთა სიმდიდრის მიხედვით. იოანნე მე-XXII-ს ბედნიერი იდეა დაებადა: მან პაპის რეზერვებში ჩარიცხა ყველა ის სასულიერო თანამდებობანი, რომელნიც თავისუფლდებოდენ მათ მფლობელთა უფრო მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის გამო; ამ თანამდებობებზე თვით პაპი იწინაედა ამა თუ იმ პირებს უშუალოდ. ამგვარად შესაძლებელი გაბდა ერთ და იმავე დროს რამოდენიმე პირის დანიშვნა მთელ რიგ თანამდებობებზე, რის გამო საკონფირმაციო საფასური კურიის ერთ-ერთ უდიდეს და საიმედო შემოსავლის წყაროდ გადაიქცა. ამასთან დაკავშირებით უზომოთ გაიზარდა მეორე გვარი შემოსავალი. ა ნ ნ ა ტ ე ბ ი,—ეს იყო პირველი წლის —შემოსავალი, რომელიც ყოველ ახლად დანიშნულ ეპისკოპოზს უნდა გადაეცა კურიისათვის. შემდეგ ამას მოემატა ე. წ. fructus medii temporis („შუა ხნის შემოსავლები“): სანამ საეკლესიო თანამდებობა დაკერილი არ იყო, მრევლის შემოსავალი ერგებოდა კურიას, რომელსაც, დანიშვნის დაგვიანებით. აქაც შეეძლო თავისი შემოსავლების გადიდება. კურია სარგებლობდა აგრეთვე ს პ ო ლ ი ა ც ი ი ს უფლებით, რომლის ძალით გარდაცვლილ ეპისკოპოზის მოძრავი ქონება კურიის საკუთრებაში გადადიოდა. განსაკუთრებით შემოსავლიან საქმეს წარმოადგენდა კ ო მ მ ე ნ დ ი,—მრევლის მიღების უფლების გადაცემა ისეთი პირისათვის, რომელ—

დევნა ღვდლები, რომლებმაც პაპის ბრძანების თანახმად წირვა ლოცვა შესწყვიტეს. ქალაქი ციურიხი უკვე 1331 წლიდან ვერ ითმენდა თავის ფარგლებში პაპის მოხელეებს. კონსტანცაში მაგისტრატმა მოსთხოვა თავის სამღვდელოებას, რომ ის კვლავ შესდგომოდა თავისი მოვალეობის შესრულებას და ვადა დაუნიშნა ამ წინადადების მოჟიქრებისათვის. როდესაც ვადა გათავდა (1339 წლის 6 იანვარს), ყველას, ვინც უარი სთქვა სამსახურზე, წინადადება მიეცა ქალაქი დაეტოვებინათ. რეიტლინგენში საბჭომ აცნობა ხალხს, რომ არც ერთ მოქალაქეს არ აქვს უფლება მიიღოს თავის სახლში ღვდელი, რომელიც პაპს ემორჩილება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმებული იქნება თუთხმეტი გირვანქით. რეგენსბურგში საქალაქო ხელის უფლებამ შიმშილით აიძულა მღვდლები ღვთის მსახურება ესრულებინათ.

ნიურნბერგში, სადაც ქალაქის ოლიგარხები ერთ დროს რომის სამღვდელოების მოკავშირენი იყვნენ, ამქრებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ასეთ წესყობილებას—და ეს ბრძოლა პატრიციატის და სამღვდელოების დამარცხებით გათავდა. და დასრულდა თუ არა ეს ბრძოლა, ნიურნბერგი განდევნილი იმპერატორის მხარეზე დადგა. საზოგადოთ აღსანიშნავია, რომ გერმანიის ყველა ქალაქი, რომელშიაც მართვა-გამგეობა პატრიციატს არ ეკუთვნოდა, აშკარად რომის მოწინააღმდეგე და ლიუდოვიკის ერთგული მოკავშირე იყო."

ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ბეგჰარდთა ერესი გაძლიერდა განვითარდა. მთელს გერმანიაში პაპის წინააღმდეგ ბრძოლის ყიჟინა ისმოდა და იმპერატორის მომხრეებისა და მოქალაქეებისათვის ყოველგვარი დახმარება სასურველი იყო.

„იმპერატორ ლიუდოვიკის მიერ სხეზმატიკოსების დანიშვნამ უმაღლეს საპატიო თანამდებობაზე.—ამბობს ერთი ფრანციისკანელი მემატიანე, რომლის სიტყვები მოსჰეიმს მოყავს თავის წიგნში,— და

საც არა სრულწლოვანების გამო ჯერ არ ჰქონდა მრევლის მიღების უფლება; აგრეთვე ხელსაყრელი იყო ექსპექტანციის დარიგება, ე. ი. დაპირება ისეთი ადგილის, რომელიც ჯერჯერობით თავისუფალი არ არის. ყოველივე ამას ენდა დაერთოს შემოსავლები შეერთებისა და შემატებისაგან ე. ი. ნებართვებისაგან რამოდენიმე მრევლის ერთი პირის ხელში გაერთიანებისათვის და, დასასრულ, ფართო ვაჭრობა ინდულგენციებით და ათასნაირი სახის შენდობით, რომელთაც დაწერილებითი ნიხრი იყო შემუშავებული.

„ამ ფინანსიური სისტემის საშუალებით კურია საზღვაპრო თანხებს იღებდა წარჩინებულ სასულიერო პირთაგან, უკანასკნელნი კი ამ ფულს და საკუთარ მოგებას უმკროს მოსამსახურეებს ართმევდენ, სანამ ბოლოს მთელი ეს საგადასახადო ტვირთი ემუეო წვრილ ხალხს არ დააწვებოდა".

(loc cit., II ტ. გვ. 330 და შემდეგი).

მათმა უპასუხისმგებლობამ ბოროტმოქმედებებში გააძლიერა ყველა ორდენების წევრთა თავხედობა და ჯიუტობა; სულ მცირე საბაბით ეთიშებოდენ და კათოლიკური საქმის საზიანოდ ამრავლებდენ „ძმათა“ (იგივეა, რაც ბეგჰარდთა სექტებს, რომელნიც უსირცხვილოდ გამოდიოდენ თავისი ჯურღმულებიდან და ხმამაღლა იწონებდენ პეტრე კორბარიუსის (უკანასკნელი ლიუდოვიკმა კონტრ—პაპად დანიშნა ნიკოლოზ მე-V-ს სახელით) და ლიუდოვიკის მოქმედებას.“ [1])

გერმანიაში შეხიზნული უცხოელი ერეტიკოსებიც სარგებლობდენ ლიუდოვიკის მფარველობით. 1324 წლის ერთ ბულლაში იოანნე მე XXII იმპერატორს ერეტიკოსთა დამცველად და მფარველად აცხადებს—განსაკუთრებით, ლ ო მ ბ ა რ დ ი ე ლ ერეტიკოსების მფარველად, რომლებშიაც, რა თქმა უნდა, ვალდენელნი ან ძმანი—მოციქულნი უნდა იგულისხმებოდეს.

იმპერატორი ლიუდოვიკი ცდილობდა კომუნისტური იდეებიც კი გამოეყენებინა თავის სასარგებლოთ, მართალია, არა ბერგჰარდულ, არამედ უფრო უშიშარ ფრანცისკანული ფორმით. ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ იმ ბრძოლას, რომელიც ფრანცისკანელთა ორდენში გაჩნდა საკითხზე: აქვს თუ არა ორდენს საკუთრების შეძენის უფლება. მას შემდეგ, რაც ინნოკენტი მე-IV-მ (1245 წ.) მხარი დაუჭირა საკუთრების მოსურნე ფრაქციას, ფრანცისკანელთა უფრო მკაცრი მიმართულება სულ უფრო მტრულ დამოკიდებულებაში დგებოდა პაპობასთან. კონფლიქტი პაპსა და მკაცრ ფრანცისკანელთა (სპირიტუალებს ანუ ფრატიჩელლებს) შორის განსაკუთრებით მწვავე მაშინ შეიქნა, როდესაც იოანე მე-XXII-მ, ლიუდოვიკის მოწინააღმდეგემ, ერეტიკულად გამოაცხადა (1322 წ.) მათი მოძღვრება იმის შესახებ, რომ ქრისტეს და მას მოციქულებს არავითარი საკუთრება არ ქონდათ; თუმცა, იოანნემ ჯერ კიდევ 1317 წელს გამოიწვია ინკვიზიცია შეურიგებელ ფრანცისკანელთა წინააღმდეგ. 1328 წელს იოანნემ თანამდებობა ჩამოართვა თვით ორდენის გენერალს მიხეილ დეკაზენს, რომელმაც შეურიგებელი მიმართულების მხარე დაიჭირა. უკანასკნელი აშკარად მიემხრო ლიუდოვიკს; მკაცრი ფრანცისკანელნი ლიუდოვიკის საქმის ყველაზე უფრო გაბედულ და გულმოდგინე აგიტატორები გახდენ; მათი წრიდან წამოაყენა ლიუდოვიკმა თავისი კონტრ—პაპი, უკვე ხსენებული ნიკოლოზ მე-V; 1328 წელს ლიუდოვიკმა რომაელებიც აიძულა ეს პაპი აერჩიათ. მაგრამ 1330 წელს ნიკოლოზი პაპს დაემორჩილა; მან მონანიებით უარჰყო ყველა თავისი „შეცდომები“.

[1]) Mosheim, De Beghardis, გვ. 320.

უკვე ეს ბედი იმპერატორის კრეატურისა საკმაოთ მეტყველებდა იმაზე, თუ რით უნდა დამთავრებულიყო ეს კონფლიქტი იმპერატორისა და პაპს შორის. დამარცხდა იმპერატორი.

III. კათოლიკური რეაქცია კარლოს IV-ის დროს.

პაპმა კლიმენტი VI, იანნე XXII-ის მეორე მონაცვლემ, გერმანიის საიმპერატორო ტახტისათვის მონახა კანდიდატი, უეჭველად ერთგული პაპის და საფრანგეთისა. ეს იყო კარლოსი, მეფე იოანნე ბოჰემიელის ვაჟი.

გერმანიის იმპერატორთა სისუსტის შედეგი იყო არა მარტო ის მოვლენა, რომ იმპერიის თავადები თანდათან სუვერენულ ხელმწიფეებად გადაიქცენ, არამედ ისიც. რომ იმპერიის მოსაზღვრე ქვეყნებმა, შვეიცარიამ და ნიდერლანდმა, დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ბოჰემიაც თანდათან ეთიშებოდა იმპერიას. თავის ანტაგონიზმში საიმპერიო ხელის უფლებასთან ბოჰემიის მეფეები საფრანგეთში ეძებდენ დასაყრდნობ ძალას. იოანნე ბოჰემიელი,—წარმოშობით ლიუქსენბურგელი,—დაუნათესავდა კარლოს IV ფრანგს, რომელმაც იოანნეს და შეირთო ცოლად.იოანნეს ვაჟი, ვენცელი, საფრანგეთის სამეფოს კართან აღიზარდა; იქ სახელი ვენცელი არ მოსწონდათ; ამიტომ კონფირმაციის დროს მან კარლოსი იწოდა და ეს სახელი მას ბოლომდის შერჩა. აღზრდა და დინასტიური ინტერესები მას უსათუოდ პაპისა და საფრანგეთის ერთგულ მოკავშირედ ხდიდა.

როდესაც კარლოსმა თანხმობა განაცხადა საიმპერატორო გვირგვინის მიღებაზე, კლიმენტმა მეფე ლიუდოვიკი გადაყენებულად გამოაცხადა და მოითხოვა, რომ გერმანელებს ახალი იმპერატორი ამოერჩიათ. ეკლესიის დახმარებით და ფულიან ქისების საშუალებით, კარლოსმა გამონახა ოთხი კურფიურსტი, რომლებმაც იგი მეფედ აირჩიეს (1346 წ.). გამარჯვება მას უფრო ადვილად ხედა, ვიდრე თვითონ მოელოდა: ლიუდოვიკ ბავარიელი გარდაიცვალა უფრო ადრე, ვიდრე საქმე სერიოზულ ბრძოლამდე მივიდოდა ორ იმპერატორს შორის.

კარლოსი გრძნობის პოლიტიკოსი არ იყო. საფრანგეთში და ესპანეთში მას საფუძვლიანად ქონდა შესწავლილი სახელმწიფო მართველობის ხელოვნება. ამიტომ მან ძალიან კარგად იცოდა, რომ იმპერატორთა დიდების დღენი დიდი ხანია განვლილი იყო და რომ მისი ძლიერების საფუძველი იმპერატორის ტახტი კი არ არის, არამედ მემკვიდრეობითი მიწა-წყალი. ბოჰემია მისი მთავარი საზრუნავი

საგანი იყო. კარლოსი ცდილობდა იმდენი სარგებლობა გამოეღო საიმპერატორო გვირგვინიდან, რამდენიც შესაძლებელი იყო, მაგრამ მისი გულისთვის არც ბრძოლას, არც რაიმე ნსხვერპლის გაღებას არ ფიქრობდა. მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ იმპერატორთა მნიშვნელობა, რამდენადაც მათ ჯერ კიდევ დარჩენოდათ რაიმე მნიშვნელობა, მჭიდროდ დაკავშირებულია კათოლიკური ეკლესიის მნიშვნელობასთან; იმპერატორს და პაპს ერთად უნდა ეარათ, ხელი-ხელ ჩაკიდებული. ასეთ პოლიტიკას ხელს უწყობდა კარლოსის პირადი დამოკიდებულებანი და სიმპატიები.

ამგვარად კარლოსი გადაიქცა „ხუცურ" იმპერატორად, როგორც ეს იტალიელები უწოდებდენ, და პაპის ინტერესთა გულმოდგინე დაცველად, რამდენადაც ეს ინტერესები მის მდგომარეობას არ ეწინააღმდეგებოდა. ასეთი მდგომარეობა ყველაზე უფრო საზიანო შეიქნა, რა თქმა უნდა, დემოკრატიულ და კომუნისტურ ერესებისათვის. ლიუდოვიკის დროს ბეგჰარდთა დევნა გერმანიაში თითქმის სავსებით შეწყდა ან, ყოველ შემთხვევაში სერიოზულ შედეგებს არ იწვევდა. ეხლა კი ბეგჰარდებს უმკაცრესი დევნის ხანა დაუდგა.

უკვე 1348 წელს არის მოხსენებული ერეტიკოსთა დევნა. მაგრამ მთელის ძალით რეაქცია XIV საუკუნის უკანასკნელ მესამედში მძვინვარებდა, როდესაც ერესების გავრცელებამ ინგლისში არაჩვეულებრივად გააბოროტა რომის ეკლესია. ერთი მეორეს მოსდევდა კარლოსის დეკრეტები ბეგჰარდთა წინააღმდეგ; ყველაზე უფრო საშინელი დეკრეტი გამოცემულ იქნა ლუკაში 1369 წ. 10 ივნისს; იგი საგანგებო უფლებებს ახიკებდა ინკვიზიტორებს.

ჯერ კიდევ 1367 წ. პაპმა ურბან მე-V-ემ გერმანიაში ორი ინკვიზიტორი გაგზავნა; მაგრამ იმათ იმდენი სამუშაო აღმოუჩნდათ, რომ შემდეგმა პაპმა, გრიგოლ მე-IX-ემ ხუთი ახალი ინკვიზიტორის გაგზავნა ჩათვალა საჭიროდ მათდა დასახმარებლად (1372 წ). ყოველ ნაბიჯზე კოცონები ენთო; ასობით წვავდენ ერეტიკოსებს.

ბოლოს, 1394 წ. 30 იანვარს ბონიფაცი მე-IX-ემ გამოსცა ედიქტი, რომელშიაც, იმპერატორ კარლოს მე-IV-ის ბრძანებათა თანახმად, გაერთიანებულ იქნა ყველა ძველი და ახალი დადგენილებანი, რაც კი გამოცემულა ერეტიკოსთა წინააღმდეგ. ედიქტში მოყვანილია გერმანელ ინკვიზიტორთა აზრები გერმანელ ერეტიკოსების შესახებ, რომელთაც ხალხმა „ბეგჰარდები", „ლოლლარდები" და „შვესტრიონები" უწოდა სახელად, და რომელნიც თავის თავს „ლატაკებს" და „ძმებს" უწოდებდენ. ბონიფაცი ედიქტში სჩივის, რომ ას წელიწადზე მეტია რაც ერესები არ გამოლეულა მიუხედა-

ვად იმისა, რომ კოცონები უხვად ჩაღდებოდა. ეხლა კი დროა ბოლო მოეღოს ცრუ-მოძღვრებებსო. და, აი, 1395 წელს ინკვიზიტორ პეტრე პილიხდორფმა ზეიმით გამოაცხადა, რომ ცრუ-მოძღვრებანი, ბოლოს არის, აღმოფხვრილია მიუხედავათ ამისა 1399 წელს ბონიფაციმ საჭიროდ სცნო გაედიდებინა ინკვიზიტორთა რიცხვი ექვსი ახალი კაცით.

სექტა მუდამ პოულობდა არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ნაყოფიერ ნიადაგს და სულ ახალ და ახალ მიმდევრებს იკრებდა. მაგრამ დაუნდობელი დევნა კვლავ და კვლავ აუძლურებდა მას.

დამოუკიდებელი ბეგჰარდები, რომელნიც აშკარად აღიარებდენ თავის შეხედულებებს, სრულიად გაჰქრენ. ჩვენ დავინახეთ, რომ უკვე პირველმა დევნამ მე-XIII საუკუნეში ზომიერ ბეგჰარდთა თვალსაჩინო ნაწილი მათხოვარ-ბერთა ორდენებთან დაახლოვა. ეხლა ეს პროცესი უკვე დამთავრდა. ბეგჰარდთა დამოუკიდებელი სახლები გაჰქრა. ისინი გადაიქცენ მონასტრებად, რომლებიც ნაწილობრივ მათხოვარ-ბერთა, მეტ წილად, ფრანკისკანელთა საკუთრებაში გადავიდა, ნაწილობრივ კი ძველი სახელწოდება შეინარჩუნა, მაგრამ ფაქტიურად ბერობის ნიადაგზე დადგა. პაპმა ნიკოლოზ მე V-ემ ბოლოს და ბოლოს (1453 წ.) ოფიციალურად მიიღო ეს სახლები ეკლესიის წიაღში და ტერციარიების უფლებები უბოძა მათ.

მაგრამ შეუძლებელი გახდა საიდუმლო თემების სრული მოსპობა ან მათი დამორჩილება. მაგრამ მთელი მათი გმირობა და თავდადება ასი წლის განმავლობაში ხოლოდ წამებულთა დაუბოლოებელ რიგს იძლეოდა; სხვა შედეგის მიღწევა შეუძლებელი იყო

კომუნისტურ ოპოზიციას, როგორც ერეტიკული ოპოზიციის ყოველ სხვა სახეს, მხოლოდ მაშინ შეეძლო კვლავ თავის ამაღლება გერმანიაში, როდესაც ახალი დიდი კონფლიქტი მოხდებოდა საერო ხელის უფლებასა და პაპებს შორის და როდესაც იმპერიის თავადები იმდენად გაძლიერდენ, რომ ბრძოლა დაიწყეს იმპერატორთან და ეკლესიასთან ერთ და იმავე დროს.

ლიუდოვიკ მე-IV სიკვდილის შემდეგ გერმანიის დიდი რეფორმაციის ხანამდე ერესებმა მხოლოდ ორი თავისუფალი სარბიელი იპოვეს ევროპაში: უწინარეს ყოველისა ინგლისი და შემდეგ—საკვირველი მოვლენა—ბოჰემია, სწორეთ ის ქვეყანა, რომლის ხელმწიფემ ჩაუყარა საძირკველი კათოლიკურ რეაქციას გერმანიაში.

თავი მეოთხე

ლოლარდები ინგლისში.

1. ვიკლეფი.

გერმანიის იმპერიის შემდეგ ავინიონის პაპებმა ინგლისს მიმართეს თავისი ექსპლოატატორული ზრახვები.

იყო დრო, როდესაც არც ერთი ქვეყანა არ იჩენდა ისეთ ერთგულებას წმიდა მ.მისადმი და არც ერთი ქვეყანა ისე .პასსიურად არ ემორჩილებოდა მის ექსპლოატაციას, როგორც ინგლისი. მე-XIII საუკუნის დასაწყისისთვის ინგლისის სამეფო სავსებით დამოკიდებული გახდა პაპის ხელის უფლებაზე. იოანნე უმიწაწყლო 1213 წ. იძულებული იყო მეფის გვირგვინი მიეღო, როგორც წმ. პეტრეს ლენი და ვალდებულად გაიხადა თავი 1.000 გირვ. ვერცხლი ეძლია პაპისთვის ყოველ წლიურად, როგორც საზღაური ლენურ მფლობელობისათვის. ამ დროიდან ინგლისის ექსპლოატაცია პაპის მიერ სულ იზრდებოდა. ჯერ ედუარდ მე-III დროს (XIV საუკ.) პარლამენტი სჩიოდა, რომ პაპს ხუთჯერ მეტი ხარკი ეძლევა, ვიდრე მეფეს [1]).

მაგრამ, როგორც სხვა სახელმწიფოებშიაც, ინგლისის ცენტრალური ხელის უფლება მე-XIV საუკუნეში საკმარისად ძლიერი გახდა იმისთვის, რომ არა თუ წარმატებით ებრძოლა პაპობის წინააღმდეგ, არამედ მიზნად დაესახა ბატონობისა და ექსპლოატაციის საეკლესიო ორგანიზაციის დამორჩილება.

ჩვენ ვამბობთ—„ცენტრალური სახელმწიფოებრივი ხელის უფლება“ და არა „მონარ]ია“, ვინაიდან ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში მეფეთა ხელის უფლებასთან ერთად იზრდებოდა წოდებათა წარმომადგენლობა, სახელმწიფოებრივი წოდებანი (შტატები), რომელნიც ცოტა თუ ბევრად მეფეთა ხელის უფლებას ზღუდავდენ. ძალთა შეთანასწორება, ერთის მხრით, წოდებათა და; მეორეს მხრით, მეფეთა შორის დიდ ცვალებადობას განიცდიდა სხვადასხვა დროის

---

[1]) W. Cunningham, The growth of English Industry and Commerce. Cambridge 1890, I, გვ. 253 (არის რუს. თარგმანი: У. Кеннингэм, Рост английской промышленности и торговли, Москва 1900).

და ადგილის პირობებში. ჩვენ ვხედებით სახელმწიფოებრივ წოდებებს, რომელნიც უხმოდ ადასტურებენ მეფეთა ნება-სურვილს, და მეფეებს, რომელნიც პასსიური იარაღს წარმოადგენდენ წოდებრივ წარმომადგენლობის ხელში. მაგრამ როგორიც არ უნდა ყოფილიყო ცენტრალურ სახელმწიფოებრივი ხელის უფლების ამ ორი ელემენტის, მეფის და წოდებათა, ურთიერთ დამოკიდებულება, ცენტრალური ხელის უფლება იმ ხანაში თანდათან უფრო ძლიერი ხდებოდა, ვიდრე ცალკე ტერიტორიები, სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილები; გამონაკლისს მხოლოდ გერმინია წარმოადგენდა.

მე-XIV საუკუნეში ინგლისის მეფე და პარლამენტი საკმაოდ ძლიერი იყვნენ, რომ პაპის თავგასულობა მოეგერიებინათ. ამავე დროს პაპების პრეტენზიები სულ უფრო უსაზღვრო ხდებოდა. კონფლიქტი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის აუცილებელი იყო.

ანტაგონიზმი ამ ორ ძალას შორის კიდევ უფრო გამწვავდა ინგლის-საფრანგეთის ომის დროს, რომელიც საუკუნეზე მეტი ხანი გაგრძელდა (1339—1456).

ამ ომის საბაბი დინასტიური დავა იყო მემკვიდრეობის შესახებ. მაგრამ მისი მიზეზები უფრო ღრმა იყო, იგი ეროვნულ ომად გადაიქცა, ე. ი. ისეთ ომად, რომელშიაც ერების გაბატონებული კლასსები არიან დაინტერესებულნი.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ იზრდებოდა თავად-აზნაურობაში მე-XIII და მე-XIV საუკუნეების განმავლობაში .მტაცებლური მისწრაფებანი. საქონლის წარმოებისა და აღებ-მიცემის გინვითარებამ თავად-აზნაურობაშიაც წარმოშვა ისეთი მოთხოვნილებანი, რომლის დაკმაყოფილება საზნაურო და საგლეხო ნატურალური მეურნეობით შეუძლებელი იყო. ამიტომ თავად-აზნაურობა ცდილობს თავისი განსაკუთრებული ცოდნა და ნიჭი გამოიყენოს ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ აზნაურთა ცოდნა ჩხუბის ფარგლებს არ სცილდებოდა და მისი გამოყენება მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა: აზნაურს, დამოუკიდებლად ან სხვის ხარჯზე, უნდა ებრძოლა ძლიერ პირთა უფლების, ე. ი. ნადავლის დასაცავად და მოსაპოებლად.

გერმანიაში არ არსებობდა იმდენად ძლიერი ცენტრალური ხელის უფლება, რომ რაინდთა ავაზაკური მისწრაფებანი მას უცხო ქვეყნებთან ომებზე მიემართა; ამიტომ, როდესაც გათავდა ჯვაროსნული და იტალიის ლაშქრობა, რაც არსებითად ავაზაკურ ლაშქრობას წარმოადგენდა, რაინდები საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა და გლეხთა წინააღმდეგ აბხედრდენ და, თუ ეს მათთვის საკმარისი არ

იყო, ერთმანეთის ჭამას იწყებდენ, როგორც მშიერი მგლები. მოქალაქეებსა და თავად-აზნაურთა შორის გააფთრებული მტორობა ჩამოვარდა.

სხვა მდგომარეობა შეიქმნა ინგლისში. ცენტრალური ხელისუფლება იქ იმდენად ძლიერი იყო, რომ მეხობელ საფრანგეთთან ომის დაწყებას ბედავდა. და, წინააღმდეგ საფრანგეთისა, ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესები იმ დროს თავად-აზნაურთა ინტეოესებს ეთანხმებოდა. იმ დროს—და უფრო გვიანაც—ინგლისის თავად-აზნაურობას და მოქალაქეებს გაცილებით მეტი საერთო ინტერესები ქონდათ, ვიდრე იმავე წოდებებს გერმანიაში.

ინგლისში ორივე ეს წოდება დაინტერესებული იყო ნიდერლანდთან ვაჭრობაში. ნიდერლანდის ფართოდ განვითარებული მატყლის მრეწველობა, როგორც ვიცით, ნედლ მასალას უმთავრესად ინგლისიდან იღებდა. ამ მრეწველობის აყვავებით ინგლისის მიწათმლობელნი, რომელნიც მეცხვარეობას მისდევდენ, იმდენადვე იყვნენ დაინტერესებულნი, რამდენადაც ვაჭრები,—ეს შუამავალნი მატყლით ვაჭრობაში,—და რამდენადაც თვით მეფე, რომელიც მატყლის საექსპორტო ბაჟებიდან თავისი შემოსავლის უდიდეს ნაწილს იღებდა.

უკვე 1279 წ. ბარონები აღნიშნავდენ ედუარდ I-სადმი წარდგენილ პეტიციაში, რომ მატყლის შემოსავალი მათი ადგილ-მამულის ყოველწლიური შემოსავლის ნახევარს შეადგენს. უძველესი ცნობები ინგლისის შესახებ 1354 წელს ეკუთვნის. ექსპორტის საერთო ღირებულება ამ დროს შეადგენდა 213.338 გრ. სტერლ., კერძოთ მატყლის ექსპორტის საერთო ღირებულება კი 196.062 გრ. სტერლ.. საექსპორტო ბაჟების საერთო ჯამი შეადგენდა 81.896 გრ. სტერლ. ეს ბაჟი თითქმის სავსებით მატყლის გატანისაგან შემოდიოდა; დანარჩენ გატანილ პროდუქტებიდან მხოლოდ 220 გრ. სტერლ. შემოსულა (g. Craik, The History of British Commerce ლონდონი 1844, I გვ. 144,148).

მაგრამ ნიდერლანდის ქალაქთა—ინგლისის მატყლის მყიდველთა—აყვავებას საფრანგეთი ემუქრებოდა. მათი სიმდიდრე მოსვენებას არ აძლევდა საფრანგეთის მეფეებს და რაინდებს. მე-XIII საუკუნეში ისინი თავს დაესხენ მდიდარ ქ. ლანგედოკს ვითომდა იმისთვის, რომ სარწმუნოება უნდა დაეცვათ, ხოლო მე-XIV საუკუნეში ფლანდრიაში დაიწყეს დავლის ძებნა. ამ საშიშროების წინაშე ფლანდრიის ქალაქები ინგლისში ეძებდენ ძლიერ მოკავშირეს და არა გერმანიის იმპერიაში.

მაგრამ ეს ერთად-ერთი მიზეზი არ იყო საფრანგეთ-ინგლისის

ურთიერთ ანტაგონიზმისა. ინგლისის რაინდობა მტაცებლობაში საფრანგეთის რაინდობას როდი ჩამოუვარდებოდა. და თუ საფრანგეთის რაინდობა ნიდერლანდის სიმდიდრეს შესცქეროდა შურის თვალით ინგლის რაინდობას არა ნაკლებ იზიდავდა თვით საფრანგეთის სიმდიდრე, რომელიც ეკონომიურად ინგლისზე უფრო განვითარებული იყო. იმ ეპოქაში (შედარებით) ბარბაროსული ქვეყნები მუდამ იმისკენ მიისწრაფოდენ რომ მათზე უფრო მდიდარი, ეკონომიურად დაწინაურებული ქვეყნები ეძარცვათ: ერთ და იმავე დროს ფრანგები ძარცვავდენ ნიდერლანდს, ინგლისელები საფრანგეთს და შოტლანდიელნი ინგლისს. და როგორც ნიდერლანდელნი კავშირს იქერდენ ინგლისთან, ისე შოტლანდიელნი ფრანგებს ეკავშირებოდენ. მაგრამ გამარჯვება ამ ბრძოლაში, და გამარჯვებასთან ერთად უზომო ნადავლიც, მეტ წილად ინგლისელებს ხვდებოდა.

ერთი ინგლისელი მემატიანე მოგვითხრობს, რომ კრესსისთან მომხდარ ბრძოლის შემდეგ ინგლისელებმა ისე გაძარცვეს ჩრდილოეთ საფრანგეთის დაპყრობილი პროვინციები, რომ ნაძარცვმა სიმდიდრემ სრულიად შესცვალა ინგლისელთა ყოფა-ცხოვრება და ზნე ჩვეულებაო.

რაინდობა ამგვარ ლაშქრობით ბევრს იძენდა; მაგრამ მას ყოველთვის ძარცვა უფრო ემარჯვებოდა, ვიდრე შენახვა. ბურჟუაზიამ კარგათ იცოდა, თუ როგორ უნდოდა ნაძარცვი განძეულობის გამოტყუება რაინდებისაგან და ბოლოს და ბოლოს ეს სიმდიდრე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას ემსახურებოდა.

ომის სიმძიმე უმთავრესად გლეხობას აწვებოდა. მაგრამ გლეხობაც ნახულობდა ერთგვარ სარგებლობას ომებში. გლეხებიც, როგორც სენიორები, დაინტერესებული იყვნენ ნიდერლანდთან მატყლით ვაჭრობის ნორმალურ განვითარებაში. გლეხთა ვაჟებს, რომელთაც შინ სამუშაო არ გააჩნდათ, ომი კარგ ჯამაგირს და კარგ საშოვარს აძლევდა. მაგრამ ომი სხვა მხრივაც იყო სასარგებლო გლეხობისათვის: იგი ზედმეტად ხდიდა რაინდებისათვის ძალმომრეობას საკუთარ ქვეყანაში, ისეთ ძალმომრეობას, როგორსაც გერმანიის და — კიდევ უფრო — საფრანგეთის რაინდობა იჩენდა ყოველი მათი დამარცხების შემდეგ.

საკვირველი არ არის, რომ ომი საფრანგეთთან ინგლისისათვის ეროვნულ საქმედ გადაიქცა, რომელშიაც მთელი ერი იყო დაინტერესებული უშუალოდ.

ამის შემდეგ გასაგებია, თუ რა მწვავე ფორმა უნდა მიეღო ანტაგონიზმს პაპობასა და ინგლისს შორის უკვე მე-XIV საუკუნეში:

პაპი ხომ ინგლისის მტრის, საფრანგეთის, მოკავშირე და იარაღი-იყო; პაპის მხარეზე დადგომა ღალატი იყო ქვეყნის წინაშე; პაპთან ბრძოლა--უდიდესი პატრიოტიზმი.

ამ სულიერმა განწყობილებამ გამოიწვია არა მარტო ის, რომ პარლამენტი, რაც დრო მიდიოდა, სულ უფრო ჰკვეცავდა პაპისათვის გადასაცემ თანხებს (სხვათა შორის 1366 წ. გაუქმებულ იქნა 1.000 გრ. სტერლ. სალენო ხარკი, რომელსაც ინგლისის მეფე იოანნეს-დროიდან უხდიდა პაპებს), არამედ აგრეთვე ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა პაპის უზენაესი ხელის უფლების სრულიად გაუქმების მოთხოვნილებისათვის. ის ერეტიკული მოძრაობა, რომელიც ასე სასტიკად დამარცხდა საფრანგეთში და იტალიაში, ხოლო გერმანიაში კარლოს მე-IV-ის ტახტზე შესვლის დროიდან იდევნებოდა, წარმატებით განვითარდა ინგლისში მე-XIV საუკუნის მეორე ნახევარში.

ინგლისი ის ქვეყანა გახდა, რომელშიაც ოპოზიცია პაპის ხელის უფლების წინააღმდეგ ყველაზე უფრო ადრე გადაიქცა ძლიერი სახელმწიფოს ეროვნულ საქმედ, ისეთ საქმედ, რომელშიაც დაინტერესებული იყო ბურჟუაზიაც და გლეხობაც, მეფეებიც და თავადაზნაურობაც, მაღალნიც და მდაბიონიც, და თვით სამღვდელოების თვალსაჩინო ნაწილი. ინგლისშივე მიიღო რეფორმაციის იდეებმა ყველაზე უფრო ადრე და ყველაზე უფრო მკაფიო, შეიძლება ითქვას, მეცნიერული დასაბუთება.

პაპის ხელის უფლებისადმი მტრულად განწყობილ მიმართულების ყველაზე უფრო გამოჩენილი იდეური წარმომადგენელი იყო ჯ ო ნ ვ ი კ ლ ე ფ ი,—მეცნიერი, წინათ ღვდელი, შემდეგ ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი. ძალიან მკაცრად და გაბედულად გაილაშქრა ვიკლეფმა პაპობის წინააღმდეგ, მაგრამ ამასთანავე ცდილობდა არ გადაელახა ის საზღვარი, რომელსაც გაბატონებულ კლასსთა ინტერესების დაცვა მოითხოვდა. მიმართავდა რა პირვანდელ ქრისტიანობას, ვიკლეფი ადიდებდა ქრისტეს სიღარიბეს და მას თანამედროვე სამღვდელოების სიმდიდრეს, ფუფუნებასა და მედიდურობას უპირდაპირებდა. ვიკლეფი მოითხოვდა სულიერ მამებისაგან ისეთსავე სიღარიბეს და ქონებათა გაყოფას, როგორსაც ქრისტე მოითხოვდა თავის მდიდარ მოწაფეებისაგან. მაგრამ ვიკლეფი მხოლოდ სამღვდელოების ექსპროპრიაციას სთვლიდა საჭიროებულად. ამგვარად მისი მოძღვრება საეკლესიო შეეფერებოდა მსხვილ ლენდლორდების და მეფის ინტერესებს, რომელთა სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო საეკლესიო ქონების ჩამორთმევა და განაწილება. ვიკლეფის მოძღვრების აზრი ოლოს და ბოლოს იმაში მდგომარეობდა, რომ ბატონობის და ექ-

სპლოატაციის საეკლესიო მექანიზმი ინგლისისათვის უცხო და მტრულად განწყობილ პაპის ხელიდან ინგლისის მეფისა და არისტოკრატიის ხელში უნდა გადასულიყო.

ვიკლეფს მფარველობა აღმოუჩინეს უმაღლესი თავად-აზნაურობის წარმომადგენლებმა, მათ შორის ლანკასტერის ჰერცოგმა იოანნემ და ნორტუმბერლენდის გრაფმა პერსიმ,—იმ დროის ინგლისის გამოჩენილმა პირებმა. იოანნე ლანკასტერელი იყო მეფე ედუარდ III-ის უმცროსი ვაჟი და მისი შვილისშვილისა და მემკვიდრის რიჩარდ II-ის ბიძა; რიჩარდ II, 11 წლის ვაჟი იყო, როდესაც ტახტზე ავიდა (1377 წ.), და თავისი ძლიერი ბიძის უდიდესი გავლენას განიცდიდა.

II. ლოლლარდები.

ერეტიკული მოძრაობა გაბატონებული კლასსების ფარგლებში არ დარჩენილა. პაპის წინააღმდეგ ბრძოლამ იმ დროის ყველა საზოგადოებრივი წინააღმდეგობა გააშიშვლა. საერთო ბრძოლაში ეროვნული მტრის, საფრანგეთისა და პაპის, წინააღმდეგ სხვადასხვა კლასსები თავისი განსაკუთრებული ინტერესებისთვისაც იბძროდენ, და ადრე თუ გვიან ეს ინტერესები ერთმანეთს უნდა დასჯახებოდა. კათოლიკე—მწერლები ხშირად კმაყოფილებით აღნიშნავენ იმ მოვლენას, რომ ყოველი რეფორმატორული მოძრაობა ადრე თუ გვიან შინაგან განხეთქილებას იწვევდა და გააფთრებულ ბრძოლას ჰბადებდა ეკლესიის რეფორმატორებს შორის; ეს მათ იმის საბუთად მიაჩნიათ, რომ რეფორმაცია ეშმაკის საქმე იყო. თუმცა, ჩვენც ვფიქრობთ, რომ წმიდა სულს ამ საქმესთან არავითარი კავშირი არ აქვს.

აღნიშნული პირობები ძლიერ უწყობდა ხელს ბეგჰარდების, ან, როგორც ინგლისელები უწოდებდენ მათ, ლოლლარდთა ერესის ზრდა-გავრცელებას.

ჩვენ დავინახეთ, რომ ნიდერლანდის მატყლის მრეწველობის განვითარებამ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში წარმოშვა ამ მრეწველობის განვითარების ხელის შემწყობ ზომების მოთხოვნილება, რაიც კერძოთ იმაში გამოიხატებოდა, რომ ფლამანდიელ ფეიქრებს იწვევდენ ევროპის შორეულ კუთხეებში.

სრულიად ბუნებრიეია, რომ პირველი ზომები ფლამანდიური მრეწველობის გადმონერგვისათვის მიიღო ნიდერლანდის მეზობელმა ქვეყანამ, ინგლისმა, რომელიც ძალიან მჭიდრო საეკლესიო ურთიერთობით იყო დაკავშირებული ნიდერლანდთან და უწმინდეს ნედლს მატყლს აწოდებდა უკანასკნელს (ფლანდრიის და ბრაბანტის ქსო-

ვილთა უმაღლესი ღირსება უმთავრესად ინგლისური მატყლის კარგი ღირსების შედეგი იყო).

ჯერ კიდევ ჰენრიხ მე-III დროს მიიღეს ინგლისში მატყლის მრეწველობის ხელია შემწყობი ზოგად—სახელმწიფოებრივი ზომები. 1261 წ გამოიცა კ ნოხი, რომელიც კრძალავდა მატყლის საზღვარ გარეთ გატანას და ინგლისს გარეშე ნაწარმოებ მაუდის ხმარებას. მაგრამ მალე საჭირო გახდა ამ აკრძალვის გაუქმება: მატყლის თავისუფალ გატანაში, როგორც დავინახეთ, უახლოესად დაინტერესებული იყვნენ ვაჭრები და ლენდ-ლორდები; მათ ინტერესებს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა. მეფე ედუარდ III-ემ სხვა გზა აირჩია თავის პოლიტიკაში. 1331 წ. მან წინადადება მისცა ფლამანდიელ მქსოველებს, მღებავებს და სხვა შალის ოსტატებს გადმოსახლებულ იყვნენ ინგლისში. ბევრი მართლაც გადმოსახლდა ხოლო რამოდენიმე წლის შემდეგ მათ მაგალითს სხვებმაც მიბაძენ—ზელანდიის და ბრაბანტის ფეიქრებმა. [1]),

უკვე მე-XIV საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისში ჩვენ ვხვდებით ფართოდ განვითარებულ მატყლის მრეწველობას, უმთავრესად ნ ო რ ფ ო ლ კ ი ს საგრაფოში და მის მთავარ ქალაქში, ნ ო რ ვ ი ჩ ში აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს ქალაქი გახდა ლოლლარდთა მოქმედების მთავარი ცენტრი.

შესაძლებელია, რომ ფლამანდიელ ფეიქრებთან ერთად ინგლისში ფლამანდიელი ბეგჰარდებიც შემოვიდენ. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ინგლისში მეტ წილად ღარიბი ფეიქრები სახლდებოდენ, მაშასადამე, ის ელემენტები, რომელნიც ნიდერლანდში ბეგჰარდთა მთავარ მასსას შეადგენდენ.

ფულლერს თავის ეკლესიის ისტორიაში დაწვრილებით აქვს აწერილი ის ხერხები, რომლითაც ხიდერლანდელ ფეიქრებს იზიდავდენ ინგლისში. „ჩვენი მეფე გზავნიდა იმ ქვეყანაში (ე. ი. ნიდერლანდში) ემისრებს, რომლებზედაც ეპვის მიტანა შეუძლებელი იყო; ისინი ახერხებდენ ნდობის მოპოვებას ისეთ ნიდერლანდელებთან, რომელნიც თავის ხელობაში სრული ბატონები იყვნენ, მაგრამ ამავე დროს არ იყვნენ თავისი თავის ბატონები,—დაქირავებულ მუშებთან ან მოწაფეებთან; ჩამოუგდებდენ ლაპარაკს იმ მონობის შესახებ, რომელსაც ეს ღარიბი ხალხი განიცდის, და იმის შესახებ, რომ ოსტატები არა ქრისტიანულად ექცევიან მათ, როგორც ცხენებს და არა როგორც ადამიანებს. ადრე ადგომა და გვიან დაწოლა, მთელი დღეების გატარება მძიმე შრომაში,—ორი ცალი ქაბაკი და ხმელი ყვ:ლი,

[1]) G e o L. C r a i k, The History of British Commerce. I. გვ. 128, 148.

— და ყოველივე ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ეს არამზადა ოსტატები გამდიდრდენ, მუშებს კი არავითარი ნაყოფი არ დარჩეს...

როგორ გაბედნიერდებოდენ ისინი, რომ ინგლისში გადასახლდენ და შეიტანონ იქ თავისი ხელობის ცოდნა (mystery), რომელსაც იქ ღირსეულად დააფასებენ. იქ ძროხის და ცხვრის ხორცის ქამით ლამის გასკდებიან ისინი. ბედნიერი იქნება ის მიწათმფლობელი (yeomen), რომლის სახლში შემოვა ასეთი ნიდერლანდელი და შესძენს მას ხელობის ცოდნას და სიმდიდრეს. უცხოელად შევა ის ინგლისელის ოჯახში, მაგრამ გამოსვლამდის საქმრო ან სიძე გახდება" და სხვა[1])

რა გასაკვირალია, რომ მეფის ემისრები ადვილად აღწევდენ თავის მიზანს. მაგრამ აგრეთვე გასაგებია, რომ ასე უსინდისოთ მოტყუებული პროლეტარები უფრო მტკიცედ იმაჭვალებოდენ ბეგჰარდული იდეალებით, შეიძლება, პირველად მათ დაიწყეს კომუნისტური აგიტაცია ინგლისში; ყოველ შემთხვევაში ისინი წარმოადგენდენ უმტკიცეს საფუძველს ასეთი აგიტაციისათვის. ნ ო რ ფ ო ლ კ ი, მატყლის მრეწველობის ცენტრი, ლოლლარდთა ერესის ცენტრად გადაიქცა. ამ საგრაფოდან, - ამბობს როჯერსი,—გაცილებით მეტი წამებული— ლოლლარდი გამოვიდა, ვიდრე მთელი დანარჩენი ინგლისიდან[2]).

ლოლლარდთა აგიტატორები, რომელნიც თავის თავს „ღ ა რ ი ბ ძ მ ებ ს" ან „ღ ა რ ი ბ ღ ვ დ ლ ებ ს" უწოდებდენ, ნორფოლკიდან ჰთელს ინგლისს ეფინებოდენ და ქადაგობდენ პირვანდელ ქრისტიანობის სახარებას: ძმობის, თანასწორობის და თავისუფლების სახარებას.

მისვლა-მოსვლის სიადვილე მაშინდელ ინგლისში ხელს უწყობდა მათს აგიტაციას: სტუმართ-მასპინძლობის ჩვეულება ჯერ კიდევ ყველგან ძალაში იყო, განსაკუთრებით მრავალრიცხოვან მონასტრებში; მგზავრს შეეძლო დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ყველგან იშოვნიდა თავშესაფარს და საჭმელ-სასმელს; გზებიც თითქმის სავსებით უშიშარი იყო.

მხოლოდ XVI საუკუნის რეფორმაციისა და მას შემდეგ მომხდარ ეკონომიურ ცვლილებების: მონასტერთა განადგურების, გლეხთა ექსპროპრიაციის, მასსიურ პროლეტარიატის შექმნის შემდეგ,

---

[1]) F u l l e r. Church History, III. გვ. 9; ციტატა ამოღებულია C u n n i n g h a m-იდან, The growth of Englich Judustry, I, გვ. 284.

[2]) T h o z o l d R o g e r s, Die geschichte der englischen Arbeit, შტუტგარტი, 1896. გვ. 96, 125

არის რუსული თარგმანი: Т. Р о д ж е р с, История труда и заработ. платы в Англии с XIII по XIX век, Спб. 1899, გვ. 98, 205, 219.

რამაც მასსიური მაწანწალობა და ყაჩაღობა წარმოშვა, მხოლოდ ამ დროიდან გახდა მგზავრობა ინგლისში ძნელი, ძვირი და საშიშარი; და ეს მდგომარეობა მე-XVIII საუკუნემდე არ შეცვლილა. (Thorold Rogers, on. cit. გვ. 94, 100, 105 და სხვ. შეადარეთ აგრეთვე Thorold Rogers, A History of Agriculture and Pricesiu England, ოქსფორდი 1866, გვ. 95 და შემდ.).

ლოლლარდთა დევიზს ერთი ხალხური სიმღერა გამოხატავდა, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა:

როდესაც ადამი ხნავდა და ევა რთავდა,
ვინ იყო მაშინ აზნაური?

ყველაზე უფრო გამოჩენილი მათი წარმომადგენელი ჯონ ბოლლი იყო; ის ალბათ ფრანცისკანელი იყო შეურიგებელ მიმართულებისა, რომელსაც, როგორც დავინახეთ, ხშირად ბეგჰარდებთან მეგობრული კავშირი ეპირა. საფიქრებელია, რომ შეურიგებელ მიმართულების ფრანცისკანელნი საზოგადოთაც ძლიერ ელემენტს წარმოადგენდენ ლოლლარდთა მოძრაობაში უოლსინგემი, წმ. ელბენსის მონასტრის ბერი, რომელიც XIV საუკუნეში ცხოვრობდა და რომელმაც თავისი დროის აღწერილობა დაგვიტოვა, დიდი სიძულვილით იხსენიებს ფრანცისკანელ ბერებს: ისინი, უოლსინგემის სიტყვით, ერთ და იმავე დროს ხალხსაც აჯანყებისაკენ მოუწოდებდენ და გაბატონებულ კლასსთა გულის მოგებასაც ცდილობდენ, რათა ერთიც და მეორენიც თავის ექსპლოატაციის საგნად გაეხადათ.

უოლსინგემი იმ დროის საზოგადოებრივი არეულობის მიზეზებს იკვლევს და შემდეგს დაასკვნის: „მე ვფიქრობ, რომ ეს ცუდი დრო ამ ქვეყნის ყველა მოსახლის, და მათ შორის მათხოვარ-ბერთა ორდენების, ცოდვათა შედეგია. უკანასკნელთ დაივიწყეს თავისი აღთქმანი და ის მიზნები, რისთვისაც დაარსებული იყო ეს ორდენები. მათ დამაარსებელ წმინდანთა სურვილი იყო, რომ ბერები ღარიბნი და ყოველგვარ საერო საკუთრებისაგან თავისუფალნი დარჩენილიყვნენ, რათა მუდამ ჭეშმარიტება ეღაღადნათ ისე, რომ ქონების დაკარგვის შიში არ გაეელოთ. მათხოვარი-ბერები კი, პირიქით შურით შესცქერიან მესაკუთრეებს, ხელს აფარებენ ბატონების ყოველგვარ ბოროტმოქმედებას და ამავე დროს შეცდომებს სთესენ მდაბიო ხალხში და როგორც პირველთა, ისე მეორეს ცოდვებს ადიდებენ. ისინი, საკუთრების უარმყოფელნი და სამუდამო სიღარიბის აღთქმა-მიცემულნი, კეთილს ავად აცხადებენ და ავს კეთილად მხოლოდ იმისთვის, რომ ქონება შეიძინონ და ფული დაიგროვონ; ისინი თვალს უხვევენ

თავადებს პირმოთნეობით, ხალხს—სიცრუით და თავადებსაც და ხალხსაც ჭეშმარიტ გზისაგან აცდენენ"[1]).

რადგან ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ შეიძლება ერთ და იმავე დროს თავადებისა და ხალხის გულის მონადირება, ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ უოლსინგენს აქ მხედველობაში აქვს მათხოვარ-ბერთა ორი მიმართულება: ერთი—საკუთრების მაძიებელი, რომელიც წარჩინებულია კლასსებს ელაქუცებოდა და მეორე—საკუთრების მტერი, რომელიც ხალხს „აქეზებდა."

მართლაც მათხოვარი-ბერები, განსაკუთრებით, ფრანცისკანელნი დიდი სიყვარულით სარგებლობდენ მდაბიო ხალხში. 1381 წლის აჯანყების დროს ხალხმა დაანგრია ძრავალი სასახლე, მათხოვარ—ბერთა მონასტრებს კი ხელი არ შეახო. ჯერ სტროუმ, აჯანყებულთა ერთერთმა წინამძღოლმა, განაცხადა, რომ სასულიერო პირთა შორის მხოლოდ მათხოვარი ბერები არიან შებრალების ღირსნი. [2])

შეიძლება ჯონ ბოლლი ამ ბერთა წრიდან იყო გამოსული. ბოლლის დროს მცხოვრები ფ რ უ ა ს ს ა რ ი, მას „კენტის გიჟ-მღვდელს" უწოდებს[3]) მაგრამ ბოლლი უ"თავრესად ესსექსში და ნორფოლკში ქადაგობდა და არა კენტში. მისმა აგიტაციამ, რომელიც დაახლოებით 1356 წელს დაიწყო, მალე მიიქცია სასულიერო და საერო ხელის უფალთა ყურადღება. კენტერბერიის არქიეპისკოპოზმა და ნორვიჩის ეპისკოპოზმა ეკლესიიდან გამორიცხეს იგი, ედუარდ III-ემ მისი დატუსაღების ბრძანება გასცა (ალბათ 1366 წ.). მაგრამ სატუსაღოდან განთავისუფლების შემდეგ, მან განაგრძო თავისი ქადაგობა. ბოლლი ქადაგობდა მოედნებზე და ეკლესიის ეზოებში, რადგან ტაძრებით სარგებლობის უფლება არ ქონდა ეკლესიიდან განდევნის შემდეგ. ფრუასსარი ბოლლის ერთერთ სიტყვას გადმოგვცემს (თუმცა დარწმუნებით ვერ ვიტყვით ნამდვილად ბოლლს ეკუთვნის თუ არა ეს სიტყვა): „საყვარელნო ჩემნო, საქმის ვითარება ინგლისში ვერ გაუმჯობესდება, სანამ ყველაფერი საზოგადო საკუთრებად არ გადაიქცევა და სანამ არ გაჰქრება როგორც ვასსალები, ისე აზნაურნი; სანამ ყველანი თანასწორნი არ გავხდებით და ბატონები ჩვენ არ გაგვიტოლდებიან. როგორ გვექცევიან ისინი ჩვენ? რატომ ვართ ჩვენ

---

[1]) T h o m a s W a l s i n g h a m, Historia Anglicana, Riley-ს გამოცემა, ლონდონი 1863. გვ. 13.

[2]) შეადარეთ L e c h l e r, J. Wielef und die Vorgeschichte der Reformation, II, გვ. 228 და W a l s i n g h a m, op. cit., II. გვ. 9.

[3]) Nistiore et chronique memorable de Messire Jehan Froissart, პარიზი 1578 წ., გამოცემა Denis Sauvage de Fontmailles en Brie, II, გვ. 122.

მათი მონები? ჩვენ ყველა ერთი და იმავე მშობლების, ადამისა და ევის მოდგმისანი ვართ. რით შეუძლიათ ბატონებს დაგვიმტკიცონ, რომ ისინი ჩვენზე უკეთესნი არიან? განა იმით, რომ ჩვენ ვშოულობთ და ვქმნით იმას, რასაც ისინი ნთქავენ? ისინი ხავერდიო, აბრეშუმით და ბეწვეულით იმოსებიან, ჩვენ კი უბრალო ტილო გვაცვია. ისინი ღვინოს და ტკბილ ნამცხვარს მიირთმევენ, ჩვენ კი ქატოს ვჭამთ და წყალს ვსვამთ. ქარი და წვიმა მათი ხვედრი—უდარდელი დროს ტარებაა დიდებულ ციხე-დარბაზებში, ჩვენი კი—შრომა და ზრუნვა, ქარი და წვიმა ყანაში; მათი ფუფუნება ჩვენი შრომის ნაყოფია. ჩვენ ყმებს გვეძახიან და გვკვმენ, როდესაც ოდნავ ვაყოვნებთ მათდა სამსახურს; და არ გვყავს ჩვენ მეფე, რომელსაც სურდეს ჩვენი მოსმენა ან დახმარება, ჩვენი უფლების ძებნა მაგრამ ჩვენი მეფე ჰაბუკია; წავიდეთ მასთან, დავუსურათოთ მას ჩვენი მონობა და ვუთხრათ რომ ამ მონობას ბოლო უნდა მოეღოს. თორემ ჩვენ თვითონ ვიპოვნით გამოსავალს. თუ ერთად წავალთ მეფესთან, ჩვენ გამოგვყვება თავისუფლების მოსაპოვებლად ყველა, ვისაც ყმებს ეძახიან და ვინც მონობაშია. როდესაც მეფე დაგვინახავს, ის თავისი ნებით დაგვითმობს ცოტა რამეს, თუ არა და სხვა საშუალებით დავეხმარებით ჩვენს თავს". „ასე ამბობდა ბოლლი, დასძენს კარის კაცი ფრუასსარი;— არქიეპისკოპოზმა ბრძანა ციხეში ჩაეგდოთ იგი რამოდენიმე თვით. მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ მას მოეკლა ბოლლი".

მაგრამ ეს ნაცადი საშუალება დიდ ნაყოფს ვერ მოიტანდა: ბოლლი მხოლოდ ერთერთი იყო იმ მრავალ აგიტატორთა შორის, რომელნიც ბოლლის მზგავსად მოქმედებდენ, მაგრამ მათი სახელი ჩვენამდე არ შენახულა.

დიდი ძალა მისცა ლლორდთა მოძრაობას ვიკლეფის გამოსვლამ (დაახლ. 1360 წ.) თვითონ ვიკლეფი ყველაფერი იყო რაც გნებავთ, მაგრამ არა კომუნისტი. ის უმთავრესად უშაღლეს თავად აზნაურობას ემყარებოდა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ხალხის დაბალ კლასებთან. მაგრამ ვიკლეფს არ შეეძლო ომი გამოეცხადა იმ დროის უმაღლეს ხელის უფლის წინააღმდეგ ისე, რომ ხალხის მთელი მასსა არ აემოძრავებინა და; მაშასადამე, ამ მასსისთვის გასაგებად არ გაეხადა თავისი ახალი იდეები. თვით თავად-აზნაურობა ერთ ხანს სიამოვნებით იღებდა დაბალ კლასებისაგან დახმარებას რომთან ბრძოლაში.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ახალი მოკავშირე საშიშარი აღმოჩნდა: ლოლლარდთა მოძრაობა დიდ ძალად გადაიქცა, როდესაც შეუკავშირდა აჯანყებულ გლეხობას, ყველაზე უფრო ძლიერს და მე-

ომარ კლასს იმ დროის მშრომელ კლასსთა შორის. მოხდა ის, რაც ჩვენ უკვე დავინახეთ დოლჩინოს აჯანყების დროს და რასაც კიდევ დავინახავთ გუსიტურ მოძრაობისა და გერმანიის გლეხთა დიდი ომის განხილვის დროს.

III. 1381 წლის გლეხთა ომი.

ზევით, დოლჩინოველთა აჯანყების მოთხრობის დროს, ჩვენ აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ მე-XIII საუკუნიდან მე-XV საუკუნემდე გლეხთა მდგომარეობა საერთოდ უმჯობესდებოდა. საფრანგეთში ასი წლის ომმა ეს ტენდენცია მის საწინააღმდეგო ტენდენციად გადაქცია. ამ ქვეყნის უბედური გლეხობა ინგლისის ჯარმა გაძარცვა და დაარბია. და ამავე დროს ომში დამარცხებული საფრანგეთის რაინდობა იმით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რომ მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ღონე მიხდილი გლეხობა და ქალაქები ეტყავებინა. გლეხობის სიღატაკემ საზარელი სახე მიიღო და, შედეგად მთელი ილ-დე-ფრანსის (იგი პარიზის გარშემო მდებარეობდა დიდ სივრცეზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით პარიზიდან ვიდრე ებლანდელ ბელგიის საზღვრამდე) სასოწარკვეთილ გლეხთა ამბოხება ე. წ. ჟაკერია გამოიწვია (1358 წ. მაისი). [1]) გაძვალტყავებულ გლეხთა აჯანყებამ მყისვე ჩააქრო ეროვნული ანტაგონიზმი ფრანგებსა და ინგლისელებს შორის--ისევე, როგორც თითქმის 200 წლის შემდეგ, გლეხთა ომის დროს გერმანიაში უეცრად მოისპო რელიგიური ანტაგონიზმი კათოლიკებსა და ლიუტერანებს შორის. ორივე ქვეყნის რაინდობამ შეერთებული ძალით ადვილად ჩაახრჩო აჯანყება საშინელ სისხლის გუბეში. აჯანყების ბედი გადაწყდა ქ. მო-ში, რომელიც იმ დროს ინგლისელებს ეკუთვნოდა; მოქალაქეებმა ქალაქში შემოუშვეს გლეხთა ურდოები, რიცხვით 9.000 კაცამდე. ამ დროს სამოცი (!) რაინდი შემოიჭრა ქალაქში, თავს დაესხენ უიარაღო გლეხებს და დაიწყეს მათი ჟლეტა. ჟლეტეს მანამდე, სანამ არ მობეზრდათ (et en occirent tant qu'ils en estoient tous ennyèz). შვიდი ათას კაცზე მეტი ამოწყვიტეს მაშინ. შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს ქალაქ მო-ს და გადაბუგეს იგი მთელი მისი მოსახლეობით, რადგან უკანასკნელმა „ჟაკების“ მხარე დაიჭირა. ამ დროიდან მთელი აჯანყებაც დამარცხდა: ულვთოდ ხოცავდენ ყველგან აჯანყებულ გლეხებს.

ფრუასსარი დიდი სიამოვნებით მოგვითხრობს ამ ამბავს, თუმცა ცოტა ზევით უსაზღვრო გულის წყრომას გამოთქვამდა იმის გამო,

[1]) ჟაკი, იაკობი ფრანგ-გლეხთა დაცინვითი სახელი.

რომ ზოგიერთ აზნაურსაც ხვდომია ასეთი წილი გლეხებისაგან (Froissart op. cit. I, გვ. 190 და შემდ.).

ამის შედეგი ის იყო, რომ საფრანგეთის სოფლის მოსახლეობა წინანდელზე უფრო მწარე მონობაში ჩავარდა.

ზემოთ ნაამბობის მზგავსად მოგვითხრობენ ინგლისის გლეხთა აჯანყების შესახებაც, რომელიც ოცი წლის შემდეგ მოხდა.

მაგრამ, ჩვენის აზრით, სრულიად დამტკიცებულად [1]) უნდა ჩავთვალოთ, რომ ინგლისში გლეხთა ომს სულ სხვა ხასიათი ქონდა.

ინგლისში ომმა არა თუ არ მოსპო, არამედ, პირიქით, გააძლიერა იმ დროის საერთო ტენდენცია - გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. ბატონ-ყმობა თითქმის ჰქრებოდა, პირადი ბეგარა, რომელიც ყმებს უნდა ეხადათ, ფულად გადასახადებად იცვლებოდა. ამის გამო მსხვილ ლენდლორდებისათვის საჭირო გახდა დაქირავებულ მუშათა შრომით შეეცვალათ ყმა-გლეხთა შრომა.

მაგრამ მე-XIV საუკუნეში ჯერ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა რიცხვობრივად მნიშვნელოვან სასოფლო პროლეტარიატზე. „სასოფლო-სამეურნეო ქირის მუშები შესდგებოდენ ნაწილობრივ გლეხებისაგან, რომელნიც თავისუფალ დროს მსხვილ მიწათმფლობელებთან მუშაობას ახმარდენ, ნაწილობრივ კი როგორც აბსოლიუტურად, ისე შედარებით მცირერიცხოვან, დამოუკიდებელ, საკუთრივ ქირის მუშათა კლასისაგან. მაგრამ უკანასკნელნიც ფაქტიურად იმავე დროს გლეხები იყვნენ, რადგან ქირის გარდა იღებდენ კოტტეჯს 4 ან მეტი აკრი მიწით. გარდა ამისა ისინი, ნამდვილ გლეხებთან ერთად, სარგებლობდენ საზიარო (სათემო) მიწით, რომელზედაც საქონელს აძოვებდენ და სათბობ მასალას კრეფდენ, როგორიცაა შეშა, ტორფი და სხვა“ [2]).

ამ მდგომარეობას ის ცუდი შედეგი მოქონდა ლენდლორდისათვის (ან მისი მეურნეობის მოიჯარადრისათვის), რომ მას ძალიან დიდი ხელფასის გადახდა უხდებოდა; ეს მიწის რენტას ამცირებდა და, შედეგად, წვრილი თავად-აზნაურობის თვალსაჩინო ნაწილი გაკოტრდა.

ლენდლორდების მდგომარეობა კიდევ უარესი გახდა შავი ჭირის დიდი ეპიდემიის შემდეგ, რომელიც 1348 წ. მოედო მთელს ევროპას და თითქმის 20 წლის განმავლობაში მძვინვარებდა. ამ ჭირმა, რომელმაც 25 მილიონი სიცოცხლე შთანთქა, უფრო საფრანგეთის სოფლის მოსახლეობა კიდევ უფრო გაალატაკა, ხოლო ინგლისში, პირიქით, ხელი შეუწყო გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

[1]) როჯერსის მიერ ზემოთ ხსენებულ შრომებში.

[2]) K. Marx, Das Kapital. I. გვ. 745.

შავ ჭირს უეჭველად ერთი ღირსება აქვს, რომელიც ახალ დროშიაც მეღალენდება სხვადასხვა ეპიდემიების დროს: ის უმთავრესად ულარიბეს კლასსებში მძვინვარებს.[1]) ხოლო მდიდრებისადმი უფრო ლმობიერია. მაგრამ იმ დროს ცივილიზაციას ჯერ იმდენად ღრმად არ ქონდა გამდგარი ფესვი, რომ ქუჩები უმუშევართა ბრბოებით ყოფილიყო გავსებული. ეპიდემია მდიდრებს უფრო ზოგავდა, მაგრამ სამაგიეროთ მათს სასიცოცხლო ნერვს,—ფულის ქისებს,—ძლიერ აზიანებდა. ჭირის შემდეგ ხელფასი საშინლად გაიზარდა; ამგვარად სრულიად აუტანელი მდგომარეობა შეიქნა,—აუტანელი, რა თქმა უნდა, მიწათმფლობელებისათვის. ამის გამო უკვე 1349 წელს გამოვიდა მეფე ედუარდ III-ის დეკრეტი, რომლის თანახმად ყოველი მიწის მუშა (labourer) და მოჯამაგირე (servant) ვალდებული იყო ემუშაენა. როდესაც მას სამუშეევარს მისცემდენ, ემუშაენა განსაზღვრულ ხელფასში და განსაზღვრული დროის განმავლობაში. ვინც მეტს ხელფასს გასცემდა ისჯებოდა იმასთან ერთად, ვინც ამ ზედმეტ ხელფასს მიიღებდა.

მაგრამ ამ კანონმა, რომელიც მიწათმფლობელთა დასაცავად მინიმალურ ხელფასსა და მაქსიმალურ სამუშაო დღეს აწესებდა, თავის მიზანს ვერ მიაღწია; ასეთივე ბედი ხვდა 1350 და 1360 წლებში დამატებით გამოცემულ ანალოგიურ კანონებს. საქმე იმაშია, რომ კანონს არ შეეძლო შეექმნა განსაზღვრული რაოდენობა პროლეტარებისა, რომელნიც იძულებული უნდა ყოფილიყვნენ ლენდლორდთა მოთხოვნილების შესაფერი ხელფასი მოეთხოვათ.

ომმა საფრანგეთთან მრავალი მუშა დაქირაევებულ ჯარისკაცად გადააქცია, რამაც კიდევ მეტად გაამწვავა მუშათა საკითხი მიწათმოქმედებაში. მაგრამ, მეორეს მხრით, მიწათმფლობელთა ეს „გაქირავებული მდგომარეობა“ აიძულებდა მათ დაეფარათ თავისი კასსის დეფიციტი დიდ ჯამაგირიანი სამხედრო სამსახურით და ახალ-ახალი ძარცვით საფრანგეთში. ლენდლორდთა ნივთიერი ხელმოკლეობა

---

[1]) „არის ცნობა, რომ ეპიდემიის სიმძიმე ინგლისში ღარიბებს დააწვა, უმაღლეს კლასსებს კი იგი ნაკლებად შეეხო.“ (Thorold Rogers. History of Agriculture etc., I, გვ. 295). „თითქმის წარმოუდგენლად გვეჩვენება ის გამანადგურებელი მოქმედება, რომელიც ამ ჭირს მოუხდენია: მაგ., ვენეციაში, როგორც სჩანს, 100.000 სულამდე დახოცილა, ლიუბეკში 90.000-მდე, სტრასბურგში—16.000-მდე. ვენაში ერთ დღეს 900-ზე მეტი სიკვდილის შემთხვევა ყოფილა; ამბობენ, რომ ბევრ ალაგას მთელი მოსახლეობის 0,9 ნაწილი ამოწყვეტილა. მაგრამ ეს ბედი მეტ წილად ღარიბ კლასსებს ხვდომია და, მაგ., არც ერთი შემთხვევა არ არის ცნობილი, რომ რომელიმე ხელმწიფე მომკვდარიყო ამ სენისაგან“. (Fr. Palacky. geschichte von Böhmen, II, 2, გვ. 303).

უეჭველად ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო იმისა, რომ ომი საფრანგეთთან ასე დაუბოლო

ამ მოძრაობის ორგანიზატორები უმთავრესად ლოლლარდთა „ღარიბი ღვდლები" იყვნენ.

რიჩარდ II-ის მეფობის დამდეგისთვის ანტაგონიზმი გლეხებსა და ლენდლორდებს შორის უკიდურესად გამწვავდა. ედუარდ III-ის მეფობის უკანასკნელ წლებში ომის ბედმა უღალატა ინგლისელებს. 1374 წ. ისინი იძულებული გახდენ დროებითი ზავი ჩამოეგდოთ, რომლის ძალით მათ მიიღეს საფრანგეთის მხოლოდ ზოგიერთი მოწინავე სიმაგრენი: კალე ბორდო და ბაიონნი. რიჩარდი 11 წლის ვაჟი იყო, როდესაც ტახტზე ავიდა. ასეთი მეფით დიდი ომის წარმოება შეუძლებელი იყო. მეორეს მხრით, საფრანგეთიც ისე ილაჯგაწყვეტილი იყო, რომ ხელსაყრელ მდგომარეობის გამოყენება არ შეეძლო. რასაკვირველია, დროებითი ზავი რამოდენიმეჯერ დაირღვა, მაგრამ საქმე უმნიშვნელო შეტაკებებზე შორს არ წასულა. ინგლისის თავად-აზნაურობას ეხლა მხოლოდ თავისი მამულები დაურჩა ერთად ერთ შემოსავლის წყაროდ; ეხლა მას შეეძლო მთელი თავისი ძალა მიემართა გლეხთა ტყავებაზე.

მაგრამ თუ, ერთის მხრით, თავად-აზნაურთა ძალმომრეობა მატულობდა, მეორეს მხრით ომის შეწყვეტამ ბევრი ყოფილი ჯარისკაცი დაუბრუნა სოფელს, ომს შეჩვეულ გლეხთა რიცხვი გაამრავლა და, ამგვარად, გააძლიერა გლეხობაში ბრძოლის უნარი. საკვირველი არაა, რომ ორ მტრულ კლასს შორის მალე ჩამოვარდა სისხლის მღვრელი შეტაკებანი.

გლეხები იძულებული გახდენ აჯანყება მოეხდინათ, რადგან ხელის უფლებამ გამართა ბრძოლა დემოკრატიულ მოძრაობის წინააღმდეგ და საშინელი სიმკაცრით სდევნიდა ლოლლარდთა აგიტატორებს, მათ შორის, რათქმა უნდა ჯონბოლლსაც: კენტერბერის არქიეპისკოპოზმა ბრძანება გასცა მეიდსტონის ციხეში ჩაეგდოთ იგი. როგორც ამბობენ, ბოლლს დატუსაღებისას განუცხადებია, რომ 20.000 მისი მეგობარი მალე გაანთავისუფლებენ მას. მართლაც, ეს წინასწარმერტყველება მალე შესრულდა.

ჩვეულებრივად ამ საქმეს ისე გვიამბობენ, თითქოს გლეხთა აჯანყება სრულიად შემთხვევითი საბაბით დაიწყო: ერთს გადასახადთა ამკრეფ მოხელეს ვინმე უოტ ტაილერის ქალი გაუპატიურებია; უკანასკნელს შურის ძიება გადაუწყვეტია, მოხელე მოუკლავს და ხალხისთვის ბრძოლისკენ მოუწოდებია.

ნამდვილად კი მოძრაობა სხვა და სხვა ადგილას დაიწყო ერთ და იმავე დროს, 1381 წ. 10 ივნისს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აჯანყება ნ ო რ ფ ო ლ კ შ ი, საფეიქრო მრეწველობის ცენტრში,

და კენტში, სადაც ბატონ-ყმობა იმ დროს უკვე სრულიად გაუქმებული იყო. კენტის აჯანყების წინამძღოლნი იყვნენ უ ო ტ ტ ა ი ლ ე რ ი და ერთი სასულიერო პირი, სახელად ჯ ე კ ს ტ რ ო უ. ტაილერს წინეთ მონაწილეობა მიუღია საფრანგეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში და დიდი გამოცდილობა შეუძენია სამხედრო საქმეში. ინსურგენტები ლონდონისკენ გაემართენ, გზაზე ჯონ ბოლლი გაანთავისუფლეს ციხიდან და შემდეგ ბლეკჰიტზე („შავ ვაკეზე") დაბანაკდენ ლონდონის ახლო. აჯანყებულებმა მოითხოვეს, რომ მეფე გამოცხადებულიყო მათთან. რიჩარდმა ტემზა გადალახა ხომალდით, მაგრამ ნაპირზე ჩამოსვლა ვერ გაბედა, და შინისკენ დაბრუნდა. 12 ივნისს გლეხები შეიჭრენ ქალაქში, რომლის კარები მათ ქალაქელმა ამხანაგებმა გააღეს. სატახტო ქალაქის ღარიბი კლასები გლეხებს შეუერთდენ და ინსურგენტთა რისხვა თავს დაატყდა მჩაგვრელთა სასახლეებს, რადგან თვით ბატონებს აჯანყებულნი ვერ მისწვდენ. დასწვეს სხვათა შორის სასახლე ჰერცოგ ლანკასტერელისა, რომელიც ყველაზე მეტად სძულდათ. მაგრამ ძარცვა არ იკადრეს და „როდესაც ვინმეს ქურდობაში შეისწრებდენ, თავს ჰკვეთდენ როგორც ხალხი, რომელსაც ყველაფერზე უფრო ქურდობა ეზიზღება".[1])

ჭაბუკი მეფე, რომელსაც ჯერ თუთხმეტი წელიც არ ქონდა შესრულებული, თავისი მრჩევლებით, რამოდენიმე თავადით და კენტერბერის არქიეპისკოპოზით ტოუერში გაიქცა. ამაოდ ურჩევდა მეფეს, ლონდონის ლორდ—მერი უოლვორტი თავს დასხმოდა მეამბოხეებს, და ამაოდ არწმუნებდა, რომ ლონდონის მდიდარი მოქალაქენი მეფის ჯარს შეუერთდებოდენ. გრაფ სოლსბერიმ განაცხადა, რომ საქმე მთლად დაიღუპება, თუ მეფე დამარცხდება ამ ბრძოლაში; ამ აზრმა გაიმარჯვა, თუმცა მეფის განკარგულებაში 8 000 კარგად შეიარაღებული ჯარისკაცი იყო.

შიშმა გლეხთა წინაშე მოქმედების უნარი მოუდუნა გამოცდილ მეომრებს. რაკი სამხედრო ძალით აჯანყების დამარცხება შეუძლებელი შეიქმნა, მეფემ მოლაპარაკების ჩამოგდება გადასწყვიტა. ეს ის სურათი როდია, რაც საფრანგეთში დავინახეთ ჟაკერიის დროს!

რიჩარდს სრული საფუძველი ქონდა დათმობისათვის, ვინაიდან 14 ივნისს ინსურგენტებმა ტოუერის ციხე აიღეს იერიშით და მოჰკლეს არქიეპისკოპოზი, სწორეთ ის, რომელმაც ჯონ ბოლლი დაატუსაღებინა, და მოჰკლეს სხვა მტრებიც, ვინც კი ხელთ იგდეს.

ცოტა ადრე, სანამ აჯანყებულნი ტოუერს ალყას შემოარტყამდენ, მეფემ დასტოვა ტოუერი და მაილ-ენდში გაემგზავრა მეამბო-

[1]) Walsingham, Historia Anglicana. I, გვ. 456.

ხეებთან მოსალაპარაკებლად. აჯანყებულებმა განაცხადეს, რომ მათ სურთ სამუდამოთ თავისუფალი გლეხები იყვნენ და რომ ეს თავისუფლება წერილობით უნდა იქნეს დამოწმებული. ისინი მოითხოვდენ, შემდეგ, თავად-აზნაურთა პრივილეგიების გაუქმებას ნადირობაზე და თევზაობაზე და სხვა ამგვარ დათმობას. მეფემ მიიღო ყველა ეს მოთხოვნილება და თანხმობა განაცხადა ყველა საჭირო საბუთების დაუყოვნებლივ გაცემაზე. საბუთების შედგენა ოცდაათ მწერალს დაავალეს.

ამგვარად გლეხებმა მიიღეს ყველაფერი, რაც სურდათ. მასსა დაიშალა და თავთავიანთ სახლ-კარს დაუბრუნდა. შეიძლება ისინი იმიტომაც დაიშალენ, რომ სურსათ-სანოვაგე არ ყოფნიდათ. მათ ძალიან მცირე მარაგი ქონდათ თან წამოღებული; ფრუასსარის სიტყვით, ჯერ კიდევ ბლეკჰიტზე, ლონდონის აღების წინ, თავმოყრილ გლეხთა მეოთხედს ძალა-უნებურად უნდა ემარხვა უსურსათობის გამო. მაგრამ აჯანყებულთა მეტი ნაწილი მაინც დარჩა უოტტაილერის, ჯეკ სტროუს და ჯონ ბოლლის მეთაურობით, რათა ზედამხედველება გაეწიათ დოკუმენტების გაცემაზე და, შეიძლება, სხვა ახალი დათმობაც მიეღოთ.

მეორე დღეს ახალი მოლაპარაკება გაიმართა. ინსურგენტები სმისფილდში შეხვდენ მეფეს მისი კავალერიით. რიჩარდმა წინადადება შეუთვალა უოტ ტაილერს შეხვედროდა. მას მოსალაპარაკებლად ორი ლაშქრის ბანაკებს შუა: ტაილერი დათანხმდა.

მეფისა და ტაილერის საუბრის დროს მათ მოუახლოვდა ერთი რაინდი; როდესაც ტაილერმა პროტესტი განაცხადა ამის გამო, მეფემ ბრძანა შეეპყროთ ტაილერი. ჯარისკაცთა გუნდი ოკვე მოხსენებულ ლორდ—მერ უოლვორტის მეთაურობით თავს დაესხა ტაილერს; ვერაგულათ გაცემული რამოდენიმეჯერ მახვილით განგმირული ტაილერი მიწაზე დაეცა. რიჩარდი კი,—ვერაგობაში და თვალთმაქცობაში გამოცდილი, მიუხედავათ თავისი სიჭაბუკისა,—მიუახლოვდა განცვიფრებულ ინსურგენტებს და დაუწყო მათ მტკიცება, რომ თვით უოტ ტაილერი იყო მოღალატე და რომ მას მეფის მოკვლა სურდა: თვით მე, მეფეს, მსურს თქვენი წინამძღოლი ვიყოო. განაცხადა რიჩარდმა. ამ ლაპარაკით მეფემ დრო მოიგო, სანამ ლონდონელი შეიარაღებული მოქალაქენი გამოცხადდებოდენ. მაგრამ მაშინაც რიჩარდმა და მისმა ხალხმა ვერ გაბედეს პირდაპირ შებრძოლებოდენ ინსურგენტებს და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდენ, რომ მეამბოხენი ლონდოს მოსწყვიტეს და აღადგინეს ქალაქში „წესრიგი“. გლეხებს

გადასცეს ბარათები განთავისუფლების შესახებ და ამ საბუთებით ისინი დაიშალენ[1]).

ნორფოლკში აჯანყება უფრო ცუდათ გათავდა. 11 ივლისს გლეხებმა ვინმე ჯონ ლიტტლსტრიტის მეთაურობით ქ. ნორვიჩი აიღეს; მაგრამ ნორვიჩის ეპისკოპოზმა ჰენრიხ სპენსერმა სწრაფათ მოუყარა თავი ჯარს, თავს დაესხა ინსურგენტებს და დაამარცხა ისინი ბრძოლაში, რომლებიც მან საკუთარი ხელით ბევრი დახოცა. მისი ბრძანებით დაუყოვნებლივ სიკვდილით დასაჯეს ტყვეები, მათ შორის ჯონ ლიტტლსტრიტი. აქაც ისიამოვნა ქველმა არქიეპისკოპოზმა: ის პირადათ მობრძანდა ლიტტლსტრიტთან რელიგიის უკანასკნელ ნუგეშით.

შედარებით წვრილი ამბოხებანი თავის თავად დაცხრენ. როდესაც გლეხები ყველგან დაამშვიდეს, რიჩარდმა დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ უნდა წაეღო უკან თავისი „მეფური სიტყვა“, რომელიც იმთავითვე გლეხთა მოსატყუებლად იყო მიცემული. ასეთი ოინი ჩვეულებრივი იყო იმ დროს.

ახალი დროის დიპლომატია თავის ბავშობის ჰასაკს განიცდიდა იმ ხანაში და მოტყუება, გამცემლობა და საიდუმლო მკელელობა მაშინ გაცილებით უფრო იოლად ხდებოდა, ვიდრე უფრო გვიან, როდესაც საზოგადოებრივი კრიტიკის შიშმა დიპლომატიური ხრიკები ზნეობრივობის სამოსელში გახვია, მეფის სიტყვას რაღაც უმტკიცეს რამედ წარმოგვიდგენენ ხოლმე. მაგრამ მე-XIV საუკუნიდან მე-XVII-მდე—და ამაზე გვიანაც—სიტყვის სიმტკიცე და პატიოსნება არა საკადრის სისუსტის ნიშნებად ითვლებოდა ძლიერი მეფისთვის.

როდესაც მეფის გარშემო 40—ათასიანი ჯარი შემოიკრიბა,—ისეთი ჯარი, როგორიც ინგლისს მანამდის არ ენახა,—მეფემ ნიღაბი აიხადა და სასამართლოები დანიშნა მეამბოხეთა დასასჯელად. ესსექსიდან გლეხებმა თავისი წარმომადგენლები გამოგზავნეს, რათა მოეგონებინათ მეფისთვის მისი დაპირებანი. მაგრამ გვირგვინოსანმა ბიჭმა, იგრძნო რა თავი დიდ ჯარში გმირად, მედიდურად უპასუხა: „თქვენ მონები იყავით, მონებათვე დარჩებით. თქვენ უნდა დარჩეთ ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში, მაგრამ ისეთში კი არა, როგორ-

[1]) ამ მოთხრობაში ჩვენ უმთავრესად უოლსინგჰემის ცნობებს ვემყარებოდით. ფრუსსარის ნაამბობი მეტის მეტად კარისკაცურ—ტენდენციოზურია. ის, როგორც ფრანგი, სხვისგან განგრძნს მოგვითხრობს რათა „ყველა ბატონებმა კეთილმა ადამიანებმა ისწავლონ, თუ როგორ არის საკირო ბოროტ ადამიანთა და მეამბოხეთა გაშოსწორება“-ო. Op. cit. II, გვ. 121 შეადგ. C. E. Maurice, Lives of English Popular Leaders in the Middle Ages, ლონდონი, 1875 II, Tyler, Ball, Oldcastle.

შიაც აქამდის იმყოფებოდით, არამედ გაცილებით უფრო მძიმეში; სანამ ჩვენ ცოცხალი ვართ და ღვთის წყალობით ამ სახელმწიფოს განვაგებთ, მთელს ჩვენს გონებას, ძალას და ნიჭს იმას მოვახმართ, რომ თქვენი საკადრისი სიმკაცრით მოგეგცეთ; დე, თქვენი მონობა მომავალ თაობათა გაფრთხილება იყოს".[1])

პროვოკაციამ გასჭრა. ესსექსის გლეხები კიდევ ერთხელ აჯანყდენ, მაგრამ მარტოდ დარჩენილნი,—რადგან სხვა საგრაფოებიდან დახმარება ვერ მიიღეს,—დამარცხდენ მეფის ჯართან ბრძოლაში.

ერთის შეხედვით, „წესრიგის" საქმე გამარჯვებას ზეიმობდა. მაგრამ ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებს კარგათ ესმოდათ რომ მთავარი აჯანყება პირდაპირ ბრძოლაში კი არ დაუმარცხებიათ მათ და რომ უმთავრესი საფრთხე მათ მოტყუებით, ვერაგული მკელელობით და მოულოდნელი თავდასხმით აიცდინეს.

ამგვარად აჯანყებას, თითქოს დამარცხებულს უშედეგოდ არ ჩაუვლია. გაბატონებულმა კლასებმა ძალიან ფრთხილად ისარგებლეს თავისი გამარჯვებით იმის შიშით, რომ კვლავ არ გამოეწვიათ გლეხთა საყოველთაო აჯანყება. ინგლისის გლეხთა განთავისუფლება ბატონ-ყმობისაგან გრძელდებოდა და მე-XIV საუკუნის დამლევისათვის სრულიად დამთავრდა.

მაგრამ გლეხებთან ერთად მოქალაქეთა დაბალი კლასებიც აჯანყდენ ლონდონში და ნორვიჩში და, აი, გამარჯვებულთა რისხვა უმთავრესად ამათ დაატყდა. საზარელი სიმკაცრით გაასამართლეს აჯანყების წინამძღოლნი; 1. 500 კაცი, მათ შორის, ჯონ ბოლლი და ჯეკ სტროუ სიკვდილით იყვნენ დასჯილნი. საპარლამენტო აქტებში დღემდის შენახულია 289 დასჯილ ბელადის სახელები; მათ შორის 151 კაცი ლონდონელი მოქალაქეა და 138, მაშასადამე, ნახევარზე ნაკლები,—სხვა ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებნი. ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ შურის ძიების სიმძიმე იმდენად გლეხებს კი არ დააწვა, რამდენადაც მათ ქალაქელ მოკავშირეებს.

აჯანყების უბედურ დასასრულს მცირე ხნითაც არ შეუჩერებია გლეხთა განთავისუფლების საქმე. მაგრამ მან თითქმის სასიკვდილოთ დაამარცხა ლოლლარდთა მოძრაობა და საზოგადოთ მთელი ოპოზიცია პაპობის წინააღმდეგ.

მართლაც, ასეთ შფოთიან მოსახლეობასთან მოკავშირეობა და მასთან ერთად რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობა მეტის მეტად სახიფათო აღმოჩნდა მეფისა და თავად-აზნაურობისათვის; საშიშარი აღმოჩნდა პაპისაგან განდგომა და საეკლესიო ქონების კონ-

[1]) Maurice, op. cit. გვ. 189,190

ეისკაცია. კომპრომისსი პაპობასთან მით უფრო ადვილად მოხერხდა, რომ პაპობა იმ დროს მარტო საფრანგეთის პოლიტიკის იარაღი უკვე აღარ იყო. 1378 წელს ეკლესიის დიდი განხეთქილება მოხდა, რაზედაც საუბარი ქვემოთ გვექნება. მსოფლიოს ერთბაშათ ორი პაპი მოევლინა: ერთი საფრანგეთის და მეორე—მისი მოწინააღმდეგე, რომის პაპი, რომელსაც მხარს უჭერდა გერმანია და ინგლისი.

იდეოლოგი—ისტორიკოსები ცდილობენ დაგვარწმუხონ, რომ ეკლესიის რეფორმისკენ მიმართული მოძრაობა ზნეობრივმა აღშფოთებამ გამოიწვია პაპობის ზნედაცემულობის გამო; მაგრამ ეს ნამდვილად რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ვიკლეფის სახელთან დაკავშირებულ მოძრაობას საეკლესიო განხეთქილების ხანაში უნდა მიეღწია თავისი განვითარების უმაღლეს წერტილისათვის, რადგან სწორედ ამ დროს დაეცა პაპობა უმდაბლეს დონემდე. ნამდვილად კი, ისტორიის მსვლელობა კლასსობრივ ინტერესებზეა დამოკიდებული და კლასსობრივი ბრძოლის ნაყოფია; ხოლო გაბატონებულ კლასსთა ინტერესები 1381 წლიდან უკვე აღარ შეეფერებოდა ვიკლეფის იდეებს. რა თქმა უნდა, არც ვიკლეფს და არც მის თანამოაზრეებს არავითარი კავშირი არ ქონდათ 1381 წლის მეამბოხეებთან; პირიქით, როგორც ვიცით, ინსურგენტებს საშინლად სძულდათ ვიკლეფის მფარველი იოანნე ლანკასტერელი. მაგრამ ვიკლეფის მოძღვრება მაინც უფრო რევოლიუციონური აღმოჩნდა, ვიდრე ამას ინგლისის გაბატონებულ კლასსთა ინტერესები მოითხოვდა.

უკვე 1382 წელს ლონდონის სინოდმა შეაჩვენა ვიკლეფის 24 დებულება, როგორც ერეტიკული. იმავე წელს პარლამენტმა საგანგებო კანონით წინადადება მისცა საერო სასამართლოებს შეეთანხმებინათ თავისი მოქმედება სასულიერო სასამართლოების მოქმედებასთან. ვიკლეფს ვერ უშველა მისმა 1382 წელს გამოცემულმა თხზულებამ „De blasphemia", რომელშიაც ჰგმობდა გლეხთა აჯანყებას. თვით მისი მუდმივი მფარველი ჰერცოგ ლანკასტერელი ამხედრდა ვიკლეფის წინააღმდეგ. ვიკლეფი გადააყენეს პროფესსორის თანამდებობიდან ოქსფორდის უნივერსიტეტში და სასულიერო წოდება ჩამოართვეს მას; ის იძულებული გახდა ლიუტტერუორის მრევლში დაბრუნებულიყო, სადაც გარდაიცვალა 1384 წელს.

მაგრამ ლოლლარდებს ვიკლეფზე უფრო მწარე ბედი ხვდა. გლეხთა აჯანყების დროიდან, რომელშიაც ასე მძლავრად აისხეს ფრთა ლოლლარდთა აგიტატორებმა, ყოველ აღმოჩენილ ლოლლარდს სახლეშწიფო ბოროტმოქმედად აცხადებდენ და ცეცხლში სწვავდენ. ისეთივე დევნის ხანა დაუდგათ ეხლა ლოლლარდებს ინგლისში, როგო-

რიც მათ გერმანიაში განიცადეს კარლოს მე-IV-ის დროიდან მოყოლებული. მართალია, მათი სრული განადგურება ვერ მოხერხდა; მაგრამ ლოლლარდებს აღარ შეეძლოთ კვლავ ისეთი დიდი მნიშვნელობის მოპოება, როგორიც 1360—1381 წ. წ. ქონდათ... ეხლა ინგლისში, როგორც გერმანიაში, მათ წრიდან მხოლოდ წამებულთა დაუბოლოვებელი რიგი გამოდიოდა.

1381 წლის აჯანყებამ საზღვარ გარეთაც მოახდინა გავლენა და ყველგან განაახლა ბეგჰარდთა და ვალდენელთა დევნა. მე-XIV საუკუნის დამლევისათვის მათ აღარსად გააჩნდათ თავშესაფარი, სადაც დამშვიდებულად შეეძლოთ ცროვრება. მაგრამ ამ დევნილ და ფეხქვეშ გათელილ ადამიანთა დიდ გლოვაში მოულოდნელად დადგა ზეიმის ხანა, რომელმაც სასწაულებრივის ძალით ცხადჰყო, რომ „ანაბ საწყლებშიაც შესაძლებელია ღვთის მადლის გამოცხადება“. ჰუსიტური ომებით დაიწყო კომუნისტებისათვის ბოჰემიაში ის გმირული ეპოქა, რომელიც შეგვიძლია შევადაროთ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის 1793 წლის შემდგომ ეპოქას.

თავი მეხუთე

ტაბორიტები.

I ეკლესიის დიდი განხეთქილება.

ვიკლეფის სახელთან დაკავშირებულ მოძრაობის წარმატება სერიოზულ გაფრთხილებას წარმოადგენდა პაპობისათვის. პაპები რომ ძველებურად საფრანგეთის იარაღად დარჩენილიყვნენ, ეს სერიოზულ საფრთხეში ჩააგდებდა მათ ძალა-უფლებას მთელს ევროპაში. ამ გარემოებამ პაპებს დაუბადა ძლიერი სურვილი, რომ ავინიონიდან, საფრანგეთის ტყვეობიდან, დაბრუნებულიყვნენ რომში, სადაც ისინი უფრო დამოუკიდებელი იქნებოდენ საფრანგეთის გავლენისაგან.

ვიკლეფიტების მოძრაობამ დაანახა პაპებს, თუ რამდენად მეტყველია მათი, როგორც საეკლესიო ხელმწიფეთა, მდგომარეობა. ამ მოძრაობამ დაანახა მათ, რომ მკვიდრი ნიადაგი მათ საერო ბატონობაში უნდა ეძიონ. ინგლისის, საფრანგეთის და ესპანეთის (კასტილიისა და არაგონიის) ეკლესიები თანდათან სულ უფრო დამოუკიდებელი ხდებოდენ პაპის ბატონობისა და ექსპლოატაციისაგან და სულ უფრო საერო სიუზერენების ბატონობისა და ექსპლოატაციის სფეროში ექცეოდენ; მით უფრო დიდი მნიშვნელობა ქონდა პაპებისათვის იმას, რომ მსოფლიოზე ბატონობასთან ერთად მათ დაებრუნებიათ ბატონობა საკუთარ საერო სახელმწიფოზე, ე. წ. საეკლესიო სახელმწიფოზე; ხოლო ამისთვის აუცილებლად საჭირო იყო მათი რომში ყოფნა.

თუ პაპებს სრული საფუძველი ქონდათ რომისკენ მისწრაფებისთვის, მეორეს მხრით, იტალიელებსაც მოენატრათ პაპებთან ახლო ყოფნა. პაპების „ბაბილონის ტყვეობამ",—ასე უწოდებდენ ისინი პაპების ავინიონში ყოფნას,—ნათლად დაანახა მათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ქონდა იტალიისათვის პაპების ყოფნას საეკლესიო სახელმწიფოში და რა ვნება მოუტანა მას, განსაკუთრებით რომს, რომელიც ძალიან დაღარიბდა, პაპების საზღვარ გარეთ გადასახლებამ.

საუცხოო სიტყვებით გამოსთქვა პაპების იტალიაში დაბრუნების ეს მხურვალე სურვილი პ ე ტ რ ა რ კ ა მ. მკაფიო ფერებით დაა-

სურათა მან თავის ლექსებში და წერილებში, თუ როგორ გალატაკდა და დაჩიავდა წმიდა ტახტის გადატანის შემდეგ პაპების სასაფლეები და წმინდანთა საკურთხევლები, როგორ დაეცა მარადიული ქალაქი, ქმრის მიერ მიტოვებულ ქალსავით, და როგორ განიფანტება შვიდ გორაკზე დაფენილი ნისლი, როდესაც რომს მისი კანონიერი უფალი დაუბრუნდება. პაპები სამარადისო დიდებას მოიხვეჭენ. რომი—ბედნიერებას და იტალია—მშვიდობიანობას, თუ პაპი გაბედავს საფრანგეთის ტყვეობიდან განთავისუფლებას. ავინიონში კი, პირიქით, პაპები განცხრომაში და მანკიერებაში დაიხშობიან და მთელი ქვეყნიერების ზიზღს და სიძულვილს დაიმსახურებენ.

პეტრარკა ძალიან კარგათ იცნობდა პაპის კარის გარყვნილ ყოფა-ცხოვრებას, რადგან თვითონ მას 15 წელიწადი (1326—1353 წ. წ.) გაუტარებია ავინიონში. მის სიძულვილს ავინიონისადმი სხვათა-შორის შემდეგი სონეტი გამოსთქვამს, რომელიც მან ამ ქალაქს უძღვნა:

„ზეციერი გრგვინვა დაატყდეს შენს სიცრუით სავსე თავს! შენ, რომელიც სილარიბით შექმნილ სიმდიდრით იკვებები, უსახლარო ბოროტ-მოქმედებით გამდიდრებულხარ. მოღალატეობის ბუდე, რომელიც წყევლასა და კრულვას ჰბადებს, ქვეყნიერებას შხამავს თავისი გესლით, ბუდეე გავსილო ლოთებით, მუქთახორებით, გარყვნილებით და ყოველგვარ ქვენა ზრახვების სამარცხვინო მაგალითებით. შენს დარბაზებში ბებერ და ახალგაზრდა ქაჯების ბრბო თარეშობს. ველზეეული ცეკვავს იქ ორგანოს ხმაზე, სარკეებს შორის, ბრწყინვალებაში. მდიდარ სამოსელში ხარ გახვეული, თუმცა „ტიტველი“ და ფეხშიშველი უნდა დადიოდე ეკლიანი გზით. საზიზღარი შმორი აგდის ცამდის, შენ ღთვისგან შეჩვენებულო!“

არავინ არ ჰგმობდა პაპობას ისე მკაცრად, როგორც პეტრარკა: მაგრამ ამით მისი დასუსტება და მისთვის ვნების მიტანა კი არ სურდა, არამედ მხოლოდ პაპების შემოტყუება იტალიაში. მისი წარმოდგენით, პაპის კურიის გარყვნილება იმიდან კი არ გამომდინარეობდა, რომ ის უწყალოდ ყვლეფდა ქვეყნიერებას, არამედ იმიდან, რომ ექსპლოტაციის ნაყოფს იგი ავინიონში ნთქავდა და არა რომში. პაპების ზნეობრივი ჯანმრთელობა ავინიონის ჰავას შეულახავს. რომში დაბრუნება მათ იმ წამშივე განკურნავს.

ამგვარად აკავშირებდა პაპობასთან იტალიელებს იმ დროის ეკონომიური პირობები, რომლებსაც ჩვენ უკვე ზემოთ გავეცანით: მაგრამ იმავე მიმართულებით მოქმედებდა პოლიტიკური მოტივებიც.

ეროვნულ თვითცნობიერების გაძლიერება უმჭიდროესად დაკავშირებულია საქონლის წარმოების განვითარებასთან. როდესაც უკა-

ნასკნელი განვითარების იმ საფეხურს აღწევს, როდესაც ის კაპიტალისტურ ფორმას იღებს, მისი ინტერესები და, უწინარეს ყოვლისა, კაპიტალისტთა ინტერესები მოითხოვს ნაციონალურს, რაც შეიძლება უფრო გაერთიანებულ სახელმწიფოს, რომელსაც შეუძლია კაპიტალისტებისათვის შინაგანი, ეროვნული ბაზრის უზრუნველყოფა და საფოლიო ბაზარზე მათთვის მოქმედების თავისუფლების მოპოება. ეს ტენდენცია მხოლოდ მე—XVII საუკუნეში გახდა სრულიად ცხადი, მაგრამ თანამედროვე ეროვნულ თვითცნობიერების ჩანასახს უკვე მე-XIV საუკუნეში ვამჩნევთ: თუმცა, უნდა ითქვას, რომ მაშინ ის მხოლოდ ისეთ შემთხვევებში მჟღავნდებოდა, როდესაც მას განსაკუთრებული პირობები აღვიძებდა, საყოველთაო ინსტიქტის ძალამდე კი ჯერ ძლიერ დაშორებული იყო.

ყველაზე ადრე ეროვნული თვითცნობიერება გაიღვიძა იტალიაში, რომელსაც ასეთი მაღალი დონე ქონდა მიღწეული თავის განვითარებაში. მე-XIV საუკუნეში ეს ქვეყანა გაერთიანებისა და ერთი მთავრობის ქვეშ ყველა თავის ძალთა შეკავშირების უდიდეს საჭიროებას განიცდიდა: მხოლოდ ამით მოეღებოდა ბოლო დაუსრულებელ ომებს წვრილ სახელმწიფოებს შორის, მხოლოდ მაშინ გაბატონდებოდა მშვიდობიანობა და წესრიგი, ეს ბურჯი სამოქალაქო კეთილდღეობისა და მხოლოდ მაშინ აიცდენდა იტალია უცხოელთა ბატონობას, რაც მას ხშირად განუცდია ვიდრე მე-XIX საუკუნემდე.

მაგრამ პაპობა, როგორც სჩანდა, ერთად ერთი ძალა იყო, რომელსაც შეეძლო იტალიის გაერთიანება და უზენაესი ხელის უფლად ვადაქცევა სხვადასხვა სუვერენთა მიმართ. და მით უფრო ენერგიულად მოითხოვდა ყოველი შორს-მჭვრეტელი პოლიტიკოსი პაპების დაბრუნებას ავინიონიდან.

ყოველივე ამას დაერთო საფრანგეთის დამარცხებაც ინგლისთან ომში: საფრანგეთის მტრობა ამის შემდეგ დიდ საშიშროებას აღარ წარმოადგენდა.

ამგვარად ვიკლეფიტურ მოძრაობის შემდეგ პაპის წრეებში სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა რომში დაბრუნების აზრი. პირველად ურბან მე-V-ემ სცადა ავინიონიდან გაქცევა. მიუხედავათ მრავალ პროტესტისა საფრანგეთის მეფის კარლოს მე-V-ს და კარდინალების მხრით (კარდინალებს შორის უმრავლესობა საფრანგეთის კრეატურები იყვნენ), ურბანი 1367 წლის მაისში ჩასხდა გემში მარსელში და და გენუით რომში ჩავიდა, სადაც მას უდიდესი აღტაცებით მიეგებნა მოსახლეობა. მაგრამ უკვე 1370 წ. ფრანგ-კარდინალებმა გაიმარჯვეს; ავინიონში ისინი ბევრად უფრო მხიარულად ატარებდენ დროს

(ვიბბონი ამტკიცებს, რომ იტალიაში მათ ყველაზე უფრო ბურგუნდიული ღვინის უქონლობა აწუხებდა), და პაპიც იძულებული გახდა ავინიონში დაბრუნებულიყო.

მეორეჯერ ასეთი ცდა გრიგოლ მე-XI გაიმეორა 1376 წელს. ის რომში დარჩა თავის სიკვდილამდის (1378 წ.). რომაელ ხალხს ეშინოდა, რომ ფრანგი—კარდინალები კვლავ საფრანგეთის მეგობარს აირჩევენ პაპად: იარაღით ხელში გამოვიდა ხალხი, ალყა შემოარტყა კონკლავს და ყიჟინით „ან სიკვდილი ან იტალიელი პაპი“ აიძულა კარდინალები იტალიელი, ურბან მე-VI აერჩიათ. მაგრამ ფრანგ—კარდინალებმა რომი დასტოვეს, როგორცვე შემთხვევა მოეცათ უკანონოთ გამოაცხადეს ეს არჩევნები და ახალი პაპი აირჩიეს,—კლემენტი მე-VII.

ამგვარად მოხდა ე. წ. დიდი საეკლესიო განხეთქილება. ჩვენ იმიტომ ავწერეთ ასე დაწვრილებით მისი მიზეზები, რომ მან დიდი როლი ითამაშა პაპობის ისტორიაში და, მაშასადამე, ერეტიკულ სექტების ისტორიაშიაც.

ორი პაპი ერთბაშათ—ეს გაუგონარი რამ არ იყო. ახალი ამაში ის იყო, რომ ორთავე პაპს ეროვნული მნიშვნელობა მიეცა. ერთს ხელარს უჭერდა საფრანგეთი და ესპანეთი, მეორეს, იტალიელს კი გერმანია და ინგლისი. უფრო გვიან ამ ორი პაპის გვერდით მესამეც გაჩნდა, რომელსაც მხოლოდ ესპანელნი სცნობდენ. მაშასადამე უკვე ეს საეკლესიო განხეთქილება წარმოადგენდა კათოლიკურ ქრისტიანობის ეროვნულ ეკლესიებად დაშლის პრელიუდიას. საქმე აქ დოგმებში და პირად მისწრაფებებში კი არ მდგომარეობდა, არამედ ეროვნულ, პოლიტიკურ წინააღმდეგობებში.

გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა სამ პაპს შორის; არც ერთ ხათგანს არც ერთ მათ მოადგილეთაგანს არ მოუპოვებია უპირატესი ძალა სხვათა წინაშე. ეკლესიამ დაჰკარგა ყოველგვარი მთლიანობა და იგივე ემუქრებოდა მთელს საზოგადოებას, რომელიც სწორეთ ამ დროს განიცდიდა უმწვავეს საზოგადოებრივ წინააღმდეგობებს, რაც საფრანგეთში ჟაკერიამ ცხადჰყო და ინგლისში—გლეხთა აჯანყებამ. აუცილებლად საჭირო იყო ბოლო მოჰღებოდა მთელს ამ სისაძაგლეს, ახლად მოწესრიგებულიყო მთელი ეკლესია ან, როგორც იმ დროს ამბობდენ, საჭირო იყო მისი „რეფორმაცია თავიდან ასოებამდე.“

პაპობა სრულიად უძლური აღმოჩნდა და ამიტომ სხვა რომელიმე ხელის უფლებას უნდა ეზრუნა ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტაზე. მოწვეულ იქნა რამოდენიმე საერთაშორისო კონგრესსი, საეკლესიო ყრილობანი, რომლებზედაც საერო ხელმწიფეთა დელეგატე-

ბმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საეკლესიო ორგანიზაციების დელეგატებთან ერთად თანასწორი უფლებით.

1417 წლის კონსტანცის ყრილობაზე სამი ურთიერთ მეტოქე პაპის მაგიერ არჩეულ იქნა ერთი პაპი მარტინ მე-V და ამით ეკლესიის განხეთქილებას ბოლო მოეღო; მაგრამ ახალი პაპი მარტო კარდინალებმა კი არ აირჩიეს, არამედ საგანგებო კოლეგიამ, რომელშიაც 23 კარდინალის გარდა მონაწილეობას იღებდა 30 დელეგატი 5 საქრისტიანო ერისა: იტალიელების, გერმანელების, ფრანგების, ესპანელებისა და ინგლისელების.

ამ ყრილობების შემდეგ პაპობა ძალიან დაეცა იმ დონესთან შედარებით, რომელზედაც მან ჰოგენშტაუფენები დაამარცხა. მართალია, პაპები ეხლა გაცილებით ნაკლებად განიცდიდენ ცალკე ერების გავლენას, ვიდრე ავინიონის პერიოდში, მაგრამ სამაგიეროთ მათი გავლენაც შემცირდა ცალკე ერების მიმართ. წარმოიშვა საერო ხელმწიფეების მორჩილი ეროვნული ეკლესიები. ამიერიდან პაპებს საერო ხელმწიფეებთან უნდა გაეყოთ თავისი ბატონობა და ნიეთიერი მონაპოვარი, თუ არ სურდათ მთლად დაეკარგათ ერთიც და მეორეც. განსაკუთრებული სახელმწიფო ხელშეკრულებანი (კონკორდატები და პრაგმატიული სანქციები) სულ უფრო მეტის სისწორით საზღვრავდა და ჰკეცავდა პაპების წილს.

ასე მოხდა საფრანგეთში, ინგლისში და ესპანეთში. იტალიაში კი რომის ეკლესია თავიდანვე ეროვნულ ეკლესიას წარმოადგენდა.

საეკლესიო ყრილობათა ხანაში მხოლოდ გერმანიამ ვერ შესძლო თავისი ეროვნული ეკლესიის შექმნა. მისმა დაქსაქსულობამ დაუშალა მას შეეზღუდა პაპის ბატონობა გერმანიის ეკლესიაზე და კონტროლი გაეწია მისი ექსპლოატაციისათვის. ამ ხნიდან გერმანია პაპის ბატონობისა და სიხარბის მთავარ ობიექტად გადაიქცა და იძულებული გახადა კიდევ ერთი საუკუნე დარჩენილიყო ამ მდგომარეობაში.

მაგრამ გერმანიის იმპერიის ერთი შემადგენელი ნაწილი განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩადგა; ეს იყო ბ ო ჰ ე მ ი ი ს ს ა მ ე ფ ო.

II. საზოგადოებრივი ურთიერთობანი ბოჰემიაში ჰუსიტურ ომების წინ.

არც ერთი სხვა ქვეყანა გარდა, შეიძლება, ინგლისისა ისე სწრაფად არ ვითარდებოდა ეკონომიურად მე-XIV საუკუნეში, როგორც ბოჰემია.

ინგლისში ეკონომიური განვითარება განსაკუთრებით მატყლით

ვაჭრობამ და საფრანგეთის ძარცვა-რბევამ დააჩქარა; ბოჰემიაში კი ასეთი როლი ითამაშა ვერცხლის სამადნეებმა, რომელთა შორის მთავარი კუტტენბერგის სამადნე იყო. ის 1237 წელს იყო აღმოჩენილი და ამ დროიდან მე-XV საუკუნემდე ის უმდიდრეს ვერცხლის სამადნეს წარმოადგენდა მთელს ევროპაში. მე-XIV საუკუნის დასაწყისში ვერცხლის წლიური ამოღება კუტტენბერგის მაღაროებში 100000 მარკას შეადგენდა (1 მარკა=$^1/_2$ გირვანქა). ბოჰემიის სხვადასხვა მდინარეებზე, მაგალითად მოლდავაზე და ლუჟნიკზე—იმ მდინარეზე, რომელზედაც ტაბორი მდებარეობდა,—ოქროს მადნის წმენდაც სწარმოებდა. [1]) ამ სამადნეებს ემყარებოდა ბოჰემიის ძლიერების სწრაფი განვითარება და, საბოლოო ანგარიშში,—ოტტოკარ II (1253—1278) და კარლოს I-ის (იგივე გერმანიის იმპერატორი კარლოს IV, 1346—1378) მეფობის ბრწყინვალება. რომ უკანასკნელმა იმპერატორის ტახტს მიაღწია, ამას, პაპის დახმარების გარდა, ის უნდა უმადლოდეს უმთავრესად კუტტენბერგის ვერცხლის მაღაროებს, რომლებმაც საარჩევნო ხმების საყიდლად საჭირო საღსარი მისცა მას. ასეთივე, იმ დროისთვის სრულიად ჩვეულებრივი წესით მოხდა აგრეთვე მისი ვაჟის ვენცელის (ვაცლავის) არჩევაც გერმანიის იმპერატორად. [2]).

კუტტენბერგის შემოსავლის წყალობით ბოჰემიაში, განსაკუთრებით პრაგაში ჰყვაოდა ვაჭრობა-მრეწველობა, ხელოვნება და მეცნიერება. ბოჰემიის დედა-ქალაქს „ოქროს პრაგა“ ეწოდებოდა იმ

---

[1]) Aeneas Sylvius Piccolomini, De Ortu et Historia Bohemorum. Opera omnia, ბაზელი 1551, გვ. 109.

[2]) Aeneas Sylvius-ის ცნობით, კარლოსი 100.000 გულდ. მიცემა დაჰპირებია, მაშინ თითო კურფიურსტისთვის. მაგრამ ამ ციფრების სისწორე სადავოა. ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ კელნის და ტრირის კურფიურსტებმა მიიღეს არა ნაკლებ 40.000 გულდ. თვითეულმა. დაცულია ტრირის კურფიურსტის ქვითარი, 1376 წ. 12 ივლისს გაცემული. საზოგადოთ იმ დროის პირნი ისე წინდახედული არ იყვნენ, როგორც ელფის ფონდის დამცველნი. საშუალო საუკუნეების ადამიანები მხოლოდ იმიტომ მიგვაჩნია ჩვენ ბარბაროსებათ, რომ არ ფარავდენ ცივილიზაციით შექმნილ მანკიერებას. გაბატონებულ კლასსთა თვითშეგნება ჯერ იმდენად ძლიერი იყო, რომ პირმოთნეობას არ საჭიროებდენ. საჯაროდ იყიდებოდა არა მარტო ხმები, არამედ საეკლესიო თანამდებობანი; მოწინააღმდეგეს ან კონკურენტს ბაზარზე ამარცხებდენ საჯაროდ, თორემ მშვიდობიანი და კანონიერი ფინანსიურ სპეკულიაციით კი არ მიყავდათ თვითმკვლელობამდე; საერო და სასულიერო ხელმწიფენი ყველას დასანახავად ცხოვრობდენ თავის მხევლებთან (ედუარდ III-ის საყვარელი Alice Parrers. უზენაეს სასამართლოების კამათშიაც იღებდა მონაწილეობას); ხელმწიფე რომ ერთერთ თავის „კეთილ და ერთგულ ქალაქს“ ეწვეოდა, წინ ქალაქელ პროსტიტუტებს მიაგებებდენ სახეიმოდ და გასართობად. ასეთი იყო ჩვენი „პატიოსან წინაპართა“ ჩვეულებანი.

დროს; საუცხოვო შენობებით შეიმკო იგი და მასში დაარსდა გერმანიის საიმპერიო ოლქის პირველი უნივერსიტეტი. (1348 წ.). არც კათოლიკური ეკლესია დარჩა ხელცარიელი. მას, როგორც ცნობილია, კარგი კუპი აქვს და ფაქიზი ყნოსვა. მან იცის სადრა იშოვება და ისიც იცის, როგორ იშოვება. ბოჰემიის მონასტრები და ეკლესიები განირჩოდენ თავისი სიმდიდრით, განსაკუთრებით კარლოს IV-ის დროს, რომელსაც ჩვენ უკვე გავეცანით, როგორც „ხუცურ იმპერატორს".

პრაგის არქიეპისკოპოზს „17 დიდი სამფლობელო ქონდა ბოჰემიაში, გარდა ამისა კოიეტაინის სამფლობელო მორავიაში, ლუე—ბავარიაში და მრავალი სხვა მომცრო მამულები. მისი სასახლე მეფის სასახლეს არ ჩამოუვარდებოდა თავისი ბრწყინვალებით, მის განკარგულებაში მუდამ მთელი ჯარი იყო ვასსალებისა". მარტო წმ. ვიტტის ტაძრის კაპიტულში 300 წევრი ირიცხებოდა და „ასზე მეტი სოფელი სრულიად ან ნაწილობრივ კაპიტულის წევრებს ქონდათ მიცემული როგორც ბენეფიცი. მარტო ერთ სობოროს პრობსტს ეკუთვნოდა მთელი ვოლლინის სამფლობელო და 12-მდე მომცრო მამული" და სხვა (Palacky, Geschichte von Böhmen, III, 2, გვ. 41). Aeneas Sylvius-ი,—შემდეგ პაპად კურთხეული პი II-ს სახელით,—რომელსაც საეკლესიო სიმდიდრის კარგათ გაეგებოდა, სწერდა თავის „ბოჰემიის ისტორიაში": „მე ვფიქრობ, რომ ჩვენს დროში არ არის არც ერთი ქვეყანა მთელს ევროპაში, სადაც ამდენი და ასეთი დიდებული, ასე მდიდრად შემკული ტაძრები მოიპოვებოდეს, როგორც ბოჰემიაში. ცისკენ გაწვდილა ეკლესიები... მაღალი საკურთხეველები ოქროთი და ვერცხლით მოკაზმულია, ოქროთივეა მოჭედილი წმინდანთა ნაშთების საცავები, ღვდელმსახურთა ტანისამოსი მარგალიტით არის მოქარგული, ყოველგვარი მოკაზმულობა და ნივთი უძვირფასესია... და ყოველივე ეს გვაკვირვებს არა მარტო ქალაქებში და სავაჭრო ადგილებში, არამედ უბრალო სოფლებშიაც".

მაგრამ რაც უფრო მდიდარი იყო ბოჰემიის ეკლესია, მით უფრო ყელეფდენ მას პაპები.

შემოსავლის სიდიდის მიხედვით ეკლესიას და მეფეს კუტტენბერგის მრეწველები მოსდევდენ; მე-XIV საუკუნეში ეს უბრალო მალაროს მუშები კი არ იყვნენ, არამედ პრაგელი და კუტტენბერგელი ვაჭრები, კაპიტალისტები, რომელნიც „ქარგლებს" ამუშავებდენ თავის მაგიერ; მთის განძი დიდ სიმდიდრეს და გავლენიან მდგომარეობას აძლევდა მათ საზოგადოებაში.

რა თქმა უნდა, საქონლის წარმოებისა და საქონლით ვაჭრო-

ბის განვითარებას იგივე მოვლენები უნდა გამოეწვია ბოჰემიაში, რაც ყველგან. გარდა უდიდესი ანტაგონიზმისა პაპის ეკლესიასა და მოსახლეობის მასსას შორის წარმოიშვა ინტერესთა წინააღმდეგობა ვაჭრებსა და მომხმარებლებს შორის, ოსტატებსა და ქარგლებს შორის, კაპიტალისტებსა და შინა-მწარმოებელთა შორის, სულ უფრო უნდა გამწვავებულიყო მიწათმფლობელთა და გლეხთა ანტაგონიზმი. ამას არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ბოჰემიაშიც ვამჩნევთ იმ დროის საერთო ტენდენციას, რომლის მიზეზებზე და ხასიათზე ჩვენ უკვე რამოდენიმეჯერ ვილაპარაკეთ: გლეხობა თანდათან თავს აღწევს ბატონყმობას, რომლის ადგილს ფულადი ხარკი იჭერს. მე-XII და მე-XV საუკუნეების მიჯნაზე ბატონყმობა ფაქტიურად უკვე აღარ არსებობდა ბოჰემიაში. მაგრამ აქაც, როგორც ინგლისში, მემამულეები ცდილობდენ ბატონყმობა აღედგინათ და ეს მათი მეცადინეობა დიდ სოციალურ უკმაყოფილებას იწვევდა. [1]).

მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაზე უკმაყოფილო უკმაყოფილოთა შორის გლეხები კი არ იყვნენ, არამედ წვრილი აზნაურები. ისინი გლეხებზე მხოლოდ ოდნავ უფრო მდიდარნი იყვნენ, რადგან ძალიან მცირე შემოსავლის წყარო გააჩნდათ და ამავე დროს იმდენი ძალა არ ქონდათ, რომ გლეხების ექსპლოატაციიდან რამდენადმე შესამჩნევი ნაყოფი მიეღოთ მსხვილ ბარონებსავით. მე-XII საუკუნის დამლევისთვის წვრილი აზნაურობა ძლიერ დაღარიბდა. მეფის ხელისუფლება საკმაოდ ძლიერი იყო იმისთვის, რომ შეეფერხებინა ყაჩაღობით მცხოვრებ რაინდობის განვითარება,—თუმცა რაინდები ეხლაც ბედავდენ ხშირად ძალიან თამამ ავანტიურებს. როგორც გერმანიის იმპერიის ნაწილს, ბოჰემიას არ შეეძლო სარფიანი ნაციონალური ომი დაეწყო, და, შედეგში, ბოჰემიის წვრილ მემამულეებს მხოლოდ დაქირავებულ ჯარში სამხედრო სამსახური დარჩენოდათ თავისი დეფიციტის დასაფარავ წყაროდ.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ წყაროთი რაინდების გარდა ბოჰემიის გლეხობაც სარგებლობდა, როგორც საზოგადოთ იმ დროის თითქმის ყველა სახელმწიფოების გლეხობა.

წარმოების განვითარებამ ვერცხლის მაღაროებში ძლიერ დააჩქარა საქონლის წარმოების და საქონლით ვაჭრობის განვითარება და, მაშასადამე, ზემოაღნიშნულ წინააღმდეგობათა განვითარებაც; მაგრამ მისი მნიშვნელობა ამით არ განსაზღვრულა: მას შედეგათ

[1]) Palacky, op. cit., II, 1, გვ. 34 და შემდ., II. 2, გვ. 30; III, 2, გვ. 38.

კიდევ ერთი მოვლენა მოჰყვა, რომელმაც განსაკუთრებით გაამწვავა ეს წინააღმდეგობანი, სახელდობრ, ფასების რევოლიუცია.

საქონლის ფასი არის კეთილშობილ ლითონის—ოქროს ან ვერცხლის -ის რაოდენობა, რომელზედაც შეიძლება გაიცვალოს საქონელი. დანარჩენ თანასწორ პირობებში ეს რაოდენობა მით უფრო მეტია, რაც ნაკლებია კეთილშობილი ლითონის ღირებულება, რაც უფრო ნაკლებია მის ამოღებაზე გაწეული შრომა. ამის გამო ვერცხლით მდიდარ სამადნეების აღმოჩენას და ექსპლოატაციას ბოჰემიაში ისეთივე ფასების რევოლიუცია, საქონლის ისეთივე გაძვირება უნდა გამოეწვია ამ ქვეყანაში, როგორიც გერმანიაში გამოიწვია მე-XV საუკუნის დამლევში საქსონიისა და ტიროლის სამთო სიმდიდრის აღმოჩენამ, ხოლო მთელს ევროპაში მე-XVI საუკუნის ნახევრიდან—ამერიკის ვერცხლის საბადოების აღმოჩენამ და ექსპლოატაციამ. მართალია, ბოჰემიის ისტორიაში ჩვენ ვერ ვიპოვეთ პირდაპირი ცნობები ფასთა რევოლიუციის შესახებ; მაგრამ ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ მე-XIV საუკ. ბოჰემიამ ფასების რევოლიუცია განიცადა,—წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვი უნდა შევიტანოთ იმ დებულების სამართლიანობაში, რომ ერთსა და იმავე პირობებში ერთნაირი მიზეზები ერთნაირ შედეგებს იძლევიან.

ფასების რევოლიუციას სხვა და სხვა ნაირი გავლენა უნდა მოეხდინა სხვა და სხვა საზოგადოებრივი კლასსის მდგომარეობაზე: ზოგი დაზარალდებოდა, ზოგი მოიგებდა; ზოგიერთს ეს რევოლიუცია ოდნავ შეეხებოდა, ზოგს ღრმად შეარყევდა. მაგრამ ყოველგვარ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, რომლისთვისაც ფულის აღებ-მიცემას მნიშვნელობა ჰქონდა, ამ ურთიერთობაში ჩაქსოვილი საზოგადოებრივი ანტაგონიზმი აუცილებლად უნდა გამწვავებულიყო ფასების რევოლიუციის გავლენით. ამასთან ერთად განსაკუთრებით უნდა დაზარალებულიყო ის კლასსები, რომელნიც ფულადი შემოსავლით ცხოვრობდენ და ამავე დროს მოკლებული იყვნენ საკმარის ძალას იმისთვის, რომ იძულებით გაედიდებინათ თავისი შემოსავლები ფასთა მომატების შესაფერისად. ასეთი იყო მოსახლეობის დაბალი კლასსები, რომელნიც ქირით მუშაობდენ,—ქალაქში, და წვრილი აზნაურობა,—სოფლად.

მაგრამ ყველა სხვა საზოგადოებრივ წინააღმდეგობაზე უფრო ღრმა იყო ეროვნებათა ანტაგონიზმი. ბოჰემიაში, როგორც ინგლისში, ის დაუკავშირდა ანტაგონიზმს საეკლესიო საქმეებში.

ჯერ კიდევ მე-XIII საუკუნეში ბოჰემია ეკონომიურად ძლიერ ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. მისმა დასავლეთის მეზობლებმა

გერმანიაში შორს გაასწრეს მას თავის საზოგადოებრივ განვითარებაში. ვაჭრობა-მრეწველობის, მეცნიერებისა და ხელოვნების ბრწყინვალე განვითარება ბოჰემიაში, რაც კუტტენბერგის სამთო საქმის განვითარებას მოჰყვა, მხოლოდ იმიტომ იყო შესაძლებელი, რომ ბოჰემიის ხელმწიფეებმა უ ცხ ო ე ლ ებ ი შემოასახლეს გერმანიიდან. ყველაზე მეტი ამ მხრით ბოჰემიელ პატრიოტების საყვარელმა მეფეებმა, ოტტოკარ II და კარლოს I (გერმანიაში კარლოს IV) გააკეთეს: ისინი იწვევდენ ბოჰემიაში გერმანელ გლეხებს, გერმანელ ხელოსნებსა და ვაჭრებს, გერმანელ მხატვრებს და მეცნიერებს.

ყველაზე ადრე კუტტენბერგი გადაიქცა წმინდა გერმანულ (ნემეცურ) ქალაქად და მასთან ერთად -სხვა სამთო ქალაქებიც, მაგ. დოიჩბროდი (და იგლაუ[1]).

გარდა ამისა გერმანელები მრავალ ახალ ქალაქს აარსებდენ, ხოლო ძველ ქალაქებში იმდენად მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდენ მოსახლეობისას, რომ ქალაქის საბჭოები ყველგან მათ ხელში გადავიდა; ეს მით უფრო ადვილად მოხდა, რომ გერმანელები მეტ წილად მდიდარ წრეებს, ვაჭრებს და გამოჩენილ ხელოსნებს წარმოადგენდენ. ჩეხები კი უბრალო ხელოსნები იყვნენ; დღიურ მუშათა მასსას და მოსახლეობის დაბალ კლასსებს აგრეთვე ჩეხები შეადგენდენ.[2])

პრაგის უნივერსიტეტიც გერმანელების ხელში იყო. პარიზის უნივერსიტეტის მზგავსად, ის ოთხი ეროვნებისაგან შესდგებოდა. უნივერსიტეტი თვითმართველ კორპორაციას წარმოადგენდა და ყოველ ეროვნებას მის გამგეობაში თითო ხმა ეკუთვნოდა. მაგრამ იმ დროს როდესაც პარიზის უნივერსიტეტში ფრანგები ფაქტიურად 3 ხმით სარგებლობდენ, რადგან თვითმართველობაში წარმოდგენილ ოთხ ეროვნებას ფ რ ა ნ გ ებ ი, პ ი კ ა რ დ ი ე ლ ნ ი, ნ ო რ მ ა ნ დ ი ე ლ ნ ი და ი ნ გ ლ ი ს ე ლ ებ ი შეადგენდენ, პრაგაში ბოჰემიელებს მხოლოდ ერთი ხმა ეკუთვნოდა: უნივერსიტეტში შედიოდა ბოჰემიის, ბავარიის, საქსონიის და პოლონეთის ეროვნებანი, რომელთაგან უკა-

[1]) იმ დროიდან, როდესაც გერმანელებმა კვლავ აამუშავეს ძველი მაღარო იგლაუში და კუტტენბერგის მაღარო გაიხსნა, „ბოჰემიაში,—გვიამბობს ერთი მეტატიანე,—გერმანელთა რიცხვმა იმატა. მათი საშუალებით მიიღო მეფემ (ოტტოკარ IV) ვეებეროელა განძი ოქროს და ვერცხლის საბადოებიდან; ამბობენ, რომ ‘ბოელი კოშკები აავსო მან ოქროთი და ვერცხლით“. (ციტ. ამოღებულია Palacky-ს შრომიდან, op. cit., II, 1, გვ. 158).

[2]) პალაცკის დასახელებული აქვს პრაგის გამოჩენილი ბურჟუაზიული გვარები; როგორც მათი სახელები მოწმობენ, ისინი თითქმის ყველა გერმანელებია: შტუკკი, ვოლფლინი, ვოლფრამი, ტაუზენდმარკი, ცუ-დენ-გენენი, ფონ-შტეინი, პირკენერი, ტაფელრუნგი, კორნიუბელი, ერტელი და სხვა. (Op. cit. II. 2, გვ. 24.

ნასკნელი (პოლონელები) მეტ წილად აგრეთვე,გერმანელებისაგან შესდგებოდა (სილეზიელნი და სხვ.). ამ გარემოებას ქონდა ერთგვარი მნიშვნელობა. უნივერსიტეტი იმ დროს პირველ ხარისხოვან მეცნიერულ და პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა; ის ისეთსავე როლს თამაშობდა, როგორც ეხლა პრესსა და უმაღლესი სასწავლებლები ერთად აღებულნი.[1])

გარეგნულადაც უნივერსიტეტი მძლავრ ორგანიზაციას წარმოადგენდა. უნივერსიტეტის შენობები პროფესორთა და მოსწავლეთა ბინებით პრაგაში და პარიზში ქალაქის განსაკუთრებულ ნაწილს შეადგენდა და, ალბათ, ცალკე კედლითაც იყო შემოზღუდული,[2]) ხოლო მოსწავლეთა რიცხვი ჯერ მე-XV საუკუნის დასაწყისში მრავალათასისაგან შესდგებოდა.

1408 წელს პრაგაში 200 ლექტორი და მაგისტრი, 500 ბაკალავრი და 36.000 სტუდენტი ირიცხებოდა. თუნდაც რომ ეს ციფრები გაზვიადებული იყოს, უეჭველია, რომ სტუდენტები დიდ ძალას წარმოადგენდენ. 1409 წელს, როდესაც გერმანელმა სტუდენტებმა პრაგა დასტოვეს, Aeneas Sylvius-ის ცნობით, ერთ დღეს 2000 სტუდენტი გასულა ქალაქიდან: რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ 3.000 სტუდენტი გაყოლია მათ და ლეიპციგში უნივერსიტეტი დაუარსებიათ. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უნივერსიტეტში მოსწავლეთა რიცხვი იმ დროს 10.000-ზე ნაკლები არ იქნებოდა.[3])

უნივერსიტეტთან დაკავშირებული იყო მრავალი დაწესებულება, პროფესორთა და ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ შეწირული მამულები და სახლები (ჯამაგირები და სტიპენდიები იმ დროს არ არსებობდა). და მთელი ეს სიმდიდრე, უნივერსიტეტის მთელი ძალა გერმანელების ხელში იყო.

---

[1]) კონსტანტინე ჰეფლერმა, ავინიონელ პაპების ისტორიკოსმა, აღნიშნა, რომ პარიზის უნივერსიტეტი ხანდახან საფრანგეთის მეფეზე უფრო ძლიერი იყო. ამ ძალის გამო, და არა „მეცნიერების თავისუფლების გამო", რაც ეითომდა საშუალო საუკუნეებში არსებობდა ლასსალის აზრით („მეცნიერება, და მუშები"), უნივერსიტეტი ზოგჯერ პაპთან და მეფესთან ბედავდა ბრძოლას და ამ ბრძოლაში ხშირად იმარჯვებდა. უკვე საშუალო – საუკუნეების უნივერსიტეტებში ამ „მეცნიერების თავისუფლების" კვალი არ არსებობდა. ერთ-ერთ მათ უდიდეს ამოცანას ერეტიკოსთა ძებნა შეადგენდა.

[2]) Maurer, Städteverfassung. II, გვ. 37.

[3]) ზოგიერთი ავტორი პირდაპირ არაჩვეულებრივ ციფრებს ასახელებს. მაგალითად, Falkenstein-ის ცნობით (Historie von Erfurth), გვ. 290; ქვემოთ მოყვანილი ციტატა ამოღებულია Ullmann-ის შრომიდან: Reformatoren etc I, გვ. 246) „მაშინ 40.000 სტუდენტი გამოვიდა (პრაგიდან) და იმავე დროს 20.000 „Leibzugen"-ში (ლეიპციგში) შევიდა".

ბწარედ სჩივოდენ ჩეხი--მაგისტრები, რომ ისინი სოფლებში შიმშილობენ მასწავლებელთა ადგილებზე მაშინ როდესაც მათი გერმანელი—კოლლეგები უნივერსიტეტში არიან მოკალათებული და რომ ყოველ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ჩეხების ეროვნული ინტერესები გერმანელთა ინტერესებს ეწინააღმდეგება, უნივერსიტეტი აუცილებლად უკანასკნელთა მხარეზე დგება.

ყოველივე ამის გარდა ბოჰემიის ეკლესია გერმანელთა სასარგებლოდ ეწეოდა ქვეყნის ექსპლოატაციას. ღვდლების მცირე შემოსავლიან ადგილებზე, რა თქმა უნდა, ჩეხებს ნიშნავდენ. მონასტრები კი და თეთრი სამღვდელოების წარჩინებული თანამდებობანი უმთავრესად გერმანელების ხელში იყო. მაგალითად, პრაგის კანონიკების უმრავლესობა, რომელზედაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ, გერმანელები იყენენ. პრაგის არქიეპისკოპოზი კონრად ფონ—ვესტა, რომლის დროს დაიწყო ჰუსიტების მოძრაობა, იყო „გერმინელი---ფანატიკოსი სამონასტრო ოლქის უბნელეს კუთხიდან“ (შ ლ ო ს ს ე რ ი).

ამგვარად ბოჰემიელთა ერის მასსა – მოქალაქეთა დაბალი კლასები, დაბალი სამღვდელოება და მთელი სოფლის მოსახლეობა: გლეხები, რაინდები და მემამულენი, –ყველგან ხედებოდენ გერმანელებს, როგორც ექსპლოატატორებს ან მეტოქეებს ექსპლოატაციაში. ბრძოლა საეკლესიო ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ერთის მხრით, და საეკლესიო ქონების ექსპროპრიაციის მოთხოვნილება--მეორეს მხრით, გადადიოდა ბრძოლაში გერმანელ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ და გერმანელთა ქონების ექსპროპრიაციის მოთხოვნილებაში.

ამგვარად გაიღვიძა ეროვნული თვითშეგნება მე-XIV საუკუნის ბოჰემიაში. მაგრამ თავის წარმოშობისას ეს შეგნება ყოველ ქვეყანაში თავისებურ ფორმას იღებს მისი წარმომშობ განსაკუთრებულ პირობების მიხედვით. იტალიაში და გერმანიაში ეროვნული თვითშეგნება უწინარეს ყოვლისა ამ ერების სახელმწიფოებრიეი გაერთიანების წყურვილმა გამოიწვია და იტალიელ პატრიოტებში პაპობის კულტი წარმოშვა, ხოლო გერმანელ პატრიოტებში—ოცნება ძლიერ იმპერიის შექმნაზე. საფრანგეთში და ინგლისში ეროვნული თვითშეგნება გამოიხატა უმთავრესად სიძულვილში მათდამი მტრულად განწყობილ ერისადმი; ბოჰემიაში კი, პირიქით, მან მიიღო თავისებური კ ლ ა ს ს ო ბ რ ი ვ ი ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ი ს ფორმა.

შეიძლება, განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება ამ სიძულვილმა ერთს ბეჭდვით ნაწარმოებში იპოვა, რომელიც, მართალია, ჰუსიტურ ომების შემდეგ გამოვიდა (1437 წ.), მაგრამ მაინც სწორათ

გამოხატავს ჰუსიტურ მოძრაობის სულს ეს არის «Kratké sebráni Kronik ceských k wystraze wěrních cechuw, — „ჩეხურ ქრონიკების მოკლე კრებული ერთგულ ჩეხების გასაფრთხილებლად".

„ბოჰემიელნი, — ნათქვამია ამ ნაწარმოებში, — ფხიზლად უნდა იდგენ სადარაჯოზე და რამდენადაც კი შესაძლებელია იზრუნონ, რომ გერმანელთა ბატონობის ქვეშ არ მოექცენ; ვინაიდან, როგორც ბოჰემიის ქრონიკები მოწმობს, ეს ერი საშინელი მტერია ბოჰემიელთა და სლავიანთა". ეს აზრი შემდეგ დასაბუთებულია ჩეხურ ქრონიკებით. კარლოს მე-IV-ემ „რა საკვირველია, აამაღლა ბოჰემია, გააფართოვა ქალაქი პრაგა, გაავრცელა აქ მეცნიერება და სხვა, მაგრამ იგივე კარლოსი მფარველობას უწევდა გერმანელებს მთელს სახელმწიფოში. ვინ იყო ბოჰემიის ყველა სამეფო ქალაქში ბურგომისტრებად და რატმანებად? — გერმანელები. ვინ იყვნენ მსაჯულები? — გერმანელები. სად ქადაგობდენ გერმანელებისათვის? — მთავარ საყდრებში. სად ქადაგობდენ ბოჰემიელთათვის? — ეკლესიის ეზოებში და სახლებში. და ეს ეკვმიუტანელი საბუთია იმის, რომ მას სურდა გაევსო ბოჰემია გერმანელებით, რომელთა მოდგმის თვითონ იყო, და განედევნა აქედან ბოჰემიელნი; მის დროსვე მოხდა ის, რომ რატუშებში საჩივრების მოსმენა სურდათ არა ბოჰემიურ, არამედ გერმანულ ენაზე" და სხვა[1]).

ყოველივე ნათქვამის შემდეგ ცხადია, რომ ეროვნული ანტაგონიზმი საეკლესიო ანტაგონიზმთან იყო შედუღებული. გერმანელებს ეკუთვნოდა უპირატესი უფლებები კარგ შემოსავლიან ადგილებზე თეთრი სამღვდელოების რიგებში, მონასტრებში, უნივერსიტეტში, რომელიც არსებითად საღვთისმეტყველო დაწესებულება იყო. თუ ჩეხებს სრული საფუძველი ქონდათ იმისთვის, რომ შეეზღუდათ ეკლესიის შემწეობით წარმოებული ექსპლოატაცია, მეორეს მხრით, გერმანელებსაც ქონდათ საფუძველი ამ მისწრაფებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მისწრაფებამ ეკლესიის რეფორმისაკენ, რაც მე—XIV საუკუნეში ყველგან არსებობდა, ჩეხებს შორის ნაყოფიერი ნიადაგი იპოვა; მაგრამ მით უფრო ენერგიულად ებრძოდენ მას ბოჰემიაში მცხოვრები გერმანელები.

III. ჰუსიტურ მოძრაობის დასაწყისი.

თავისი მთავარი არგუმენტები და მოთხოვნილებანი ჰუსიტურმა მოძრაობამ დასაწყისში ვიკლეფიტებისაგან ისესხა. როდესაც ინ-

[1] Palacky, op. cit., III. 3. გვ. 292.293.

გლისელ რეფორმატორის მოძღვრებამ ბოჰემიამდე მიაღწია, ჩეხებმა შაგრად ჩაჰკიდეს მას ხელი და გულმოდგინეთ დაიწყეს მისი გავრცელება. ჰუსი ძლიერ დაუახლოვდა ვიკლეფის იდეებს. მაგრამ მაინც ის აზრი, რომ ჰუსიტური მოძრაობა ვიკლეფის მოძღვრებამ წარმოშვა, ძალიან გადამეტებულია. ცხადია, ვიკლეფმა უდიდესად მძლავრი არგუმენტები მისცა ჰუსის მიმდევრებს და დიდი გავლენა მოახდინა მათ მოთხოვნილებათა გამომუშავებაზე; მაგრამ ამ მოძრაობის მიზეზები, მისი ძლიერების წყარო და მიზნები თვით ბოჰემიის საზოგადოებრივმა პირობებმა წარმოშვა; იგი გარედან შემოტანილი მოძღვრება კი არ იყო, ის ბოჰემიის ნიადაგმა აღმოაცენა. ამ მოძრაობამ თავისი იდეოლოგები ჯერ კიდევ კარლოს მე-IV-ს დროს წამოაყენა; ეს იყო მილიჩი კრემზირელი და მათე იანოველი; იმ დროს ვიკლეფის თხზულებანი ჯერ ბოჰემიამდის მისული არ იყო, ეს მხოლოდ ვიკლეფის ცხოვრების უკანასკნელ წლებში მოხდა (1380 წლის ახლო).

კარლოს IV-ის შვილი ვენცელი (ვაცლავი; როგორც ბოჰემიის შეფეს მას ვენცელ მე-II ეთქვა; მეფობდა 1378—1419 წ.წ.) ცდილობდა შეძლების დაგვარად შეერბილებინა საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი ბოჰემიაში. ის ძალიან გულგრილად, ზოგჯერ უკმაყოფილოდაც უყურებდა გერმანიის გვირგვინს, რადგან ამ გვირგვინის უკან არავითარი ძალა არ იდგა; ამიტომ მას არავითარი სურვილი არ ქონდა „ხუცური იმპერატორი გამხდარიყო თავის მამასავით. ვენცელი ცდილობდა თავის ხელის უფლებისათვის დაემორჩილებინა ეკლესია და ამ მხრით ჩეხელ პატრიოტებისა და საეკლესიო რეფორმატორების იდეებს თანაუგრძნობდა. მაგრამ ისიც უნდა დარწმუნებულიყო, რომ ბოჰემიის ეკონომიური წარმატება და, მაშასადამე, ნაწილობრივ მეფის ძალაც გერმანელებზე იყო დაფუძნებული. და, აი, მფარველობას უწევდა რა ჩეხ-პატრიოტების მისწრაფებებს, მას ამავე დროს არ სურდა, რომ ამით გერმანელები დაზარალებულიყვნენ.

ამ წინააღმდეგობით აიხსნებოდა ვენცელის მერყევი პოლიტიკა: ის დღეს მფარველობას უწევდა ჩეხებს და რეფორმის მონხრეებს, — მაგ., საუნივერსიტეტო საკითხებში, ხვალ კი ავიწროვებდა მათ, რაც, თუმცა, ყოველთვის როდი ხერხდებოდა.

გერმანელთა როლი და ძალა თანდათან კლებულობდა ვენცელის მეფობის დროს; მაგრამ მისი მერყევი და წინააღმდეგობით სავსე, ხშირად კაპრიზიანი პოლიტიკა თითქმის მის სიკვდილამდე აფერხებდა საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა აფეთქებას.

კატასტროფა უფრო გვიან მოხდა, როდესაც ბოჰემიის საქმეებში ჩაერიენ უცხო სახელმწიფოები, რომელთაც კომპრომისებს დამერყეობას ძლიერი ხელის პოლიტიკა ურჩევნოდათ; სცადეს რა ფეხით გაეთელად ცეცხლი, მათ მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ ალი მთელს სახლს მოედო.

ანტი-პაპურ და ანტი-გერმანულ მოძრაობის უდიდესი ლიტერატურული წარმომადგენელი იყო იან ჰუსი, პრაგის უნივერსიტეტის პროფესორი (1398 წლიდან) და შემდეგ (1402 წლიდან) ბეთლემის ეკლესიის ღვდელი; მას მფარველობას უწევდა ვენცელი, რომელმაც მეფის ასულის, სოფიოს აღმსარებლად დანიშნა იგი. უნივერსიტეტი, რომელიც, როგორც ვთქვით, გერმანელების ხელში იყო, ჯერ აამხედრა ჰუსისა და აგრეთვე ვიკლეფის წინააღმდეგ, რომლის მოძღვრებას ჰუსი აერცელებდა ბოჰემიაში. უნივერსიტეტმა დაჰგმო ვიკლეფის 45 დებულება, როგორც ერესი.

აკადემიური კამათი თანდათან ეროვნულ დავად გადაიქცა; მაგრამ ჩეხები და რეფორმის მეგობრები სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდენ. ბოლოს საქმეში ვენცელი ჩაერია; 1409 წელს მან სამი ხმა მისცა ბოჰემიელებს და ყველა დანარჩენ ერებს მხოლოდ ერთი ხმა დაუტოვა. ამის შემდეგ გერმანელ პროფესორთა და სტუდენტთა უმრავლესობამ დასტოვა პრაგა. უნივერსიტეტმა კი მხარი დაუჭირა ჰუსს და თავის რექტორად აირჩია იგი.

მაგრამ ეხლა ჰუსის წინააღმდეგ პრაგის ეპისკოპოზმა და თვით პაპმა გაილაშქრეს. უფსკრული ჰუსსა და ეკლესიას შორის სულ უფრო ღრმავდებოდა. კონფლიქტი განსაკუთრებით გამწვავდა მაშინ, როდესაც პაპმა იოანნე მე-XXIII-ემ, რომელიც იმ დროს ფულის საჭიროებას განიცდიდა, ინდულგენციებით ვაჭრობა განაახლა(1411 წ.)

1412 წელს ცოდვათა შენდობით ვაჭრობა პრაგაშიაც გაიხსნა. ჰუსი სასტიკად ამხედრდა ამ ვაჭრობის და ექსპლოატატორ პაპის წინააღმდეგ და უკანასკნელი ანტიქრისტედ გამოაცხადა. პრაგაში კათოლიკე-გერმანელებს რამოდენიმე შეტაკება მოუვიდათ ჰუსიტ-ჩეხებთან, რომელნიც სწვავდენ პაპის ბულლებს და ემუქრებოდენ სამღვდელოებას.

უკვე მაშინ იყო ცხადი, რომ ამ ორ ანტაგონისტურ ჯგუფს პირდაპირ ბრძოლაში უნდა გაესწორებიათ თავისი ანგარიში. მაგრამ ვენცელმა აქაც მოახერხა მშვიდობიანობის დაცვა თავისი სასტიკი ნეიტრალიტეტით. მან გადაასახლა ჰუსი პრაგიდან (1412 წ. დეკემბერში), მაგრამ დაუყოვნებლივ იგივე ხვედრი განუმზადა პაპის მომხრე ოთხ ღვთისმეტყველ-ღვდელს. ამავე დროს მან მოსპო გერ-

მანელთა ბატონობა პრაგაში დადგენილებით (1413 წ. 21 ოქტომბრის), რომ ჩეხები ამიერიდან რატმანთა (საქალაქო საბჭოს წევრთა) რიცხვის ნახევარს უნდა შეადგენდენ.

1414 წელს კონსტანტაში შესდგა დიდი საეკლესიო ყრილობა, რომელზედაც უკვე გვქონდა ლაპარაკი. მის მიზანს პაპის ეკლესიის გაერთიანება და მოწესრიგება შეადგენდა. მაგრამ ყრილობის ამოცანა მარტო ის კი არ იყო, რომ სამი პაპის მაგიერ ერთი ახალი პაპი აერჩიათ, არამედ ისიც, რომ ბოჰემიის ერესი მოესპოთ. ვენცელის ძმა სიგიზმუნდი,—გერმანიის იმპერატორი 1410 წლიდან (კურფიურსტებმა უკვე 1400 წელს ჩამოაგდეს ვენცელი გერმანიის ტახტიდან) და ვენცელის შესაძლებელი მემკვიდრე ბოჰემიაში,—განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ჰუსიტურ მოძრაობის მოსპობაში: მოძრაობას შეეძლო სრულიად გამოეთიშა ბოჰემია არათუ ეკლესიიდან, არამედ იმპერიიდანაც.

ჰუსს წინადადება მისცეს წარმომდგარიგო ყრილობის წინაშე. იმედებით სავსე გაემგზავრა იგი კონსტანცში (1414 წ. ოქტომბერში). ჰუსს სიგიზმუნდისაგან მიღებულ ხელუხლებლობის ბარათის იმედი კი არ ქონდა იმდენად, რამდენადაც თავისი საქმის სიმართლე სწამდა.

როგორც მრავლის მრავალი იდეოლოგი მანამდის და მას შემდეგ, ჰუსი მხოლოდ უბრალო გაუგებრობას და უმნიშვნელო აზრთა სხვადასხვაობას ხედავდა იქ, სადაც ნამდვილად ღრმა და წარუშლელი საზოგადოებრივი წინააღმდეგობა იფარებოდა. მას ეგონა, რომ საკმარისია გაუგებრობის გამორკვევა და შემცდარ აზრთა გაბათილება, რომ აშკარა გახდეს მისი იდეების უძლეველი ჭეშმარიტება. მაგრამ მან ვერ დაარწმუნა წმინდა მამები ვერც სიღარიბის საჭიროებაში ქრისტეს მემკვიდრეებისათვის და ვერც იმაში, რომ საერო თუ სასულიერო ხელმწიფე,—პაპი იქნება ეს თუ მეფე,—ჰკარგავს თავის კანონიერ ხელის უფლებას, რა წამს რაიმე მომაკედინებელ ცოდვას ჩაიდენს.

ამ დემოკრატიულმა დებულებამ სიგიზმუნდიც ააშფოთა.

ის გარემოება, რომ ბოჰემიელნი და უწინარეს ყოვლისა ბოჰემიელი აზნაურები, ჰუსს თანაუგრძნობდენ, მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ ეს ადამიანი საშიშარია და რომ საჭიროა მისი უვნებელყოფა.

ყრილობამ სცადა ხანგრძლივი დატუსაღებით და მუქარით აეძულებინა ჰუსისთვის მისი მოძღვრების უარყოფა; მაგრამ ცდა ამაო აღმოჩნდა. მაშინ ყრილობამ შეაჩვენა ჰუსი და მისი მოძღვრება და საერო სასამართლოს გადასცა იგი (1415 წ. 6 ივლისს). სი-

გიზეუნდი იმდენად მუხანათი აღმოჩნდა, რომ სიტყვა გასტეხა და ჰუსი დასაწვავად გასცა.

ბოჰემიელთა წინაშე დადგა ალტერნატივა: ან აჯანყება ან დაშორჩილება. მათ პირველი აირჩიეს.

ჯერ ჰუსის გასამართლების დროს ზოგიერთი მისი გაბედული მიმდევარი უყოყმანოდ და საქვეყნოდ გადუდგა ეკლესიას. მათ კელავ წამოაყენეს ის მოთხოვნილება, რომლითაც პირველად მათე იანოველი გამოვიდა:

ერისკაცებმა ზიარება ორივე სახით უნდა მიიღონ. კათოლიკურ ეკლესიაში ერთი ჩვეულება ბატონობდა, რომლის თანახმად ერისკაცებს ზიარების დროს ეძლეოდათ არა პური და ღვინო ერთად, არამედ მარტო პური. ბარძიმის ხმარება მხოლოდ ღვდლებისათვის იყო ნებადართული. და მოძღვრება, რომელიც სამღვდელოების პრივილეგიების მოსპობას მოითხოვდა, სრულიად ლოლიკურად მოიქცა, როდესაც სასულიერო პირთა პრივილეგიურ მდგომარეობის ამ გარეგნულ სიმბოლოს წინააღმდეგ ამხედრდა. ბ ა რ ძ ი მ ი, ბარძიმი ერისკაცებისათვის, ამ დროიდან ჰუსიტების სიმბოლოდ გადაიქცა. შაბლონურ და პოპულიარულ საისტორიო წიგნებში ეს მდგომარეობა ისეა წარმოდგენილი თითქოს გრანდიოზულ ჰუსიტურ ომებში არსებითად მხოლოდ ერთი საკითხი წყდებოდა, სახელდობრ: ორივე სახის ზიარება უნდა მიეღოთ ერისკაცებს თუ მხოლოდ ერთისა; და „განათლებული გვამები" სარგებლობენ შემთხვევით კიდევ ერთხელ აღნიშნონ კმაყოფილებით, თუ რა რიგ უგუნური იყო ძველი დროის ხალხი და, პირიქით, როგორი განათლებული ბრძანდებიან ჩვენი დროის თავისუფალი მოაზროვნენი.

მაგრამ ჰუსიტურ მოძრაობის ამგვარი ახსნა იმდენადვე ღრმაზროვანი და დასაბუთებულია, როგორც ის, რომ, მაგალითად, მომავალი დროის ისტორიკოსმა შემდეგნაირად წარმოადგინოს თანამედროვე რევოლიუციები: იმ დროის, ე. ი. მე-XIX საუკუნის ხალხი ჯერ იმდენად უგუნურები იყვნენ, რომ უბრალო ფერებს არაჩვეულებრივად დიდ მნიშვნელობას აძლევდენო: ყველაზე უფრო სისხლის მღვრელი შეტაკებები მხოლოდ იმისთვის ხდებოდა, რომ გამოერკვიათ, თუ რა ფერი უნდა ყოფილიყო საფრანგეთის აღმნიშვნელი— თეთრი, თეთრ-თიწელ-ცისფერი თუ წითელი, ან ჰუნგრეთის—შავ-ყვითელი თუ წითელ-მწვანე-თეთრი, ხოლო გერმანიაში ისეთი ხანაც კი იყო, რომ შავ-წითელ-ოქროსფერ ლენტის ტარებისთვის კაცს კარგა ხნით ატუსაღებდენო.

ბარძიმი ჰუსიტებისათვის იმგვარსავე როლს თამაშობდა, რო-

გორც დღეს დროშა—სხვა და სხვა ერებისა და პარტიებისათვის: ის იყო არა ბრძოლის ობიექტი, არამედ საომარი დროშა, რომლის გარშემო თავს იყრიდენ ერები და პარტიები და რომელსაც თავგანწირვით იცავდენ.

იგივე ითქმის სხვა და სხვა ფორმის ზიარების საკითხზე, რომელიც XVI საუკუნის რეფორმაციის ხანაში დაისვა.

განდგომა კათოლიკურ ეკლესიისაგან, რის სიმბოლოს ბარძიმი წარმოადგენდა, საყოველთაო მოოხოვნილებად გადაიქცა ჰუსის დაწვის შემდეგ. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა და მალე პრაქტიკულ დასკვნის დროც დადგა,—იმ დასკვნისა, რომლის გულისთვის არსებითად მთელი კონფლიქტი ჩამოვარდა. პრაგაში გახშირდა მდაბიო ხალხის აჯანყებები და ეს უბრალო დემონსტრაციები როდი იყო: აჯანყების მიზანი ზოგჯერ თეთრი სამღვდელოებისა და ბერების განდევნა და ეკლესია-მონასტრების გაძარცვა იყო. მაგრამ ყველაზე უკეთ თავად-აზნაურებმა ისარგებლეს ამ მდგომარეობით. ტყუილად კი არ გამხდარან ისინი ჰუსის მოძღვრების მხურვალე პატივისმცემელნი. ჰუსის სიკვდილისათვის შურის საძიებლად,—რა თქმა უნდა სარწმუნოებისადმი უანგარო ერთგულების მიზეზით,—მათ ომი გამოუცხადეს ეპისკოპოზებს და მონასტრებს და დაიწყეს, სადაც შეიძლებოდა, საეკლესიო ქონების ჩამორთმევა და მისაკუთრება.

ვენცელი უძლური იდგა ამ ქარიშხალის წინ. ამაოდ მოუწოდებდენ მას პაპი და სიგიზმუნდი ენერგიულ მოქმედებისაკენ მეამბოხეთა წინააღმდეგ. ვენცელი ყველაზე უფრო გონივრად სთვლიდა ისე მოქცეულიყო, თითქოს სრულიადაც ვერ ამჩნევს, რაც მის გარშემო ხდება.

ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ სიგიზმუნდი ომით დაემუქრა ძმას, თუ ის არ მიიღებდა ზომებს ჰუსიტურ არეულობის წინააღმდეგ. მუქარამ გასჭრა. ვენცელი გამოვიდა ჰუსიტების წინააღმდეგ და სცადა განდევნილ სასულიერო პირთა დაბრუნება. პრაგაში ამის გამო ჯჯანყებამ იფეთქა; მდაბიო ხალხის მასსებმა იან ჟიჟკას მეთაურობით ხელში ჩაიგდო ქალაქი (1419 წ. 30 ივლისს).

როდესაც თავის ციხე-დარბაზში, ვენცელშტეინში, შეხიზნულ მეფეს მოუვიდა ცნობა აჯანყების შესახებ ის საშინელმა ჯავრმა შეიპყრო და ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ ის გარდაიცვალა.

უმეფოდ დარჩენილი ბოჰემია ჰუსიტურ ერესის ქსელში იხლართებოდა.

IV. პარტიები ჰუსიტურ მოძრაობაში.

სანამ ბოჰემიაში ერესებს სდევნიდენ, მათში თავს იჩენდა მხოლოდ მათი ეროვნული და საეკლესიო მხარეები. მოსახლეობის მასსის, მისი სხვა და სხვა კლასსების წინაშე ერთი და იგივე ეროვნული მტერი იდგა; მათ სიძულვილის საერთო ობიექტი აერთიანებდა.

ეხლა კი ქვეყანამ უკუაგდო საერთო მტერი, „ღვთის წმიდა სიტყვამ" გაიმარჯვა; და აი ამ დროს აღმოჩნდა, რომ სხვა და სხვა კლასსებს თავისი ინტერესების შესატყვისად სხვა და სხვანაირად და ზოგჯერ ერთმანეთის წინააღმდეგი მნიშვნელობით ესმოდა ეს სიტყვა, თუმცა ცოტა ადრე მას ყველასათვის ერთნაირი შინაარსი ქონდა.

საერთოდ ჰუსიზმში ორი დიდი მიმდინარეობა გაჩნდა. თვითეული მათგანის და აგრეთვე კატოლიციზმის მცირე ნაშთის ცენტრი ბოჰემიაში ერთერთი იყო სამი ქალაქიდან: პ რ ა გ ა, ტ ა ბ ო რ ი და კ უ ტ ტ ე ნ ბ ე რ გ ი.

მაღაროების მფლობელ გერმანელებს კუტტენბერგში, ბოჰემიის უდიდეს და უძლიერეს ქალაქში პრაგის შემდეგ, სრული საფუძველი ქონდათ კათოლიკებად დარჩენილიყვნენ. არავინ არ ჰკარგავდა მათზე მეტს ჰუსიტების გამარჯვებისაგან. ამის გამო კატოლიციზმი არსად არ იყო იმდენად ფანატიკური, როგორც კუტტენბერგში. იქ დაუყოვნებლივ სჯიდენ სიკვდილით ყოველ ჰუსიტს, ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდათ,—და უვარდებოდათ კი ბლომათ. ბოჰემიელნი ირწმუნებოდენ, რომ კუტტენბერგელებს ჯილდოც ქონდათ დანიშნული ჰუსიტების დაჭერისათვის: სამოცი პრაგული გროში ჩვეულებრივი ერეტიკოსისათვის და სამასი — ერეტიკოს-ღვდლისათვის.

კუტტენბერგის გარდა, კიდევ დარჩა რამოდენიმე — ძალიან ცოტა — ქალაქი, სადაც გერმანელებმა ფეხი მოიკიდეს და სადაც ამიტომ მოსახლეობა კატოლიციზმის ერთგული დარჩა. ამ ქალაქთა უმრავლესობა, სხვათა შორის კუტტენბერგიც, ჰუსიტურ ომების დროს ხელში ჩაუვარდა ჰუსიტებს, რომლებმაც ჩეხურ ქალაქებად აქციეს ისინი. როდესაც კუტტენბერგი საბოლოოდ დაიკარგა კატოლიციზმის საქმისთვის (1422 წ.), კათოლიკურ პარტიის ცენტრი პ ი ლ ზ ე ნ ში გადავიდა.

ამ ქალაქების გარდა ძველი რელიგიის ერთგულება შეინარჩუნა კიდევ თავად-აზნაურთა მცირე რიცხვმა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ იმედი ქონდათ სხვაზე უკეთ მოეწყოთ თავისი საქმეები მეფის კართან, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ეზიზღებოდათ ჰუსიტთა შორის წარმოშობილი დემოკრატიული მიმდინარეობა.

მაგრამ თავად-აზნაურთა უმრავლესობა ჰუსიტთა საქმის ერთგული მოკავშირე იყო; მათ მიერ შთანთქული საეკლესიო ქონება ასაზრდოებდა ამ ერთგულებას. თავად-აზნაურობის, განსაკუთრებით უმაღლესის, იდეალი არისტოკრატიული რესპუბლიკა იყო მოჩვენებითი მეფის მეთაურობით. რადგან სიგიზმუნდი ამ როლისთვის არ ეარგოდა, თავად-აზნაურებმა პოლონეთში და ლიტვაში დაიწყეს ძებნა ადამიანის, რომელიც მათთვის სასურველ მეფედ გამოდგებოდა. მაგრამ არც ერთ ხელმწიფეს არ სურდა ამ კერების ბუდეში ჩავარდნილიყო.

პრაგელ მოქალაქეთა უმრავლესობაც არისტოკრატიულ პარტიის მხარეზე იდგა. მართალია, მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდო მდაბიო ხალხმა, რომელმაც მთელ რიგ აჯანყებით განდევნა ქალაქიდან გერმანელი პატრიციები და სამღვდელოება. საქალაქო საბჭოს გვერდით დაწესდა დიდი თემის საკრებულო, რომელშიაც ხმა ყველას ქონდა, ვისაც დამოუკიდებელი საარსებო წყარო გააჩნდა; რატომანებს (საქალაქო საბჭოს წევრებს), როგორც სჩანს, ეს საკრებულო ირჩევდა.

მაგრამ მალე პრაგაში ახალი უმაღლესი ბურჟუაზია ჩამოყალიბდა. მოქალაქეებმაც, როგორც თავად-აზნაურებმა, ისარგებლეს შემთხვევით რომ ეკლესიის ქონება გაეტაცათ. ნაძარცვი სიმდიდრე ისე დიდი იყო, რომ კარგა ხნის განმავლობაში ჩხუბისა და დავის საგანს წარმოადგენდა ორ თემს შორის, რომლისგანაც პრაგა შესდგებოდა, — ე. წ. ძველი და ახალი ქალაქის თემებს შორის. ჩამორთმეული ქონება, რომელიც იყიდებოდა, იყოფოდა, და იხარჯებოდა და ეკლესია—მონასტრებიდან გატაცებული სიმდიდრე,—ყოველივე ამან, უეჭველია, საკმაო მასალა მისცა გამდიდრებისა და ამაღლებისათვის ისეთ პირთ, ვისაც სპეკულიაციის ნიჭი ჰქონდა. ქ. კუტტენბერგის აღების შემდეგ მაღაროების ექსპლოატაცია პრაგელებს ჩაუვარდათ ხელში და მათი შემოსავლის მთავარ წყაროდ გადაიქცა. ამანაც ხელი შეუწყო მოხერხებულ სპეკულიანტების გამდიდრებას. ამგვარად შეიქმნა ჩეხების ახალი პატრიციატი, რომელსაც მალე თავად-აზნაურებთან საერთო სიმპატიები გაუჩნდათ და რომელიც ძლივს ითმენდა „დიდი თემის" ბატონობას.

მაგრამ პრაგის ხელოსანთა და თვით ხალხის დაბალ კლასებშიაც უნდა გაღვიძებულიყო მალე არისტოკრატიული სიმპატიები. პრაგა ფუფუნების ქალაქი იყო. პრაგის მრეწველობა და ვაჭრობა იმიტომ აყვავდა, რომ უმაღლესი თავად-აზნაურობა და სასახლის წრეები აქ ფლანგავდენ ყველაფერს, რასაც მთელი ქვეყნიდან სწუ-

რავდენ. აკი მოენატრათ რომაელებს ზაპი, თუმცა თვითონ განდევნეს იგი; ასევე პრაგელებმაც აღიარეს ნეფის ხელის უფლება და ექსპლოატატორი თავად-აზნაურობა აუცილებელ პირობად საზოგადოების არსებობისა. დემოკრატიული ელემენტი თემში სულ უფრო სუსტდებოდა, არისტოკრატიული—სულ უფრო ძლიერდებოდა. აჯანყებები, ინტრიგები და უცხოელთა ჩარევა ხან ერთ ამ ელემენტს აძლიერებდა, ხან მეორეს; მაგრამ, როგორც დემოკრატების მეგობარი, პრაგა ყოველთვის არასაიმედო მეგობარი იყო, როგორც მტერი კი—ყოველთვის ძალიან მკაცრი; ხოლო უკანასკნელ ჰუსიტურ ომების დროს ის მეოლოდ მტერი იყო დემოკრატიის.

პრაგელნი და ჰუსიტი—თავად-აზნაურნი, განსაკუთრებით უმაღლესი თავად-აზნაურნი, „ზომიერ პარტიას" შეადგენდენ, —„ზომიერი" ამ პარტიას ალბათ იმიტომ ჰქვიოდა, რომ მისმა წევრებმა არავითარი ზომა არ იცოდენ საეკლესიო ქონების კონფისკაციაში; მასვე ეწოდებოდა კალიქსტინელთა ანუ უტრაქვისტთა პარტია. [1])

მათ წინააღმდეგ გამოდიოდა მეორე მიმართულება, რომელსაც შეიძლება დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ეწოდოს მის შემადგენლობისა და საერთო ტენდენციების მიხედვით.

განსაკუთრებით მრავალი მიმდევარი ამ მიმართულებამ გ ლ ე ხ ობ ა შ ი იპოვა. გლეხობა მთელს ქვეყანაშიაც უდიდესი კლასი იყო-თავისი რიცხოვანებით.

ჰუსიტურმა რევოლიუციამ ღრმა უფსკრული გათხარა გლეხობასა და ფეოდალებს შორის. ჩამორთმეული მიწა-წყალი ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანდა თავად-აზნაურობას, თუ ეკლესიის გლეხები ხარკს არ გადაუხდიდენ მათ და საბატონო სამუშევრებზე ხელს აიღებდენ. მაგრამ ეს ხალხი იმისთვის კი არ ამხედრებულა ეკლესიის წინააღმდეგ, რომ ერთი ბატონის მაგიერ მეორე, უფრო მკაცრი ბატონი შეეძინათ. მათ სურდათ თავისუფალი მესაკუთრენი ყოფილიყვნენ. გლეხობის დანარჩენი ნაწილიც ასე ფიქრობდა. ზედა ფენებში დაწყებულმა რევოლიუციამ ქვედა ფენებშიაც გამოიწვია რევოლიუცია. იშლებოდა ყოველგვარი საზღვარი, რომელიც რამოდენიმედ მაინც იცავდა ანტაგონისტურ კლასსებს მტრულ შეტაკებისაგან: მოისპო ტრადიციები, რომელიც ერთჯერ შექმნილ ნორმებს უმორჩილებდა ფეოდალებსაც და გლეხებს; დაემხო მეფის ხელისუფლება, რომელიც გლეხებისა და ბარონების მორიგებას ცდილობდა შეძლე-

[1]) „კალიქსტინელი" ლათინურ calix-ისაგან წარმოსდგება, რაც ბარძიმს ნიშნავს; „უტრაქვისტები" კი იმიტომ ეწოდებოდათ, რომ ზიარებას ო რ ი ვ ე ს ა ხ ი თ იღებდან ან, ლათინურად sub utraque specie.

ბის დაგვარად. გლეხებმა გაიგეს, რომ თუ მათ ეხლავე არ მოსპეს თავად-აზნაურთა მთავრობის შექმნის შესაძლებლობა, თუ ეხლავე არ გასტეხეს მათი ძალა, მაშინ მათ განუსაზღვრელ მონობაში ჩავარდებიან. გლეხთა წინაშე არჩევანი იყო: სრული თავისუფლება ან სრული ბატონ-ყმობა.

გლეხებს წვრილი ბურჟუა და პროლეტარები თანაუგრძნობდენ; ჩვენ დავინახეთ, რომ ასე იყო ნაწილობრივ პრაგაშიაც; მაგრამ ამ მოვლენას განსაკუთრებით წვრილ ქალაქებში ქონდა ადგილი, სადაც მოხერხდა „პატრიციატის", უმაღლესი ბურჟუაზიის დაძლევა. ყოველი ასეთი ქალაქი გაცილებით უფრო სუსტი იყო პრაგაზე. მას სატახტო ქალაქსავით არ შეეძლო საკუთარი ძალღონით გამკლავებოდა ექსპლოატაციის უსაზღვრო წყურვილით შეპყრობილ ძლიერ თავად-აზნაურობას. გერმანიის საიმპერატორო ხელის უფლების უძლურებამ ამაზე ადრეც აიძულა ქალაქები გაერთიანებულიყვნენ კავშირებში ავაზაკურ თავად-აზნაურობისაგან თავის დასაცავად; ასე მოიქცენ ეხლა ბოჰემიის წვრილი ქალაქებიც,—გარდა იმ რამოდენიმე ქალაქისა, რომელიც კატოლიციზმის ერთგული დარჩა.

წვრილი აზნაურობა, რომელსაც ეკონომიურად საშუალო მდგომარეობა ეპირა გლეხებსა და უმაღლეს თავად-აზნაურობას შორის,—როგორც ეხლა წვრილ ბურჟუაზიას უკავია კაპიტალისტებსა და პროლეტარებს შორის,—იმდენადვე მერყევი და არა საიმედო იყო, როგორც ამჟამად წვრილი ბურჟუაზიის მასსებია. წვრილი აზნაურნი, რომელნიც მსხვილ გლეხებზე მხოლოდ ოდნავ უფრო მაღლა იდგენ, თვითეული ამ მოპირდაპირე ძალთაგანის გამარჯვებით რამეს იძენდენ და ამავე დროს რამეს ჰკარგავდენ. გლეხთა განთავისუფლება მათ ემუქრებოდა ხარკისა და საბატონო სამუშევრების გაუქმებით და მაშასადამე მათი შემოსავლის შემცირებით; მაგრამ მეორეს მხრით უმაღლესი თავად-აზნაურობის დამარცხება გაანთავისუფლებდა მათ ძალიან საშიშარ მეტოქეებისაგან რომელნიც რაც დრო მიდიოდა სულ უფრო აჩაგრავდენ მათ; უმაღლესი თავად-აზნაურების გაძარცვა იმდენადვე სასურველი იყო მათთვის, რამდენადაც გლეხებისათვის. და აი წვრილი აზნაურობის ერთი ნაწილი არისტოკრატიულ პარტიას მიემხრო, მეორე—დემოკრატიულს, მაგრამ უმრავლესობა ხან იქეთ გადაიხრებოდა ხან აქეთ იმისდა მიხედვით, თუ საიდან იყო მოსალოდნელი ამა თუ იმ მომენტში გამარჯვება და დავლა.

იმ რაინდთა შორის, რომელთაც ბოლომდე შეინარჩუნეს დემოკრატიული პარტიის ერთგულება, ყველაზე გამოჩენილი იყო უკვე

ნახსენები ჟიჟკა ტროცნოველი; ის პოლონელებისა და თურქების წინააღმდეგ იბრძოდა, როგორც დაქირავებული მეომარი და შემდეგ— ფრანგების წინააღმდეგ ინგლისელების სამსახურში. თავისი სამხედრო გამოცდილება მან დემოკრატიულ საქმეს მოახმარა და დემოკრატების ყველაზე უფრო ცნობილი და ძლევამოსილი წინამძღოლი გახდა. დემოკრატებს, რომლებმაც შეუდარებლად ძლიერი არმია შეჰქმნეს, რაზედაც ჩვენ ეხლა გვექნება ლაპარაკი, ჟიჟკა მიემხრო როგორც ჯარისკაცი, და არა როგორც პოლიტიკოსი. როგორც პოლიტიკოსს, მას, მრავალ სხვა რაინდთა და პრაგის წვრილ ბურჟუაზიის უმრავლესობის მზგავსად, საშუალო მდგომარეობა ეჭირა დემოკრატებსა და კალიქსტინელთ შორის.

ჟიჟკას სიკვდილის შემდეგ მისი პირადმა მიმდევრებმა შეადგინეს საშუალო პარტია ე. წ. „ობოლთა“ პარტია,—ეს სახელწოდება იმას გამოსთქვამდა, რომ მათ დაჰკარგეს თავისი მამა, ჟიჟკა დემოკრატებმა ტაბორიტების სახელი მიიღეს,— ქალაქ ტაბორისაგან, რომელიც მათ პოლიტიკურ და სამხედრო ცენტრს წარმოადგენდა. მოწინავე მებრძოლნი დემოკრატიულ მოძრაობაში კომუნისტები იყვნენ.

V. კომუნისტები ტაბორში.

ბოჰემიაშიც, როგორც ყველგან, საქონლის წარმოებისა და საქონლით ვაჭრობის განვითარებასთან ერთად კომუნისტური იდეები გაჩნდა. მატყლის მრეწველობის ზრდამ, რაც მე-XIV-ს. პირველად პრაგაში, იგლაუში და პილზენში დაიწყო, სჩანს, ხელი შეუწყო ამ იდეების ჩამოყალიბებას და გავრცელებას.

უკვე 1337 წელს ვხვდებით ჩვენ პრაგაში მემაუდე—ქარგლებს, რომელნიც დამოუკიდებლად ამზადებდენ მაუდს. მაშასადამე, უკვე მაშინ არსებობდენ, როგორც სჩანს, შედარებით მსხვილი მრეწველნი, რომელთა მიმართ ქარგლებს შინა-მრეწველობის მუშათა მდგომარეობა ეჭირათ. (Hildebrand, zur Geschichte der deutschen Wollenindustrie, op. cit. გვ. 104).

გარედანაც მომდინარეობდა კომუნისტურ იდეების გავლენა. ბოჰემიაში ალაგ-ალაგ ბეგჰარდები ცხოვრობდენ (აქ მათ პიკარდები ეწოდებოდა). გერმანელ ხელოსანთა გადმოსახლებამ, რაზედაც ასე ზრუნავდენ ბოჰემიის მეფეები, ხელი შეუწყო ბეგჰარდთა გავრცელებას.

სჩანს, ჯერ კიდევ პირველი დევნის ხანაში შემოხიზნულან ისი-

ნი სამხრეთ საფრანგეთიდან და აქ, ბოჰემიაში, იფარავდენ თავს და ავრცელებდენ თავის მოძღვრებას[1]).

იმ დროს, როდესაც ბოჰემიასა და პაპის ეკლესიას შორის მტრობა ჩამოვარდა და როდესაც ეკლესიის მოწინააღმდეგეებს არათუ ითმენდენ, არამედ პირდაპირ მფარველობასაც უწევდენ ბოჰემიაში, ამ დროს, ცხადია, კომუნისტური ერესიც აღორძინდა და მეზობელ ქვეყნებიდან დევნილი კომუნისტები ბოჰემიაში ეძებდენ შველას. კომუნიზმს მით უფრო ადვილად შეეძლო განვითარება, რომ ერთის შეხედვით ის სავსებით ეთანხმებოდა სხვა ერეტიკულ მიმართულებებს არგუმეტაციით და ხშირად მოთხოვნილებებითაც: ყველა ეს მიმართულება მოითხოვდა პირვანდელ ქრისტიანობისკენ დაბრუნებას და ქრისტიანული მოძღვრების აღდგენას მისი წმინდა სახით; კამათი ამ მოძღვრების სხვა და სხვანაირ გაგებასთან დაკავშირებით მხოლოდ უფრო გვიან დაიწყო.

როდესაც ეკლესიამ და სახელმწიფომ, იან ჰუსის დაწვით, რომი გაბოუცხადა ბოჰემიას, ამას შედეგად მოჰყვა საზოგადოებისა და საკუთრების ტრადიციონულ წყობილების მოსპობა საეკლესიო ქონების კონფისკაციით და გაძარცვით. სწორეთ მაშინ დადგა დრო კომუნისტურ სექტების გამოსვლისათვის. მათ აშკარად წამოჰყვეს თავი. მანამდე ისინი ძლივს აჩანაგებდენ თავის სიცოცხლეს, დამალულნი და უცნობნი, და მხოლოდ რომელიმე ამხანაგის ღალატი ამცნობდა ქვეყანას მათს არსებობას[2]). თუმცა ეს სექტები ამ პირობებშიაც ძლიერ გავრცელდენ მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ გამოირკვა, როდესაც ისინი საქვეყნოდ გამოვიდენ.

რა თქმა უნდა, პრაგაში კომუნისტები ძალიან სუსტი იყვნენ,—ან მათი მოწინააღმდეგენი იყვნენ მეტად ძლიერნი,—ამიტომ აქ მათ არ შეეძლოთ ფრთის გაშლა, მაგრამ სხვა მდგომარეობა იყო პატარა ქალაქებში.

დადგა ქრისტეს ათასწლოვანი სამეფო,—ამცნობდენ ქვეყნიერებას კომუნისტი—მქადაგებელნი.

---

[1]) F. Bender, Geschichte der Waldenser, გვ. 46 და შემდ.

[2]) მე-XIV საუკუნის დამლევში (ბ ე ნ დ ე რ ს „ეავის„ ვალდენელთა ისტორიაში", გვ. 47, საიდანაც ეს ცნობები მოგვყავს, უფრო სწორი დატა აღნიშნული არ აქვს; მაგრამ, ეჭვი არაა, ეს ჯერ კიდევ კარლოს IV დროს მოხდა) პიემონტის ველიდან, სადაც ჯერ კიდევ არსებობდა ვალდენელთა თემები, ბოჰემიაში, ამ ქვეყნის ვალდენელებთან მოვიდა ორი ქადაგი; იტალიელნი. ორივე მოღალატე აღმოჩნდა; მათ უჩვენეს კათოლიკურ სამღვდელოებას ადგილი, სადაც ვალდენელნი იკრიბებოდენ და ამგვარად სასტიკი დევნა დააწიეს თავის ამხანაგებს.

პრაგას, როგორც სოდომს, შთანთქავს ციდან მოვლენილი ცეცხლი; მაგრამ მართალნი სხვა ქალაქებში ჰპოვებენ მფარველობას და ნეტარებას. მოვა ქრისტე თავისი დიდებით და შეჰქმნის სამეფოს, რომელშიაც არ იქნება არც ბატონი, არც ყმა, არც ცოდვა და გაჭირვება და არც კანონი არავითარი, გარდა თავისუფალ სულის კანონებისა. ვინც ამ დრომდე მოატანს სამოთხისებურ უმანკოებას დაუბრუნდება, მას არ ეცოდინება ხორციელი ტანჯვა და მოთხოვნილება.[1])

სხვა და სხვა ქალაქში კომუნისტური ორგანიზაციები გაჩნდა. ჩვენ ვერ ვიპოვეთ ცნობები იმის შესახებ სოფლებშიაც არსებობდა თუ არა კომუნისტური ორგანიზაციები. როგორც სჩანს მხოლოდ ქალაქებში მიდგა საქმე კომუნისტურ იდეების განხორციელებამდე. ასეთი ქალაქებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პიზეკი, ვოდნიანი და ტაბორი. უკანასკნელში კომუნისტები განუსაზღვრელად ბატონობდენ.

ტაბორი დაარსდა ქ. აუსტის ახლო მდინარე ლუჟნიკზე, სადაც, როგორც აღვნიშნეთ, ოქროს რეცხვა სწარმოებდა. რა საკვირველია, ოქროს მრეწველობას ხელი უნდა შეეწყო აუსტიში ვაჭრობა-მრეწველობისა და მათთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა განვითარებისათვის. დანამდვილებით ცნობილია, რომ 1415 წლიდან აუსტიში კომუნისტ-აგიტატორებს მფარველობას უწევდა ერთი მაუდის მდიდარი მწარმოებელი და მაუდით მოვაჭრე, გვარად პიტელი: ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ რომ მოქალაქეთა შორის მრავალი ფეიქარი ყოფილა. ტაბორის უფრო გვიანდელი მცხოვრებლებიც მეტ წილად ფეიქრები იყვნენ; ამის შესახებ ცნობა მოიპოვება ენეას სილვიუსის ერთ წერილში, რომელზედაც შემდეგ შევჩერდებით. 1419 წელს, რეაქციის მოკლე პერიოდში ვენცელის დროს, ეს აგიტატორები განდევნილ იყვნენ აუსტიდან, რომელშიაც ძლიერი კათოლიკური პარტია არსებობდა. ისინი დასახლდენ აუსტის ახლო მდინარე ლუჟნიკის პირას, ფართო მაღლობზე, რომელიც მდინარეში შეჭრილ ციცაბო კალთებიან ნახევარ-კუნძულს წარმოადგენდა, ვიწრო ყელით შეერთებულს კონტინენტთან. ეს თითქმის მიუწვდომელი ადგილი მათ ციხეთ აქციეს და სახელად უწოდეს მას ძვე-

---

[1]) Palacky, op. cit. III, 2, გვ. 81. მთავარი წყარო, რომლიდანაც პალაცკი ამოკრეფილი აქვს ცნობები ტაბორის კომუნისტების შესახებ, დაცულია, სამწუხაროდ, მხოლოდ ხელთნაწერის სახით. ეს არის 1429 წლის პოლემიკური თხზულება ჯ. Pribram-ისა ტაბორიტელ ღვდლების წინააღმდეგ: „Proti kněžím Táborckim".

ლი აღთქმის ენაზე.—რომელსაც ისევე დიდათ პატივს სცემდენ, როგორც შემდგომი დროის გარდამნათველი და პურიტანები,—ტ ა ბ ო რ ი ს მთა. ყოველ მხრიდან მოილტვოდენ ტაბორისკენ კომუნისტები, რათა დაუბრკოლებლად ემართათ აქ თავისი კრებები. ერთს ასეთ კრებას, 1419 წლის 22 ივლისს, როგორც გადმოგვცემენ, 42.000 კაცი დასწრებია ბოჰემიიდან და მორავიიდან ჩამოსული. მარტო ეს მოწმობს, თუ რა დიდათ ყოფილა გავრცელებული კომუნისტური იდეები.

„თვით კომუნისტთა მოწინააღმდეგენი აგვიწერენ ამ დღეს, როგორც დიადს, სულისა და გულის ამამაღლებელ რელიგიურ-იდილლიურ სახალხო დღესასწაულს. ყოველ მხრიდან მომდინარე პილიგრიმების გუნდებს, რომელნიც მწყობრი პროცესსიებით ამოდიოდენ წმ. ბარძიმით და დროშებით ხელში, ასეთივე ზეიმით ეგებებოდნენ წინ უკვე მოსულნი, აღტაცებით ესალმებოდენ და ადგილს უჩენდენ მთაზე. ყოველი მოსული „ძმა“ ან „და“ იყო, განურჩეველად წოდებისა, სასულიერო პირებმა შრომა გაინაწილეს: ერთნი ქადაგობდენ გარკვეულ ადგილას, ცალ-ცალკე მამაკაცებისა და დედაკაცებისათვის; მეორენი აღსარებას იღებდენ; მესამენი აზიარებდენ ორივე სახით. ასე გრძელდებოდა შუა-დღემდის. შუადღეს კი დაიწყო სადილი იმ სურსათით, რომელიც სტუმრებმა თან მოიტანეს და ერთმანეთში გაინაწილეს; სურსათის ნაკლს სტუმართა ერთ ნაწილში მეორე ნაწილის ნაჭარბი ავსებდა. ტ ა ბ ო რ ი ს მ თ ი ს ძ მ ე ბ მ ა დ ა დ ე ბ მ ა ა რ ი ც ო დ ე ნ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა „ჩ ე მ ს ა“ დ ა „შ ე ნ ს“ შ ო რ ი ს. რადგან კრების ყველა წევრის გული რელიგიური გრძნობებით იყო სავსე, კეთილი ზნეობა და ზრდილობა ოდნავადაც არ შელახულა; მუსიკის და ცეკვა-თამაშის ხსენებაც არ იყო. დღის დანარჩენი ნაწილი მათ საუბარში გაატარეს: ახალისებდენ ერთმანეთს ერთსულოვნებაში, ურთიერთ სიყვარულში და „წმიდა ბარძიმისადმი“ ერთგულებაში; ჰკვმობდენ მოწინააღმდეგეთა პარტიას და გატაცებით მსჯელობდენ იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა დაებრუნებიათ ქვეყნისათვის „ღვთის სიტყვის“ თავისუფლება. დასასრულ, ერთმანეთს შორის შეკრებილი ფულით უხვად აუნაზღაურეს ზარალი გათელილ ყანების პატრონებს და შშვიდათ დაიშალნენ.“

რვა დღის შემდეგ პრაგაში მოხდა აჯანყება, რომელმაც ბოლო მოუღო კათოლიკურ რეაქციას, ვენცელის სიკვდილი გამოიწვია და ჰუსიტურ ომების პრელიუდიად გადაიქცა. საქმე უბრალო დემონ-

[1] Palacky. op. cit., III, I, გვ. 417 და შემდ.

სტრაციებით და კომუნისტური პიკნიკებით არ გათავებულა. შეუდგენ კომუნისტურ თემების ორგანიზაციას.

ტაბორიტების პრინციპები გარკვეით გამოთქმულია ერთს თხზულებაში, რომელიც პრაგის უნივერსიტეტმა შეადგინა. თანახმად იმ დროის ჩვეულებისა, პრაგელებსა და ტაბორიტებს შორის ანტაგონიზმის მოსასპობად უნდა გამართულიყო დისპუტი (1420 წ. 10 დეკემბერს). ამ მიზნით პრაგის უნივერსიტეტის პროფესორებმა შეადგინეს საგანგებო მოხსენება ტაბორიტთა მოძღვრების შესახებ. მოხსენება აღნიშნავდა 76 პუნქტს, რომელშიაც, მათი აზრით, ტაბორიტების მოძღვრება ერეტიკული, ან ყოველ შემთხვევაში, შემცდარი იყო. რა თქმა უნდა ამ თეზისების მეტი ნაწილი, ბატონ პროფესორთა გემოვნებისა და მაშინდელ აზროვნების ფორმის შესაფერისად, ღვთისმეტყველებითი ხასიათის იყო. მაგრამ ორ თეზისში გამოთქმულია საყვედური ტაბორიტთა რესპუბლიკანიზმისა და კომუნიზმის გამო. ტაბორიტები ქადაგობდენ:

„და მაშინ არ იქნებიან დედამიწაზე არც მეფენი, არც ბატონები, არც ქვეშევრდომნი, მოისპობა ყოველგვარი გადასახადი და ხარკი, შეუძლებელი იქნება ვისიმე იძულება, რადგან ყველა თანასწორი იქნება, როგორც დანი და ძმანი.

„როგორც ქალაქ ტაბორში არ არსებობს „ჩემი“ და „შენი“ და ყოველივე საერთოა, ისე მომავალშიაც ყველაფერი საერთო უნდა იქნეს; არავის არ უნდა ექნეს საკუთრება, ხოლო ვისაც აქვს, ის მომაკვდინებელ ცოდვას სჩადის“.

აქედან მათ ის დასკვნა გამოჰყავდათ, რომ ამიერიდან მეფე არ უნდა არსებობდეს, მეფის არჩევა საჭირო არ არის და მართვა-გამგეობა ხალხს უნდა გადაეცეს; რომ უნდა მოისპოს ყველა ბატონები, კეთილშობილნი და რაინდები; რომ უნდა მოისპოს ყოველგვარი სათავადო, საერობო, საქალაქო და საგლეხო სამართალი, როგორც ადამიანთა გამოგონება და არა ღვთის საქმე, და სხვა.

წმინდა საეკლესიო პუნქტები სხვათა შორის შემდეგ მოთხოვნილებებს შეიცავენ: ყველა ტაძრების განადგურება; ტაძრებში ღვთის მსახურების აკრძალვა; წმინდანთა ხატვის და ხატებისადმი თაყვანისცემის აკრძალვა; სულთა სალხინებელის დოგმატის უარყოფა და სხვა. ტაბორიტები ჰგმობდენ აგრეთვე სწავლულობას (ან, თუ გნებავთ, მეცნიერებას):

„ქრისტიანებმა არ უნდა იწამონ ან აღიარონ რაიმე ისეთი, რაც გარკვეით არ სწერია ბიბლიაში და, ბიბლიის გარდა, არ შეიძლება არც კითხვა, არც სწავლა, არც ქადაგება არავითარ სხვა

თხზულებისა: არც წმიხდანთა, არც დოქტორების ან რომელიმე მაგისტრის (პროფესსორის) თუ საერო ბრძენთა ოხზულებებისა, რადგან ისინი ადამიანებია, რომელთაც შეცდომა სჩვევიათ. ამიტომ ის ადამიანი, რომელსაც შვიდი ხელოვნება შეუსწავლია ან ამ ხელოვნებათა მაგისტრი გამხდარა ის წარმართის მზგავსია, ის ამაოების კაცია და მომაკვდინებელ ცოდვას იდენს". ამ მოძღვრებამ განსაკუთრებით აღაშფოთა ბატონი პროფესსორები. სხვა გზის ჩვენ უკვე შეეჩერდით ქრისტიანულ კომუნისტების დამოკიდებულებაზე მეცნიერებასთან და ავხსენით ეს მოვლენა.

რა თქმა უნდა, კომუნიზმი იმ ფორმით უნდა განხორციელებულიყო, რომელიც პირვანდელ ქრისტიანობას გადმოუცია და რომელიც იმ დროის წარმოების ხასიათს შეეფერებოდა.

ყოველ თემს საერთო სალარო ქონდა, რომელსაც „კადი" (kadé) ეწოდებოდა; თემის ყოველ წევრს ამ სალაროში უნდა შეეტანა ყველაფერი, რასაც თავის საკუთრებად სთვლიდა. საბუთებში მოხსენებულია სამი სალარო: ერთი ტაბორში, მეორე პიზეკში და მესამე ვოდნიანში. ძმები და დები ჰყიდიდენ მთელ თავის ქონებას და ფული სალაროში შემოქონდათ.

ხსენებული პრიბრამი შემდეგს სწერდა ტაბორიტების წინააღმდეგ დაწერილ თავის 1429 წლის თხზულებში:

„კიდევ ერთი ოინი გამოიგონეს მათ (ტაბორიტთა ღვდლებმა): მთაზე მათთან მოსულ ხალხს ისინი უბრძანებდენ ქალაქ პიზეკში, რომ ყველას ჩამოეწყო თავისი ნივთები; შემდეგ გამოჰქონდათ ერთი ან ორი კადი და აავსებდენ მას თავამდის. ამ სალაროს გამგე იყო უსინიდისო მათე ლაუდა პიზეკიდან; ის და სხვა სალაროს ზედამხედველნი, ღვდლებთან ერთად, არც თუ დიდათ ზარალობდენ სალაროს მოვლა-პატრონობისაგან. ამ საზიზღარ საქმიდან სჩანს, თუ რა ურცხვად ართმევდენ ისინი ხალხს მის ქონებას და შემოსავალს და როგორ მდიდრდებოდენ და სუქდებოდენ ისინი ამით".

თვით პალაცკი თანახმაა, რომ ეს საზიზღარი ცილისწამებაა.

ბობოლა ექსპლოატატორებს და მათ დამცველთ, რომელთა რიცხვს ეს ყოჩაღი პრიბრამიც ეკუთვნოდა, სჩანს უკვე ხუთასი წლის წინად, როგორც დღეს, კარგათ ემარჯვებოდათ ჩაგრულთა ბელადებზე ჭორის გავრცელება, თითქოს ისინი „მშრომელთა გროშებით" სუქდებიან, და მართლაც რომ „გასუქებულ" ექსპლოატატორებს მაშინაც ისევე კარგათ ეხერხებოდათ აღშფოთება მუშათა გროშებით გასუქების გამო, როგორც ამჟამად.

მაგრამ, რა რიგ პატიოსანი და უანგარო არ უნდა ყოფილიყვ

ნენ ამ სალაროების გამგენი. კომუნიზმის ეს სახე დიდ ხანს ვერ იხეირებდა. ტაბორიტებთან მისი გამძლეობა უფრო ნაკლებიც უნდა ყოფილიყო, ვიდრე პირვანდელ ქრისტიანებთან: ტაბორიტთა მთავარ ნასსას შეადგენდენ არა პროლეტარები მათხოვრული სულისკვეთებით, არამედ მუშები რომელნიც არსებობდენ და სურდათ არსებობა საკუთარი შრომით და არა მდიდართა წყალობით. იმ დროს, როდესაც წარმოება ხელოსნობისა და წვრილი მიწათმოქმედების საფეხურზე იდგა, პროდუქტიული შრომა შეუძლებელი იქნებოდა, ყველას რომ გაეყიდა თავისი საწარმოო საშუალებანი და ფული საერთო სალაროში შეეტანა მოხმარების საშუალებათა შესაძენად. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ამგვარ პრაქტიკას საყოველთაო ხასიათი ქონდა როდისმე ტაბორში: ეკვი არაა, რომ იგი მალე უარყვეს. ნამდვილად კომუნიზმს მათთან იგივე ფორმა ქონდა, რაც პირველ ქრისტიანებთან: ყოველი ოჯახი თავისთვის მუშაობდა და მხოლოდ ზედმეტი (ნაჭარბი) პროდუქტი შეჰქონდა საერთო სალაროში.

მაგრამ ასეთი კომპრომისიც ერთსულოვნად როდი იყო მიღწეული; მან პროტესტი გამოიწვია ზოგიერთ რადიკალურ კომუნისტების მხრით. რა თქმა უნდა, იმ დროის პირობებში მარტო მოხმარების საშუალებებზე სათემო საკუთრების სხვა რომელიმე ფორმის განხორციელება შეუძლებელი იყო, ან, თუ შეიძლებოდა, –მხოლოდ მცირე ხნით. ამიტომ უკიდურესი კომუნისტები მოითხოვდენ სრული კომუნიზმის შემოღებას და ოჯახის მოსპობას. უკანასკნელი შესაძლებელი იყო ორნაირად: ცელიბატის (უქორწინობის) შემოღებით ან მკვიდრი მონოგამიური ქორწინებისა და ოჯახის გაუქმებით, ე. ი. დედაკაცთა საზიარობის (ერთობის) შემოღებით. უკიდურესმა კომუნისტებმა უკანასკნელი ფორმა არჩიეს, რადგან უკვე მათი მტრობა კათოლიკურ ეკლესიასთან და ბერობასთან ქმნიდა მათში სიძულვილს ცელიბატისადმი.

იმ დროის ეკონომიურ განვითარების საფეხურზე ასეთი დასკვნა კომუნიზმიდან ჩვენთვის არ წარმოადგენს რაიმე ახალს. ჩვენ ამ მოვლენას შევხვდით პირვანდელ ქრისტიანობაში; როდესაც მონასტრულ კომუნიზმზე ვლაპარაკობდით ჩვენ ის უფრო დაწვრილებით განვიხილეთ და დავრწმუნდით, რომ დედაკაცთა საზიარობა, როგორც აგრეთვე ბერ-მონაზონთა ცელიბატი, იყო არა „შეცდომა“ ადამიანის გონებისა, არამედ აუცილებელი შედეგი გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობისა.

უკიდურეს კომუნისტთა მისწრაფებანი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა „თავისუფალი სულის დან-ძმათა“ სექტაში, რომელსაც ჩვენ

ხემოთ გავეცანით. ეს სექტა ბოჰემიაშიაც გაჩნდა, და როდესაც იქ პიკარ-დებზე (ბეგჰარდებზე) ლაპარაკობდენ, მხედველობაში ჰყავდათ თითქ-მის მარტო ამ სექტის წარმომადგენლები. ამ სექტის მოძღვრების მთავა-რი მქადაგებელი იყო გლეხი ნიკოლოზი (ნიკოლაი); ამიტომ „თავისუ-ფალი სულის დან-ძმათა“ სექტის ჰუსიტურ ნაწილს ნ ი კ ო ლ ა ი-ტ ე ბ ს უწოდებდენ. მაგრამ განსაკუთრებით ცნობილი იყო ამ სექ-ტის ის წარმომადგენლები, რომელთაც ა დ ა მ ი ტ ე ბ ი ეწოდებო-დათ: ადამიტურ მდგომარეობას,—მე-XVIII საუკუნეში „ბუნებრივ მდგომარეობას“ იტყოდენ.—ისინი უყურებდენ როგორც სამოთხისე-�sური უმანკოების ვითარებას. გადმოგვცემენ, რომ თავის საკუთებუ-ლო ადგილებში, რომლებსაც პარადიზები ჰქვიოდა (პარადიზ-სამოთ-ხე). ისინი შიშველნი მოდიოდენ. ჩვენ ვერ ვიტყვით დანამდვილებით უბრალო ჭორზეა დაფუძნებული ეს ცნობა თუ განზრახ ცილისწამე-ბაზე.

ადამიტები ცხოვრობდენ მდინარე ლუენიკის ერთ კუნძულზე,— მოგვითხრობს ენეას სილვიუსი. დადიოდენ შიშველნი. ყოველთვის ასე დადიოდენ, თუ რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევებში,—ამას, სამწუ-ხაროდ, არ გვეუბნება. „ისინი ცოლთა საზიარობაში ცხოვრობდენ (connubia eis promiscua fuere); მაგრამ მათ აკრძალული ქონდათ დედაკაცთან კავშირის დაჭერა მამასახლისის, ადამის, ნებადაურთვე-ლად. როდესაც ვინმე მათგანს დედაკაცთან კავშირის დაჭერა მოე-სურვებოდა, ის წაიყვანდა ქალს მამასახლისთან და იტყოდა: „ამ ქა-ლის სიყვარულით ამენთო გული“-ო. მამასახლისი უპასუხებდა: „წა-დით, განაყოფიერდით, გამრავლდით და მოაშენეთ დედა-მიწა“-ო [1].

ასეთი უარყოფა ქორწინების და ოჯახისა სრულიად არ ეგუე-ბოდა მე-XV საუკუნის ზნეობრივ შეხედულებებს; იმ დროის წარმო-ების წესი და სხვა საზოგადოებრივი პირობები მოითხოვდა მონოგა-მიურ ქორწინებას და ოჯახს, ამ ძველის დროიდან გადმოცემულს და საზოგადოებრივ შეგნებაში ღრმად ჩანერგილ ინსტიტუტს. ქორ-წინების და ოჯახის უარყოფა იმ დროინდელი კომუნიზმის ლოგიკუ-რი შედეგი იყო; და თუ ის საზოგადოებრივ შეგნებაში ვერ თავსდე-ბოდა, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელი იყო, რომ თვით კომუნიზმს არ გააჩნდა საძირკველი საზოგადოებრივ წესწყობილებაში; სწორეთ აქ არის იმის საბუთი, რომ იმ დროის კომუნიზმი მცირე კორპორაციე-ბისა და თემების ვიწრო ფარგლებით შეზღუდული უნდა დარჩენი-ლიყო. ტაბორიტთა მასსა უმკაცრესად წინაღუდგა უკიდურესი კომუ-ნიზმის იდეებს.

[1]) A e n e a s S y l v i u s. op. cis. გვ. 109.

აშკარა კონფლიქტი ამ ორ მიმართულებას შორის მოხდა უკვე 1421 წლის გაზაფხულზე. 29 იანვარს ერთმა რაინდმა შეიპყრო ღვდელი მ ა რ ტ ი ნ ე კ ჰ ა უ ს კ ა, ერთერთი წარმომადგენელი უკიდურეს კომუნიზმისა, [1] მაგრამ თავისი მეგობრების რჩევით ისევ გაანთავისუფლა. წინანდელზე უფრო მხურვალედ დაუბრუნდა მარტინეკი თავისი მოძღვრების ქადაგებას, და მის მიმდევართა რიცხვი ისე სწრაფად გაიზარდა, რომ ტაბორიტთა ეპისკოპოზმა, ნიკოლოზმა, პრაგას მიმართა დახმარებისათვის. მაგრამ კომუნისტურმა ერესმა პრაგაშიაც იპოვა ნიადაგი. ქალაქის საბჭომ დაუყოვნებლივ მიიღო სასტიკი ზომები მის წინააღმდეგ და, იმ დროის მშვენიერ ჩვეულების თანახმად, სიკვდილი მიუსაჯა—დასწვა ორი მოქალაქე ერეტიკოსობისათვის. ამავე დროს ტაბორში სრული განხეთქილება მოხდა ორ მიმართულებას შორის; უმცირესობაში დარჩენილი უკიდურესი კომუნისტები, 300 კაცამდე, განდევნილ იქნენ ტაბორიდან; ისინი ტყეში შეიხიზნენ, მდინარე ლუჟნიკის მიდამოებში.

მარტინეკმა დასთმო და უარჰყო თავისი „ერესი". მაგრამ მისი ამხანაგები ვერ დაიყოლიეს. მათ წინააღმდეგ გამოვიდა ჟიჟკა, რომელიც გულში პრაგელებს თანაუგრძნობდა; ტაბორიტების მიერ დაგმობილ „პიკარდულ"ერესს უდიდესი ზიზღი უნდა გამოეწვია მასში. ჟიჟკა თავს დაესხა „პიკარდებს" ტყეში და რამოდენიმე მათგანი ტყვედ წამოიყვანა. როდესაც მათ კატეგორიულად უარჰყვეს „შეცდომის" ცნობა, ისინი ორმოცდაათი კაცი—დასწვეს ჟიჟკას ბრძანებით. მოცინარე სახით ავიდნენ ისინი კოცონზე.

მარტინეკმა კი, რომელიც ეხლა ცუდათ გრძნობდა თავს ტაბორიტთა შორის მორავიაში წასელა განიზრახა. მაგრამ გზაზე, ხრუდიუმში, იგი შეიპყრეს მის თანამგზავრ პროკოფ ცალთვალასთან ერთად და რაუდნიცის არქიეპისკოპოზს მიჰგვარეს. ჟიჟკას სურდა, რომ ტუსაღები პრაგაში გაეგზავნათ და იქ დაეწვათ სამაგალითოდ. მაგრამ პრაგის რატმანებს (ქალაქის საბჭოს წევრებს) ეშინოდათ მდაბიო ხალხის, რომელშიაც მარტინეკის მიმართულებას მრავალი მიმდევარი ჰყავდა. ამიტომ მათ გაგზავნეს რაუდნიცში ჯალათი, რომელმაც იქამდის აწამა ტუსაღები, სანამ რამოდენიმე პრაგელი ამხანაგის სახელი არ ათქმევინა. ამის შემდეგ მარტინეკი და პროკოფი კასრებში ჩასჭედეს და დასწვეს (1421 წ. 21 აგვისტოს).

მაგრამ პიკარდთა ერესი ვერ მოსპეს. ადამიტების ერთი ჯგუფი მდინარე ნეჟარკის ერთ კუნძულზე გამაგრდა. ჟიჟკამ გაგზავნა მათ

[1] სხვათა შორის ის ცდილობდა ძმათა საზოგადო ტრაპეზები შემოეღო პირველ საეკუნეთა ეკლესიის მზგავსად.

წინააღმდეგ 400 შეიარაღებული კაცი. ადამიტები მედგრად იცავენ თავს; მრავალი თავდამსხმელი მოჰკლეს კიდეც, მაგრამ ბოლოს დამარცხდენ, რადგან მოწინააღმდეგეს მეტი ძალა ჰყავდა. ვინც მახვილს გადაურჩა, დაიღუპა ცეცხლში (1421 წ. 21 ოქტომბერს).

ამგვარად კომუნიზმის უკიდურესი მიმართულება საბოლოოდ დამარცხდა. ის გარემოება, რომ მას ასეთმა უმნიშვნელო სამხედრო ძალამ მოუღო ბოლო, მოწმობს იმას, რომ ეს მიმართულება დიდი არ იყო არც რაოდენობითად და არც გავლენით. და, მართლაც, მხოლოდ ძალიან მცირე რიცხვს მეტის მეტად გაბედულ ან მეტის მეტად ცალმხრივად გატაცებულ ადამიანებისას შეეძლო ასე შორს გადაელახა თავისი დროის ფარგლები. ეს მოვლენა ძალიან საინტერესოა კომუნისტურ იდეების ისტორიისათვის, მაგრამ ისტორიული მნიშვნელობა მას არ ქონდა.

ადამიტები დამარცხდენ და უძლური იყვნენ. მაგრამ ჟიჟკან, რომელიც განსაკუთრებული სიძულვილით სდევნიდა მათ, ვერ შესძლო მათი სრული განადგურება. სექტის ნაშთი კიდევ არსებობდა ტაბორიტებს შორის. მე-XV საუკუნის უკანასკნელ წლებში მან კვლავ აიმაღლა თავი და სცადა გაერთიანება ბოჰემიელ ძმებთან, რომელთა შესახებ შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

ადამიტთა დამარცხების შემდეგ ტაბორში არ გამეორებულა კომუნიზმის უფრო რადიკალური ფორმის განხორციელების ცდა. მისი უფრო ზომიერი ფორმა კი,—კომუნიზმი უფრო განზრახვით, ვიდრე ნამდვილი,—თითქმის მთელი თაობის განმავლობაში სულდგმულობდა.

მაგრამ რას ხმარდებოდა საზოგადო სალაროების შემოსავალი ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ (რადგან თემის შემოსავალი მეტწილად პროდუქტებისაგან შესდგებოდა), რას ხმარდებოდა საზოგადო საწყობებში დაგროვილი მარაგი?

პირველ საქრისტიანო თემებში წევრთა ერთი ნაწილის ჭარბი პროდუქტი წევრთა მეორე ნაწილის, ღარიბ წევრთა საჭიროებას ხმარდებოდა. ტაბორში არ შეიძლებოდა ასე ყოფილიყო. იქ თემის ყველა წევრს თავიდანვე სრულიად თანასწორი,—ან თითქმის თანასწორი,—პირობები ქონდათ არსებობისათვის. ეს თანასწორობა მით უფრო ადვილად იქნა მიღწეული, რომ ეკლესიისაგან და შემდეგ დარბეულ ქალაქებისა და ბატონებისაგან ჩამორთმეული ქონება და

დავლა სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ყოველ წევრს რიგიანი მეურნეობა მოეწყო[1]).

ღარიბთა დახმარებაზე ტაბორიტები არავითარ ხარჯს არ სწევდენ. სამაგიეროთ ღვდლებზე იყო საჭირო ზრუნვა. სასულიერო არისტოკრატია, რომელსაც საკუთარი დოვლათი ჰქონებოდა, მათ არ ჰყავდათ. ყოველ ერისკაცს შეეძლო ღვდელი გამხდარიყო: ღვდლებს თემი ირჩევდა, ღვდლები კი, თავის მხრივ, ეპისკოპოზებს ირჩევდენ. ეკონომიურად ღვდლები დამოკიდებული იყვნენ თემზე, რომელიც მათ არჩენდა. მათი ფუნქციები, როგორც საზოგადოთ საშუალ-- საუკუნეთა სამღვდელოების ფუნქციები, ეხლანდელ სახელმწიფოებრივ და კომუნალურ მოხელეებისა და მასწავლებლების ფუნქციებს შეეფერებოდა. ისინი სამართალს იღებდენ, საზოგადოებრივ დაწესებულებებს განაგებდენ და შუამავლობას სწევდენ თემთა ურთიერთ დამოკიდებულებაში და მათ დამოკიდებულებაში გარეშე სამყაროსთან. მათს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ბავშვთა სწავლა და აღზრდა წარმოადგენდა. ტაბორიტები ძალიან სერიოზულად ეკიდენ საყოველთაო განათლების საქმეს. ეს მოვლენა განსაკუთრებით მათ ახასიათებდა და არც ერთ სხვა ქვეყანაში იმ დროს არ არსებობდა. ამ მხრით ტაბორიტებს მხოლოდ „საერთო ცხოვრების ძმები" შეიძლება შევადაროთ. მაგრამ უკანასკნელთა მოღვაწეობას სულ სხვა ხასიათს აძლევდა მათი კათოლიკურ--ბერული ტენდენციები. რა თქმა უნდა, ტაბორიტთა მოღვაწეობა განათლების დარგში თავისი დროის ნიშანს ატარებდა. ის უმთავრესად ღვთისმეტყველებითი იყო.

ენეას სილვიუსმა სთქვა ერთხელ: „იტალიელ ღვდლებს უნდა სცხვენოდეთ; ეჰვი არაა, რომ არც ერთ მათგანს ერთჯერაც არ წაუკითხავს ახალი აღთქმაც კი. ტაბორში კი, პირიქით, დედაკაცსაც ვერ ნახავ ისეთს, რომელსაც რიგიანად არ ქონდეს შესწავლილი ახალი და ძველი აღთქმა". მეორე ადგილას სილვიუსი შენიშნავს: „ამ ბოროტ ადამიანთა მოდგმას მხოლოდ ერთი რამ აქვს კარგი,— მას ძლიერ უყვარს განათლება (literas)".

ერთის შეხედვით ძნელი წარმოსადგენია—როგორ ეგუებოდა ეს მბრუნველობა სახალხო განათლებაზე ტაბორტთა იმ ანტიპატიას მეცნიერებისადმი, რასაც მოწმობს ზემოდ აღნიშნული ფაქტები და

---

[1]) თვით არისტოკრატიულ პრაგის შესახებ არსებობს ცნობა, რომ დიდმა ლეშმა, ე. ი. სახალხო კრებამ, ჩაშოართვა მოწინააღმდეგეებს შენობები, ვენახები და სხვ. და გადასცა ეს ქონება კეთილი საქმის მომხრეებს. რა თქმა უნდა, „პატიოსანი" ქალაქის საბჭო ხშირად ისევ ართმევდა უკანასკნელთ ამ ქონებას (შეად. Palacky, op. cit. III, 2. გვ. 281).

გარდა ამისა ის გარემოებაც, რომ თავის თანამოაზრე სწავლულ პირთ ტაბორიტები უბრალო ხელოსნობას ავალებდენ. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი წინააღმდეგობაა. ტაბორიტებს სძულდათ მდაბიო ხალხისაგან მოწყვეტილი მეცნიერება, ხალხისადმი მტრულად განწყობილი, მეცნიერება, რომელიც ექსპლოატატორთა იარაღად და უმაღლეს წოდებათა პრივილეგიად იყო გადაქცეული და რომელიც იმ დროის წარმოების პირობებში საყოველთაო თანასწორობას ვერ შეეგუებოდა. წვრილი გლეხური და ხელოსნური წარმოება იმდენ დროს და ძალას ართმევდა მუშებს, რომ მათთვის სრულიად მიუწვდომელი ხდებოდა განათლების რამდენადმე მაღალი დონე, სანამ იმ საზოგადოებრივი კლასსის წევრები რჩებოდენ, რომელსაც თავიდანვე ეკუთვნოდენ. და, პირიქით, სწორეთ თანასწორობის მცნება იყო, რომ ყველასათვის მისაწვდომი გამხდარიყო განათლების ის დონე, რომლის მიღწევა შესაძლებელია ყველასთვის თანაბრად.

ტაბორიტთა სიძულვილი მეცნიერებისადმი იმ დროის ეკონომიურ პირობების ნაყოფი იყო. ხოლო მათი მხურვალე თანაგრძნობა განათლებისადმი შეეფერებოდა მათს მისწრაფებას თანასწორობისაკენ. და სრულიადაც შემთხვევითი არაა, რომ თანამედროვე სასკოლო პედაგოგიკის მამამთავარი, პატივცემული კომენსკი (Comenius), ტაბორიტთა მემკვიდრეების,—ბოჰემიელ ძმათა, ეპისკოპოზი იყო.

სამხედრო საქმეს ტაბორიტებისათვის კიდევ მეტი მნიშვნელობა ქონდა, ვიდრე განათლების საქმეს. პატარა თემს, რომელმაც ომი გამოუცხადა მთელს არსებულს საზოგადოებას, მხოლოდ მანამდის შეეძლო დაეცვა თავისი პოზიცია, სანამ ომის ასპარეზზე იქნებოდა დაუძლეველი. ტაბორს არ მოსწრებია მშვიდობიანობა და დროებითი ზავიც არ უნახავს. ტაბორიტთა საზოგადოება ვერ ეგუებოდა გაბატონებულ კლასსთა ინტერესებს. მაგრამ მის ძალას გადაწყვეტი გამარჯვება არ შესწევდა. მას შეეძლო მრავალჯერ დაემარცხებინა მტერი, მაგრამ მისი განადგურება შეუძლებელი იყო, რადგან მტრის ძალას არსებულ საზოგადოების ეკონომიური პირობები ასაზრდოებდა. ტაბორის კომუნიზმი მხოლოდ ხელოვნური ნამყვანი იყო იმ დროის ეკონომიურ წყობილებაზე.

მუდმივი ომი ტაბორიტთა ხვედრი იყო; მათი დიდება ამ ომშია, მაგრამ ომშივე იყო ტაბორიტთა ბედისწერაც.

ტაბორიტთა მთელი ორგანიზაცია ომის მოთხოვნილობებს შეეწყო. ისინი ორგვარ თემებად გაიყვნენ: საველე (სამხედრო) და საშინაო თემებად. უკანასკნელ თემების წევრნი შინ

რჩებოდენ და მუშაობდენ თავისთვის და საველე თემებისთვის. საველე თემების წევრნი კი მხოლოდ სამხედრო საქმეებში იყვნენ გართული. ისინი მუდამ შეიარაღებული იდგენ. დედაკაცებით და ბავშვებით გამოდიოდენ ისინი მტრის წინააღმდეგ, როგორც ძველი გერმანელები, რომელთაც ტაბორიტები არ ჩამოუერდებოდენ არც ბარბაროსული სიმკაცრით, არც შეტევის ბარბაროსული სიცხარით. თემები, ალბათ, ერთმანეთს სცვლიდენ: ველიდან მოსულნი ხელოსნობას უბრუნდებოდენ, წინანდელი ხელოსნები კი მათ ადგილს იკერდენ; ჩვენ ვამბობთ „ალბათ“ იმიტომ, რომ ამის, როგორც მრავალ სხვა საკითხის შესახებ, ჩვენ სამწუხაროდ, პირდაპირი საბუთები არ მოგვეპოება. ჩვენ კარგათ ვიცნობთ ტაბორიტთა სამხედრო მოქმედებას, მაგრამ ძალიან ცოტა ცნობა გვაქვს მათი შინაგან ორგანიზაციის შესახებ.

საველე თემების ორგანიზაციამ დიდი მნიშვნელობა მიიღო სამხედრო საქმის ისტორიაში. მუდმივი ლაშქრის შემომღებად საშუალო საუკუნეების დამლევში ჩვეულებრივად საფრანგეთის მეფეს კარლოს მე-VII-ს სთვლიან, რომელმაც მე-XV საუკუნის შუა წლებში მუდმივი სამხედრო ძალა შეადგინა თუთხმეტი გუნდი დაქირავებულ ჯარისკაცისაგან. ნამდვილად კი პირველი მუდმივი ლაშქარი ტაბორიტთა საველე თემებმა შეჰქმნეს; თანაც მათ ის უპირატესობა ქონდათ საფრანგეთის ხსენებულ სამხედრო ორგანიზაციის წინაშე, რომ მათი სამხედრო ძალა დაფუძნებული იყო არა ქირაზე (საფრანგეთში მეტ წილად უცხოელებს ქირაობდენ—შვეიცარიელებს და გერმანელებს), არამედ საყოველთაო სამხედრო ბეგარაზე.

ამ ორგანიზაციით აიხსნება ტაბორიტების დიდი უპირატესობა ომში მათ მოწინააღმდეგებთან შედარებით.

იმ დროის ჯარს სრულიად არ ქონდა დისციპლინა და მწყობრი (მანიოვრული) მოქმედების უნარი. ან კი საიდან უნდა შეეძინა ეს თვისებები იმ ვასსალებისა და დაქირავებულ ჯარისკაცების ბრბოს, რომელსაც დღეს იწვევდენ და ხვალ ითხოვდენ, თუ საკმარისი ფული არ აღმოჩნდებოდა ან სხვა რაიმე დაბრკოლება წარმოდგებოდა.

ძველი რომის იმპერიის დროიდან ტაბორიტთა ჯარი იყო პირველი მწყობრი სამხედრო ორგანიზმი. იგი რამოდენიმე ნაწილისგან შესდგებოდა სხვა და სხვაგვარი შეიარაღების მიხედვით; იგი კარგათ იყო მომზადებული რთულ მანიოვრებისათვის, ხერხიან მოძრაობისა და გადაჯგუფებისათვის, სასტიკად ემორჩილებოდა ერთი ცენტრის ბრძანებებს და მუდამ მთლიანი რჩებოდა ყოველგვარ მოძრაობაში.

ტაბორიტებმაც შეისწავლეს პირველად არტილერიის მიზანშეწონილი ხმარება ბრძოლაში; ბოლოს, მათვე გამოიმუშავეს ყველაზე ადრე მწყობრი მარშით მოძრაობის ხელოვნება. მარტო თავისი სწრაფი მარშის წყალობით დაამარცხეს მათ რამოდენიმეჯერ მტრის ზლოზინა ლაშქარი.

მთელს ამ დარგში ისინი იყვნენ სამხედრო საქმის უახლესი ორგანიზაციის (საშუალ საუკუნეების სამხედრო ორგანიზაციასთან შედარებით) შემომქმედნი.

შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო საქმეში, როგორც მრავალ სხვა დარგში, ყოველი დიდი ნაბიჯი წინ სოციალურ რევოლიუციის შედეგია, და რომ უდიდესი სარდლები ამ უკანასკნელი 500 წლის განმავლობაში ის პირნი იყვნენ, ვინც სოციალურ გადატრიალების ეპოქებში ცხოვრობდენ და ყველაზე უკეთ შესძლეს რევოლიუციასთან დაკავშირებულ სამხედრო საქმის ტეხნიკური წარმატების გაგება და გამოყენება: ასეთი იყვნენ ჟიჟკა, კრომველი, ნაპოლეონი.

ტაბორიტთა სიმხნეს ომში აორკეცებდა მათი აღფრთოვანება და უშიშროება სიკვდილის წინაშე: მათ არ იცოდენ არც კომპრომისსი, არც მერყეობა ერთხელ არჩეულ გზაზე. ან გამარჯვება ან დაღუპვა, — სხვა გამოსავალი მათთვის არ არსებობდა. ამ თავ-აღებულმა მეომრებმა თავისი სამხედრო ტერორიზმით დაღუპვისაგან იხსნეს ჰუსიტური რევოლიუცია, როგორც 1793 წლის სანკიულოტებმა თავისი ტერორიზმით 1789 წლის რევოლიუცია გადაარჩინეს.

VI. ტაბორის დაღუპვა.

როდესაც ვენცელი მოკვდა, კალიქსტინელებმა, — ჰუსიტ — თავად — აზნაურებმა და პრაგელებმა, — მოლაპარაკება ჩამოაგდეს სიგიზმუნდთან. მათ მოსვენებას არ აძლევდა იმის შეგნება, რომ ისინი ერთ და იმავე დროს პაპსაც ებრძვიან და იმპერატორსაც, იბრძვიან არსებითად მთელი ევროპის წინააღმდეგ. კომპრომისსი მით უფრო სასურველი იყო მათთვის, რომ ტაბორი საზარელ ძალად გადაიქცა. რომ სადავო საკითხი ყოფილიყო მხოლოდ ბარძიმი ერისკაცებისათვის, კომპრომისსი, ცხადია, ძალიან ადვილად იქნებოდა მიღწეული. მაგრამ საქმე გაცილებით უფრო დიდ საგნებს ეხებოდა: ფულს და ეკლესიის ქონებას, ამაზე კი შეთანხმება არც ისე ადვილი იყო. ეკლესია და მისი მოსამსახურე სიგიზმუნდი ისევე შეურიგებელნი დარჩენ, როგორც ტაბორიტები. დაიწყო სამკვდრო — სასიცოცხლო ბრძოლა: კალიქსტინელთა პარტია, რომელმაც ეკლესია გაძარცვა, იძულებული

გახდა კავშირი დაეკირა ტაბორიტებთან და მათი მტრის წინააღმდეგ ებრძოლა, თუნცა უკმაყოფილო კი იყო ამ კომპინაციით.

აქ უადგილოა ჰუსიტურ ომების ისტორიის მოთხრობა. ჩვენ ვერ შევჩერდებით დაწვრილებით იმაზე, თუ როგორ მოუწოდებდა პაპი მარტინ მე-V მთელს საქრისტიანო ქვეყნიერებას ჰუსიტთა წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომისკენ თავის 1420 წ. 1 მარტის ბულლაში „Omnium plasmatoris domini"; როგორ შესდგა ამის შემდეგ ძარცვას და დავლას დახარბებული ჯვაროსანთა ლაშქრები ერეტიკოსთა გასანადგურებლად: რა სასტიკი დამარცხება განიცადა (1420—1431 წ.წ.) ჯვაროსანთა ყველა ხუთმა არმიამ; როგორ სულ უფრო შორს ვრცელდებოდა ძლევამოსილ ტაბორიტთა ჯარის სახელი და დიდება და როგორ უკვე მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის (მისი, 1427 წ.) და მეხუთე ჯვაროსნულ ლაშქრობის (ტაუსსი, 1431 წ.) შემდეგ საკმაო იყო მარტო გაგონება ჰუსიტთა მოახლოვების, ამბისა, რომ ჯვაროსანთა არმიები პანიკური შიშით შეპყრობილნი იფანტებოდენ მტრის დაუნახავად. ჩვენ ვერ განვიხილავთ აგრეთვე შინაგან ბრძოლას კალიქსტინელთა და ტაბორიტთა შორის, რომელიც ჰუსიტურ ომების შუალედ ჰერიოდებში სწარმოებდა.

ტაუსსთან დიდი ბრძოლის მოგების შემდეგ ყველას ეგონა, რომ არ არის ისეთი მტერი, რომელიც ტაბორიტებს წინ დაუდგებოდა. არც ერთი საზღვარ გარეთელი არმია არ ბედავდა ბოჰემიაში მოსვლას ტაბორტებთან შესაბრძოლებლად. ბოჰემიის შიგნითაც ტაბორიტთა მოწინააღმდეგეებს, თავად-აზნაურობას და ზოგიერთ ქალაქს, სულ უფრო ელეოდა ძალა. მეორეს მხრით კი ტაბორიტთა ტერორიზმი სულ უფრო ემუქრებოდა მათ მტრებს სრული დაღუპვით.

მაგრამ ამავე დროს სულ უფრო ცხადი ხდებოდა, თუ რა რიგ უნაყოფოა სამხედრო გამარჯვება, თუ გამარჯვებულთა მიზნები ეწინააღმდეგება ეკონომიური განვითარების მიმართულებას. რა თქმა უნდა, საკმარისი იყო ტაბორიტთა ერთი გარდამწყვეტი დამარცხება, რომ მათი კომუნიზმიც გამქრალიყო. მაგრამ თვით ეს ტაბორიტთა სამხედრო გამარჯვება ასაზრდოებდა იმ ელემენტებს, რომლებსაც მათი დაღუპვა უნდა გამოეწვია. ტაბორის უდიდეს გამარჯვებას და ზეიმს უშუალოდ მისი დაცემა მოჰყვა.

თავის თავად ცხადია, რომ, რაც უფრო მატულობდა ტაბორიტთა ძლევამოსილება, მით უფრო აუტანელი ხდებოდა მათი ბოჰემიელ მოწინააღმდეგეთა, კალიქსტინელთა — და კიდევ მეტად კათოლიკეთა — მდგომარეობა. თავად-აზნაურობა სრულ უძლურებამდის დამცირდა და დიდი ხანია მზათ იყო ზავი შეეკრა ეკლესიასთან, რომ მას, საეკლე-

სიო ქონების მძარცველს, ეკლესიის სიხარბისა და შურისძიების შიში არ ქონებოდა. ტაუსსთან გამარჯვების შემდეგ მან განსაკუთრებით გამოიჩინა შეთანხმების და დათმობის სურვილი. ამავე დროს პაპიც და იმპერატორიც, მათი საერო და სეკლესიო ხელის უფალთა კლიკით, მოალბენ ჰუსიტთა დიად გამარჯვების გავლენით. ინტრიგები და მოლაპარაკება მათსა და კალიქსტინელთ შორის არასდროს არ შეწყვეტილა სავსებით; მაგრამ ტაუსსთან გამარჯვების შემდეგ მოლაპარაკება განსაკუთრებული სიცხოველით განახლდა. ბოლოს, როდესაც, პაპის ეკლესიამ, ბაზელის ყრილობის წარმომადგენელთა პირით, კეთილ ინება და კანონიერად სცნო თავად-აზნაურთა და ქალაქთა მიერ ეკლესიისაგან ჩამორთმეულ ქონების მფლობელობა, შეთანხმება მიღწეულ იქნა (1433 წ.). წართმევის მაგიერ ეკლესიამ უბოძა კიდეც ბოჰემიას ზოგი რამ. მან გაგზავნა ბოჰემიაში დიდი თანხა, რომლითაც ახალ მოკავშირეს, კალიქსტინელებს ძალები უნდა შეეკრიბათ ტაბორიტებთან საბრძოლველად. თავად-აზნაურობამ, ,,რომელიც უკანასკნელ რაშოდენიმე წლის განმავლობაში თითქოს არავითარ როლს არ თამაშობდა სცენაზე'', იგრძნო რა თავის ზურგს უკან იმპერატორი და, განსაკუთრებით, ეკლესია მისი სიმდიდრით, კვლავ გამოცოცხლდა და გათამამდა, დაიწყო კრებების მართვა და რაზმვა, რათა პრაგელების დახმარებით და კატოლიციზმის ,,საეკლესიო'' (ნამდვილად კი ფრიად საერო) ფულის საშუალებით, კვლავ მოეხვეჭა დაკარგული ხელის უფლება.

ეს მდგომარეობა ძალიან კარგათ აქვს აწერილი ენეას სილვიუსს „ბოჰემიის ისტორიაში"; საჭიროა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ენეას სილვიუსი სცდება თავის მსჯელობაში პროკოფის შესახებ [1]), რომელიც ჟიჟკის სიკვდილის შემდეგ ტაბორიტთა გამოჩენილი წინამძღოლი გახდა; პროკოფი არასოდეს არ ყოფილა აღშურვილი ისეთი განუსაზღვრელი ხელის უფლებით, როგორსაც ენეას სილვიუსი აგვიწერს. უფრო სწორი იქნება, რომ ყველგან, სადაც შემდეგში ლაპარაკია პროკოფის ტერორისტულ რეჟიმზე, ვიგულისხმოთ საზოგადოთ ტაბორიტთა ტერორისტული რეჟიმი. ენეასი გვიამბობს: „ბოჰემიელი ბარონები ხშირად იკრიბებოდენ, აღიარებდენ თავის შეცდ-

[1]) ეს ის პროკოფი არ არის, რომელიც მარტინეკ ჰაუსკასთან ერთად დასწვეს 1421 წ. აქ ლაპარაკია ჰუსიტთა ცნობილ ბელად პ რ ო კ ო ფ მ ე ლ ო ტ ზ ე. შემდეგ დ ი დ ა თ წოდებულზე. ის იყო ტაბორიტთა ღვდელი, ჟიჟკას თანაშემწე; ჟიჟკას გარდაცვალების შემდეგ ტაბორიტთა მთავარ-სარდალი გახდა. 1426 წ. მან დაამარცხა ჯვაროსნები ტაუსსთან, შემდეგ წელს—ტახაუსთან. დაარბია მორავია, სილეზია და სხვა მეზობელი ქვეყნები. 1433 წელს თავის თანაშემწე პროკოფ მცირესთან ერთად დაამარცხა ზომიერ მიმართულების ჰუსიტები. დაილუპა ბრძოლაში ლიმანთან 1434 წელს. (მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

დომებს და თავის გაპირვებას. რომელიც იქიდან გამომდინარეობდა, რომ მათ უარჰყვეს თავისი მეფის ბატონობა და პროკოფის მძიმე უღელი შეიდგეს. ისინი მსჯელობდენ იმის შესახებ, რომ ის (პროკოფი) ერთად ერთი ხელმწიფეა, თავისი ნებით და ძალდატანებით განაგებს ქვეყანას, ბაჟს ჰკრეფს, ხარკს და გადასახადს აწესებს, ხალხს იწვევს საომრად, ჯარს უძღვის, ძარცვავს და ხოცავს, სხვის აზრს და თავის ბრძანებათა შეუსრულებლობას არ ითმენს და მაღალსა და მდაბიოს ერთნაირად ექცევა, როგორც მონებს და შინაყმებს. ამბობდენ აგრეთვე. რომ ბოჰემიელებზე უფრო უბედური ხალხი მსოფლიოში არ მოიპოვება: მუდამ ომობენ, ზამთარ და ზაფხულ კარავებში ცხოვრობენ, შიშველ მიწაზე წვანან და ყოველ წუთს იარაღ აწვდილი დგანან, რადგან ქვეყანა ომში იწეწება, ხან შინაგან, ხან გარეშე ომში. და მუდამ იბრძვიან ან შიშით მოელიან ბრძოლას. ამას ისინი დასძენდენ, რომ, ბოლოს, დროა ჩამოაგდონ საშინელი ტირანი და რომ, თუ მათ ყველა ერის დამარცხება შესძლეს, ერთი კაცისადმი მორჩილებას ვერავინ ვერ აიძულებს მათ. მათ გადასწყვიტეს, რომ საჭიროა მოწვეულ იქნენ ბატონები, რაინდები და ქალაქები საერთო სეიმზე, რომელიც გადასწყვეტს საკითს სამეფოს მიზანშეწონილ მართვა-გამგეობის შესახებ. როდესაც ისინი შეიკრიბენ სეიმში, ბატონმა მეინჰარდმა დაუსურათა მათ, თუ რა ბედნიერია ის სამეფო, რომელშიაც ხალხი სიზარმაცეს არ ეძლევა და ომით არ იწეწება; მაგრამ ბოჰემიელთ არ განუცდიათ მშვიდობიანობა: მათი სამეფო, განუწყვეტელ ომიანობით ღონემიხდილი, მალე დაიღუპება, თუ დროით არ იზრუნენ მშვიდობიანობაზე; მინდვრები მოუხნავია და სხვა და სხვა ადგილას საქონელი და ხალხი შიმშილით იხოცება" და სხვა და სხვა. ხსნას ამ ბოროტებისაგან, რა თქმა უნდა, თავად-აზნაურთა ბატონობის აღდგენაში ხედავენ.

იმ დროს, როდესაც ტაბორიტთა ყველა მოწინააღმდეგემ დაივიწყა თავის ინტერესთა წინააღმდეგობა საერთო მტრის, ტაბორიტიზმის წინაშე და ერთ „რეაქციონურ მასსად", ერთ კოალიციად გაერთიანდა,—ამ დროს ტაბორიტთა პარტიის შიგნით ხდებოდა ცვლილება, რომელიც მტრების შეთქმულებაზე და ინტრიგებზე უფრო საშიშარი იყო მათთვის.

ტაბორელი კომუნისტები შეადგენდენ მხოლოდ ერთ ნაწილს იმ დემოკრატიული პარტიისა, რომელსაც ტაბორიტული პარტია ეწოდება. ისინი ყველაზე უფრო ენერგიულ, შეურიგებელ, გაბედულსა და სამხედრო საქმეში შეუდარებლად ძლიერ ნაწილს წარმოად-

ვენდენ ამ პარტიისა. მაგრამ ამ პარტიის მასსა, რომელიც გლეხობისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისაგან შესდგებოდა, გვარიანად ეულგრილი იყო კომუნისტურ პროგრამისადმი. ამ ელემენტებს ძლიერ აწუხებდა ომის გაჭიანურება.

თუმცა ბოჰემიელნი იმარჯვებდენ, ომის დასაწყისში ისინი მაინც სუსტი იყვნენ იმისთვის, რომ მტერი სრულიად გაედევნათ ქვეყნიდან. გამარჯვებით ისინი თავს იცავდენ. მხოლოდ შედარებით გვიან (1427 წლიდან) გადასცილდენ ისინი ბოჰემიის საზღვარს და დაიწყეს იქ ძარცვა-რბევა, როგორც იმ დროის ომს შეეფერებოდა; (იმ ხანაში დაახლოვებით ისევე ომობდენ, როგორც ეხლა ევროპიულ ცივილიზაციას ავრცელებენ აფრიკაში). მაგრამ შეტევითი ომიც არ უზრუნველყოფდა ბოჰემიას მტრების შემოსევისა და ძარცვისაგან. თანაც შიგნით სამოქალაქო ომი მძვინვარებდა.

წლიდან წლამდის ბოჰემია სუსტდებოდა და ღარიბდებოდა. ზარალობდა არა მარტო ვაჭრობა, არამედ ხელოსნობაც და მიწათმოქმედებაც. კოტრდებოდენ არა მარტო თავად-აზნაურნი და პრაგის დიდიარი მოქალაქენი, არამედ წვრილი ბურჟუაზიაც და გლეხობაც. საზოგადოების ყ ო ვ ე ლ ი კლასსი უზომო დაღლილობას და მშიერობიანობის წყურვილს განიცდიდა; და რაც უფრო ცხადი ხდებოდა, რომ მშიერობიანობის ერთად ერთ დაბრკოლებას შეურიგებელი ტაბორიტები წარმოადგენენ, მით უფრო სწრაფად მცირდებოდა მათ მიმდევართა რიცხვი, მით უფრო მეტ უკმაყოფილებას ჰპადებდენ ისინი ხალხში და მით უფრო მკაცრი ზომებით იცავდა თავის ბატონობას ტაბორიტთა მცირე ჯგუფი. ანტაგონიზმი ტაბორიტებსა და მოსახლეობის მასსებს შორის დღითი-დღე სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. ხალხი თანაუგრძნობდა თავად-აზნაურთა ბრძოლას ტაბორიტთა წინააღმდეგ.

მაგრამ ტაბორიტებიც, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, უკვე წინანდელი ტაბორიტები აღარ იყვნენ.

ტაბორის ბედი უდიდეს ინტერესს წარმოადგენს. მათი მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა ბედი ელოდა მიუნცერის მიმართულებას შ ი უ ლ ჰ ა უ ზ ე ნ შ ი და გარდამნათვლელებს მ ი უ ნ ს ტ ე რ შ ი, რომ ისინი ომში არ დამარცხებულიყვნენ.

ტაბორის კომუნიზმი ღარიბთა მოთხოვნილებებმა წარმოშვა და არა წარმოების წესის მოთხოვნილებებმა. თანამედროვე სოციალ-დემოკრატიას გამარჯვების რწმენას ის უმტკიცებს, რომ წარმოების მოთხოვნილებები პროლეტარიატის მოთხოვნილებებს ეთანხმება, რის გამო თანამედროვე პროლეტარიატი ისტორიული პროგრესსის ფაქ-

ტორია. სხვა მდგომარეობა იყო მე-XV საუკუნეში. ღარიბთა მოთხოვნილებანი კომუნიზმისაკენ მისწრაფებას ჰბადებდა, წარმოების წესი კი კერძო საკუთრებას მოითხოვდა. მაშასადამე, კომუნიზმი იმ დროს ვერას გზით ვერ გადაიქცეოდა საყოველთაო საზოგადოებრივ ფორმად, ხოლო კომუნისტური მოთხოვნილებანი ღარიბთა შორის მაშინვე ჰქრებოდა, რა წამს ისინი კომუნიზმს აღწევდენ, ე. ი. როგორცკე სიღარიბეს თავს აღწევდენ. მოთხოვნილებებთან ერთად კი თვით კომუნიზმიც ქარწყლდებოდა ადრე თუ გვიან, თუ იმ ერთად ერთ საშუალებას არ მიმართავდენ, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, მცირერიცხოვან საზოგადოებებისათვის შესაძლებელს ხდიდა ამ სახის კომუნიზმის შედარებით ხანგრძლივ არსებობას; ასეთი საშუალება იყო მონოგამიურ ქორწინებისა და ოჯახის მოსპობა. როგორც ვიცით, ტაბორიტებმა უარჰყვეს ეს საშუალება; მათ გაანადგურეს ადამიტთა მიმართულება და ამგვარად კარი გაუღეს კერძო საკუთრებას. ეს უკანასკნელი კი, მისი დამახასიათებელ აზროვნების, სიხარბის და შურიანობის თანხლებით, მით უფრო ადვილად ჰკლავდა კომუნიზმს. და ძმურ ურთიერთობას ტაბორიტთა შორის, რაც უფრო სწრაფად მატულობდა მათ შორის ნივთიერი შეძლებულება. და შემდეგ სიმდიდრეც, — ნაყოფი აუარებელ ალაფის და ნატყვენავისა. საარსებო პირობათა თანასწორობა თანდათან დაირღვა. ტაბორში გაჩნდენ ღარიბნი და მდიდარნი, და უკანასკნელნი სულ უფრო ნაკლებ სურვილს იჩენდენ თავისი ზედმეტი პროდუქტის დათმობისა.

ეს პროცესსი უცხო ელემენტების შემოჭრამ დააჩქარა. ადამიანი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს, მთელ თავის არსებობას ანაცვლებს ამა თუ იმ იდეას არც ისე ადვილად დასთმობს მას იმ შემთხვევაშიაც, როდესაც გარეგანი პირობები ხელს არ უწყობს ამ იდეის გამარჯვებას. ძველი ტაბორიტებიც მტკიცედ იცავდენ თავის რწმენას, რომლის გულისთვის ამდენი დევნა და გაჭირვება გადაიტანეს.

მაგრამ მრავალ წლის ომიანობამ, რომლის სიმძიმეს უმთავრესად ტაბორიტები ზიდავდენ, საშინლად გაათხელა მათი რიგები. სამხედრო საქმისთვის ამას არ ქონდა დიდი მნიშვნელობა, რადგან, დანაკლისი სწრაფად ივსებოდა. ტაბორი მექქად გადაიქცა კომუნისტებისთვის, რომელნიც ყოველი მხრიდან მოისწრაფოდენ ტაბორისკენ. ტაბორში შეხვდებოდით უშორეს ქვეყნების წარმომადგენლებს, მაგ., ინგლისელებს. ტაბორში მიღება, როგორც სჩანს, შეზღუდული არ იყო. ენეას სილვიუსს, რომელსაც ტაბორი უნახავს, ძა-

ლიან აკვირვებდა ერთმანეთთან მშვიდობიანად მცხოვრებ სექტების სიმრავლე ტაბორში.

„ისინი ყველა ერთი რწმენის არ არიან, ამბობს ის,--ტაბორში ყველას შეუძლია თავისი რწმენა ქონდეს. იქ არიან ნიკოლაიტები, არიანები, მანიქეველნი, არმენიელნი, ნესტორიანები, ბერენგარიები და ლიონის ღარიბნი; მაგრამ განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ ვალდენელნი, რომის ტახტის მთავარი მტრები".

გაცილებით უფრო საეჭვო იყო მეორე გვარი ელემენტების გაელენა. ტაბორიტთა გამარჯვებებმა მრავალი ავანტიურისტი მოიზიდა ტაბორისაკენ; ისინი სრულიად არ თანაუგრძნობდენ ტაბორიტთა იდეალებს და ეძებდენ მხოლოდ სახელს და უფრო მეტად დაელას. „რაც დრო გადიოდა, მით უფრო საგრძნობი ხდებოდა ადგილობრივ ძალთა სიმცირე ომისათვის; გლეხები და წვრილი ქალაქელი ხელოსნები სულ უფრო ხშირად გაურბოდენ სამხედრო სამსახურს, მათ ძალდატანებით იწვევდენ ჯარში. სამაგიეროთ საზღვარგარეედან მოდიოდენ ნებაყოფლობით ბოჰემიელ მეომართა მონაცველები. უკანასკნელ რამოდენიმე წლის განმავლობაში ბოჰემიის ბანაკებში იკრიბებოდენ არა მარტო პოლონელები და რუსინები: მრავალი გერმანელიც, რომელთაც ავანტიურები გაცილებით უფრო იზიდავდა, ვიდრე სარწმუნოების საკითხები და სამშობლოს არა სწამდათ რა, შეისწრაფოდენ იქეთ, სადაც მათ ბედნიერი ომი მოელოდა. ტაბორიტთა და „ობოლთა" არმიები ამ დროს (1430 წ.) მეტწილად უკვე ამგვარ „ყოველი ერის ნაძირალებისაგან" შესდგებოდა. ამის გამო არმია, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ჰკარგავდა თავის წინანდელ ხასიათს, რასაც ჟიჟკა ასე დიდათ აფასებდა: ის მოითხოვდა, რომ თვითეული მეომარი „საღვთო მეომარი" ყოფილიყო, მთლიანი და პირდაპირი, მტკიცე და უყოყმანო თავის რწმენაში. [1]).

ტაბორიტთა ჯარის ბრძოლის უნარი აღნიშნულ ცელილებისაგან პირველ ხანებში, შესამჩნევად არ დაზიანებულა, თუმცა მასში თანდათან ჰქრებოდა საქმისადმი ერთგულების, აღფრთოვანებისა და ნებაყოფლობითი დისციპლინის ელემენტები. მაგრამ სამაგიეროდ ჯარი ეხლა იმდენად სანდო აღარ იყო, როგორც წინად. იმავე ანგარიშით და ზრახვებით, როგორც დაქირავებული მეომრები, ტაბორიტთა სამსახურში გაკოტრებული თავად-აზნაურებიც დგებოდენ; შემამულეებს კი შეეძლოთ ჯერ ასე თუ ისე არსებობა, როგორც ტაბორიტთა ერთგვარ ვასსალებს: ისინი ხარკს უხდიდენ და თან იბრ-

[1]) Palacky, op. cit: III, 2, გვ. 500.

ძოდენ ტაბორიტთა წინააღმდეგ. მოვიგონოთ ბოჰემიელ ბარონების ჩივილი პროკოფის ტირანიის შესახებ, რაზედაც ენეას სილვიუსი გვიამბობდა.

როდესაც თავად-აზნაურობა გამოვიდა ტაბორიტთა წინააღმდეგ და დაიწყო რაზმვა მოხალისე ლაშქრისა, რომელიც მას ეხლა, მდიდარ კათოლიკურ ეკლესიის შემწეობით, შეეძლო უფრო ხელსაყრელ ნივთიერ პირობებში ჩაეყენებია, ტაბორიტთა ჯარში ღალატის სუნი დატრიალდა.

ამით აიხსნება იმ ახალ სამოქალაქო ომის შედეგი, რომელშიაც კალიქსტინელნი და ტაბორიტები უკანასკნელად შეეჭიდენ ერთმანეთს. ტაბორიტებს ჩამოეცალენ გლეხები და მოქალაქენი, მათ ულალატა ჯარის ერთმა ნაწილმაც. მტრები კი გაერთიანებული იყვნენ ერთ მძლავრ კავშირში დემოკრატიულ პარტიის ამ ნაშთის წინააღმდეგ, რომელიც უფრო ძალა-უნებურად, და არა გულის წადილით, იცავდა კომუნიზმს, ისიც—მოჩვენებითს და არა ნამდვილს.

1434 წლის 30 მაისს მოხდა გარდამწყვეტი ბრძოლა სოფელ ლიპანთან, ბოჰემიის ბროდის მახლობლად. თავად-აზნაურთა პარტიის ჯარი უფრო მრავალრიცხოვანი იყო: ის 25.000 შეიარაღებულ კაცისაგან შესდგებოდა ტაბორიტთა 18.000-ის წინააღმდეგ. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, გამარჯვება ხვდა თავად-აზნაურებს; მათ გაიმარჯვეს არა თავისი სიმამაცით და ხერხიანობით, არამედ ტაბორიტთა ცხენოსან ჯარის უფროსის იოჰან ჩაპეკის ღალატის გამო: შუა ბრძოლაში ის გაიქცა თავისი ჯარის ნაწილით. დაიწყო ტაბორიტთა დაუნდობელი, საზარელი ხოცვა-ჟლეტა; გადმოგვცემენ, რომ ამ ბრძოლაში ამოწყვეტილ იქნა 13.000 ტაბორიტი (18.000 კაციდან!) ამ საშინელმა დამარცხებამ სამუდამოდ გასტეხა ტაბორიტთა ძალა.

გათავდა ტაბორიტთა ბატონობა ბოჰემიაზე. დემოკრატია დაიღუპა და თავად-აზნაურებს პრაგის პატრიციატთან ერთად კვლავ მიეცა ქვეყნის ექსპლოატაციის საშუალება. მეფესა და „ერთგულ ქვეშევრდომთა" მორის ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, რომლის დროს თვითეულ მხარეს ეშინოდა,—და სამართლიანადაც ეშინოდა,—მეორე მხარემ არ მომატყუოსო, სიგიზმუნდი ცნობილ იქნა ბოჰემიის მეფედ (1436 წ.) ამაზე ადრე ის დათანხმდა აწინსტიის გამოცხადებაზე, ხოლო გატაცებულ საეკლესიო ქონების შესახებ მანნება მისცა ყოველ სენიორს ისე მოქცეულიყო, როგორც მას სურდა.

ბრძოლას ლიპანთან გარდამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა, მაგრამ სავსებით ჯერ არ გაუნადგურებია ტაბორიტთა ძალები. ისინი

ერთხანს კიდევ განაგრძობდენ ბრძოლას, მაგრამ სულ უფრო ნაკლები წარმატებით. ტაბორიტები საშინლად დასუსტდენ; ამიტომ ისინი ძლიერ კმაყოფილი დარჩენ, როდესაც სიგიზმუნდმა განსაკუთრებული ხელშეკრულებით დამოუკიდებლად სცნო მათი ქალაქი. (1436 წ.).

ამ მდგომარეობაში დარჩა ტაბორი ორმოცდაათიან წლების დასაწყისამდე, როდესაც იგი ენეას სილვიუსმა ინახულა; თავისი შთაბეჭდილებანი მან გამოსთქვა კარდინალ კარვაიალისადმი მიწერილ ბარათში. საგულისხმოა ამ წერილის ზოგიერთი ადგილი, რომელიც ნათლად გვიხატავს ტაბორიტთა თემის მაშინდელ მდგომარეობას. „სახლები ტაბორში ხით და თიხით არის ნაშენი და უწესრიგოთ არის შეჯგუფული. ამ ხალხს მრავალი ძვირფასი ავეჯი და არაჩვეულებრივი სიმდიდრე აბადია, რადგან ერთ ადგილას დაუგროვებიათ ყველა ერისაგან წართმეული დაელა. ერთ დროს მათ სურდათ ეკლესიის მზგავსად მოეწყოთ თავისი ყოფა-ცხოვრება და ყველაფერი საერთო ქონდათ: ერთმანეთს ძმებს უწოდებდენ და როდესაც ერთ მათგანს რაიმე აკლდა, იმას მეორესაგან იღებდა. მაგრამ ეხლა თვითეული მათგანი თავისთვის ცხოვრობს, ზოგნი შიმშილობენ, როდესაც სხვები განცხრომით ცხოვრობენ (alius quidem esurit, alius autem ebrius est). დიდ ხანს არ შენახულა მოყვასისადმი სიყვარულის ცეცხლი, დიდ ხანს არ გაგრძელებულა მიბაძვა (მოციქულთა თემისა)... ტაბორიტები სხვის საკუთრებას ძარცვავდენ და რასაც ძალით იტაცებდენ, იმას საერთო საკუთრებად აქცევდენ (haec tantum in commune dederunt). მაგრამ ეს წესი ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს. ბუნებამ თავისი გაიტანა და ყველა ანგარებით გაიმსჭვალა. მაგრამ რაკი უკვე ძველებურად ძარცვა არ შეუძლიათ, რადგან სუსტი არიან და მეზობლების ეშინიათ, ეხლა ხელი მიჰყვეს აღებ-მიცემით მოგების მოხვეჭას (lucris inhiant mercaturae) და სამარცხვინო მრეწველობას მისდევენ. ქალაქში ცხოვრობს 4.000 მამაკაცი, რომელთაც მახვილის ხმარება შეუძლიათ, მაგრამ ისინი ხელოსნობას მისდევენ და უმთავრესად მატყლის ქსოვით ირჩენენ თავს lana ac tela ex magne parte victum quaerentes), ასე რომ ომისთვის ისინი გამოუსადეგრად ითვლებიან.“ [1])

საგულისხმოა, რომ ტაბორიტთა უმრავლესობა მატყლის მქსოველნი იყვნენ.

ენეას სილვიუსმა 1451 წ. დაათვალიერა ტაბორი. მისი სიტყვით, ქალაქის საომარი ძალა სრულიად გამქრალი იყო და კომუნიზ-

[1]) Aeneas Silvius Piccolomini. Opera omnia, 83. 662.

მიც აღარ არსებობდა. მაგრამ ბოჰემიის ხელის უფლებს მაინც საშიშრად მიაჩნდათ რეოლიუციონურ წარსულის ნანგრევებიც კი. 1452 წელს ბოჰემიის მმართველი გეორგ პოდიბრადი ტაბორის წინ დაბანაკდა და მოითხოვა ტაბორის ყველა ღვდლების გაცემა. ტაბორნა მორჩილება გამოაცხადა და სამი დღის შემდეგ ყველა თავისი ღვდელი ჩააბარა პოდიბრადს. ყველა მათგანი, ვინც არ „მორჯულებულა“, ციხეში დარჩა სიკვდილის დღემდე. ასე მოეღო ბოლო ტაბორის რესპუბლიკის განსაკუთრებულ მდგომარეობას და დამოუკიდებლობას.

როდესაც ხედავ ამ ვაგლახ აღსასრულს ოდესღაც ამაყ კომუნისტურ თემისას, რომლის წინაშე ნახევარი ევროპა ჰკანკალებდა, უნებლიეთ სწუხხარ, რომ ტაბორი თავისი კომუნისტურ სიკაბუკის ბრწყინვალებაში კი არ დაიღუპა, როგორც მიუნსტერი, არამედ საცოდავ ბურჟუაზიულ სიბერეში დაჭკნა და დაჩიავდა.

ტაბორის დაცემით მოკვდა ბოჰემიის დემოკრატიის უკანასკნელი თავისუფალი ქალაქი.

ტაბორიტები, რომელთა ბედი მრავალ რამეში ემზგავსება იაკობინელთა ბედს, სხვათა შორის იმითაც გვაგონებენ უკანასკნელთ, რომ ტაბორიტებმაც და იაკობინელებმაც თავისი უსაზღვრო გმირობით დაღუპვისაგან იხსნეს რევოლიუცია, მაგრამ იხსნეს არა თავისთვის, არამედ რევოლიუციის დიდ ექსპლოატატორებისთვის: საფრანგეთში --მსხვილ კაპიტალისტების და მსხვილ ავანტიურისტებისათვის; ბოჰემიაში --მსხვილ თავად-აზნაურობისათვის, რომელმაც თითქმის განუსაზღვრელი ბატონობა მოიპოვა სახელმწიფოში და საზოგადოებაში. წვრილმა თავად-აზნაურობამ ვერაფერი მოიგო ჰუსიტურ ომებიდან; პირიქით ამ ომებმა მხოლოდ დააჩქარეს მისი დაცემა. უმაღლესმა თავად-აზნაურობამ, რომელსაც უდიდესი წილი ხვდა საეკლესიო ქონებიდან, წვრილ თავად-აზნაურთა ხარჯზედაც გამდიდრდა უკანასკნელთა მამულ-დედულის შესყიდვით.

მაგრამ ყველაზე მეტად ამ ომებმა გლეხობა და წვრილი მოქალაქენი დააზარალა. ქვეყნის გატიალებამ და მოსახლეობის შემცირებამ არაჩვეულებრივად შეასუსტა მათში ბრძოლის უნარი. მაგრამ ამავე მიზეზებმა გამოიწვია ის გარემოება, რომ მსხვილმა სენიორებმა გაათკეცეს თავისი პრეტენზიები მოხარკე წვრილ ქალაქთა მოსახლეობისა და, განსაკუთრებით, გლეხობისადმი. მოქალაქეთა წარმომადგენლობა სეიმებში, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო იკვეცებოდა. გლეხთა ბეგარა და გადასახადი სულ მატულობდა, ხოლო წინააღმდეგობა და ამბოხება, რასაკ აქა იქ ბედავდა გაჭირვებული გლეხობა, ყოველთვის მარცხით თავდებოდა. იქ, სადაც მუშა-ხელი

ნაკლები იყო, ლატიფუნდიების მფლობელნი შემდეგ გამოსავალს ჰპოულობდენ: მიწათმოქმედების მაგიერ მართავდენ წარმოების რომელიმე სხვა დარგს, რომელშიაც მუშათა ნაკლები რიცხვი იყო საჭირო. ამგვარი წარმოების გაფართოება ალაგ-ალაგ, მუშა-ხელის მოთხოვნილების შემცირებასთან ერთად, იმ შედეგსაც იწვევდა, რომ მიწათმფლობელნი ჰყრიდენ გლეხებს მათ მიწა წყლიდან. ინგლისში მუშახელის სიმცირემ, რომელიც იქ, თუმცა, სხვა მიზეზებმა გამოიწვია, ხელი შეუწყო საძოვრულ მეურნეობის და მეცხვარეობის განვითარებას; ეს მეურნეობა, ბოლოს, ისე ფართოდ გავრცელდა, რომ გლეხთა ექსპროპრიაციისა და მასსიურ პროლეტარიატის შექმნის უმთავრეს საშუალებად გადაიქცა ინგლისისათვის. ბოჰემიის მრავალ ნაწილში ანალოგიური, თუმცა არც იმდენად მნიშვნელოვანი, როლი ითამაშა ხელოვნურმა სათევზაო აუზებმა, რომელსაც ლატიფუნდიების მფლობელნი აშენებდენ. ინგლისში გლეხობა ცხვარმა შეჭამა და ბოჰემიაში—თევზმა.

პალაცკის მოყავს ერთი საყურადღებო საბუთი, რომელიც კარგათ ახასიათებს ბოჰემიის რაინდთა და გლეხთა ურთიერთ დამოკიდებულებას მე-XV საუკუნის მეორე ნახევარში. ეს არის ცნობა ვინმე ეფერდისა, რომელიც 1493—1497 წლებში „საერობო მწერლის თანაშემწედ“ მსახურობდა; მას გამოუცია „ცხრა წიგნი ბოჰემიის სამართლის, სასამართლოებისა და საერობო დებულების შესახებ“, რომელშიაც სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი: „ძველს, უხსოვარ დროში ყველა ოლქებში იყენენ ე. წ. გამყოლნი, რომელნიც კარგად იცნობდენ ყველა ბატონებს, რაინდებს და მემამულეებს. და რადგან იმ დროს ქვეყანა ჯერ მჭიდროდ იყო დასახლებული, რადგან მაშინ ჯერ არ არსებობდა რაინდთა მამულების შესყიდვისა და დანგრევის ჩვეულება, და ამიტომ სასახლეები და ციხე-დარბაზები მიწასთან გასწორებული არ იყო, ხოლო სოფლები, საბალახოები და ყანები ჯერ განადგურებული არ იყო აუზების გაშენებით, ამიტომ რაინდთა აურაცხელ მასსას და სოფლებს ყავდათ ასეთი გამყოლნი, რომელთა დანიშნულებას შეადგენდა არა სხვა და სხვა პირთა გამოწვევა სასამართლოში, არამედ ამგვარ პირთა მისამართის ჩვენება სასამართლო ბოქაულებისათვის და უკანასკნელთა გაცილება სასამართლოში გასაწვევ პირებთან; ამიტომ ჰქვიოდა მათ გამყოლნი. ხოლო როდესაც მთელი ქვეყნის თითქმის ერთი მესამედი ომებმა და სახადმა გაანადგურა, როდესაც ყველა ოლქებში რაინდთა ურიცხვი მამული დაინგრა და განადგურდა, და

რაც მახვილმა, ცეცხლმა და სენმა დაინდო, ის აუზ-
თა მოწყობამ უდაბნოდ გადააქცია.—მაშინ გამყოლნი
არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენდენ“ და სხვ. (Palacky,
op. cit., IV, 1, გვ. 528, 529)

მე-XV საუკუნის დამდეგში ბატონ-ყმობა სრულიად აღარ არ-
სებობდა ბოჰემიაში. იმავე საუკუნის დამლევისთვის კი ყველა გლე-
ხები ისევ ყმებად გადაიქცენ.

სასაცილო იქნებოდა იმის თქმა, რომ ბატონ-ყმობის აღდგენა
ჰუსიტურ ომების ბრალი იყო. საზოგადოებრივი განვითარების მი-
მართულება იმაზე არ არის დამოკიდებული—მშვიდობიანათ მიმდი-
ნარეობს იგი თუ ძალდატანებით. საზოგადოებრივი განვითარების
მიმართულება წარმოების წესის განვითარებაზე და მოთხოვნილებებ-
ზეა დამოკიდებული ბუნების კანონთა მზგავსი აუცილებლობით. თუ
ამა თუ იმ დიდი რევოლიუციონური ბრძოლის შედეგი არ შეეფერე-
ბა რევოლიუციის მებრძოლთა მიზნებს, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს,
რომ მათი მიზნები ეწინააღმდეგებოდა წარმოების წესის მოთხოვნი-
ლებებს. ძალდატანებითი რევოლიუციონური ბრძოლა საზოგადოებ-
რივ განვითარების მიმართულებას ვერ შეჰქმნის; გარკვეულ პირო-
ბებში მას შეუძლია მხოლოდ დაააჩქაროს ამ განვითარების
ტემპი, და მასთან ერთად, რა თქმა უნდა, გააძლიეროს დამარცხე-
ბულთა ტანჯვა. ეს ჰქნა სწორეთ ჰუსიტურმა ომებმა. მე-XV საუკუ-
ნიდან მთელს ევროპაში,—ზოგ ქვეყანაში ადრე, ზოგში უფრო გვიან,
—გლეხობის მდგომარეობა თანდათან უარესდება. რომ ბოჰემია, მიუ-
ხედავათ მისი ეკონომიურ ჩამორჩენილობისა, ერთი პირველთაგანი
იყო იმ ქვეყნებს შორის, სადაც თავი იჩინა ამ მოვლენამ, და რომ
ეს პროცესსი ბოჰემიაში უდიდესი სისწრაფით ვითარდებოდა, ეს უე-
ჭველად ჰუსიტურ ომების შედეგი იყო. ეს ომები რომ არ ყოფილი-
ყო, გარდამწყვეტი შებრუნება შეიძლება ერთი საუკუნით უფრო გვიან
მომხდარიყო, გერმანიის გლეხთა ომის შემდეგ.

თავი მეექვსე

ბოჰემიელი ძმანი.

ტაბორი დაეცა, მაგრამ ტაბორიტიზმი უკვალოდ არ გამქრალა. ეს სამხედრო კომუნისტური სახელმწიფო მეტად ბრწყინვალედ მოქმედებდა, და მისმა მოღვაწეობამ ღრმა ფესვი გაიდგა თავისი დროის საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ეს ურთიერთობა კი არა თუ არ გამქრალა ტაბორის დაცემის შემდეგ, არამედ, პირიქით, უფრო მკვეთრ ფორმებში გამოიჩინა თავი. ამიტომ ის იდეები, რომელსაც კომუნისტური სახელმწიფო ემყარებოდა, არ შეიძლებოდა სრულიად გამქრალიყო, თუმცა განაგრძობდა არსებობას სხვა ფორმით, შეცვლილ მდგომარეობის შესაფერად.

ორი ტაბორიტული სექტა დარჩა ბოჰემიაში ტაბორის დამარცხების შემდეგაც. ერთი და იმავე ფესვიდან აღმოცენებულნი, ისინი ორ ორგანიზაციას შეადგენდენ ერთი და იმავე სახელით — „ბოჰემიელი ძმანი", მაგრამ მიუსედავათ ამისა ისეთ ინტაგონიზმში იდგენ ერთმანეთისადმი, როგორიც კი წარმოსადგენია. ერთი ამ სექტათაგანი იყო სამხედრო, მეორე — კომუნისტური.

ჩვენ დავინახეთ, რომ უცხოელი მეომრები მოდიოდენ ტაბორში ერთად ერთი მიზნით: მიეღოთ მონაწილეობა ტაბორიტთა გამარჯვებებში და მათ დავლაში. მეორეს მხრით თვით ტაბორიტებიც გაეღურდენ განუწყვეტელ ომში და, ბოლოს, მრავალი მათთაგანისთვის ჯილდოს და დავლის ძიება დამოუკიდებელ მიზნად გადაიქცა.

ტაბორის დამარცხების შემდეგ ამ ელემენტებს აღარ დარჩათ ბოჰემიაში სამოქმედო ასპარეზი. ისინი გავიდენ ბოჰემიიდან, რათა მოენახათ დამქირაველები, და, თუ ნახულობდენ, ცალ-ცალკე ან მწყობრად დარაზმულ სამხედრო ბანდებად დგებოდენ ხან ერთის ხან მეორეს სამხედრო სამსახურში. იმ დროს ასეთი ბანდები არაჩვეულებრივ რამეს არ წარმოადგენდენ; მეტ წილად ასეთ ჯარისკაცებს ქირაობდა რომელიმე ცნობილი სარდალი, რომელიც მათი წინამძღოლი ხდებოდა. წინაალმდეგ ამგვარ დესპოტიურად დარაზმულ ლაშქრისა, ბოჰემიელ ძმათა გუნდები შეკავშირებული იყვენ დემოკრატიულად, ტაბორიტულ ყალიბზე.

ეს ბანდები ერთ დროს თვალსაჩინო როლს თამაშობდენ ჰუნგრეთში და აგრეთვე პოლონეთში. ყაზახები, რომელნიც მე-XVI საუკუნის დასაწყისში გაჩნდენ უკრაინაში, როგორც სჩანს, მათი მზგავსად იყვნენ შეკავშირებული.

მაგრამ მეტი მნიშვნელობა მიიღეს მეორე ნაირმა ბოჰემიელმა ძმებმა, რომელნიც ბოჰემიაში დარჩენ.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ საშუალო საუკუნეების კომუნისტები საზოგადოდ მშვიდობიანობის მოყვარე ხალხი იყო და ძალადატანებას ერიდებოდენ. ეს თვისება ისევე შეეფერებოდა იმ დროის ღარიბი ხალხის უძლურებას, როგორც პირვანდელი ქრისტიანობის ტრადიციებს. როდესაც ბოჰემიაში ჰუსიტური რევოლიუცია დაიწყო, ძველი ავტორიტეტები დაემხო და ხალხი აჯანყდა, მაშინ ამ საერთო ნაკადმა კომუნისტებიც გაიტაცა. გაჩნდენ რა რევოლიუციის შუაგულში, ისინი ფაქტთა ლოღიკამ დემოკრატიულ აჯანყების სათავეში ჩააყენა და ამ აჯანყებაში ყველაზე უფრო გაბედულ ელემენტად გადააქცია.

მაგრამ მშვიდობიანობის მოყვარე მიმართულება, რომელიც ჰგმობდა ომს, სავსებით არ გამქრალა ტაბორიტთა ბრწყინვალე ტრიუმფების ეპოქაში. ამ მიმართულების უდიდესი წარმომადგენელი იყო პ ე ტ რ ე ხ ე ლ ჩ ი ც კ ი. ის დაიბადა დაახლოვებით 1390 წელს. როგორც სჩანს გაღარიბებული რაინდი,—პეტრე მშვიდათ და განმარტოებულად ცხოვრობდა სოფ. ხელჩიკში, ტაბორიტთა ერთერთ ქალაქ ვოდნიანის ახლო, იქ დასწერა რამოდენიმე თხზულება, რომელმაც ყველას ყურადღება მიიქცია. უკვე 1420 წელს ის ამტკიცებდა, რომ რელიგიურ საქმეებში ძალადატანებას ადგილი არ უნდა ქონდეს; ეს რწმენა მასში განმტკიცდა რევოლიუციონურ ომების დროს. ის ჰგმობდა ომს როგორც უსაზიზღრეს ბოროტებას; მეომრები არაფრით არ სჯობნიან ყაჩაღებს და მკვლელებს. ,,რომელი რაინდები გყავთ მხედველობაში,—სწერდა ის,—რომელთაც ვითომდა ომი შეშვენის? შეიძლება ის კეკლუცი ვაჟბატონები, ბურგებში და ციხე-დარბაზებში რომ ცხოვრობენ, გრძელი თმა რომ დააქვთ მხრებამდის და ისეთი მოკლე კაბები აცვიათ, რომ თავის უკანალს ძლივს იფარავენ? თუ მხოლოდ მათ აქვთ უფლება იომონ, მაშ რაღას შვებიან ომში მოქალაქენი და გლეხები?... რადგან არავინ—არც მეფე, არც თავადი, არც სენიორი და არც უსაწყლესი აზნაური არ ომობს მარტო, თავის თავად; ყოველი მათგანი ძალით ერეკება გლეხებს და ამგვარად აიძულებენ მთელ ხალხს მკვლელობა და ბოროტ მოქმედება ჩაიდინოს'' (Palacky, op. cit. IV, 1, გვ. 478, 479).

ხელჩიცკი პირვანდელ ქრისტიანეთა მზგავსი კომუნისტი-გამათანასწორებელია. მაგრამ მას არ სურს, რომ საერთო გათანასწორება ომით ან სახელმწიფოებრივი ძალდატანებით იქნეს, შემოღებული, ის სახელმწიფოს და საზოგადოების ზურგს უკან უნდა განხორციელდეს.

ჰეშმარიტმა მორწმუნემ არავითარი მონაწილეობა არ უნდა მიიღოს სახელმწიფოს საქმეებში, რადგან ივი ცოდვილი და ურჯულო დაწესებულებაა. საზოგადოებრივი უთანასწორობა, წოდებანი და რანგები სახელმწიფომ შექმნა და სახელმწიფოსთან ერთად უნდა მოისპოს. მაგრამ ერთად ერთი ქრისტიანული საშუალება სახელმწიფოს მოსპობისა იმაში მდგომარეობს, რომ სრულიად ზურგი შეუქციო მას. ჰეშმარიტმა მორწმუნემ არა თუ არ უნდა მიიღოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფოში, არამედ არც უნდა მიმართოს მას არასოდეს. მისთვის არ უნდა არსებობდეს არც პოლიცია, არც სასამართლო. ჰეშმარიტი მორწმუნე თავის თავად უნდა მიისწრაფოდეს სიკეთისაგან და არა აიძულებდეს ვისმე კეთილ მოქმედებას, რადგან ღმერთი ყველასაგან თავისუფალ თაოსნობას მოითხოვს სიკეთის ქმნაში. ყოველგვარი იძულება ბოროტებაა.

არსებულ საზოგადოებაში და სახელმწიფოში ჰეშმარიტ ქრისტიანესთვის არსად არ არის ადგილი, გარდა დაბალ კლასსებისა, რომელნიც მხოლოდ მორჩილებენ და მსახურობენ, და არა ბრძანებლობენ და ბატონობენ.

ყოველგვარი ბატონობა და ყოველგვარი დაყოფა კლასსებად ძმობისა და თანასწორობის მცნების შელახვაა. ქრისტიანე არ უნდა ბატონობდეს და არ უნდა ყვლეფდეს სხვას. ამიტომ ყოველგვარი საეკლესიო საქმიანობა მისთვის აკრძალულია, რადგან ის აუცილებლად მოტყუებასთან არის დაკავშირებული. ქალაქები, ვაჭრობის ცენტრები, ბოროტებაა. ეს კაენის გამოგონებაა; პირვანდელი მარტივი ყოფა-ცხოვრება კაენმა ეშმაკობად გადააქცია ზომის და წონის გამოგონებით, მაშინ როდესაც ძველად ხალხი უსაზომ-საწონოდ აწარმოებდა გაცვლა-გამოცვლას. მაგრამ ყველაზე უფრო გარყვნილი და შეჩვენების ღირსი ადამიანები თავად-აზნაურებია [1]).

ეს ანარქიული, მაგრამ მშვიდობიანობის მღაღადებელი კომუნიზმი მით უფრო სწრაფად ეროვნულდებოდა, რაც უფრო იზრდებოდა

---

[1]) შეადარეთ Jaroslav Goll, Quellen und Untersuchungen zur Geschichte der Böhmischen Brüder, II. Peter Chelcicky und seine Lehre, პრაგა 1882.

დაღლილობა ომისაგან და რაც უფრო ჰკარგავდა ტაბორიტული რეჟიმი თანაგრძნობას მდაბიო სალხში.

ყველა კომუნისტურ სექტებიდან, რაც კი გაჩენილა ბოჰემიაში ტაბორის დაცემის შემდეგ და ნაწილობრივ აქა-იქ მიმოფანტულ ტაბორიტულ ელემენტებისაგან შექმნილა, ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა ხელჩიცკის მიმდევართა სექტა, „ხელჩიცკის ძმანი".

პეტრეს მოწაფეებიდან განსაკუთრებით გამოჩენილი იყო ძმა გ რ ი გ ო ლ ი, გვარად აზნაური, მაგრამ ისე გაღატაკებული, რომ თერძის ხელობით ირჩენდა თავს. 1457 წელს სოფელ კ უ ნ ვ ა ლ დ შ ი ზენფტენბერგთან,— იმ კუთხეში, სადაც ჯერ ცოცხალი იყო ტაბორიტული სულისკვეთება, წინანდელმა ტაბორიტებმა დაარსეს ახალშენი და აირჩიეს გრიგოლი თავის მეთაურად და ორგანიზატორად. რა თქმა უნდა, უმთავრესად მისი გაელენით მიიღეს კოლონისტ— „ძმებმა" ხელჩიცკის მოძღვრება და ბეჯითად ასრულებდენ მას.

როგორი იყო ბოჰემიელ ძმათა პირვანდელი ორგანიზაცია, ეს საკმაოდ ნათელი არ არის. შემდეგი დროის ძმებს სცხვენოდათ თავისი კომუნისტური წარსულის და სცდილობდენ შეძლების დაგვარად დაეშალათ იგი. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ბოჰემიელ ძმათა გვიანდელ ორგანიზაციას და მის გასაგებად შევადარებთ მას ბოჰემიელ ძმათა მემკვიდრეების, ჰერნჰუტერების ორგანიზაციას; თუ გარდა ამისა, მხედველობაში მივიღებთ იმ შინაგან ბრძოლას, რომელიც ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების დროს სწარმოებდა, ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს [1]).

თავის თავად ცხადია, რომ ძმათა საზოგადოების ყოველ წევრს სასტიკად აკრძალული ქონდა სამხედრო სამსახური და საზოგადოთ ყოველგვარი მონაწილეობა სახელმწიფოს მართველობაში სახელმწიფო თუ კომუნალურ მოხელის თანამდებობაზე; აგრეთვე აკრძალული იყო ყოველგვარი მიმართვა სახელმწიფოსადმი, საჩივრის შეტანა და სხვა. თემში უნდა ბატონობდეს სრული თანასწორობა, არ უნდა იყოს მდიდარი და ღარიბი, არ უნდა სწარმოებდეს არავითარი სახის ექსპლოატაცია. ყოველმა მდიდარმა ან პრივილეგიურ წოდების წევრმა, თუ მას თემში შესვლა სურს, ხელი უნდა აიღოს თავის სი-

[1]) ბოჰემიელ ძმათა გვიანდელ ორგანიზაციას კარგათ გვისურათებს I. A. C o m e n i u s-ის Kirchengeschichte der Böhmischen Brüder, 1739, ძმათა 1609 წლის საეკლესიო წესდება და მათ მიერ მეფე ფერდინანდისადმი წარდგენილი „სარწმუნოების სიმბოლო" (ორივე საბუთი დართული აქვს ზემოაღნიშნულ 1739 წლის გამოცემას). ძმათა ორგანიზაციის შეჭმნასთან დაკავშირებული ბრძოლა დაწვრილებით აწერილი აქვს A. G i n d e l y-ს Geschichte der Böhmischen Brüder, პრაგა, 1857, ორი ტომი.

ზედიდრეზე და უარყოს თავისი პრივილეგიები. არც ერთ „ძმას“ არ შეეძლო ვაჭრობა, ფულის გასესხება სარგებლის მისაღებად და სამიკიტნოს გახსნა. მეორეს მხრით ყოველი ძმა ვალდებული იყო დახმარება აღმოეჩინა გაჭირვებაში ჩავარდნილ ძმისთვის.

კერძო საკუთრებას და მონოგამიურ ოჯახს თემი არ უარყოფდა; კომუნიზმი ოჯახის მიმართ გამოიხატებოდა უმთავრესად იმაში, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ ძმურ ურთიერთობას, ყოველგვარი დოვლათის ამხანაგურ საზიარობას და თანასწორობის დაცვას: არავინ არ უნდა ამაღლებულიყო ან დამცირებულიყო სხვასთან შედარებით. მაგრამ კერძო საკუთრების არსებობისას ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ თემში უმკაცრესი დისციპლინა ბატონობს და ეს დისციპლინა მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ვრცელდება. საოჯახო ცხოვრების ინტიმური დამოკიდებულებანიც კი გარკვეულ რეგლამენტს უნდა ექვემდებარებოდეს.

დისციპლინარული ხელის უფლება თემში ეკუთვნოდა თემის მიერ არჩეულ ღვდლებს და მამასახლისებს, რა განსაცვიფრებლად ეწინააღმდეგება ეს პეტრეს ანარქისტულ თეორიას, რომელიც უარყოფს ყოველგვარ იძულებას, როგორც არაქრისტიანულ, წარმართულ საქმეს! თანამედროვე ადამიანს აუტანლად მოეჩვენება ასეთი ხელის უფლება,—მით უფრო აუტანელად, რომ ბოჰემიელი ძმები განსაკუთრებულის ძალით იჩენდენ იმ ბნელ, ფარისეველურ სულს, რომელსაც ჩვენ უკვე გავეცანით, როგორც საშუალო საუკუნეებრივ კომუნიზმის ერთერთ დამახასიათებელ თვისებას. ბოჰემიელ ძმებთან ეს თვისება შედეგი იყო, უეჭველად იმ აუწერელი სიღატაკის და ტანჯვისა, რაც ჰუსიტურმა ომებმა გამოიწვია.

ყოველგვარი ცეკვა-თამაში აკრძალული იყო, როგორც ეშმაკისეული საცთური. ცხოვრება, შრომა და უდრტვინველი თმენა,—აი რა შეჰფერის ქრისტიანეს ამ ქვეყნად. კვირა-დღეებს უკვე იმ დროს დღესასწაულობდენ პურიტანულად.

ამგვარად, კერძო საკუთრება და მონოგამიური ოჯახი განდევნილი არ იყო; მაგრამ ცელიბატი მაინც უმაღლეს, საღვთო მდგომარეობად ითვლებოდა. უქორწინო წევრები ცხოვრობდენ ძმების და დების სახლებში ცალ-ცალკე სქესის მიხედვით, სადაც ერთად ცხოვრობდენ და შრომობდენ. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს სახლები ბეგჰარდიელ სახლების მზგავსად იყო მოწესრიგებული.

ბოჰემიელ ძმებსაც, როგორც ტაბორიტებს, საშინლად სძულდათ სწავლულნი. სწავლულობას ძმები ერთერთ პრივილეგიურ მდგომარეობად სთვლიდენ. ძმა გრიგოლი თავის სიკვდილის დღემდე

(1473 წ.) აფრთხილებდა თენს სწავლულებისაგან. და მიუხედავათ ამისა, იმავე ტაბორიტებსავით, ბოჰემიელი ძმები დიდ ყურადღებას აქცევდენ კარგ სახალხო სკოლას. ძალიან ბეჯითად სწავლობდენ ისინი ახლად გამოგონილ წიგნთა სტამბვის დემოკრატიულ ხელოვნებას.

,,რა თქმა უნდა,—ამბობს გინდელი (op. cit., გვ. 39),—იშვიათად თუ გამოუცია რომელიმე სხვა ქრისტიანულ სექტას იმდენი წიგნი, რამდენიც ძმებმა გამოსცეს თავის მოძღვრების დასაცავად''.. ძმათა თხზულებების რაოდენობა, სექტის წარმოშობის დროიდან ვიდრე მის სრულ დაცემამდე კომენსკის სიკვდილის შემდეგ (1670 წ.), შორს აღემატება ამ ხნის განმავლობაში ბოჰემიაში გამოსულ ყველა დანარჩენ ნაწარმოებთა ჯამს. მათვე გაითქვეს სახელი იმით, რომ ყველაზე ადრე დაბეჭდეს ვენეციაში მშობლიურ ენაზე ბიბლია, ასე რომ ამ მხრით ყველაზე წინ ბოჰემიელნი დგანან. [1])

მე-XVI საუკუნის დამდეგისთვის ბოჰემიაში სულ ხუთი სტამბა იყო: ერთი კათოლიკური პილზენში, მეორე უტრაქვისტული პრაგაში, ხოლო დანარჩენი სამი სტამბა ეკუთვნოდა ბოჰემიელ ძმებს,—იუნგბუნცლაუში, ლეიტომიშლში და ვაისვასსერში: მაგრამ ეს სამი სტამბაც არ აკმაყოფილებდა ძმათა მოთხოვნილებას, და დროგამოშვებით თავის თხზულებებს ისინი ნიურნბერგში ბეჭდავდენ.

სავსებით შეეფერებოდა ბოჰემიელ ძმათა მკაცრ დისციპლინას ის თავისებური წესი, რომ არც ერთ წევრს არ შეეძლო დაეწერა ან გამოეცა წიგნი თემის ნებადაურთველად. ,,არავის ჩვენგანს,—სწერია მათ საეკლესიო წესდებაში,—არ აქვს წიგნის ცალკე გამოცემის უფლება; წიგნი განხილული და მოწონებული უნდა იქნას ყველას მიერ''. [2])

პოლონელი იან ლასიცკი, რომელმაც 1571 წელს ინახულა ბოჰემიელ ძმათა თემი, თავის წიგნში ,,De origine et rebus gestis fratrum Bohemorum" („ბოჰემიელ ძმათა სექტის წარმოშობისა და მოღვაწეობის შესახებ"), შემდეგს სწერს ძმათა წიგნთგამომცემლობის საქმის შესახებ: ,,არ გამოდის არც ერთი წიგნი ისე, რომ წინასწარ იგი საგანგებოდ ამისთვის არჩეულმა ეკლესიის მსახურებმა და მამასახლისებმა არ განიხილონ. ჩვეულებრივად არც ერთ წიგნს არ სცემენ ისინი (განსაკუთრებულ შემთხვევების გარდა) ერთი ძმის სახელით, ყველა წიგნები მთელი ძმობის სახელით გამოდის, რათა სულიერ სხეულის ერთ წევრს იმდენივე პატივი ხვდეს ამისაგან,

[1]) Comenius, op. cit., გვ. 57.
[2]) Comenius, op. cit., გვ. 296.

როგორც მეორეს; რათა შეუძლებელი გახდეს ამაო პატივმოყვარეობა, რომელიც ასე ხშირად აცთუნებს მწერალ გონებას, და რათა თვით თხზულებებს მეტი წონა და პატივისცემა ქონდეს"[1]).

და მიუხედავად ამისა - რა კოლოსსალური ლიტერატურული ნაყოფიერებაა!

ასალ თემში ბევრი რამ ტაბორიტული იყო. ამიტომ საკვირველი არაა, რომ მიუხედავად მისი მორჩილი და მშვიდი ხასიათისა, თემი ხშირად საეკვოდ და საშიშრად ეჩვენებოდა მთავრობას. უკვე 1461 წელს, გეორგ პოდიბრადის დროს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, როგორც ტაბორის დამოუკიდებლობის მომსპობს, ბოჰემიელ ძმებს სასტიკი დევნა დაეწია. 1452 წლიდან პოდიბრადი მმართველი იყო სამეფოში, ხოლო 1458 წელს, მეფე ვლადისლავის სიკვდილის შემდეგ, ის არჩეულ იქნა ბოჰემიის მეფედ. მისი მეფობის ერთერთი პირველი მოქმედება იყო ბოჰემიელ ძმათა დევნა. ძმათა მეთაურები, ძმა გრიგოლი და სხვა, საპყრობილეში ჩაყარეს, კუნვალდის თემი დაშალეს, წევრები გარეკეს და აუკრძალეს მათ კრებების მართვა.

„სასტიკი ინკვიზიციის გამო,—სწერს კომენსკი,— რომელიც ყველგან შემოიღეს ძმათა წინააღმდეგ, უმრავლესობა მათი, განსაკუთრებით პირველნი მათ შორის, მიმოიფანტენ მთებში და ტყეებში, დაიწყეს მალვა მღვიმეებში, თუმცა იქაც, რა თქმა უნდა, ყოველთვის დაცული არ იყვნენ. ცეცხლის დანთებას აუცილებელ საქმელის მოსამზადებლად ისინი მხოლოდ ღამით ბედავდენ, რადგან ეშინოდათ, რომ კვამლს არ გაეცა მათი ადგილი; და ასე, საშინელ სიცივეში, ცეცხლთან მჯდომარენი, დროს ატარებდენ სახარების კითხვაში და ღვთის სათნო საუბარში. როდესაც ღრმა თოვლში გამოდიოდენ სურსათის საშოვრად, თვითეული მგზავრი მის წინ მიმავალ ამხანაგის კვალზე აბიჯებდა, სოლო ყველაზე ბოლოს მომავალი ნაძვის შტოს მიათრევდა კვალის წასაშლელად, რათა კვალით არ ეცნოთ ბდევნელებს; კაცს ეგონებოდა, ვინმე გლეხს გუდურა შეშა უთრევიაო. მღვიმეებში ცხოვრებისათვის მტრებმა მათ დაცინვით „ორმოს კაცები" kamnici და „მობუნაგენი" უწოდეს[2]).

მხოლოდ ამ დევნის ხანაში წარმოიშვა ეს სასელი, „იამნიკები" თუ უფრო ადრე? დასავლეთ გერმანიაში სექტანდტ-ბეგჰარდებს უკვე მე-XIV საუკუნეში უწოდებდენ „ვ ი ნ კ ლ ე რ ე ბ ს" (Winkel-ისაგან, კუთხე,—ეს სახელწოდება ბეგჰარდთა საიდუმლო კრებების მანიშნებელია), ხოლო აღმოსავლეთ გერმანიაში - „გ რ უ ბ ე ნ-ჰ ა ი მ ე რ ე ბ ს"

1) ციტატა Comenius-იდან. op. cit. 328, შენიშვნა.
2) Comenius. op. cit., გვ. 45. 46.

(Grube—ორმო, სორო, heim—შინ). სიტყვა „იამნიკი“ (ჩეხურ Jama-საგან, რაც „ორმოს“, „მღვიმეს“ ნიშნავს)—ამ სახელწოდებათა თარგმანია, რაც იმას მოწმობს, რომ ბოჰემიელ ძმათა შორის ბეგჰარდთა ტრადიციები მოქმედობდა. ხალხი მათ „იამნიკების“ გარდა, უწოდებდა აგრეთვე „პიკარდებს“.

პირველი დევნა დამთავრდა მხოლოდ პოდიბრადის სიკვდილით 1471 წელს.

ბოჰემიელი ძმები შემდეგაც განიცდიდენ ხანგამოშვებით დევნას, მაგრამ საერთოდ დიდ ვნებას ამისგან აღარ ნახულობდენ. სახელმწიფოებრივი ხელის უფლება ბოჰემიაში ამ დროს სუსტი იყო და გარდა ამისა ძმებმა ძლიერი მფარველობა მოიპოვეს ზოგიერთი სენიორისა და ქალაქისაგან: განათლებულმა ადამიანებმა მალე გაიგეს, თუ რა უმანკოა ამ სექტანტთა მტრობა სახელმწიფოსთან, რამდენად უსაშიშროა მათი სწრაფვა თანასწორობისადმი და რა მშვენიერ მასალას ამზადებენ ისინი ექსპლოატაციისათვის თავისი შრომის და მოთმინების ქადაგებით.

მაგრამ ამ მფარველობის ერთი მნიშვნელოვანი მიზეზთაგანი ისიც იყო, რომ სექტა თვითონაც გაიზარდა პირველ მძიმე დევნის ხანაში. მან მრავალი პროზელიტი შეიძინა ნაწილობრივ იმიტომ, რომ, ტაბორიტთა მზგავსად და წინააღმდეგ იმ დროის სხვა საეკლესიო ორგანიზაციების ჩვეულებისა, უდიდეს შეწყნარებას ქადაგებდა სხვა სარწმუნოებისადმი და ადვილად ურიგდებოდა უცხო რწმენის პირებს. ძმათა თემს შეეძლო ასე მოქცეულიყო, რადგან ის ბატონობის ორგანიზაცია არ იყო სხვა საეკლესიო ორგანიზაციებსავით.

ბოჰემიელ ძმათა უკვე პირველმა ყრილობამ, რომელიც 1464 წელს შესდგა რეიხენაუში, და რომელსაც ბოჰემიის დელეგატების გარდა მორავიის დელეგატებიც დაესწრენ, გამოაცხადა, რომ მთავარი საქმე საზოგადოებრივ ურთიერთობის ორგანიზაციაა, ხოლო რელიგიურ საკითხებს მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვსო. და ძმებს ამ პრინციპისთვის არ უღალატნიათ. ამ მხრით ისინი ძლიერ შორს იდგენ შემდეგი დროის ლიუტერანთა იმ დებულებისაგან, რომ ხსნა რწმენაშია, და არა საქმეში.

ამ შემგუებლობის წყალობით ძმებმა მრავალი მონათესავე ამხანაგობა და თემი შემოიერთეს. მაგრამ მით უფრო მტკიცედ იცავდენ ისინი თავის პრაქტიკულ მოღვაწეობის პრინციპებს. მეორე კონგრესზე (ლოტში, 1467 წ.), რომელმაც დამთავრებული ორგანიზაცია მისცა თემს, მაშინ როდესაც პირველმა (რეიხენაუში), —თანამედროვე ენით რომ ვთქვათ,—მისი პროგრამა გამოიმუშავა, გამოვი-

დენ დარჩენილ ადამიტთა წარმომადგენლებიც და წინადადება შემოიტანეს ბოჰემიელ ძმათა და ადამიტთა გაერთიანების შესახებ. მაგრამ მათ უარით უპასუხეს. ადამიტთა კომუნიზმი მეტისმეტად რადიკალური იყო ძმებისათვის. ძმები მხოლოდ ცალკე ადამიტებს იღებდენ თემში, მაგრამ წინასწარ ძველი მოძღვრების უარყოფას მოითხოვდენ მათგან.

მეორეს მხრით უშედეგოდ დასრულთა მოლაპარაკება ვალდენელებთან გაერთიანების შესახებ: ესენი უკვე მეტის მეტ ოპორტიუნისტები იყვნენ. „ჩვენ,—ამბობს ძმა გრიგოლი თავის ტრაკტატში: „როგორ უნდა მოექცეს ხალხი რომის ეკლესიას“,—მოლაპარაკება გვქონდა ვალდენელთა ღვდლებთან, განსაკუთრებით ღვდელ სტეფანთან, რომელიც არასდროს არ მისულა ისეთ დათმობამდის, რომ რომის ეკლესიის წესები შემოეღო ღვდელთ მსახურებაში (ასე იქცეოდენ ხშირად ვალდენელთა ღვდლები, რათა თავი დაეღწიათ დევნისაგან. კ. კ.) ის საიდუმლოდ ასრულებდა გერმანიის ვალდენელთა შორის თავის საღვდლო მოვალეობას და ამისთვის ის დასწვეს შემდეგ. სტეფანე წინადადებას გვაძლევდა გაგვესწორებინა ვალდენელებისათვის ყოველივე ის რაც ეწინააღმდეგება ქრისტეს სარწმუნოებას და ქრისტიანულ ცხოვრებას, და მოგვეწყო ყოველივე მოციქულთა წერილების თანახმად ისე, როგორც ოდესღაც ყოფილა პირველ საუკუნეთა ეკლესიაში. ჩვენ თანახმა ვიყავით შეგვესრულებინა ეს; მაგრამ რადგან ის მეგობრულ განწყობილებაში იყო რომისაგან ნაკურთხევ ღვდლებთან, სტეფანე მიენდო მათ, ხოლო იმათ კი ნება არ დართეს“. ამგვარად გაერთიანება ჩაიშალა. „ზოგიერთი ვალდენელნი სცნობენ,—მოგვითხრობს შემდეგ გრიგოლი,—რომ ისინი გადასცდენ თავის წინაპართა გზას; მათთან ვხედებით აგრეთვე ასეთ უზნეობას: იღებენ ხალხისაგან ფულს, სიმდიდრეს აგროვებენ და ღარიბებზე კი არ ზრუნავენ; მაგრამ ხომ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სარწმუნოებას ის, რომ ღვდელი განძს აგროვებს, რადგან საერო დოვლათი და მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიღებული ქონება მან ღარიბებს უნდა დაურიგოს და არ მიატოვოს ისინი გაჭირვებაში“ და სხვა. [1])

მაგრამ ვალდენელთა ბედი ბოჰემიელ ძმებსაც ხვდა.

სწორეთ ის პურიტანიზმი, რომელიც ძმებისათვის წარმოადგენდა არსებულ საზოგადოების წინააღმდეგ პროტესტის ფორმას და მისგან გამიჯვნის საშუალებას, იმავე დროს ზედმიწევნით კარგი სა-

[1]) ეს ციტატა ჩეხურ ორიგინალიდან ამოღებული და გერმანულ ენაზე გადმოთარგმნილი მოყვანილია Goll-ის წიგნში: Quellen und Untersuchungen etc. I, Der Verkehr der Brüder mit den Waldensern. პრაგა, 1878, გვ. 98 და შემდ

შუალება იყო საქონლის მწარმოებელ საზოგადოებაში არსებობისა და წარმატებისთვის. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რა რიგ განსხვავდებოდა ეს პურიტანიზმი პირვანდელ ქრისტიანობის ასკეტიზმისაგან, მიუხედავად მათი გარეგნული მზგავსებისა. თუმცა ორივე შემთხვევაში ყოველგვარი ნეტარება და სიხარული უღირსად და წუთიერ ამაოებად ითვლებოდა, პირვანდელი ქრისტიანობა გონებრივ სიჩლუნგესთან და სიზარმაცესთან იყო დაკავშირებული, რეფორმაციის ეპოქის პურიტანიზმი კი—დაუღალავ შრომისმოყვარეობასთან და მომჭირნეობასთან. ჩვენს დროში, დიდათ განვითარებულ მსხვილ სამრეწველო კაპიტალის ხანაში, ასეთი შრომისმოყვარული პურიტანიზმი, ეს მომჭირნეობის სახარება, რა თქმა უნდა არ აძლევს დაქირავებულ მუშათა, გლეხთა და წვრილ ბურჟუაზიის მასსას დამაკმაყოფილებელ დონეზე ასვლის საშუალებას. მაგრამ მე-XV საუკუნეში, როდესაც ნატურალური მეურნეობა ახლად აღმოცენებულ მარტივ საქონლის წარმოებასთან ერთად თანდათან საყოველთაო, ნაწილობრივ უკვე კაპიტალისტურ, საქონლის წარმოებად იქცეოდა, იმ დროს პურიტანიზმი სრულიად მიზანშეწონილ საშუალებას წარმოადგენდა წვრილი ბურჟუას კაპიტალისტად გადაქცევისათვის. ეს საშუალება მით უფრო ნაყოფიერი იყო, რომ მოსახლეობის მასსაში ჯერ კიდევ ძლიერი იყო ის ნეტარების და ლხინის გულუბრყვილო წყურვილი, რაც საზოგადოთ ნატურალურ მეურნეობას ახასიათებს,—მეურნეობას, რომელიც საქონელს კი არ ჰყიდის, მაშასადამე, არც აგროვებს, არამედ თვითონ ხმარობს, რასაც ამზადებს. პურიტანიზმის გარდა, ძმათა პრაქტიკულ საქმიანობას ხელს უწყობდა აგრეთვე კარგათ დაყენებული სასკოლო საქმე.

ტაბორიტებთან ის ქონებრივი შეძლებულება, რომელიც ბოლო მოუღო მათ კომუნიზმის, სამხედრო დავლამ შექმნა. ბოჰემიელ ძმებთან კი ეს შეძლებულება მათი სიბეჯითის, მომჭირნეობის და ინტელიგენტობის ნაყოფი იყო.

ბოჰემიელ ძმათა ქონებრივმა შეძლებულებამ მრავალი თანამგრძნობი გაუჩინა მათ, რომელნიც მათ მხარეზე გადმოდიოდენ ფრიად „საერო“ ანგარიშით. მაგრამ, გამდიდრებასთან ერთად, თემის სასტიკი დისციპლინა თანდათან სულ უფრო სამძიმოდ ხდებოდა თემის მრავალ უძველეს წევრისათვის. თანასწორობის გულისთვის ეს დისციპლინა ნებას არ აძლევდა ვინმეს სხვაზე უფრო მდიდარი გამხდარიყო; არ შეიძლებოდა შეძენილი ქონების ისე მოხმარება, რომ მას სარგებელი მოეტანა: არ შეიძლებოდა, მაშასადამე, ვაჭრობა და სესხის გაცემა. სიმდიდრის ზრდასთან ერთად გახშირდა კონფლიქტები

ქონებრივ ნიადაგზე; საჭირო გახდა პროცესები და, მაშასადამე, სახელმწიფოს დახმარება შეძენილ ქონების დასაცავად.

ამგვარად ძმათა შორის წარმოიშვა უფრო ზომიერი მიმართულება, რომელიც ჯერ თუმცა ვერ ბედავდა პირვანდელ მცნებათა პირდაპირ უარყოფას, მაგრამ ცდილობდა, რომ ამ მცნებებს მიეღო ნებაყოფლობითი იდეალის, და არა ყველასათვის სავალდებულო უფლებრივ ნორმების, ხასიათი.

განხეთქილება ამ ორ მიმართულებას შორის მოხდა პირველად სამოცდაათიან წლების ბოლოში, როდესაც ერთხელ ორმა სენიორმა და რამოდენიმე რაინდმა თემში შესვლის სურვილი გამოაცხადეს უფრო მკაცრი მიმართულება თანახმა იყო მიეღო ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უარს იტყოდენ თავის ქონებაზე და წოდებაზე. ზომიერმა მიმართულებამ კი ამ პირობის წინააღმდეგ გამოსთქვა აზრი. გაიმარჯვა პირველმა, და თემში მიღებულ იქნენ მხოლოდ ის მთხოვნელნი, ვინც თემის ყველა მოთხოვნილებას დაემორჩილა.

მაგრამ უკვე 1480 წელს ზომიერმა მიმართულებამ ნაწილობრივ გაიმარჯვა: თემმა მიიღო სწავლული ლუკა და ამას სხვა სწავლულ პირთა მიღება მოჰყვა. თუ მათი მიღება ზომიერ მიმართულების ამაგით მოხდა, მეორეს მხრით, ამ სწავლულმა ელემენტებმა გააძლიერეს ზომიერი მიმართულება. მკაცრი მიმართულება, ფეიქარ გრიგოლ ეოტიკელის მეთაურობით, ამაოდ იბრძოდა სიტყვით და კალმით თემის გადაგვარების წინააღმდეგ.—ბ რ ა ნ დ ე ი ს ი ს ყრილობაზე ანუ სინოდში (1491 წ.) ზომიერმა მიმართულებამ გაიმარჯვა. ყრილობამ დაადგინა, რომ მდიდარ და წარჩინებულ პირთა მიღება თემში შეესაძლებელია უიმისოდ, რომ მათ ქონებაზე ხელი აიღონ და წოდება უარყონ. საჭიროა მხოლოდ თემმა მიაქციოს მათი ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ამგვარ უარყოფის გარეშე მათ ძალიან ადვილად შეუძლიათ დაჰკარგონ საიქაო ნეტარება. ამგვარად, თუმცა თანასწორობის მოთხოვნილება ჯერ საბოლოოდ არ გაუქმებულა, მაგრამ ამ დროიდან იგი კეთილ სურვილთა სფეროში გადავიდა.

ამგვარივე წესით ღვთისნიერმა ძმებმა გაიხსნეს გზა სახელმწიფო ხელის უფლებაში მონაწილეობისაკენ. იმავე ყრილობაზე მათ განაცხადეს: „უკეთუ საერო ხელის უფლება დანიშნავს რომელიმე ძმას მოსამართლედ, მსაჯულად ან ამქრის ოსტატად, ან ომში წასვლას უბრძანებს, ან თუ მან, სხვებთან ერთად, თანხმობა უნდა განაცხადოს ამ თუ იმ ბოროტმომქმედის სიკვდილით დასჯაზე ან წამებაზე, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ყოველივე ეს ისეთი საქმეა, რომელიც მონანიებულ-

მა ადამიანმა საკუთარი თავისუფალი ნებით არ უნდა ჩაიდინოს და რომელიც სჯობს თავიდან აიცილოს. მაგრამ თუ მან ვერ შესძლო ამის თავიდან აცილება დაჟინებითი თხოვნით ან სხვა გზით, მ ა შ ი ნ უ ნ დ ა . დ ა ე მ ო რ ჩ ი ლ ო ს ძ ა ლ ა ს". მაგრამ ყრილობამ არა მარტო იმის ნება მისცა ძმებს, რომ, მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს ძალდატანებითს მოქმედებებში, მიეღოთ თანამდებობა და ომში წასულიყვნენ, თუ მათ ამას აიძულებდენ—არამედ ყოველივე ამის გარდა უფლება მისცა მათ სახელმწიფოსა და სასამართლოებისადმი მიემართათ, სამიკიტნოები გაეხსნათ და ევაჭრათ, ოღონდ, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მ ა თ ი გ ა ჭ ი რ ვ ე ბ უ ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა მ ო ი თ ხ ო ვ ს.

მკაცრი მიმართულება საშინლად აღშფოთდა ამ დადგენილებებით, რომელმაც თავდაყირა დაამხო წინანდელი თანასწორობა, ძმობა და თავისუფლება. მისმა წარმომადგენელებმა ენერგიული კონტაგიტაცია დაიწყეს, თემის ეპისკოპოზი მათე კუნვალდელი მოიმხრეს, დააშინეს და გადმოიბირეს გაუბედავი ელემენტები; მათი დაჟინებითი მოთხოვნით მათემ ახალი სინოდი მოიწვია, რომელმაც. გააუქმა ბრანდეისში გამოტანილი დადგენილებანი და აღადგინა თემის ძველი პრინციპები.

მაგრამ მათი ზეიმი დიდ ხანს არ გაგრძელებულა. თავდასხმის მოულოდნელობამ გაამარჯვებინა მათ, და არა შინაგანმა ძალამ. 1494 წელს, რეიხენაუში მოწვეულ ყრილობაზე ისინი კვლავ უმცირესობაში დარჩენ და ეხლა თვითონაც დარწმუნდენ, რომ მათი პრინციპების გამარჯვება უიმედო საქმე იყო. მოხდა განხეთქილება. ახალი შეთანხმების ცდამ, რომელიც 1496 წელს მოახდინეს, საყვედურებისა და წინააღმდეგობის გამწვავების მეტი არაფერი გამოიწვია.

მკაცრი მიმართულება უმცირესობის პარტია იყო. ის გაუნათლებელ ხალხისაგან შესდგებოდა,—გლეხებისა და ხელოსნებისაგან. მისი პრინციპები არ ეგუებოდა საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებებს. პარტია ჭკნებოდა, რაც დრო გადიოდა, და 1527 წლიდან კი, როდესაც პრაგაში მისი მრავალი მიმდევარი დასწვეს, ის სრულიად გაჰქრა.

პირიქით, ზომიერი მიმართულება, რომელმაც მრავალი მდიდარი და ძლიერი წევრი შეიძინა, რომელიც მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში და ამ მდგომარეობას თავის მიზნებისათვის იყენებდა; მიმართულება, რომელიც, ბოლოს იყო, შეეწყო საზოგადოებრივ განვითარების მოთხოვნილებებს,—სწრაფი

ზრდა-განვითარების გზაზე დაადგა. უკვე 1500 წელს მას 200 ეკლესია ქონდა; მე-XVI საუკუნეში ის ბოჰემიის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორად გადაიქცა. რამდენად დიდი იყო თავად-აზნაურთა მონაწილეობა ამ სექტაში, სხვათა შორის, იმ თხოვნიდან სჩანს, რომელიც ძმათა თემის წევრებმა—აზნაურებმა გაუგზავნეს იმპერატორს (1575 წ.); თხოვნას ხელს აწერდა 17 ბარონი და 141 რაინდი.

თემის წყობილებაში სრულიად არ შენახულა მისი კომუნისტურ წარმოშობის კვალი; ლიტერატურაშიაც, როგორც აღვნიშნეთ, ყოველნაირად ცდილობდენ კომუნისტურ წარსულის წაშლას. უთანასწორობა თემში იქამდე მივიდა, რომ წევრთა შორის მათხოვრებიც იყვნენ. „რამდენადაც შესაძლებელია,—ვკითხულობთ ძმათა 1609 წლის საეკლესიო წესდებაში,—ჩვენ ვიცავთ ჩვენს წევრებს მათხოვრობისაგანო“. ხოლო ვალდებულება ძმათა დახმარებისა უკვე აღარ არსებობდა.

„ბოჰემიელ პურიტანებისაგან,—ამბობს გინდელი (op. cit. გვ. 312),—თვით ბოჰემიელ ფანატიკოსებისაგან, რომელნიც პეტრე სელჩიცკის უფრო პატივს სცემდენ, ვიდრე ჰუსს, ცელიბატს იცავდენ პეტრეს მოძღვრების თანახმად, უარს აცხადებდენ ფიცზე და ყოველგვარ თანამდებობაზე, ფუფუნებას უარყოფდენ, სიმდიდრეს ვერ ითმენდენ, სარგებელს არ იღებდენ და ომს ჰგმობდენ,—ამ ხალხისაგან წარმოიშვა შეძლებული კაპიტალისტები, ფრიად საპატიო პირნი, დახელოვნებული კომერსანტები, რიგიანი ბურგომისტრები და ნაფიცი ვექილნი, ძალიან ნიჭიერი გენერლები და სახელმწიფო მოღვაწენი“.

ორგანიზაციის არსებობა და წარმატება გრძელდებოდა ოცდაათი წლის ომამდის, თეთრ მთაზე მომხდარ ბძოლამდე (1620 წ.). ამ ბრძოლამ გადასწყვიტა ბოჰემიელ თავად-აზნაურობის დიდი ხნის დავა ჰაბსბურგთა აბსოლიუტიზმთან, რომელთაც ბოჰემიის ტახტი ეჭირათ 1526 წლიდან. ამ ბრძოლას შედეგად მოჰყვა თავად-აზნაურთა სრული განადგურება, მისი ქონების კონფისკაცია და განაწილება იეზუიტებსა და სასახლის კრეატურებს შორის. ამავე ბრძოლამ ბოჰემიელ ძმათა დაღუპვაც გამოიწვია. ძლივს სულს ღაფავდა მას შემდეგ ძმათა ორგანიზაციის საცოდავი ნაშთი და, ბოლოს, ჰერნჰუტში იპოვა თავშესაფარი, პიეტისტ გრაფ ცინცენდორფის საქსონიის მამულებში (1722 წ.).

მაგრამ ჰერნჰუტერებში ვერ აღსდა ვერც მკაცრი მიმართულების კომუნისტური ენტუზიაზმი, ვერც ზომიერი მიმართულების სო-

ფლიუერი სიბრძნე. დევნილ და ყრუ კუთხეებში მიმალულ ჰერნჰუტერებს, ამ ღარიბ და გაკოტრებულ გლეხებს და ხელოსნებს, არ შეეძლოთ შეენახათ ის სული, რომელიც ბოჰემიელ ძმათა თემებში ბატონობდა.

მე-XVI საუკუნეში ბოჰემიელი ძმები აღარავითარ როლს არ თამაშობდენ სოციალიზმის ისტორიაში. მე-XVII საუკუნეში მათ დაჰკარგეს ინტერესი საერთო ისტორიისთვისაც.

ს ა რ ჩ ე ვ ი.

წინასიტყვაობა

კომუნიზმის საფუძვლები საშუალო საუკუნეებში და რეფორმაციის ხანაში.

I პლატონი და მისი დრო 1
II წიგნი სახელმწიფოს შესახებ 9
III პირვანდელ ქრისტიანული კომუნიზმის ფესვები . . 20
IV პირვანდელ ქრისტიანული კომუნიზმის ბუნება . . 28
V საეკლესიო ქონება საშუალო საუკუნოებში . 41
VI მონობის მოსპობა 46

ქირის მუშები საშუალო საუკუნეებში და რეფორმაციის ხანაში.

I ხელოსნობის წარმოშობა 53
II ამქრები 56
III ქარგალთა წარმოშობა 59
IV შეგირდი, ქარგალი, ოსტატი 65
V ბრძოლა ქარგლებსა და ოსტატებს შორის. . . 72
VI ქარგალთა კავშირები 80
VII ქალაქის მუშათა არისტოკრატია . . 92
VIII მარკა და სამთო სამართალი 96
IX მსხვილი კაპიტალისტური წარმოება სამთომადნო საქმეში 105
X სამთომადნო მუშები 117
XI კაპიტალი და შრომა საფეიქრო მრეწველობაში. . 126

კომუნისტური სექტები საშუალო საუკუნეებში.

I მონასტრული კომუნიზმი 139
II ერეტიკული კომუნიზმი და პაპობა. . . . 159
III სიმდიდრის და სიღარიბის წინააღმდეგობა საშუალო საუკუნეებში 163
IV ქრისტიანული ტრადიციის გავლენა . 166
V მისტიკა 171
VI ასკეტიზმი 177
VII ინტერნაციონალიზმი და რევოლიუციონური სული . 181

ერეტიკული კომუნიზმი იტალიაში და სამხრეთ საფრანგეთში.

I არნოლდ ბრებიანელი. 189
II ვალდენელნი 193
III ძმანი—მოციქულნი 202
IV გლეხთა ომების ეკონომიური ფესვები . . . 210
V დოლჩინოს აჯანყება 216

ბეგჰარდები.

I ბეგჰარდთა სექტის წარმოშობა . . . 224
II ლიუდოვიკ ბავარიელი და პაპი 234
III კათოლიკური რეაქცია კარლოს IV-ის დროს . . 243

ლოლარდები ინგლისში.

I ვიკლეფი. 247
II ლოლარდები 251
III 1381 წლის გლეხთა ომი 257

ტაბორიტები.

I ეკლესიის დიდი განხეთქილება 268
II საზოგადოებრივი ურთიერთობანი ბოჰემიაში ჰუსიტურ ომების წინ 272
III ჰუსიტურ მოძრაობის დასაწყისი 280
IV პარტიები ჰუსიტურ მოძრაობაში 286
V კომუნისტები ტაბორში 290
VI ტაბორის დაღუპვა 303

ბოჰემიელი ძმანი.